ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტი

დავით პავლიაშვილი

შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი – 2012

ავტორი შემწეობისათვის მადლობას უხდის გორისა და სამთავისის ეპარქიას.

ქართული ისტორიოგრაფიული მეცნიერების კვლევა-ძიების მეთოდოლოგია დაფუძნებულია ქვეყნის მხარეების, რეგიონებისა და ხეობების მიხედვით შესწავლაზე, რომლის არიალში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი შიდა ქართლის პრობლემატიკას უკავია.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის მიმართულებით წარმოდგენილი ნაშრომი — „შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები"-ს მაგალითზე, უმთავრესად XVI-XX სს. პერიოდში, გაშუქებულია ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურული მემკვიდრეობის შემოქმედებითი მოღვაწეობის ადგილი და როლი ჩვენი ქვეყნის აღორძინება-ძლიერებისა და ზოგადად ცივილიზაციათა სივრცეში.

* * *

რამდენადაც ცნობილია, რომ ჯერ კიდევ გვიანდელი ბრინჯაოს — ადრინდელ რკინის ხანებში, უკვე ყალიბდება შემდეგში საქართველოში ყველაზე გავრცელებული ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული ერთეული — ხევი, რომელიც ცალკეულ სამოსახლო გორათა სისტემას წარმოადგენდა და რომელთაგან ერთი მოწინავეობს და ჩამოყალიბებულია ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრის როლს, ამდენად, ქვეყნის ხევებად დაყოფა, რომელიც ძირითადად ბუნებრივ — გეოგრაფიულ თვისება-თავისებურებებზე იყო დაფუძნებული, საბოლოოდ იქცა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური მოწყობის ფაქტორად.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის ისტორიის კომპლექსურად შესწავლისათვის, ცალკეული მხარეების მიხედვით ოდითგანვე მიმდინარეობდა ხეობების კვლევა-ძიებითი სამუშაოები, სადაც ერთ-ერთ მოკრძალებულ ადგილს წინამდებარე გამოკვლევაც დაიკავებს.

რედაქტორი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან ითონიშვილი

მეცნიერ-კონსულტანტი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკლესიოლოგი, პროფესორი **ქეთევან პავლიაშვილი**

© დ. პავლიაშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი", 2012

უაკ (UDC)94 (479.221.1)
პ-133

ISBN 978-9941-10-440-4

შინაარსი

შესავალი

თავი პირველი

ქართლი XVI-XIX საუკუნეებში

1. ქართლის ისტორიული გეოგრაფია 4
2. სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება 11
3. შინაკლასობრივი ურთიერთობა და მმართველობის სისტემა 26
4. კლასობრივი დიფერენციაცია და მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა 61

თავი მეორე

ზემო ქართლი

1. სურამულა-ჭერათხევის ხეობა 87
2. ფრონე-ყორნისის ხეობა 97
3. დიდი ლიახვის ხეობა 167

თავი მესამე

შიდა ქართლი

1. პატარა ლიახვის ხეობა 207
2. მეჯუდა-ჭარებულას ხეობა 313
3. ლეხურას ხეობა 357

თავი მეოთხე

შიდა ქართლის გალმა მხარი — თრიალეთის ზეგანი

1. ტანა-ათრევას ხეობა 393
2. თეძამ-კავთურას ხეობა 483

მონოგრაფია ეძღვნება გორისა და სამთავისის მიტროპოლიტს, მეუფე ანდრიას (გვაზავა)

„აწმყო, შობილი წარსულისაგან
არის მშობელი მერმისისა“.
ილია მართალი

შესავალი

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ უძველესი დროიდანვე საქართველო რამოდენიმე „ქვეყნისაგან“ შედგებოდა, რომელთაც თავიანთი სახელები ერქვა და შესაბამისი საზღვრებიც გააჩნდათ. გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი-ბატონიშვილი წერს: „ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველად — საქართველო, მეორედ — ივერია, მესამეთ — გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხვდა ქვეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თჳსითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილხდომილთა მისთა ეწოდა საქართველო“.[1]

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „აშოტ დიდი ეუფლა ქართლს საზღაურთა მისთა“-ო., „მატიანე ქართლისაი“ — მიხედვით, ამ ქვეყანათა სახელებიც და საზღვრებიც დროთა განმავლობაში პოლიტიკური და სოციალური ვითარების შესაბამისად იცვლებოდა. მაგალითად: „ეგრისი“ მთელ დასავლეთ საქართველოს ერქვა და საზღვრებიც შესაფერისად იყო გაფართოებული, აგრეთვე „ქართლი“ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს, მთელ საქართველოს სახელადაც კი იწოდებოდა. აქაც ბუნებრივია ამ სახელის გაფართოება ქართველთა პოლიტიკურ-ეროვნული ზრდის შედეგია.[2] გიორგი მერჩულის (IX-X სს.) ძეგლში თავისი ეპოქისათვის ფორმულა საქართველოს მთლიანობისა ასეა წარმოდგენილი: „ქართლად

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 28.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 28.

ფრიადი ქვეყან აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".[3]

ამრიგად, ქართლი ძველთაგანვე რამოდენიმე ნაწილად იყოფოდა. ერთი ამ ნაწილთაგანი — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი — ლეონტი მროველის აზრით, უფლოსის სამფლობელო ყოფილა, რომელიც „დარჩა ყოველთა მამისა მათისა მცხეთოსისა და ეპყრა ქვეყანა არაგვთაგან და ტფილისიდგან ვიდრე ტასის კართამდე და ფარავნამდინ არაგვიდგან და არმაზისგან ვიდრე ტასის კართამდე, უწოდა ამას ქუეყანასა სახელი ზენა სოფლისა, რომელსა აწ ჰქვია შინა ქართლი"-ო. მაშასადამე — დასძენს ივ. ჯავახიშვილი — შიდა ქართლი XI საუკუნეში იწყებოდა არაგვიდგან და არმაზიდგან და ტასის კარამდის მიდიოდა, ამას წინათ თურმე „ზენა სოფელი" რქმევია.[4]

ამასთან ერთად, ლეონტი მროველს ჩამოთვლილი აქვს საკუთრივ ქართლის საზღვრებიც იქ, სადაც მცხეთოსის სამფლობელო — „შიდა ქართლი" იყო, შეიცავდა ქვეყანას „არაგვიდგან და ტბილისიდან ვიდრე ტასის კართამდე და ფარავნადმდე".[5]

თანამედროვე გეოგრაფიული არეალის მიხედვით, საკვლევი მხარე, მოიცავს კასპის, გორის, ახალგორის, ქარელის, ხაშურისა და ცხინვალის რაიონებს, რომელიც ბუნებრივია წარმოადგენს იმ ისტორიული შიდა ქართლის ნაწილს, რომელსაც ძველად, როგორც ითქვა „ზენა სოფელი" ეწოდებოდა. საერთოდ კი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული ქართლი ქვეყნის უმთავრესი მდინარის — მტკვრის აუზის მიხედვით დანაწილებული იყო: ზემო, შუა ანუ შიდა და ქვემო ქართლად. ისე, რომ შიდა ქართლი, ვრცელდებოდა აღმოსავლეთით არაგვსა და თბილისამდე, ჩრდილოეთით — კავკასიონის ცენტრალურ ქედამდე, დასავლეთით — ლიხის ქედამდე, ხოლო სამხრეთით — თრიალეთის ქედამდე და ფარავნის ტბამდე (ჯავახეთი). ამასთან, შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს გაღმა მხარი ეწოდებოდა, თუმცა ისტორიული წყაროების

---

[3] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 121.
[4] ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 29.
[5] იქვე, გვ. 31.

შესაბამისად, ზოგჯერ იგი არ შედიოდა მის ფარგლებში. მაშინ, როცა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა ყოველთვის შიდა ქართლში იგულისხმებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟამთა ვითარებაში, როგორც ითქვა, რეგიონის საზღვრები არსებით ცვლილებებს განიცდიდა. მაგალითად, XVII-XVIII საუკუნეებში, შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ჯერ კიდევ ზემო ქართლად მოიხსენიებდნენ. ისე, როგორც XVII ს. პირველი მეოთხედიდან, ოსმალეთის მიერ სამცხე-სათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, ისტორიული ზემო ქართლი, ანუ გვიანდელი სამცხე-საათაბაგო, დიდი ხნით ჩამოშორდა ქართლის სამეფოს და სახელწოდებაც შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე შეჩერდა. ამჟამად კი, ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთის საკმაოდ დიდი ნაწილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაში შედის, ხოლო ნაწილი დუშეთის რაიონში.

შიდა ქართლს, ჩრდილოეთით და სამხრეთით დიდი კავკასიონისა და თრიალეთის მაღალი, ულამაზესი ქედები საზღვრავს, რომელნიც მტკვრის აუზისაკენ არიან დაშვებულნი და შესაბამისი განშტოებებს ქმნიან, სადაც თავისებური, მრავალფეროვანი ზეგანებია წარმოდგენილი. ამ ზეგნებზე კი პატარ-პატარა სოციალურ-ეკონომიკური რეგიონების სახით მოსახლეობის ეთნიკურ-მეურნეობრივი სახეა წარმოჩენილი, რომელნიც შიდა ქართლის ერთ სივრცეს ქმნიან და ამით აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ქვეყნის საერთო განვითარებაში.

მაგალითად, გაღმამხარის, ანუ თრიალეთის ჩრდილოეთის მიმდებარე ტერიტორიის მდინარეები: ძამა, ტანა, თეძამი და კავთურა, თავისებურად, განსაკუთრებით ქვედა წელში მცირე ტაფობებს, ანუ ვაკეებს ქმნიან, სადაც საკმაოდ ინტენსიურად დასახლებული მოსახლეობა ისტორიულად მრავალწახნაგოვან, ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო თუ შიდასაოჯახო რეწვაშია დასაქმებული. აღნიშნული მახასიათებლები კი შესაბამისადაა წარმოდგენილი შიდა ქართლის ყველა სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკურ რეგიონში. ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად მტკვრის ჩრდილოეთით დოღლიაურის, ტირიფონისა და მუხრანის ვრცელ და ყველაზე ნაყოფიერ ველებს, რომელ-

თა წყალმომარაგების მთავარი არტერიებია მდინარეები: ფრონე, ლიახვი, მეჯუდა, ლეხურა, ქსანი და არაგვი, ისინი ისტორიულად შიდა ქართლის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ადგილებს წარმოადგენენ და გადამწყვეტ როლს ასრულებენ ამ რეგიონის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

შიდა ქართლის საკმაოდ ვრცელი — გაშლილი დაბლობები და შესაბამისად ზეგან-მთიანი საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, კარგ პირობებს ქმნიდა როგორც მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების, ისე ინტენსიური მეცხოველეობისათვის. აღნიშნული გარემოება, თავისთავად სათანადო გამოხატულებას ჰპოვებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ სტუქტურაში და ამით კიდევ უფრო მაღალ რანგში აჰყავს რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა — ისტორიული სამიმოსვლო გზის — ევრაზიის დერეფნის მოქმედების სახით.

ამრიგად, შიდა ქართლის ბუნებრივ-ეკონომიკურმა პირობებმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ოდიდგანვე განსაზღვრა ის ადგილი, რომელიც საკვლევმა მხარემ შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. სწორეთ შიდა ქართლზე გადიოდა ის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი გზები, რომელიც ჩრდილოეთიდან მიემართებოდა დარიალის ანუ არაგვის გზა მცხეთის გავლით და სხვ.

სათანადო ისტორიული მონაცემები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ინდოეთისა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთი მონაკვეთი ამიერკავკასიაზე გადიოდა, კერძოდ კი შიდა ქართლზე, რომელიც მტკვრის ორივე მხარეს გაზდევდა, თუმცა უპირატესობა ეძლეოდა მის მარცხენა ნაპირზე გამავალ გზას: მცხეთა, მუხრანი, სამთავისი, გორი, ურბნისი, რუისი. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა აგრეთვე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მოემართებოდა და მცხეთამდე აღწევადა. აქედან კი არაგვის ხეობით ჩრდილოეთის ქვეყნებში გადიოდა.

შიდა ქართლი წარმოადგენდა არა მარტო სატრანსპორტო, არამედ ქვეყნის კულტურულ-სამეურნეო-სავაჭრო გზაჯვარედინს, რომელზეც მიმდინარეობდა სეზონური სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო ურთიერთობები ცალკეულ რეგიონებსა და მხარეებს შორის. ამ ტიპის გზაჯვარედინებმა კი როგორც ცნობილია, ისტორიულად, კახეთ-ჰერეთის ტაოკლარჯეთთან დიაგონალურმა კავშირებმა და ამ ერთიან სივრცეში თრიალეთის ქედის თხემის განშტოებულმა მდებარეობამ და სხვ., მის გარდიგარდმო განლაგებულ „ქვეყნებს“ ურთიერთ დაახლოება-განვითარების საფუძვლები შეუქმნა და ამით დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა და გაძლიერების საქმეში.

ძველთაგანვე, შიდა ქართლი, სამხრეთ საქართველოს უკავშირდებოდა: მტკვრის, ძამის, ტანას, თეძამის, კავთურას, ნიჩბისისა და ძეგვის ხეობებზე გამავალი გზებით; დასავლეთ საქართველოს — ლიხის ქედზე მდებარე პერენგას, ზემო ჯვარ-კორტოხის, დედაბერას, რიკოთის, სურამის, ციხიძირის უღელტეხილებით; ჩრდილო კავკასიას დარიალის გზის გარდა ლიახვის ხეობით, სბისა და როკის უღელტეხილებით. და ბოლოს, შიდა ქართლი ეს ის ისტორიული რეგიონია, სადაც ოდიდგანვე მიმდინარეობდა აღმოსავლურ-დასავლური ქართულ კულტურათა შეხვედრა-შერწყმის პროცესი.

შიდა ქართლის მაგალითიდან ნათლად შეინიშნება ის სოციალურ-ეკონომიკური ძვრები და ნაირსახეობა, რომელიც განსაკუთრებით XVI-XIX სს. მიმდინარეობდა. ბუნებრივია აღნიშნული მოვლენები წარმოადგენდ ერთ-ერთ იმ შემადგენელ ნაწილს, რომელიც ქვეყნის შიგნით და გარეთ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სახით არსებობდა. ამიტომ, საზოგადოების განვითარება-დაქვეითებასთან ერთად, ბუნებრივია იცვლებოდა მოსახლეობის ყოფითი თავისებურებანიც. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროცესები, უმთავრესად იჩენდა თავს მოსახლეობის ზრდის, ან შემცირების, ახალი სოფლების აღმოცენებაში, ნასოფლარების მომრავლებაში და სხვ. რაც გამოწვეული იყო აგრეთვე არა მარტო უსაფრთხოების, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება-დაქვეითებითაც.

ისტორიული მონაცემები მეტყველებს, რომ განსაკუთრებით მოცემულ ქრონოლოგიურ პერიოდში, აღნიშნული მიზეზების კვალობაზე ჩნდება დასახლებული ადგილების ე.წ. დუბლირება, ანუ ძველი სოფლის მიმდებარე ტერიტორიებზე ჯერ არსებული უბნების, ხოლო თანდათანობით ახალ მოსახლეთა ხარჯზე ზრდა, რომელთაც ემატება რეგიონის სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსახლებულთა გარკვეული ნაწილი. ჩნდება არსებული სოფლის განაყოფები და სხვ., მაგალითად: ზემო ტყვიავი, ქვემო ტყვიავი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი, ზემო სობისი, ზემო არცევი, ქვემო არცევი, ქვემო სობისი, ქვემო ჭალა და სხვა მრავალი. ისე, როგორც სოფელს გამოეყოფოდა ცალკეული უბანი და ამდენად, სოფლის დამოუკიდებელ წრმონაქმნად ყალიბდება. მაგალითად: მეჯვრისხევის ბაზაზე მექვაბიანთ უბანი, ფლავიდან — ფლავისმანი, ერედვიდან — ბერულა (ბერუაშვილების დასახლება), ცხინვალიდან — დგვრისი და სხვა. გაჩნდა ისეთი დასახლებები, რომელთა სახელწოდებებში ფიგურირებს: ახალიუბანი, წითელიუბანი, ზეუბანი, ინაურის გვარიდან სოფ. ინაურები, პაველიაშვილის გვარიდან პოვლეური, პაველიანთ კარი, პოვლეთ კარი და სხვა მრავალი. ამასთან, ფაქტობრივად, ნასოფლარებად იქცა მაგალითად: სარაბუკი, კოზოთი, საბოლოკე, ელოიანი, ელიტურა, ქვაბთახევი (პატარა ლიახვის ხეობა) და სხვა მრავალი. აქვე უნდა ითქვას, რომ ისტორიულად, მთის რეგიონების მოსახლეობის დასახლების სტრუქტურა წარმოდგენილია მცირე, პატარ-პატარა, უმთავრესად საგვარეულო სოფლების სახით.



სამთავრის მონასტერი XI ს.

თავი პირველი
ქართლი XVI-XIX საუკუნეებში

1. ქართლის ისტორიული გეოგრაფია.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბება-განმტკიცების ხანგრძლივ ისტორიაში, ქართლს, ოდითგანვე განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მის ირგვლივ მიმდინარეობდა ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნა, რომელიც თვალსაჩინო გახდა უფრო მოგვიანებით — შუა საუკუნეების ხანაში. ეს ის პერიოდია, როდესაც მის ბაზაზე ჩამოყალიბდა ძლიერი, ქართული ფეოდალური მონარქია.

ქართულ საისტორიო მატიანეებში, ტრადიციულად, აღმოსავლეთ საქართველო ქართლადაა ცნობილი, ხოლო უცხოურ, კერძოდ ბერძნულ წყაროებში — იბერიად. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლი იყო ის ადგილი, სადაც დამკვიდრდა ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი — ქართლოსი. აღნიშნული მატიანე, რომელიც საისტორიო თხზულებათა კრებულს წარმოადგენს და სადაც ქართველ ისტორიკოსთა მიერ თანმიმდევრობითაა მოთხრობილი ქართველი ერის თავგადასავალი უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე და იწყება ლეონტი მროველის ცნობებით უძველესი დროიდან ახალი წელთაღირცხვით მეხუთე საუკუნემდე, ეკითხულობთ: „ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძმისწული იაფეთისი, მისა ნოესი. და იყო ეს თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქვა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექვსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს. განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თჳსი რვათა ამათ გმირთა მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღვა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მოჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მოჰყვების დასავლით კერძო, რომელსა წყალი გადმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარ-

სა, რომელ მოჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი დადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქჳ ან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს". და განაგრძობს: „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მასზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და ეწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა „ქართლი". ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს".[6] სწორეთ ამ გადმოცემის მიხედვითაა შემორჩენილი ძირითადად ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დანაწილება, რომელიც ერთიანი საქართველოს შინაარსშია მოქცეული. ხოლო რაც შეეხება ქართლის შიდა გეოგრაფიულ, ტერიტორიალურ დანაწილებას, იგი ძველთაგანვე დედა მდინარის — მტკვრის მიხედვითაა განლაგებული და მოიხსენიება ქვემო, შუა და ზემო ქართლად, რომელთა საზღვრები ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში გარკვეულ წილად ცვლილებებსაც განიცდიდა. ამასთან, შესაბამისად იცვლებოდა მათი სახელწოდებაც. მაგალითად, შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება გვიანდელი წყაროების მიხედვით, მათშორის ლეონტი მროველის განსაზღვრით ზენა-სოფელი ყოფილა. „ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მცხეთოსისსა მცხეთას და ეპყრა ქვეყანა არგვითაგან და ტფილისიდგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და ამან აღაშენა უფლისციხე, ურბნისი, და კასპი, არაგვთაგან და არმაზიგან ვიდრე ტასისკარამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენა-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა ქართლი".[7]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილმდებარეობის მიხედვით, შიდა ქართლის მნიშვნელობა უფრო შემცირებულადაა წარმოდგენილი, რამდენადაც აღმოსავლეთ საზღვრად არაგვ-არმაზია, არაგვი-ტფილისის ნაც-

---

[6] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 4-8.
[7] იქვე, გვ. 24.

ვლად, რაკი ეს უკანასკნელი უფლოსის მთელი სამფლობელოს საზღვრად ჩანს. ისე, რომ შიდა ქართლი უფლოსის სამფლობელოს მხოლოდ ნაწილს შეადგენს, მით უმეტეს, რომ უფლოსის მამულის სამხრეთი საზღვარი — ფარავანი ზენა სოფლისათვის, ანუ შიდა ქართლისათვის აღარაა აღნიშნული. ხოლო რაც შეეხება უფლისციხის, ურბნისისა და კასპის ამ ადგილას მოხსენება ეჭვს არ იწვევს, რომ ზენა სოფელი შიდა ქართლი უსათუოდ გულისხმობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს, ანუ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას.

ს. ჯანაშია ზემოაღნიშნულის ისრგვლივ ასკვნის, რომ ზენა სოფელი — შემდეგდროინდელი „შიდა ქართლი“ ქართული და სომხური წყაროების მიხედვით ელინისტურ ხანაზე ადრეა წარმოშობილი. ასევე უნდა ითქვას ქვემო ქართლზე. აკად ნ. ბერძენიშვილის აზრით, ძველთაგანვე, ქვემო ქართლის ტერიტორიას „ქვენა სოფელი რქმევია“. ამ ერთეულებად დაყოფის მიჯნად კი ისევ და ისევ მდ. მტკვარი უნდა ყოფილიყო. ძველთაგანვე ქვეყნის შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ იტყობინება, რომ სხვადასხვა დროს მეფეებად ისხდნენ: „არმაზსს — ფარსმან და შიდა ქართლსა — ჴკაოს“; „არმაზსს აზორკ და შიდა ქართლსა — არმაზელ“; „არმაზს — ამაზასა და შიდა ქართლსა დეროკ“; „არმაზს — ფარსმან ქუელი და შინა ქართლსა — მირდატ“. მაშინ, როდესაც (ახ. წაღ. II ს-ის 30-50 წ.წ.) „არმაზელი მეფე“ ფარსმან ქველმა „მცხეთელი მეფე“ მითრიდატე დათრგუნა, მაშინ თავისი ძუძუმტე სპასპეტი ფარსმანი „დაადგინა შიგა ქართლსა ადგილსა მირდატისსა“. ამის შესახებ აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, „არმაზისა და „შიდა ქართლის“ დაპირისპირება უნდა იქნეს აღთქმული „მეფისა“ და „შიდა ქართლის მმართველი — სპასპეტის“ დაპირისპირების სახით. გამოდის, რომ მტკვრის სამხრეთით — მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერიტორია რჩებოდა სპასპეტებს, ხოლო მეფეებს — მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალი. ხოლო, ძვ.წ.ა. IV-III საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ფარნავაზმა ქვეყანა საერისთავოებად დაჰყო, შიდა ქართლი მთლიანად სპასპეტს დაუმორჩილდა, შეიქმნა შიდა ქართლის საერისთაო ან სასპასპეტო. ამასთან, ადრეფეოდალურ ხანაში, ში-

და ქართლი, კლავ ქართლის საერისთაოში შედის, რომელიც თავის მხრივ დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად — ხევებად. ამგვარად, აღნიშნულ ხანაში, მაგალითად, ცხრაძმისხევში — ქსნის ხეობის ზედა წელის გარდა შედიოდა მდინარეების: ლეხურისა და პატარა ლიახვის სათავეები. ისე, რომ ქსნის ხევი, ქსნის ხეობის შუაწელის გარდა მოიცავდა ლეხურა-მეჯუდის შუა წელს, ხოლო მათ ქვემო დინებებს შორის მოქცეულ ტერიტორიას ეწოდებოდა რეხა; ისევე, როგორც მდ. ლიახვისა და მეჯუდას სუა წელის ტერიტორიას გვერდისძირი. რაც შეეხება იმავე პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს, მას საცხუმეთს, ხოლო დვანის წყლისა და ფრონეების მიდამოებს დვანის ველს უწოდებდნენ. აგრეთვე დიდი ლიახვის აუზს, იგი აჩაბეთის ხევად იწოდებოდა და საერთოდ მთელი ქართლი ძირითადად წარმოდგენილი იყო დიდი და პატარა მდინარე-ხეობებით: მტკვრის, ლიახვის ლეხურის, ფრონეს, ტანას, თეძმის, კავთურას, ჭარებულას, მეჯუდის, ქსნის, არაგვისა და სხვ.

ქართული და უცხოური ისტორიოგრაფიული ცნობების მიხედვით, ქართლის ტერიტორიალური საზღვრები მოიცავდა: დასავლეთის მხრიდან ლიხის ანუ სურამის ქედი, ჩრდილოეთით ცენტრალური კავკასიონის ქედი, თრიალეთის ჩრდილოეთი ფართობი, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით საგურამოსა და ე.წ. ქართლის ქედები. მთლიანობაში კი მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები უკავიათ კავკასიონისა და თრიალეთის მაღალ ქედებს, საიდანაც დედა მდინარის — მტკვრისაკენ დაშვებული ადგილები ერთგვარ ტაფობს ქმნიან შესაბამისი ზეგნებით, რომელთა შორისაც წარმოდგენილია საკმაოდ ვრცელი, გაშლილი ფართობები. ზოგადად, მისი იერსახე წარმოდგენილია მტკვრის მარცხენა ანუ გალმა მხარეში ჩამოდინებული მდინარეებით: ძამა, ტანა, თეძამი და კავთურა, რომელთა ხეობები ქმნიან შედარებით მცირე ვაკედაბლობებს, ხოლო რაც შეეხება მტკვრის მარცხენა ანუ ჩრდილოეთით მდებარე აუზსს, იგი შედგება საკმაოდ ვრცელი — დოღლიაურის, ტირიფონისა და შუხრანის ველებისაგან, სადაც ძირითადი მაცოცხლებელი მდინარეები: სურამულა, ფრონეები, ლიახვები, ლეხურა, ქსანი და არაგვი ჩამოუდის.

„ქართველი ერის მიწა-წყალი, სადაც მას უწარმოებია თავისი ისტორია და რომლის ყოველი მიდამო მოფენილია ქართული მრავალფეროვანი კულტურის მონუმენტებით, აქ არ არის მითვლილი არც ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც დაპყრობით ან სხვა რაიმე გზით ყოფილიყოს შემოერთებული“ (პ. ინგოროყვა). IV საუკუნიდან ჩვენს ერამდე, ტერმინი ქართი, სიმაგრეს, შემოზღუდულ ადგილს ნიშნავდა, რაც მართლაც კარგად მიესადაგება მის გეოგრაფიულ-ბუნებრივ პირობებს, ძირძველი მოსახლეობის განლაგების სტრუქტურას და მის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა თუნდაც IV ს-ის მიწურულში ბერძენი პაპის მიერ შედგენილი გეოგრაფია, სადაც ქართლის აღწერილობაში მოხსენიებულია ქართველების დედაქალაქი თბილისი და ოლქები: „კლარჯეთი, შავშეთი, კოლა, არტაანი, სამცხე, აჭარა, გორათის-ხევი (შიდა ქართლის დას. ნაწილი), მანგლისის-ხევი, ქვეშის-ხევი, ბოლნისის-ხევი (სამივე ქვემო ქართლში), პარყარის (თბილისის სამხ. აღმოსავლეთით), ითარი, დვანი, აჩაბეთის-ხევი, საცხენეთი, ქსნის-ხევი, ცხრაძმა (ყველა შიდა ქართლში), წიფის-ხევი, კალობის-ხევი, ძირის-ხევი (ყველა ესენი გარდაბანში), ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშიკარი (შემდეგდროინდელი ქართლის სამხრეთი), კანარქი (მდ. დებედას აღმოსავლეთით), კუხეთი, ხერკი, ერწი, თიანეთი, წობენოსი“.[8]

ნაწილობრივ აქ მოტანილი ცნობებიდანაც ჩანს, რომ ძველთაგანვე, ქართულ მიწა-წყალზე,მოსახლეობის განლაგება, ბუნებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების გააზრება-გათვალისწინების საფუძველზე მიმდინარეობდა და საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. რამდენადაც იმთავითვე, ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებები განსაზღვრავდა ქვეყნის ხევების, მდინარეების მიხედვით მოსახლეობის განლაგების სტრუქტურას, მეურნეობრივი ქმედით-უნარიანობას და სხვ. ამდენადვე იგი იქცა კიდეც ადმინისტრაციული მოწყობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად. ამასთან, აღნიშნული პროცესი იმდენად ბუნებრივად გამოიყურება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ხეობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ატრიბუტების ნაკლებობისასაც კი ესა თუ ის რეგიონი, ის-

[8] ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა, 1994, გვ. 114.

ტორიულად, ხეობის სახითაა წარმოდგენილი, თუ აღარაფერს ვიტყვით მათ განშტოებებზე (პატარ-პატარ ხევ-ხუვებზე, ღელე-ნაკადულებზე და სხვ.). ამიტომ, აღნიშნული პრინციპების გათვალისწინება-განზოგადებით, ქვეყნის სასიქადულო მამულიშვილებმა, ოდითგანვე მდიდარი, მრავალწახნაგოვანი კულტურული მემკვიდრეობის ვიზუალური და შინაარსობრივი თავისებურებების ეტაპობრივი შესწავლით, სამომავლოდ მყარი საფუძველი შეუქმნეს არსებულ რეალობათა კომპლექსურ გაშუქებას.

შიდა ქართლის ჰავა ბარში, ქვემო ქართლთან შედარებით კონტინენტურია და ტენიანი, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მრავალწახნაგოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის, რომელიც ძველთაგანვე დაფუძნებული იყო საკმაოდ რთული, რუსხმულ-სარწყავსაირიგაციო სისტემაზე. შიდა ქართლის ვაკის ფართობები უმთავრესად გვხვდება შავი, ყავისფერი, ყომრალი ნიადაგები და ეს ნაყოფიერი მეურნეობრივი ადგილები ჩრდილოეთით განისაზღვრება ლიახვის, ქსნის, არაგვის ქვემო და შუა, აგრეთვე თერგის ზემო აუზებით. სწორეთ შუა კავკასიონის ამ მიდამოებშია როკის, სბის, ჯვრის, მილიონას, ბურსაჭილის უღელტეხილები, ხოლო ლიახვის სათავეებში (მაღრან დვალეთი), ქნოლოს, ყელის ტბაზე, თრუსოსა და მთიულეთ-გუდამაყარში განლაგებული სუბალპური და ალპური ლანდშაფტი, რომელთა ბუნებრივი პირობები მესაქონლეობის ინტენსიური განვითარების საფუძველს იძლევა, რომ აღარაფერი ითქვას ტყის მდიდარ უნიკალურ მასივებზე, საზაფხულო საძოვრებზე, აგრეთვე მუხრანის, ნასპარხევის, აღაიანის, შურიანისა და დოღლიაურის საზამთრო საძოვრებზე.

იაკობ გოგებაშვილი საქართველოს მოკლე გეოგრაფიის აღწერისას აღნიშნავს: „დედამიწის ზურგზე ბევრი არ არის ამისთანა ქვეყანა, რომ სიმშვენიერით ჩვენ საქართველოს სჯობდეს. ბევრ ქვეყანას უჭირავს სრულიად სწორე და ვაკე ადგილი, რომელიც ერთი და იგივე სახით კაცს გულს უწვრილებს და სადაც დაბალი სერიც კი, მცენარეებით შემოსილი, ადმიანის თვალს არ ასიამოვნებს ...“ უშუალოდ ეხება რა ქართლის საზღვრების დახასიათებას, განაგრძობს: „ქართლისა და იმერეთის შუა ერთი გრძელი მთაა გაჭიმული, რომელიც ძრიელ მაღალი არ არის.

ამ მთას უწინ ლიხის მთას ეძახდნენ, ეხლა სურამის მთა ჰქვიან. მთის აქეთ მდებარე ნაწილს აღმოსავლეთის საქართველო ჰქვიან, მთის იქით დასავლეთის საქართველო. უწინ მთის იქითა მცხოვრებლებს იმერებს ეძახდნენ და მთის აქეთ ამიერებს თავისუფლება აქეთა ქართველებს უფრო უყვართ იქითა ქართველებზედ. მოსამსახურეთ ქართლელი და კახელი ძალიან იშვიათად დადგება; იმერელები და მეგრელები კი ამისთანა საქმეს ძალიან მისდევენ და კიდეც ეხერხებათ. ამის გარდა იქითა ქართველები უფრო ჩვილი გულისანი არიან უბრალო ხუმრობა, ან დაცინვა იმიერს მოთმინებიდგან ადვილად გამოიყვანს, როცა რომ ამას აქეთა ქართველი ყურსაც არ ათხოვებს".[9] მისავე აღწერით, საქართველოს შუაგული ადგილი ქართლია, რომელიც შედგება საკუთრივ ქართლით, ახალციხის მხარით და ჯავახეთით. ამ უკანასკნელ ორ მხარეს უწინ სხვადასხვა სახელები ერქვა: ზემო ქართლი, სამცხე და საათაბაგო. „ბორჯომის ხეობიდგან იწყება ერთი კარგა მაღალი და ტყიანი მთა. ამ მთას თრიალეთის მთას ეძახიან და ეს ქართლს ორ ნაწილათ ჰყოფს: ჩრდილოეთის მხრით. საკუთრივ ქართლი სძევს, სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯავახეთი მთელი სიმდიდრე ქართველებისა ჭირნახულში მდგომარეობს ზნეობით ქართლელები სჯობიან კახელებსაც და იმერებსაც. ამის ერთ-ერთი მიზეზია მისი მდებარეობა, რომელზეც სხვადასხვა ველურ ხალხების ზემოქმედების საშუალება არ ჰქონიათ, როგორც კახელებზედ და ქიზიყელებზედ ჰქონდათ ლეკებს. მეორე მიზეზი ხვნა-თესვის მიდევნაა. ხვნა თესვა ხალხს მშვიდობიანი თვისებებისას ხდის და კარგი ზემოქმდება აქვს ზნეობაზედ".[10]

შესაბამის ისტორიულ პერიოდებში, შიდა ქართლის და არა მარტო ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრები გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, რომელიც უმთავრესად უმნიშვნელო იყო. ხოლო რაც შეეხება მის შიდა რეგიონალურ საზღვრებს — დანაწილებას, როგორც ითქვა ძველთაგანვე სამ ნაწილად ზემო, შიდა და ქვემო ქართლად მოიხსენიებოდა, რომლის ტერიტორია ვრცელდებოდა ტაშისკარიდან თბილისამდე.

---

[9] ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. VI, 1958, გვ. 153.
[10] იქვე, გვ. 176.

ზოგადი თვალსაზრისით, იგი მოიცავდა ტერიტორიას კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედიდან თრიალეთის ქედამდე და ლიხის ქედიდან მდ. არაგვამდე. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მისი საზღვრები დროდადრო იცვლებოდა თვით ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოება-შემცირების მიხედვით. ეს პროცესი უმთავრესად შეეხებოდა რაჭა-იმერეთის მიმდებარე ტერიტორიებს. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ისტორიული წყარო შიდა ქართლის აღმ. საზღვრად მდ. არაგვს ასახელებს, თუმცა გარკვეულ პერიოდებში (VIII საუკუნის მიწურულს) კახეთის სამთავრო მოიცავდა არაგვისა და ქსნის ხეობათა რაიონებს და ქსნის დასავლეთით მდებარე შიდა ქართლის ტერიტორიას. ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე და მის გადაღმა გადიოდა. მაგალითად, წყალგამყოფი ქედის გადაღმა შიდა ქართლს ეკუთვნოდა დვალეთი და ხევი, რომელნიც ბუნებრივია ქართველებით იყო დასახლებული. აქედან ხევი, როგორც ვიცით დღესაც ქართული რაიონია, ხოლო ისტორიული დვალეთი უმთავრესად ჩრდ. ოსეთის შემადგენლობაშია.

შიდა ქართლის დასავლეთი საზღვარი ლიხის ქედს გასდევდა, თუმცა გარკვეულ პერიოდებში შიდა ქართლში შედიოდა იმერეთის ნაწილი — ხეფინის ხევი და რაჭის ნაწილი კუდარომდე. სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი გასდევდა დვირ-კოდმან-ბაკურიანის მთას. შიდა ქართლი ქვემო ქართლისგან გამოყოფილი იყო თრიალეთის ქედის თხემური მონაკვეთით და ჩრდილო ტოტით ვერეს ხეობის დიდუბემდე მოიქცეოდა. აქედან კი საზღვარი მტკვარს ხევძმარამდე აუყვებოდა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ძვ.წ.ა. IV-III სს. მიჯნაზე, როცა ფარნავაზმა ქვეყანა საერისთაოებად დაყო, შიდა ქართლი სპასპეტს დაუმორჩილა და შეიქმნა შიდა ქართლის საერისთავო, იგი დაყოფილი იყო ხევებად. მონღოლთა შემოსევის შემდეგ ცალკე გამოიყო ქსნის საერისთავო, ხოლო XVI ს-ში მისი ნაწილი არაგვის საერისთავოს შეუერთდა. აღნიშნულ პროცესს წინ უსწრებდა საამილახვროს და სამაჩაბლოს (XV ს.), ხოლო XVI ს. სამუხრანბატონოს წარმოქმნა.

ამგვარად, ზოგადად თუ შევეხებით შიდა ქართლის ზემოაღნიშნული რეგიონალური საზღვრების საკითხს, დავინახავთ, რომ მოცემული პერიოდებისთვის, საამილახვროს ტერიტორია მოიცავდა მდ. რეხულასლეხურას ორივე ნაპირს და მდ. მეჯუდას მარცხენა სანაპიროს შუა წელს, თუმცა შემდგომში მისი საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა. ასევე, სამუხრაბატონო მოიცავდა მუხრანის ველს, თუმცა აქაც მისი საზღვრები საკმაო ცვლილებებს განიცდიდა. სამუხრანბატონოს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა არაგვი, სამხრეთიდან მდ. მტკვარი, ხოლო ჩრდილოეთით გრძელდებოდა გრემისხევამდე. მას დასავლეთით ეკუთვნოდა ქსნის საერისთავოს დასავლეთი სოფლები: აღაიანი (ახლანდელი წმინდა ნინო), ქადაგიანი (საქადაგიანო), თეზი, ოკამი. მისი მთავარი ციხე იყო მტკვრის (ქსნის) ციხე, ხოლო რეზიდენცია შიოსუბანი (ახლანდელი მუხრანი).

საციციანოს სათავადო მდებარეობდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და იყოფოდა ზემო და ქვემო საციციანოდ. ზემო საციციანო შეიქმნა ძამის ხეობის — გვერდისძირის, ხოლო ქვემო, — სოფ. ნიჩბისის ირგვლივ, რომელთაც ერთმანეთისგან მიჯნავდა ჯავახიშვილებისა და თარხნიშვილების (თარხანმოურავების, სააკაძეთა) სამფლობელოები. ციციშვილთა რეზიდენცია მდებარეობდა სამწევრისში, ძოვრეთში, ნიჩბისში, ხოლო საგვარეულო სამარხი — ყინწვისში, სამწევრისში, ხვედურეთსა და ნიჩბისში.

ქსნის საერისთაო მოიცავდა ქსნის ხეობას, რომელიც XV საუკუნის დამდეგიდან საერისთავო — ერისთავების მამულად-სათავადოდ გადაიქცა. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე მათი რეზიდენცია ახალგორში იყო, ხოლო საგვარეულო სამარხი ლარგვისიდან იკორთაში გადაიტანეს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქსნის საერისთაოს საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკავა, რომელიც 1774 წ. ერეკლე II-ის მიერ ამ საერისთაოს გაუქმების შემდეგ ერისთავებს მხოლოდ მცირე ადგილები დაუტოვა.

არაგვის საერისთაო მდებარეობდა არაგვის ხეობასა და თერგის სათავეებში. მასში შედიოდა ხევი, თრუსო, ხადა, გარეშემო, მრევლი,

ცხავატი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი და ე.წ. არაგვის ბარის ზოლი სოფ. მისაქციელიდან ანანურამდე. ერისთავების რეზიდენცია იყო დუშეთში და სიონში, მათი მთავარი ციხე ანანური, ხოლო საძვალე და საგვარეულო მონასტერი — ბოდორნა.

ხოლო რაც შეეხება სამაჩაბლოდ წოდებულ ტერიტორიას, იგი უმთავრესად მოიცავდა მდ. დიდილიახვის ზედა აუზს და წარმოადგენდა თავად მაჩაბლების სამფლობელოს. მათი რეზიდენცია მდებარეობდა სოფ. აჩაბეთში, ხოლო საგვარეულო სამარხი თირის მონასტერსა და საბაწმინდის ეკლესიაში. მთლიანად სამაჩაბლო ექვემდებარებოდა ნიქოზის საეპისკოპოსოს. სამაჩაბლოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქსნის საერისთავო, სამხრეთით ფავლენიშვილთა და ამილახვართა მამულები, სამხრეთ-დასავლეთით საყაფლანიშვილო, ჩრდილო-დასავლეთით რაჭის საერისთავო. ჩრდილოეთით მაჩაბელთა ძალაუფლება დვალეთამდე აღწევდა.

რაც შეეხება დვალებს, რომელნიც ძველთაგანვე კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილში სახლობდნენ, თავისი ისტორიული წარსულით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან, ხოლო შემდგომ, (XIV ს.) უკვე კავკასიონის მთიანეთში შემოსულ ოსებთანაც. ამ არც თუ მცირერიცხოვანი ტომის ძირითადი სამოსახლო მხარე — დვალეთი, ძვ.წ. IV საუკუნიდან ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ „ნაპირის ალაგადაა ქცეული და ეკლესიურად ნიქოზის საეპისკოპოსშია. V საუკუნიდან მასში შემავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყანა თავდაპირველად მთლიანად კავკასიონის მთავარსა და გვერდით ქედებს შორის ლოკალიზდებოდა და ამჟამად ე.წ. „ჩრდილოეთ ოსეთის — ალანეთის რესპუბლიკის“ საზღვრე-ბშია მოქცეული, რომელიც 500 კმ^2-მდე ფართობის მიწა-წყალს მოიცავდა.[11]

დვალების შესახებ ფრიადსაყურადღებო გამოკვლევა განახორციელა ისტორიკოსმა ვ. გამრეკელმა, რომლის ნაწილი ქართულ ენციკლოპედიაშია შესული. მისი სიტყვით, „დვალები — იბერიულ-კავკასიური ტომი ძველ საქართველოში, ანტიკურ წყაროებში (პლინიუს უფროსი,

---

[11] ვახ. ითინიშვილი, ქართულ-ოსური ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ. 64.

პტოლემე) პირველად მოხსენიებული არიან ახ.წ. I-II ს.ს-ში თალის, ვალის, უალის სახელწოდებით. სახლობდნენ ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზოლში — დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის — ისტორიულ დვალეთში. მეცნიერები დვალურ ენას აკავშირებენ (ინგუშურ-ჩაჩნურ) და ქართველურ (ზანურ) ენებთან. დვალები ადრინდელ შუა საუკუნეებშივე მოექცნენ ერთიან ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში. VI საუკუნიდან დვალეთში ქართველი მისიონერები ქრისტი-ანობას ავრცელებდნენ. ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) შედეგად კავკასიონის მთიან ზოლში დაიწყო მიგრა-ციის პროცესი, დვალეთში სახლდებოდა ოსური მოსახლეობა, დვალები კი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდიოდნენ. XVIII ს-ის დასაწყისისათვის დვალების ასიმილაციის პროცესი დასრულდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეერწყა ქართლის, რაჭისა და იმერეთის მოსახლეობას, დვალეთში დარჩენილი ნაწილი კი ოს მოახალშენეებს".

შიდა ქართლის ეთნიკურ-გეოგრაფიულ საკითხებზე მსჯელობისას, ჯ. გვასალია აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნემდე, უცხოური და ქართული წერილობითი ისტორიული წყაროები მკვეთრად ანსხვავებენ, ერთის მხრით, დვალებსა და დვალეთს (დვალების ქვეყანას) და მეორეს მხრით ოვსებს და ოვსეთს (ოვსთა ქვეყანას). მისივე აზრით, ინტერესს იწვევს ეთნონიმი „მაღრან-დვალეთი", რომელნიც „ძეგლთა ერისთავთაში" გაჩნდნენ XIV ს. ამბებთან დაკავშირებით. და, რომ ეს ტერმინები აქამდე ქართულ ისტორიულ წყაროებში არ გვხვდება. ისინი უნდა გაჩენილიყო მას შემდეგ, რაც მონღოლთაგან დევნილი ოსები შედიან კავკასიონის მთებში, მათ შორის, ისტორიულ დვალეთში, ხოლო ოსთაგან შევიწროებული დვალთა ნაწილი გადმოდის ლიახვსა და რაჭაში. მაღრანი კი მომდინარეობს სიტყვისაგან „მაღნარი", რაც ქართულადვე ნიშნავს „ტყიანს". ამგვარად, ასკვნის ავტორი — დვალეთი სხვა არაფერია, თუ არა „ტყიანი დვალეთი". ამასთან, ავტორი, გარკვეული დოკუმენტური მასალის შეჯერების კვალობაზე ასკვნის, რომ „თუ გამოვრიცხავთ შეხედულების შესაძლებლობას, რომ დვალები წარმოშობით იყვნენ ერთ-ერთი ქართველუ-

რი ტომი, მაშინ მივალთ დასკვნამდე, რომ ლიახვის აუზი დვალებამდელი მოსახლეობა იყო ქართული".[12]

ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ნებისმიერი მკვლევარი ეხება ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიულ ფესვებს, გვერდს ვერ აუვლის დვალთა ეთნიკურ ვინაობას, მათ ისტორიულ-გეოგრაფიულ პრობლემას. ისე, რომ ქართველი და ოსი ხელხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ფუნდამენტური კვლევისას, კერძოდ, საქართველოს ჩრდილოეთის ცენტრალურ სექტორში ოსთა გადმოსახლების საკითხი მხოლოდ დვალებთან მიმართებაში ხდება ნათელი.

ცნობილია, რომ ჩრდილოელ მეზობელ ხალხებს შორის, ოსებს სახელმწიფოებრიობის ყველაზე მდიდარი წარსული გააჩნიათ, რომელთაც II საუკუნისათვის ას-ალანებმა (ალან-ოსებმა) წარმატებით გაართვეს თავი მანამდე მათთვის უცხო რეგიონში მსხვილ ტომთა გაერთიანებას და შესძლეს ადგილობრივ კავკასიურ თუ არაკავკასიური მოდგმის მოსახლეობაზე გაბატონება. VII-VIII ს.ს-თვის ისინი უკვე მშვიდად ირგებდნენ მოპოვებულ გამარჯვებებს და IX-X ს.ს-ში აქ უკვე შეიქმნა ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო-ალანია (ქართული წყაროების „ოვსეთი"), რომლის სახელმწიფო რელიგიად X ს-ის II ნახევარში ქრისტიანობა გამოცხადდა.

XIII-XIV ს.ს-ში, სხვა ხალხებთან ერთად, ალან-ოსებს დიდი უბედურება დაატყდათ ჯერ მონღოლ-თათრების, შემდეგ თემურ-ლენგის შემოსევების სახით, რის შედეგადაც მათი ძირითადი მასა იძულებული გახდა ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ხეობებში შემოხიზნულიყო. XV-XVII ს.ს-ში ოსებმა მოახერხეს საქართველოს მონაპირე მთის კუთხის — დვალეთის პირიქითი ნაწილის — „ბუდე დვალეთის" შერწყმა და საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში კვლავაც დარჩენილი აღნიშნული მხარე „თუალგომის" სახელწოდებით, ოსეთის ქვეყნის ერთ-ერთ თემად იქცა. აქამდე, კერძოდ XIII ს-ის II ნახევარში, მათ სცადეს შიდა ქართლში ძალით შემოჭრა, მაგრამ გიორგი V

---

12 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 112.

ბრწყინვალემ (1299; 1318-1346) დროზე აღკვეთა და ქვეყნიდან განდევნა. XVII ს-ის დამდეგიდან იწყება ოს-ირონთა მშვიდობიანი და უმთავრესად ყმური სამსახურის გზით მომრავლება, რომელსაც გარკვეულ წილად, ხელს ქართველი ფეოდალებიც უწყობდნენ. ამრიგად, ცენტრალური საქართველოს ჩრდილოთის სექტორის მაღალმთიან ხეობებში, შედარებით მოკლე დროში მიმდინარებს მდინარეების: თერგის, ფრონე-ყორნისის, დიდი და პატარა ლიახვის, არაგვის, ჯეჯორისა და ყვირილის ხეობების სათავეები, ანუ ქსნის, არაგვის, რაჭის საერისთაოების, აგრეთვე სამაჩაბლოს, საერისთაოს, საამილახვროს, საციციანოს, საწერეთლოსა და სხვ. კუთვნილ ტერიტორიებზე ოსთა კომპაქტური დასახლება.[13]

აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო ფართომასშტაბურ ხასიათს იძენს XVIII-XX ს.ს-ში, როდესაც ღიად იძალა პრორუსულმა ორიენტაციამ და ცენტრალური კავკასიონის კალთებზე შეყუჟული ყაბარდოელ ფეოდალთა მიერ შევიწროვებულმა ოსმა ხალხმა ისტორიული არჩევანი 1774 წელს გააკეთა და, ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის ოსური თემები ყაბარდოსთან ერთად რუსეთს შეუერთდა. ხოლო მას შემდეგ, რაც 1781 წელს იგივე ნაბიჯი გადადგა დიგორის ოსურმა თემმაც, ოსეთის ქვეყნის რუსეთთან შეერთება საბოლოოდ დასრულდა. ამავე პროცესებს ხელ-ფეხი გაუხსნა ოსურ მოსახლეობას საქართველოს ბარისკენ ლტოლვისაკენ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ და თანდათანობით ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციამ. აღნიშნუ-ლის შემდგომ, სულ მოკლე დროში, ცენტრალური საქართველოს ჩრდი-ლოეთ სექტორის ოსები კომპაქტურად დასახლებული რაიონები, კერძოდ, დიდი და პატარა ლიახვის, თერგის, ქსნისა და ჯეჯორის სათავეები „ოსეთად“ იქნა სახელდებული, ხოლო XIX ს-ის 30-იანი წლებისათვის ისტორიულ-გეოგრაფიულ ლექსიკონში ჩაინერგა მანამდე უცხო ტოპონიმური წყვილი – „ჩრდილოეთ ოსეთი“ და „სამხრეთ ოსეთი“;[14] ეს პროცესი შედარებით სხვა ფორმითა და შინაარსით მიმდი-

---

[13] ვახ. ითინიშვილი, ქართულ-ოსური ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ. 11-13.

[14] იქვე, გვ. 14.

ნარეობს შემდგომშიც, რაც XX ს-ში გამოიხატა აგრესიულ ოსურ სეპარატიზმში და სხვ. ამგვარმა გამოხდომებმა თავი იჩინა 1918-1921, 1990-2000 წლებში, რასაც საქართველოსათვის ერთობ მძიმე შედეგები მოჰყვა. სწორედ რუსეთის ხელშეწყობით დაკარგა საქართველომ არა მარტო ტერიტორიები, არამედ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი და იგი თავის ძირძველ ტერიტორიაზე იქცა დევნილად, რის შესახებაც მსოფლიოს გარკვეული ძალებიც ალაპარაკდა, თუმცა უშედეგოდ. მიუხედავად ქართველ მეცნიერთა გააქტიურებისა ამ პროცესების ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით, ხშირად ქვეყნის ზემდგომი ორგანოების წაყრუებამ, მათ მიერ განხორციელებულმა მცდარმა პოლიტიკამ სასურველი შედეგი ვერ მოგვიტანა და მივიღეთ ის, რომ 2008 წლის მოვლენების შედეგად, აქამდე დროებით დაკარგულ ტერიტორიებს შეემატა კოდორისა და ქსნის ხეობა, რომელთა მოსახლეობის დიდი ნაწილი თავის ძირძველი ადგილიდან იქცა დევნილად. ისტორიული ზემო ქართლის, კერძოდ ლიახვის ხეობის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფაში, სამაჩაბლოს, საერისთაოს, საციციანოს, საამილახვროსთან ერთად, საყურადღებოა სავახტანგოს სახელისა და ადგილის განსაზღვრის საკითხი, რომლის ირგვლივაც ერთ-ერთ სარწმუნო გამოკვლეაულ მიგვაჩნია დ. ნინიძის მოსაზრება. იგი არ ეთანხმება რა დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის სავახტანგოდ ხსენებას, ანუ მეფე ვახტან VI-თან დაკავშირებას, სადაც XX ს. 50-იანი წლებისათვის მოსახლეობას ქ. ცხინვალიდან მოყოლებული მთელი ზედა ნაწილის მიმდებარე ტერიტორიას სავახტანგოში მოიაზრებს და რომ მისივე მტკიცებით, რამდენადაც ლიახვის ხეობაში ვახტანგ VI-ს გააჩნდა სამკვიდრო-სახასო მამულები, სადაც რამდენიმე წელიც უცხოვრია, ამიტომ სახელიც შესაბამისად აქედან მომდინარეობსო (ი. მეგრელიძე). იმოწმებს რა ფარსადან გორგიჯანიძეს, დ. ნინიძეს (საგაზეთო პუბლიკაციაში) მოჰყავს სიმონ I დიდის პერიოდის მოვლენები და ასკვნის, რომ 1578 წ. მეფის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, მის მოღალატეებს ქართლში აღარ დაედგომებოდათ, რამდენადაც ტყვეობისას დედოფალ ნესტან-დარეჯანს და გიორგი ბატონიშვილს, გარდა ვახტანგ მუხრან ბატონისა, განსაკუთრებით უო-

რგულეს ბარძიმ ამილახვარმა და ელიზბარ ქსნის ერისთავმა და ამათ ქართლში აღარ დაედგომებოდათ და „ჯალაბობით გაეცალნენ“ კიდეც, რომელთა ალაგი და სოფლები (მეფე სიმონმა) საუფატიოთ ბატონს დედოფალს მიართვა და ზოგი თავის ძმას ბატონიშვილს ვახტანგს მისცა“-ო. რამდენადაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემდეგი ხანის სავახტანგო სწორეთ ქსნის საერისთაოსა და საამილახვროს მამულების ნაწილს მოიცავს, ამდენად ვახტანგისთვის ზემოაღნიშნული მამულების გადაცემის აღნიშვნით, ქართულ ისტორიულ წყაროებში გადმოცემულია სავახტანგოს წარმოშობის ფაქტი ე.ი. 1578 წლიდან. ამგვარად, რადგანაც ამ და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სიმონ I-ის ძმის პატრონი ვახტანგ ბატონიშვილის სახელს უკავშირდება სავახტანგოს წარმოშობა, რამდენად შეიძლება იგი წარმოადგენდეს ეს ტერიტორია ოსთათვის „მათ სამშობლოს“ — დაასკვნის ავტორი.

სავახტანგოს ისტორიის შემდგომი ეტაპი მოიცავს ვახტანგ ბატონიშვილის პოლიტიკური არენიდან წასვლას (1600 წ.), როდესაც განსაკუთრებული აქტივობით იწყება ამ მამულების დანაწილება, სადაც მოთავეობით ისევ ქსნის ერისთავი და ამილახვარი გამოირჩეოდნენ, რამდენადაც ისინი ძირითადად მათ ყოფილ სამფლობელოს წარმოადგენდა. თუმცა მათ არც სხვები ჩამორჩებოდნენ, მათ შორის ზურაბ არაგვის ერისთავი, რომელსაც სიმონ მეფემ, როგორც თავის მოკავშირეს ქართლში გაბატონება და არა მარტო მუხრანი, არამედ ზოგიერთი სავახტანგოს სოფელიც უბოძა. ამ მხრივ ბუნებრივია აქტიურობენ ქსნის ერისთავებიც, რომელთაც გვიან საშუალო საუკუნეებში დიდ ლიახვზე მიიერთეს მაღრან დვალეთი, ხოლო პატარა ლიახვზე, სავახტანგოს ნაწილი და გველდისძირი (ტირიფონის ველზე), ხოლო რაც შეეხება შემდეგ მოვლენებს, ცნობილია, რომ 1777 წელს ერეკლე მეორის მიერ ქსნის ერისთავების დასჯისას, მათი სამფლობელოების ერთი ნაწილი თავის შვილებს გადასცა: ქსანი-გიორგის, პატარა ლიახვის ხეობა კი იულონს. ისე, რომ 1794-1799 წ.წ. ქართლ-კახეთის აღწერის მიხედვით სავახტანგო იულონ ბატონიშვილს ეკუთვნოდა.

დროთა ვითარებაში, კერძოდ XVII-XX საუკუნეებში, აქტიურად მიმდინარეობს სავახტანგოს მამულების დანაწილება-დანაწევრება, როდესაც მისი ერთი ნაწილი დიდ ფეოდალთა მფლობელობაში გადადის, ნაწილი უფლისწულთა ხელში, შემდგომში დიდი ნაწილი ე.წ. ცხინვალის „ოკრუგში და ბოლოს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“. ისე, რომ დროთა ვითარებაში, „ვახტანგის მამულმა“ და არამარტო ამან, არსებითი ხასიათის ცვლილებები, დანაწევრება განიცადა, მამულები ერთმანეთს მოსწყდნენ, თუმცა სახელები: სავახტანგო, სამაჩაბლო, ქსნის საერისთაო, საამილახვრო, საფალავანდიშვილო, საციციანო, საბარათაშვილო, სამუხრაბატონო, კუდარო, საჯავახიშვილო, სათარხნო და სხვა მრავალი ისტორიამ შემოგვინახა და მათი ხშირი ციტირება და თავისთავად არ დავიწყება ყველა ქართველის წმინდათა წმინდა მოვალეობაა, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი ისტორიულ-გეოგრაფიაში „ქვეყნის“ მსგავს რეგიონადაა წარმოდგენილი. მათ შორისაა თუნდაც პატარა ლიახვის ხეობაც, რომელსაც ჯ. გვასალიას გამოკვლევით „საცხუმეთის ხევი“ ეწოდებოდა და მოიცავდა პატარ-პატარა ხევებსაც: ქნოლო, აწერის ხევი, გერის-ხევი, ჭარებელას-ხევი, ლაფაჩების-ხევი. ისე, რომ სწორეთ ადრეფეოდალური ხანის საცხუმეთის, გვიან უკვე — პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე ერთ შემადგენელ საზღვრებით თუ პოლიტიკური ცხოვრებით გამოყოფილ ტერიტორიას, პატარა ლიახვის ქვედა ნაწილს — გერის ხევს შერჩა სავახტანგოს სახელი.

2. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

საქართველოს ეკონომიკური დაქვეითება, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიმჩნევა, უფრო მწვავედ გამოიკვეთა XVI-XVII საუკუნეებში. აღნიშნულ გარემოებას ხელი შეუწყო, როგორც საშინაო აშლილობამ, ისე გართულებულმა საგარეო ვითარებამ. საგარეო პოლიტიკაში იგი გამოიხატა მახლობელ აღმოსავლეთში თურქეთის გაბატონე-

ბით, რომელმაც განსაკუთრებული, დამანგრეველი როლი ითამაშა ირან-თურქეთის ხანგრძლივმა ომებმა ამიერკავკასიის მასშტაბით. ეს ის პერიოდია, როდესაც გაცხოველებული დაპირისპირება მიმდინარეობს აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ევროპას შორის ვაჭრობის მონოპოლიისათვის. ყოველივე აღნიშნულმა გარკვეულ წილად დააქვეითა ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზების მნიშვნელობა. ამას ემატებოდა კიდევ უფრო მომაკვდინებელი პროცესები, რაც გამოიხატა XVI-XVII საუკუნეების მანძილზე ირან-თურქეთის ბრძოლაში საქართველოს განაწილებისათვის და სხვ.

ასეთი რთული საგარეო პოლიტიკური პროცესები, თავისთავად ხელს უწყობდა საქართველოს შიდა დაპირისპირებას, რის შედეგადაც XVI ს. დასაწყისშივე ქვეყანა საბოლოოდ დაიშალა სამეფოებად და სამთავროებად. აღნიშნული პროცესი, რომელიც მტკიცნეულად, კერძოდ, ურთიერთდაპირისპირებაში გამოიხატებოდა, ანგრევდა ქვეყნის მწარმოებელი მოსახლეობის ეკონომიკას, ყოფასა და კულტურულ მემკვიდრეობას. ისე, რომ მეურნეობის წარმოებისათვის აღარავის ეცალა და ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი ხერხემალი — სოფლის მეურნეობა ერთობ დაქვეითდა. ამის შესახებ იტყობინება XVII ს. ერთი საბუთიც, სადაც აღნიშნულია: „საციციანო (ზემო ქართლი) ასრე გაოხრებული იყო, ოთხი წელიწადი არც ხენა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია“-ო.[15]

ქვეყნის მმართველობის სისტემის სისუსტემ თავის მხრივ ხელი შეუწყო მთისა და ბარის ურთიერთობის დაქვეითებამ, კერძოდ, მწირი ბუნებრივი პირობების გამო, მთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბარად მოედინებოდა და ამ გზაზე ხშირად ძალადობასაც არ ერიდებოდა. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა XVII ს., როდესაც დაღესტნელმა ფეოდალებმა და ოსთა თავდასხმებმა განსაკუთრებით ქართლის მთიანეთისა და ზეგანის შეწუხებული მოსახლეობა იძულებული გახდა ბარად ჩამოსულიყო. ამის შესახებ გვამცნობს XVII ს.

---

[15] დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 230.

ერთი საბუთი, რომელიც ამ შემთხვევაში ლიახვის ხეობის მოვლენებს ასახავს: „ამოწყდა ზემო ჯავა და გაუკაცრიელდა ოსთაგან ასრე ამოწყდა, რომე კაცის ნაშენები აღარა იყო რა“.[16]

მხოლოდ XVII ს. 30-იანი წლებიდან იწყება ქართლის სამეფოს ეკონომიკური აღმასვლა. ეს ის პერიოდია, როდესაც ირანი იძულებული გახდა ქართლის მიმართ კომპრომისული პოლიტიკა გაეტარებინა და ამით მშვიდობიანობა დამყარებულიყო. ქართლის მსხვილი ფეოდალები ენერგიულად შეუდგენენ დაცარიელებული სოფლების ხელახალ აღდგენა-დასახლებას, სოფლის მეურნეობის აღორძინებას, სარწყავ-საირიგაციო სისტემის აღდგენას, წისქვილების მოწყობას და სხვ. სამეფო ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო ვაჭრობას მოწესრიგება-განვითარებისათვის, რაშიც ვაჭრებთან ერთად თანდათა-ნობით ინტერესს იჩენდა გლეხური მოსახლეობაც.

ისტორიულად, საქართველოს მარცვლეულის მეურნეობაში წამყვანი ადგილი პურეულის კულტურებს ეკავა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა აღმოსავლეთ საქართველო, რომლის მაღალმთიანი ზონა ამ მხრივ ბარზე იყო დამოკიდებული. პურეულის წარმოებაში ყველაზე დაწინაურებული იყო ჯავახეთი, შიდა და ქვემო ქართლის ზონები, რომლებიც საკვები მცენარეების ნამდვილ ბელელს წარმოადგენდნენ. ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მარცვლეულისა და მეცხოველეობის შემდეგ, მებაღეობა-მევენახეობას და მებოსტნეობას დიდი ადგილი ეკავა. განსაკუთრებით დიდი და საუკეთესო ბაღ-ვენახები ჰქონდათ მეფე-მთავრებს, თავადებს, ეკლესია-მონასტრებსა და დიდ ვაჭრებსაც, სადაც უცხოური ჯიშის შესაბამისი კულტურებიც იყო გაშენებული.

ცნობილია, რომ XVII საუკუნის ბოლო მესამედი და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, საქართველო დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებდა უცხოელ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებისათვის, სადაც წამყვან როლს ქართლი ასრულებდა. სპარსელთა ბატონობის მიუხედავად, ქართლი, აღნიშნულ პერიოდში, როგორც ეკონომიკურად ისე კულ-

---

[16] (ნ. ბერძენიშვილი). საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1973, გვ. 158.

ტურულად წინ მიდიოდა და მისი გავლენა ქვეყნის სხვა სამეფო- სამთავროებზე სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.[17]

XVIII ს. I ნახევარში, ქართლის ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ალმავლობას დიდად შეუწყო ხელი შედარებით მშვიდობიანობის დამყარებამ და მეფე ვახტანგ VI გონივრულმა პოლიტიკამ. სწორედ მის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ამ პერიოდის ქართლის ყოველმხრივ აღორძინება და საერთოდ რეგიონში მისი პრიორიტეტის აღიარება. ამ წარმატებათა ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორადაა აგრეთვე მიჩნეული XVII ს. II ნახევრიდან ევროპის სავაჭრო კაპიტალის შემოჭრა საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში და კომერსანტთა მომძლავრება, სადაც თანდათანობით საქართველოც აქტიურად ებმეოდა.

შემდგომში, კერძოდ, XVIII ს. დასაწყისისათვის, ქართლის სახელმწიფოს მმართველი ზედა ფენა თანდათან ცვლიდა რა თავის დამოკიდებულებას რომისადმი, კათოლიციზმისაკენ იხრებოდა. ასე ამგვარად, საქართველოში, ევროპული ორიენტაცია წარმოიშვა, რომელიც ბუნებრივია იმ ხანად პროგრესულ მოვლენად იქნა მიჩნეული. ამავე ხანებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართლისა და კახეთის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას და სხვ. ისე, რომ ყველა ზემოაღნიშნულ სწორი პოლიტიკის დამაგვირგვინებელს წარმოადგენდა ვახტანგ VI-ის სამშობლოში დაბრუნება და ქართლისა და საერთოდ ამიერკავკასიის მასშტაბით მისი დიდი რეზონანსი. აქედან მოყოლებული ქართლის შერყეული ჰეგემონია სწრაფად აღდგა; ვახტანგმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია გახეთისა და იმერეთის სამეფოები.

საშინაო ურთიერთობების ხაზით, ვახტანგ VI მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო დარღვეული „ბატონყმური რიგის“ მოსაწესრიგებლად. აღნიშნულის ძირითად მიზანს კი წარმოადგენდა გაბატონებული კლასის უფლებების დაცვა და განმტკიცება, მწარმოებელი საზოგადოებისადმი მაქსიმალური ხელისშეწყობა და ა.შ. რაც თავის მხრივ ფეოდალური სახელმწიფოს

[17] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965, გვ. 85.

ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამ და სხვა სამართლებრივი ნორმების დაცვისათვის შემუშავებულ იქნა სახელმწიფო-ადმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის წიგნი, რომელსაც „დასტურლამალი“ ეწოდა. აღნიშნულ სამართლის წიგნში დადგენილი იქნა სახელმწიფო მოხელეებისუფალთა უფლება-მოვალეობანი, მათი ჯამაგირი, მიწისმფლობელობისა და მიწითსარგებლობის წესები. სამეფო-სახასო მამულის მომვლელ მსახურთა წესრიგი, სახელმწიფო გამოსაღებათა რაოდენობა და სხვა. „დასტურლამალი“ ქართლის სახელმწიფო-პოლიტიკური წყობილების განმტკიცებას ემსახურებოდა. აღნიშნულმა წიგნმა დიდი გავლენა იქონია სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცებაზე არა მარტო ქართლში, არამედ მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებშიც.[18]

რამდენადაც ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს კვლავინდებურად თავადები და სათავადოები წარმოადგენდნენ, ამდენად, ვახტანგ VI სამართალში სათავადო სახლის ორგანიზაციის საკითხს თორმეტი მუხლი დაეთმო. აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით, ქართლ-კახეთში აზნაურებიც სამ ხარისხად იყოფოდნენ. „გადიდებული“ აზნაურის სისხლი 192 თუმნად ფასობდა, „შუა“ აზნაურისა — 96 თუმნად, ხოლო მესამე, ანუ „ცალბოგური“ აზნაურისა — 48 თუმნად. ასევე იყო ვაჭართა კატეგორიების შესახებ, რომელიც შეფასებული იყო აზნაურთა წოდებებთან. კანონი აღნიშნავდა, რომ ბატონს 30 წლის განმავლობაში შეეძლო ეძებნა გაქცეული ყმა და ა.შ.[19] ამასთან, აღნიშნულ სამართალში რამდენადმე აისახა ზოგიერთი ცვლილება გლეხთა ცალკეულ კატეგორიებს შორის. კერძოდ, თუ XIV ს. კანონმდებლობით მსახურის სისხლი ორნახევარჯერ სჭარბობდა გლეხისას ახლა კი ორჯერ. ამავე დროს მატულობდა დაბეგრილ მსახურთა რაოდენობა, რამდენადაც მათ ძველ „საპატიო“ ვალედულებებს ემატებოდა ახალი მოვალეობანი — ზვარში მუშაობა, ხვნა-თესვა და სხვ.[20]

---

[18] იე. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1983, გვ. 393.
[19] ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 30-31.
[20] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 397.

XVIII ს-ის პირველ მეოთხედში, სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა კლასობრივი ბრძოლის შედარებით ახალი და თავისებური ფორმა – სოციალური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მიზნით მამაპაპურ სარწმუნოებაზე ხელის აღება – „გათათრება“ თუ „გალეკება“. ისე, რომ ბატონყმური ჩაგვრითა და უცხოელთა ძალისმომრეობით შეწუხებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ხშირად თავიანთ მშობლიურ ადგილებს ტოვებდა და ქვეყნის შიგნით „ყაზახობდნენ“ და ხიზნობდნენ. ამავე დროს „გაქცევასთან“ ერთად დაკავშირებული და მეტ-ნაკლებად გავრცელებული მოვლენა გახდა აგრეთვე გახიზვნა უცხოეთში, რაც უმეტეს შემთხვევაში „გათათრებაში“, ანუ „გაოსმალებაში“ გამოიხატებოდა.[21]

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დაახლოებით ამგვარი მოვლენები XIX-XX საუკუნეებშიც საკმაოდ მძლავრად იყო წარმოჩენილი და ფესვგადგმული. ეს ის პერიოდია, როდესაც უმნიშვნელოვანესი პრივილეგიის ფასად, ქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილი, სარწმუნოებას ან ეროვნებას იცვლიდა. აღნიშნული პროცესების ხელშემწყობ ფაქტორებად მიჩნეულია უცხო ტომთა შემოსევები, შიდა პოლიტიკური აშლილობა, სიღატაკე და სხვ. იმ დროს, როდესაც მთისა და ბარის მოსახლეობას მჭიდრო ურთიერთობა ერღვეოდა და ისტორიული ტრადიციების შესაბამისად სამეურნეო-ეკონომიკური ბერკეტები აღარ ფუნქციონირებდა, გაჭირვებაში ჩავარდნილი ოჯახი, ან მისი წევრი ხშირად დახმარებისათვის უცხოტომელსაც მიმართავდა და ამდენად იგი კაბალურ მდგომარეობაში ვარდებოდა. უცხო მხარეში თითქოს დროებით გადახვეწილის ხვედრი კი უმთავრესად ეროვნულობის, სულიერი სიმდიდრისა და სამშობლოს დაკარგვის საშიშროება წარმოადგენდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად, ქართველი თავის ადგილსამყოფელს მხოლოდ უკიდურეს პირობებში მიმართავდა და ამდენად მიგრაციული პროცესები ძირითადად, მხოლოდ ქვეყნის შიგნით მიმდიანრეობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ეტაპზე, ქართველმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტელექტუალურმა ნაწილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, თითქმის მასშტაბურად, დროებითი თავშესაფარი უცხო ქვეყნებში ჰპოვა,

[21] იე. ჯავახიშვილი, დას. ნაშრომი, გე. 397.

რაც ერის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე უპრეცენდენტო მოვლენაა. ხოლო რაც შეეხებოდა „გალეკებას“, როგორც კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ პასიურ ფორმაში გამოხატვას, ისევე, როგორც გაოსმალება, ქართველი ხალხის ეროვნულ გადაგვარებასაც უწყობდა ხელს. ეს პროცესი კი როგორც სოციალური თავისუფლებისათვის გლეხთა ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა დაღესტნელთა შემოსევების გაძლიერების პერიოდში წარმოიშვა და როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს — აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ტერიტორიამ, დაღესტნური თემების გაბატონებას ბატონყმურ კახეთში გაჩაღებულმა კლასობრივმა ბრძოლამაც შეუწყო ხელი.

XVIII ს-ის პირველ ათეულში, ქართლის სამეფო საკმაოდ გაძლიერებულია და მას საქართველოს სხვა პროვინციებზედაც ჰქონდა გავლენა. ამასთან, ერთად, ვახტანგ VI მიერ კახეთის ბაგრატიონებთან და იმერეთის გავლენიან თავადებთან ნათესაური კავშირის დამყარებამ[22] გარკვეული როლი ითამაშა ქვეყნის განვითარების საქმეში.[23]

XVIII ს-ის ოციან წლებში, როგორც ცნობილია, საქართველომ მეორედ სცადა რუსეთთან ურთიერთობების წყალობით განთავისუფლებულიყო უცხოელი დამპყრობლებისაგან და ამ გზით დიდი ადგილი დაეთმო ქვეყნის საერთო აღორძინებისათვის. ასეთ ვითარებაში, განმათავისუფლებელი ბრძოლის წამომწყებად ქართლი გამოდიოდა, რომელმაც მოცემულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუსწრო სხვა ქართულ სამეფოებს. რუსეთთან კავშირი პირველ რიგში სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა მიზნად. იგი უმთავრესად ითვალისწინებდა საქართველოს ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებას და თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მიწების დაბრუნებას. მაგრამ პეტრე პირველისა და ვახტანგ VI თბილმა ურთიერთობამ მიწერ-მოწერამ სასურველი შედეგი არ გამოიღო და იგი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და ამდენად ქარ-

---

22 ვახტანგმა თავისი ასული თამარი ბატონიშვილს — ირაკლი თეიმურაზის ძეს მიათხოვა, ხოლო მეორე ასული ანუკა — იმერეთის თავად ვახუშტი აბაშიძეს.

23 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 397.

თლი ისევ სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა. პეტრე პირველმა რუსთა ჯარები არ გამოგზავნა, რითაც ისარგებლა თურქეთმა შუა აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობით, დაიკავა ქართლი და მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგა (1723 წ.), ხოლო მომდევნო წელს ვახტანგ VI დიდი ამალით (1200 კაცი) რუსეთს გადაიხვეწა. დაახლოებით ამავე პერიოდებში ქართლის მთიანეთში (XVIII ს. პირველ მესამედში) საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ოსური ახალშენები, კერძოდ მდინარეების: ჯეჯორის, დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და არაგვის სათავეებში, რომელიც საკმაოდ დიდხნოვანი ისტორიული პროცესის შედეგს წარმოადგენდა.[24]

მომდევნო, XIX საუკუნე, კიდევ უფრო აღსავსეა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით ქვეყნის ყველა სფეროში. ეს ის ეპოქაა, როცა საკმაოდ სწრაფი ტემპით იწყო განვითარება ადრევე ჩასახულმა ახალმა ფორმაციამ – კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა, რომელმაც ძირეული გარდატეხა მოახდინა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, კერძოდ კლასობრივი ძალების განლაგებაში, საზოგადოებრივ აზროვნებაში, სულიერი და მატერიალური კულტურის სფეროებში და ა.შ. მართალია XVIII ს. მეორე ნახევრიდან საქართველოს სამეურნეო განვითარება კაპიტალისტური გზით მიმდინარეობდა, სადაც ახალი ურთიერთობა წარმატებით იკიდებდა ფეხს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, სამოქალაქო ცხოვრებაში და სხვ. მაგრამ განსაკუთრებული შედეგები მიღწეული იქნა მხოლოდ რეფორმის შემდგომ ხანაში (1864 წ.).

საქართველო, როგორც აგრარული ქვეყანა, თავის შემდგომ განვითარებას იწყებს ნატურალური მეურნეობის აქტიური რღვევით, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების გაღრმავება. შესაბამისად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა ისე, რომ აღმ. საქართველოს ქალაქების (თბილისი, გორი, თელავი სიღნაღი, დუშეთი) მოსახლეობა 1821-1865 წ.წ. 4-ჯერ გაიზარდა, რომელიც ძირითადად მიმდინარეობდა თვით საქართველოს სოფლის მოსახლეობის

[24] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 429.

სარჯზე.[25] ყველა ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა, მნიშვნელოვნად გააღრმავა მოსახლეობის კლასობრივი დიფერენციაცია, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა გლეხობაში. ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში დაწყებულმა კლასობრივმა ბრძოლამ, რომელიც მეტ-ნაკლებად შენელებული იყო, ახლა ხელახლად იწყო გამოღვიძება და აღზევება.

სასაქონლო ურთიერთობის განვითარება ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციისათვის. აღნიშნული პროცესი საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა რეფორმამდელი საქართველოს სოფლებში. შეძლებული და ღარიბი გლეხების მიერ მიწების ყიდვა-გაყიდვამ იმდენად იმძლავრა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა რათა იგი შესაფერისი კანონმდებლობით შეეზღუდა (1844 წ. 25 აგვისტო). ამავე ხანებში, საქართველოს სოფლის გლეხთა გარკვეული ნაწილი თავიანთ სამუშაო ძალას ყიდიდა, რომელთაგან უმთავრესად მცირემიწიანი და უმიწო გლეხები იყვნენ. ამიტომ, ჯერ კიდევ ორმოციანი წლებისათვის ამ კატეგორიის სამუშაო ძალის გამქირავებელი გლეხობით, ანუ შავი მუშებით, სავსე იყო საქართველოს მსხვილი ქალაქები.

დროის შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობდა საოჯახო მრეწველობა და ხელოსნობა, წვრილი საქონლური წარმოების განვითარება. რამდენადაც სოფლად საკმაოდ მძლავრად იყო ე.წ. შინა საოჯახო მრეწველობა და ხელოსნობა, ქალაქად გაბატონებული ადგილი ეკავა ამქრულ ხელოსნობას, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო მსხვილ სასაქონლო წარმოებათა განვითარებას. ამდენად, წვრილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ გზა განვლო შესაბამისი მარტივი კოოპერაციით. ამასთან, ზემოაღნიშნული პროცესების თვისობრივ და რაოდენობრივ ზრდას ბუნებრივია ხელი შეუწყო ეპოქის საერთო მახასიათებლებმა, რომელიც გამოიხატა ევროპისა და რუსეთის ტექნიკურ პროგრესში. სწორედ ამის შედეგს წარმოადგენდა ის გარემოება, როცა XIX ს. პირვე ნახევარში საქართველოშიც აღმოცენდა შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები, გაფართოვდა სასაქონლო წარმოება სოფლის მეურნეობაში და ა.შ.

---

[25] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გე. 7.

როგორც აღინიშნა, XVIII ს. პირველ ოცეულში, ქართლი განუხრელ აღმავლობას განიცდიდა, სადაც განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის აღორძინება და განვითარება, რომელიც დაფუძნებული იყო მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე, სარწყავ-საირიგაციო ქსელის გაფართოებაზე და სხვ. აღნიშნულ პერიოდში მოხდა ისეთი მსხვილი სარწყავი არხების გაყვანა, როგორიც იყო მდინარეების — ხუნანის, ქციისა და მაშაველას გამოყენება გაუდაბურებული ადგილების მოსარწყავად. ამ დროს იქნა გაყვანილი ცნობილი ყარაიას არხი, მტკვრიდან, სოფ. ქვიშხეთიდან გაჭრილი სარწყავი სისტემა, ამავე რაიონში სურამის მიმართულებით რუების გაყვანა, ალისწყლის სოფელ ბოლამდე მიღწევა და ა.შ. რომელთაც დიდად შეუწყეს ხელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდას არა მარტო შიდა მოხმარების, არამედ სასაქონლო წარმოების მიმართულებითაც.

ისე რომ, შიდა ქართლის საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობის ველ-მინდვრების ძირითადი ფართობები დასერილი იყო ხელოვნურად მოწყობილი რუსხმალებით, რუებით, რომელთაც თავად სოფლები უვლიდნენ და განაგებდნენ. საამისოდ მტკიცედ იყო დაკანონებული წყლის რეგულირება-სარგებლობის პრინციპი, რომლთაც მერუეები მართავდნენ და რომელიც ვახტანგ VI სამართლებრივი ნორმებით იყო გათვალისწინებული.

საქართველოს ისტორიის ამ ეპოქაში, კერძოდ ქართლის სამეფოს ეკონომიკური მომძლავრებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ავბედობის დროს აყრილ-გაქცეული გლეხების თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ-სამეურნეო ადგილებზე დაბრუნებას, რისთვისაც ხელისუფლებამ სპეციალური ღონისძიებები გაატარა, რომელიც „მყრელობის“ სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნული კანონის შესაბამისად, ე.წ. „ახალ მოსულ კაცებს“ განსაკუთრებული შეღავათები ჰქონდათ მინიჭებული, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მხრივ ქართლი ისტორიულად წარმოადგენდა მაღალგანვითარებულ რეგიონს, სადაც განსაკუთრებით მაღა დონეზე იყო აყვანილი ხორბლის, ქერის, შვრიის, ფეტვის, ქრთილის, სელის და ცოტა მოგვიანებით სიმინდის მოყვანა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მდინარეების: მეჯუდის, არაგვის, ლიახვის, ძამის, ლეხურას, ქციის აუზები. აღნიშნული პერიოდისათვის მარტო ქართლის მსხვილი სათავადოების ქსნისა და არაგვის საერისთავოებში: საამილახვრო, საყაფლანიშვილო, საციციშვილო და სხვ. ე.წ. „კოდის პურის“ გადასახდი, 2621 კომლიდან, იკრიფებოდა დაახლოებით 10484 კოდი ხორბალი და ქერი.[26] შესაბამისად ფართოვდებოდა მრავალწლიან ნარგავთა ფართობები, მაღალ დონეზე ეწყობოდა სამეფო-საბატონიშვილო, საეკლესიო ბაღ-ვენახები, რომელთაც განსაკუთრებული მოხელეები უვლიდნენ და სხვ.

სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული პრიორიტეტულობით გამოირჩეოდა საქართველოს უძველესი ტრადიციული დარგები: მევენახეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა და სხვ. რაზეც მეტყველებს შესაბამისი სამეურნეო შენობა-ნაგებობებისა და იარაღ-ინვენტარის ნაირფეროვნება. ამ მხრივ შიდა ქართლში განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ბაღ-ვენახების მშენებლობა, რომელთაგან გამოირჩეოდა მდინარეების თეძმის, მეტეხ-სასირეთის, ატენის, სკრის, ხოვლეს, ლიახვის, ქსნის, არაგვის, მეჯუდის და სხვ. ხეობა-მდინარეების აუზები. კერძოდ, მებაღეობა-მევენახეობა სამეფო სახლის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი რომ ყოფილა მეტყველებს „მებაღეთუხუცესისა“, „მეხილეთუხუცესის“, „მელვინეთუხუ-ცესის“ და სხვ. თანამდებობები. ამავე რეგიონებში, საკმაოდ მაღალ დონეზე ვითარდებოდა მეაბრეშუმეობა, კანაფის წარმოება და სხვ. აღსანიშნავია, რომ ქართლის ამ რეგიონში, კერძოდ სოფ. ალში კანაფის წარმოებას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა შინამრეწველობაში.

რამდენადაც სოფლის მეურნეობის წარმოება პირდაპირ დაკავშირებულია ხელოსნობის განვითარებასთან, ამდენად საზოგადოების

---

26 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 387.

წინსვლასთან ერთად, ბუნებრივია ეს ორივე დარგი თავის კარჩაკეტილ ფორმებს ტოვებდა და ახალ – კაპიტალისტურ ურთიერთობებზე გადადიოდა. შინამრეწველური ხელოსნობის დარგები უძველესი დროიდანვე საკმაოდ აკმაყოფილებდა შესაბამისი პერიოდის მოთხოვნებს. საოჯახო ინვენტარი, ტანსაცმელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მოწყობილობა და სხვ. მეტ-ნაკლებად საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მზადდებოდა. თუმცა იყო ადგილები, სადაც განსაკუთრებით დახელოვნებულები იყვნენ ამა თუ იმ საგნის წარმოების სპეციალობაში, რომელთა გასაღების ბაზრები ხშირად ქვეყნის საზღვრებსაც სცილდებოდა. ამდენად, ნატურალურ-კარჩაკეტილობის პირობებშიც, საგნების წარმოების გარკვეული ნაწილი ოდიდგანვე სასაქონლო დანიშნულებით მზადდებოდა.

ასეთ ვითარებაში, ძველსა და ახალ ხელოსნურ ურთიერთობებში, პროგრესულ მიმდინარეობას წარმოადგენდა ის ფაქტი, როდესაც კაპიტალისტური წარმოების წესის ხელოსან-მწარმოებელთა ძირითადი მასა ქალაქად იყო დასაქმებული და ქალაქების ზრდის ერთ-ერთი ფაქტორთაგანი აღნიშნული გარემოებაცაა მიჩნეული. ამგვარი პროცესები განსაკუთრებით შესამჩნევად მიმდინარეობდა XVIII ს. პირველი მეოთხედიდან, როდესაც ხელოსანთა რიცხვი არნახული ტემპით იზრდებოდა. ამ დროისათვის უკვე ბლომად იყვნენ სამეფო, სათავადო, სახალხო ხელოსნები და სხვ. რომელთა კატეგორიებსა და წარმოების სტრუქტურაში დასაქმებული იყვნენ: მღებრები, ფეიქრები, დურგლები, ქვის მჭრელები, მჭედლები, ხაბაზები, მექვაბეები, ნალბანდები და სხვ.

ხელოსნურ წარმოებაში და სავაჭრო ურთიერთობებში დასაქმებული საზოგადოება დაცული იყო სახელმწიფოსაგან, რამდენადაც იგი არა მარტო მფარველობდა მათ, არამედ წახალისების სხვადასხვა მეთოდებსაც იყენებდა.

XVIII საუკუნის ქართლში, სავაჭრო კაპიტალი ძველებურად ხელს უწყობდა როგორც საქონელგაცვლას, ისე წვრილ მეწარმეობასა და მომხმარებელს შორის კავშირის დამყარებას და ამდენად ცენტრალური ხელისუფლება თავისი საბაჟო პოლიტიკით არსებითად მონაწილეობდა სავაჭრო მოგებაში. ამგვარად, განსაკუთრებით ქართლის სამეურნეო-

ეკონომიკური ცხოვრება შედარებით მშვიდობიანობის პირობებში აღმავალი გზით მიდიოდა, ვიდრე მას კვლავაც უცხოელმა დამპყრობელმა არ შეუშალეს ხელი.

XVIII ს. 80-90-იანი წლების გორის მოსახლეობის მიერ ერეკლე II-სადმი მიწერილ ერთ-ერთ საჩივარში, რომელიც ქეთხუდების სახელით მოურავ იესე ამილახორის დროსაა შედგენილი, მრავალ სხვა საინტერესო ცნობებთან ერთად, საყურადღებო მონაცემებს შეიცავს მძაფრი კლასობრივი ურთიერთობების შესახებაც.

შ. მესხიას მიერ მოპოვებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ქ. გორში მანამდე არარსებული გამოსაღებები დაუწესებიათ და ზოგჯერ ისინი ხელოვნურადაც გაუზრდიათ. მაგალითად, თუკი გასამყრელო მანამდე 5 მინალთუნი იყო, ახლა მოურავმა 12 მინალთუნი გახადა. ამის გარდა ყოველ კომლს თითო ურემი შეშა ბეგარად დაადვა.

თავისი შემოსავლის გაზრდის მიზნით, მოქალაქეებს უდანაშაულოდ აჯარიმებდა, რომელიც 3-დან 5 თუმნამდე იყო განსაზღვრული. ამისათვის საგადასახადო დავთარი, რომელიც „ამორჩეულ მოქალაქეებს“ უნდა ჰქონოდათ, მოურავს წაურთმევია და სახლში შეუნახავს, რათა ვინც ქრთამს მიუტანდა გადასახადს შეუმცირებდა, ხოლო ვისაცა მტრობდა მოუმატებდა. მოურავი უფასოდ ართვევინებდა ბამბას, ფეიქრებს აქსოვინებდა, მღებრებს აღებინებდა, მოსახლეობას საკუთარი ურმებით თივას აზიდვინებდა, აგრეთვე გამოსაღები დაუწესა ქალაქელთა ვენახებზე, ბაღებზე, ბოსტნებზე. ისე, რომ მოურავის თვითნებობა იქამდეც კი მისულა, რომ ქალაქის მოედანი საბოსტნედ უქცევია, ყოველ ჭირსა და ლხინზე ღვინის მირთმევა დაუწესებია და ა.შ. გორის მოსახლეობას განსაკუთრებით აწუხებდა ისიც, რომ მოძალადე მოურავი გორში მჯდარა, რამდენადაც აქამდე საამისო შემთხვევა არ ყოფილა.

დოკუმენტების მიხედვით, ჩანს, რომ მოურავს თანამონაწილეებიც ჰყოლია — გორის მამასახლისი და „მოურავის ბიჭები“. მათი სიტყვით ქალაქი ასე უკანონო ძარცვაშია — „მოურავი თავს დაგვჯდომია, მამასახლისი კი ბოლოშიო“. ხალხს თურმე ისე აწიოკებდნენ, რომ „მაგათი

შიშით ბაზარში ამქრებიც — ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები — ველარ დამდგარანო".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, მეფე იძულებული გამხდარა რათა 1795 წ. უკვე ახალი მოურავისათვის — ოთარ ამილახორისათვის მტკიცეთ განესაზღვრა უფლება-მოვალეობა და სარგო.

ამგვარად, ჩანს, რომ გორელთა ერთიანი გამოსვლა, ქალაქის მსხვილი ვაჭრების, მოსახლეობის ზედაფენების მეთაურობით გამარჯვებით დამთავრებულა.[27]

როგორც ითქვა, XIX საუკუნე და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი, ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება. ამ ეპოქაში არნახული ძვრები ხდება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ-კულტურულ სფეროში. ფართო გაქანება მიეცა წინა ეპოქაში ჩასახულ კაპიტალისტურ ურთიერთობებს, რომელიც აისახა იმ ძირეულ ცვლილებებში, რასაც სოციალური ურთიერთობა, კლასობრივი ძალების განლაგება, საზოგადოებრივი აზროვნების, სულიერი და მატერიალური კულტურის სფეროებში მომხდარი ძვრები ჰქვიან.

რამდენადაც საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, ამდენად მწარმოებელი საზოგადოების ძირითადი უმრავლესობა სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, სადაც კაპიტალისტური ურთიერთობების შედეგად, სოფლის ეკონომიკური და სოციალური იერსახე მნიშვნელოვან ძვრებს განიცდიდა. აღნიშნული ცვლილებები კი თავისი შინაარსით ბურჟუაზიულს წარმოადგენდა. მწარმოებელი კლასი თანდათან იწყებდა იმ პროდუქციის მოყვანას, რომელიც ერთდროულად შიდა და გარე მოთხოვნილებებით იყო განპირობებული. ზედმეტი, საბაზრო პროდუქციის წარმოება ბუნებრივია მჭიდრო ურთიერთობას განსაზღვრავს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. საბაზრო მოთხოვნილებათა შესაბამისად, წინაურდება სოფლის მეურნეობის არა მარტო ტრადიციული დარგები, არამედ საგრძნობლად მიმდინარეობს შედარებით ახალი კულტურების მოყვანის ტენდენცია. საბაზრო დანიშნულებას იძენს აქამდე კარჩაკეტილი კულტურების წარმოება, კერძოდ მარცველული, რომელიც მიუხედავად

---

[27] შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. III, 1986, გვ. 373-4.

იმისა, რომ ნაკლებ საქონლურს წარმოადგენდა, გლეხი თავის ტრადიციას მაინც არ ღალატობდა და მეტ-ნაკლები ოდენობით ბაზრისათვისაც მოჰყავდა.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობა შიდა ქართლში განსაკუთრებით იჭრებოდა მევენახეობა-მეღვინეობაში, მეაბრეშუმეობაში და სხვ. მართალია ქვეყნის ბუნებრივი პირობები თავისი მრავალფეროვნებით საშუალებას იძლეოდა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მაგრამ ეს შესაძლებლობანი მთელი სისრულით როდი იყო გამოყენებული. საგლეხო რეფორმამ მოსპო ურთიერთობების შორის წინააღმდეგობანი. ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობის პროცესს.

XIX ს. მეორე ნახევრიდან ბაზრებისა და სამიმოსვლო საშუალებათა გაფართოებამ ბიძგი მისცა ტრადიციული დარგების პროდუქციათა საქონლიანობას და მათ სპეციალიზაციას, რამაც გამოიწვია მთისა და ბარის მოსახლეობის კიდევ უფრო აქტიური ურთიერთობა შესაბამისი პროდუქციის წარმოების მიმართულებითაც. ბაზარმა და სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა წარმოების პროცესებზე, რამდენადაც მეურნემ მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო აგროტექნიკურ საშუალებათა დანერგვისათვის, რომელიც მრავალმწარმოებლურობის მტკიცე გარანტიას წარმოადგენდა. შედარებით მსხვილი მეურნეობების მფლობელები ცდილობდნენ ახლებურად მოეწყოთ წარმოება და შეეტანათ მასში ახალ-ახალი, განსაკუთრებით კი ტექნიკური კულტურა. უმჯობესდებოდა ვენახის, ხილის, თამბაქოს, და სხვა პლანტაციების მოვლა-დამუშავების წესები, მიწათმოქმედებაში ინერგებოდა ახალი ტექნიკური აღჭურვილობა, რამაც უზრუნველყო მარცვლეულის, პურისა და ქერის გარე ბაზრებზე გატანაც კი.

თანდათან მკვეთრი გაქანება მიეცა სიმინდის წარმოებას, რომლის ძირითადი მომხმარებელი საქართველოს მთის მოსახლეობა და საზღვარგარეთის ქვეყნები იყო. აღნიშნულ პროდუქტებზე გაზრდილ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძირითადად დამოკიდებული იყო მსხვილი მემამულეების მეურნეობაზე, რამდენადაც ღარიბ გლეხობას არა თუ ნამეტი

პროდუქტი გააჩნდა, არამედ თავად იყო მარცვლეულის მყიდველი-მომხმარებელი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპის ბაზარზე ამერიკული და რუსული პურის კონკურენციამ მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოში მარცვლეულის საქონლიანობის შემდგომი ზრდა და ამ დარგში კაპიტალისტური მეურნეობის აღმოცენება-გაფართოების პროცესი.

ამ და სხვა ფაქტორებმა, ქართლის რეგიონებში, თავიანთი მხრივ ხელი შეუწყო მეხილეობის, მებოსტნეობის და მევენახეობი სამრეწველო მიმართულებით განვითარებას, თუმცა საერთო მონაცემებით XIX ს. ბოლოსათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში კვლავ წამყვანი ადგილი მარცვლეულის წარმოებას ეკავა. ისე, რომ სავაჭრო მოწადმოქმედებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის განვითარების პარალელურად, ფართოვდებოდა შინაგანი ბაზარი, იზრდებოდა როგორც საწარმოო, ისე საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, რომელშიც მეტ-ნაკლებად ჩაბმული იყო საქართველოს მთელი მოსახლეობა.

ქვეყნის ცალკეული რეგიონები შესაბამისად წინაურდებოდნენ იმ დარგების წარმოებაში, რომელთაც მდიდარი ტრადიციები და ბუნებრივი პირობები უწყობდა ხელს. ამიტომ, საქართველოს მთის მოსახლეობა ბაზრებს აწვდიდა მესაქონლეობის პროდუქტებს, კახეთი — ძირითადად ღვინოს, ქართლი — მარცვლეულს და ხილ-ბოსტნეულს, იმერეთი — ღვინოსა და აბრეშუმს, გურია-სამეგრელო — სიმინდს, აბრეშუმსა და მეფრინველეობის პროდუქტებს, აფხაზეთი — თამბაქოს, სიმინდს და ა.შ.[28]

XVIII-XIX ს.ს. მიჯნაზე, საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: როდესაც 1801 წელს რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.) და აღმოსავლეთ საქართველო იმპერიას შეუერთა, რეგიონის ტერიტორია ადმინისტრაციულად მოექცა თბილისის გუბერნიის გორისა და ნაწილობრივ დუშეთ-ანანურის მაზრებში, ქართლში სათავადოები გაუქმდა, ლეკთა თარეში აილაგმა, სათავადო და საეკლესიო აზნაურები გაათავისუფლეს ეკლესიისა და თავადების დამოუკიდებლობისაგან, აგრეთვე სამეფო და საუფლისწულო გლეხები გამოაცხადეს რუსე-

[28] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 338.

თის სახაზინო გლეხებად და სხვ. ქვეყნის ეკონომიკამ მეტ-ნაკლებად აღმავლობით იწყო განვითარება. ამასთან, რუსეთის იმპერიის ცნობილი კოლონიური პოლიტიკის გამო, ხალხი ვერ ურიგდებოდა და გამუდმებით მიმდინარეობდა სახალხო, კლასობრივი გამოსვლები, აჯანყებები, რომლის ექო მთელ საქართველოს მოიცავდა. ხალხი შეწუხებული იყო სხვადასხვა გადასახადებისაგანაც. 30-50-იანი წლებისათვის გლეხობა 38 სახის გადასახადს იხდიდა, რაც მთავარ საბაბს ქმნიდა გლეხობის უკმაყოფილებისათვის. ვითარდებოდა როგორც წვრილი კაპიტალისტური, ასევე მსხვილი მანუფაქტურული წარმოება, ჩნდებოდა მანქანური ტექნიკის ჩანასახები, კაპიტალისტური ურთიერთობის ერთ-ერთი დამახასიათებელი დარგი — ვაჭრობა დღითიდღე ვითარდებოდა და მთელ ქვეყანას მოიცავდა.

ყველა ზემოაღნიშნული პროცესები მძიმე ტვირთად აწვება განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალ ფენებს — ყმა გლეხობას. ამიტომ ძალზე გახშირდა მათი გამოსვლები ქვეყნის ყველა რეგიონში, რომელთა მოთხოვნები უმთარესად სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა.

1857-64 წლებში გლეხთა გამოსვლებიდან აღსანიშნავი იყო ამილახვრების ყმების მღელვარება სოფ. ჭალაში; 1858 წ. ამირეჯიბის წინააღმდეგ; 1860 წ. მებატონეებს ებრძოდნენ ფხვენისელი, შერეთულელი, ხვითელი, კავთისხველი და სხვ. გლეხობა; 1862 წ. ერისთავის წინააღმდეგ გამოვიდნენ თემის გლეხები; ამავე წლებში გლეხთა გამოსვლებს ჰქონდა ადგილი სოფ. ბოშურში, დრეში, ბობნევში, ხოვლეში, დიცში, ტყვიავში, ქარელში, კეხივკვარში, ცხრამუხაში და ა. შ.[29]

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის, საქართველოში გატარებული სასოფლო მმართველობის, სასამართლო და საქალაქო რეფორმების შედეგად, რეგიონებს მიეცათ მეტ-ნაკლები თვითმმართველობის უფლება. 1876 წ. გორმა მიიღო თვითმმართველობა, ხოლო 1881 წ. კი ქალაქის თავის არჩევის უფლება, რამაც ხელი შეუწყო არა მარტო საქალაქო მეურნეობას, არამედ მის საგარეუბნო ზონაში მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ფართობებზე ევროპულ ყაიდაზე მოწყობილ ბაღ-ვენახებისა

[29] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 340.

და სხვ. დარგების მშენებლობას, ახალი კულტურების შემოტანას და ა.შ. ამავე პროცესებმა მეტ-ნაკლებად შეუწყო ხელი აგრეთვე ქართული ეროვნული კულტურის აღმავლობას, სწავლა განათლების სისტემის განვითარებას, ქართული საზოგადოებრივი აზრისა და მოძრაობის გააქტიურებას და სხვ.

3. შინაკლასობრივი ურთიერთობა და მმართველობის სისტემა.

ცნობილია, რომ საქართველოს სოციალური წყობილების ძირითადი თავისებურება XV-XVIII ს.ს. სათავადოთა სისტემა იყო, რომელიც ნახევრად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს ქმნიდა და ამდენად სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა ამ ერთეულების კრებულს წარმოადგენდა. აღნიშნულ პერიოდში, თავადების პოლიტიკური ძლიერების შენარჩუნების ერთ-ერთ ძირითად საყრდენად სწორედ აზნაურთა ფენა გვევილნებოდა. ამიტომ, სავსებით ბუნებრივს წარმოადგენდა ის გარემოება, როდესაც ამ ორ კლასს შორის განუწყვეტელი შინაკლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა. ეს ბრძოლა კი ობიექტურად სათავადოთა შერყევას ემსახურებოდა და ამის და მიხედვით სიძლიერეც დროის სხვადასხვა პერიოდების შესაბამისად ხასიათდებოდა.[30] აღნიშნული პროცესი კი პროფ. შ. ხანთაძის აზრით განსაკუთრებული სიძლიერით ხასიათდებოდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX ს. პირველ ნახევარში. ამასთან, რაკი წინააღმდეგობრივი პროცესი სუფევდა თვით თავადთა შორისაც და მათი წარმოდგენით ქვეყანა სათავადოთა კრებულს შეადგენდა, ამდენად ამ კრებულთა წევრებს შორის განსხვავებაც უნდა არსებულიყო, რასაც გვიჩვენებს ზეგავლენა-სიძლიერის მიხედვით XVI-XVIII ს.ს. ქართლის სამეფოში სხვა თავადთაგან გამორჩეული მუხრან ბატონი, ამი-

[30] შ. ხანთაძე, სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალური სამთავროები, მუზეუმის მოამბე, ტ. XX, 1959, გვ. 139.

ლახორი, ქსნის ერისთავი, არაგვის ერისთავი, ყაფლანიშვილი, ზემოციციშვილი, სომხეთის მელიქი.[31]

სათავადოთა სისტემის წარმოშობა, რომელიც XIII-XIV სს. იწყება და XV საუკუნისათვის სრულ ჩამოყალიბებულ სახეს იღებს, დიდებული აზნაურებიც ცალკე ფენად ყალიბდება. თითქმის ასეთივე ცვლილებები მიმდინარეობს აზნაურთა დანარჩენი მასის სოციალურ მდგომარეობაშიც. საშუალო და წვრილ აზნაურთა ფენა მსხვილი ფეოდალების — თავადების მძიმე სოციალური და ეკონომიკური ზეწოლის ქვეშ ექცევა. აღნიშნულ გარემოებებს ხელი იმანაც შეუწყო, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება სუფევდა, რაც განპირობებული იყო მონღოლთა ბატონობით (XIII-XIV სს.).

აღნიშნული სიძნელეები უპირველესად დამღუპველად მოქმედებდა წვრილ მემამულეებზე, წვერილსა და საშუალო შეძლების აზნაურებზე, რომელთაც ყველაზე სწრაფად ეცლებოდა ხელიდან მუშახელი. წვრილ აზნაურებს კი თავისთავად არ შესწევდათ უნარი ამ პროცესის შესაჩერებლად, ან მათ უკან დასაბრუნებლად. ასეთ პირობებში, მცირე ყმიანი და დაბალი შეძლების მებატონენი სახელმწიფო გადასახადების გასტუმრების მიზნით, თავისთავად ყმის ექსპლოატაციას ზრდიდა, რის შედეგადაც იწყება ყმათა მასობრივი წასვლა მამულებიდან. ასეთ ვითარებაში, სათავადო აზნაურები გამოსავალს თავიანთ ბატონებთან ეძებენ და თხოვნით მიმართავენ მათთვის გადასახადის გადავადებისა და დაფარვისათვის, რომლის საფასურად სამომავლო მოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს სთავაზობენ.

XVIII-XIX სს. საქართველოში ვალიანდებოდა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა, მათ შორის მაღალი წრეებიც, თუმცა ძირითადი სიმძიმე გლეხობას და ხელოსნობას აწვა. იმის გამო, რომ ფეოდალები ფულს სესხულობდნენ ფუფუნების საგნების შესაძენად, ხოლო დაბალი ფენის წარმომადგენლები საბატონო და სახელმწიფო გადასახადების გასასტუმრებლად და მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ანუ მათ საშუალება არ გააჩნდათ წარმოებაში დასაბანდებლად, ვალის

[31] დ. გერიტიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 280.

დაფარვა ხშირად წლობით ჭიანურდებოდა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ უმეტესად მევახშეები სესხს გირაოს საფუძველზე იძლეოდნენ. ამიტომ, სათანადო დოკუმენტებში უამრავი მასალაა დაცული გირავნობაში ჩადებული მამულის, სახლის, ვენახის, დუქნის, ძვირფასი საგნების, აგრეთვე ყმა გლეხობის, ხელოსნის, ცოლ-შვილის, თავის-თავის და სხვათა შესახებ. ამასთან, ხშირად მევახშეები სარგებლობდნენ დაგირავებული გლეხებისა და ხელოსნების შრომით ან პროცენტების მაგიერ გამოსასყიდებელს იღებდნენ ნატურითაც და ფულითაც.

მაგალითად, შალიკაშვილის მიერ ბატონიშვილი ქაიხოსროსადმი მიცემულ წერილში ვკითხულობთ: „გამიჭირდა და ფარა დამედვა გარდასახადი და ნიკოლოზა მექვაბიშვილი და მისი ძმისწული გოგი მექვაბისშვილის შვილი დამიწინდრე(თ), დახსნა ველარ შევძელი და იმ ფასის გარდა, რითაცა გული შემიჯერდებოდა, სიბრალულიც მიქენით და აწ ხელაღებ(ით) მომირთმევია ნიკოლოზა და მისი ძმისწული მათი არშივი, რაც მის ძმებამიდ ხდებოდათ ჭურიან-მამულიან-ტყიან-წყლიანათ, რასაცა მქონებელი იყოს და ძმებმიც ხდებოდეს, მომირთმევია“.[32]

1714 წლის ერთ-ერთი საბუთი ეხება მამულის ნასყიდობას, სადაც ნათქვამია: „... ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი მიგეც მე, იესე მარალაშვილმა, შვილმან ჩემმან დავით, ვახტანგ და იოთამ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, თქვენ, ჩემს ბიძაშვილს სალთხუცეს(ს) ამილბარს, შვილსა შენსა გიორგის, დემეტრეს და რევაზს და მომავალთა თქვენთა, ასე რომე დაგვეჭირა მოურავის შვილის ავთანდილის ვალი მემართა და ის გარდაგვიწყვიტე და იმისათვის მოგეცით მამისთვალაშვილის ნაქონი საკვამლო მამული სახლითა, კარითა, ქვევრ-მარანითა, ვენახითა, ვენახის გვერდზედ ნაფუძრითა, თავის შესავლითა, გასავლითა, თავის სამართლიანის მძღვრითა მინდვრის მიწის გარდა. ავიღეთ ფასი სრული რითაც ჩვენი გული შეგვჯერდებოდათ, თუ ამ მამულზე წამოგეძოს ვინმე, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი, კაცთაგან შუა დამხდური

[32] დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 14.

მაღალაშვილი ივანე, ქაიხოსრო, ჭარმეული კანდელაკი, შვილი ისიდორე, ფირან მაღალაშვილი და სვიმონ, გომის მამასახლისი როსებ, ერთაწმინდის მჭედელი თევდორე და უნებავი(?) მგელია, ნუგზარაშვილი ესტატე, მანგაშვილი ოქროპირი და სულ ერთობილნი ნიაბელნი და ჩოჩელნი".[33]

ან კიდევ 1725 წ. საბუთში ვკითხულობთ: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე ამიერითგან და ვიდრე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათაველი სამკვდროდ და ს(ა)ბოლოოდ გამოსადეგი მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ, თაერიზელმა დალაქმა ავეტიკამ და ორექალას შვილმა და დალაქის მასმალაშვილმა მურადხანმა თქვენ, ჩოლოყაშვილს ქაიხოსრო და შვილსა თქვენსა გივ(ი)ს და ედიშერს და გრიგოლსა და ძმისწულსა თქვენსა ქარიმანსა და ავთანდილს და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ესე რომე თათრის ვალი გვემართა და ცოლშვილით გვატყვევებდა. მოვედით და შემოგეხვეწნით. თქვენ თქვენის ღვთის გულისათვის დაგვიხსენ და დატყვე(ვე)ბას მოგვარჩინე და ჩემი თავი ნასყიდათ მოგართვით. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, ვითარც ალალს მონასყიდეს მართებდეს. ჩვენი თავი და ცოლშვილი გასამითვათ გინდოდეს, თუ რადაც გინდოდეს, ხელ გეწიფოს და მოიხმარე. ჩვენ, ბატონი, ამილახორი გივი ამისი მოწამე ვართ".[34]

ამრიგად, მევახშეს ხელში უვარდებოდა გლეხი, ხელოსანი, ფეოდალი და სხვ. ისე, რომ ძალიან ხშირად ნადგურდებოდა ოჯახები, იკარგებოდა მამულები, გლეხები. ასეთ პირობებში მყოფი გლეხობა მტრების წინააღმდეგ ბუნებრივია ძველებური მხნეობით ვერ იბრძოდა. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ქვეყანა ძალზე დაზარალებული იყო და გლეხთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებული. ისინი გაწყვიტეს და დაატყვევეს ყიზილბაშებმა, ოსმალებმა, ლეკებმა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ისინი აუტანელმა ბატონყმურმა პირობებმა გადააშენა".[35]

---

[33] დ. უჩანეიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 29.

[34] დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 33.

[35] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 211.

1743 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ნათქვამია: „ავიღე მე, გოშაპარის შვილმა თქვენ, ბატონის ამილახორის გივისაგან ოთხი თუმანი თეთრი, ასე რომე ყიზილბაშისაგან ცოლით, შვილით დატყვეედი და ის შვილი ბატონის ჩემის წიგნის დასტურით თქვენ დამიხსენით და ახლა ს(ა)ნ(ა)მდი იმ თქვენს თეთრს მოგართმევდეთ, იმ თეთრისათვის მე თქვენ გემსახურო(თ)“.[36]

აღსანიშნავია, რომ შეძლებული მებატონეები ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთ ყმა გლეხთა შენარჩუნებას თუ საამისო საშუალება გააჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად თავად მებატონეები ვარდებოდნენ უკიდურეს ეკონომიკურ მდგომარეობაში და ამდენად სახელმწიფოს ხელიდან ეცლებოდა ერთ-ერთი დასაყრდენი ძალა.

ამ და სხვა მიზეზების გამო, ერეკლემ აუკრძალა მებატონეებს გლეხკაცის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა და იგი როგორც ბატონისგან, ისე გლეხისგან სასტიკად მოითხოვდა „ბატონ-ყმობის რიგის“ დაცვას. „თუ რომ თქვენი მამულიდან მემკვიდრე კაცი აიყარა და წავიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ, დიდად ავად მოგეპყროთ და გადაგახდევინებთ ...“[37]

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ XVIII ს. 40-იანი წლებიდანვე თეიმურაზ II და ერეკლე II დაიწყეს სათავადოების შევიწროვება და გაუქმება, რასაც გლეხებმაც აქტიურად დაუჭირეს მხარი და შეუტიეს თავადებს. ასე მაგალითად, 1743 წ. აჯანყებულმა გლეხებმა ერისთავები ამოხოცეს და იქ თეიმურაზი მიიწვიეს. თეიმურაზმა ეს საერისთაო გააუქმა და სახაზინოდ გამოაცხადა, ხოლო შემდეგ ქსნის საერისთაო სეპარატისტ გივი ამილახვარს წაართვა და იქაც თავისი ბატონობა განამტკიცა, რომლის საბოლოოდ გაუქმება 1777 წელს მოხდა.[38] თეიმურაზსა და ერეკლეს მთელი ძალისხმევა დასჭირდა რათა ქართლ-კახეთიდან აყრილ-გაქცეული გლეხობა ისევ უკან დაებრუნებინა.

---

[36] დ. უჩანეიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 47.
[37] ნ. ბერძენიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 221.
[38] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 525.

ფეოდალებს მკაცრი მეფის შიში ჰქონდათ და გლეხთა თვითნებურ დასჯას ვერ ბედავდნენ. ერთი ბატონი ერეკლეს სწერდა — „თქვენის წყენის უღონო გახლავარ, თორემ ჩემს ყმას როგორ ვერ დავიმორჩილებ“.[39]

როგორც ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა, XII-XIV სს. საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ყმა-აზნაურთა ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ფეოდალთა პირად ყმობაშია მოქცეული. მეფეს ყველაზე მეტი ყმა-აზნაური ჰყავს, რომელნიც შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან და მეტი დაწინაურებისა და ეკონომიკური აღზე-ვების შესაძლებლობა გააჩნიათ. ასეთთა შორის იყვნენ მაგალითად თურქისტანიშვილი, საგინაშვილი, გაბაშვილი, მურვანიშვილი, აბაზაძე, ყორღანაშვილი, შანშიაშვილი, საყაძე, გლურჯიძე და სხვ.[40]

იმასთან დაკავშირებით, თუ ქვეყანაში როგორი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობები იქმნებოდა, შესაბამისად სამეფო აზნაურთა რიგებიც სუსტდება და კლებულობს. ერთ-ერთ ასეთ პერიოდად მიჩნეულია XVIII ს. მეორე მეოთხედიდან ქვეყანაში არსებული მძიმე ოსმალობა-ყიზილბაშობის ხანა, ხოლო მას შემდეგ, როდესაც ამავე საუკუნის შუა წლებიდან, როდესაც ქართლში შედარებით წესრიგი მყარდება, მეფის აზნაურთა მდგომარეობაც მნიშვნელოვნად უმჯობესდებოდა.

ხოლო რაც შეეხება საეკლესიო აზნაურებს, მათი ძირითადი მფლობელი იყო მცხეთის საკათალიკოსო ეკლესია, რომლის განკარგულებაში XVIII ს. ბოლოსათვის 20-მდე სააზნაურო სამოხელეო თანამდებობა ეკავათ კათალიკოსის კარზე იყვნენ. ასეთთა შორის იყვნენ მაგ. მაღალაშვილები და გედევანიშვილები.[41]

საკვლევი პერიოდის სოციალურ სტრუქტურაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სათავადო აზნაურთა მოღვაწეობას ქვეყნის პოლიტიკურ და მეურნეობრივ ცხოვრებაში. აღნიშნულ სათავადოთა საბო-

---

[39] იქვე, გვ. 523.

[40] გ. აკოფაშვილი, სოციალური ურტიერთობის ისტორიიდან, XV-XVIII სს. ქართლში., თბ., 1956, გვ. 47.

[41] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 54.

ლოო ჩამოყალიბება-გაფორმება, როგორც ითქვა XV ს. მიმდინარეობდა და ქართლის ტერიტორიაზე მათი ახალ-ახალი წარმოქმნა შემდგომშიც აქტიურად წარმოებდა. ისე, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში, ტრაქტატს დართული სიის თანახმად ქართლში 38-მდე თავადია, თუმცა ყველა თავადს არ ყავდა ყმა-აზნაურები და არც ყველა თავადის საფეოდალო ჩაითვლებოდა სათავადო. იმავე სიით, ყმა-აზნაურთა მფლობელი ყოფილა 21, რომელთა შორის ყველაზე მსხვილი და ძლიერი ჩანს ამილახვარი, ქსნის ერისთავი, ორბელიანი და სხვ.[42]

სათავადო აზნაურთა შორის ბუნებრივია ქონებრივი დიფერენციაცია არსებობდა, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავადის კარზე დაწინაურების ფაქტორი, შემოსავლიანი თანამდებობის დაკავება და სხვ. აქედან გამომდინარე, იყო მომენტები, როცა აზნაურის შემოსავალი თავადისას უტოლდებოდა და უსწრებდა კიდეც. ის მამული, რომელსაც ჩვეულებრივ ფლობდა აზნაური სრულიად განსაზღვრული შინაარსის შემცველი იყო და „სააზნაურიშვილო მამული“ ეწოდებოდა, ანდა „სააზნაურიშვილო სამოსახლო“.[43]

აღსანიშნავია ის გარემოებაც როცა აზნაურთა საკმაო ნაწილს მხოლოდ თითო-ოროლა კომლი ჰყავს, ანდა სრულიად უყმონიც არიან. ამასთან, არსებობდნენ ბოგანო და ხიზანი, სარჩო-საბადებელს საერთოდ მოკლებული აზნაურებიც, რომელთაც მხოლოდ სახელიღა ჰქონდათ შემორჩენილი.

რამდენადაც თავადის სიძლიერის ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა ყმა-აზნაურთა ოდენობა და მისი ქონებრივი მდგომარეობა, ამდენად თავადი ბუნებრივია ცდილობდა მათი რიცხვის მომრავლებას. ისე, როგორც თავადი სასტიკი წინააღმდეგია აზნაურის ყმობიდან წასვლის თუნდაც ყმა-მამულის დატოვების შემთხვევაშიც კი. აქედან გამომდინარე, ტყვედ ჩავარდნილი აზნაურის გამოსახსნელადაც კი თავადი ყველა ღონეს ხმარობს.

---

[42] იქვე, გვ. 71.
[43] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 93.

მაგალითად, როცა ლეკებში ტყვედ ჩავარდნილ ციციშვილის აზნაური ბეჟან დანდლიშვილი მეფეს გამოუხსნია, ციციშვილები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ აზნაურის დასაბრუნებლად და მეფესა და ციციშვილებს შორის ფორმდება წიგნი, რომლითაც ციციშვილები პირობას უდებენ მეფეს, რომ, თუ ვერ შესძლებენ მის დახსნას, თქვენი იყოსო, ხოლო თუ მოვახერხეთ და მოგართვით ის თანხა, რაც მის გამოხსნაზე დაგეხარჯათ ეს „ჩვენი აზნაურიშვილი ისევ ჩვენ გვიბოძოდო“.[44] ამ შემთხვევაში ციციშვილებს მოუხერხებიათ თავიანთი აზნაურის დახსნა. ამ და სხვა გარემოებათა გამო, აზნაურების სწრაფვა ძლიერი მფარველის ყმობაში ერთობ დიდია და თავადაც სიამოვნებით ღებულობს თავის მამულში. ამასთან, გარედან მოსულ აზნაურს იგი უზრუნველყოფდა ყმამამულით და სხვა შელავათებით. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა ყიზილბაშობა-ოსმალობის დროს, როდესაც მრავალი სათავადო აზნაურები მძიმე გასაჭირში.

არცთუ იშვიათად, თავადთა გარკვეული ნაწილი ვალის გამო თავისთავსაც კი ყიდის. XVIII ს. შუა ხანების ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ნებითა და შეწევნითა ღთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე ვახუშტი წერეთელმა ზა(ა)ლის შვილმა და დედა ჩემ(მ)ა ჩიჯავაძის ქალმა, თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს, თქვენს ძმას ქველს და ამა პირსა ზედან, რომე მამისა და პაპის და ბიძის და ძმების დიდი ვალი დამრჩა, მაზრჩობდენ ორიოდე ცოლქმარი კაცი მყავდა, ორჯერ-სამჯერ ამიყარეს, ხარი არ შემარჩინეს, ძროხა არ შემარჩინეს, ორას ორმოცი მარჩილი სულა რაჭველებისა მემართა, სხვა კიდევ სა(ა)ბაშიო კაცის ბევრი მემართა. ახლა თქვენ შემოგეხვეწე(თ), სხვა კაცმა არ გამიკითხა და ჩემი თავი და ჩემი გაღარიბებული მამული, მიწა, ალაგი, მთა და ბარი, საძებარი და უძებარი, ყველა თქვენთვის მომირთმევია. ეს ვალები ყველა თქვენ გარდამიხადეთ, ღმერთს და(ა)მადლე(თ), თვარამ ვერც მამულითა ვერც მიწა-ალაგით, ვერც ჩემის გასყიდვით და ვერ აუვიდოდით.

---

[44] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 78.

აწ ჩვენი თავი და ჩვენი მამული ნასყიდობით თქვენთვის მოგვირთმევია ...“[45]

სათავადო აზნაურთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია და გადასახადებში იხრჩობა, რისთვისაც არა მარტო მეურნეობა უჩანაგდება, არამედ თავადაც იყიდება. თარხნიანთ მეორე აზნაური, ყორაშვილი იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა ყიზილბაშური გადასახადების გამო, რომ მიწების გაყიდვას რომ მორჩა, შვილსაც ჰყიდდა ტყვედ“. აგრეთვე, ციციშვილების აზნაური გვარამაძე, სათათრო გამოსაღების სიმძიმით ღონემიხდილი, იძულებულია გაყიდოს მიწები. ბოლოს, იმავე სიძნელეებით შეწუხებული მათი ბატონი თვითონ გვარამაძეებს ჰყიდის ტყვედ“.[46]

ამასთან ერთად, აზნაურები ხშირად ვარდებოდნენ უმძიმეს მდგომარეობაში და ხელმოცარულები ხდებოდნენ შიდა ფეოდალური კომპლიქტებისა და ოჯახური დაპირისპირება-ქიშპობის დროსაც, რაც არცთუ იშვიათად ფიზიკური განადგურებითაც კი მთავრდებოდა.

შინაკლასობრივ ურთიერთობაში, თავადთა ყველა კატეგორიებისათვის, საბოლოოდ მაინც ყმის დაკარგვა წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოება ბუნებრივიცაა, რამდენადაც ყმათა გარეშე მათი სოციალური და ეკონონიკური მდგომარეობა ფაქტობრივად არანაირ აღიარებას არ ექვემდებარება. ამიტომ, ვალში გლეხთა გაყიდვა თავადაზნაურების მიერ ყველაზე უკიდურესი ფორმა იყო იმ ვითარების შემდეგ, როდესაც იგი თავის თავს აგირავებდა-ყიდიდა.

1843 წელს ერთ-ერთი საბუთი, რომელიც ვალში გლეხების გაყიდვას ეხება, მოცემულია იასე ერისთავის მიერ ევგენია მაღალოვისადმი დადებული წიგნი, სადაც აღნიშნულია: „ესე წერილი“ მოგართვი მე, ქვემორე ხელის მომწერმა, თქვენ, კნეინა ევგენია დიმიტრი მაღალოვისას, ასე რომ თქვენი ფული მემართა ოცდაათი თუმანი თეთრი და იმაში მოგყიდეთ ჩემს წილში ნარგები სოფელს აღადანში მოსახლენი დათუა და ლუა კალხიტაშვ(ი)ლები თავიაანთის დედით, დით, ძმით და სახლეულე-

[45] დ. უჩანეიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 55.
[46] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 79.

ბით, ძველთაგან ნაოხარნი ჩვენნი ყმანი მიჯუხელნი მომიყიდნია თქვენთვის საუკუნ(ო)დ და საშვილიშვილოდ“[47] ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო მძიმდება გლეხის ცხოვრება, რამდენადაც იგი ნაყიდ ყმად იქცევა და მისი სულიერი მდგომარეობა პირვანდელთან შედარებით ერთობ დამთრგუნველია. საერთოდ კი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხი, რომლის ნაყიდ ყმად გადაქცევას იწვევდა უმთავრესად ეკონომიკური ხასიათის სიძნელეები, მოუსავლიანობა, შიმშილის წლები და სხვ. ვლინდებოდა ვალში ჩავარდნაში და ამის შედეგად თავის თავის და ზოგჯერ მთელი ოჯახის ან ოჯახის ერთ-ერთი წევრის ნაყიდ ყმად მიცემაში გამოიხატებოდა.

აგრეთვე ნაყიდად იქცეოდა იმ გლეხთა უმრავლესობა, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სამართლით გათვალისწინებული მატერიალური საზღაურის გაღება არ შეეძლოთ. ამ კატეგორიის გლეხთა რიცხვის ზრდას იწვევდა მტრის შემოსევების შედეგად ტყვეთა გამოსყიდვა, ბატონისაგან გაქცეულ და სხვათა შეკედლება და ა.შ. რომ მოცემულ პერიოდში, გლეხთა კატეგორიაში მიმდინარე ცვლილებები პირდაპირ იყო დამოკიდებული ქვეყანაში მიმდინარე იმ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე, რომლებიც ზემო ეშელონებიდან დაბალ ფენებამდე დადიოდა. საერთოდ კი, როგორც დაბალ, ისე მაღალ ფენებში ქონებრივი დიფერენციაცია ფეოდალური ურთიერთობის მთელ მანძილზე მიმდიანრეობდა, თუმცა განსაკუთრებით იგრძნობოდა გვიან საშუალო საუკუნეებში.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ღარიბ-ღატაკი ხალხის გვერდით საკმაოდ იყვნენ ეკონომიკურად აღზევებული გლეხებიც, რომლებიც გამოირჩეოდნენ მიწებისა და პირუტყვის რაოდენობით, სამეურნეო ოპერაციების მასშტაბით, მიზნებითა და სამომავლო ამოცანებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გლეხს სოფელში შეძლებისდა მიხედვით შესაბამისი დაჯგუფების სახითაც აღნიშნავდნენ: „კაი გლეხი“, „შუათანა გლეხი“, და „ამათგან უმცირესი გლეხი“. ან კიდევ: „კაი კომლი“, „ამათგან დაბალი“ კომლი და „ამათგან უმცროსი“ კომლი, მაგრამ — აღნიშნავს პროფ.

[47] დ. უჩანეიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 201.

ი. ანთელავა — ქონებრივი დიფერენციაცია, ყველა ვითარებაში ვერ წარმოშობს კლასობრივს. ამისათვის საჭიროა გარკვეული ობიექტური პირობები, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა განვითარებაშია".[48]

მიუხედავად იმისა, რომ მიწადმფლობელი გლეხობის ერთი ნაწილი მიმართავდა მიწების საზიაროდ გაცემასაც კი, მაინც მის მეპატრონე იშვიათად თუ აწყობდა დიდმასშტაბურ, ახალი ყაიდის მეურნეობას, თუმცა იგი დაქირავებულ შრომასაც იყენებდა და საბაზრო პროდუქციასაც აწარმოებდა. ამიტომ, იმ კატეგორიის გლეხი, რომელიც ზედმეტ მიწებს ფლობდა უმთავრესად საღალოდ გაცემას ამჯობინებდა. მაგალითად, 1818 წ. მონაცემებით, გორის მაზრის საეკლესიო გლეხებიდან აღსანიშნავი იყო სოფ. სვენეთელი გლეხი ელზბარ ბერუაშვილი, რომელიც 40 დღიური ნასყიდი მიწიდან საკუთარი თავისთვის ხნავდა მხოლოდ 15 დღიურს; სოფ. ქორდელი გლეხი ზაზა ბურნაძე — 80 დღიურიდან 30 დღიურს; სოფ. მეღვრეკისელი გლეხი მათე გენჯაძე — 45 დღიურიდან 15 დღიურს; სოფ. არაშენდელი გლეხი დიმიტრი ცერონელი — 32 დღიურიდან 15 დღიურს; სოფ. რუისელი გლეხი არუთინა მღებრიშვილი — 20 დღიურიდან 5 დღიურს; ამავე სოფლელი გლეხი — შიო გიუნაშვილი — 30 დღიურიდან 15 დღიურს; სოფ. დირბისელი გლეხი აფრასიონ ბერძენიშვილი — 100 დღიურიდან 15 დღიურს; სოფ. თედორეთელი გლეხი ანტონ მაისურაძე — 200 დღიურიდან 25 დღიურს და ა.შ.[49]

მისივე აზრით, ერთი გლეხის მიერ მიწის საზიაროდ გაცემისა და მეორის მიერ მისი აღებით იქნებოდა ურთიერთობა, რომელიც ტიპიურია არა ფეოდალიზმისათვის, არამედ კაპიტალიზმზე გადასვლის გარდამავალი პერიოდისათვის.

დროის მოთხოვნილებათა შესაბამისად, რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ ქართველ თავადაზნაურთა

---

[48] ი. ანთელავა, XVIII ს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 165.

[49] ი. ანთელავა, დას. ნაშრომი, გვ. 162.

გარკვეულ ფენაში გამოიწვია ცხოვრების წესის თანათანობით შეცვლა, მეურნეობრივი სფეროს გარდაქმნა-გადახალისება და სხვ. თუმცა ამ და სხვა პროგრესული მოვლენების განვითარებას მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს ჯერ კიდევ ფესვმოკიდებული ფეოდალური საქართველოს თავისებურებანი. ეს ის პერიოდია, როდესაც ფეოდალური საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მაინც დაიწყო მეურნეობის მოწყობის ახალ ფორმებზე გადასვლა, რომელთა ძირითად მიზანს საბაზრო პროდუქციის წარმოება შეადგენდა. ამ კატეგორიის მემამულე-რაციონალიზატორები კი მეტნაკლებად საქართველოს ყველა რეგიონში მონაწილეობდნენ. ასეთ პირობებში, ბუნებრივია მათთვის უცხო არ იქნებოდა მეურნეობის ახლებურად მართვისა და გაძღოლის მეთოდები, შესაბამისი სამეურნეო იარაღ-მოწყობილობა და სხვ.

მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის მშრომელთა დიფერენციაციის გაღრმავებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მათი საშოვარზე გასვლა, როდესაც განსაკუთრებით უმიწო და მცირემიწიანი გლეხობა ქალაქად მიედინებოდა, სადაც მძიმე შრომით შოულობდა ვალებში გასასტუმრებელ და სარჩენ ფულს. ამდენად, XIX ს-ის პირველ ნახევარში აშკარად გამოკვეთილია გლეხთა კლასობრივი დაშლის პროცესი, როდესაც გარკვეული ნაწილი ხშირად თავიანთ მფლობელებზე უფრო მდიდრებს წარმოადგენდნენ. შეძლებული და ღარიბი გლეხობა აქტიურად ჩაება მიწების ყიდვა-გაყიდვაში და ეს იმდენად მასობრივი გახდა, რომ ხელისფლება იძულებული შეიქმნა საწინააღმდეგო ზომები — სპეციალური კანონი გამოეცა (1844 წ. 25 აგვისტო).[50]

ასე ამრიგად, XIX ს. სასაქონლო ფულადი და კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაღრმავება-განვითარებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მრავალრიცხოვან გლეხთა კატეგორიის წარმოქმნაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდში ქვეყნის ტერიტორია სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი, ხოლო თითოეული მათგანი შიგნით წვრილ ფეოდალურ ერთეულებად, სათავადოებად. „სათავადოთა სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას ემყარე-

[50] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 54.

ბოდა და თავის მხრივ ამ ჩამორჩენილობას ემსახურებოდა. ამიტომაც საქართველოს აღდგენისათვის ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „აღდგომისათვის“ ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა.

საქართველოს მეფე თავადებთან ბრძოლაში ძირითადად თავის „სახასოს“ ეყრდნობოდა. „სახასო“, გვიან ფეოდალურ საქართველოში, როგორც ცნობილია, სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით სამეფო გლეხებს ნიშნავდა თავისი მიწით, ხოლო ცალკეული ფეოდალური დომენის მასშტაბით კი — მამულსა და მასზე მცხოვრებ გლეხობას, რომლებიც ამ ფეოდალის განკარგულებაში იმყოფებოდნენ. თავისი ეკონომიკური მდგომარეობით „სახასოს“ გლეხები ისეთივე ყმები არიან, როგორც სხვა ფეოდალთა ყმები. აქ განსხვავება მხოლოდ პირად დამოკიდებულებაშია. ამიტომ, მასზე დაყრდნობით სამეფო ხელისუფლება ზოგჯერ ურჩი ფეოდალების დამორჩილებას და ქვეყნის გაერთიანებას ახერხებდა.

გლეხი გარდა იმისა, რომ მებატონეზე დამოკიდებულია ეკონომიურად, იგი პირადადაცაა მიჯაჭვული, რამდენადაც ვახტანგ VI კანონების თანახმად „ყმისა ყველა ბატონისა არის“. მებატონეს შეუძლია ქონება წაართვას ყმას, დასაჯოს, გაქცეული ეძებოს 30 წლის განმავლობაში და ა.შ. ყმა-გლეხები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებოდნენ, თუ ვის ეკუთვნოდნენ ისინი — მეფეს, ეკლესიას, თავადს, აზნაურს თუ სხვას. მებატონეებთან სახვადასხვა გვარი დამოკიდებულების ნიადაგზე საქართველოში წარმოიშვნენ ყმა-გლეხთა სხვადასხვა კატეგორიები. ამასთან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ყმა-გლეხთა მდგომარეობა განსხვავდებოდა იმისდა მიხედვით, თუ სად როგორი დამოკიდებულება იყო დამკვიდრებული.

„საქართველოს ერთ კუთხეში, ან ერთ სათავადოში ზოგჯერ კიდევ ერთი ბატონის მამულში ყმა-გლეხების მდგომარეობა არაიშვიათად განსხვავდებოდა მეორე კუთხის, სათავადოს ან ცალკე მებატონის იმავე ყმა-გლეხების იმავე კატეგორიის ყმა-გლეხების მდგომარეობისაგან, იმის და

მიხედვით თუ სად, როგორი დამოკიდებულება იყო განმტკიცებული და დაკანონებული".[51]

რამდენადაც შესაბამის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში მებატონე თანდათან ზრდიდა თავის მოთხოვნებს, რაც უმთავრესად ბეგარა-გადასახადების გაზრდით გამოიხატებოდა, ამდენად მწარმოებელი ფენის ყოველმხრივი შევიწროებით გვიანფეოდალურ საქართველოში მებატონე თვითონ უთხრიდა ძირს თავისსავე ეკონომიკურ კეთილდღეობას. ასეთ პირობებში ჩავარდნილი გლეხობა იძულებული იყო მიეტოვებინა საკუთარი მეურნეობა და სხვაგან გაქცეულიყო.

საკვლევი პერიოდი არანაკლები კლასობრივი ბრძოლით ხასიათდება თავადებსა და აზნაურებს შორის, რომელიც აშკარა თუ ფარულ ურთიერთობაში მყოფნდებოდა. როგორც ნაწილობრივ ითქვა, აზნაური საკმაოდ მკაცრ ბატონყმურ უღელშია შებმული. მას შესაძლებლობა არ გააჩნია ნებით აირჩიოს ბატონი. სათავადო აზნაურები ხშირად თავადებს შორის ამტყდარ სასახლისკაცო დავაში იჭყლიტებიან, საფეოდალოებს შორის წარმოებულ შინა ომების დროს დიდ ზარალს განიცდიან ზოგჯერ მათგან გადასახადებითაც წუხდებიან, სამუშაოებში ასაქმებენ მათ ყმა-გლეხებს და სხვ. რის გამოც აზნაურები თავადებს სათანადო წინააღმდეგობას უწევდნენ და საამისოდ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავდნენ. ისინი ფარულად უკავშირდებოდნენ სამეფო ხელისუფლებას მის ბრძოლაში თავადების წინააღმდეგ და სხვ.

1800 წ. ერთ-ერთ საბუთში, სადაც აღნიშნულია საციციანოდან ნიკოლოზ ციციშვილის ჩივილი მეფესთან თავის აზნაურებზე მაღრაძესა და კლიმიაშვილზე, ვკითხულობთ: „იმ ჩემს აზნაურიშვილს (კლიმიაშვილს) ჩემი ბატონყმობა არ უნდა და ის მტანჯავს"-ო. მაღრაძე და კლიმიაშვილი თვითნებურად რუსეთს წასულან, იქ 4 წელი დაუჰყვიათ ახლა მოვიდნენ, თეთრი მოიტანეს, ახლა ყმასა და მამულსაც მართმევენო".

აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ამ აზნაურებს თავიანთი დამოუკიდებლობისათვის სათანადო თანხა მოუპოვებიათ და სამეფო ხელისუფლებისაგან ხელშეწყობით სათავადო ყმობიდან თავის დახსნის

[51] შ. ჩხეტია, საისტორიო მოამბე, ტ. IV, 1949, გვ. X-XII.

შესაძლებლობაც შეუქმნიათ. იმავე ციციაშვილების ერთ-ერთი აზნაური რუისელი დაფქვიაშვილი, რომელიც ინტენსიურად ეწეოდა მამულების შესყიდვას, ამასთან, ცდილობდა დამოუკიდებლობის მოპოვებას. საამისოდ დაფქვიაშვილი 1771 წ. მეფისაგან უშუალოდ ღებულობს ყმის სახელმწიფო ბეგარისაგან განთავისუფლების წიგნს იმ საბაბით, რომ საკუთარი ძალებით თავის მამულში კოშკი აიშენა. მაგრამ ციციშვილი თავისი მეთოდებით შეებრძოლა დაფქვიაშვილის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას.[52]

ზემოაღნიშნული მოვლენები მიმდინარეობდა არა მარტო ძლიერ სათავადოებს შორის, არამედ შედარებით სუსტ სათავადოებშიაც, რაც საყოველთაოდ დამახასიათებელი ჩანს მოცემული ეპოქის საქართველოს სინამდვილეში. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში თავადი გაჩნდა, მისი დამოკიდებლობა მეფესთან თუ მეზობელ თავადთან ისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ რას უკარნახებს მას საკუთარი ფეოდალური ინტერესები, ხოლო თვით მეფის პოლიტიკა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა რამ, თუ არა ამ ფეოდალურ ინტერესთა თანასწორმოქმედი. მეფეთა პოლიტიკა კი არ განსაზღვრავდა ფეოდალების პოლიტიკას, პირუკუ, უკანასკნელთა ინტერესები განსაზღვრავდნენ, საბოლოო ანგარიშით, პირველს".[53]

გვიანფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ბედ-იღბალი ამ წარჩინებულ თავადთა „ჟინიანობაზე" იყო დამოკიდებული. მაშინდელი სწავლულები სამართლიანად შენიშნავდნენ, რომ „საქართველოს დარბაისელნი: მუხრანის ბატონი არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილავარი, ერთმანეთის მტერნი და მოქიშპენი იყვნენ: არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წარმოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდ-

---

[52] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 97, 99.

[53] ნ. ბერძენაშვილი, ფეოდალური ურთიერთობა XV ს. მასალები, 1937 წ. გვ. 28, 29.

ნენ, ვერც არას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე".[54] და რომ თვით რჯულმდებელი მეფე ვახტანგ VI სინანულით აღიარებდა, რომ საქართველოს მეფენი „ბევრჯერ ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევია, თორემ, მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ".[55] ამიტომ, იგი ხედავდა რა სახელმწიფოში ძლიერი მეფის აუცილებლობას, რომელიც ქვეყნის სიმტკიცის საფუძველს წარმოადგენდა, მისთვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო პირადულზე მაღლა ქვეყნის საქმის დაყენება:

„მეფე არა ხამს თავისა გემოსა მიდევნებული,
უხვი, მხნე, ტკბილი, მოწყალე, დროს რისხვის მონებებული,
შემძლე საქმისა, სხვათაგან რჩევითა უფრო ქებული,
თვით ელვიძოს და სამეფოს მძინარი, განსვენებული".[56]

მართალია გარკვეულ პერიოდებში მეფის ხელისუფლება საერთოდ სუსტი იყო, მაგრამ ამა თუ იმ სათავადოსთან შედარებით — ძლიერი. მართალია რეაქციულ თავადთა წინააღმდეგობა არასოდეს არ გადაშენებულა, მაგრამ არც მეფის ხელისუფლების სიძლიერისათვის მოქმედი ძალები ამოშრეტილან.[57]

XIX ს-ის პირველი ნახევრის დოკუმენტებიდან აღსანიშნავია ცნობები ქართლელი გლეხების ნასყიდი მიწების, შეძლებულ გლეხთა ფენის არსებობაზე, ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერებაზე, მებატონეთა აღვირახსნილობა-თვითნებობაზე და ა.შ. 1820 წ. ერთ-ერთი საბუთი სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მიგვითითებს, რომელიც გიორგი ბეგიაშვილის თხოვნას ეხება, აღნიშნულია, რომ „ჩვენი წინაპარნი გლეხებიან ძველად მეჯუდის ხეობაზედ, სოფელსა ბიყლარს ეკლესიის მამულზედ მსახლობელნი, და მუნ ბიყლარს დატყვევებულა ლეკთაგან პაპის ჩემის მამა ბეჟან, რომელსაც დაუტევია ტყვეობასა შინა არა მცირე-

---

[54] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1968, გვ. 180.
[55] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 479.
[56] ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, თბ., 1947, გვ. 74.
[57] დ. გვრიტიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 281.

დი ჟამი და დაღისტნიდან გასულა ყიზლარის ქალაქში, და მოსვლამდე პაპის ჩემის მამის ბეჟანისა, გასთხოვებია ცოლი თავისი ქასანს და თან გაჰყოლია გერათ პაპაჩემი გიორგი, მცირეწლოვანი, რომელიც მდგარა მელორხბოვეთ, და დატყვევებულა იგიცა პაპაჩემი გიორგი, ლეკთაგან რომელსაც მოუტანია არა მცირედი საცხოვრებელი მოსულა და შენელებულა სოფელსა მეჯვრის ხევს და რაოდისამე ხნისა, მოსვლია შვილიცა თვისი, პაპაჩემი გიორგი ტყვეობიდამ არამცირედითა საცხოვრებლითა უყიდნია ამილახორიანი აზნაურიშვილების ყანჩელებისაგან, ნასოფლარი ღრომი ციხით, წისქვილით და შესავალ-გამოსავლით, რომელზედაც აუშენებია სოფელი და ვსახლობვართ ჩვენ დღეს უყიდნია (მასვე დ.პ.) კვალად იქავ, ჩვენი სოფლის ღრომის თავს, ხსენებულის ყანჩელებისაგან ნასოფლარი ანდორეთი, უყიდნია კვალად ნასოფლარი გორეთი და სხვადასხვა მამულები ახალი კამერალნიის აღწერის შ.დ. წამართვა ამავე დავით ერისთავმა ნასოფლარი ანდორეთი, რომელიც იყიდა პაპაჩემ გიორგიმ ტყვეობის მდ, რომელსაც ნასყიდობის სიგელს გვიმტკიცებს მეფე გიორგი, დაასახლა ზედ ოსნი, მიიტანა ჩემმა ძმამ გუთანი ანდორეთს, ორი დღე ხნა, იგი ხნულიც ოსებმა წაართვეს და თვითონ ჩემი ძმაც კინაღამ მოკლეს, და ხნულიც თავისთვის დაფარცხეს ოსებმა, რომელშიც დღეს ქერი უდგიათ ...“[58]

ცნობილია, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოში, სოციალურ ცვლილებებს სათანადო შედეგები არ მოჰყოლია. იგი ისეთივე ფეოდალურ-ბატონყმურ ქვეყნად დარჩა, როგორც XVIII ს-ის ბოლო ათწლეულებში წარმოადგენდა. ამასთან, მწარმოებელი ფენის ეკონომიკური მდგომარეობა კი რამდენადმე გაუარესდა. ისე, რომ ახლადდამკვიდრებული სამმართველო აპარატი კი მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელ ფენას. აღნიშნულ გარემოებას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ საგარეო საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა და ლეკთა თარეშიც გრძელდებოდა, შიგნით მყუდროებაც დარღვეული და სხვ. ბუნებრივია ქვეყანა ეკონომიკურ გაჭირვებასაც განიცდიდა. აღნიშნულ გარემოებაზე მეტყველებს XIX ს. პირველ ნახევარში სახაზინო გადასახადების ნუსხა: სურსათი, კოდის-პური, მახ-

[58] ი. ანთელავა, საისტორიო მოამბე, 41-42, 1980, გვ. 179.

ტა ფულადი, მახტა პურეულით, მალი, ღალა, საბალახე, ყალანი, კულუხი, საკომლო, საალდგომო, საშობაო, სამასპინძლო, გასამყრელო, საქვრივე, საჩექმე, შევარდენი, ნაბადი და სხვ. ყველა ეს გადასახადი ადგილობრივ-ქართულს წარმოადგენდა და თავისი შინაარსით და შეგუებითაც ქართულ ფეოდალურ ეკონომიკას ესადაგებოდა.[59]

ამასთან, ზემოაღნიშნულ გადასახადებს XVIII ს. დამდეგისათვის, არამუდმივად, გარკვეულ შემთხვევაში „სარუსო", „სალეკო" და „სათათრო საურავი" ემატებოდა. XIX ს. დამდეგისათვის გადასახდებს შორის აღსანიშნავია სურსათის, რომელიც XVIII ს. ერთ-ერთ ძირითად გადასახადად ითვლებოდა და ვარაუდით ყიზილბაშთა ბატონობის დროიდან (1735-1744 წ.წ.) უნდა შემოღებულიყო და იგი იკრიფებოდა როგორც ქართული, ისე რუსთა ჯარისათვისაც.[60]

გადასახადების გადახდა მტკიცედ იყო დაკანონებული და უზენაეს საქართველოს მმართველობის კაზენის ექსპედიციის ერთ-ერთ ძირითად დავალებად ითვლებოდა, რომლის პასუხისმგებლობაც მებატონეს ევალებოდა. ამდენად, იმ შემთხვევაში თუ ყმა მას ვერ, ან არ გადაიხდიდა, ამ შემთხვევაში ხაზინა მას მებატონეს ახდევინებდა. ამ შემთხვევაში სურსათს, ერთნაირად იხდიდა ყველა გლეხი-სახაზინო, საბატონო თუ საეკლესიო — ორი კოდი პური ან ერთი კოდი ქერის რაოდენობით. იგი ევალებოდათ აგრეთვე სოფლად მცხოვრებ ვაჭრებსაც და ხელოსნებსაც, რომელთაც საერობო ისპრავნიკები კრეფდნენ და ძირითადად ნატურის წესით მიმდინარეობდა. გამონაკლისი სახით ფულითაც — ძირითადად მუსლიმანური მოსახლეობის ნაწილისათვის. რუსული მმართველობის შემოღებამდე გადასახადებს კრეფდნენ მეფის მოხელენი: სახლთუხუცესი, მოურავები, მდივნები და სხვ.

ხოლო მას შემდეგ, როდესაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მეტ-ნაკლებად უკეთესი პირობები იქმნებოდა (XIX ს. 30-40 წწ.) და იზრდებოდა სასქონლო ფულადი ურთიერთობების არიალი, ნატურალური გადასახადი თანდათან ფულადად — ბეგარად იქცევა, რამაც გლეხთა შორის ქონებრივი თუ კალსობრივი დიფერენციაცია გააღრმავა.

---

[59] ლ. გვახარია, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX ს-ის I ნახევარში, თბ., 1960, გვ. 221.

[60] იქვე, გვ. 24.

4. კლასობრივი დიფერენციაცია და მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა

ქართველის დახასიათებისას ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო კაცნი ამის ქვეყანასა არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალწარბთმისანი, თეთრყირმიზნი, იშვით შავგვრემან და მოყვითან, იშვით თვლაჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ-ქალთა თმა გარდაშეებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკეციილნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, მხნენი მუსაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობითა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, რამე თუ ვიეთნი ლგეჯს იდ ჟამს გაირბენს. სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამე თუ თვსთა სახელთათვს არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვსსა, სტუმართა და უცხოთ მოყვარენი, მხიარულნი გონიერნი, სწრაფად მომხდომნი, სწავლის მოყვარენი, თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამხედრო საგან კიდე, და ჰგონებენ დიდ მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამასწავლნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყვარენი, თვალმგებნი და მოთაკილენი ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრიგად: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელწვრილნი, ბეწვებული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკალტისა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემომდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბანბიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბანბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბამბისაგან ანუ ტილოსა ...“[61]

XVIII საუკუნეში და ნაწილობრივ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოში ისტორიული ბედუკუღმართობის წყალობით, როგორც აღინიშნა, აზნაურთა ფენის საკმაოდ დიდი ნაწილი თავადების ძალაუფლების ქვეშ იყო მოქცეული და ამდენად სამეფო ხელისუფლებას

[61] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 32.

მეტ-ნაკლებად დაკარგული ჰყავდა თავისი საყრდენი ძალიან გარკვეული ნაწილი. აქედან გამომდინარე, აზნაურობა თავისთავად ზურგს უმაგრებდა სათავადოთა სოციალურ-პოლიტიკურ ძლიერებას და ხელს უწყობდა ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის შენარჩუნებას.

აღნიშნული პერიოდისათვის, ქართლის სამეფოს მოსახლეობის აღწერა ოთხ სადროშოს ან სასარდლოდ დაყოფის პრინციპზე იყო აგებული და ხალხის, ანუ „ქვეყნის აღწერა“, ბუნებრივია ოთხ სააღმწერლო ერთეულად იყო გაყოფილი: „ცნობა საქართველოში ხალხის აღწერის წესის არსებობის შესახებ — აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, XII საუკუნემდე ჯერ არ მოგვეპოვება, მაგრამ უეჭველია, ეს გარემოება შემთხვევითი მიზეზით, მრავალი უძველესი ძეგლების დაღუპვით აიხსნება. ერეკლე I-ისაგან 1689 წ. ბოძებული საბუთებიდან ჩანს, რომ თითოეული ოთხი სადროშოს სათავეში მდგომი სარდალი ვალდებული იყო შვიდ წელიწადში ერთხელ თავის ხელქვეითი სადროშოს მოსახლეობა აეღწერინებია და ხალხის აღწერის დავთარი ჰქონდა“.[62] აღწერა სოფლობრივ და სოციალური მდგომარეობისდა მიხედვითაა დალაგებული. ამასთან, აღწერა მეკომურის მხოლოდ მამრობით სქესს ეხება, მდედრობითი სქესი არსად იხსენიებოდა, თუმცა მომდევნო — კამერალურ აღწერაში ოჯახის წევრთა შორის ქალიცაა მოხსენიებული.

მომდევნო ხანებში, აღწერები უფრო დეტალური, განსაკუთრებით ეკონომიკური ხასიათის შემცველია, მით უფრო როცა იგი დამპყრობლის თაოსნობითაა განხორციელებული. ერთ-ერთი ასეთი აღწერა 1741 წ. ნადირ-შაჰის ბრძანებით იქნა ჩატარებული, რომლის შესახებაც იმ დროის მწერალი გადმოგვცემს: „ესრეთ იყო აღწერა. რაც ძველთა ნასოფლარისადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბელით, ხრევი (ე.ი. ხარკი) დასდეს. აგრეთვე ამ სახით შენობა (თუ) სადმე იყო, დიდი ხრევი დასდეს თვალეს ვაზები. ეგრე ვაზის სათვალავს რასაც მიხვდნენ, ვაზს ერთი ბისტი (ორი კაპ.) დასდევს, სოფელსა ბაღსა შინა რაც ხე ნახეს, თითო შაური დასდევს, კაცის ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს, ყმაწვილზე,

---

[62] ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 4.

პირუტყვზე ყოვლისა ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფეხს შენობასა ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოველის კაცისგან დიდად შეუძლებელი იყო ამა ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა. მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის ხელით კაფიდის და აოხრებდის".[63]

„ყიზილბაშობის" შედეგები ძალზე მძიმე იყო. სოფლის მოსახლეობას შრომის ხალისი დაეკარგა, რამდენადაც შემოსავალი ყიზილბაშთა და ბატონის ბეგარას ვერ აუდიოდა. ამისათვის იგი სესხს მიმართავდა და ჩარჩის ხელში ექცეოდა და გადაუხდელობის გამო მონად იქცეოდა. ილავგაწყვეტილი გლეხი კი როგორც ითქვა სხვაგან გარბოდა. ასე ამრიგად, მკვიდრი გლეხობის რიცხვი კატასტროფულად კლებულობდა, ხოლო ბოგანოთა, ღატაკთა და ხიზანთა რიცხვი „ხარაბა" (მიტოვებულ-გაპარტახებული) ადგილები იზრდებოდა. აღნიშნული პროცესები გამოწვეული იყო დამპყრობელთა პოლიტიკით და შიდა სათავადოთა დაპირის-პირება-ბრძოლებით. ამ ხანებში — აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი — მარტო საამილახვროდან გადაიკრიბა კახეთში სამი ათასი კომლი კაცი. „ეს ყველაზე საშიში განაჩენი იყო, ქართლის ფართო საზოგადოებამ რომ გამოუტანა გადაგვარების გზაზედ შემდგარ აჯანყებას".[64] ამიტომ, ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა ბატონყმობის გაუქმებას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ ბატონყმური დამოუკიდებულების მოწესრიგებას. კერძოდ, აყრილ-დაკარგულთა, ხიზან-ბოგანოთა რიცხვის შემცირებას, ქვეყნის დამცველ მემკვიდრე გლეხთა, შეძლებულ, „გამომღებ" მიწის მუშათა გამრავლებას.

მას შემდეგ, როდესაც საქართველოში მოისპო ბატონ-ყმობა, მკვეთრად შეიცვალა მიწადმფლობელობის ხასიათი. აქამდე, როგორც ცნობილია, მიწა ეკუთვნოდა ხაზინას, ეკლესიას და მებატონეს. არნიშნულმა რეფორმამ მარტო თბილისის გუბერნიაში მებატონეს ხელუხლებლად დაუტოვა სახნავი მიწების ნახევარი. მცირე მიწა-წყლიან მებატონეთ გამოცხადებული იყო ისეთი მებატონე, რომელსაც 120 დღიურზე (60 დესეტინა) ნაკლები კარგი მოსავლიანი მიწა ჰქონდა. იმ შემთხვევაში თუ

---

[63] ნ. ბერძენიშვილი, დას. ნაშ. გვ. 173.
[64] ნ. ბერძენიშვილი, დას. ნაშ. გვ. 181.

მებატონეს კარგი მიწა 60 დღიურზე მეტი არ აღმოაჩნდებოდა, ის არაფერს აძლევდა გლეხს. გლეხს საკუთრებათ მიენიჭა ის მიწა, რომელზედაც იგი ბატონყმობის მოსპობამდე მოსახლეობდა — საეზოვე, ვენახი ან ხილის ბაღი. აღსანიშნავია, რომ ბარად მხოლოდ შემოღობილი ადგილი ითვლებოდა. საეზოვე მიწის მაქსიმალური ზომა ნახევარი დესეტინით იყო განსაზღვრული. რაც შეეხებოდა საძოვარ მიწებს მათით სარგებლობდა როგორც მებატონე, ასევე გლეხი და იგი საერთო ქონებად ითვლებოდა. გლეხის ნადელის მაქსიმუმად მიღებული იქნა ათი დღიური, ხოლო ურწყავ ადგილებში ოცი. დროებით ვალდებულ გლეხებს მებატონის სასარგებლოდ ღალად დაეკისრათ მოსავლის ერთი მეოთხედი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, თითქმის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება მიმდინარეობდა. ქართლ-კახეთის სამეფო გუბერნიად გამოცხადდა და იგი ხუთ — გორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრად დაიყო. 1840 წელს ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომლის შემადგენლო-ბაში შედიოდა: თბილისის, გორის, თელავის, ბელაქანის, ქუთაისის, ელისავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახჭევანის, ახალციხისა და გურიის მაზრები. 1846 წ. მას გამოეყო ქუთაისის გუბერნია (ქუთაისის, გურიისა და ახალციხის მაზრები) თბილისის გუბერნია — თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღისა და ელისავეტოპოლის მაზრებით, მთისა და ოსეთის ოკრუგებით.[65]

დროთა განმავლობაში ცვლილებები მიდინარეობდა ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფაში: XIX ს. 60-იან წლებში შორაპნის მაზრის შემადგენლობაში გადასულა გორის მაზრის 9 სოფელი, რომელიც 1860-61 წლების კამერალური აღწერით ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა. თუმცა, ამავე აღწერის შემდეგ, ამ მაზრაში შევიდა „მთის ოკრუგის" ქსნის უბანი, სადაც 1651 კომლი ყმა გლეხი ითვლებოდა. ამგვარად, გორის მაზრა თითქმის მთლიანად მოიცავდა დღევანდელი ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიონებს და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ძირითად ნაწილს და ამდენად ის ისეთი უმსხვილესთაგანი

---

[65] Сборник стат. свед. о Кавказе, Тиф. 1869, გვ. 43.

იყო გუბერნიაში, როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ისე, რომ იმდროის სახაზინო პალატის შეფასებით, ეს მაზრა უტოლდებოდა თბილისის გუბერნიის სამ სხვა მაზრას: ახალქალაქის, ახალციხისა და თელავისას.

რელიეფურად, მაზრა სამ ნაწილად იყოფოდა: ჩრდილო მთიანეთი, ბარის სანახები და სამხრეთ მთიანი. ჩრდილოეთით მდებარე მაღალი მთები მუდმივი თოვლით იყო დაფარული და ეს მთები თანდათან სამხრეთით დაბლდებოდა და გადადიოდა ვაკე-მთისწინა ადგილებში. ამ რეგიონის ვაკე ადგილები უმთავრესად მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების სანაპირო ველებით — აუზს წარმოადგენდა.

გორის მაზრა ადმინისტრაციულად დაყოფილი იყო 5 უბნად ანუ საბოქაულოდ, რომელთა სახელწოდება ზოგჯერ რეზიდენციასთან ერთად იცვლებოდა კიდეც. კერძოდ, თუ 1888 წ. საბოქაულოთა ცენტრები იყო ახალქალაქში, ბორჯომში, ცხინვალში, სურამსა და ტყვიავში, 900-იან წლებში ტყვიავსა და ახალქალაქის მაგიერ იგი ხიდისთავში და მეჯვრისხევში გადადის. უბანი სასოფლო საზოგადოებებისაგან შედგებოდა, ხოლო სასოფლო საზოგადოება კი სოფლებისაგან, სადაც ხშირად მიმდინარეობდა მათი გამსხვილება ან დაყოფა. თუ მაგალითად 1884 წ. მაზრაში იყო 124 სასოფლო საზოგადოება, 1886-1890 წლებში — 121, 1893 წ. და 1900-1901 წლებში მათი რიცხვი 37-მდე გაიზარდა. 1900 წლისათვის სასოფლო საზოგადოებები უბნების მიხედვით განაწილებული იყო: ბორჯომის 41 სოფელი, მეჯვრისხევის — 115 სოფელი და ამ უკანასკნელში გაერთიანებული იყო შემდეგი სასოფლო საზოგადოებები: ანდორეთის — 19, მეჯვრისხევისა — 11, მერეთისა — 13, ტყვიავისა — 12 და ხურვალეთისა — 19; ასევე სურამის უბანში შედიოდა 168 სოფელი აქედან ალის — 27 სოფლით, ატოცის — 27, ბრეთის — 11, ქვიშხეთის — 10, ხაშურის — 7, ოქონის — 35, სურამის — 15 და ხცისის — 36 სასოფლო საზოგადოება; ხიდისთავის უბანში — 184 სოფელი და სასოფლო საზოგადოება; ახალქალაქის — 18 სოფლით, ბობნევის — 45, დოესის — 4, ზღუდრისა — 36, კავთისხევისა — 16, ქარელისა — 8, მეტეხის — 6, ქვ. ნიჩბისისა — 8, რუისისა — 7 და ხიდისთავისა — 11;

ცხინვალის უბანში — 178 სოფელი და სასოფლო საზოგადოებებით: ბელოთის — 40, ჯავისა — 29, დიცისა — 20, თამარაშენისა — 12, წაუნარისა — 15, ცხინვალისა — 1 და შინდისისა — 12.[66] აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პერიოდისათვის უმეტესწილად სოფლის კომლთა რიცხვი საშუალოდ 25 აღემატებოდა. მაზრაში კი სულ 718 სოფელი იყო.

XVIII-XIX სს. გლეხთა კატეგორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხიზანი. ხიზანი თავისი შინაარსით წარმოადგენდა გლეხთა იმ კატეგორიას, რომელიც ერთი მებატონისაგან მეორე მებატონეს შეხიზნია, აგრეთვე სხვადასხვა ადგილებიდან გამოხიზნულ-გამოქცეულა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზით და გლეხი, რომელიც სხვადასხვა დანაშაულის გამო თავშესაფარს ეძებდა შორეულ ბატონთან, სადაც ახალ ცხოვრებას იწყებდა; ხიზნად მიდიოდა გლეხი, რომელსაც მიწა ან სულ არ მოეპოვებოდა, ან იმდენი არ ჰქონდა, რომ თავი ერჩინა. ამასთან, 1891 წლის კანონით, ხიზნად ითვლებოდა ისეთი გლეხი, რომელიც მიწაზე დასახლებული იყო აღნიშნული კანონის გამოცემამდე და მიწის პატრონთან არავითარი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, სადაც ჩანდა მიწით სარგებლობის დროებითი ხასიათი. თუ მებატონეს დართავდა იგი სარგებლობდა საბალახოთი და სათიბებით. ამ კანონის გამოცემამდე მებატონეს სრული უფლება ჰქონდა გაეძევნა ხიზანი თავის მამულიდან მხოლოდ იმ პრიობით, რომ მისთვის უნდა აენაზღაურებინა განსაზღვრული ფასი ნაშენებისათვის: სახლის, მარნის, ბეღლის, საღორის, ფარეხისა და სხვ. აგრეთვე ბოსტან-ბაღების გაშენების ღირებულება. მაშინ, როდესაც 1891 წლის კანონით, როდესაც მებატონე ხიზანის აყრას და გასტუმრებას მოისურვებდა, მას ერთი წლით ადრე უნდა განეცხადებინა მისთვის, ამასთან, სადგომ-ნაშენების ღირებულების შეფასება ორივე მხარის შეთანხმებით უნდა მომხდარიყო, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში თუ მებატონე აყრას მოინდომებდა მაშინ მას ორმაგად უნდა გადაეხადა ხიზნისათვის და ა.შ.

---

66 ი. უთურაშვილი, გლეხების კლასობრივი დიფერენცია საქართველოში XIX ს. II ნახ. 1857 წ. გვ. 13.

აღსანიშნავია, რომ გორის მაზრაში ხიზნების დიდ ნაწილს ოსები შეადგენდნენ, რომელნიც ტყიან, მაღალმთიან ადგილებში სახლობდნენ და ტყის მასივებს დაუზოგავად ჩეხდნენ, როგორც შეშა-მასალის დამზადების, ისე სახნავ-სათეს-საძოვრის გაფართოების მიზნით. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით მასიური გახდა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, როდესაც ე.წ. ძველი — „ისტორიული ხიზნების“ რიცხვი. უფრო მცირე იყო.

XIX ს. პირველი ნახევრიდან მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებში საკმაოდ ჩანს ფიცის დადების-აღთქმით ჩასახლების ფორმა. კერძოდ, 1846 წ. საბუთით ფიცის აღქმის გაფორმებით ჩასახლებულა: სოფ. სარაბუკში (ლიახვის ხეობა) ფ. ქ. ალბორიშვილები, ხავთეგა ქოქოშვილი, ჩერმენა გუჩმაზაშვილი, დმენისში — როსტომ ალბოსაშვილი, ტეტო ზაქარია და ყარამან ჩოჩიშვილები, ბასილა ავალიშვილი; საცხენისში — ქიტესა და გაბრიე ბიძინაშვილები, კიკოლა ჯანაშვილი, სიმონა კობალაძე, ტიტე და სოლომონ ხადურები, გიორგი ელიზბარაშვილი; ერედვს — მოსე ივანიშვილი, ტეტია ღამბაშიძე, სოლომონ ტურაშვილი, ნონია ბოცვაძე, ნინია და გიგა ცოტნიაშვილები, გიგო ტარიელაშვილი; ორტევს (ოტრევი) — ზაზა ჩოჩიშვილი, ფრიდონ შავერდაშვილი; ძარწემს — ბეჟან და ოთარ ჭოლიძეები, ბეჟანა მეტრეველი; ქემერტს — კიკოლა და სვიმონ მეტრეველები, ბესო და ხვთისო ოთინაშვილები, სოსია და ბერო მინდიაშვილები, ხვთისო და ეფრემ კასრაძეები[67] და ა.შ.

ამავე საბუთში კარგად ჩანს აგრეთვე სავაჭრო ცენტრებში ჩასახლებულ ვაჭარ-ხელოსანთა ზრდის პროცესი, რომელნიც „მოქმედებენ ვაჭრობითა განა მუშაკობითა და არ აძლევენ სოფელს — ცხინვალს გამოსაღებს“. ასეთთა შორისაა მაგ., მედუქნე-ხელოსნები: 1. საჩინო იაშვილი, 2. ბესარიონი, 3. მღვდლიშვილი ზაქარია და მიხეილ ტერსტეფანოვები, 4. დავით შერმაზანოვი — შერმაზანაშვილი, 5. ბეჟანა შერმაზანაშვილი, 6. პეტრე შერმაზანაშვილი, 7. პავლე შერმაზანაშვილი, 8. ივანე შერმაზანაშვილი, 9. სტეფანე ჩარექოვი, 10. გიორგი შერმაზანოვი, 11. მიხაკო შერმაზანოვი, 12. იაკობ ხითაროვი, 13. გაბრიელ ცაბაძე, 14. შიო

[67] სსცია ფ. 72, ნ 4, საქ. 25, ფურ. 32.

ბურნაძე, 15. ბეჟან ბეჟანოვი, 16. ჯვრისხეული გურგენა, 17. მოსე კარაპეტაშვილი, 18. სონია ოქროკვერცხიშვილი, 19. სოლომონ ქოჩაშვილი, 20. ფარსადან კარაპეტაშვილი, 21. ახალგორელი გეუა და აკოფა, 22. ოქრომჭედელი ქიტუაშვილი, 23. პავლე სოსიაშვილი, 24. მჭედელი ნუნელა, 25. პეტრე ხარებაშვილი, 26. ალექსი დათიკაშვილი, 27. ბერო ნალბანდი, 28. იოანე მეხანჯლიშვილი, 29. ბაღდასარა ოქრომჭედელი, 30. გიო მეკონდარელი, 31. ელიზბარ მექვაბე. ურიათაგან ვაჭრობენ: მიშა მალალაშვილი, ხახამი მოშე პაპისაშვილი, ხახამი დავით წერუაშვილი, თეზერა კრიხელი, აბრამა შიმშილაშვილი, შანო ნანიკაშვილი, იოსებ კრიხელი; ქართველთაგან მუშაობენ: გიგოლა მიქელაძე, ზაქარია მიქელაძე, გიორგი სისაური, გორელი მჭედლები: დავით ბოჭორიძე, გიო ჯაბაური, გია გიაშვილი, კურგაშვილი".

აღნიშნული დროისათვის, ცხინვალის ყოველმხრივ დაწინაურება, განპირობებული იყო ქვეყნის საერთო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობით, მთიელ ხალხთა შორის ცენტრალური ადგილებისაკენ ლტოლვით, რაჭისა და საერთოდ ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელებით, განსაკუთრებით კი ქალაქ გორთან, ცენტრალურ გზატკეცილებთან სიახლოვით, რომელიც რეგიონის ყველაზე მსხვილ ხალხმრავალ სავაჭრო-ეკონომიკურ ზონას წარმოადგენდა. მარტო გორში 1833 წ. მონაცემებით ცხოვრობდა 1752 მამაკაცი, 1248 ქალი, მოქმედებდა ქვის ქართული ეკლესია — 4, ხის — 1, ქვის სომხური ეკლესია — 4, ქვის სახლი — 320, ხის — 2, ქართული გლეხის დარბაზი — 278, სასულიერო სასწავლებელი — 1, 48 — სამაზრო სასწავლებელი, სასულიეროში სწავლობდა 75, 126 კერძო სკოლაში სწავლობდა 203 მოსწავლე, ფუნქციონირებდა 215 სავაჭრო დუქანი, სასმელებით მოვაჭრე 30 დუქანი და ა.შ.[68]

კლასიკური ფეოდალიზმის მსგავსად, საქართველოში, როგორც ცნობილია ბატონყმური მეურნეობა ორი ფორმით — საბეგარო და საღალოს სახით იყო წარმოდგენილი. რეფორმის წინა ხანაში, თავადაზნაურობა თავისი მიწის მცირე ნაწილზე ეწეოდა ყმა გლეხთა შრომაზე და-

[68] სსცია, ფ. 72 ან. 3, საქ. 4678.

მყარებულ მეურნეობას. ხოლო კულტურული მიწები ძირითადად გადაცემული ჰქონდათ ყმა გლეხებისათვის, რომელნიც მებატონეთა სასარგებლოდ იხდიდნენ მოსავლის გარკვეულ ნაწილს ღალა-კულუხის სახით.[69] ამავე ხანის საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას მეტ-ნაკლებად აფერხებდა მსხვილ თავადაზნაურთა მიწათმფლობელობასა და წვრილ გლეხურ მეურნეობას შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობა. ეს ის დრო იყო, როცა სწრაფად მიმდინარეობდა გლეხთა კლასობრივი დიფერენციაცია — ერთის მხრივ იქმნება მესაკუთრე გლეხთა კატეგორია, ხოლო მეორეს მხრივ ფერმერულ მეურნეობათა მფლობელთა საკმაოდ მძლავრი ძალა. ამასთან, როგორც სახასო, ისე საბატონო გლეხთა შორის მნიშვნელოვნად იყვნენ ძლიერი მეურნეობის მფლობელებიც, რომელნიც მიწის შესყიდვას ახერხებდნენ და ამდენად, აღზევებულ გლეხებს, შესაძლებლობა ეძლეოდათ ხელქვეით გაეხადათ თავისივე სოციალური მდგომარეობის მეურნე.

როგორც ჩანს, მოსახლეობის სოციალური დიფრენციაცია და დემოგრაფიული მდგომარეობა დროის შესაბამისად იცვლებოდა, რასაც ხშირად მძიმე, გამოუსწორებელი შედეგებიც მოზდევდა. ამიტომ, საკვლევი რეგიონის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესწავლისას, ერთ-ერთი ძირითადი ადგილი დავუთმეთ დემოგრაფიული ძეგლების განზოგადებას, რომელიც შესაბამისი პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს ხალხის აღწერის დავთრების საბუთების სახითაა გამოქვეყნებული აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში — „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები“.

როგორც აღნიშნული მონოგრაფიის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, სტატისტიკურ-დემოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები, საქართველოს ისტორიის ფეოდალურ ხანას რომ შეეხება მეტად მცირედ მოიპოვება. ეს გარეომოება კი ამ ხასიათის საბუთების დაუცველობა-შემოუნახობას მიეწერება და არა მათ ოდიდგანვე არარსებობს.[70]

---

[69] აღ. ბენდიანაშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ., თბ., 1965, გვ. 63.

[70] ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშ. გვ. 5.

1774 წლის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ქსნის ხეობაში, კერძოდ ჭურთის ხევის სოფ. ილურთ კარში ქსნის ერისთავის ილურიძეთა 15 ყმა ოჯახს ორი მოურავი ხაჯარა და ოთარი განაგებდა; ქსნის ერისთავთა ამავე ხევის ბუჯიაანთ კარში იმავე მოურავთა ზედამხედველობაშია ზანგაურიძეთა ორი ოჯახი, ცეცხლაძეთა ერთი და ბუჯიძეთა თერთმეტი, რომელთაგან ბოგანო იყო მხოლოდ ერთი ოჯახი; აქვე, დორეულთ კარს ამავე მოურავის სახელო იყო დორეულთა 16 ოჯახი, აქედან ბოგანო 2. სოფელ შველიეთის შერმადინთა 13 ოჯახი, აქედან ბოგანო 2, მოურავი ბერი; ამავე მოურავის სახელოა გავაზს მოსახლე ბუთხუზთა 9 კომლი, აქედან ბოგანო ერთი ყაჭიური 2 კომლი, ალაველი ერთი — ბოგანო ხიზანი ბუქური — არაგვის მოურავის ყმა, ხადელი დათუას შვილი, ამავე მოურავის სახელოში სოფელ ხარბალს ქსნის ერისთავის ყმა ქენქაძე და 12 კომლი, აქედან ბოგანო ერთი; ქარჩოხს ქენქაანთ კარში მოურავი აბრამი, ივანე და გრიგოლ თინიკაშვილთა ერთი და 15 ქენქაძეთა კომლი; სოფ. პავლიანთ კარს ამავე მოურავის სახელო 9 კომლი პავლიანთ იწოდება; ლარგვისის მონასტერს ქსნის ერისთავის ყმა; ზარიძე ოთია და თადილა, ზარიძე კაცია, ბერი და ქიტესა წინამძღვრის მსახური, ზარიძე გიორგი და ბეცია წინამძღვრის მსახური აქავე, ჯავახეთიდამ გადმოსული თავის ნებით მონასტრისათვის თავშეწირული კომლი, ღვინია, იასე და თევდორე; აქავ, ბოგანო თეზელი დვალიძე ბერუკას შვილი ბესი, პეტრე და ივანე; აქავ, ბოგანო თიღველი ბასინიძე გაბრიელის შვილი თავი, ზურაბი; აქავ, ბოგანო იმერეთიდამ წინამძღვრისაგან თან მიყვანილი კომლი, თავი, იობ და უმცროსა; აქავ, აზნაურ შვილი ჟურული იასონის შვილი კომლი, თავი, დავით; აქავ, აზნაურიშვილი ჟურული გიორგის შვილი კომლი, თავი, პატარკაც და აბრამ; აქავ, აზნაურიშვილის ჟურულის დემეტრეს ობოლი, თავი, პეტრე, იოსებ და გრიგოლ; ცხაოტს, მოურავი შიო და ბასილა სახელო; 23 ბუნტურთა ოჯახი, 4 ჟივიძის, 3 ყურაულის, 2 ოსის შვილი, ერთიც ბოგანო — ახლოურის კომლი, აგრეთვე ხიზანი ხადელი ჩოქურის შვილი კომლი, თავი, ვაჟიკა; ნახიდს ქსნისვე ერისთავის ყმა: ფსუტური 6 კომლი, ჯაბაურის 3, მამლიძე — 2, ილურიძე 1, უთნიაანთ 1, ხიბიარიაანთ 1 კომლი; იკოთს

43 კომლიდან 9 ხიზანია, ერთი ბოგანო, მათ შორის აზნაურ შვილი ფიცხელაურის შოშიას 4 ყმა ოჯახი, აზნაურიშვილი ფიცხალაური ავთანდილის ყმა 4 ოჯახი და ა.შ.

ამავე მასალების მიხედვით, ირკვევა, რომ ქსნის ერისთავთა მფარველობა-ყმობის ქვეშ იმყოფებოდა არაერთი აზნაურიშვილი, რომელთა უმეტესობა გარედანაა შემოსულ-შემოხიზნული და მეტ-ნაკლებად დამახასიათებელს წარმოადგენდა საქართველოს ყველა რეგიონისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თავადის ყმობიდან წასული აზნაურის ყმა-მამული თავადის ხელში რჩებოდა და მისი ერთადერთი მემკვიდრე და მომხმარებელი ხდებოდა, თავადები მაინც სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მათ წასვლას. ამასთან, აზნაურის წასვლის შემთხვევაში თავადი დიდი ხნის განმავლობაში დაეძებდა მას და როცა იპოვიდა მოითხოვდა მის უკან დაბრუნებას. და თუ იგი ნებით არ დაეშორჩილებოდა მაშინ სასამართლოს ძალით ცდილობდა მის დაბრუნებას.

მაგალითად, იმერეთის აზნაური გიორგი საყვარელიძე, რომელიც XVII ს. დამდეგს და XVIII ს. დასაწყისს სტოვებს თავის სამემკვიდროს და ქართლში გადმოდის დედის ნათესავთან — პაპუნა ციციშვილთან, სადაც თავი შეუფარებია, ის არ ჰყმობია, მხოლოდ „კედლათ დამდგარა“ — შეხიზნებია. როდესაც პაპუნა ციციშვილი გარდაიცვალა იგი სხვა ნათესავთან — სადავითაშვილოში — ელზბარ დავითაშვილთან დამდგარა აგრეთვე ხიზნად. და როდესაც ელზბარ და კონსტანტინე დავითაშვილები იყრებოდნენ მას საფრთხე შექმნია, რამდენადაც სხვა ყმა-აზნაურებთან ერთად მისი „წილში ჩაგდებასაც“ მოინდომებდნენ და ამდენად მათი სრული ყმა გახდებოდა. ამის გამო, საყვარელიძემ ვახტანგ VI არზა მიართვა რათა იგი წილში არ ჩაეგდოთ. მეფემაც სათანადო ბრძანება გასცა, რაც არ ესიამოვნათ დავითაშვილებს, რომელნიც მას თავიანთ ყმად სთვლიდნენ. „გავიდა ხანი, მეფე რუსეთს გადაიხვეწა, ელიზბარ დავითაშვილმა დამიჭირა და ჩემს ცხოვრებისაგან დამცალა, სულის მეტი არ შემარჩინა რა“ — წერს საყვარელიძე არზაში. ამიტომ, იგი ისევ სამკვიდრო მამულში-იმერეთში გადასულა, სადაც კიდევ უფრო გასჭირვებია და ისევ ქართლში თავის მოყვარესთან დამდგარა 10-12 წელიწადი.

რაკი აქაც ქვეყნის არეულობის გამო, შვილების გაყიდვის შიში შეპყრობია, და მეფის ყმობაში შესვლაზე კი ხელი არ მიუწვდებოდა, ამიტომ დიმიტრი ამილახვრიშვილთან მისულა და წყალობის ყმა შექმნილა, რომელსაც ყმა მამული უბოძებია ცხინვალს, ნიქოზს, ტბეთს და თამარაშენს. და როდესაც ერეკლე II-ემ დემეტრე ამილახვრიშვილი დასაჯა ღალატისათვის და ყმა-მამული ჩამოართვა, დავითაშვილებმა იხელთეს და დაიწყეს ბრძოლა საყვარელიძის დასაბრუნებლად, რაც მემკვიდრეობით გრძელდებოდა.[71]

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საყვარელიძეს დაუტოვებია ყმა-მამული და ისე წასულა დავითაშვილებიდან, ეს უკანასკნელნი მას მაინც თავიანთ ყმად მიიჩნევდნენ, რაც საერთოდ დამახასიათებელი ჩანს აღნიშნული პერიოდის საქართველოსათვის.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს აგრეთვე 1781 წლის აღწერის მონაცემები, სადაც ქსნის ხეობაში, ბოგანოა 9 ოჯახი, ხოლო ხიზანი — 26. მაშინ, როდესაც წინა აღწერის შესაბამისად იგი უდრიდა 39 და 49 კომლს, თუ წინა აღწერით, იგივე ჭურთის ხევის ილურთ კარში 15 ყმა ოჯახია, ახლა 16-მდე გაიზარდა; როდესაც ქარჩოხს — თინიკაშვილი აბრამის სამოურავოში შედიოდა 12 სოფელი: ჭორჭოხი, ახალდაბა, შატაკთ კარი, თინიკაანთ კარი, ვაკე, კვერიეთი, მიდელაანთ კარი, ხოზოეთი, ქენქაანთ კარი, გოლგოლეთი და კორინთა, — წინა აღწერით მასში მხოლოდ ერთი — ქენქაანთ კარი შედიოდა. ჩანს, რომ ადმინისტრაციული ერთეულების გამსხვილების მმართველობის სისტემა ხელს აძლევდა, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც საბოლოოდ მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შენელებისაკენ იყო მიმართული. მაშინაც კი, როდესაც იგი მიმდიანრეობდა რეგიონის შიგნით, ცალკეულ თავადაზნაურთა შორის უკმაყოფილებასა და გაუთავებელ დაპირისპირებას იწვევდა. მიუხედავად ყველა ზემოაღნიშნული გარემოებისა, ნატურალური მეურნეობის რღვევა და საბაზრო ურთიერთობათა ზრდა საზოგადოებას

[71] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 41.

ამ პროცესების დაჩქარება-გაკონტროლების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ეცლინებოდა.

რამდენადაც შიდა ქართლის ადმინისტრაციული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ქსნის საერისთაოთა გამგებლობაში იყო მოქცეული, იმდენად, რეგიონის სოციალური ურთიერთობის კვლევაში ბუნებრივია ფართოდ ვეყრდნობოდით მასში შემავალ მოსახლეობის კამერალურ აღწერებს, საიდანაც ზოგიერთი სოფლის მაგალითზე შევეცადეთ განგვეზოგადებინა ის დემოგრაფიულ-მიგრაციული პროცესები, რომელიც მოცემული პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი.

მაგალითად, 1818 წლის აღწერაში სოფ. მეჯვრისხევში 75 კომლია შესული, ხოლო 1881 წლის – 63, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მომდევნო პერიოდში თავისუფალ კომლთა ოდენობა საკმაოდ გაზრდილა, ხოლო შესაბამისად დამოკიდებულთა რიცხვი შემცირებულა. ზემოაღნიშნული აღწერის მასალები იმითაცაა საინტერესო, რომ აქ მოსახლე ოჯახთა ჩასახლების წარმომავლობასაც ვგებულობთ. ჩანს, რომ აღნიშნული პერიოდისათვის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი წარმოშობით მთის სოფლების: ბიყარიდან, ქოლოთიდან, ჭალისუბნიდან, წოლდიდან, ჭურთიდან, ისროლის ხევიდან, ბენდერიდან, იერეთიდან, შველიეთიდან ყოფილან. აქედან უმეტესობა სოფ. ბიყარიდან და ქოლოთიდანაა: კერძოდ: ბეგიაშვილები, ჯიხვიშვილები, ფიდიურები, ხუტაურაშვილები; ქოლოთიდან: ხარხელი, ხომიზური, კეკელაშვილი, ლითესაშვილი; ჭალის უბნიდან – ფსიტიძე; წოლდიდან: ხოდელიშვილი, იარდალაშვილი, ქარუმიძე; ქურთიდან – ბუჯიაშვილი და დორეული; ისროლის ხევიდან: ინაური, მილაძე; შველიეთიდან – შერმადინი; გავაზიდან – ბუთხუზი; საძეგურიდან: ჩოჩელი და თაგაური; ქარ-ჩოხიდან – ხოკრიშვილი; წოლდიდან: წიკლაური, ჩიტიშვილი; საცხენეთს მყოფი – შატაკიშვილი; თიანელი დათვისშვილი; კილდელი: გენგიური და ზიკური; ყანჩაეთიდან რატიშვილების ყმა და ა.შ.

როგორც ავღნიშნეთ, ზემოაღნიშნული კამერალური აღწერები უმეტესად მოსახლეობის იმ ნაწილს ეხება, რომელიც ახლადაა ჩასახლებული. მაგალითად, ჩუბინიშვილების გვარი, რომელიც ქსნის ერისთავთა

ყმა-აზნაურებს ეკუთვნოდა სოფ. მეჯვრისხევში დაფიქსირებულია 1741 წლის ერთ-ერთ საბუთში, ხოლო 1781 ს. აღწერაში არაა შესული. ამ საბუთის მიხედვით, ქსნის ერისთავმა შანშემ ბეჟან ჩუბინიშვილს უბოძა „მეჯვრისხევს ლუარსაბ ლოლაძის წილი მამული, სასახლე და კოშკი გარშემო თავისი ყმითა, ალაგითა, წისქვილითა“. ხოლო 1784 წლის საბუთში ნათქვამია, რომ ჩუბინიშვილები ქსნის საერისთაოში შანშე ერისთავის „ბატონობასა და გამგებლობაში“ მოსულან. ქსნის ხეობის 1774 წლის აღწერებით კი ჩუბინიშვილები ლამისყანას სახლობენ ერთ კომლად, ხოლო 90-იან წლებში გაყრილან. 1807 წ. ერისთავისშვილებს გაყრილობის წიგნში ჩუბინიშვილთა ორი კომლია შეტანილი. ერთი მათგანი მეჯვრისხევს, მეორე კი ლამისყანას მოსახლეობს.[72]

აქვე უნდა ითქვას, რომ მეჯვრისხევი ისტორიულად წარმოადგენდა ამ რეგიონის ერთ-ერთ მსხვილ საბაზრო ცენტრს, რის გამოც მოსახლეობის აქტიური ზრდაც მიმდინარეობდა. საერთოდ კი მოცემული პერიოდისათვის ფრიად დამახასიათებელია მთის მოსახლეობის ბარად ჩამოსახლების ტენდენცია, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო მშვიდობიანობით, საბაზრო ურთიერთობათა გაფართოებით, საქალაქო მეურნეობის ზრდით და ა.შ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობს არა მარტო ქალაქებში, არამედ მის მიმდებარე — საგარეუბნო ზონაში, რაც იმავე გარემოებით იყო განპირობებული. ამიტომ, ჩანს, რომ საგარეუბნო სოფლებში ახლად ჩამოსულთა შორის ჭარბობს შედარებით შორეული რეგიონებიდან ჩამოსული ხალხი, რომელთა საქმიანობა ძირითადად სხვადასხვა ხელობით და ვაჭრობით შემოიფარგლებოდა. აღნიშნულის დამადასტურებელია თუნდაც სოფ. ხელთუბნის მოსახლეობის ზრდა ხელმწიფის ნასყიდი განჯელი ტერტერაშვილის, აიდარბეგელი სახასო ზეთუაშვილის, ლორელი სახასო ასლანიშვილის, ყაზახელი, ატენელი ხეჩიკაშვილის, საქვათ ხეო ბასიაშვილის, ურიეტელი ავაქაშვილის, შუშალელი ფანაოსაშვილის, ახპეტელი ბაღდასარაშვილის, აქაურივე შამბარაშვილის, ირაგელი ზურაბაშვილის, ლილოელი კბილაშვილის, სამთავნელი მერაბიშვილის, მანგლელი საილოშინაშვილის, ერევნელი ბაბა-

[72] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშ. გვ. 151.

ნაშვილის, ჯავახი როსტომაშვილის და გერმანოზაშვილის, დელელი ყაზარას და სხვათა ხარჯზე.

ხოლო რაც შეეხება რეგიონის იმ სოფლების მოსახლეობას, რომელიც შედარებით დაცილებულია ცენტრალურ პუნქტებს, აქ მათი ზრდაც უმნიშვნელოდ მიმდინარეობს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია სოფ. კირბალის მაგალითი, სადაც აღწერაში შესულია მხოლოდ რამოდენიმე პირი. მათ შორის: მთავარეპისკოპოსის ყმა ანანიაშვილი ზურაბი, აზნაური, ქვენატკოცელი ათაშვილი და პაპიტაშვილი დათუნა ხიზანი, ჯავახი თევდორე ხიზანი, რუსი ქიტესა, ხიზანი და ა.შ.

სოფ. იქით გარეჯვარს ედიშერ მდივნის ყმა თუში შერმაზანა — მეკომლე, ამისივე ყმა ჩრდილის უბნელი საათაშვილი კაცია — უმამულო; ოთარ მდივნის ყმის მამულზე დგას წყნეთელი. ასიტაშვილი მელქუა — მეკომლე, ამისავ, მამულზე ბოგანო — ჯავახი ანდრია; ქარუმიძე ავთანდილი ამილახორის ყმა ბეგას შვილი ზურაბა — მეკომლე, ამისავ ყმა წაქარელი მარქარა ამირხანაშვილი — უმამულო, ამისავე ყმები არიან წაქარელები: ამირხანაშვილი არქალა — უმამულო, ათანას შვილი ათანა — უმამულო, თვალიაშვილი ბერუა — უმამულო; ტეტია ყაფლანისშვილი ყმა წნულელი თამაზა-ხიზანი, სამცხეთო ატენელი დვალიაშვილი პაპა — ხიზანი, გორელი ჯაშნაშვილის ყმა გოგებას შვილი დავითა — ხიზანი, ავჭალელი ავბეწაშვილი — გულია-ხიზანი, გურამიშვილის გივის ყმა ავჭალელი მიქცოიშვილი, დიაკვანი — ხიზანი, ყამახელი ბადალა — ხიზანი, შანშიაშვილი გივის ყმა სახუნდრელი არუთინა — ხიზანი

როგორც ნაწილობრივ აქ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, გარეჯვარში XVIII ს. შუაწლებისათვის აღწერაში შესულ 34 ოჯახიდან 4 — აზნაურია, ბოგანოს სახით 3, მეკომლის — 3, ხიზანის — 13 და 1 დიაკვანი ხიზანის უფლებით, რაც იმის მაუწყებელია, რომ სოფელი, როგორც ჩანს სოციალურად და ეკონომიურად დაცულს წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში თუშეთიდან, სვანეთიდან, ჯავახეთიდან, წაქარიდან, ავჭალიდან და სხვ. ადგილებიდან არ აიყრებოდნენ და მუდმივ საცხოვრებლად ამ საოფელს არ აირჩევდნენ.

თითქმის ასეთივე ვითარებაა სოფ. ხელთუბანში, სადაც აღწერაში შესული 109 ოჯახიდან ბოგანო — 21, მეკომლე — 29, ხიზანი — 86 უმამულო — 12, ჩამოსულ-ჩახიზნულთა ძირითადი ნაწილი ქართლის სხვადასხვა რეგიონებიდანაა, რაც იგივე ზემოალნიშნული გარემოებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან, რამდენადაც 1849 წლის საბუთების მიხედვით, გორის უბანში შედიოდა შემდგომში ცხინვალის მხარეში შემავალი სოფლები: იკორთა, კულბითი, ქსუისი, დმენესი, ჭარები, სათიხარი, აწრისხევი, ძარწემი, ქემერტი, სვერი, კეხვი, ქურთა, ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, თამარაშენი, დგვრისი, ცხინვალი, საქაშეთი, სნეკვი, წყაროსთავი და სხვ. თავისთავად ხელს უწყობდა რეგიონის შიდამიგრაციულ პროცესებს.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ზემოალნიშნული მონაცემები, ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ აქ ნათლად ჩანს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. კერძოდ, საკვლევი რეგიონის სოფლის მოსახლეობა უმთავრესად ქართველებისგან შედგება, ხოლო რაც შეეხება დასახლების სტრუქტურას, დოკუმენტები აქაც შესაბამისად გვამცნობს მოსახლეობის საგვარეუბნოდ დაყოფას.

1774 წ. ხალხის აღწერის მიხედვით, ახალგორის ქსნის ერისთავის ყმები არიან: ბალანდოზაანთ გიორგის შვილი, ივანაანთ გათენასშვილი, ფირყულაანთ, გათენაანთ, ჯავახაანთ, სტეფანაანთ, საგიანაათ, ჯანეზაანთ, როსტევაანთ, ელჩუანთ, ხახიანთ, თიუნანთ, მეარაყიანთ, მურადიანთ, როსტევანიანთ შვილი და ა.შ. აქვეა აღნიშნული ხიზანთა ვინაობის შესახებაც, რომელნიც ახალგორს არიან დასახლებულნი: ხიზანი სახასო ციხელი თათარა მამაცაშვილი, ხიზანი სახასო გორელი ქამალანთ ტეროტანას შვილი, ხიზანი სახასო ყაზახელი მჭედლის შვილი, ხიზანი სახასო გარეთუბნელი ჯეკიმალანთ დავითას შვილი, ხიზანი სახასო ავლაბრელი ებიტანა გიორგის შვილი ხიზანი სადედოფლო წინწყაროელი თუმანას შვილი, ხიზანი საბატონისშვილი, ლორელი ყარაგოზას შვილი, ხიზანი კათოლიკოსის ყმა ძეგველი, წერაქველი, ახტალელი, ქოთახეველი, ხელთუბნელი, სანაინელი, ზემოსახურდელი და ა.შ.[73] სა-

[73] ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშრ. გვ. 201.

ბუთი იმითიცაა საყურადღებო, რომ ხიზანთა ძირითადი ნაწილი მოიხსენიება არა გვარით, არამედ მამის სახელით და შთამომავლობით, რაც დამახასიათებელს წარმოადგენდა უძველესი დროს გვარსახელების გენიალოგიაში. ჩანს, რომ ქვეყნის ცალკეულ ადგილებში აქტიურად მიმდინარეობდა თვითნებური და არა იძულებითი, ზეწოლით მიგრაციული პროცესები, რომელიც განსაკუთრებით ჭარბობს მთის მოსახლეობაში.

1849 წ. საბუთის მიხედვით, თავადი მიხეილ ელიზბარისძე მაჩაბელი თხოვნით მიმართავს გორის უბნის უფალის კავალერიის პორუჩიკს თავად მაჩაბელს: „საკუთარნი ყმანი ჩემნი მცხ. სოფ. საბანწმინდას რაჯამა და მოსე ქასაბიშვილები გახდნენ ჩემის ბატონ-ყმურის მორჩილებისაგან ერთად. სხვათა გლეხთაგან ჩემმა მუნ მცხოვრებთა დაუწესეს თავისი სამკვდრო ადგილსამყოფელი უცნობად ჩემდა და ადგილობითს მთავრობისად და იფარებოდნენ ხიზნითურთ მათით და მომძრავს საცხოვრებლად ოსეთის ოკრუგში, რომელნიც თხოვნისამებრ ჩემისა და თქვენი ოტნოშენი-ს ბრწყინვალება წარმოგზავნილ იქნენ ყარაულით ჯავის უჩასტნიკი და აწ იმყოფებიან ცხინვალში და უარს ჰყოფენ მოქცევითა თავის ადგილისამ მცხოვრებლად“. (სსცია, ფ. 254, ან. 3, საქ. 1178).

როგორც ჩანს, აღნიშნული საბუთით ელიზბარ მაჩაბელი მათ დაბრუნებას და დატუსაღებას მოითხოვდა და დასძენს, რომ იგი სამაგალითო გახდეს სხვისთვისაც-ო. ამავე პერიოდის ქართლის სინამდვილისათვის დამახასიათებელი ჩნდება საზოგადოების ახალი ფენის — ვაჭარ-კომერსანტთა მომძლავრება, რაც მიმდინარე პროცესების შესაბამისობით იყო გამოწვეული. აღნიშნული კატეგორიის ფენებისათვის საკმაოდ ნოყიერ გარემოებას წარმოადგენდა ქართველ თავადაზნაურთა ერთი ნაწილის უყაირათო ცხოვრება და ვალში ჩავარდნა. რისთვისაც ისინი მამულების დაგირავება-გაყიდვას მიმართავდნენ.

აღნიშნულის დამადასტურებელს წარმოადგენს აგრეთვე 1849 წლის ერთ-ერთი საბუთიც, სადაც აღნიშნულია, რომ გორის მაზრის სოფ. ტყვიავში, ახლად ჩამოსახლებული გლეხები იოკიმე, პანტელეიმონ და გიორგი ხოროვიჭები, რომელნიც კომერსანტობას იწყებენ ვალში — გირაოში ჩადებულ ელიზბარ, დიმიტრი და ალექსანდრე ქსნის ერისთავე-

ბისაგან იძენენ და იფორმებენ დიდ მიწებს. კერძოდ აქ აღნიშნულია: „ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი, გორის მაზრის მეაბტონეთ კაპიტანმა გრიგოლ, შტაბს კაპიტანმა ელიზბარ, დიმიტრი და პორუჩიკმა ალექსანდრე შანშესძეთ ქსნის ერისთავთ განვითავისუფლეთ სახელმწიფო უწყებაში ჩუენი სამკვიდრო გლეხი პეტრე ხოროვიკი მცხოვრები ამავე უეზდის და უჩასტოკის სოფ. ტყვიავის თავისის სახელით და ყმა ამისა აღნიშნულის მამულით. ესე იგი პეტრე ხოზვიჭი 45 წელის, ცოლი ამისი ტასია 33 წლის, შვილი ამისა პანტელეიმონ 5 წლის, მეორე ვაჟი რაჟდენ 3 წლის, ქალი ეკატერინე 2 თვის, ძმა პეტრესი ანდრია 35 წლის, ცოლი ამისი კონია 25 წლისა, ვაჟიშვილი პირველი მათე 7 წლისა, მეორე გოგო 3 წლისა, მესამე ტატო 1 წლისა, ქალი სოფიო 15 წლისა, მეორე მარიამ 4 წლისა. მეორე ძმა პეტრესი იაკობ 30 წლისა, ცოლი ამისი ტასია 15 წლისა, ქალი ამისი ანა ერთნახევარი წლისა, სახლი, მარანი, ბოსელი, ეზო, ბოსტანი დღიური საზენაქრო ალექსი ჩიხლაძის ვენახი, საქვენაქრო ნინია ხოროვიჭის მარანი, თავზე მისა გზა, ბოლო გიგოლას კალოს პირამდინ, ნასყიდი არს ეს სახლკარი. მთელი ნასახლარი სიგრძით ექვსი ადლი და სიგანით ექვსი ადლი, აღმოსავლეთით ნინა ხოროვიჭის სახლის კარებში კალო .საბძელი, სიგრძე ათი ადლი, სიგანე ხუთი ადლი ბოლოს მარიამიძის ვენახის მიმდებარიდან ლიახვის მხარეზედ ვენახი ერთი ჩარექი ბოლოს ნინია ხვარავიჭის ვენახი მიდგმამდინ და საწნახელის მეოთხედი, ორი დღის ნაფუძარი დალაქიშვილის მიწის თავზედ ქიწნისის თავში ორი დღის მინდვრის მიწა ორი დღის რიყიანში მინდვრის მიწა ერთი დღის ლიახვის პირზედ ათი დღის მინდვრის მიწა ლობჟანიძის გარდიგარდმოსთან. ქიწნულის რუს პირზე გარდიგარდმოები ათი დღის, ქიწნისის თავს გოგია ქარელის მიწის თავზე ექვსი დღის. საქონელი ყავს 2 ხარკამეჩი, სამუღელი ხარი, ერთი ფურზაქი, ორი ძროხა, ორი ხბო. ასათ თუმნათა თეთრ ფული, რომელცა ამ თავით სრულად მიგვიღია, გარნა რადგანაც ჩვენ ამჟამად არ ძალგვიძს მიცემა ხოროვიჭისათვის კანონიერის თავისუფლების წერილითა, ამისათვის რომელ თავი არის დაგირავებული გარდაცვალებულის ჩუენის მამის იასე ერისთავისაგან ტფილისის პრი-

კასჩანა ამისათვის ვიკვრით, რომელს ერთის წელიწადამდედ განვათავისუფლოდ იგი გირაობიდან და დაუმტკიცოდ, სადაც ჯერ არს თავისუფლების წერილი, წინააღმდეგ შემთხვევას შინა ვიკვრით მივუბრუნოთ მას ხოროვიჭს თავისი ასათი თუმანი თეთრი ფული განვლილის სარგებლით და გარდა ამისა გადავიხადოთ სასარგებლო პრიკაზის ოცი თუმანი თეთრი ფული. დღეის ამას იქით ჩვენ მას არავითარ ბატონყმური სამსახური და საქმე არ გავაწევინოთ, რაზედაც ვაწერთ საკუთარ ხელს". (სსცია, ფ. 72, ანაწ. 2, საქ. 185).

ამასთან აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის II ნახევრის ზოგიერთ დოკუმენტში, არ ჩანს სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურთა ისეთი გვარები როგორიცაა: კორინთლები, უთნელიშვილები, მახათლები, ზანდუკელები, ბერძენიშვილები, მახვილაძეები, დავითაშვილები, თავყელისშვილები, უზნაძეები, კოტეტიშვილები, მაღალაშვილები, ეგაძეები, ელიოზიშვილები, კვალიაშვილები, ბოჭორიძეები, თუხარელები, გედევანიძეები, მგალობლიშვილები, ჩიკოიძეები, ქარუმიძეები, ძამელაშვილები, ჩუბინიშვილები და სხვ. სამეფო აზნაურები ტრაქტატის (გეორგიევსკის 1783 წ.) სიაში შეტანილია მხოლოდ 81, საეკლესიოში 13; სამილახროში 12 აზნაურთა სახელია, საციციანოში 34, ქსნის ერისთავიანთ ტრაქტატის სიით 18, არაგვის საერისთავოში 9; ამავე ტრაქტატით ორბელიანები (ყაფლანიშვილები) ფლობდნენ 28 სააზნაურო საგვარეულობას, ბარათაშვილების აზნაურებად — 8, მუხრა-ბატონის — 13, თარხნიშვილების — 5; იმერეთიდან XVIII ს. დამდეგს ქართლში გადმოსულ აბაშიძეს აზნაურები 18.[74] ხოლო XVII ს. ერთ საბუთში, სადაც ჩამოთვლილია ამილახვართა სადროშოში შემავალი თავადები და სამეფო აზნაურები, დასახლებულია „ერთობილნი ზევდგინია (ნ)ნი, ფავნელიანთა, მაჩაბელიანთა, თუმანიანთა, ტატიანთა, აბაშიძისა, და სხვა გვარები".[75]

ყველა ზემოაღნიშნული მონაცემი ბუნებრივია სრულყოფილი არაა და ამდენად თავადაზნაურთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზთა გამო სათანადო სიებში არ იასახა. ამიტომ, აღნიშნული კვლევა-ძიების

[74] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრ. გვ. 126, 145, 178.
[75] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრ. გვ. 138.

საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის პროფ. გულჩინა აკოფაშვილს, რომელმაც ეს ხარვეზი სათანადოდ შეავსო აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე. მისი გამოკვლევით, მაგ. ჯავახიშვილების ხსენებას ამილახვარიანთ საბუთებში XVIII ს. დამდეგიდან ვხედავთ, როდესაც ისინი მდივან-მწიგნობრის სახელს იკავებენ. მოსახლეობენ ძევრას (ძევერას) სამ კომლად, მაჭავარიანები საამილახვროში 1762 წლიდან გვხვდებიან, ციციშვილებს ტრაქტატის სიაში შეტანილ აზნაურებს გარდა კიდევ ჰყავთ აზნაურები, მათ შორის გვერწითელის სახლი ყმად ეკუთვნოდათ; ტერტერაშვილთა 1 კომლი XVII-XVIII სს. ყმათა ნუსხებსა და სხვა საბუთებში აზნაურად იწოდება; კორინთლები ქართლის უძველეს აზნაურთა რიცხვს ეკუთვნის; ფიცხალაურები ქსნის ერისთავთა ყველაზე დაწინაურებული და ოჯახმრავალი აზნაურები იყვნენ. ასევე ჟურულები; უთნელიშვილები და სრესელები ქსნის ერისთავიანთ ყმებადაა მოხსენიებული XVII ს-დან; ფავლენიშვილები ასევე ქსნის ერისთავთა აზნაურებს შორის იხსენიება XVIII ს. მეორე ნახევარში; ესენი სოფ. ფავნისიდან გადმოსულან და ერედვს დასახლებულან და ნიქოზის ეკლესიას ვერ მიუთვისებია[76] ჩუბინიშვილები ქსნის ერისთავთა აზნაურებს შორის საბუთების მიხედვით 1741 წ. გვხვდება; მუსხელიშვილები სამუხრანოში დახვედრიან მუხრან-ბატონებს, როდესაც მათ სათავადო შექმნეს. და რომ XIX ს. პირველ ნახევარში ატეხილი დავის დროს დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ისინი სამეფო ყმები არიან და მუხრან-ბატონს როგორც სარდალს ემორჩილებოდნენ.[77] ამგვარი მაგალითები ქართლის სინამდვილეში საკმაოდ უხვად მოიძებნება.

საინტერესოდ წარმოგვიდგება აგრეთვე ტატიშვილების გენიალოგიაც: 1768 წლის ქსნის ერისთვლისშვილთა გაყრის წიგნის მიხედვით ტატიშვილთა 2 კომლი სახლობს ქსნის საერისთავოში. გარსევან ტატიშვილი გიორგი ყულარაღასს ერგო ყმად, ხოლო ქაიხოსრო ტატიშვილი — დაუით ერისთავს. ქსნის ერისთავიანთ 1814 წლის ყმათა ნუსხაში ტატიშვილთა 3 კომლია შეტანილი, რომელნიც მოსახლეობენ სოფ. მა-

---

[76] სსცია, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 154.
[77] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრ. გვ. 165.

რანას.[78] გეორგიევსკის ტრაქტატის სიის მიხედვით, დავითაშვილებს 3 აზნაური ეკუთვნით: ტატიშვილი, რიკაძე და რამინიშვილი. XVII ს. საბუთების მიხედვით, ტატიშვილები მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ მეფესთან. ამავე დროს ისინი დავითაშვილების საყმოში შედიან. 1634 წ. როსტომ მეფემ განაჩენი უბოძა დავითაშვილებს, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელებმა ფიცით გამოიტანეს თავიანთი „ხელმწიფეთაგან ნაშოვნი აზნაურიშვილები ერთობით ტატიანი“ და სხვა ყმა-მამული, რის მიხედვითაც ტატიშვილები განაგრძობდნენ მათგან დამოუკიდებელ არსებობას: მეფის დაძახებაზე გადიან სალაშქროდ; მეფე მათ ყმა-მამულთა და შესაბამისი სითარხნის წიგნებით აჯილდოვებს. 1674 წ. ტატიშვილები იყრებიან იმ წესის მიხედვით, როცა აზნაური მის ბატონს ეყრებოდა, მაგრამ, გაყრილობის წიგნში ნათქვამია, რომ ამათი ბატონი დავით დავითაშვილი „ყმაწვილი იყო“ და ამიტომ მას შემდეგ როცა ტატიშვილების გაყრა მეფე ვახტანგ V (1658-1675 წწ.) ციციშვილს და შიოშ ზედგინიძეს უბრძანა, ამის შემდეგ ახლო ხანებში ისინი ახერხებენ დავით დავითაშვილს მკაცრად დაიმორჩილოს ტატიშვილები. ამიტომ, ეს უკანასკნელნი იძულებულნი შექნენ პირობის წიგნი დაედოთ, სადაც ისინი აღნიშნავდნენ: „ვითამცა დღევანდლამდისი ბევრი გაწყინეთ ბატონს ჩვენს დავითს, ეს შემინდოთ. დღესა და დღეის იქით არც გვინდოდესთქუენს მეტი ბატონი და არ ვინდომოთ, კიდევ ერთგული ვიყოთ“. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1695 წ. ერეკლე I ტატიშვილებს წყალობის წიგნით აჯილდოვებს. ასევე იქცევა 1701 წ. ვახტანგ VI. აქედან ჩანს, რომ ტატიშვილებისა და დავითაშვილების ბატონყმობა მტკიცე ვერ არის XVIII ს. დასასრულს ტატიშვილები სადავითაშვილოში რამდენიმე კომლად ცხოვრობენ. მამულები აქვთ სიძვილეთსა და თორმანეულს.[79]

რაც შეეხება ქ. გორის მცხოვრებთა XVIII საუკუნის პირველი ათეული პერიოდის აღწერილობათა დავთარს, აქ აღიცხულია 200-ზე მეტი ბოგანო, აქედან დედოფლის ყმა-ბატონთა — 30, იესე გარსევანიშვილის 10, სვიმონიშვილის — 2, მუხრანბატონის — 5, ბატონის კ-ზის

---

[78] იქვე, გვ. 152.

[79] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრ. გვ. 173.

ბოგანო ყმა — 7, ხითარიშვილი ბაირამას — 4, ამილახორის ყმა — 31, გიორგი ამილახორის — 10 ყმა, ქსნის ერისთავის — 18, არაგვის ერისთავის — 17, მთავარეპისკოპოსის — 9, გორიჯვრის — 11, გივი მდივნის — 19 ყმა და ა.შ.[80]

ფრიად საინტერესოდ წარმოგვიდგება ლამისყანის მცხოვრებთა 1781 წლის აღწერის მასალები, სადაც შესულია 47 ოჯახი, აქედან ყმის უფლებით 28,4 აზნაურიშვილი, მათ შორის 3 გარაყანიძე, 1 კორინთელი, 5 ხიზანი, მათ შორის 1 სომხეთელი, 2 კათოლიკოსის ყმები — მჭედელი და გიორგისშვილი. აქავე არიან იმერლიშვილები, ძამას შვილები, ჯავახ მახარას შვილი, ბალხამის შვილი, შეუძლებელი შვილი, მახარა შეუძლებელი, ჯავახის შვილი; თოთოშას შვილები, ცექვაძე, ფანას შვილი, კვინტობელი, ჯავახი ავჭალელი, ფსუტურის შვილი, ჩიტუკას შვილი და სხვ.

ჩანს, რომ ხიზანთა ოჯახები ძირითადად გვარით კი არ მოიხსენიებოდა, არამედ მეპატრონის ან სადაურობის მიხედვით. აქვე შეინიშნება სახელიდან ან ადგილიდან წარმოებული გვარებიდან ჩამოყალიბების პროცესი და სხვ. ისე, როგორც ახალგორში აღრიცხულ 95 ოჯახიდან ყმის უფლებით ორიოდ ოჯახია, ხოლო დანარჩენი კომლის უფლებით. აღნიშნული აღწერით, ახალგორს ძველთაგანვე ჩასახლებულან ლორელები, ავლაბრელები, მეჯვრისხველები, ძეგველები, ნახჩივნელები, ყაზახელები, უფლისციხელები და სხვ.[81] თითქმის შესაბამისი ვითარებაა ცნაოტის მცხოვრებთა აღწერაშიც, სადაც 36 ოჯახიდან, მხოლოდ ორია ხიზანი — ხადელი. აქვე ყურადღებას იქცევს გვარი მელთაური — იგივე მელითაური, — კალომლეწავი. სახელები: პატარკაცი, სიხარული, ღარიბა, ნადირა, გამიხარდი, ბალია, ბერი, თადილა, პაპა, ოუა, გვრიტი და სხვ.

როგორც ცნაოტის, ისე ახალგორისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის აღწერიდან ჩანს, აქ განსაკუთრებით შეინიშნება თავისუფალ მეკომურთა, სიმრავლე და მეტ-ნაკლებად ეროვნული სიჭრელეც, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო საბაზრო ურთიერთობების განვითარებით,

---

[80] ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშ. გვ. 256.
[81] ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშ. გვ. 22.

თბილისიდან და საერთოდ ცენტრალური სავაჭრო გზის სიახლოვით, რეგიონის მეურნეობრივი ნაირფეროვნებით და სხვ.

ხიზან-ბოგანო მეკომურები იშვიათად გვხვდება სოფლებში: საძეგურს, ალევს, ლარგვისის მონასტერს, ჭონჭოხს, დადიანეთს, უკანუბანს, პაელიანთ კარს, ქენქაანთ კარს (ქარჩოხს) და სხვ. სადაც სახელწოდებიდან გამომდინარე გვარები ჭარბობდნენ, ხოლო საძიგურს კი უმთავრესად სახლობდნენ: ნავროზაანი, წითურაულები და კობაურები. აქვე სახლობდა ორი ე.წ. ჭალის ურია. ერთი შერმაზანის შვილი, ხოლო მეორე დათოს შვილი; სოფ. ალევს ჭარბობდა: ნათაძეები, ზანდუკელები, სისოურები, მილაძეები, ღუნანები და სხვ.; ნახიდას: ფსუტურები, მამლიძეები, ჯაბაურები და სხვ.

ზემოაღნიშნული აღწერის მიხედვით, საგვარეულო სოფლებს შორის მოსახლე მეკომურთა მიგრაციული პროცესები ყველაზე ნაკლებად შეინიშნება სოფლებში: ილურთ კარში (ჭურთის ხევს) — ილურიძეები, აქვე — ბუჯიაანთ კარს ბუჯიაშვილები, აქვე — დორეულთ კარს დორეულები, ქენქაანთ კარს (ქარჩოხს) ქენქაძეები, მიდელაანთ კარს მიდელაშვილები, თინიკაანთ კარს თინიკაშვილები, პაელიანთ კარს პაელიაშვილები, ჩიტიანთ კარს ჩიტიშვილები და ა.შ. მაშინ, როდესაც დადიანეთში არცერთი ოჯახია დადიანიძე, აბუთ კარს აბუთიძე, მიდელაანთ კარს მიდელაშვილი, კორინთას კორინთელი, ჩიტიანთ კარში ჩიტიშვილი, თინიკაანთ კარს თინიკაშვილი და ა.შ.

როგორც ჩანს, ამ უკანასკნელ საგვარეულო სოფელთა ოჯახები სხვადასხვა გარემოებათა გამო ერთიანად აყრილან და ძირითადად ამავე რეგიონის ქვედა სოფლებში ან ქალაქად დასახლებულა, რამდენადაც აღწერილობათა მიხედვით ცალკეული სოფლების აღწერისას აღნიშნულია, რომ მაგალითად ისროლის ხევიდან ატენში გადმოსახლებულა 9 სხვადასხვა გვარის ოჯახი, ჯავახეთიდან — 12, ილურთ კარიდან — 16, მათ შორის 11 ილურიძე, ჭურთის ხევს დორეულთ კარიდან — 11, აქედან ერთი დორეული, ქარჩოხს პოვლეთ კარიდან — 9, არცერთი პაელიაშვი-


ლი და ა.შ.[82] ამგვარად, ჩანს, რომ საგვარეულოს ერთმა ნაწილმა ძირითადად გვიანობამდე შემოინახა და დაიცვა შთამომავლობა, ხოლო ნაწილმა გარკვეული მიზეზების გამო ვერ გაუძლო ცდუნებას და სხვაგან პოვა მუდმივსაცხოვრისი. აღნიშნული მიგრაციული პროცესები, მეტ-ნაკლებად, საზოგადოების განვითარების ყველა პერიოდისათვისაა დამახასიათებელი, რომელიც შიდა ქართლის მოსახლეობისათვის უმთავრესად რეგიონალური მასშტაბით მიმდინარეობდა. აქ აშკარად შეინიშნება ადგილობრივი, ძირძველი მოსახლეობის მხოლოდ შიდარეგიონალური მოძრაობა და მინიმუმამდეა დაცული ეროვნული თვითმყოფადობა, თუმცა XIX საუკუნიდან, როდესაც აქტიურად იწყება სოფლის მეურნეობაში მრეწველური მიმართულებით პროდუქტ-ნედლეულის წარმოება, იზრდება ქალაქური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი რიგი დარგები, საგზაო-სამიმოსვლო საშუალებები და სხვ. რომელთა პროცესებში აქტიურად მიმდინარეობს სოფლის მოსახლეობის მონაწილეობა, სოციალურ ურთიერთობაში მიმდინარეობს ახალ-ახალი, დროის შესაბამისი მოვლენების წარმოქმნა, ბუნებრივია შესასწავლი რეგიონის, განსაკუთრებით აქტიურ სასიცოცხლო დასახლებულ ადგილებში ეროვნული შემადგენლობაც რადიკალურად იცვლება. ასეთ პირობებში, შიდა ქართლის მაღალმთიან და მათისწინა ადგილებში, მაინც შენარჩუნებულია ეროვნული სიწმინდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოსთა მომძლავრების პროცესებს, რომელთა მასიური შემოსვლის მიზეზად მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის გულღია შეხვედრა და გაუთვალისწინებელი მოვლენები არ უნდა იყოს მიჩნეული. იგი მეფის რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის შედეგია, რომელიც „ბწყინვალედ დააგვირგვინა საბჭოურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ". ამიტომ, უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ, ეროვნული საკითხი ჩვენში ახალ გადაწყვეტას ელის. და რომ არავინ არ უნდა მიიღოს საწყენად, როცა ქართველი ხალხი გადაჭრით მოითხოვს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათაგან პატივი სცენ ადგილობრივ კულტურას, მის წარსულს და ტრადიციულ ადათ-ჩვეულებებს, დაეუფლონ ქართულ ენას,

[82] ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშ. გე.

ბოლომდე გაითვითცნობიერონ სტუმარ-მასპინძლობის არსი და სხვ. ამასთან ერთად, „ქართველ ხალხს არასოდეს არ უნდა მოეშალოს თავის გასაჭირში ეროვნულ უმცირესობათა თანადგომის იმედი. ეროვნული უმცირესობები კი ქართველ ხალხში მათს ქომაგს, დამცველსა და მფარველს უნდა ხედავდნენ“.[83]

ამგვარად, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, ისტორიულმა მეცნიერებამ, გაანალიზა ეროვნული თვითმყოფადობის არსი და დაასაბუთა, რომ სოციალურ-ეკონომიკურ ზეწოლასთან შედარებით, ყველაზე მტკივნეულია ეროვნული ჩაგვრა, საუსებით გასაგებია მეფის რუსეთის პოლიტიკის ის მძიმე შედეგები, რაც ქართველმა ერმა განიცადა ძირძველი მოსახლეობის მიგრაციულ-დემოგრაფიული პროცესების არაბუნებრივი განვითარების მიმართულებით.

[83] ლ. თოიძე, „მაცნე“, ისტორიის სერია, №4, 1990.



ցօճՙցօնօ XII-XIII նն.

თავი მეორე
ზემო ქართლი

1. სურამულა – ჭერათხევის ხეობა

ისტორიული ზემო ქართლის ტერიტორიაზე მდ. მტკვარს ჩრდილო-დასავლეთიდან უერთდება ამ რეგიონის ყველაზე დიდი მდინარეები: სურამულა, ტილიანა და ჭერათხევი, რომელნიც შესაბამის ხევებში მოედინება და მათი ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ადმინისტრაციულად ხაშურის რაიონს ეკუთვნის.

ხაშურის რაიონი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება საჩხერისა და ზნაურის, დასავლეთით – ხარაგაულის, სამხრეთით – ბორჯომის, აღმოსავლეთით – ქარელის რაიონები. 1917 წლამდე ხაშურის რაიონის ტერიტორია თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა. 1921 წლიდან საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფით ისევ გორის მაზრაშია. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია. რაიონული ცენტრი – ქალაქი ხაშური. რაიონში XX ს. 90-იანი წლებისათვის შედიოდა 1 ქალაქი (ხაშური), 1 სადაბო (სურამი) და 11 სასოფლო საბჭო (ალი, გომი, ოსიაური, ფლევი, ქვიშხეთი, ცოცხნარა, ცხრამუხა, წაღვერი, წრომი, ხალები, ხცისი), სულ 81 სოფელი. მთავარი მდინარეებია: მტკვარი, სურამულა, ტილიანა, ჭერათხევი და ძამა. რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში შემოჭრილია შიდა ქართლის ვაკე-ტერიტორია. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მემინდვრეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მესაქონლეობა. რაიონში აღნიშნული პერიოდისათვის იყო 3 საბჭოტა მეურნეობა, 5 კოლმეურნეობა, მეფრინველეობის ფაბრიკა და 3 სამეურნეობათაშორისო საწარმო. რაიონში იყო 55 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 2 მუსიკალური, 2 ქალაქის პროფტექნიკური და 1 სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწვლებელი; მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ქ. ხაშური), ლ. უკრაინკას სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი, 7 კულტურის სახლი, 37 კლუბი და 49 ბიბლიოთეკა; გამოდიოდა რაიონული გაზეთი

— „გამარჯვების გზა“; რაიონში ფუნქციონირებდა 7 საავადმყოფო, 9 საექიმო ამბულატორია, 16 საფერშლო და საფერშლო-სამეანო პუნქტი. აქვე იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი — სურამი, სადაც 1 მოზრდილთა და 2 ბავშვთა სანატორიუმი ფუნქციონირებდა. XVIII ს. დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ზემო ქართლის ამ ტერიტორიის ერთი ნაწილის აღწერისას გვამცნობს: „ხოლო კვალად ალის წყლის დასავლით არს წყალი სურამისა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის ჩრდილოდამ მტკვარს, ოსიაურს ზეით. აქ არს ჭალა სურამისა, მტკვრის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე, არამედ გაჰკაფა ჟდ მეფემან ვახტანგ და ქმნა დაბნები. ოსიაურს ზეით, ხაშურს ამ ხევის შესართავის დასავლით, შინდარას დასავლით, არს სურამი, მცირე ქალაქი. არს ჰავითა მშვენი და მხიარულნი. სურამის ზეით, სამხრიდამ, მოერთვის ამ წყალს უთხვისხევი. მას ზეით არს იტრიას, მონასტერი ყოვლად“.[84]

ხაშური, როგორც ითქვა, 1921 წლიდან ქალაქად და რაიონულ ცენტრადაა ცნობილი, რომელიც ადრე, 1872 წ. მიხაილოვოს სახელით მოიხსენებოდა და მას იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის — მიხეილის მეფის მეფისნაცვლად დანიშვნის ათი წლის თავზე უწოდეს. 1918 წლიდან დაბას ხაშური ეწოდებოდა. 1928 -1934 წწ. სტალინისი, 1934 წ. კვლავ ხაშური. რაც შეეხება ხაშურს, როგორც სახელწოდებას, იგი სავარაუდოდ, მომდინარეობს მლაშე სამკურნალო წყლისაგან, რომელიც ე.წ. „ღარიბა ღელეზეა“ — სულხან-საბას განმარტებითაც „ხაშური“ ნიშნავს „მლაშე წყლის მარილს“.

ხაშური არ გამოირჩევა მდიდარი ისტორიული წარსულით. შესაბამისი მონაცემებით, იგი XV-XVI საუკუნეებშია დაფიქსირებული. ხასურის, როგორც სტრატეგიული და სამრეწველო ობიექტი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს XIX საუკუნიდან, როდესაც გაყვანილი იქნა თბილისი-ფოთის რკინიგზა (1872 წ.), და გაიხსნა შესაბამისი საწარმოები: საორთქმავლო დეპო, ვაგონშემკეთებელი სახელოსნო, ნავთობსაქაჩი და სხვ. რის შედეგადაც სწრაფად იზრდებოდა მუშათა რიცხვი. გაზ.

---

[84] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 81.

„დროება“ (1881 წ.) წერდა: „ხაშურში მარტო რკინიგზის სახელოსნო სახლში მუშაობს 100-ზე მეტი უცხო ხალხი“-ო. XIXს. 90-იან წლებში მიხაილოვოში ყალიბდება პირველი მუშათა მარქსისიტული წრეები.

მატერიალური კულტურის მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია: გორათის ეკლესია, იოანე წინასწარმეტყველის ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია წმ. გიორგის ეკლესია, წმ. მარინეს ეკლესია, წმ ნიკოლოზის ეკლესია და ციხე-კოშკი. გორატის ეკლესია მდებარეობს ხაშურის ერთ-ერთი უბნის — „შინდისის“ სასაფლაოზე, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება და შეკეთებულია XIX ს-ში; იოანე წინასწარ მეტყველის ეკლესია დგას ქალაქის ცენტრში, რომელიც 1911 წ. აგებული; წმ. გიორგის ეკლესია დგას „შანდარას“ უბანში, ძველ სასაფლაოზე, რომელსაც ბერძნების ეკლესიასაც უწოდებენ და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით; წმ. მარინეს ეკლესია დგას მდ. სურამულას მარცხენა ნაპირზე, ძველ სასაფლაოზე და აშენდა XVI-XVII სს. შეკეთებულია გვიანდელ ფეოდალურ ხანაში; წმ. ნიკოლოზის ეკლესია, ანუ ჭალის ეკლესია, დგას „ჭალის უბანში“, თარიღდება XIX საუკუნით; ციხე-კოშკი, აშენებულია XVIII ს-ში.

სურამი განვითარებული ფეოდალური ხანის დასახლებაა. ხაშურის დაწინაურება-განვითარებასთან ერთად სურამი ექცევა ფართო საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში. იგი გამოირჩევა შესანიშნავი კლიმატური პირობებით, შერეული ტყით, ჰაერით, წყაროებით და სხვ. 1948 წ. იგი საყოველთაო დასასვენებელ ადგილად გამოცხადდა. აქაა ამაღლების დარბაზული ეკლესია, რომელიც ლამაზ, შემაღლებულ ადგილზეა აგებული და თარიღდება ფეოდალური ხანით; ღვთაების დარბაზული ეკლესია, რომელიც აშენებულია აქ არსებული ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ძმები ნებიერიძეების დაკვეთით 1831 წელს. გაახლებულია 1972 წ., წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია დგას ადგილი „ქუცუმთან“ და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით; სურამის ციხე; მდებარეობს მდ. სურამულას მარჯვენა ნაპირზე, კლდოვან გორაკზე, რომლის კომპლექსში შედის გალავანი, ციხე, წმ. გიორგის ეკლესია, სასახლე და აგებულია XII-XIII სს-ში, რომელიც უკავშირდება სურამელთა საერისთაოს დაფუძნებას. იგი საფუძვლიანათ შეკეთებულა XVI ს. II ნახევარში, ნაწი-

ლი XVII-XVIII სს-ში. იგი, როგორც სტრატეგიული ადგილი მოხსენიებულია 1625 წ. როდესაც ციხე-სიმაგრე გიორგი სააკაძემ გაამაგრა ირანელთა შემოსევისგან დასაცავად. 1692 წ. ციხე თურქების ხელშია, ხოლო 1701 წლიდან მას მეფის წული ვახტანგი განაგებს და ისევ „ძლიერ კოშკთა" შორის მოიხსენება – 1742-45 წწ. ირანელთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში სურამის ციხე ზემო ქართლის სადროშოს უფროსის გივი ამილახვარის ძირითადი დასაყრდენი სიმაგრე გახდა. შემდგომ, პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, აჯანყებულები თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკებში აღმოჩნდნენ, რომელთაც შაჰი უჭერდა მხარს. ხანგრძლივი ბრძოლისა და მოლაპარაკების შედეგად, გივი ამილახვარი დანებდა და ციხეც შაჰის ბრძანებით დანგრეულ იქნა, რომელიც 1756 წ. აღადგინეს. ამ დროს აქ ერეკლე II-ს ქიზიყის მოურავი თამაზი ჰყავდა დატყვევებული.[85]

სურამის ციხე, რუსეთთან შეერთებამდე ქართველთა მფლობელობაში იყო, ხოლო შემდეგ მასში მოქმედი რუსული გარნიზონი ჩადგა.

სოფელი გომის დაწინაურებაც ძირითადად რკინიგზის გაყვანასთან არის დაკავშირებული. 1887 წ. გაზ. „ივერია" იტყობინებოდა, რომ „გომის რკინიგზის სადგურიდან იგზავნება დიდძალი საქონელი – ქერი, პური, სიმინდი, ბზე, თივა, მუხის მასალა და შავი ქვა. ამ პატარა სადგურით სარგებლობენ რაჭველები, საჩხერლები, ვლადიკავკაურები. მეორე წელია რაც ამ სადგურებზედ დაიწყეს შავი ქვის ზიდვა იმ მადნებიდან საიდანაც ყვირილაში მიაქვთ. ამიტომ ამ სადგურმა დიდი მოცილეობა გაუწია ყვირილისას. თუ აქამდე ყვირილამდე ფუთზე 30-35 კაპ. აძლევდნენ ფუთის გადატანაში, ამიერიდან გორის სადგურზე 20 კაპ. დიდი სიამოვნებით აძლევდნენ. ამიტომ აქ მოაწვა დიდძალი ურემი. ეს პროცესი მზიდველთათვისაც სასარგებლო იყო, რამდენადაც ურემი სამ დღეს უნდებოდა და კვირაში ორ გზას აკეთებდა. ყევარ ხარ-კამეჩს მოაქვს 80-90 ფუთი მარგანეცი, ულელ კამეჩს 55-70-მდე, ულელ ხარს 30-35 ფუთი.

---

85 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერები, თბ., 1990, ტ. 5, გვ. 445.

გორის სადგურიდამ მადნამდე იქნება ურმის გზა 45 ვერსამდე და ცხენის გზა 35-მდე. ამასთან უფრო უკეთესი გზა ვიდრე ყვირილისა. 5 ვერსითაც მოკლეა, მეურმეები აქ უფრო იოლად შოულობენ საძოვარს, გზა მართალია, ყვირილაზე ტალახის დროს თითქმის ვერ დადიან". გომი ისტორიულად არცთუ ძველი სოფელია. აქ, სოფელ სატივესა და გომს შორის მდებარეობს აგარების დარბაზული ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. სოფლის სასაფლაოზე დგას მეორე — ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია და ესეც გვიანდელი ფეოდალური ხანითაა დათარიღებული. აქვე იმავე ხანის ციხე-კოშკის ნანგრევებია. ადრინდელი ფეოდალური ხანით თარიღდება სოფ. დიდი ბეკამი, რომელიც სურამულას ხეობაშია გაშენებული, სადაც ისტორიული ძეგლებიდან შემორჩენილია ეკლესია — კვართა, ანუ წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით; სავანეთის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც სოფლის სასაფლაოზეა და თარიღდება XVIII-XIX სს., სოფლიდან ერთ კილომეტრზე მდებარეობს არქეოლოგიური ძეგლი — სარკოფაგი და მიეკუთვნება ადრინდელ ფეოდალურ ხანას.

წერილობითი წყაროებიდან აღსანიშნავია 1858 წ. აქ მომხდარი გლეხთა ე.წ. აგრარული რევოლუციის ფაქტი, როდესაც გლეხობამ სოფლის მფლობელის ფეოდალ ს. აბაშიძეს უარი განუცხადეს გადასახადზე, რის გამოც მოთავე დააპატიმრეს და სოფელში ჩააყენეს ეგზეკუცია და გამოსვლებიც დროებით იქნა შეწყვეტილი (1860 წ.), თუმცა გადასახადები თითქმის ერთი მესამედით იქნა შემცირებული.

მდინარე სურამულას ნაპირზე, თბილისი-ხაშურის გზატკეცილზე მდებარეობს გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნასოფლარი, ანუ დღევანდელი ახალი სოფელი. მოქმედი სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარეობს არქეოლოგიური ძეგლი-სამაროვანი, სადაც რამოდენიმე სამარხი იქნა აღმოჩენილი, რომელთაც ჩატანებული ჰქონდათ გამომწვარი თიხის სხვადასხვა სახის ჭურჭელი — დათარიღებული გვიანდელი ბრინჯაოს ხანით. რაც შეეხება ძველ ნამოსახლარს და მაცხოვრის ეკლესიას ესენი დათარიღებულია გვიანდელი ფეოდალური ხანით.

ამავე ხეობაში ერთ-ერთი უძველესი დასახლება ყოფილა სოფ. ბეღლეთში, სადაც მიკვლეულია ნამოსახლარი, რომელიც გვიანდელი

ბრინჯაოს ხანით თარიღდება. ამ ნამოსახლარზე დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, მეორე წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია დგას სასაოფლაოზე და თარიღდება XIX საუკუნით.

სოფ. ზემო ოსიაური მდებარეობს მდ. სურამულაზე, ხაშურთან ახლოს. სოფელი გვიანდელი ფეოდალური ხანის დასახლებაა, სადაც მხოლოდ ერთი — ზღუდრის წმ. გიორგის ეკლესიაა შემორჩენილი და ციხე-გალავანი, რომელიც ძალზე დაზიანებულია და მდებარეობს სოფლის ცენტრში. იგი დათარიღებულია XVII-XVIII სს.

სურამის მახლობლად, მდ. სურამულას მიმდებარედ მდებარეობს სოფ. იტრია, სადაც მეტ-ნაკლები სახით შემორჩენილია ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი და ე.წ. „საჯვარე“ კოშკი. აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის აღნიშნული ძეგლები XV-XVII საუკუნეებით თარიღდება. აქედან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი, რომელიც გალავნითაა შემოზღუდული. ტაძარი აგებულია XVI ს. ბოლოს კათალიკოს დოროთეოზის დაკვეთით. მშენებლობის პროცესში იგი „ურუმთ დაუწვავთ“, მაგრამ კათალიკოსს მაინც დაუმთავრებია და მრავალი საეკლესიო ნივთიც შეუწირავს. ამასთან, 1646 წ. ქართლის მეფე როსტომს (1632-1658 წწ.) და მის მეუღლეს მარიამს ყმები და მონები უბოძებიათ.

სოფ. ტეზერი ძველ ნასოფლარზეა გაშენებული და იგი ერთ-ერთი უძველესი ნამოსახლარია. მთის ფერდობიდან საურმე გზით გამოყოფილ მაღლობზე, არქეოლოგების მიერ ნაპოვნია გვიანდელი ბრინჯაოს ხანის გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, ნამგლის დაკბილული კაჟის ჩასართავები, ხელსაფქვავის ქვა და სხვ. აქვეა XIX ს. აგებული ხახულის ღვთისმშობლის ეკლესია.

სოფ. ქემფერი მდებარეობს მდ. ტილიანზე, სადაც მატერიალური კულტურის სამი ძეგლია შემორჩენილი: ლუბრუმის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება; ნაეკლესიარი — „წვერიანას“ საყდარი დათარიღებული გვიანდელი ფეოდალური ხანით; წმ. გიორგის ეკლესია. დგას სოფლის სასაფლაოზე, რომელიც აგებულია 1880 წ.

სოფ. ცოცხნარა საშუალო მოცულობის სოფელია, რომელიც მდ. ტილიანას მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული და აქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით იგი გაშენებულია ადრე ფეოდალურ ხანაში, სადაც დგას ორი ეკლესია — კვირაცხოველისა და წმ. მარინეს ეკლესია, რომელიც XIX ს. აგებული.

ტაშისკარი. ვახუშტი წერს: „სურამის ბეკმიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარეობს დასავლით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამხრით არს ბეკამი, ტეძერი, ვიდრე შოლამდე; ჩრდილოეთ სურამის ხეობა. შოლის მდინარე გამოსდის ლიხის მთას, მიდის აღმოსაველთად, მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. შოლის პირიდამ გაიტანა მეფემან ჟდ ვახტანგ რუ, რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო, და ჰყო წისქვილნი, და სმენ პირუტყვნი. შოლის პირის დასავლით, შოლისავ კიდეზედ, არს ქვიშხეთი, ზაფხულს ჰავითა ამო, შვენიერი, ზამთარ ცივი, ქარიანი, საჭირო. ქვიშხეთ ზეით, შოლაზედ არს ციხისძირს ციხე. ქვეშხეთის სამხრით არს, მთის ძირს, მტკვრის ახლო, დაბა ტაშის-კარი“.[86]

ისტორიიდან ცნობილია, რომ ტაშისკარის ტერიტორიაზე მოხდა ქართველთა ბრძოლა ოსმალთა მრავალათასიან ჯართან, რომელშიც ორიათასამდე ყირიმელი თათარიც მონაწილეობდა. ოსმალებმა მოაოხრეს ჯავახეთი, მთელი თრიალეთი და მანგლისს გაჩერდნენ, საიდანაც ქართლში შეჭრა და მეფე ლუარსაბის შეპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი. ეს ის დრო იყო, როდესაც მცირე ამალით მეფე საზაფხულო რეზიდენციაში — ცხირეთში იმყოფებოდა და როცა გიორგი სააკაძის მეთაურობით, ქართველებმა ბრძოლა გაუმართეს ადგილ სხერტის ჭალაში. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ მტერი უკუგდებული იქნა, რომელიც ბრბონას დაესხა, მოაოხრა, გადავიდა მტკვარზე და ტაშისკარში დაბანაკდა. სააკაძის მეთაურობით, ქართველთა ჯარი ახალდაბას ჩავიდა და ამით მტერს ახალციხისაკენ გასასვლელი გზა გადაუჭრა. და სწორეთ აქ, გარიჟრაჟზე დაწყებული ბრძოლა, რომელიც ისტორიაში ტაშისკარის ბრძოლითაა ცნობილი, საღამოს ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

კულტურული მემკვიდრეობიდან, ტაშისკარში შემორჩენილია ე.წ. „ჩიკორის“ ეკლესია, რომელიც სასაფლაოზეა და თარიღდება XVIII-XIX

[86] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 81.

სს-ით; წმ. გიორგის ეკლესია – „ტაუსას“ ეკლესია, რომელიც აგებულია ე.წ. „აკვანის სერის“ ადგილზე – სასაფლაოზე და აგებულია 1897 წლით.

სოფ. ქვიშხეთი, ხეობის ერთ-ერთი ძველი და საყურადღებო ისტორიის მქონე სოფელია. ცნობილია, რომ XIII ს., კერძოდ 1290 წ. აქ, ქვიშხეთის ველზე, აღმ. საქართველოს დიდებულები დავით ნარინს (1293-1311 წწ.) და მის შვილს ვახტანგს შეეგებნენ. აქედან დავითი დაბრუნდა იმერეთში, ხოლო ვატანგი დიდებულებთან ერთად მცხეთაში და მეფეთ აკურთხეს (1302-1308 წწ.). 1757 წ., როდესაც ქვიშხეთსა და მის მიდამოებს ათას კაციანი რაზმი შემოესია, მეფე ერეკლე II-ის რაზმმა ამილახვრის სარდლობით დაამარცხა და უკუაგდო. ქვიშხეთის სოფლის შუაგულში ე.წ. „კოშკის უბანში“ დგას აღდგომის ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება, ხოლო რომელაშვილების უბანში XVII საუკუნის კოშკი, სოფლიდან ოთხიოდ კილომეტრზე, ადგილ „მთაწმინდაზე“-ა აგებული. XIX ს. აქვეა აგებული მთაწმინდის ეკლესია, ხოლო ლაცაბიძეების უბანში, სასაფლაოზე დგას ნახევრად ჩამოქცეული წმ. მარინეს ეკლესია., სოფლის ისტორიულ ძეგლებს შორის ყველაზე უძველესია ე.წ. ნამოსახლარი გალანძირი, რომელიც ჭალისუბანში მდებარეობს და თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოს ხანით. ამ არქეოლოგიური ძეგლის მიმდებარედ, იმავე ბორცვზე შემორჩენილია ციხე-დარბაზის ნანგრევი. აგრეთვე XIX ს-ის ნაგებობა-სუმბათაშვილების სახლი., სოფლის სასაფლაოზე დგას ადრინდელი ფეოდალური ხანის ფერისცვალების ეკლესია., ქვიშხეთიდან ორიოდ კილომეტრზე მდებარეობს ქვიშხეთის – ბულბულის ციხე, რომელიც ფეოდალური ხანითაა დათარიღებული. ამავე სოფელშია შემორჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის სახლი (1814-1887 წწ.) აგებული XIX ს. აგრეთვე ალექსანდრე ციმაკურიძის XIX ს. აგებული სახლი. ადგილი „ფერისცვალებაზე“ მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება; წმ. ელიას ეკლესია დგას სასაფლაოზე და ესეც გვიანდელი ფეოდალური ხანითაა დათარიღებული, ხოლო ოთხსართულიანი კოშკი XIX ს-ით.

მდ. ჭერათხევის შუა წელზე, მარჯვენა მხარეს გაშენებულია გვიანდელი ფეოდალური ხანის საშუალო მოცულობის სოფელი უწლევი, რომლის სანახებში მდებარეობს ორი არქეოლოგიური ძეგლი და ორივე ნაეკლესიარი, რაც მიგვანიშნებს თავდაპირველი სოფლის მდებრაეობაზე. ერთი ნაეკლესიარია სოფლიდან ორიოდ კილომეტრზე ადგილ „ფურნეების“ ღელეს ნაპირზე, მეორე ნაეკლესიარი, ანუ „ჭორას“ წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც სოფლიდან შვიდიოდე კილომეტრზეა, იქ, სადაც ე.წ. ნასოფლარი ჭორას ადგილია, ხოლო დღემდე მეტნაკლებად შემორჩენილი — ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც სოფლის სასაფლაოზეა და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება.

ცედანი მდ. ტილიანას ხეობის ბოლო სოფელია და მდებარეობს მის მარჯვენა ნაპირზე. იგი არც მოცულობით და არც ისტორიული თვალსაზრისით გამოირჩევა. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია მხოლოდ სამების დარბაზული ეკლესია, რომელიც სასაფლაოზეა და მიეკუთვნება XIX ს. ბოლოს. ეკლესიას შემორჩენია ორსართულიანი სამრეკლოც.

სოფ. ზემო ბროლოსანი მდებარეობს მდ. ჭერათხევის მარცხენა ნაპირზე. სოფელი გვიანდელი ფეოდალური ხანისაა, სადაც შემორჩენილია ამავე პერიოდის ორი ეკლესია, წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია და მეორე 1915 წ. აგებულია აგრეთვე წმ. გიორგის ეკლესია.

სოფ. ქვაძვისი სოფ. ჭერათხევის ქვედა წელის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. იგი გვიანდელი ფეოდალური ხანის საშუალო ზომის სოფელია, სადაც მხოლოდ ერთი ისტორიული ძეგლი — ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიაა, რომელიც აგებულია სასაფლაოზე XIXს. და საკმაოდ დაზიანებულია.

სოფ. წაბლოვანი მდ. ტილიანას ზემო წელზე, მარჯვენა ნაპირზეა გაშლილი. სოფელი უახლესი ისტორიის პერიოდში უნდა იყოს გაშენებული, რამდენადაც სხვა, უფრო ძველი ძეგლი არ მოიპოვება. ისე, რომ აქ არსებული წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია XIX საუკუნით თარიღდება.



რგეხი XI ს.

2. ფრონე-ყორნისის ხეობა

ისტორიული ზემო ქართლის ჩრდილო-დასავლეთით მდ. მტკვარს ერთვის ამ რეგიონის ყველაზე დიდი მდინარეები აღმ. ფრონე, შუა ფრონე და დას. ფრონე. ეს მდინარეები შესაბამისი სახელწოდების ხეებში მოედინებიან და ტერიტორიულად უმთავრესად ქარელის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული. ქარელის რაიონი მდებარეობს შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში. 1917 წლიდან 1929 წლამდე თბილისის მაზრაში, 1929 წლიდან 1930 წლის 1 ოქტომბრამდე თბილისის ოლქში, ხოლო 1930 წლიდან 1939 წლამდე გორისა და ხაშურის რაიონებში; 1939 წლიდან იგი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. ქარელის რაიონს ჩრდილოეთით ესაზღვრება ზნაურის, სამხრეთით — ბორჯომის, აღმოსავლეთით — გორის, დასავლეთით — ხაშურის რაიონები. რაიონული ცენტრია ქ. ქარელი (1984 წ). რაიონში შედის 1 ქალაქი (ქარელი), 1 სადაბო სოფელი (აგარა) და 15 სასოფლო საბჭო (აბისი, ავლევი, ახალსოფელი, ბრეთი, ბრეძა, გვერძინეთი, დვანი, ზემო ხვედურეთი, ზღუდერი, კეხიჯვარი, მოხისი, რუისი, ურბნისი, ფცა), სულ 82 სოფელი.

რაიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უკავია შიდა ქართლის ვაკეს, სამხრეთი ნაწილი კი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს. მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ძამა, დასავლეთი, შუა და აღმოსავლეთ ფრონეები. XX ს-ის 90-იანი წლებისათვის რაიონში ფუნქციონირებდა სამრეწველო საწარმოები და დაწესებულებები: „საქსახკომსოფლტექნიკის“ ქარელის ავტოსარემონტო ქარხანა, აგარის სარემონტო-მექანიკური ქარხანა, აგარის ინერტული მასალების ქარხანა, დამხმარე სამშენებლო საწარმო კომბინატი, რკინაბეტონის აგარის გაერთიანება, „საქსახკომსოფლტექნიკის“ ქარელის რაიონული განყოფილება, ქარელის სასურსათო კომბინატი, ქარელის ყველ-კარაქის ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აბანოს დოლომიტების მაღაროთა სამმართველო, „ცეკავშირის“ აგარის სარემონტო სამშენებლო უბანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო და სხვ.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები: მესილეობა, მეჭარხლეობა, მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მევენახეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, განვითარებულია სარძევე-სახორცე მეცხოველეობა.

ქარელის რაიონში იყო 57 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ელექტრო მექანიკური ტექნიკუმი, პროფტექნიკუმი, მუსიკალური სკოლები (ქარელში, აგარაში), მოსწავლეთა სახლი (ქარელში), მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 93 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, 27 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, 5 საავადმყოფო-პოლიკლინიკა და სხვ. გამოდიოდა გაზეთი — „ოქტომბრის გზით".

შიდა ქართლის ამ უძველესი კულტურის მოსახლეობას ჩვეული თავდადებით, განუზომელ სულიერ საზრდოს აწვდის ურბნისისა და რუისის ეპარქიის მიტროპოლიტი, ერისკაცობაში — ელგუჯა აქიაშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილი ფრონეს ხეობის აღწერისას აღნიშნავს: „და ლიახვის მდინარეს აქათ ტაშის-კარამდე, რომელნიცა მდინარე ხევნი აღვწერენი, უწოდებენ, თვინიერ შოლისა, ფრონეთა, ამ ფრონეთა შინა შემოვალს წყალდიდობის მრავალნი კაპოეტნი ..."[87] მის მიერ შედგენილ რუკაზეც, ამ ხეობაში დასახელებული აქვს: დვანის ფრონე, ალის ფრონე და ფცის ფრონე. ეს მდინარეები გამოდიან სურამის ქედის აღმოსავლეთ კალთებიდან და მტკვარს ერთვიან. დვანის წყალი მას მიერთვის ქარელთან, ხოლო ალისწყალი უერთდება ფცას და ეს უკანასკნელი სოფ. ქვენათტკოცასთან ერთვის მტკვარს. ყველა ეს ტერიტორია, სადღეისოდ, შედის ქარელის, ზნაურისა და ხაშურის რაიონებში. ამ რეგიონში ტერმინი ფრონე, იმდენად ფართოდაა გავრცელებული, რომ გარდა ამ სამი მდინარისა, სურამის ქედის გადაღმაც ამ სახელწოდებით არსებობს ზემო იმერეთში კიდევ ორი პატარა მდინარე ზემო და ქვემო ფრონე. ზედა ფრონე შეერთვის მდ. დუმალას, შემდეგ კი მდ. ძირულას, ხოლო ქვედა ფრონე შეერთვის მდ. ყვირილას. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სურამის ქედის კალთებიდან ორივე მხარეზე ანუ ამერეთშიც და ამერეთშიც გამომდინარე წყლებს გააჩნიათ ერთი სახელწოდება — ფრონე. აქვე გადის იმერეთ-ქართლის საზღვარი და ამ სამივე მდინარის ხეობიდან გზები სწორეთ მათზე გადიან. ამჟამად, ქართლის ტერიტორიაზე მდებარე სა-

[87] ვახუშტი ბატონიშვილი, გე. 81.

მივე ფრონეს, როგორც ითქვა უწოდებენ: აღმოსავლეთ ფრონეს შუა ფრონეს და დასავლეთის ფრონეს.

ქართლ-იმერეთის დამაკავშირებელი გზები და გადასასვლელები, ბუნებრივია უძველესი დროიდანვე ფუნქციონირებდა და იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ ორ მხარეს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებაში. აქედან გამომდიანრე მოსახლეობაც საკამოდ მჭიდროდაც იქნებოდა დასახლებული. ამ მხრივ აღსანიშნავია თუნდაც დვანის ფრონეზე, ყორნისში აღმოჩენილი ბრინჯაოს არქეოლოგიური ძეგლები: შუბის წვერი, ისრის პირი, სატევარი. სოფ. ოქონაში ბრინჯაოს სამაჯურები, სოფ. ლისაში და ძაღინაში ბრინჯაოს ზოდები, ფციის ფრონეზე, სოფ. ტკოცის მახლობლად ნაპოვნი მრავალგვარი არქეოლოგიური ნივთი და სხვ. რომელნიც დაახლოებით III და II ათასწლეულის მიჯნას მიეკუთვნებიან. ამ მხრივ შედარებით მდიდარი არქეოლოგიური მასალებია მოპოვებული აგრეთვე დვანის ფრონეს აუზში, სადაც შესაბამისი გათხრები იქნა წარმოებული 1931 წ. სოფ. ნულის ამ ძეგლებს მიაკუთვნებენ პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარს (VI-V სს.ძვ. წ. ა.).

ჩანს, რომ ფრონის ხეობის ისტორიული მნიშვნელობა და ოდითგანვე მჭიდროდ დასახლება განაპირობა მისმა გეოგრაფიულმა, პოლიტიკურ-სტრატეგიულმა მდგომარეობამ. მასზე გამავალი ისტორიული გზა, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას შუა საუკუნეებში იძენს, მოემართებოდა ჯერ რიონის ზეობით გეგუთამდე, შემდეგ გადადიოდა ყვირილას ხეობაში შორაპანამდე, აქედან ძირულას ხეობით ჭერათხევზე და ჩადიოდა ლოპინის წყალზე, სადაც მდებარეობდა წაღვლი და საიდანაც ფცის ფრონის ხეობით გზა მტკვრის შესართავთან თბილისისაკენ ჩადიოდა. ამ გაზას ეწოდებოდა „გზა დასავლეთისა “.

„მემატიანე ქართლისა “ მოგვითხრობს, რომ ბუღასაგან ძლეული თეოდოსი აფხაზთა მეფე ქართლიდან „წავიდა მეოტ გზასა დასავლისასა“. „და ვითარ გაღახდა ამას შინა წელიწადი სამი და მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი მწუხარე ამანვე ივანე მარუშისძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა. და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოით-

ხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან შემდგომად ამისა გარდმოვიდა ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თიღუას".[88] (თიღვა ფცის ფრონის ხეობაშია).

ალნიშნული ცნობის მიხედვით, ანუ ბაგრატ III (975-1014 წწ.) ქართლში ქუთაისიდან გადმოსვლისას მეამბოხე აზნაურების დასასჯელად, და აგრეთვე ამავე გზით დავით აღმაშენებლის ხშირად სარგებლობის შესახებ ვკითხულობთ: „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, დასადგომი სამეფო წაღულის-თავი და ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭალათა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოვლად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, ხოლო ცხენ-კეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან, ეგრეთღა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკეს"-ო.[89]

მეფე დავითი თავისი ჯარით ქუთაისიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოდიოდა ჭიათურა-საჩხერის გზით ჯვარზე წაღელში, რომელიც იმერეთ-ქართლის საზღვარზეა და აქვე ბანაკდებოდა. იგი აქვე წვრთნიდა ჯარს და რუის-ურბნისის გავლით თბილისისაკენ მიემართებოდა. ამავე რეგიონით სარგებლობდა თამარ მეფეც, რომელმაც მის უკვდავსაყოფად სოფ. თიღვაში ააშენა თიღვის ცნობილი მწიგნობრობისა და განათლების მონასტერი. ისე, რომ საქართველოს გაერთიანების ხანაში (X-XI სს), ფრონის ხეობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ზემო ქართლის ამ რეგიონზე გამავალი აქტიურად გამოყენებული გზები და გადასასვლელები დროთა ვითარებაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. კერძოდ, მომდევნო საუკუნეებში ზემოაღნიშნული გზა გადადის ალის ფრონის ხეობაზე, რომლის სათავიდან გზა ულუმბიდან კორბოულში (საჩხერის რაიონი) გადადის. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ადგილების აღწერისას აღნიშნავს: „კვალად ფონას ზეით და სურამის დასავლით ლიხის მთას გასდის ხეფნის-ხევის წყალი და მიერთვის ძირულას აღმოსავლეთიდამ არამედ არს ვერტყვლამდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვილიდამ ნადაბურამდე ხეფნის-ხევსა ხოლო ვერტყვილას და ამაშუკეთს შუა არს მცირე მთა, მისრულის კოლობეურის მთამდე, და ესე არს საზღვარი ქართლ-იმერთა აწინდელი"-ო.

---

[88] ქართლის ცხოვრება, ტ. I. 1955 წ., გვ. 276.
[89] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 325.

აღსანიშნავია, რომ ალის ფრონეს ეს გზა ითვლებოიდა უფრო მარჯვე და ადვილად დასაცავ სამიმოსვლო საშუალებად, სადაც მაგარი ციხესიმაგრეც იყო აგებული. ალის მიდამოებში ხეობა შედარებით ვიწროა და აქ აგებული ციხეც საჭიროებისას მარჯვედ კეტავდა საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ საზღვარს. ისე, რომ მომდევნო საუკუნეებიდან, ალის ფრონეს ხეობა ერთ-ერთ უმნიშვნელო სტრატეგიულ რეგიონად იქცა, რომელსაც ადასტურებს აგრეთვე ქართლის ერთ-ერთი მეფის სვიმონის ამ გზით სამხედრო მოძრაობაც. „ხოლო ოდეს წარმოეწარმართა მეფე სვიმონ და წარვიდა ბრძოლად მამია დადიანისა, მაშინ დაიბანაკა კოლიბაურს ხოლო მეფემან სვიმონ გარდავლო მთა ლიხისა, ჩავლო ზემო ქართლი მხოლომან, თვინიერ კაცისა, და მივიდა კავთისხევს".[90]

მესამე გზა იმერეთში გადადიოდა დვანის ფრონიდან ყორნისით გომართა-ლოხინის მთებზე და ერთი დღის სავალს წარმოადგენდა. ამ გზას კი დარაჯობდა აქ აშენებული ცნობილი საქართლის ციხე. აქვე ყოფილა საბაჟოც, რომელიც რაჭა-ლეჩხუმში გადასასვლელსაც ემსახურებოდა. ისევე, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, ზემო ქართლის ტერიტორიის ცალკეული ადგილების მფლობელობაში გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში სათანადო ცვლილებები მიმდინარეობდა. მაშინ, როდესაც ქვეყანა სადროშოებად იყო დაყოფილი, კერძოდ XVI საუკუნიდან, ფრონის ხეობა ზემო ქართლის სადროშოში, ანუ მეორე სასპასპეტოში შედიოდა და მისი მედროშე ამილახვარი იყო.

ვახუშტი ბატონიშვილი ამ სადროშოს აღწერისას გადმოგვცემს: „ვიწყებთ მეორეს სასპასპეტოს, მემარჯვენის, შიდა ქართლის ნაკუცთსა, რომელ არს აწი ზემო ქართლი. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ ხაზი კასპიდამ წარსული ჩრდილოს, გამჭრელი წლევისა, შავ ტყისა და მისრული ქსნის კიდემდე და ბოლომდე".[91]

ზემოაღნიშნულ პერიოდში, ფრონის ხეობის ცალკეულ ტერიტორიებს ფლობდნენ აგრეთვე ფალავანდიშვილები და ამირეჯიბები. ამასთან, ფალავანდიშვილები ამ ხეობაში გადმოსულან ახალციხიდან, როდესაც ეს

[90] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 534.
[91] ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 71.

მხარე თურქებმა დაიპყრეს (XVI ს.) და მათი გვარის ერთი ნაწილი გათათრებულა და იქ დარჩენილა, ხოლო მეორე ნაწილი ქართლში გადმოსულა და მეფე ლუარსაბს მათთვის უბოძებია მამული ძაღინაში და იქ დასახლებულან. რაც შეეხება ამირეჯიბებს, ისინი ფალავანდიშვილების განაყოფი ყოფილან რომელთაგან ერთ-ერთ ფალავანდიშვილს მეფის კარზე მიუღია ამირეჯიბის თანამდებობა ანუ სასახლის მსახურთა უფროსობა და ამიერიდან იგი გვარადაც გადაქცეულა.[92]

აღნიშნული გვარების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი იტყობინება: „ხოლო მცხეთის დასავლით და მტკვრის სამხრით ციციშვილი, რომელიც ძველადვე მოვიდა ფანასკერტიდამ; ჯავახიშვილი; ხოლო მოურავიშვილი არს საკაძე და მეფისგან გამთავრებელი; როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ, ხოლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გვარი, განა წესი მეჯინიბეთხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი. აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი, ამათ ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთსა და ქართლსა შინა“ (გვ. 24), რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფრონის ხეობის სათავე, გადაღმა ადგილებს აბაშიძეები ფლობდნენ, ხოლო გამოღმას ფალავანდიშვილები და ამირეჯიბები, რომელთაც ხეობის ზედა და ქვედა ადგილები ჰქონდათ განაწილებული, ანუ ზეგანი ფალავანდიშვილებისა იყო, ხოლო დაბლობი ამირეჯიბებისა. ისე, რომ ფეოდალურ ერთეულად დაქუცმაცებული საქართველოს კერძოდ, XVII ს. ერთი საბუთის მიხედვით, ზემო ქართლის ანუ სადროშოში შედიოდნენ და გარკვეულ ტერიტორიებს ფლობდნენ: ამილახვრები, აბაშიძეები, ფალავანდიშვილები, ფავლენიშვილები, ხერხეულიძეები, დავითაშვილები, ამირეჯიბები, ავალიშვილები, ხიდირბეგიშვილები, მხეიძეები, დიასამიძეები, შალიკაშვილები, მაჩაბლები, სიამარდიშვილები, თაქთაქიშვილები. აქ შედიოდა ბატონიშვილის საუფლისწულო, ზედგინიძეთა სახლი, თუმანიანთ სახლი, მროველის ყმა-მამული, ურბნელის ყმა-მამული, მთავარეპისკოპოსის ყმა-მამული. ზემო ქართლში, თვალდამწვრიანთ სამფლობელო, სადედოფლო ყმა-მამული. ზემო ქართლში, „იერუსალიმის“ ყმა-მამული; ზემო

[92] ს. მაკალათია, ფრონის ხეობა, 1963, გვ. 18.

ქართლში, ქავთარაძეების, თუხარელების, ტატიანთ, წერეთლის მამული, იტროს წინამძღვრის, აბაზაძეების მამული, დამლაწაშვილები და იალუზიშვილები.[93]

როგორც ცნობილია, ზემო ქართლის სადროშოს ადმინისტრაციულ ცენტრს ქ. გორი წარმოადგენდა, რომლის სარდალი ამავდროულად ქალაქის მოურავიც იყო. საერთოდ, თანამდებობრივი მდგომარეობა, პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად იცვლებოდა და ამ მაღალ ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ დიდგვაროვანი, ცნობილი პიროვნებები. XV-XVII საუკუნეებში, მაღალ თანამდებობებს წარმოადგენდა მაგალითად ესიკაღასბაშობა, რომელიც ხელმწიფის კარზე თურქული ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელს წარმოადგენდა, ბოქაულთუხუცესობა — ბოქაულების უფროსი ანუ მეფის განკარგულებათა შემსრულებელი, ყორჩიბაშობა — ყიზილბაშთა ჯარის სარდალი, მოლარეთუხუცესობა — მეჭურჭლეთუხუცესი ანუ უფროსი მოლარე და სხვ. ისე, რომ ქართლის ოთხ სადროშოს, რომელთა წარმოქმნა XV ს. ჩამოყალიბდა, იწოდებოდა: მეწინავე — სომხითი — საორბელო, მემარჯვენე — ზემო ქართლის, მემარცხენე — სამუხრანბატონო, ქსნისა და არაგვის საერისთაოებისა და მეუკანავე — მეფის სადროშოზე, რომელთაც თავიანთი საზღვრები და საომარი დროშები გააჩნდათ. ზემო ქართლის სადროშოს საზღვრები პირობითად დღევანდელი კასპის, ახალგორის, გორის, ცხინვალის, ჯავის, ზნაურის, ქარელის, ხაშურის, ხარაგაულის, ბორჯომისა და ახალციხის ნაწილებს მოიცავდა, რომლის პირველი სარდალი და გორის მოურავიც ქართლის სამეფოს დაშლის შემდეგ, ერთ-ერთი დიდებული თავადი და სათავადოს უფროსი ამილახვარი იყო.

ამილახვარი — ამირახორი არაბულად „ამირ-ახურ“ საჯინიბოს ამირას ნიშნავდა, რომელიც ამავდროულად გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის სამხედრო უწყების მოხელეს — ამირსპასალარის თანაშემწეს, სავაზირო წევრს სათათბიროს უფლებით მოსარგებლეს წარმოადგენდა.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ამილახვრობის თანამდებობა და წოდება, პირველადვე ზედგინიძეთა გვარის წარმომადგენელმა

[93] ჯ. გეასალია, დას. ნაშრომი, გვ. 27.

მიიღო. ეს გვარი კი აღზევდა XIV საუკუნიდან, როდესაც მდინარე მეჯუდისა და რეხულას შუა ტერიტორიაზე მათი დამკვიდრება დაიწყო, ხოლო უშუალოდ მეფის კარზე დაწინაურება გიორგი VII (1741 წ.) დროს, როდესაც ამ გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მეფე მოღალატეებისგან გარდაუვალი სიკვდილისაგან იხსნა.

ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ სამცხეს დამორჩილებისა და ყვარყვარე ათაბაგის დასასჯელად წასული მეფე გიორგი, როდესაც დადგა „ფანავირსა შინა მიუჩინეს განდგომილთა მიფესათა გიორგი მეფესა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე თჳსნი. ხოლო სცნა ესე იოთამ ზედგინიძემ და ამხილა მეფესა ყოველივე; არამედ მეფემან არა ირწმუნა, ვინაიდგან უგონებელ იყო მათგან ღალატი მეფისა. მაშინ იოთამ ეტყოდა მეფესა: უკეთუ ვცბი არა ჭეშმარიტ არს სიტყუა ჩემი, აწ გევედრები, რათა არა მოიკლა თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დავწვე სარგებელსა შინა შენსა და უკეთუ მომკლან მე მგონებელთა შენთა მეფეთ, გარნა ნუ დაივიწყებ ძეთა ჩემთა“.[94] ასე შეეწირა იოთამ ზედგინიძე მეფეს, რომელიც მამისადმი ნათქვამი ანდერძი შეასრულა და მის ძეს „მიუბოძა ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაფლაო სამთავისი და კარისა თვისისა ამილახორობა მსახურებისათს მამისა მისისა, ვითარცა აჩენენ გუჯარნი მათნი“.[95]

როგორც ითქვა, სადროშოს საზღვრები, პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით არცთუ იშვიათად ირღვეოდა. მაგალითად, XVIII ს. მეორე ნახევრის მონაცემებით, ზემო ქართლის სადროშოში ალარ შედიოდნენ ზევდგინიძეები, თუმანიშვილები, ბატონი მრუელი, ბატონი ურბნელი, ბატონი მთავარეპისკოპოსი, თავდამწვრიანები, ქავთარაძეები, თუხარელები, „თაქთაქ-ტატიანი“, წერეთლის მამული, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძეები, დამღაწაშვილები, ოხუზიშვილები. ჩანს, რომ სადროშოს დანაკლისი განსაკუთრებით დასავლეთის მხარეს განუცდია და მასში მხოლოდ 15 სათავადო დარჩა, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი ადრე არ შედიოდა, კერ-

---

[94] ქართლის ცხოვრება, ტ. V, 1978, გვ. 286.
[95] იქვე, გვ. 288.

ძოლ ხერხეულიძეები, დავითაშვილები, ხიდირბეგაშვილები, მხეიძეები, სიამარდაშვილები, შალიკაშვილები, მაჩაბლები.[96]

XVI-XVIII საუკუნეებში ფრონეს ხეობა შინაფეოდალურ დაპირისპირებას, აგრეთვე სპარსელების, თურქებისა და ლეკი ფეოდალების შემოსევების შედეგად ნგრევა-აოხრებას განიცდის. ამ ხანებში მოსახლეობა უმთავრესად ციხე-კოშკების მშენებლობაშია დაკავებული, მაგრამ, ხშირად განუწყვეტელ შემოსევებს ველარ უძლებდნენ და გარკვეული ნაწილი იმერეთში იხიზნებოდა. თუმცა ლეკთა რაზმები არცთუ იშვიათად ამავე ხეობით იმერეთშიც გადადიოდნენ და იქაურ მოსახლეობასაც აწიოკებდნენ. ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „ამასვე წელსა დაღესტნის ჯარი გარდავიდა (1767 წ.) იმერეთში, რაჭის სოფლები მოარბიეს, სამასამდე ქრისტიანი ტყვე იშოვეს და წარვიდნენ"-ო. აქვეა ნათქვამი 1757 წ. ალის ხეობის ლეკთა მიერ აოხრებაზე და ტყვეთა წაყვანაზე და სხვ. ხეობის დაცვაში ერთობლივ ღონისძიებებს ანხორციელებდნენ იმერეთის მეფე სოლომონ, თეიმურაზ და ერეკლე მეფეები, რითაც არამარტო ადგილობრივ მოსახლეობას ამაგრებდნენ, არამედ ფრონეს ხეობაში სარდლობდნენ იმერეთიდან და ქართლიდან ჩასული ოჯახები.

ფრონეს ხეობა, რომელიც ერთობლიობაში სამ მდინარეთა-ხეობათა კომპლექსს წარმოადგენს, მოსახლეობის სტრუქტურით, როგორც აღინიშნა თავისებურ ნაკრებს წარმოადგენს, სადაც შესანიშნავადაა შერწყმული დასავლეთ საქართველოდან შერეული დასახლება, რაც მატერიალური კულტურის ელემენტებშიცაა გამოხატული. საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, აქტიურად მოსახლეობაც მდინარეთა სანაპირო ადგილებშია დასახლებული, რომელთა გარკვეული ნაწილი დროთა-ვითარებაში უმნიშვნელო გადაადგილებას განიცდიდა, ხოლო ავბედობის შემთხვევაში კი ნასოფლარებადაც რჩებოდა. სწორეთ ამ უკანასკნელი მოვლენების შედეგს წარმოადგენს არაერთი ფაქტი, როდესაც ადგილობრივი მებატონეები ქართულ ნასოფლარებზე უცხოტომელთა დასახლებას მიმართავს. ამის შესახებ ს. მაკალათია წერს: „დვანის ფრონე პატარა მდინარეა, რომელსაც ვახუშტი დვანის წყალს უწოდებს. მისი სათავე იწყება წორბნისიდან ფრონის სახელწოდებით და მას ავნევთან შეერთვის

[96] ე. მამისთვალაშვილი, ამილახვრები, გორი, 1996, გვ. 6, 7.

ავნევის წყალი. შემდეგ დვანში — მდინარე მტილიანა, დვანის ქვეით — საკვირიკოს ხევი და დვანიდან ფრონეს თავისი შენაკადებით ეწოდება დვანის წყალი, რომელიც ერთვის მტკვარს ქარელთან". ამ აუზში „არის ძველი ნასოფლარები ბევრია ახლად აშენებული სოფლებიც. ფრონეს სათავეში ძველი ქართული სოფლები ლეკიანობისგან ამოწყვეტილა და აქაურ მებატონეებს გადმოუსახლებიათ ოსები, რომლებსაც დღეს უკაეიათ მათი ნასოფლარები დაწყებული მუგუთიდან — ზემო წორბნისამდე. ადმინისტრაციულად ეს ხეობა შედის ორ რაიონში: ქვემო ნაწილი დვანიდან საღოლაშენამდე-ქარელის რაიონში, ზემო მხარე კი მიეკუთვნება ზნაურის რაიონს და საყურადღებოა, რომ აქაურ სოფლებს თითქმის ყველას შემოუნახავს ძველი სახელწოდება".[97]

რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრისა და ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის მიხედვით, როგორც მოიხსენიებს ს. მაკალათიაც, დვანის ფრონის საფლებია: სალოლაშენი, არადეთი, წვერი (არ არის დავთარში), ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლიბაური, ავნევი, ერკნეთი, წუნარი (არ არის დავთარში), თორმანეული, ბეყმარი, ღვედრეთი, ნული, მავდა, წორბნისი, ურია (არ არის დავთარში), ყორნისი (არ არის დავთარში), რუსთავი (არ არის დავთარში). ამავე ხეობის სოფლები XX ს. 50-იანი წლებისათვის 36-მდეა ან ორჯერ გაზრდილია, რაც აქ დამკვიდრებულ ხელსაყრელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებს უკავშირდება. ისე, რომ ხეობაში 22-ით გაზრდილი სოფლებია: ტახტისძირი, გვირგვინა, წკნელისი, ველები, მტილიანი, მუგუთი, დიდმუხა, ღვერთევი, მალდა, არკნეთი, ბეუმარი, კიმასი, გიორგი წმინდა, სამწყარო, საჯვარე, ამბრეთი, ციხიათი, ღვიაგინი, ტბეთი, ველები, დოდეთი, ქვასათალა.

თითქმის ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ლიახვის ხეობაშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ XIX-XX საუკუნეებში ამ უკანასკნელი რეგიონის მოსახლეობა ძირითადად იზრდება შიდა ქართლისა და ხეობის სათავეებიდან მის შუა წელზე ოსთა ჩამოსახლების ხარჯზე. ისე, რომ ამ ორი ხეობის მოსახლეობის ზრდის სტრუქტურული განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ფრონეს ხეობის სოფლების მატება ადგილობრივი, ქართლიდან დასახლებული ოჯახების გარდა, მნიშვნე-

[97] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გე. 21.

ლოვანწილად იზრდება დასავლეთ საქართველოს და რაც უფრო თვალშისაცემია მთის ოსების ხარჯზე, რომელთა ახალშენები გაჩნდა აგრეთვე მტკვრის მარჯვენა აუზში, კერძოდ ბორჯომის, ტანას და თეძმის ხეობებში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ოსი მოსახლეობის კავკასიონის ჩრდილოეთის კალთებიდან ამ რეგიონში ბარად ჩამოდინების ძირითადი გზა-ბილიკები სწორეთ ფრონის ხეობაზე გადიოდა. რაც შეეხება ფრონელიახვის აუზების მარჯვენა ტერიტორიების გარკვეულ ადგილებს, როგორც აღინიშნა, ისტორიულად შიდა ქართლის საზღვრებში მოიხსენებოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ნაშრომში უმთავრესად ზემო ქართლში შემავალი სოფლების გარკვეული ნაწილის ისტორიული ექსკურსი, უმთავრესად ეფუძნება და თავისებურ გზამკვლევს წარმოადგენს XX ს. 50-იან წლებში პროფ. ს. მაკალათიას გამოკვლევა — „ფრონეს ხეობა“, რომლის სრულყოფა და ახალი მონაცემებით შევსება-განზოგადება განვიზრახეთ.

რაც შეეხება ქვეყნის ადმინისტრაციულ შესწავლას, რომელიც სათავეს იღებს უძველესი დროიდან და ამ მიმართულებით გეოგრაფიული, ბუნებრივ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალთახედვით ასახავის მცდელობას, იგი სათავეს იღებს IV-V საუკუნეებიდან, როდესაც წერილობითი წყაროები გვამცნობენ ამ შემთხვევაში ქართლის კვლავ ხევებად დაყოფის პრინციპს, როდესაც, შიდა ქართლში, კერძოდ (ზენა სოფელში), VII ს. სომეხი ისტორიკოსი ასახელებს: ტუნისხევს (ტინისხევი) დვანის-ხევს, აჩაბეთისხევს, გვერდისძირს, საცხუმეთს, ქსნისხევს, ცხრაძმის ხევს, ბაზალეთს.[98]

მეთოდოლოგიურად ფრონეს ხეობის (ფრონეების) შესწავლას ვიწყებთ დასახლებიდან, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვართან ამ ხეობის შეერთების სიახლოვეს, ანუ სოფ. არადეთიდან და ვამთავრებთ სოფლებით: დვანით, კნოლევით და ჭვირინისით.

ვახუშტი ბატონიშვილი დვანის წყლის აღწერისას გვამცნობს: „ბრეთის დასავლით, წვერიდამ, ასტყდების მთა კვერნაქი და მივალს ფცის-წყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლის-ჯვარი. წვერს ქვით, არა-

[98] ჯ. გეასალია, დას. ნაშრომი, გვ. 57.

დეთს, არს ჭია (ჭა) მარიამული, რომელი ჰკურნებს ბრაზიანის ნაკბენს სმითა".[99] სოფ. არადეთი, როგორც ითქვა, მდებარეობს მტკვარი-ფრონეს შესართავთან, ვაკე ადგილას, სადაც ყველა პირობა არსებობს მაღალგანვითარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტ-ნედლეულის საწარმოებლად. იგი დვანის ფრონის მარჯვენა მხარესაა გაშენებული და სარწყავი სისტემაც მასზეა მიბმული. არადეთი, როგორც ისტორიული სოფელი, წერილობითი წყაროებით XI საუკუნიდან იხსენიება, კერძოდ, „მატიანე ქართლისა"-ში ვკითხულობთ: ბაგრატს, მიუპყრეს ხორნაბუჯს ფადლონ, და მისცა ხორნაბუჯი. წარიყვანეს არადეთად და მისცა არადეთი აღსართანსვე".[100] ეს ის პერიოდია, როდესაც ბაგრატ IV (1660-1681 წწ.) ებრძოდა განძის სულთანს, ფადლონს თბილისის დაუფლებისათვის. ამ პერიოდში ფადლონის მოკავშირე იყო კახეთის მეფე აღსართანი, რომელმაც ფადლონი შეიხიზნა და შემდეგ ბაგრატს გადასცა და ამისათვის მეფეს აღსართანისათვის მიუცია არადეთი. ხოლო რაც შეეხება სოფლის სახელწოდებას, გადმოცემით იგი დაკავშირებული უნდა იყოს არაბთა ლაშქრის აქ დგომასთან, ანუ „არადეთი" — არაბეთი-ო აღნიშნავს ს. მაკალათია.

არადეთი მდებარეობს შიდა ქართლის იმ ნაყოფიერ ველზე, რომელიც „დედოფლის მინდორი"-თაა ცნობილი ისე, როგორც ტირიფონის ველი, გვერდისძირი, მუხრანის ველი და ა.შ. ხოფელი ამილახვართა სამფლობელოს წარმოადგენდა, თუმცა XVII ს. დასაწყისში, თეიმურაზ I მოღალატე ანდუყაფარ ამილახვრისთვის სხვა სოფლებს შორის არადეთიც ჩამოურთმევია და იგი სამეფოდ-სახასოდ უქცევია, რასაც სოფლის სტრატეგიულ-სამეურნეო მნიშვნელობა განაპირობებდა. მანამდე, სოფლის ისტორიაში, სხვა მოვლენებთან ერთად აღსანიშნავია მის მახლობლად, 1483 წ. აგვისტოში, სამცხის მთავარ ყვარყვარე II ათაბაგსა (1451-1494 წწ.) და ქართლის მეფე კონსტანტინე II (1479-1505 წწ.) შორის მომხდარი ბრძოლა, რომელიც არადეთის ბრძოლითაა ცნობილი და რომ ამ ადგილს ახლაც „სისხლის ჯვარს" ან „ცეცხლის" ჯვარს უწოდებენ. ამ

---

[99] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 79.
[100] ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 312.

ბრძოლაში გაიმარჯვა ათაბაგმა, რითაც ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატისძემ (ალექსანდრე II-ემ), რომელიც რაჭა-ლეჩხუმში იყო გამაგრებული და იმერეთში გამეფდა. ამასთან, აქ მომხდარმა ბრძოლამ გარკვეულ წილად დააჩქარა საქართველოს ერთიანი სამეფოს ცალკეული სამეფო-სამთავროებად დაშლა.

XVIII ს. მოვლენებიდან, რომელიც აგრეთვე უკავშირდება სოფ. არადეთის წარსულს, აღსანიშნავია 1794 წლის 3 ივლისით თადარიღებული ერეკლე II და სოლომონ II მიერ გამოცემული სიგელი, სადაც აღნიშნულია იმერთა შორის უპირველეს თავად წერეთლისთვის: „სახლთხუცესს ბერს შვილთა თქვენთა გიორგის და სვიმონს, დავითს, გრიგოლს და ძმისწულსა თქვენსა როსტომს, სახსოვარის საკეთებლად ვალდებულ ვიყავ ამისად სამაგიეროდ გიბოძეთ არადეთში ჩვენი სახასო-სადედოფლო სოფელი არადეთი ყოვლის მას შიგან მოსახლეობის აზნაურისშვილის იშხნელით და გლეხებით, მთითა, ბარითა, ტყითა, ზვრითა და სხვ. 1822 წ. სოფელი თავისი ძმისშვილისაგან შეუსყიდია ზურაბ წერეთელს ორი ათას მანეთად“.[101] თუმცა, როგორც ჩანს, XVIII საუკუნისათვის, აღნიშნული სოფელი იხსენიება საციციანოს შემა-დგენლობაში, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ გარკვეულ პერიოდში იგი ამ რეგიონის სხვა სოფლებთან ერთად (ქარელი, აველევი, საღოლაშენი, ურბნისი და სხვ.) ნაწილობრივ ანუ შერეული სახით ყმა-მამულით ციციშვილებს ეკუთვნოდათ. სოფლის ისტორიული ძეგლებიდან უძველესია ე.წ. „არადეთის ორგორა“-ს არქეოლოგიური მასალები. ორგორა მდებარეობს მდ. დას. ფრონის შესართავთან, დედოფლის მინდვრის სამხ. აღმოსავლეთით, სოფ. დოღლიაურის მახლობლად. ძეგლი თარიღდება ბრინჯაოს, ადრინდელი რკინის ანტიკური და ადრინდელი ფეოდალური ხანით, რაც მიგვანიშნებს მოსახლეობის განიწყვეტელ დასახლებაზე. აღნიშნული ნამოსახლარი სამ ბორცვზეა განფენილი, რომელთაგან ყველაზე მაღალია ე.წ. „დასის“ გორა, რომელიც მათგან ხელოვნური თხრილითაა გამოყოფილი. მეორე ნამოსახლარი, რომელიც განლაგებულია ჩრდილოეთის გორის სამხრეთის ნაპირს, გათხრებისას მიკვლეულია სამი საცხოვრებელი ოთხი

[101] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 94.

პურის საცხობებით და საკურთხევლებით. აქვეა აღმოჩენილი უჩვეულო ფორმის თიხის ჭურჭელი, თიხის მილისებრი სადგრები და ლითონის სამკაულის ჩამოსასხმელი ქვის ყალიბი და სხვ. ნაპოვნია ადრინდელი და გვიანდელი ბრინჯაოს ხანებისთვის დამახასიათებელი კულტურის ნაშთების შემცველი რამდენიმე ფენა და მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი ფენები, რომელიც ცნობილია III ათასწლეულის ხანით. ნამოსახლარ ფენებში არსებულ ჩაჭრილ ორმოებში აღმოჩენილი ე.წ. ბედენური კულტურის (ძვ.წ. XII-XI სს.) და შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. II ათასწ. დასაწყისი) მასალა. მესამე გორა, რომელიც ჩრდილოეთის გორის დასავლეთით გაშლილ მინდორზე მდებარეობს ადრინელი ბრინჯაოს ხანის სამაროვანს წარმოადგენს, სადაც 13 სამარხი იქნა აღმოჩენილი. განათხარი მასალის მიხედვით ისიც მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელია. მეოთხე სამაროვანი და ყორღანიც ერთიან კომპლექსს წარმოადგენს და თარიღდება ძვ.წ. XIV საუკუნით.

სოფ. არადეთის შემოგარენში მიკვლეულია კიდევ ორი ნასოფლარი; ერთი სოფლის ორ კილომეტრზე ჩრდ. აღმოსავლეთით, რომელიც თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით, რასაც ამტკიცებს აქ შემორჩენილი ეკლესისა და სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები; მეორე ნასოფლარი სოფლის სამხრეთით მდ. აღმოსავლეთ ფრონეს მარცხენა ნაპირზე და ისიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება; აქვე, სოფლის სამხ. აღმოსავლეთით ერთ კილომეტრზე, გორი-ხაშურის გზატკეცილის მახლობლად, დგას ე.წ. სალარიანთ საყდარი. ეკლესია დარბაზულია და მის ირგვლივ არსებობს ნასოფლარის ნაშთები. ნასოფლარი სოფლის განაპირასაა და ფრონის მარჯვენა სანაპირო უკავია. აქ არსებული ციხე-დარბაზი თარიღდება XVII ს. შუა ხანებით, რომელიც ნაწილობრივ ჩამოქცეულია, თუმცა 1960 წ. ჩატარდა მისი კონსერვაცია და ფიქრობენ, რომ ციხე-დარბაზის კომპლექსის მფლობელი სამხ. საქართველოდან გადმოსახლებული იშხნელები უნდა ყოფილიყვნენ. ამ კომპლექსში შედის გალავნი და წმინდა ხაბას ეკლესია და სასახლე. ეკლესიაზე არსებული ასომთავრული წარწერის მიხედვით იგი 1666 წ. დადიანის ასულის დედოფალ მარიამის დაკვეთით აუგიათ. არადეთის განაპირას, სასაფლაოზე,

დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელიც VIII-IX სს. თარიღდება.[102] და ბოლოს, არადეთიდან სამ კილომეტრზე მდებარეობს გიორგი არადელ-იშხნელის საგვარეულო საფლავი. იგი შემონახულია ცნობილი ქართველი მსახიობის გიორგი არადელ-იშხნელის (1882-1929 წწ.) სახელით და როგორც ვიცით, მისი ფსევდონიმი გახლდათ არადელი — არადეთელი.

მდ. ფრონეს მარცხენა სანაპიროზე, იქ სადაც გადის თბილისი-ქუთაისის საავტომობილო გზა, მდებარებს სოფ. საღოლაშენი, რომელიც დოღლიაურის ნაყოფიერი ველის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მას საღუალაშენადაც იხსენიებენ, რამდენადაც ეს უკანასკნელი, გადმოცემით დღევანდელი საღოლაშენის მიმდებარედ არსებულა. საისტორიო წყაროებში იგი პირველად მხოლოდ XV ს-ის „ამირეჯიბთა გვაროვნებათა სიგელში“ გვხვდება. კერძოდ, XV ს. დასაწყისში, სოფელი საღოლაშენი, იმდროის ცნობილმა ქართველმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ქუცნა ამირეჯიბმა, თავის შვილს რამინს უყიდა. XV ს. მეორე ნახევარში ამირეჯიბებმა სოფელი ულუმბაშის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირეს, მაგრამ XVI ს-ის მეორე ნახევარში კვლავ გამოისყიდეს. XVII-XVIII სს-ში, ამირეჯიბები საკუთრად ფლობდნენ საღოლაშენს, ხოლო XVIII ს. მეორე ნახევარში სოფლის ყმა-მამულზე წილი დაიდეს თაქთაქიშვილებმაც. გვიანდელი ფეოდალური ხანის ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სოფელი ეკონომიურად საკმაოდ ძლიერი ყოფილა, სადაც არაერთი წყლის წისქვილი მოქმედებდა.

სოფელში შემორჩენილია ნაეკლესიარის ნანგრევები, რომელიც განაპირასაა, მდ. ფრონეს ჩრდ. აღმოსავლეთით. სოფლის შუაგულში, გზის განაპირას, ფერდობზე დგას ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება და რომელიც გადაუკეთებიათ XIX ს-ში. ეკლესიას აქვს ცალკე სათავსო და სამრეკლო.

სოფ. წვერი მდებარეობს მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, ნაყოფიერი დედოფლის მინდვრის ველზე და როგორც აქ მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლები გვამცნობენ, ბრინჯაოს ხანიდან აქ სამო-

[102] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 94.

სახლო ყოფილა. კერძოდ, ამას ადასტურებს სოფლიდან სამიოდ კილომეტრზე არსებული ყორღანი-კვერნაქის სერზე, რომელსაც „სისხლის ჯვარს“ უწოდებენ. მომდევნო ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია მდინარის ჩრდ. აღმოსავლეთით მოკალეული ფეოდალური ხანის ნასახლარები და ნაეკლესიარი (წვერის სამება) გალავნით. წვერის შესახებ ცნობებს იძლევა ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც აღნიშნავს: „ბრეთის დასავლით, წვერიდამ, ასტყდების მთა კვერნაქი და მივალს ფცის-წყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლისჯვარი. წვერს ქვეით, არადეთს არს ...“ ამასთან, უნდა ითქვას, რომ აქ — კვერნაქზე მოკალეულ ყორღანულ სამარხს, რომელიც ე.წ. „სისხლის ჯვრის“ ადგილითაა ცნობილი, უნდა იყვეს, როგორც ვახუშტის აქვს აღნიშნული „ცეცხლის-ჯვარი“.

სოფ. ბრეთი შიდა ქართლის ვაკეზე — დედოფლის მინდვრის გაშლილ ადგილზე, მდ. ფრონეს მარცხენა ნაპირზეა გაშენებული. დასახლება ადრინდელი შუა საუკუნეებიდანვე ყოფილა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულად იხსენიებოდა ბრეთის ხევი. ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ VI ს-ში მოღვაწეობდა ერთ-ერთი 13 ქართველი ასურელი მამათაგანი — პიროსი, რომლის მიერაც აქ ჩამოყალიბებულა სამონასტრო ცენტრი და იგი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ასრულებდა კულტურულ-საგანმანათლებლო მწიგნობრობას; ხელოსნობისა და სხვ. მნიშვნელოვან საქმიანობას. XI ს. აქ შეიქმნა „ბრეთის ვერცხლის საომარი ჯვარი“ წარწერით, XIII ს-ის „ბრეთის ტყავის სახარება“[103] და სხვ.

დვანის წყლის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „მტკვრის ჩრდილოეთით ამ მდინარის აღმოსავლით, არსს ბრეთს მონასტერი უგუმბათო, რომელი ქმნა პიროს, იგი მამათაგანმან (13), და დაფლული არს იგიცა მუნვე“.[104] აღნიშნული სამონასტრო ცენტრი ემსახურებოდა არამარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ მთლიანად რეგიონს და ამით თავისი კულტურული მოღვაწეობით დიდ სამსახურს უწევდა საერთოდ ქვეყნის სახელმწიფოებრივ ერთიანობას-მთლიანობას.

---

[103] კულტურის ძეგლთა გვ. 360.
[104] ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 79.

ამიტომ, ერთიანი საქართველოს პერიოდში, კერძოდ, XI XIII სს. იგი უშუალოდ ექვემდებარებოდა სამეფო კარს. მომდევნო ხანაში, კერძოდ XIV-XV სსს-ის მიჯნაზე, ბრეთის ხევი ალექსანდრე I-მა სვეტიცხოვლის მონასტერს შესწირა, ხოლო XV-XVI სს-ში ბრეთის ხევის ერთი ნაწილი სოფლითურთ ურბნისის მონასტერმა დაიქვემდებარა. აქ იგი საკმაო რაოდენობის ყმა-მამულს ფლობდა და თავისი მოურავიც ჰყავდა.

მომდევნო წლებში, კერძოდ XVII-XVIII სს-ში, როდესაც ზემო ქართლში, ავალიშვილების სათაყვდო ჩამოყალიბდა, სოფ. ბრეთის დიდი ნაწილი მათი საკუთრება გახდა, სადაც მათ შესაბამისად სასახლეც გააჩნდათ. რაც შეეხება მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მდგომარეობას, იგი შედიოდა ზემო ქართლის სადროშოში, რომელსაც ამილახვრები სარდლობდნენ. აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია: XVI-XVII სს-ით დათარიღებული ეკლესია და კოშკი; მამა პიროსის ეკლესია; წმინდა გიორგის ეკლესია და ნასოფლარი. მამა პიროსის ეკლესია, რომელიც სოფლის ცენტრში მდებარეობს შემორჩენილია ორი სამშენებლო ფენა, და თარიღდება VI საუკუნით. როგორც ითქვა, იგი აუშენებია ერთ-ერთ სირიელ მამათაგანს, იოანე ზედაზნელის მოწაფეს — პიროსს, რომელიც აქვეა დასაფლავებული. რაც შეეხება წმ. გიორგის ეკლესიას, ანუ მთავარ ეკლესიას, იგი აგებულია VIII-IX სს. ეკლესიის ირგვლივ ნასოფლარის ნაშთებია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. ეკლესია შეკეთებულია XIX საუკუნეში.[105]

1804 და 1818 წლების კამერალური აღწერის მიხედვით, სოფ. ბებნისში მაჩაბლებს ორი კომლი ყმა-მამული ეკუთვნოდათ.

სოფ. დირბი მდებარეობს ქართლის ვაკეზე, ფრონის მარჯვენა ნაპირზე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით (XVIII ს.), დირბის მონასტერი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის რეზიდენცია იყო, რომელსაც ქართლის მეფეები ირჩევდნენ. წერილობითი წყაროები გვამცნობენ, რომ 1650 წ. როსტომ მეფეს განუახლებია ამ მონასტრის შეუვალობის წიგნი და გაუნთავისუფლებია იგი სამეფო გადასახადებისაგან,

[105] კულტურის ძეგლთა გე. 361.

გარდა ლაშქრობა-ნადირობის მოვალეობისგან. ამასთან, მონასტერს დაუტოვა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გადასახადი — 6 ათასი თეთრის გასაგზავნად „ვერცხლად იერუსალიმს“.[106]

დირბის ქვეყანა, როგორც ხშირად ისტორიულ წყაროებშია აღნიშნული, შედიოდა მროველის, ანუ რუისის საეპისკოპოსოში, სამწყსოში, ხოლო მამულების მმართველად, ჯვრის მამა ნიქოზელი-ნიქოზის ეპისკოპოსი იყო. მომდევნო პერიოდში, კერძოდ 1785 წ. მეფე ერეკლე II ბრძანებით, დირბის მოანსტერს კვლავ განუახლა შეუვალობა. მანვე, როდესაც ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართლის სამეფო ოლქებად, სამდევროებად დაიყო, სოფ. დირბს მიმდებარე სოფლებით მეოთხე ადგილი მიაკუთვნა, რაც იქ არსებული ციხე-სიმაგრის მნიშვნელოვან სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. დირბის ციხე განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა „ლეკიანობის“ პერიოდში, რამდენადაც იგი მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად თავშესაფარს წარმოადგენდა მისი აღდგენა-შეკეთება სისტემატურადაც მიმდინარეობდა. ისტორიულად ცნობილია, თუ დირბის ციხემ როგორ იხსნა მოსახლეობა ლეკთა ერთ-ერთი შემოსევისაგან. 1745 წ. ცნობებით, იოანე ხერხეულიძის მიერ გამაგრებულ ციხეს როგორ შემოერტყა ლეკთა ჯარი და როგორ დროულად მიეშველნენ დირბელებს მეფე თეიმურაზ II და ერეკლე II თავიანთი გაერთიანებული ჯარით; შემდგომშიც (1753 წ.) ამავე ციხეს უხსნია მოსახლეობა ლეკთა თარეშისაგან და სხვ.

სოფ. დირბში გამოვლენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია: „ზედა ჯვრის გორა“ ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი და ნასოფლარი, ციხე-დარბაზი, წმ. გიორგის ზედაჯვრის ეკლესია, წმ. თევდორეს ეკელსია და სხვ. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია არქეოლოგიური ძეგლი ზედაჯვრის გორა, რომელიც სოფლიდან ოთხასიოდე მეტრზეა აღმოჩენდა, თარიღდება გვიან ბრინჯაოს, ადრინდელი რკინის ხანით, ხოლო რაც შეეხება ნასოფლარს, იგი სოფლის ტერიტორიაზეა მიკვლეული და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. სოფლის მიმდებარედ მიკვლეულია სამარხი, რომლიც ადგილ „ნაფუზა-

[106] იქვე, გვ. 367.

რებშია“ და არქეოლოგების აზრით ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება. ადრინდელი და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება აგრეთვე კომპლექსი: ღვთისმშობლის ეკლესია, სამრეკლო, გალავანი და სხვ. ხოლო რაც შეეხება დირბის ცნობილ ციხე-დარბაზს, რომელიც სოფლის განაპირას მდებარეობს, იგი თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით. სოფლის ერთ-ერთ ყველაზე ძველ სალოცავად ითვლება წმ. გიორგის ზედაჯვრის ეკლესია, რომელიც X ს. მიეკუთვნება და ფაქტობრივად მისი მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. რაც შეეხება ყველაზე უახლეს ძეგლს, ეს არის წმ. თევდორეს ეკლესია, რომელიც სოფლის ცენტრშია აგებული და თარიღდება XIX ს. II ნახევრით.

1804-1818 წ. კამერალური აღწერის მიხედვით, დირბში 3 კომლი ყმა-მამული ეკუთვნოდა მაჩაბლებს. ამ სოფელშია დაბადებული ცნობილი ქართველი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925 წწ.).

სოფ. დვანი მდებარეობს ქართლის ვაკეზე მდ. ფრონეს ნაპირას. იგი ერთ-ერთი დიდი სოფელია ხეობაში, რომლის შესახებაც გავრცელებულია აზრი, რომ იგი უწინ მდინარის ზემო წელში მდებარეობდა, მაგრამ უწყლობის გამო გადმოსახლებულა დაბლობზე, მდ. ფრონეს ნაპირას. ამ მდინარეს დვანის ზემოთ ეწოდება ფრონე, ხოლო დვანიდან ქვემოთ — დვანის წყალი, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს. იგი ერთ-ერთი უძველესი სოფელია ხეობაში. სოფლის ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ნეკროპოლში აღმოჩენილი მასალებიდან ჩანს, რომ აქ სკვითებისა და კიმერიელთა ტომების შემოჭრა მომხდარა. სოფლის მიმდებარედ, გორაზე დგას შუა ფეოდალური ხანის კოხიჯვრის წმ. გიროგის ეკლესია, სადაც რიტუალური დღესასწაული — ხატობა იმართებოდა, რომელიც ცნობილი იყო „კვირთაობა“-თ. სოფელი ქართლის საერისთაოში შედიოდა, ხოლო XV ს-დან კი ქსნის ერისთავთა სათავადოში. მატერიალური კულტურის მეორე ძეგლი ადგილ „სამნიფერდას“ გორაზე მდებარეობს, რომელიც სოფლიდან სამხრეთით თითქმის ერთი კილომეტრით მდ. დვანისწყალზეა გაშლილი. ეს ძეგლი ორი ფენისაგან შედგება: ერთი თარიღდება ადრინდელი ბრინჯაოს, ხოლო მეორე — გვიანდელი

ბრინჯაოს, ადრინდელი რკინის ხანით. სოფლის სიახლოვეს ე.წ. „ტახტიზურგის“ მთის სამხრეთით მდებარეობს ნასოფლარი, რომელიც გვიანდელი ბრინჯაოს ხანით თარიღდება; რაც შეეხება მეორე ნამოსახლარს და სამაროვან სამარხს, ეს ძეგლი სოფლის ტერიტორიაზე, ე.წ. „სოლოფერდაზე“ მდებარეობს და თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოს ხანით; მესამე ნასოფლარიც მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე ე.წ. „ტახტიზურგს“ მთის ფერდობზე და დათარიღებულია ფეოდალური ხანით; მეოთხე ნასოფლარი მიკვლეულია სოფლის ჩრდ. დასავლეთით, მთის ფერდობზე და დათარიღებულია ფეოდალური ხანით; მეოთხე ნასოფლარი მიკვლეულია სოფლის ჩრდ. დასვლეთით, მთის ბუნებრივად მოსწორებულ წვერზე, წმ. გიორგის ეკლესიასთან. მეხუთე ნასოფლარი მდებარეობს დვანიდან სამიოდ კილომეტრზე, სასაფლაოზე და ესეც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება, ნასოფლარი მეშვიდე, სოფლიდან ერთ კილომეტრზე მდ. აღმ. ფრონის მარჯვენა ნაპირას და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით., ნასოფლარი მერვე მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე ადგილ „საკვირიკოზე“ და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება., ნასოფლარი მეცხრეც სოფლის წინაუბნის ტერიტორიაზეა და ესეც ზემოაღნიშნულ პერიოდს განეკუთვნება; მეათე ნასოფლარიც სოფლის ტერიტორიაზე – „წყაროვენახების“ ტერიტორიაზე მდებარეობს და გვიანდელი ფოდალური ხანით თარიღდება.

სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე: გვიანდელი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლი სამაროვანი ადგილ „კიბრავაში“; სოფლის „სამნიფერდას“ ადგილზე გვიანდელი ფეოდალური ხანით დათარიღებული სამარაოვანი; არქეოლოგიური ძეგლი ქვაყუთი „გამარჯობათხოში“-ს ადგილზე, რომელიც ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება; ორი ქვევრ-სამარხი. ერთი სოფელში – „საკვირიკეს“ ადგილას, ხოლო მეორე – „ტახატზურგის ტერიტორიაზე და ორივე თარიღდება ელინისტური ხანით რაც შეეხება წმ. გიროგის ეკლესიას, ანუ წმინდა გიორგის კვართის კოხიჯვარი, რომელიც სოფლიდან ჩრდ. დასავლეთით ერთ კოლო-

მეტრზე მთის წვერზე მდებარეობს, თარიღდება VI ს. მესამე მეოთხედით.[107]

როგორც ისტორიული წიაღსვლიდან ჩანს, ზემო ქართლის სინამდვილეში, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დასახლება „დვამი“ სწორეთ მის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფილა. აღნიშნული გარემოების მიხედვით, მთლიანად, ქართლის ამ რეგიონში ეკონომიურად ძლიერი სოფლის არსებობა იძლეოდა იმის საფუძველს რათა მას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაეკავა. ჩანს, რომ ისტორიულად იგი წარმოადგენდა დამაკავშირებელ ობიექტს მთისა და ბარის მოსახლეობას შორის, ჩრდ. მაღალმთიანი ადგილებიდან ქართლის, კერძოდ მდ. მტკვრის აუზისაკენ მოძრაობაში. ყოველივე ამის უტყუარ მტკიცებულებას ნათელს ფენს მატერიალური კულტურის აქ არსებული უამრავი ძეგლი, სადაც ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში ქართლის სხვა უფრო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებს-ხეობებს შორის დვანის ხეობაც მოიხსენიება.[108]

სოფ. ტახტისძირი მდებარეობს აღმოსავლეთ ფრონეზე დვანისა და დირბის სოფლების შუაწელზე, რომელიც არ გამოირჩევა არც სიდიდით და არც უძველესი ცივილიზაციის ამსახველი მატერიალური კულტურის ამსახველი ძეგლებით. აქ შემორჩენილია მხოლოდ ერთადერთი — პეტრე-პავლეს ეკლესია, რომელიც სოფლის ცენტრშია და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია და გააჩნია გუმბათიანი სამრეკლო. არ არის გამორიცხული, რომ აქ, ან მის მისადგომებთან სეზონურად მეფეთა სადგომიც, ანუ სატახტო ადგილიც ყოფილიყო და აქედან ტახტისძირის სახელიც შემორჩენილიყო.

სოფელი ფცა მდებარეობს შუა ფრონეს, დასავლეთ ფრონეს და მათ შენაკად მდ. გაგურის-ფცის წყლების შესართავის ტერიტორიაზე, უფრო ფრონეს მარცხენა ნაპირზე. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ციხე-კოშკი, ერთი ნასახლარი ადგილი, ღვთისმშობლის ეკლესია და წმ. ნიკოლოზის ეკლესია.

---

[107] კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, გვ. 366.
[108] ჯ. გეასალია, დას. ნაშრომი, გვ. 57.

ციხე-კოშკი დგას სოფლის შუაგულში მდ. ფრონეს მარცხენა ნაპირზე და ერთი ხელნაწერის მიხედვით, იგი 1799-1800 წლებშია აგებული, რომელიც „ლეკიანობას“ უკავშირდება. რაც შეეხება ნასახლარს, რომელიც სოფლის ტერიტორიაზეა მიკვლეული, დათარიღებულია გვიანდელი ფეოდალური ხანით; ღვთისმშობლის ეკლესია სოფლის ქვედაუბანში და XVIII-XIX სს. მიეკუთვნება, ხოლო წმ. ნიკოლოზის ეკლესია ზემოუბანში თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით.

სოფელი ძველთაგანვე დიდი ყოფილა, რომლის მებატონეს დათა ბაგრატიონს მოსახლეობა ლეკებისგან დასაცავად ნულიდან გადმოუყვანია და ამით მიცემული პირობაც პირნათლად შეუსრულებია. რუისის 1715 წ. სიგელის მიხედვით, სოფლიდან ლეკიანობის შიშით გახიზნული მოსახლეობის ერთი ნაწილის ადგილი იმერეთიდან გადმოსულ გლეხებს დაუკავებიათ. 1804-1818 წწ. კამერალური აღწერის მიხედვით, მაჩაბლებს აქ ყოლიათ ერთი ყმა-მამული ოჯახი.

სოფ. ცერონისი შუა ფრონეს შუა წელზეა განლაგებული. იგი საშუალო ზომის სოფელია, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც სოფლის მახლობლადაა აგებული და გვიანდელ ფეოდალურ ხანას ეკუთვნის. ეკლესია ჩამოქცეულია; მეორე ეკლესია მაცხოვრის სახელობისაა და ესეც სოფლის განაპირას მდებარეობს და იმავე ხანისაა. ამის საძირკველზე დაშენებულია სხვა ეკლესია, რომელიც შემდგომ ადგილობრივმა მოსახლეობამ 1970 წ. შეაკეთა და რკინა-ბეტონის სარტყელი შემოავლო. 1973 წ. სოფლის სკოლასთან მშენებლობის დროს აღმოჩენილი სამარხიდან ირკვევა, რომ იგი ანტიკურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს; სოფლის დასავლეთით კი ნახევარ კილომეტრზე ე.წ ადგილ „ხოდაბუნებში“ აღმოჩენილია ქვაყუთი; აგრეთვე სოფლიდან მოცილებით დასავლეთით იმავე ადგილზე მიკვლეულია ქვევრ-სამარხები, რომელიც ანტიკური პერიოდით თარიღდება. ხოლო რაც შეეხება ღვთისმშობლის ეკლესიას, რომელიც სასაფლაოზეა აგებული, დათარიღებულია XIX საუკუნით.

სოფ. თამარაშენი შუა ფრონესა და გიგაურის შედარებით პატარა ხეობას შორის, გაშლილ ველზე მდებარეობს. მატერიალური კულტურის

ძეგლებით თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სასაფლაოს ტერიტორიაზე მოკვლეულია ანტიკური ხანის სამარხი, თანამედროვე სოფელი მაინც მის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა იყოს გაშენებული და არა ძველ ნასოფლარზე. ამის დასტურად კი უნდა მივიჩნიოთ აქ მდგარი სამების ეკლესია, რომელიც მიეკუთვნება არაუგვიანეს XVIII-XIX საუკუნეებს. როგორც ჩანს, ამ სოფლის სინამდვილეშიც, რომელიც არცთუ იშვიათს წარმოადგენდა ქართლის ამ რეგიონისათვის, აყრილმა მოსახლეობამ ხელახლად განიცადა თავიანთ ძველ ნამოსახლარებზე დაბრუნება, რომელთაც იმერეთიდან ახალმოსახლეებიც შეუერთდნენ.

XIX საუკუნის მოვლენებიდან აღსანიშნავია 1861 წელს მომხდარი გლეხთა გამოსვლები, რაც საგლეხო რეფორმას უკავშირდება. თუმცა აქ ჩატარებულმა ეგზეკუციამ ვერ შეაჩერა გლეხთა მღელვარება, მებატონეებზე თავდასხმები და სხვ. რის გამოც, თავად მიხეილ ელიზბარისძე მაჩაბელმა დახმარება სთხოვა კავკასიის მეფისნაცვალს.

სოფ. ავლევი შუა ფრონეს ზედა წელზე მდებარეობს. იგი საშუალო ზომის თავისებურად მყუდრო სოფელია. გარკვეულ პერიოდებში იგი ამირეჯიბების კუთვნილება ყოფილა, სადაც 1909 წ. ცნობილი ქართველი მეცნიერის კონსტანტინე ამირეჯიბის (1869-1948 წწ.). თაოსნობით გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა და მოსწავლეების პირველი ნაკადის გამოშვება 1915 წ. მოხდა. შემდგომში, ამ შენობის ადგილას დაიწყეს კ. მ. ამირეჯიბის სახლმუზეუმის მშენებლობა (რა ბედი ეწია უცნობია).

სოფლის აღმოსავლეთით ორიოდ კილომეტრზე აღმოსავლეთით, შუა ფრონის მარცხენა ნაპირზე, ძველ სასაფლაოზე, დარჩენილია ნაეკლესიარის კვალი. ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობისა ყოფილა, რომლის აშენების ხანა გაურკვეველია. ხოლო რაც შეეხება ნამოსახლარს, რომელიც სოფლიდან ჩრდილოეთით დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე, გორაზე მიკვლეულ ნასოფლარს, იგი ადრინდელი ბრინჯაოს ხანით თარიღდება. აქვეა მიკვლეული როგორც ბრინჯაოს, აგრეთვე ადრინდელი რკინის ხანისათვის დამახასიათებელი გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ქოთნები, ჯამები, რომელიც შემკულია შავსაღებავიანი წვეტი-

სებური ორნამენტებით და სხვ., მეორე ნამოსახლარი მდებარეობს აგრეთვე სოფლიდან ოდნავ დაშორებით ჩრდილოეთით ე.წ. „ცარციანთ გორაზე“, რომელიც გვიანდელი ბრინჯაოს ხანით თარიღდება, არქეოლოგიური ძეგლი — სამაროვანი სოფელში, „ზედუბანში“-ა და გვიანდელი ფეოდალური პერიოდითაა დათარიღებული; სოფლის ცენტრში სასაფლაოზე დგას ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანითაა დათარიღებული; მესამე ეკლესია, რომელიც წმ. გიორგის სახელობისაა, დგას სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით, შუა ფრონის მარჯვენა ნაპირზე, სასაფლაოზე. აქ შემონახული წარწერის თანახმად იგი აშენებულია თავად იოვანე როსტომის ძე ამირეჯიბის თაოსნობით.[109]

1804 წ. გორის მაზრის კამერალური აღწერის მიხედვით, ციციშვილებს მამაცაშვილებთან ერთად, რუისში ყმები ჰყოლიათ 161 კომლი ქართველი გლეხი; ქარელში 215 კომლი, (აქედან 12 კომლი ოსი, 34 სომეხი, 169 კომლი ქართველი); ავლევში ორი კომლი ქართველი; საღოლაშენში — ამირეჯიბებთან ერთად 24 კომლი ქართველი, არადეთში — წერეთლებთან ერთად 5 კომლი ქართველი, 1 კომლი სომეხი; ურბნისში — ეკლესიასა და საკაძეებთან ერთად 29 კომლი ქართველი, ჯარიაშენში ერისთავებთან ერთად 18 კომლი ქართველი, სკრაში 14 კომლი ქართველი, სამწევრისში — 24 კომლი ქართველი, ქვემო ნიჩბისში — 16 კომლი ქართველი, ზემო ნიჩბისში 13 კომლი ქართველი, თვალისუბანში — 7 კომლი ქართველი, სასირეთში — 1 კომლი ქართველი.[110]

ზემოალნიშნული მასალა მრავალმხრივ საყურადღებო მონაცემებს იძლევა თუნდაც იმ ასპექტში, როცა მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა ფაქტობრივად ერთიანად ქართულია და მეორეს მხრივ სათავადოებს შორის ყმა-მამულის მფლობელობაში ამათუ იმ სოფლის მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილია და არა მთლიანად ერთი სოფელი.

---

109 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. გვ. 354.

110 ჯ. გვასალია, დას. ნაშრომი, გე. 121.

შუა ფრონეს ზედა წელზე მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. კნოლევი. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ნამოსახლარი, რომელიც სოფლის გადაღმა ფრონეს მარჯვენა ნაპირზეა მიკვლეული და მიეკუთვნება გვიანდელი ბრინჯაოს, ადრინდელი რკინის ხანას, გომარეთის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია მდებარეობს სოფლის ზემო უბანში, ძველ სასაფლაოზე და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. აქაა შემორჩენილი თავად ფალავანდიშვილების საცხოვრებელი სახლი, რომელიც XIX ს. მეორე ნახევრით თარიღდება.

ყორნისის ხეობა გეოგრაფიულად ზემო ქართლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და ადმინისტრაციულად ძირითადად ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოლქის ზნაურის რაიონში შედის. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ხეობას დვანის წყალს უწოდებს. იგი წერს: „რუისის დასავლით არს დვანის-წყალი. ეს გამოსდის თირის მონასტრიდამ წარსულს მთას, დის ჩრდილოეთიდამ სამხრით, ერთვის მტკვარს ჩრდილოეთიდამ... ბრეთის დასავლით, წვერიდამ, ასტყდების მთა კვერნაქი და მივალს ფცის-წყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლის ჯვარი“... აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდან ნულის ხევი... ამ ხევს ზეით მოერთვის აღმოსავლეთიდან ყორნისის ხევი, გამოსდის ძარის მთას. ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა“.

ყორნისის ხეობა გამოირჩევა თვალწარმტაცი ბუნებრივ-გეოგრაფიული მახასიათებლებით, რომელიც ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, წერილობითი წყაროები და ზეპირსიტყვიერი გადმოცემები, მიგვანიშნებს ხეობის მოსახლეობის უწყვეტი ცხოვრების პირობებზე და სხვ. ტრადიციისამებრ, საქართველოს სინამდვილეში, მოსახლეობის დასახლება-განლაგება, ძირითადად ხეობების, მდინარეების მიმდებარედაა მოფენილი, რომელიც ზოგადად ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მაღალგანვითარებული საზოგადოებისთვის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ყორნისის ხეობის სოფლების განლაგებაც მდ. ფრონესა და მისი შენაკადების ნაპირებზეა წარმოდგენილი, სადაც ვხვდებით, როგორც ნასოფლარს, ისე შედარებით

ახლად გაშენებულ სოფლებსაც. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით (XVIII ს.), დვანის წყლის ხეობის, ანუ ყორნისის ხეობის ზემო წელის სოფლებია: დვანი, ტოლობოური, ავნევი, ერკნეთი, წუნარი, თორმანაული, ბეყმარი, დვერეთი, ნული, მავდა, წორბნისი, ურია, ყორნისი და რუსთავი. ამასთან, ამ რეგიონის და არა მარტო ამის აღწერისას, იგი ხშირად აღნიშნავს ნასოფლარ ადგილებსაც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ XVIII საუკუნისათვის სოფლების გარკვეული ნაწილი ამოიძირკვა, ხოლო ნაწილი ხელახლა იქნა აღორძინებული.

XX ს-ის შუა ხანებისთვის, ყორნისის ხეობის ტერიტორიაზე იყო 21 სოფელი, აქედან 14 ძველი. ისტორიული წყაროების მიხედვით, ზოგადად, საქართველოს მთისა და მთისწინა სოფლები, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, ხშირად ხდებოდნენ რა უმთავრესად ჩრდილოელი შემოსევების მსხვერპლი, მოსახლეობა თავს აფარებდა ბარში, რითაც ამ შემთხვევაში სარგებლობდნენ ოსები და მათ ადგილებში სახლდებოდნენ.

როგორც შესაბამისი ისტორიული წყაროებიდან და არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, ყორნისის ხეობა რეგიონში ოდითგანვე მაღალგანვითარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგებით უნდა ყოფილიყო განთქმული. აღნიშნულ გარემოებაზე მეტყველებს ყორნისში, ნულში, ავნევში, არკნეთში, ქ. ცხინვალში და სხვ. აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ხანის საბრძოლო და სამეურნეო იარაღ-ინვენტარი, ჭურჭელი, სამკაულები და ა.შ. ამ ხეობაში მდებარეობს ისეთი პოლიტიკური და თავდაცვითი მნიშვნელობის მცირე ქალაქი, როგირიც იყო ალი. აქ იდგა ქართლსა და იმერეთს შორის საზღვარზე ყველაზე დიდი და შეუვალი ციხე-სიმაგრე, – „საქართლის ციხე“, რომლის მიმდებარედაც არსებული საბაჟოს ნანგრევები მეტყველებენ გაცხოველებულ, ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობაზე საქართველოს ამ ორივე უმნიშვნელოვანეს მასშტაბურ მხარეს შორის; ხეობაში შემორჩენილი მრავალი ნასოფლარი, თანამედროვე მჭიდროდ დასახლება და სხვ. მეტყველებს ადგილობრივი მოსახლეობის დაუდეგარი, შეუპოვარი ცხოვრების წესზე. ხეობის მებატონე-მეპატრონეები სხვადასხვა დროს იყვნენ: ფალავანდიშვილები, ამირეჯიბები, ხერხეულიძეები, ბაგრატიონები, მაჩაბლები, აბაშიძეები, ხოლო

მოგვიანებით აქ ჩნდებიან მუხრან ბატონის ყმებიც. ამასთან ერთად, ტრადიციისამებრ აქ იყო საეკლესიო მამულებიც, რომლის შესახებაც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „წუნარს ხევს ზევით არს ეკლესია ერკნეთს, დგანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი“-ო. ასე მაგალითად, სოფ. არკნეთის მამულებს ფლობდნენ საეკლესიო ფეოდალები, რომლებიც გადმოცემის თანახმად, მიღებული მოსავლის მეექვსედს იღებდნენო“.

ამ რეგიონის სხვა სოფლების მსგავსად, ისტორიის ბედუკუღმართობის გამო, სხვადასხვა დროს, აენევის მოსახლეობის დიდი ნაწილი აყრილა და სხვაგან — ბარში შეუფარებია თავი. სოფლების ძველი გვარებიდან შემორჩენილა მხოლოდ მაჭარაძე, სიქტურაშვილი, ბეგიაშვილი და სხვ., რომლის შესახებაც რუისის სამწყსოს 1715 წ. დავთარის მონაცემებიდანაა ცნობილი. თავისთავად ის ფაქტი, რომ ყორნისის ხეობის მფლობელობაში ქართლის თითქიმის ყველაზე ძლიერ მებატონეებს გააჩნდათ ყმა-მამულები, მეტყველებს ხეობის ყოველმხრივ დაწინაურებაზე. სწორეთ აქ, ერთ-ერთი პირველი სათოფურებიანი ციხე-სიმაგრეებია აგებული (XVI ს.), რომელთაგან აღსანიშნავია თუნდაც აენევის ციხე-გალავანი, რომელსაც უკანასკნელად დიმიტრი ოთარაძე ფლობდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ციხე მის ცოლს ჭილაძესათვის მიუყიდნია. ამ უკანასკნელს კი გალავანში თავისი სახლი აუშენებია, სადაც ახლაც მისი შთამომავლობა ცხოვრობს (ვ. გოგოლაძე, გვ. 13).

როგორც ითქვა, სოფ. ყორნისი მდებარეობს მდ. მტილიანას პატარა ხეობაში, იქ, სადაც ხეობის წყალი ციხიანასთან ერთვის მდ. ფრონეს. ს. მაკალათიას გამოკვლევით, ლეკიანობისას ქართული მოსახლეობა აყრილა-ამოწყვეტილა, რამდენადაც აქ ბევრი ნასახლარ-ნასოფლარია. სოფლის შემოგარენში შემორჩენილია ციხე-კოშკების ნანგრევები, კოშკები სწორკუთხაა და ნაგებია კლდის ქვით. ზოგიერთი კოშკი, რომელიც მეტ-ნაკლებად შემონახულია ფერდობზე ხუთსართულამდე სიმაღლისაა და დატანებული აქვს სათოფურები. მკვლევარს აღრიცხული აქვს რვა 4-5 სართულიანი კოშკი, რომელნიც ერთიმეორისაგან დაცილებულად მდგარან და წარმოადგენენ XVII ს. ქართლის მთიანეთის კოშკების ანალოგიას. ყორნისის ხეობის აღწერისას ვახუშტი მოგვითხრობს: „ამ ხევს

ზეით ერთვის ამ წყალს ხევი წუნარისა. წუნარს არს ეკლესია გუმბათიანი, აწ უქმი. წუნარის-ხევს ზეით არს ეკლესია ერკნეთს; დგანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი. აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდამ ნულის ხევი. არს ნულს ციხე. ამ ხევს ზეით მოერთვის აღმოსავლეთიდამ ყორნისის-ხევი, გამოსდის ძარის მთას. ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა".[111]

სოფ. ყორნისის სანახებში აღმოჩენილია პალეოლითის ხანის იარაღ-ინვენტარი, რომელიც ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. როგორც ჩანს, სოფლის ყმა-მამულების მფლობელები გარკვეულ პერიოდებში იცვლებოდნენ და შესაბამისად კომლთა შემადგენლობაც სხვადასხვა მებატონეს ეკუთვნოდა. 1804-1818 წწ. კამერალური აღწერის მიხედვით, ყორნისი მთლიანად ეკუთვნოდათ თავად მაჩაბლებს. აქედან გამომდინარე, რამდენადაც სოფ. ყორნისში მაჩაბლებს სხვა მოცილე არ გააჩნდათ, ამდენად იგი საიმედოთ იყო გამაგრებული, მათ შორის საცხოვრებელ სახლებზე მიშენებული ციხე-კოშკებით. ყოველივე აღნიშნული კი მეტყველებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ სიძლიერეზე. ამასთან, საცხოვრებელ კომპლექსს ზოგჯერ თავისი პატარა სამლოცველო-ეკლესიაც კი გააჩნდა, რომელსაც კარის ეკლესიას უწოდებდნენ. როგორც ჩანს აქ შემორჩენილი ყველა კოშკი აგებულია XVII ს. მიწურულში.

სოფლის ბოლოს, მაღალ გორაკზე, დგას „კარასეთის" წმ. გიორგის ერთნაივიანი ეკლესია, რომელსაც ქვითკირის გალავანი აკრავს და დატანებული აქვს სათოფურები. როგორც ჩანს, კარასეტის ხატი ამ რეგიონში ერთ-ერთი ძლიერი სალოცავი ყოფილა, სადაც შორიდან მოსული მრევლი ღამისთევით დგებოდა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია ურემ-საზიდრებით, ოჯახებით მოსულ მლოცველებს თან მოჰყავთ წინასწარ შეთქმული საკლავი და სხვ. გადმოცემით, ხატი კურნავდა უმთავრესად ბნედიანებს, სულით ავადმყოფებს, გათვალულებს, რომელთაც ეკლესიის გარშემო სამჯერ უნდა შემოევლოთ ხელში ანთებული სანთლით, კედლის კუთხეებისათვის ეკოცნათ და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი ქალი

[111] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 79.

იქნებოდა, ამ რიტუალის შემდეგ ნაწნავებს მოიჭრიდა და იქვე ხატის ნიშში შემოდებდა.

ყორნისი ერთ-ერთი უძველესი და დიდი სოფელია, რომელიც მდებარეობს მდ. ფრონეს სათავეში და იგი ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს, რომელიც სამი მხრიდან საკმაოდ დიდი მთებითაა შემოზღუდული. ციხე, ლამაზად, კოლორიტულად გამოიყურება ფრონეს წყლის აუზის ფონზე, რომლის წინაშეც, სამხრეთით გადაშლილია ერთობ ვრცელი, ნაყოფიერი, თვალწარმტაცი ველი. სამწუხაროდ, ჩრდილოელი ტომებისაგან შეეიწროება-თავდასხმებს არც ეს სოფელი გადაურჩა. ისე, რომ ძირძველი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მთლიანად ამოიძირკვა, ან გაიხიზნა, ხოლო მათ ადგილზე ქართველ თავადებს ნებით თუ უნებლიეთ ოსები დაუსახლებიათ. სწორეთ გარადასულ მძიმე მოგონებებს განასახიერებს ზემოთ აღნიშნული ციხე-გალავნების, კოშკების, ეკლესია-მონასტრების ჩამოქცეული იერსახე. ციხე-კოშკები, საქართველოს მთიანეთის მსგავსად საცხოვრებელ-თავდაცვით ნაგებობებს ანუ სახლკოშკებს წარმოადგენდა. როგორც ამ და სხვა საფორტეფიკაციო ნაგებობიდან ჩანს, მათი მშენებლობის პერიოდები უმთავრესად ემთხვევა საქართველოში მონღოლების შემოსევის შემდგომ ხანას და გრძელდება იგი თითქმის XVIII ს-ის II ნახევრამდე, ანუ ოსეთის რუსეთთან შეერთებამდე. ამასთან, კოშკების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც აღნიშნულ პერიოდში შენდებოდა ეს იყო ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე გამავალი ვაკე ადგილები, ხოლო კავკასიონის სამხრეთით ჯავის აუზში აშენებული ციხე-კოშკები კი ძირითადად ითვალისწინებდა ყაბარდოლეთა, მთიელ დაღესტნელთა და ოსთა თავდასხმების შეჩერებას.

ისევე, როგორც საქართველოს მთიანეთის საზღვრისპირა რეგიონები, ფრონე-ყორნისის ხეობების დაცვაც ქართველ მეფეთა ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც გაზ. „საქართველოში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია, სადაც აღნიშნული იყო იმის შესახებ, თუ როგორ დაინტერესებულა მეფე ერეკლე II ხეობის ციხე-სიმაგრეებითა, რომელიც დაუთვალიერებია და აქედან „შვილდაურის“ გზით იმერეთში წასულა, ამის შესახებ ერთი

ძაღინელი მოხუცებული ოსის ნათქვამს: „ბებიაჩემი იტყოდა ხოლმეო, მეფე ერეკლე, ის ღვთისგან განათლებული, ვნახე და ხელზედ ვემთხვიე. ამ ცაცხვის ქვეშ (ძაღინას ციხესთან) ბრძანდებოდა, აქ მოეგებნენ აქაური დიდებულნი და მცხოვრებნიო. ციხე-სიმაგრეებს ათვალიერებდა ის ღვთისგან განათლებული მეფეო, აქედან იმერეთისკენ გადავიდნენო“.[112]

ყორნისის ხეობაში, სოფლიდან სამიოდ ვერსზე ოდეზღაც არსებობდა სოფელი, რომლის ადგილას ნასოფლარზე გაშენებულია სოფელი-დასახლება — საბაჟოს სახელწოდებით, რომელიც უფრო უახლესი ისტორიის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ხოლო რაც შეეხება ნასოფლარზე საბაჟოს სახელით აღმოცენებულ დასახლებას და ძირძველი მოსახლეობის მთლიანად ამოძირკვას, იგი მძიმე ავბედითი მოვლენების შედეგია, რამდენადაც ამ ადგილს ოდითგანვე ესოდენ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა და მტრისათვის სამიზნეც ამიტომ ხდებოდა. აქედან, საბაჟოდან, გადადიოდა გზა რაჭა-ლეჩხუმისაკენ, სწორეთ ამ გზით მიმდინარეობდა ქართლ-იმერეთიდან სავაჭრო-სასაქონლო მიმოქცევით; სწორეთ ამ გზით ჩამოსული ვაჭარ-ხელოსნები, ყორნისზე გავლით, გადადიოდნენ ცხინვალში, აქედან გორსა და შემდეგ თბილისში და სხვ. აქედან გამომდინარე, საბაჟო, როგორც ფულ-პროდუქტების შემკრები, ყოველთვის მზარდ დასახლებას წარმოადგენდა და შესაბამის გამაგრებულ ადგილსაც. ამდენად, საბაჟოს დასახლებაში შემორჩენილი საფორთიფიკაციო ნაგებობები თავის მშენებლობის კონსტრუქციით უნდა ეკუთვნოდეს XV-XVI საუკუნეებს, რამდენადაც ამ ციხე-გალავნებსა და კოშკებს არ გააჩნიათ შესაბამისი სათოფურები.

სოფ. ყორნისიდან ციხისაკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი ნასოფლარია, სადაც ქვითკირის შენობა-ნაგებობათა, ციხე-გალავნების და ძველი ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. ამ ადგილებში შეინიშნება ნაგვნახარ-ნაბაღარი ადგილები, რომლის მიმდებარედ ლამაზად აქოჩრილი ტყიანი მთა გადმოჰყურებს. სწორეთ ამ მთის თავზეა აღმართული ცნობილი „საქართლის ციხე“, რომელსაც ოდითგანვე დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა გააჩნდა. ამ ციხეს უკანასკნელად ფლობდნენ ხერ-

[112] ვ. გოგოლაძე, სოფელი აენეთი, გვ. 19.

ხეულიძეთა საგვარეულო. ციხეს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია (0,5 ჰა), რომელსაც დასავლეთიდან ღრმა ხევი საზღვრავს და ამდენად ციხე-გალავანში შესვლა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდანაა შესაძლებელი. სამშენებლო ტექნიკისა და გამოყენებული მასალის მიხედვით იგი X-XII საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. ციხე-გალავანი ერთობ დაზიანებული-ჩამოქცეულია. საქართლის ციხე ხეობაში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი, მონუმენტური, ისტორიული ძეგლი, რომლის ანალოგიასაც წარმოადგენს აგრეთვე ალის დიდებული ციხე-სიმაგრე, რომელიც იმავე ხანას მიეკუთვნება. (ვ. გოგოლაძე, სოფ. ავნევი, გვ. 19.).

ყორნისის ხეობის ერთ პატარა სოფელს (ზემო ავნევი) და პატარა მიდინარეს (ეს უკანასკნელი ავნევში უერთდება ფრონეს), მტილიანი ეწოდება. სახელწოდება გაიგივებულია მტილთან, ბოსტნეულის წარმოებასთან.

აბისი მდებარეობს ვაკე ადგილას მდ. დას. ფრონესა და ლოპანას წყლის შესართავთან. სოფელი წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება 1633 წლის ერთ-ერთ საბუთში, როგორც ავალიშვილების მამული, ხოლო 1779 წ. სოლომონ რევაზიშვილისა და გლახა მახვილაძის შორის ამ სოფლის მფლობელობის თაობაზე ატეხილი დავა ერეკლე II გლახა მახვილაძის სასარგებლოდ გადაწყდა. XVIII ს. 20-30-იან წლებში სოფელი ორჯერ ააოხრეს დაღესტნელ ფეოდალთა რაზმებმა. XVIII ს. 50-იანი წლების მონაცემებით, აბისში თავიანთი ყმა-მამულები ჰყოლიათ თავად ამირეჯიბებს. ისტორიულად, სოფელი საკმაოდ მოზრდილი და აქტიური გლეხებით ყოფილა დასახლებული. ისინი ხშირად ეურჩებოდნენ თავიანთ მებატონეებს და ამდენად მათ შორის არაერთი დაპირისპირება მომხდარა. 1858 წ. ერთ ასეთ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, როცა 11 კაციანმა გლეხების ჯგუფმა, მიმართა გორის მაზრის უფროსს თხოვნით ფულადი და ნატურალური გადასახადების პატიების გამო, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია და შიგ ეგზეკუცია ჩაუყენებიათ, მოთავეები დაატუსაღეს, ხოლო გაქცეულებს დაუწყეს ძებნა, სოფელი დაშინებულა. გადმოცემით, ამ ამბის გამო, სოფელს ცალკე სოფლად გამოჰყოფია უბანი — აბისის თავი. სოფელში შემორჩენილი მატერიალური კულ-

ტურის ძეგლებიდან საყურადღებოა ციხე-დარბაზის კომპლექსი, რომელიც გაშენებულია მის გარეუბანში მდ. დასავლეთ ფრონის მარჯვენა ნაპირზე, ე.წ. „ატკოცურას“ ხევის მარცხენა მხარეს. ციხე-დარბაზი აგებულია XVIII ს.შუა ხანებში. თავად ნასოფლარი დათარიღებულია გვიანდელი ფეოდალური ხანით. ციხე-დარბაზის ეკლესია, რომელზეც მხედრული წარწერაა ამოტვიფრული გვამცნობს, რომ იგი 1754 წელს აზნაურ ზაალ მახვილაძის დაკვეთით აუგიათ. მასვე განუზრახავს მოთარეშეთაგან დარბეულ-აოხრებული ადგილების აღორძინება, რასაც ადასტურებს მეფე ერეკლე II-ის მიერ 1789 წლის ბრძანება გლახა მახვილაძისადმი, რომელსაც მტრის შემოსევებისას ციხე-დარბაზში არ შეუშვია სოფლები და ამისთვის აბისელებს მეფესთანაც უჩივლიათ. ამიტომ, განრისხებულ მეფეს უბრძანებია: „ჩვენი ბრძანება არის მახვილაძეე, მეორე ეს აბისელები ვინაცავინ დღეს მანდ სახლობენ, როდესაც მაგ შენს ციხეში სახიზნავად მოვიდნენ და არ შეუშვი, ფიცითა გწერთ, რომ მაგ ციხეს ძირიდამ გადმოგიბრუნებთ, ასე იცოდე, თუ რომ არ შეუშვი“.[113]

ციხე-დარბაზის კომპლექსში შედის: კოშკი, ნათლისმცემლის ეკლესია და ნასოფლარი, სადაც მიკვლეულია არაერთი არქეოლოგიური ნივთი. სოფლის განაპირას, სამხ. დასავლეთით, სასაფლაოზე მდებარეობს წმ. მარინეს დარბაზული ეკლესია, რომელიც თარიღდება X-XI სს-ით და შეკეთებულია XIX ს-სა და XX ს-ის 70-იან წლებში.

აბისი საკმაოდ წყალუხვი სოფელია, რამდენადაც აქ ერთიანდებიან აბანოსა და ბრეძის წყლები. ისევე, როგორც ქართლის სხვა რეგიონები, ეს ადგილებიც, როგორც ითქვა ძალზე შეწუხებული იყო მოთარეშე ტომებისაგან, რის გამოც მოსახლეობა ფაქტობრივად განუწყვეტელ დევნას განიცდიდა. ამ მხრივ „ერთად-ერთი რითაც თავი ენუგეშებინა კაცს, ის იყო, რომ ნასოფლარ ადგილებში ხშირად იმერეთიდან გადმოსული ოჯახები იყვნენ“-ო.

აბისის ციხე, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმაგრეს წარმოადგენდა ჩანს 1770 წ. მონაცემებით, სადაც სურამის, გორისა და ცხინვალის

---

[113] საქართველოს ისტორიისა და ძეგლთა დაცვის აღწერილობა, 5, გვ. 353.

ციხეების გვერდით აბისის ციხეცაა ხსენებული. სოფელი საციხური ქართლის ზეგანზე, მდ. ლოპანასა და მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირებზეა გაშენებული, სადაც აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებით თუ ვიმსჯელებთ, ერთ-ერთი უძველესი დასახლება უნდა ყოფილიყო. ამის დასტურია სოფლიდან ერთი კილომეტრის მოშორებით, ნასოფალრის-ნამოსახლარის ნაშთები, რომელიც საციხურის ანუ ზაქას ტყის მიდამოებშია მიკვლეული და გვიანდელი ბრინჯაოს და ადრინდელი რკინის ხანით თარიღდება. როგორც ჩანს, საციხური იმთავითვე პატარა დასახლებას წარმოადგენდა, რამდენადაც მის ტერიტორიაზე მატე-რიალური კულტურის ძეგლებიდან მომავალშიც შესაძლოა უწყვეტი მოსახლეობა იყო, მაგრამ მისი შესამჩნევი ზრდა არ დასტურდება გარდა ერთი — წმ. გიორგის ეკლესიის ფუნქციონირებისა. აღნიშნული ეკლესია დარბაზულია, დგას სოფლის ცენტრში და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით.

სოფ. აბანო მდებარეობს დას. ფრონეს შენაკადის ლოპანას ზედა წელზე და დას. ფრონის მარცხენა ნაპირზე. იგი ერთ-ერთი უძველესი სოფელია რეგიონში, რომელიც ყურადღებას იქცევდა, როგორც სტრატე-გიული ისე სულიერი და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობით. უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ერთკომ-პლექსში წარმოდგენილი ნამოსახლარი, სამაროვანი და ციხე-კოშკი, რო-მელიც სოფლის ჩრდ. დასავლეთით, ფრონის მარცხენა ნაპირზე — „ციხ-იანის“ განმარტოებულ ბორცვზეა წარმოდგენილი და თარიღდება ადრინ-დელი ბრინჯაოს, განვითარებული რკინისა და გვიანდელი ხანით. მარტო ამ განათხარი მასალიდან ჩანს, რომ სოფელი უძველესი დროიდან უა-ხლესი პერიოდის ჩათვლით აქტიურ, უწყვეტ ცხოვრებას განაგრძობდა. მატერიალური კულტურის მეორე ძეგლი, რომელიც ნასოფლარის სახ-ითაა წარმოდგენილი, სოფლიდან სამიოდე კილომეტრზე მდებარეობს და თარიღდება ფეოდალური ხანით; მოსახლეობის განუწყვეტელი ცხოვრების დასტურია სოფლის მიმდებარედ მიკვლეული მეორე ნასოფლარი, რო-მელიც განვითარებული ფეოდალური ხანითაა დათარიღებული ცხოვრების ციკლის უწყვეტობაზე მეტყველებს აგრეთვე მის სიახლოვეს მესამე ნა-

სოფლარიც დათარიღებული განვითარებული ფეოდალური ხანით, აგრეთვე მომდევნო პერიოდის ძეგლები, მათშორის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც სოფლის განაპირასაა აგებული და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. იგი რეკონსტრუირებულია XIX საუკუნეში; წმ. მარინეს ეკლესია, რომელიც სოფლის სასაფლაოზეა, თარიღდება XVII საუკუნით, ხოლო მხატვრობა XIX საუკუნით. ამგვარად, ყველა ზემოთაღნიშნული გარემოება ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ამ სოფლის როგორც უძველეს, ისე უახლესი ისტორიის პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენებში აქტიურ მონაწილეობაზე.

ფცის წყალის აღწერისას ვახუშტი გვამცნობს: „აბანოს ერთვის ამ წყალს წაღვლის-წყალი, და ბრეძას მოერთვის აბანოს-წყალი. ეს გამოსდის მშვილდაურის მთას, მოერთვიან ორივ ბრეძის-წყალს დასავლეთიდამ აბანოს თბილი წყალი, ჰკურნებს ქარით დახუთვილსა და ბუკრსა მუწუკსა“-ო.[114]

ს. მაკალათიას გამოკვლევით, 1715 წ. რუისის დავთრის მიხედვით, ჩანს, რომ აბანო საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა და რომ სოფლის სახელწოდება – აბანო – დაკავშირებულია აქ მომდინარე თბილი, გოგირდიანი წყლისაგან, რომელზეც ვახუშტი ბატონიშვილიც მოგვითხრობს-ო.

სოფ. ბრეძას მდიდარი ისტორიული გზა აქვს გავლილი. ამ რეგიონში იგი ერთ-ერთი მსხვილი და სტრატეგიული სოფელია. აქედან გზა გადადის მდ. ალმ. ფრონეზე, მიემართება სოფ. აბანოსაკენ, ჩაუვლის კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულს, გოგირდოვან წყაროებს და ადგილ ციხიანასთან შედის მდ. დას. ფრონის ხეობაში, მიემართება ჩრდ. დასავლეთისაკენ, გაივლის სოფ. წნელისს და სოფ. გვირგვიანასთან მოუხვევს სამხ. დასავლეთისაკენ, გაივლის მდ. ქვაბთაღელეს და მის ნაპირზე ფრიალო კლდეში გაჭრილი კლდეკარებით გზა ადგილ ჯვართან გადადის ლიხის ქედს და ჩადის მდ. ჭერათხევისა და მდ. ყვირილას ხეობაში სოფ. კორბოულთან.

---

[114] ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 79.

როგორც ზემოაღნიშნული აღწერიდან ჩანს, სოფელს ოდითგანვე ერთობ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მისია ჰქონდა დაკისრებული. მართალია დღესდღეობით, ზემოაღნიშნულ გზას, რომელიც სულ რაღაც 20-30-ოდე კილომეტრს მოიცავს, ფაქტობრივად დაკარგული აქვს უძველესი ფუნქცია, რაც განაპირობა აღმ. საქართველოდან დას. საქართველოში სხვა, შემოკლებითი გზატკეცილების გაყვანამ, მაგრამ მისი შიდა მომსახურების ფუნქცია, კვლავინდებურად ფასდაუდებელს წარმოადგენს.

სოფელი გამოირჩევა შესაბამისი მდიდარი ისტორიული ძეგლებით, რომელთაგან აღსანიშნავია არქეოლოგიური ძეგლი — ბრეძის კომპლექსისა და ნასოფლარის სახელწოდებით. კომპლექსი მდებარეობს სოფლის ცენტრში, რომელშიც შედის: ზღუდერის (დიდი), წმ. მარინეს (მცირე) ეკლესიები და გალავანი. აქედან, ზღუდერის დარბაზული ეკლესია დათარიღებულია X საუკუნით, რომელიც XIX ს. შეუკეთებიათ. წმ. მარინეს დარბაზული ეკლესია თარიღდება ადრინდელი ფეოდალური ხანით; ზღუდერის ეკლესიის მიმდებარედ, სასაფლაოს ტერიტორიაზე მიკვლეულია გვიანდელი ფეოდალური ხანის ნასოფლარი. ჩანს, რომ კომპლექსს მთლიანად შემოვლებული ჰქონია ქვითკირის გალავანი. მესამე — კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია და ნასოფლარი, მდებარეობს სოფლის ჩრდ. დასავლეთით, მთაზე და თარიღდება X ს. II ნახევრით, რომლის ირგვლივაც აღმოჩენილია ნასოფლარის ნაკვალევი.

ბრეძა XX ს. შუახანებში საკმაოდ დიდი სოფელია, რომელიც 1715 წ. დავთარის მიხედვით, ლეკიანობისას აოხრებულა, მოსახლეობა დაქსაქსულა და ძველი გვარებიდან აქ შემორჩენილა მხოლოდ მუსხელიშვილები, პარკაძეები, ბლიაძეები და სხვ. ხოლო დანარჩენი გვარები გადმოსულან დას. საქართველოდან. სოფლის მებატონე მუსხელიშვილი ყოფილა, რომელთა ნაკოშკარი ახლაც შემორჩენილა.

სოფ. კოდა მდებარეობს დას. ფრონეს ზედა წელის მარჯვენა ნაპირზე. როგორც ჩანს, სოფელი არ გამოირჩევა არც სიდიდით და არც სიძველით. სადღეისოდ მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია მხოლოდ ერთი — წმ. ილიას დარბაზული ეკლესია, რომელიც

თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. საფიქრებელია, რომ ამ რეგიონის სხვა სოფლების მსგავსად, უმთავრესად ლეკიანობამ და ჩრდ. კავკასიის სხვა ტომების მიერ შევიწროვებამ გამოიწვია მათი აყრა და შემდგომში მისი აღორძინება შედარებით მძიმედ მიმდინარეობდა.

სოფ. ჭვრინისი მდებარეობს დას. ფრონის სათავეებში და სოფ. კოდის მსგავსი ისტორია უნდა ჰქონდეს გაულილი. აქ შეინიშნება ერთი დამახასიათებელი თავისებურება, რაც გამოიხატება ამ მთიანი სოფლების მოსახლეობის ნაკლებად ზრდასა და განუწყვეტელ მოძრაობაში. სოფელში შემორჩენილია მხოლოდ ერთი ძეგლი — წმ. იორამის ეკლესია, რომელიც სოფლის განაპირასაა აგებული XIX ს. მიწურულს.

სოფ. ატოცი შუა და დას. ფრონებს შორის ზედა წელზე მდებარეობს. იგი ერთ-ერთი უძველესი, გვიანდელი ფეოდალური ხანის საკმაოდ დიდი სოფელია. გვიანფეოდალური ხანიდან დღემდე, სოფელში უწყვეტი ცხოვრების კვალი შეინიშნება, რამდენადაც უახლესი ისტორიის ცნობებიდან ირკვევა, რომ 1905 წ. 8 მარტს სოფლის გლეხებმა მამასახლისს უფლება აჰყარეს, კანცელარია დაკეტეს და ათისთავები და ასისთავები აირჩიეს. ხოლო რაც შეეხება ადრეული ხანის ძეგლებიდან აქ დაფიქსირებულია ათამდე მატერიალური კულტურის ძეგლი. მათშორის: კოდას წმ. ელიას დარბაზული ეკლესია დათარიღებული ფეოდალური ხანით; მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია, რომელიც X ს. აგებული; ნასოფლარი, მდებარეობს ადგილ „დარბაძიანთ ჭაობებში“ და მიაკუთვნებენ გვიანდელ ფეოდალურ პერიოდს; მეორე ნასოფლარი მდებარეობს სოფლიდან ორ კილომეტრზე ადგილ „ურმიხელში“ და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. აღნიშნული ნამოსახლარიდან მეწყერის გამო მოსახლეობა აყრილა და ამჟამინდელ სოფელში ჩასახლებულა XIX ს-ში; არქეოლოგების მიერ, სოფლის სიახლოვეს, „კახურას“ ველზე აღმოჩენილია სამაროვანი, რომელიც გვიანდელი ბრინჯაოს ხანით თარიღდება; ღვთისმშობლის ეკლესია, დგას სოფლიდან მოშორებით — „გულიკაანთ უბანში“ და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება; ღვთისმშობლის მეორე ეკლესია დგას სოფლის ცენტრში, რომელიც გადმოცემით აგებულია 1903 წ. პატარა ეკლესიის ადგილზე; წმ. მარინეს

ეკლესია დგას სოფლის სამხრეთით, თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით; წმ. მარინეს მეორე ეკლესია დგას სოფლის განაპირას სამხ. დასავლეთით „გულიკაანთ უბანში“ და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით.[115]

ს. მაკალათიას გამოკვლევით იგი საკმაოდ მოზრდილი სოფელია, სადაც მოსახლეობის უმეტესობა იმერეთიდან გადმოსახლებულა, რამდენადაც ლეკიანობისას მისი ძირძველი მოსახლეობის დიდი ნაწილი აყრილა. 1715 წ. რუისის დავთრის აღწერის მიხედვით, აქ ცხოვრობდნენ: სამარღანიშვილები, გულიკაშვილები, ბასილაშვილები და ხეხელაშვილები. ადგილობრივი აზნაურები ყოფილან სამარღანიშვილები და დიდებულიძეები. გადმოცემით, სამარღანიშვილი მოსულა სამეგრელოდან — სამარღანოდან, გვარად მარღანია. შემდეგ აქ გადმოსულა იმერეთიდან დიდებულიძე. თავდაპირველად მათი გვარი ყოფილა შოთაძე და ამ შოთაძეებს ჩხარიდან ატოცში გადმოუტანიათ წმ. გიორგის ხატი და დაუსვენებიათ „საჯვაროზე“ — სოფლიდან მოცილებით.[116]

ატოცის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ ვახუშტი წერს: „ბრეჭის ჩრდილოეთით არს ეკლესია ატოცს, წმ. გიორგისა, სასწაულნი“-ო. ეს ხატი, როგორც ჩანს გადაუსვენებიათ 1905 წ. დამთავრებული სოფლის იმავე წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც დიდძალი მომლოცველი მოდიოდა და იგი ხეობაში ყველაზე ძლიერ ხატად იყო ცნობილი. ეს ხატი არჩენდა სულით ავადმყოფებს. ხატობას აქ მოჰყავდათ საწირ-საკლავი და ღამის თევით დგებოდნენ. ვისაც ჰქონდა შეთქმული იგი კისერზე დაიდებდა ხატის ჯაჭვს, ე.წ. „დადიანს“ და სამჯერ შემოუვლიდა მუხლისჩოქა. ზოგი მლოცავი — ვის როგორ ჰქონდა შეთქმული — ეკლესიას ბამბის ძაფს ე.წ. ღვთისმშობლის სარტყელს — შემოავლებდა, ზოგი ავადმყოფი ცეკვა-თამაშით შემოუვლიდა, ხატის რჩეული ქადაგად ეცემოდა და სხვ. ამ ხატობას უწოდებდნენ „ქაშეთობას“ და იწყებოდა სექტემბრის ბოლო კვირას და გრძელდებოდა პირველ ოქტომბრამდე. ამის შესახებ ბაგრატ

---

115 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, გე. 357.

116 ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გე. 47.

ბატონიშვილი მოგვითხრობს: „1817 წ. აპრილის 23, ღდღესა ორშაბათს, თვითონ დღესასწაულსა მისსა იქნა ესე სასწაული ეკლესიასა მისსა ატოცს: შთამოვიდა გველეშაპი დიდი და საზარელი გარეშემოერტყა ეკლესიასა და ჩაიდო კუდი თვსი პირში კარებთან, ოდეს მლოცავნი ხალხნი მოვიდეს, გამოიღოს პირიდან კუდი და შეუშვას ეკლესიად და კუდი ჩაიდვის ისევ პირს კუდი თვისი და გამოსვლასვე ესრეთ ჰყვის, ესე გველეშაპი იყო მოხვეულ საყდარსა სამ დღე და ღამეს და მეოთხე დღეს უჩინო იქნა“.

როგორც ჩანს, ატოცის ხატი მართლაც ხეობის ყველაზე ძლიერ სალოცავს წარმოადგენდა და ზემოაღნიშნული სასწაულის ამსახველი თხრობაც ამის დასტურია. აღნიშნულ გარემოებაზე მეტყველებს გაზ. „დროებ“-ის (1878 წ.) კორესპონდენცია, სადაც აღმ. საქართველოში ფრიად გავრცელებულ ლეგენდას ეხება, რომლის შინაარსიც ასეთია: ატოცის ჩრდ. აღმოსავლეთით, გულიკაანთ უბნის ქვემოთ, არის ე.წ. „ქვაბთქალას“ ეკლესია, მდ. ფრონის გადმოღმა. გადმოცემით, ამ სოფელს ლეკები დასცემიან, ხალხი აქედან გახიზნულა. ერთი ქალიშვილი კი ამ ეკლესიაში დამალულა. ლეკებს იგი ჩქარა უპოვნიათ და გაუტაცნიათ. გზაში ლეკებს მისი გაუპატიურება მოუნდომებიათ. ქალს ღვთისთვის უთხოვია: ამას გადამარჩინე და ქვად მაქციეო. ეს ქალიც გაქვავებულა და ლეკებს ქვაქალი იქვე დაუგდიათ. ამ ქვას უწოდებენ „ქვადედაკაცას“, ჭალასაც დღესაც ქვადედეკაცას ეძახიან. ქვადედაკაცა ახლაც იქვე ძევს. ეს არის ერთი მეტრის სიგრძის კლდის ქვა, რომელსაც თავი აქვს. ამ ქვას ხელს არ ახლებდნენ. ზოგჯერ მას სანთლებსაც უნთებდნენ. მაშინ, როდესაც გვალვა დადგებოდა, დედაკაცები ვედრებაზე დადიოდნენ სოფელში, აგროვებდნენ საწირს, მერე მივიდოდნენ ქვადედაკაცასთან, გადააბრუნებდნენ, წყალს გადაასხამდნენ და იტყოდნენ: „წვიმა მოგვეციო“. მარიამობას (ყველიერში) ამ ქვადედაკაცასთან სალოცავად ქალები მიდიოდნენ, ღამეს უთევდნენ და თან ლოცულობდნენ.[117]

სოფ. ოქონა. ვახუში ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ბრეძის ჩრდილოეთ არს ეკლესია ატოცსს, წმდის გიორგისა, სასწაულნი, ავლევს

[117] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 47.

ზეით, ფცის წყლის აღმოსავლეთით, არს ოქონის მონასტერი დიდი, გუმბათიანი, არამედ უცხო არს, რამეთუ ძვრისაგან წახნით მდგომარეობს ჩრდილოითკენ და არა დაირღვევის, ადგილსა შვენიერს, წყაროინსა. აქ არს ნიგოზი; გასტეხო რა, ნებალი მისი არს ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი“ (80). სოფელი ჩანს, რომ ძველთაგანვე ორ ნაწილად იყო დასახლებული — ძველი და ახალი. XX ს. 50-იანი წლებისათვის ძველი ოქონას მხოლოდ ნასოფლარი შეინიშნებოდა, რომლის ნანგრევებიც ახლად აგებული ეკლესიისთვის მოუხმარიათ. ისე, რომ 1850 წლისათვის ოქონას ძველი ეკლესია უკვე დანგრეული ყოფილა. რაც შეეხება ოქონას ძველ მონასტერს, იგი XI-XII საუკუნეებს მიეკუთვნებოდა. გადმოცემით, ოქონა აუშენებია მთავარ ოსტატს, ხოლო თიღვა — მის შეგირდს, რომელსაც უფრო კარგი აუგია და ამიტომ ოსტატს მისთვის მარჯვენა ხელი მოუჭრია.

ს. მაკალათიას გამოკვლევით, ოქონას ტაძრის აშენება დაკავშირებულია ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) მეუღლე ელენესთან, რომელიც ბიზანტიის კეისრის რომან აგრიპას ძმისწული იყო. ელენეს მზითევში მოჰყოლია ოქონის ღვთისმშობლის ხატი. იმას იქიდან გამოჰყოლია თავისი მოძღვარი ფილიმონი, რომელიც შემდეგ გამხდარა გარსევანიშვილების წინაპარი. საბერძნეთიდან დედფალს წამოუყვანია აგრეთვე ხუროთმოძღვარი და მშენებლები, რომლებსაც ქართლში, ფრონის ხეობაში (ოქონაში) აუშენებიათ შესანიშნავი ტაძარი და მასშივე დაუსვენებიათ ღვთისმშობლის ხატიც. ამ ხატის მხლებლები და მცველნი ყოფილან მემკვიდრეობით გარსევანიშვილები. ხოლო მას შემდეგ, როდესაც სოფელი აოხრებული იქნა შემოსევებისგან, ხატი გადაუსვენებიათ ქ. გორში, სადაც ამის სახელობის ეკლესიაც აუშენებიათ. ისე, რომ გორში ყოფილა აგებული ოქონას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

სოფელი ავნევი ზემო ქართლის ამ რეგიონის საკმაოდ დიდი სოფელია, რომელიც თავისი წარსულითაც გამოირჩევა. იგი ყორნისის ხეობაში მდებარეობს, რომელიც მდინარე ფრონის ორივე მხარეზეა გაშლილი. ხეობა ზღვის დონიდან 750-900 მეტრ სიმაღლეზეა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: წუნარის-ხევს ზეით არს ეკლესია ერკნეთს; დგანან

მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი. აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდამ ნულისხევი. არს ნულს ციხე. ამ ხევს ზეით მოერთვის აღმოსავლეთიდან ყორნისის ხევი, გამოსდის ზარის მთას. ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრნეს ლეკთა. ყორნის ზეით, წორბისს, ერთვის ამ წყალს ხტანის-ხევი".

ყორნისის ხეობა, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა. ამ ხეობაზე, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, გადიოდა ისტორიულად სასიცოცხლო გზა ქართლიდან იმერეთში. ეს გზა წარმოადგენდა საქართველოს ორივე ნაწილის უმნიშვნელოვანეს არტერიას მათ შორის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი თანადგომის შედულაბების საქმეში. საყოველთაოდ ცნობილი ამ გზის ერთი განშტოება გადადის ძაღინაზე გავლით და ეძახიან შვილდაურის გზას, ჩადის იმერეთის სოფ. ურუნას გავლით ძირულას ხეობის სოფ. ჩონთოში, ხოლო მეორე გზა გადის წორბისიდან გომართის ეკლესიით სერ-სერ და გაივლის პატარა ლოხონას მოშიშვლებულ მთაზე — პერანგაზე და ბოლოს ჭალით უერთდება აბაშიძიანთ სოფელს. ამასთან, ყორნისის ხეობის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენდა ლიახვის ხეობასთან მჭიდრო კავშირი, რომელზე გავლითაც იგი უკავშირდება ჩრდილო კავკასიაში გამავალ ე.წ. დვალეთის გაზას, ანუ ახლანდელი ე.წ. ოსეთის სამხედრო გზას. ამგვარად, იგი ჩრდილო-კავკასიას მამისონისა და როკის უღელტეხილებით საქართველოს ორივე ნაწილს უკავშირდებოდა დვალეთის ორი გზიდან ერთი ალაგირის (არდაონის) ხეობიდან როკის უღელტეხილით მომავალი გზაა, რომელიც დიდი ლიახვის სათავიდან ყორნისის ხეობასა და ქართლის სხვა რაიონებს უკავშირდება; მეორე იყო იმავე გზის განშტოება ალაგირის ხეობიდან მომავალი გზა სოფ. ქვემო ზარამაგთან ორად იყოფოდა, ერთი ნარდონის და ზაკიდონის ხეობით როკის ურელტეხილისაკენ მოემართებოდა, მეორე კი მამისონდონის ხეობით (ანუ ჟღელეს ხეობით, როგორც მას ვახუშტი უწოდებს) მიემართება, გადადის მამისონის ანუ ჭანჭახის ულელტეხილზე და რიონის სათავეში ეშვება.

აქედან ის ქუთაისს და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს უკავშირდება.[118]

ყორნისის ხეობისა და ზოგადად ამ რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსკურსი, რომელსაც საკმაოდ დეტალურად გადმოგვცემს ავტორი, ერთხელ კიდევ ცხადყოფს ამ მხარის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და თავდაცვით-სტარტეგიულ მნიშვნელობაზე საერთოდ. ამ გზის არსებობას და მის რეაბილიტაციას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, როგორც მეფის, ისე საბჭოთა და ფედერალური რუსეთი, რამდენადაც სხვა გადმოსასვლელებთან ერთად იგი წარმოადგენს მზაკვრული, ისტორიული ზრახვის — კოლონიზაციის განხორციელების ერთ-ერთ უმოკლეს გზას სამხრეთ კავკასიაში. როკის გზის უპირატესობას არხოტის უღელტეხილთან შედარებით (184 ვერსი), ეს გზა (131 ვერსი) სამუშაოთა პროცესის განხორციელების, მისი ეკონომიურობისა და დროის თვალსაზრისითაც უფრო გამართლებულად მიიჩნეოდა, რომლის დასაბუთებაც 1913 წ. პეტერბურგის სამთო ინჟინერთა ერთ-ერთ კრებაზე ნ. ფილკოვიჩმა დამსწრეთ წარუდგინა მომავალი საუღელტეხილო გზის პროექტი, რომელიც მოწონებული იქნა.“[119]

ამგვარად, როგორც გ. თოგოშვილი აღნიშნავს XIII-XIV ს.ს. ოსეთის სამხედრო გზამ დიდი როლი შეასრულა ჩრდ. კავკასიიდან ოსური ტომების საქართველოს ცენტრალურ რაიონებისაკენ მოძრაობის საქმეში და სწორედ ამ გზის საშუალებით ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა მუდმივი მოსახლეობის გაჩენას. ხოლო რაც შეეხება ამ შემთხვევაში ყორნის-ფრონეს ხეობების მოსახლეობის მოძრაობას, ლიახვის, ქსნისა და სხვა რეგიონების მსგავსად, აქ მოსახლე ძირძველმა ქართველმა თანდათანობით ზეგანზე და შემდეგ ბარად დაიდო ბინა, ხოლო მის ნამოსახლარზე აღმოცენდა ოსთა დასახლება.

---

[118] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958, გვ. 30.

[119] გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. №1075.

რამდენადაც სოფ. ავნევის ისტორია მეტ-ნაკლებად შესწავლილია, ამდენად მის ირგვლივ ფართოდ აღარ შევჩერდებით და ვისარგებლებთ აქედან ამონარიდი მასალებით.[120]

ყორნისის ხეობა და ბუნებრივია სოფ. ავნევი, XVI საუკუნიდან შედიოდა ზემო ქართლის სადროშოში, რომლის მედროშენი — სარდლები ამილახვრები იყვნენ ცენტრით ქ. გორი. რამდენადაც ამილახვრიანთ სამფლობელო, განსაკუთრებით ჩრდილოეთიდან არ იყო სათანადოდ შეუვალი ისე, როგორც მაგალითად ქსნისა და არაგვის ერისთავთა სამფლობელოები, ამდენად მისი დაცვა ძირითადად ეფუძნებოდა ხელოვნურად ნაგებ სიმაგრეებს — საფორტიფიკაციო ნაგებობებს. აქედან გამომდინარე საზღვრებისა და საერთოდ მოსახლეობის დაცვისათვის ამ მიმართულებით განუწყვეტელი მშენებლობა-აღორძინება მიმდინარეობდა. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, როცა ყორნისის ხეობის ამ ვრცელ ტერიტორიაზე არ მოიძებნებოდა სტრატეგიული ადგილი, სადაც ხელოვნურად ნაგები სიმაგრეები, ციხე-კოშკები არ მდგარიყო. ამ მხრივ განსაკუთრებით ძლიერ ფორ-პოსტებს წარმოადგენდა ყორნისისა და წორბისის კოშკები, ავნევის ციხე-გალავანი, ნულის ციხე-გალავანი და სხვ.

სოფ. ავნევი რომ ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ადგილი ყოფილა მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებთან ერთად მეტყველებს არქეოლოგიური მასალაც, რომელიც აქ იქნა აღმოჩენილი (ბრინჯაოს სხვადასხვა საოჯახო ნივთი) და მიეკუთვნება ახ.წ. I-II საუკუნეებს.

ეთნოგრაფ ს. მაკალათიას ჩანაწერების მიხედვით, სოფ. ავნევის სახელი, გადმოცემით, უკავშირდება ავენიანობას, რომ ავნელები — ავი ენისანი ყოფილანო. ამასთან, ავნევი — ხალხური განმარტებით მედგარს ნიშნავს, ანუ გამბედავს. ავნელები ყოფილან საერთოდ მაგარი ხალხი და მტერსაც მაგარი ენით და სიტყვით ხვდებოდნენო. მატერიალური კულტურის (XX ს. 50-იანი წლებისათვის) შემორჩენილი ძეგლებიდან აღსანიშნავია ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ჯვრის ფორმითაა აგებული და აქვს დაბალი გუმბათი. იგი ქვაფიქალითაა მოპირკეთებული და დასავლეთ კარიბჭეზე ჩაშენებულია ბარელიეფიანი ქვაფიქალი, რომელზეც

[120] იხ. ვახტანგ გორგალაძე, სოფელი ავნევი, ცხინვალი, 1968 წ.

ნათლისღებაა გამოსახული და სიუჟეტი მდგომარეობს შემდეგში: მდინარეში ჩამდგარია ქრისტე, მის მარცხენა მხარეზე დგას ანგელოზი ხელში სურით. ქრისტეს თავზე აზის მტრედი (სული წმინდა), მარჯვნივ დგას იოანე (ივანე) და მას ნათელსა სცემს, ხოლო მის ფეხებთან სამი თევზია. ხოლო სამხრეთის კარებთან ჩაშენებულ მეორე ფიქალქვაზე, რომელზედაც ამოკვეთილია მამაკაცი ხელში ჯვრით, მის მარცხენა მხარეზე გამოსახულია ადამიანის მკლავი ჯვრითა და ფოთლოვანი ტოტით. ორივე ბარელიეფი ერთი სტილისაა, რომელიც ერთიდაიმავე ოსტატის მიერ უნდა იყოს გაკეთებული და ჩაშენებული ეკლესიის აღდგენის დროს — XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. როგორც ჩანს, XX ს. შუა ხანებში, სოფლის სალოცავი ადგილები — ნიშები თითქმის ყველა დანგრეული ყოფილა. მაგრამ ამ ადგილებში მლოცავთა ნაკადი მაინც არ წყდებოდა. ამ დროისათვის ცნობილი იყო: წმ. გიორგი — გორაობა, შიოს ნიში, თევდორეს ნიში, ივანე მახარობლის ნიში და აგრეთვე კერპის საყდარი (ნიში), სადაც ლოცულობდნენ ბოროტი სულების წინააღმდეგ. ამათაგან მაინც ყველაზე ძლიერ სალოცავად ითვლებოდა წმ. გიორგი — გორაობა, რომელსაც შესთხოვდნენ წველას, რძიანობას, თუ ძროხა გაშრებოდ ან წველას უკლებდა, მაშინ ორშაბათ დღეს ძროხას მიიყვანდნენ გორაობის ნიშთან და გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ, მას შესთხოვდნენ წმ. გიორგის წველის მატებას, ან კიდევ თუ დედა ქალს რძე არ ჰქონდა, ან ცოტა მოსდიოდა, მასაც ამგვარი რიტუალის შესრულება უწევდა. ქალი იქვე მოიწველიდა ძუძუს უხმარ ჭურჭელში და შესთხოვდა წმ. გიორგის რძის მოსვლას. ამის შემდეგ ჭურჭელს იქვე დატოვებდა და ისე წამოვიდოდა, რომ უკან აღარ მიეხედა.[121]

ნული პატარა სოფელია, რომელიც შემაღლებულ ადგილზეა შეფენილი და ზემოდან ცნობილი „ნულის ციხე“ გადასცქერის. ჩანს, რომ ეს სოფელი უძველესი დროინდელია და ოდესღაც ხალხმრავალობითაც უნდა ყოფილიყო გამორჩეული. ამის საფუძველს იძლევა 1931 წ. აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად (გათხარა ე. ფაჩულიამ) ძვ.წ. VI-V სს. ხანის სამარხებში აღმოჩენილი ნივთიერი მტკიცებულებები. ე.წ.

[121] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 31.

„ხევას მიწაში“ მიკვლეული აღნიშნული ძეგლი, აგრეთვე 1715 წ. რუისის სამწყსოს დავთრისა და სხვ. მონაცემები, რომელნიც მოწმობენ, ნულის საკმაოდ მოზრდილ სოფლად არსებობაზე, თუმცა კონკრეტული გვარები არაა მითითებული, რამდენადაც ისინი ლეკიანობის გამო აქედან აყრილან.

სამწუხაროდ, ნულის ერთმა დიდებულმა ციხემ ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევების სახით მოაღწია. ოდეზღაც მის გალავანში ბევრი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მდგარა. გადმოცემით, შუა ადგილას აგებული ყოფილა ორ სართულიანი აგურის დარბაზი, რომლის მხოლოდ ნაწილია სადღეისოდ შემორჩენილი. ციხეში შემორჩა აგრეთვე წმ. მარინეს სახელობის ქვითკირის პატარა ეკლესია. ნულის ციხის მთელი კომპლექსია დათარიღებული XVII-XVIII საუკუნეებით. სოფლის შუაგულში არის მეორე ეკლესია, რომელსაც უწოდებენ „გიორგი პარასკევას“, რამდენადაც აქ მხოლოდ პარასკევ დღეს მოდიან სალოცავად. აქ მოაქვთ შესაწირავები, აფრენენ ქათმებს, ანთებენ სანთლებს და სხვ. გადმოცემით, ეკლესიის აღმშენებელს რქმევია პარასკევა და სახელიც ამიტომ შემორჩენია-ო.

ყორნისის ხეობაში მდებარეობს სოფ. არკნეთი ანუ ერკნეთი. ვახუშტი მოგვითხრობს: „ამას ზეით, დვანს, ამ წყალს ერთვის ხევი ჭოლიბაურისა. ამ ხევს ზეით ერთვის ამ წყალს ხევი წუნარისა. წუნარს არს ეკლესია გუმბათიანი, აწ უქმი. წუნარის-ხევს ზეით არს ეკლესია ერკნეთს. დგანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი“-ო. ჩანს, რომ სოფლის ძველი მოსახლეობა აქედანაც აყრილა და როგორც რუისის 1715 წლის დავთარშია მოხსენიებული, აქ მხოლოდ ერთი — პაპაშვილების გვარი შემორჩენილა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებიდანაც ჩანს, არკნეთში ერთი დარბაზული ეკლესია ე.წ. არკნეთის ღვთისმშობელი ყოფილა, სადაც იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ჰქონია მამული და ღალის ასაღებად მოდიოდნენ. იერუსალიმის ბერები, რომელთაც ჭირნახულისა და ღვინის მოსავლიდან 1/6 იღებდნენ-ო.

სოფ. წუნარი მდ. ფრონედან სამიოდე ვერსის მოშორებით, წუნარის პატარა ხეობაში მდებარეობს, იქ, სადაც წუნარის წყალი მიერთვის

ჭოლიბაურის უფრო დიდ ხევს. ვახუშტი წერს: „წუნარსს არს ეკლესია გუმბათიანი, აწ უქმი. წუნარის ხევს ზეით არს ეკლესია ერკნეთს“-ო. აღნიშნულიდან ირკვევა, რომ XVII საუკუნეში სოფელი უკვე ნასოფლარია და მოსახლეობა არ ჩანს, თუმცა ეკლესია მეტნაკლებად შემორჩენილა, რომელიც გარედან რუხი, ჩოფურა ქვაფიქალითაა მოპირკეთებული და ერთობ ლამაზი იერსახით გამოირჩევა. ტაძარი გუმბათიანია, რომელსაც ათ დალარულ ჩარჩოში ჩასმული სარკმელი ამშვენებს. ტაძარი აღდგენილია 1887 წ, რომელზეც ამოტვიფრულია ოსტატის ინიციალები. აღსანიშნავია, რომ წუნარის ტაძარი ამ ხეობაში თითქმის ერთადერთი ყოფილა (XX ს. 50 წ.), რომელიც მთლიანად შემონახულა და მიეკუთვნება XIII საუკუნეს. იგი ნაგებობის ტექნიკით და გეგმით წააგავს თიღვის იმავე პერიოდის დიდებულ თიღვის ტაძარს.

როგორც ითქვა, ვახუშტი ბატონიშვილი პატარა მდინარე ფრონეს დვანის წყლად აღწერს, რომელიც ერთად ყორნისის ვრცელ ტერიტორიაში — ხეობაში შედის. ვახუშტი დვანის წყალზე აღწერს 20 სოფელს, ხოლო ფცის წყალზე 46 სოფელს. ფცის ფრონეს ხეობა, როგორც ჩანს, ოდითგანვე ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რეგიონი ყოფილა. ეს ტერიტორია ამჟამად, ადმინისტრაციულად ქარელისა და ზნაურის რაიონებში შედის. როგორც აღნიშნული გვქონდა, მდინარე ფცის სათავეს ფრონეს უწოდებენ და იგი საკმაოდ წყალუხვია, რამდენადაც მას გზადაგზა უერთდება აბანოს წყალი, ბრეძის წყალი, წაღვლის წყალი, ოჟორას წყალი და სხვა პატარ-პატარა ხევების ნაკადულები. ყველა ეს ნაკრები მდინარეები სოფ. აბანოსთან ერთადაა შემდგარი და სოფ. ფციდან ამავე სახელწოდებით დოღლიაურთან მიერთვის მდ. მტკვარს. ვახუშტის აღწერით, ფცის ფრონის სათავე ლოხინა-პერანგას მთაში იწყება: „დვანის წყლის დასაელეთით არს ფცის წყალი და დის ლოხოისა-პერანგას მთათაგან. მოდის სამხრით და მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. კიდესა მტკვრისასა არს ქვეყანა-ტკოცა“.[122]

საქართველოს, კერძოდ ქართლის ჩრდილოეთის მთიანეთის სხვა რეგიონების მსგავსად ამ ხეობასაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფუნქ-

[122] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 79.

ცია გააჩნდა, რამდენადაც მასზე გამავალი გზები ადგილობრივ მოსახლეობას ავალდებულებდა, როგორც თავდაცვით, ისე სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივს წარმოადგენდა ის ფაქტი, როცა ეს ადგილები განუწყვეტელ, ფარულ თუ ღია თავდასხმებს განიცდიდა და აქედან გამომდინარე მოსახლეობაც ხშირ ადგილმონაცვლეობას მიმართავდა. ამის ნათელი დადასტურებაა ხეობაში მიტოვებული ნასოფლარების სიმრავლე და მათ ადგილას ოსთა დასახლების ფაქტები, რომლის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს წკნელისი-ოქონიდან დაწყებული ვიდრე გომარეთამდე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, რომელიც განსაკუთრებით XIX ს. მეორე ნახევრიდან შეინიშნებოდა. აღნიშნულზე მეტყველებს თუნდაც ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული სოფლების სახელები, მატერიალურ-კულტურის ძეგლები: ეკლესია-მონასტრები, ციხე-გალავნიანი კოშკები და სხვ.

ფცის ფრონეს ხეობის ერთ-ერთი უძველესი და დიდი სოფელია მოხისი, რომელიც ორ მდინარეს შუა-ფცისა და ალის წყლის ნაპირებს ესაზღვრება. ს. მაკალათიას ჩანაწერების მიხედვით, გადმოცემით, მოხისი მუხისაგანაა ნაწარმოები. სოფელი ესაზღვრება აგრეთვე მდ. მტკვარს და მის ირგვლივ მდებარეობენ აგრეთვე საკმაოდ დიდი სოფლები და ნაყოფიერი ველები: ბერძენაული, კოდა, ვაყა, აგრეთვე დირბისა და ფცის სახნავ-სათესი ადგილები. მოხისი დაბად აქვს მოხსენიებული ვახუშტი ბატონიშვილს. სოფელს ჩამოუდის შიდა მდინარე — სურამულა, რომელიც ვაყის ბოლოში შეერთვის ალის ფრონეს. ისტორიული წერილობითი წყაროების მიხედვით, მოხისი არაერთხელ გამხდარა მეფე-დიდებულთა შორის ურთიერთ დაპირისპირების ადგილი. ერთი ასეთი ბრძოლა 1510 წ. მოხდა, როცა იმერეთის მეფემ ბაგრატმა დაამარცხა ქართლ-კახეთისა და საათაბაგოს გაერთიანებული ლაშქარი. ხოლო მეორე, 1523 წ. როცა მამია გურიელი გადმოსულა მოხისში ლევან კახთა ბატონის დასახმარებლად, რომელსაც ქართლის მეფე დავით VIII ებრძოდა და გურიელის გამარჯვებით დამთავრდა.

რამდენადაც გეოგრაფიული მდებარეობით, მოხისი, შიდა ქართლის ვაკის ნაყოფიერ ველზეა გაშენებული, რომელზედაც გადის ძირითადი მაგისტრალი-დამაკავშირებელი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, ამდენად იგი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში წარმოადგენდა ფრიად დაწინაურებულ დასახლებას. ფეოდალური საქართველოს ერთიანობის ხანაში (XI-XIII სს.) მოხისი, სამეფო კარის კუთვნილი — „სადედოფლო ტერიტორია იყო. XIV საუკუნეში, სამეფო კარმა, როგორც ჩანს სოფელი შესწირა სვეტისცხოვლის მონასტერს და 1393 წლიდან XVI ს. დამდეგამდე იგი საკათალიკოსო სოფელია. ხოლო მას შემდეგ, რაც იმერეთის მეფემ ალექსანდრე II ისარგებლა რა ქართლის სამეფოს დასუსტებით, გორის ციხე აიღო, საკუთარი ძალაუფლება ქართლზე მდ. ლიახვამდე გაავრცელა და თავისთავად მოხისიც მის მფლობელობაში აღმოჩნდა. თუმცა იმერეთში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, ქართლმა მალე დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიის ნაწილი და ზემო ქართლის ნაწილი, მათშორის მოხისიც კვლავ იმერეთს დარჩა, რომელიც XVII ს. შუა ხანებამდე შეინარჩუნა. ისე, რომ XVII ს-ში იმერეთის სამეფოს დასუსტებასთან ერთად, ქართლის მეფემ და სვეტიცხოველის მონასტერმა თანდათან დაიბრუნა დაკარგული ყმა-მამული ზემო ქართლში. მომდევნო პერიოდში, კერძოდ 1660 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა და ქართლის კათალიკოს დომენტის შორის წარმოებული მოლაპარაკების საფუძველზე, იმერეთის მეფეს კვლავ უნდა შეეწირა მოხისი სვეტიცხოველისათვის და სამაგიეროდ კათოლიკოსისაგან საუკეთესო ცხენი და 40 თუმანი თეთრი მიეღო.[123]

ისე, რომ XVII ს. მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, მოხისი კვლავ საკათალიკოსო სოფელია. სვეტიცხოველს მოხისში თავისი მოურავი ჰყავდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ამილახვართა სათავადო ჩამოყალიბდა, სოფლის ყმა-მამულის ნაწილზე წილს იღებენ ამილახორებიც, რომელთაც 1766 წლისათვის მოხისის ყმა-მამულის მერვედი ეკუთვნოდათ. რაც შეეხება გვიანდელი ფეოდალური ხანის პოლიტიკურ

---

123 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, გვ. 378.

მოვლენებს, როდესაც ადმინისტრაციული დაყოფით ზემო ქართლის სადროშოში მოხისის შესვლას, რასაც ამილახვრები სარდლობდნენ, სოფლიდან თოფით, ფარ-ხმალითა და მშვილდისრით შეიარაღებული 50 მოლაშქრე გამოდიოდა. ისე, რომ მოხისელი მოლაშქრითაგან ორი მესამედი მხედარი იყო, რაც სოფლის როგორც ეკონომიკურ, ისე საბრძოლო სულისკვეთების სიძლიერეზე მიუთითებდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს გვიანდელ ფეოდალურ ხანაში გავრცელებული იყო ჭირნახულის სპეციალური საწყაო ერთეული — „მოხისული კოდი“.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია: ციხე-კოშკის ნანგრევები, რომელიც XVII საუკუნით თარიღდება და წმ. გიორგის ეკლესია აგებული 1811 წელს. ხოლო რაც შეეხება საერთოდ მატერიალური კულტურის ძეგლთა შედარებით ნაკლებობას იგი გამოწვეულია მრავალგზის შემოსევებით, რომელსაც მოსახლეობის ხშირი მოძრაობის პროცესები მოსდევდა.

როგორც ვნახეთ, მოხისელებს ფაქტობრივად მებატონე არ ყოლიათ. იგი საეკლესიოს წარმოადგენდა და გადასახადსაც მათ უხდიდა. სოფლის მამულებს ყოფდა მდ. სურამულა, რომლის გაღმა ადგილები ციციშვილებისა ყოფილა, გამოღმა კი საეკლესიო. სოფელი მცხეთის მონასტერს ღალას უხდიდა ღვიურზე ნახევარ კოდ ხორბალს, რომლისგანაც შემდგომში გაუნთავისუფლებიათ და მხოლოდ თითო ჩანახი პური დაუწესებია წელიწადში.

სოფ. წაღელი ჭერათხევისა და ფრონეს შორის ჩამომდინარე ლოფანას წყალზე მდებარეობს, რომელიც ფცის ფრონეს შენაკადს წარმოადგენს. ახლანდელი წაღვლის ნასოფლარიდან — ძველი წაღვლიდან გამოღმა ადგილი, სადაც დასახლებაა საკმაოდ მთა-გორიანია. აქ უმთავრესად იმერეთიდან გადმოსული ხალხი ცხოვრობს, რამდენადაც ჟამთასიავის გამო, ძირძველი მოსახლეობა გახიზნულა, ნაწილი ამოწყვეტილა და ამდენად ეს ნასოფლარი ამჟამად სახნავ-სათესათ და საძოვრებადაა ქცეული. ერთ დროს სოფელი ამირეჯიბების საკუთრება ყოფილა, რომელსაც გლეხობა ღალას ღვიურზე ორ კოდსა და ორ ჩანახ ჭირნახულს

უხდიდა. აგრეთვე სოფელი ვალდებული იყო დღიურზე ორი მუშაც მიეცა.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან სოფელში შემორჩენილია თერთმეტამდე დასახლება-ნამოსახლარი, რომელიც წარმოდგენილია უბნებად, გაფანტული სახით. აქვეა სამი ნაეკლესიარი, ექვსი სამაროვანი, შემორჩენილია ციხე-დარბაზი, წმ. გიორგის ეკლესია და სხვ. რომელიც უტყუარ ცნობებს იძლევა რათა მეტ-ნაკლები წარმოდგენა ვიქონიოთ ამ სოფლის წარსულზე, მის გრანდიოზულობაზე. არქეოლოგების მიერ მიკვლეული ე.წ. წაღვლის განძი, მრავალი სამაროვანი, ნასოფლარი, ნაეკლესიარი და სხვ. მეტყველებს აქ მოსახლე ქართველი ხალხის მაღალ კულტურულ მეურნეობრივ და სულიერ სიძლიერეზე, რომელსაც ქმნიდნენ ადრინდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანიდან XX საუკუნემდე. აქაა შემორჩენილი XIX-XX საუკუნებში აგებული ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომელიც მშენებლობისა და ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ, სადაც მაღალი გემოვნებითაა შერწყმული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყოფითი ტრადიციების ამსახველი ელემენტები, რომელთა დიდი ნაწილი შესრულებულია XIX-XX საუკუნეების გასაყარზე.

რაც შეეხება ნაეკლესიარი ადგილების ხნოვანებას, არქეოლოგები მიაკუთვნებენ ფეოდალურ ხანას, ხოლო ნამოსახლარებს საშუალოდ გვიანდელი ბრინჯაოს, ადრინდელი რკინის პერიოდებს. ასევე ამ პერიოდებს ეკუთვნის სამაროვნებიც, სადაც აღმოჩენილია უამრავი ბრინჯაოს შუბის პირები, კაჟის ნამგლის ჩასართი და ზოომორფული ფიგურები, ბრინჯაოს ორთითი, კვირისთავი. სამაროვნებში აღმოჩენილი ასამდე სამარხში ადამიანთა ჩონჩხებთან ერთად მოპოვებულია უამრავი სამეურნეო, საბრძოლო იარაღები, საყოფაცხოვრებო ჭურჭელ-ინვენტარი, სამკაულები და სხვა, ნათლად წარმოაჩენს არა მარტო ამ სოფლის მდიდარ ისტორიულ წარსულს, არამედ ზემო ქართლის მთისა და ბარის გარდამავალი ზოლის ადგილსა და მნიშვნელობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში.

სოფ. ახალ წაღვლში შემორჩენილი თანამედროვე საცხოვრებელი სახლებიდან თავისი რელიეფური მდებარეობით, ხალხური შემოქმედების გამოვლენით, როგორც ქვითკირის კედლის წყობით, ხითხუროების ნიმუშებით — ქონგურებით და კამაროვანი ფორმის ჩუქურთმებით და სხვ. შესანიშნავ წარმოდგენას გვიქმნის მდიდარი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრული ტრადიციების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია შემორჩენილი სოფლის ქვემო უბანში, რომელიც XX ს. დასაწყისშია აგებული და ეკუთვნის აბრამ გელაშვილს; მეორე საცხოვრებელი სახლი დგას სოფლის ზედა უბანში და ესეც იმავე წლებშია აგებული. სახლი ორსართულიანია და ეკუთვნის შაქრო კაპანაძეს. ძველ ნასოფლარზე, ამჟამინდელი სოფლიდან ერთნახევარ ვერსზე, მდ. წაღვლურას მარჯვენა ნაპირზე შემორჩენილია ჩანგრეული ციხე-დარბაზი, რომელიც თარიღდება ფეოდალური ხანით. წერილობით ისტორიული წყაროების მიხედვით, დავით აღმაშენებელს წაღვლისთავში ჰქონია ციხე-დარბაზი, ე.წ. მცირე სასახლე („და იყო მაშინ საზღვარი მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღულის თავი“).[124]

წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელიც სოფლის სიახლოვეს მდებარეობს თარიღდება ფეოდალური ხანით, ხოლო მეორე წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელიც ჩრდილოეთით, ფერდობზეა აგებული, XIX საუკუნით.

სოფ. ძაღინა მდებარეობს შემაღლებულ ადგილზე, იქ სადაც მდ. ფრონეს მიერთვის ოჟორის წყალი. თავისი მდებარეობის მიხედვით, იგი ითვლებოდა სახელმწიფოებრივ დასახლებულ ადგილად, რომელზეც ოჟორის ხეობით გზა გადადის იმერეთში, ფრონის ხეობით კი ფცა-აგარით-გორში, ხოლო გორიდან — თბილისში. ისე, რომ ძაღინა წარმოადგენდა ამ უმნიშვნელოვანესი გზების უსაფრთხოების ფორპოსტს, სადაც ბუნებრივია აგებული იყო ციხე-გალავანი მთავრის რეზიდენციით. სოფლის მიდამოები ერთობ კოლორიტულია, რამდენადაც იგი მოიცავს, როგორც ზეგნის ვაკე ადგილებს, რომელთაც ამკობს, შესანიშნავი წყა-

---

[124] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 455.

როები, ისე შემოზღუდული ფოთლოვან-წიწვოვანი ტყე-ჭალები. ძველი ძალინა, როგორც წესი ნასოფლარადაა ქცეული და მხოლოდ ნამოსახლარის ნაშთებია შემორჩენილი.

ძველი ქართული გვარებიდან, რომელიც 1715 წ. რუისის სამწყსოს დავთარშია აღნუსხული, სადღეისოდ გამქრალია და აქ XXს. 50-იანი წლებისათვის ჩასახლებულა რამოდენიმე ოსური ოჯახი. „ფცის-წყლისა არს თიღვის ჯვრის მონასტერი, რომელი აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამან თამარ, გუმბათიანი, დიდშვენიერი, კეთილად ნაშენი. შენობანი გარემოს მრავალნი, და აწ ხუცის სამარსა, ამის ჩრდილოთ კერძ არს ძალინა. აქ არს ლითონი ვერცხლისა, არამედ უსარგებლობისათვის დაუტევეს“-ო.[125]

XVIII ს. წერილობით წყაროებში, კერძოდ ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, „ქართლის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილებია: გორი, ქრცხინვალი და სურამი“. ამასთან, გიულდენშტეტი წერს: სურამულას მხარე მოიცავს ქართულს მხარეს საწერეთლოს. ის ეკუთვნის იმერეთის თავად წერეთელს და მაშასადამე, ამდენად იმერეთს, თუმცა მდებარეობს ქართლში ამ მხარეს ზემოხსენებულ მდინარეზე არიან: 1. სურამის ციხე, 2. იტრია, 3. ციხე ოსიური, 4. ციხე სატივე, 5. დანგრეული ციხე მოხისი, 6. ძალინა, სადაც სპილენძის მადნებია, 7. ციხე აბისი და 8. სამწერისი.[126]

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან საყურადღებოა ერთნავიანი პატარა ეკლესია, რომელსაც მაცხოვრის ეკლესიას ეძახიან და XV-XVI საუკუნეში უნდა იყოს აგებული. სოფელში მეტ-ნაკლები სახით შემორჩენილია ორი კოშკი, რომელთაც აკრავთ გალავანი. აქვეა საცხოვრებელი სახლი-სასახლე და ამ კომპლექსის მშენებლობას მიაწერენ ფალავანებს — ფალავანდიშვილებს და ყველა ისინი ერთდროულად XVII საუკუნის დასასრულსაა აგებული. როგორც ჩანს, ძველი ძალინა XV-XVI საუკუნეებში პატარა სოფელი ყოფილა. შემდგომში, კერძოდ XVII ს. მეორე ნახევარში, ძალინა თავისი ადგილსამყოფელად გადაუქცევია აქაურ მება-

---

[125] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრ., მე-80.

[126] გიულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში, 1961, 1, გვ. 267.

ტონეს-ფალავანდიშვილს, რომელსაც აუშენებია მაღალი კოშკი და სასახლე, თუმცა XVIII ს. მიწურულს სოფელი გაპარტახებულა ლეკთა თავდასხმებისაგან, რამდენადაც თავადებმა ვერ შეძლეს მისი დაცვა და იგი ნასოფლარად იქცა. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ კალმასობის ავტორის, იოანე ბატონიშვილის ცნობით, XVIII ს. დასასრულს, ძაღინას სასახლე ჯერ კიდევ გამართული ყოფილა და მასში მდივანი ელიზბარ ფალავანდიშვილი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. რომ აქ იოანე ბერსა და მის მხლებლებს უვახშმიათ და ღამეც მოუსვენიათ. მათი საუბრიდან ისიც ირკვევა, რომ ელიზბარ ფალავანდიშვილი აპირებდა დესპანად ევროპაში გამგზავრებას.[127]

ძაღინას მიმდებარედ გაშენებულია პატარა სოფელი, რომელსაც მუხაურს ეძახიან. XX ს. შუა ხანებისათვის აქ სულ რამოდენიმე მეკომური სახლობდა, თუმცა ოდეზღაც ესეც ერთ-ერთი ძლიერი სოფელი უნდა ყოფილიყო, რამენადაც ძაღინასთან ერთად, მასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ცენტრალურ გზაჯვარედინზე აქტიური სამიმოსვლო, სავაჭრო ეკონომიკურ საქმიანობაში. ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ ქართველ მოსახლეობასთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული ვაჭრობაში ცნობილი სომხები და ურიები. „მდინარის კიდეს არს მუხაური, მოსახლენი არიან ურიანი და სომეხი ვაჭარნი“-ო — აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი (გვ. 80).

ს. მაკალათიას ჩანაწერების მიხედვით, მუხაურში შემორჩენილი ყოფილა შენობის ნანგრევი, რომელსაც ურიების თორას უწოდებდნენ. ჩანს, რომ მუხაური მჭიდრო კავშირში ყოფილა ძაღინას მებატონესთან, რომელსაც ვაჭრობის წარმოების მიზნით, ძაღინას მახლობლად, მუხაურში დაუსახლებია ურია და სომეხი ვაჭრები, რომელთაც ბუნებრივია ევალებოდათ სავაჭრო ურთიერთობის გააქტიურება მოსაზღვრე რეგიონებთან.

ოჟორა ისტორიულად პატარა სოფელი ყოფილა, რომლისგანაც მხოლოდ ნასოფლარი შეინიშნება. სოფლის გადაშენება უკავშირდება ძირითადად ლეკიანობას, რის შემდგომაც მისი აღორძინება ძველ ნაფუ-

[127] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბ., 1936, გვ. 24.

ძარზე ფართო მასშტაბურად არ მომხდარა. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში, სოფლის ძველი მებატონეები ახერხებდნენ საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოესახლებინათ, როგორც თავიანთი ყმა-მემამულე გლეხობა, ისე ხელი შეუწყო იმ მეკომურთა ჩამოსახლებისათვისაც, რომელთაც შესაბამისი სარჩო-საბადებელი არ გააჩნდათ. ყოველივე ამ პროცესებს ბუნებრივია ხელს უწყობდა ქართველ მეფე-დიდებულთა მეცადინეობა გაევრანებული ადგილების ასაღორძინებლად.

თანამედროვე, ანუ ახალი ოჟორა ნასოფლარის მიდამოებში, მდ. ოჟორას მარცხენა ნაპირზეა გაშენებული. 1715 წელს რუისის სამწყსოს დავთარში მოხსენიებული გვარებიდან დღეს არავინ ცხოვრობს და ძირძველი მოსახლეობის ადგილას ოსები არიან დასახლებული, თუმცა ქართული კულტურის ძეგლთა შემორჩენილი, უმეტესად ჩამოქცეული ეკლესიის ციხე-კოშკებისა და საცხოვრებელი სახლების ნანგრევები ჯერ კიდევ წარუშლელ კვალს ტოვებს ოდესღაც აქ მოსახლე ხალხთა ყოფითი თავისებურებების შესახებ. კერძოდ, ოჟორის ნასოფლარზე ახლაც დგას ძველი, დარბაზული ეკლესია, რომელიც ვებერთელა ლოდებითაა ნაგები, რომლის თავზეც დგას თავმორღვეული ე.წ. „საკანის“ კოშკი. გადმოცემით, აღნიშნული კოშკი წარმოადგენდა ოჟორის ხეობის საყარაულოს.

„მუხაურს ზეით არს მონასტერი ფცისა და ოჟორის-წყალთა შუა, წოდებული ოჟორისა, უგუნბათო, შემკობილს ადგილს, და აწ ხუცის ამარად. ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, აწ ცარიელი“-ო. (გვ. 80). XX ს. 50-იანი წ. მონაცემებით გომართა დანგრეულია და მისი ადგილი რცხილისა და იფნის ტყითაა დაფარული.

ამგვარად, მდ. ოჟორას სანაპიროზე, ოდესღაც აქტიური ცხოვრების ნაკვალევს უცხო ტომელები დაჰპატრონებიან და არა მარტო აქ, არამედ ფრონე-ყორნისის ხეობების სათავეებში, თითქმის ველარ ნახავთ ქართულ დასახლებებს, გარდა მათი ნაკვალევისა — მატერიალური კულტურის ჩამოქცეული და უპატრონოდ მიტოვებული ნანგრევებისა. ისე, რომ ისტორიული ზემო ქართლის ტერიტორია და განსაკუთრებით აღნიშნული ხეობები, რომელიც ქართველთა ოფლითა და სისხლითაა მორწყული, შველას ითხოვს. შველას ითხოვს ძველი ნასოფლარების: ლისისა, გო-

მართას, ალის ფრონეს, ვაყას, სატივეს, ნაბახტევის, ბრილის, დუმაცხოს, ულუმბას და სხვათა პატარ-პატარა სოფლებში ჯერ კიდევ კანტი-კუნტად შემორჩენილი ქართული მოსახლეობა, იკარგება ენა, მამული, სარწმუნოება.

ამ ერთიან დუბჭირ პირობებში განიხილება ნასოფლარი ძველი ლისა, რომელიც ერთდროს მაღალი კლდის კალთაზე ყოფილა შეფენილი. აღსანიშნავია, რომ ე.წ. ზემო ლისა ერთ-ერთი უძველესი დასახლება ყოფილა, რამდენადაც აქ აღმოჩენილი ორმო-სამარხების ბრინჯაოსა და რკინის იარაღ-ინვენტარი, სხვადასხვა ფორმის სამკაულები და სხვ. არქეოლოგების მტკიცებით ძვ.წ. აღრიცხვის VIII-VII საუკუნეებს მიეკუთვნება.[128] ნასოფლარზე დგას პატარა დარბაზული ეკლესია, რომელსაც ლისის ჯვარს უწოდებენ და მიეკუთვნება XV-XVI საუკუნეს. ამ ხეობის დასახლების კომპლექსშია მოქცეული გომართას ნასოფლარი, რომელიც ბნელად მისადგომი მთის წვერზე ყოფილა შეფენილი. სწორეთ აქ, მთის წვერის დავაკებაზეა შემორჩენილი გომართას ეკლესიის ნანგრევები, რომლის შესახებაც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „იხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, აწ ცარიელი, მუნიდან წარვალს გზა ლოხონის მთასა ზედა და პერანგის მთასა ზედა გადაეალს იმერეთის ჭალასა შინა“-ო.[129]

როგორც ჩანს, ამ პერიოდისთვის (XVIII ს.) სოფელი უკვე აღარ არსებობდა, რამდენადაც მის მიერ შედგენილ სოფლების ნუსხაში იგი არ მოიხსენიება. გომართას ეკლესია, როგორც ჩანს ერთ-ერთი ძლიერი, ფართო, მასშტაბური სამლოცველო იყო ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობისათვის. XX ს. შუა ხანებში შემორჩენილი ეკლესიის კედლებზე, რომელიც ძირითადად შელესილი ყოფილა, შეინიშნებოდა მხატვრობის ფრაგმენტები, მათ შორის სამი საერო პირის (მამაკაცის) გამოსახულება. ამათაგან პირველი მამაკაცი ქართულ ტანსაცმელშია, ახურავს წოწოლა ქუდი, მარჯვენა ხელი აქვს შეეედრების პოზაში, თავთან აქვს

---

128 ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოუორასი, ტ. უ. მ., ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 62.

129 ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 80.

ასომთავრული წარწერა – „ზვიადი“ და მიეკუთვნება XV-XVI საუკუნეებს, მეორე ფიგურა ჩამორეცხილია, ჩანს მარტო წოწოლა ქუდი, მესამე მამაკაცს უჩანს მარტო თავი, ახურავს ისეთივე წოწოლა ქუდი, აქვს გრძელი ულვაში და მოკლედ შეკრეჭილი წვერი, მარცხნივ თავთან აწერია ასომთავრულად – „ოშვის“ ამის ქვეშ მხედრულად – „სიაუშ“.[130]

წინათ აქ სცოდნიათ დღეობა – გომართობა, რომელიც 25 ივნისს იმართებოდა, სადაც სალოცავად მოდიოდნენ აგრეთვე ქართლის შორეული სოფლის მოსახლეობაც, რომელთაც მოჰყავდათ შესაწირი და ღამის თევით დგებოდნენ. ეკლესიის მახლობლად სხვა სოფელი – გომართაც ყოფილა, სადაც ნასოფლარის კვალია შემორჩენილი.

ზემო ქართლის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობს ალის ფრონის ხეობა, რომელიც სათავეს იღებს ლიხის მთის კალთიდან, რომლის ორივე შენაკადი ე.წ. ულუმბას ღელე და ფიჭვნარის წყალი შეერთვის სოფ. ულუმბასთან და აქედან ფრონის სახელწოდებით მიედინება სამხრეთით და აგარასთან მას მიერთვის ჭერათხულა, უწლევის წყალი, მანანანთხევის წყალი და სხვ. პატარ-პატარა შენაკადები.

ალის ფრონეს ძველთაგანვე სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც მასზე გადიოდა უძველესი გზა იმერეთში დედაბერას და კორბოულის გავლით იქ, სადაც სადღეისოდ მოქმედებს ხაშური-საჩხერეს გზატკეცილი. ერთ-ერთი ისტორიული წყაროს მიხედვით (XIV ს. ქუცნა ამირეჯიბის სიგელი), ჩანს, რომ ალის ფრონეს ხეობა თემურ ლენგის შემოსევისგან აოხრებულა, ეკლესია-მონასტრები დაუნგრევიათ და სრულიად „აღაოხრა და უმკვიდრო იქმნა საქართველო“. როგორც ჩანს, თემურ ლენგი სწორეთ ამ გზით ცდილობდა იმერეთში შეჭრას და მის აოხრებას, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. ქუცნა ამირეჯიბს ეს ხეობა აულორძინებია, თუმცა XVII-XVIII საუკუნეებში ლეკების შემოსევების გამო ხეობა განადგურებულა და მოსახლეობაც მკვეთრად შემცირებულა, სადაც XIX ს. იმერლები გადმოსახლებულან და დღესაც ცხოვრობენ, თუმცა ძველი სოფლების სახელწოდება (XVIII ს.) შემონახულია: სიმონეთი, ვაყა, სატივე, აძვი, ნაბახტევი, ბრილი, დუმაცხო, ქინძათი, ალი, ბრო-

---

[130] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 64.

ლოსანი, უწლევი, ულუმბა, რომელთაც შეემატა ახალი სოფლები: ახალსოფელი, ახალუბანი, კლდის წყარო, ტიტვინის წყარო, ნინისი, ჭომორა, ჩორჩანა, მცხეთის ჯვარი.

სატივე, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, დაკავშირებულია მტკვრის იმ ადგილთან, სადაც ხე-ტყეს ამზადებდნენ და მის დასაცურებლად ტივს კრავდნენ — აბამდნენ. სოფელი მდებარეობს მდ. სურამულას მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც მას შეერთვის ტივიანის წყალი. ამ ადგილას მტკვარი ორ ტოტად მოედინებოდა, რაც ტივის დასაცურებელ პირობებს ქმნიდა. ისე, რომ მტკვარის ერთი ტოტი მოედინებოდა სატივის ნაპირას, ხოლო მეორე საშურის ზემოთ, იქ, სადაც ახლა მდ. სურამულა მოედინება. ამის კვალობაზე, დღეს აქ არსებულ მინდვრებს „სილებს“ უწოდებენ. სატივის მებატონე ყოფილა ბაგრატიონ დავითაშვილი, რომელსაც თავისი ყმა-გლეხები დაუსახლებია. როგორც ჩანს, მატერიალური კულტურის ძველი ძეგლები არ არის შემორჩენილი, თუმცა მის ნაფუძარზე ბაგრატიონ დავითაშვილს ახალი, პატარა ეკლესია აუშენებია, რის შესახებაც მისი საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს: „ამ ეკლესიის ამშენებელი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონ-დავიდოვი, დაიბადა 1824 წ. გარადიცვალა 1885 წ.“

ალის ფრონეს ხეობაში ერთ-ერთი დიდი სოფელია ვაყა, რომელიც ამავე მდინარის ნაპირზეა გაშენებული, თუმცა მას ადგილობრივი მცხოვრებნი ჭერათხეულასაც უწოდებენ. აქ ბევრი გაქართველებული სომეხი მოსახლე ყოფილა (XX ს. 50-იანი წ.) და მებატონეც ბეგთაბეგოვი. ესენი ყოფილან მხარგრძელების შთამომავალნი, რომელთაც თავდაპირველად ანისში უცხოვრიათ და სომხებად იხსენიებიან. XVII ს. მეფე თეიმურაზ I ბეგთაბეგოვისთვის თავადობა და მდივანბეგობა უბოძებია ამ საგვარეულოს შთამომავლობისათვის. სოფლის თავში შემორჩენილია მხოლოდ ერთი, კოშკოვანი, ისტორიული ძეგლი, რომელსაც დედა ღვთისას უწოდებენ და რომელიც ნანგრევების სახითაა წარმოდგენილი და თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით. XIX ს. დასაწყისში, ეკლესიის გაფართოების მიზნით, ის ქართული ეკლესია-დედაღვთისა მთლიანად გადაუკეთებიათ სომხურ-გრიგორიანული საყდრის ყაიდაზე, თუმცა მასში ჩასმული ორი

ფიქალქვის ქართული მხედრული წარწერა გვამცნობს ძველი საყდრის შემწე მარტიროზისშვილის ვინაობას, ხოლო მეორე ფიქალზე ჩამატებულია „და ბეგთაბეგი“. (ს. მაკალათია).

ნაბახტევი მდებარეობს ალის ფრონის მარჯვენა ნაპირზე, რომელზედაც გადის შარაგზა და როგორც ამბობენ ამ სოფელში მეფის საგაზაფხულო-რეზიდენცია – ნატახტევანი ყოფილა. იგი შემაღლებულ ადგილზეა გაშენებული და როგორც ძველი ნამოსახლარებიდან ჩანს საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა, რომელიც თარხნიშვილებს ეკუთვნოდათ. რაც შეეხება ახალ ნაბახტევს, რომელიც დაბლობ, გაშლილ ადგილზეა გაშენებული, სახლობენ ქართველები და გაქართველებული სომხები. რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში ნახსენები გვარებიდან ამჟამად ცხოვრობენ მხოლოდ გონგლაძეები. რეგიონის სხვა სოფლების მსგავსად აქაც ლეკიანობის მძიმე კვალი ამჩნევია. სოფლის გლეხობა თარხნიშვილებს – საბატონოს უხდიდა ღლიურზე ორ კოდსა და ორ ჩანახ ჭირნახულს და 6 მანეთს ფულად. თუმცა, შემდეგ ნაბახტევი გაყიდულა გორელ ნატარიუს კიკნაძეზე. ძველი სოფლის ადგილზე დგას დაზიანებული ღვთისმშობლის მოჩუქურთმებული ტაძარი, რომელიც XIII-XIV სს. თარიღდება. ტაძარი შიგნით ყოფილა მოხატული, კერძოდ მის სამხრეთ კედელზე ქუცნა ამირეჯიბი ყოფილა გამოხატული მთელი ტანით, რომელსაც ხელში უჭირავს ტაძრის მაკეტი. მარჯვნივ ღვთის მაკურთხეველი ხელია გამოსახული. აქედან ირკვევა, რომ ამ ტაძრის განმაახლებელი და აღმშენებელი სწროეთ ქუცნა ამირეჯიბი უნდა ყოფილიყო. და როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს, ნაბახტევის ეკლესია დანგრეული იქნა თემურ ლენგის შემოსევისას და ქუცნა ამირეჯიბს იგი უნდა აღედგინა, შეიძლება ქუცნას რეზიდენციაც აქ ყოფილიყო, სადაც იყო მაგარი ციხე და შესანიშნავი კარის ეკლესიაც-ო. ამავე ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე მიშენებულია სამრეკლო, რომელიც XVII ს. თარიღდება, სადაც აღდგომის მეორე დღეს იმართებოდა ხატობა- „გარეგნობა“. ტაძრის კომპლექსი მარაგდებოდა თიხის მილებით შემოყვანილი წყლით ე.წ. „მანანაანთხევიდან“, რომელიც ჩამოუდის სოფელს და მიერთვის ალის ფორონეს. ტაძრის მიმდებარედ შემორჩენილია ციხის კედლის ნანგრევები და როგორც

ადგილობრივები აღნიშნავენ ამ ციხეებში ყოფილა თურმე გამაგრებული ქუცნა ამირეჯიბი ლეკების წინააღმდეგ, რომელთაც ციხე გაუტეხიათ, ქუცნა მოუკლავთ და შიგ ეკლესიაში დაუგდიათ. შეუპყრიათ აგრეთვე მისი ცოლიც და უნდა ტყვეთ წაეყვანათ, მაგრამ მას ლეკებისთვის უთხოვია, რათა უკანასკნელად ენახა ქმრის ნეშტი, შესულა ტაძარში და დანით თავი მოუკლავს, ამის მერე ორივე ეკლესიაში დაუმარხავთ. ეს ის ქუცნა ამირეჯიბი უნდა იყოს, რომელიც XIV ს. ცხოვრობდა და ამავე ეკლესიის კედელზეა დახატული.[131]

ბრილი ისტორიულად საკმაოდ დიდი და მდიდარი წარსულის სოფელი ყოფილა. ძველი ბრილი მთის ფერდობზე ყოფილა შეფენილი და ამირეჯიბის საგვარეულოს ეკუთვნოდა. რუისის ეკლესიის სამწყსოს 1715 წ. დავთრის მიხედვით, აქ ორმოცზე მეტი მეკომური ყოფილა. ძველი გვარებიდან ახალ ბრილში თითქმის არავინ შემორჩენილა. ამ ნასოფლარზე დარჩენილია ნაეკლესიარის ნანგრევები. გადმოცემით აქ ყოფილა წმ. ნინოს, ღვთისმშობლის და ღვთაების სალოცავები. სოფელი ალის ფრონეს ხეობაშია და იგი მდინარისგან სამიოდ კილომეტრზეა გაშენებული. სოფელში, როგორც ითქვა ძველი მობინადრე გვარებიდან არავინაა შემორჩენილი. შემდგომში ნასოფლარს დაჰპატრონებია საქაშეთელი დიასამიძე, რომელსაც სოფლის თავზე აუშენებია წმ. ნინოს სახელობის ერთნავიანი ეკლესია. ეკლესიის კარიბჭეზე მხედრული წარწერა გვამცნობს, რომ 1689 წ. დიასამიძეს ეს ეკლესია აუშენებია ქართლის მეფეს ერეკლე I (ნაზარალიხანი) მეფობაში (1688-1703 წწ.) და აქედან სოფელიც დიასამიძეების ხელში უნდა გადასულიყო. ამ ეკლესიის ზემოთ — ნასოფლარზე, არის ღვთაების ძველი ეკლესია, რომელიც შემდეგ გადაუკეთებიათ. ეკლესია ყოფილა მოხატული, რომელიც თეთრად შეუღესავთ. ბარელიეფს ორი მხრიდან შერჩენია მაღალდონეზე შესრულებული ჩუქურთმიანი ჩარჩო (მცენარის ორნამენტებიანი), რომელიც XI-XII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ნაბახტევს ზევით ერთვის ალის წყალს ბრილის-წყალი; დის ბრილს ერთ წყაროდან და აბრუნებს წისქ-

[131] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 76.

ვილს. აქ, ბრილს, ითხრება კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათვის"-ო.[132] ამის შესახებ სოფელში დღესაც ახსოვთ გადმოცემა, იმის შესახებ, რომ კაჟიანი თოფებისა და კვეს-აბედისათვის აქაურიქვა — კაჟი ცნობილი იყოვო, ხოლო რაც შეეხება წყაროებს ეს სოფელი ამ მხარეში ეხლაც განთქმულია-ო.

რაც შეეხება მესამე ეკლესიას, იგი ღვთაებიდან ორიოდ კილომეტრზე, მაღალ ბორცვზე მდებარეობს და უწოდებენ ღვთისმშობელს. იგი ჩამოქცეულია და ტყით არის დაფარული. ამ ადგილას იმართება დღეობა-ღვთისმშობლობა და რამდენადაც მის ირგვლივ შემორჩენილია ძველი ბაღების ნაშთები, ამდენად ამ ადგილებს „ნამყენებს" უწოდებენ.[133]

სოფ. დუმაცხო ალის ფრონეს ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, მაღლობზეა გაშენებული და მისი მეპატრონე ყოფილა ხერხეულიძე. სოფელში შემორჩენილია პატარა ეკლესია, რომელიც კოშკის მოყვანილობისაა და უწოდებენ კვირიკეს, სადაც ხატობაც იმართება ხოლმე. სოფლიდან ორიოდ კილომეტრზე, შემაღლებულ ზეგანზე მდებარეობს ნასოფლარი, რომელსაც „სამაყვირალოს" ეძახიან. ეს ადგილი გადაჰყურებს სამი ხეობის: ალის, ფცისა და დვანის სოფლებს, რომელთა გამავალი გზა სამაყვირალოზე გადის. ნასოფლარზე შემორჩენილია ქვითკირის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, სადაც საშიშროებისას ამ სამივე ხეობის ხალხი იკრიბებოდა, რომელსაც საყვირებით იხმობდნენ, საიდანაც სახელია წარმომდგარი — „სამაყვირალო".

ალის ფრონეს მარჯვენა მხარეს მდებარეობს საკმაოდ დიდი სოფელი — ალი, რომელსაც ხეობაში გეოგრაფიულად ცენტრალური ადგილი უკავია. მასზე გადის საშური-საჩხერის გზატკეცილი. სოფლის მოსახლეობა ქართულია, თუმცა არიან გაქართველებული სომხებიც. როგროც გადმოცემიდან ჩანს, ქართული მოსახლეობა ძირითადად საჩხერიდანაა გადმოსული, ხოლო გაქართველებული სომხები — ახალქალაქიდან. ალი საკმაოდ დაწინაურებული და ერთდროს ქალაქადაც კი ყოფილა ცნობილი. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ნაბახტევს ზეით ერთ-

[132] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 80.
[133] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 77.

ვის ალის-წყლის ბრილის-წყალი; დის ბრილს ერთის წყაროდამ და აბრუნებს წისქვილს. აქ, ბრილს, ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისთვის. ბრილის-წყლის შესართავს ზეით არს ალის-წყალზედ, დასავლით, კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი ალს ზეით არს, ლიხოს მთის კალთას, ციხე ალისა. ციხის უკან არს სოფელი უწლევი, მთასი. აქ აკეთებენ ჭურსა ღვინისასა კეთილსა, ყოველთა უმჯობესსა. ამავე ციხეს ზეით ერთვის აღმოსავლეთიდამ ალის-წყალს ჭერათხევის-წყალი, არამედ უშენობო. ამ ხევს ზეით არს მონასტერი ულუმბას, უგუნბათო, დიდი, დიდშენი მიქელ მამათაგანის ქმნული, და დაფლული არს მიქელ მუნვე. მის წინამძღვარი".[134]

გადმოცემით, ალი ეწოდება იმისთვის, რომ ეს ადგილი მხურვალეა — ცხელია. ამას ვახუშტიც აღნიშნავს — „ზამთარ ცივი, ზაფხულს ცხელი, ჰავით კეთილი"-ო. ალი მოხსენიებულია ქუცნა ამირეჯიბის სიგელში (XIV ს.), სადაც ნათქვამია: „როდეს ფალავანდიშვილის საქმეზედა მეფეთ მეფემან ალექსანდრემან შეხუთა ალი ორი ძმანი პაპის ჩემისა დაიჭირეს და ტყავები დაჰხადეს და ბზით დატენეს ალინჯას, აიღეს (ალი) მისად სანუფქოდ. კიდევ შეგვიწყალნა ჩუცნ და ჩუცსგან აშენებული ალი ისევ გვებოძა". აქედან კი ირკვევა, რომ ალი ჰკუთვნებია ამირეჯიბს და ფალავანდიშვილთან მტრობის გამო, იმერთა მეფეს ალექსანდრე ბაგრატისძეს (1372-1389 წ.) ამირეჯიბისთვის ალი წაურთმევია და შემდეგ ისევ დაუბრუნებია.[135] აქედან ისიც ირკვევა, თუ თემურლენგისგან აოხრებული სოფელი, როგორ აღუდგენია ამირეჯიბს „ჩვენგან აშენებული ალიო" (გვ. 79.). ამასთან, ისიც ირკვევა, რომ ალში მნიშვნელოვანი საბაჟოც ყოფილა: „შევწირეთ მას წამებულთათვის გამოღმა ალი ბაჟის მესამედი"-ო. (იქვე).

როგორც ჩანს, მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა ალის სავაჭრო-ეკონომიკური და დაცვითი მნიშვნელობაც. ყოველივე აქედან გამომდინარე,მოსახლეობის ეთნიკური მდგომარეობაც ამით იყო გან-

---

134 ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 80.
135 ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 79.

პირობებული (ქართველები, სომხები, ებრაელები), თუმცა არ ჩანან ჩრდ. კავკასიიდან გადმოსული ხალხის ნიშნები. აღსანიშნავია, რომ სოფ. ალმა თავისი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა XX ს. გარკვეულ პერიოდამდე შემოინახა. აქაური შინა მრეწველები ამარაგებდნენ შიდა ქართლს ქვევრებით, კირით და თონეებით, რომელიც გადაჰქონდათ ჩოჩიალა ურმებით, ისინი თავს იწონებდნენ და ამბობდენ: „ალის კირია, ალის ქვევრები, ალის ჭურჭელიაო“.

სოფ. ალი მნიშვნელოვან სავაჭრო-სტრატეგიულ ობიექტადაა მოხსენიებული პლატონ იოსელიანის, შ. მესხიას, ჟ. შარდენის ნაშრომებში, ქუცნა ამირეჯიბის სიგელში და სხვ. წერილობით წყაროებში. პროფ. შ. მესხიას აზრით, ქალაქი ალი წარმოშობილი უნდა იყოს XI-XII საუკუნეში, ხოლო ქუცნა ამირეჯიბის სიგელის მიხედვით კი ყოველ შემთხვევაში, XIV საუკუნეში ალი ციხე-ქალაქია, სადაც მოქმედებდა საბაჟო-გამშვები პუნქტი და გაცხოველებული საქონელმიმოქცევაც სწარმოებდა. რაც შეეხება ამ სავაჭრო ურთიერთობაში ებრაელთა აქტიურობას, იგი კარგად ჩანს იმავე ქუცნა ამირეჯიბის სიგელში, სადაც აღნიშნულია, რომ აქედან გადაჰქონდათ საქონელი სახედრებით: „ულაყი აქათ თბილისამდი და იქით ქუთაისამდი“, ამასთანავე აქვე სახლებულან მოვაჭრე ურიებიც და ქუცნა ამირეჯიბს ორი კომლი ურია შეუწირავს კიდეც: „არს ულუმბისა ღვთისმშობლისა მამული შეწირული: გამოღმა ალი სრულად ბაჟის მესამედი, ორი კუამლი შიგ ალში ნაყიდი ურიები“.[136]

რეგიონის სხვა სოფლების მსგავსად, ეს მცირე-ქალაქი — ალიც წარმოადგენდა, როგორც გარე მოვლენების (ლეკიანობა), ისე შიდა ფეოდალური დაპირისპირების ობიექტს, რაც განსაკუთრებით XVII ს. მიმდინარეობდა. ისე, რომ ამ საუკუნის ბოლოსათვის ალი რამდენადმე დასუსტებული, დაქვეითებული ყოფილა, რომლის შესახებაც მოგზაური ჟან ჟარდენიც იტყობინება. იგი მოიხსენიებს ალს პატარა სოფლად და აღნიშნავს: „შუადღისას მივედი იქ პატარა სოფელში, რომელსაც ალი ეწოდება. იგი მდებარეობს ორ მთას შუა. აქედან ორ ეკზე გავიარეთ

---

[136] იქვე, გვ. 80.

ვიწრო კლდეკარი, რომელიც იკეტება ხარისხებით. ეს მიჯნაა საქართველოსა და იმერეთის სამეფოსა".[137]

მომდევნო პერიოდის ცნობებით (XVIII ს.), ალი ყოფილა დარეჯან დედოფალის მფლობელობაში და 1803 წ. საუფლისწულო მამულების აღწერით სოფელში სულ 7 კომლია, აქედან 27 მამაკაცი და 21 ქალი. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ალი სახაზინოდ ქცეულა და სწორეთ მათი ნებართვით სოფელში გადმოსახლებულან იმერლები და სომხებიც.

რაც შეეხება ალში მიკვლეულ მატერიალური კულტურის ძეგლებს, ამ მხრივაც საკმაოდ მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა გააჩნია და როგორც ავღნიშნეთ, ამის საფუძველს იძლეოდა სოფ. ალის სტრატეგიული მდებარეობა. რამდენადაც სოფელი გაშენებულია საკმაოდ დიდი მდინარის-ჭერათხევის სანაპიროზე ანუ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გასაყარზე, ამდენად იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. XII საუკუნისათვის იგი ქალაქადაა ჩამოყალიბებული, რომელსაც ჩრდილოეთიდან ალის ერთ-ერთი ძლიერი ციხე, ხოლო სამხრეთიდან-ნაბაზტევის ციხე იცავდა. მართალია, მონღოლთა ბატონობის პერიოდში სოფელი და ციხე-სიმაგრეები რამდენადმე გაუერანდა, მაგრამ XVIII ს. კვლავ აღორძინდა და იგი ზემო ქართლის ერთ-ერთი მთავარი სამეფო ქალაქი იყო და მოურავიც ჰყავდა, თუმცა, როგორც ითქვა მოსახლეობა კვლავ შემცირებულა და 1803 წ. საუფლისწულო მამულების აღწერით მხოლოდ 7 კომლი სახლობდა.

სოფ. ალში 1925 წ. აღმოჩენილი იქნა პირველი არქეოლოგიური განძი, რომელიც ჩამარხული უნდა ყოფილიყო XV ს. დასაწყისში. განძში შედის 471 ვერცხლის მონეტა: ოქროს ურდოს ჯუჩილები (1310-84 წწ.) – 204 ც., ჯალაირიდები (1356-82 წწ.) – 7ც., იოანე II ტრაპიზონელის (1280-97 წწ.) ასპრის ქართული მინაბაძი (კირმანეული) – 1 ც; აჰმედ ჯალაირისა და საქართველოს მეფე გიორგი VII-ის სახელით

---

[137] ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში (1672-1673 წწ.), თბ., 1935, გვ. 63.

XIV ს-ში მოჭრილი მონეტა -249 ც., გაურკვეველი ქართული – 10 ც., მეორე განძი ვერცხლის მონეტებით სავსე კოჭობი, აღმოჩენილია გომი-საჩხერის გზასთან ახლოს და თარიღდება XV-XVI სს., ალის ჩრდილოეთით 800 მეტრზე, მთის ფერდობზე მდებარეობს დედაღვთის ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება; ღვთისმშობლის ეკლესია დგას სოფლის დასავლეთით, ეკლესია გუმბათოვანია, ძალზე დაზიანებულია; უსანეთის ეკლესია დგას ჩრდილოეთით ფერდობზე. იგი სამნავიანია; ულუმბის ეკლესია დგას მდ. ჭერათხევის ხეობაში, არსებული წარწერის თანახმად აგებულია 1871 წ. ალექსი კევლიევის (კევლიშვილის) შემწეობით, იქ სადაც ადრე ულუმბის მონასტერი ყოფილა. ულუმბის მონასტერი, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა არნიშნული, ერთ-ერთ ასურელ მამათაგანს მიქელ ულუმბაშვილს დაუარსებია (აქვეა დასაფლავებული). XIV ს. ეს მონასტერი თემურლენგის ლაშქარს დაუნგრევია, რომელიც შემდეგ ამ ადგილის მფლობელს ქუცნა ამირეჯიბს აღუდგენია. ისე, რომ XVIII ს. I ნახევარში მონასტერი ისევ მოქმედი ყოფილა, რომელიც XIX ს. მონასტერი საკმაოდ დაზიანებულა, ჯანიაურების ეკლესია მდებარეობს ალის გარეუბანში და თარიღდება XVIII ს. ძალზე დაზიანებულია.[138]

რაც შეეხება სოფ. ულუმბას, ბოლო დასახლებაა მდ. ფრონეს ხეობაში. ფრონე გამოდის ლიხის მთებიდან და დის ქართლ-იმერეთის საზღვარზე, რომელზეც გადის გზა იმერეთში სოფ. დედაბერაში (საჩხერის რნი), და მანძილი სამ კილომეტრს არ აღემატება. სოფ. დედაბერაში მდ. ფრონეს ერთვის პატარა მდინარე – ფიჭვნარის წყალი. იგი პატარა სოფელია და ძირითადად იმერეთიდან გადმოსულები ცხოვრობენ.

სოფ. დიდი ფლევი მდებარეობს მდ. ჭერათხევის მარცხენა ნაპირზე, ცოტა მოშორებით. იგი საშუალო სოფელია და არცთუ მდიდარი წარსულის მქონე. დიდ ფლევში შემორჩენილია XIX ს. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია; სასაფლაოზე დგას მეორე – წმ. გიორგის მცირე ეკლესია, რომელიც განვითარებული ფეოდალური ხანით თარიღდება.,

---

138 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, გვ. 422.

სოფ. პატარა ფლევიც მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, რომლის ჩრდილოეთით სამიოდე კილომეტრზე დგას „სამყვირალის“ წმ. გიორგის ეკლესია (სამყვირალო ადგილია). გადმოცემით, აქედან, საჭიროების შემთხვევაში საყვირებით უხმობდნენ ხალხს ახლო-მახლო სოფლებიდან. იგი გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება., სოფ. ტკოცა ერთ-ერთი ძველი დასახლებაა, რაზეც მეტყველებს აქ მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლი ე.წ. „გორგოტი“-ს ნამოსახლარი სოფლიდან ნახევარ კილომეტრზე, ხელოვნურად მოსწორებულ გორგოტის ბორცვზე, რომელიც თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოს ხანით. სოფლიდან ერთ კილომეტრზე დგას ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება; სოფლის ჩრდ. დასავლეთით მდებარეობს არქეოლოგიური ძეგლი — სამაროვანი „გორგოტის ძირები“, რომელიც თარიღდება ბრინჯაოს ხანით., სოფ. ქინძათა მდეაბრეობს მდ. ჭერათხევის ნაპირზე. იგი საშუალო ზომის სოფელია და მიეკუთვნება გვიანდელი ფეოდალური ხანის დასახლებას, სადაც ამ პერიოდის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი.; კლდისწყარო საშუალო ზომის სოფელია და არცთუ დიდი წარსულის, რამდენადაც სოფლის სასაფლაოზე აგებული წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია დათარიღებულია 1894 წ.

რუისი უძველესი ქართული სოფელია, რომელიც მდებარეობს გორი-ქარელის ცენტრალურ გზატკეცილზე. იგი ანტიკური ხანის პერიოდის დასახლებაა და გადმოცემით სახელწოდება „რუ“-დან წარმოიქმნება. სოფელი მდებარეობს გაშლილ სამიწათმოქმედო ველზე, რომელიც ოდითგანვე სარწყავი არხით იყო უზრუნველყოფილი. ფეოდალურ ხანაში აქ ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო კათედრა მოქმედებდა. რუისის ეპისკოპოსი — მროველი, „ეპისტოლეთა წიგნში“, მოხსენიებულია როგორც „მარუელი“. იგი დვინის საეკლესიო კრების მონაწილე იყო (506 წ.). მროველი ქართველ ეპისკოპოსთა შორის მეათე ადგილზეა დასახელებული. ამ საეპისკოპოსოს მსახურთა არიალი მოიცავდა ჩრდილო-დასავლეთით მდებარე შიდა და ზემო ქართლის სოფლებს ლიხტაშისკარამდე, ხოლო XVII ს. აწყურის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ კი მროველის სამწყსო კიდევ უფრო გაფართოვდა. ქართლ-კახეთის

რუსეთთან შეერთების შემდეგ, (1811 წ.) რუისის საეპისკოპოსო გაუქმებული იქნა, რომელიც გამოწვეული იყო ფეოდალური ხანის საქართველოს რთული პოლიტიკური მოვლენებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ის პროცესი, როდესაც რუისის ღვთისმშობლის ეკლესიაში ქართლის მეფედ გიორგი II (19072-83 წწ.) კურთხევა, როცა რუისს ქართლის დედაქალაქის როლი ეკავა. 1104 წ. მეფე დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) თაოსნობით მოწვეული იქნა ცნობილი რუის-ურბნისის საეკლესიო კრება — „სანახებათა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისისა და ურბნისისათა“. ეს ის მოვლენაა, როცა კრებამ სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ქვეყნისათვის ერთობ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა, კერძოდ, გადააყენა ულირსი საეკლესიო პირები, რომლებსაც თანამდებობა ეკავათ მემკვიდრეობით და მათ ნაცვლად აირჩია „ღირსნი და განსწავლულნი“, მეფის ერთგულნი. აქვე დამტკიცდა სასულიერო თანამდებობის პირთა ხელდასხმის წესი, დაკანონდა გვირგვინის კურთხევის წესი და სხვ. ამავე კრებაზე მიღებული იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტი — „ძეგლისწერაი რუის-ურბნისის კრებისაი“.

რუისის საეპისკოპოსო იყო ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, სადაც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: ანტონ მროველი (IX-X სს.), ლეონტი მროველი (XI ს.), გიორგი მროველი (XII-XIII სს.), დიონისე ლარაძე (XVI ს.) დომენტი ავალიშვილი (XVI-XVII სს.), ნიკოლოზ ორბელიანი (1672-1732 წწ.), იონა გედევანიშვილი (1737-1821 წწ.) და სხვ. ამასთან, რუისში იყო დიდი წიგნსაცავი, სადაც ინახებოდა უამრავი ხელნაწერი, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა XI ს. ამავე სახელწოდების სახარება.

რუისის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო კვალად გორის დასავლეთ არს მთა რუისისა, ტინის-ხიდი თედო წმიდით სასირეთამდე, მცირე ადგილს ტყიანი, სანახავი და მოსილნი ნაყოფიერად, უწყლო, და ადგილ-ადგილას დის წყარონი მცირენი სამხრით ურბნისისა არს, რუისის მთის ძირს, დაბა დიდი რუისი და ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, დიდი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისა

ზეითის ქართლისა, ლიხ-ტაშის-კარამდე, და აწ ესევ მწყსის ხეობისა და სადგერს, ვინადგან მაწყვერელი არღარა არს. შემუსრა ლანგ თემურ; აღაშენა ეკლესია ესე ოვ მეფემან ალექსანდრემ. შემდეგნაირად კვალად განაახლა და შეამკო პთ დედოფალმან მარიამ. და ამ რუისის მთის სამხრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის-წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოველითვე მრავალნი. ხოლო სალთვისის რუ განაახლა ჟ მეფემან ვახტანგ, არამედ აწ უქმი იყო. ხოლო რუისი არს უწყლო, თვინიერ წყაროსა ერთისა, რომელი არს ეკლესიისა თანა. არამედ სცხორებენ მით რუთი, და ირწყვის მინდორი ურბნისამდე ამითვე".[139] რაც შეეხება რუისის მოსახლეობის ძველთაგანვე საერთო აქტივობას, ამ მხრივ აღსანიშნავია გლეხობის მიერ გადასახადებზე უარის თქმას 1794 წ. როდესაც მათ მიატოვეს მებატონე და გაიხიზნენ., აგრეთვე 1905 წ. 14 მარტს სოფლის კანცელარიისა და წისქვილების დარბევის და მოხელეთა განდევნას, მეტყველებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რუისი ფრიად საყურადღებო სოფელია იმ მხრივაც, რომ დღემდე შემოინახა ისტორიული მემკვიდრეობის ამტერიალური კულტურის მრავალი ძეგლი. მათ შორის: კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც თარიღდება XVIII-XIX სს-ით, კვირიკეწმინდას ეკლესია (XIX ს.), ღვთისმშობლის ეკლესია (XIX-XX სს. მიჯნა), ღვთისმშობლის ეკლესია (XIX ს.), ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი, რომელიც სოფლის ცენტრშია და გადმოცემით ვახტანგ გორგასალს აუგია. კომპლექსში შედის ღვთისმშობლის ტაძარი, კოშკი-სამრეკლო, გალავანი. ეკლესიაზე შეინიშნება რამოდენიმე სამშენებლო ფენა, მათ შორის უძველესია VIII-IX სს-ის ნაშთი. როგორც ჩანს, ეკლესია განუახლებიათ X საუკუნეში; ხოლო XI ს. გიორგი ეპისკოპოსს იგი კვალვ საფუძვლიანად განუახლებია და მდიდრულად მოურთავს, რაზეც მეტყველებს მასზე არსებული ასომთავრული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე სული გიორგი ეპისკოპოსისა ამინ". წარწერის ბოლოში მიწერილია: „მარიამ დედოფლისა", რომელიც უნდა იყოს

[139] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 78.

მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) დედა, რომელიც ბაგრატის გამეფებამდე ქვეყანას განაგებდა. საეპისკოპოსო კათედრალს დახმარებას უწევდა თამარ მეფის დედა ბურდუხან დედოფალი: „ზრუნვა და საურავი ხელყო დედოფალსა ბურდუხანს“. თემურლენგის შემოსევების დროს ეკლესია ძლიერ დაზიანებულა, რომელიც მასზე არსებული წარწერის თანახმად, იგი აღუდგენია მეფე ალექსანდრე I-ს (1412-1442 წწ) „ქ ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, — რომლისა მიერ კვალად აღაშენა საყდარი ესე, ადიდენ ღმერთმან და სული მათი კურთხეულ ყოს“. მეორე წარწერა კი იტყობინება შემკეთებელი ოსტატის ვიანობას: „გალატოზთა ზედა მომგესა შალვას შეუნდვეს ღმერთმან, ამინ“. XVI ს-ში ეკლესია კვლავ აღუდგენია მროველ ეპისკოპოსს დიონისე ლარაძეს, ხოლო XVII ს-ში განუახლებია და შეუმკია მარიამ დედოფალს, როსტომ მეფის (1632-1758 წწ.) მეუღლეს. XVIII ს-ში მროველი ეპისკოპოსის საწმყსო საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა, რომლის შესახებაც ზემოთ აღნიშნული ვახუშტი ბატონიშვილის ციტირებაც გვამცნობს.

რუისის ეპარქიის იმ ხანის ეკონომიკურ სიძლიერეზე მიგვანიშნებს რუისის მღვდელმთავრის ნიკოლოზ ორბელიანის მიერ 1715 წ. შედგენილი „სამწყსოს დავთარი“. 1803 წ. ტრაპეზ-აბიონი აუგია იუსტინე მაღალაძეს. 1811 წ. რუისის ეპარქია გაუქმდა. 1920 წ. თებერვალს მიწისძვრამ ძეგლი ძლიერ დააზიანა. ძეგლზე აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა 1936-1938 წწ. და 1950-1953 წლებში; წმ. დემეტრეს დარბაზული ეკლესია, რომელიც სოფლის ჩრდილოეთით გორაკზეა, თარიღდება ფეოდალური ხანით; ხოლო წმ. მარინეს ეკლესია, რომელიც სოფლის ცენტრშია — ზურაბიანთ უბანში, სასაფლაოზე აღრინდელი ფეოდალური ხანით თარიღდება.


1886 წ. 1 აპრილის გაზ. „ივერია“-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში აღნიშნულია: „რუისი გორიდან 14 ვერსზეა. კარგი ეკლესიაა შიგნიდან ქვითკირის კანკელით. კანკელს წინა-პირიდამ ჰფარავს მეორე შაბაქა (ჩუქურთმა) ხერხით გამოხერხილი კანკელი. აშენებულია სამოცდა მეთექვსმეტე მეფე ალექსანდრესაგან და შემდეგ განახლებულა 89 დე-

დოფალ მარიამისაგან. აქ საკმაოდ კარგი პური და სიმინდი მოდის. ლიახვიდან გამოყვანილი წყვილი რუთი ირწყვის. ვენახები ბევრია, მაგრამ ღვინო მჟავეა, რაკი აქ ძალიან ცივა. ამიტომ ვაზებსაც კი მარხავენ. რუისის მცხოვრებთა სამი წილი მართლმადიდებლები არიან და ერთი წილი სომხების სარწმუნოების — სულ 400 კომლამდეა. აქვთ ერთი ეკლესია, სკოლა სამი განყოფილებით. სკოლა საყდრის გალავანშია მოთავსებული — სკოლა დაარსებულია 1877 წ. გენერალ კონსტანტინე მამაცაშვილის რჩევით და მეცადინეობით, სკოლა ძალზე სარემონტოა ნამეტანი, აგურის იატაკით. დაარსებიდან გასულ წლამდე ქალები არ დაიარებოდნენ, რადგანაც ქალ-ვაჟების ერთ სკამზე დაჯდომა ეთაკილებოდა. ხალხს ეს გაუფანტა მასწავლებელმა და ამიერიდან დილიდან შუადღემდე ვაჟები, ხოლო შემდეგ ქალები სწავლობდნენ. მაგრამ სულ მოკლე ხანში თვითონ ქალები ჩამწკრივდნენ ვაჟების გვერდით. დღეს სკოლაში 22 ქალი და 35 ვაჟი სწავლობს. ქართულ-რუსულ ენებზე. აპირებენ ბიბლიოთეკის დაარსებას". მეორე პუბლიკაციაში კი ვკითხულობთ: „რუისი სამ ვერსზეა გადაჭიმული და შუაზე ყოფს „რუ" — ეს რუ ლიახვიდან გამოყვანილია უხსოვარი დროიდან და სოფელსაც რუისი იმიტომ ჰქვიანო. აქ ხუთასკომლამდეა, აქედან 40-მდე თავადაზნაურობაა, 80 კომლამდე სომხის სარწმუნოების ქართველი გლეხებია და დანარჩენი მართლმადიდებლების სარწმუნოების გლეხებია. სოფელს აქვს პურის „მაღაზია", გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა" (ბანკი) და სასოფლო სკოლა. აკლიათ მხოლოდ სასოფლო დუქანი, „დეპო", რომელიც მართლაც დიდ ნაკლს შეადგენს, ამასთან დიდი სოფლისთვის (დეპო-მაღაზია-შერეული საქონლით).

სოფლის გარშემო რამდენიმე ძველი, გაუქმებული ეკლესიაა. ზოგი მათგანი ჯერ კიდევ მკვიდრი და შეურყეველია. განსაკუთრებით „დემეტრეს" ეკლესია. აქ 6 მარიამობისთვესა დღესასწაულობენ. ძალიან ხალხმრავალობა იყო ქალაქიდან, ახლო-მახლო სოფლებიდან ოჯახებით. ყველგან წესრიგი და „სუფრულის" სიმღერა ისმის. აქაური სკოლის მასწავლებლის ნიკო საძაგლიშვილის მეცადინეობით გაიმართა ლატარია აქაური სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. ლატარიის დროს სამ-

წუხაროდ უცხოენაზე იყო საუბარი და უბრალო ხალხი ვერ იგებდა. ლატარიიდან შემოვიდა ექვს თუმნამდე. საძაგლიშვილმა ფასდაუდებელი საქმეები გააკეთა სკოლაში მდედრობითი სქესიც მოიხმო".

ამჟამად, რუის-ურბნისის ამ უძველესი ტაძრის მრევლს მაღალი სულიერი იდეალებით თავდაუზოგავად ემსახურება მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი იობი (ქიტიაშვილი).



ნიქოზის ღვთაების ეკლესია X ს.

3. დიდი ლიახვის ხეობა

ქართლზე გამავალი მდ. მტკვარი, ჩრდილოეთით, ვიდრე დიდი კავკასიონის სამხრეთის მაღალმთიანეთის ჩათვლით, ქმნის ერთიან, ვეებერთელა ამფითეატრს, სადაც ოდითგანვე უწყვეტად მიმდინარეობდა აქტიური პოლიტიკური, ეკონომიკური და მაღალი ზნეობრივ-სულიერი ცხოვრების პროცესები, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც ლიახვის ხეობაა. ხეობა მთავრდება ქ. გორის ტერიტორიაზე იქ, სადაც მდ. ლიახვი მიერთვის მტკვარს. ქ. გორი, რომელიც შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, 1917 წ-მდე შედიოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში, 1917 წლიდან 1930 წ-მდე – გორის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. გორის რაიონს ჩრდილოეთით ესაზღვრება ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“, აღმოსავლეთით კასპის, სამხრეთით ბორჯომისა და წალკის, დასავლეთით – ქარელის რაიონები. რაიონში შედის 1 ქალაქი (გორი), 22 სასოფლო საბჭო (ატენი, ახალუბანი, ბერბუკი, ბოშური, დიცი, ვარიანი, ზელდულეთი, კარალეთი, მერეთი, მეჯვრისხევი, მღებრიანი, ნიქოზი, საყავრე, სკრა, ტინისხიდი, ტირძნისი, ტყვიავი, ქვაბერელი, შავშვები, შინდისი, ძევერა, ხიდისთავი) და 143 სოფელი.

რაიონის ტერიტორიის ჩრდ. ნაწილს წარმოადგენს გორის ვაკე და შუა მტკვრის ხეობის ძირის ვრცელი ტერასული ვაკეები, სამხრეთ ნაწილს – თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთა, კვერნაქის ქედი და თრიალეთის ქედის მთისწინეთის ნაწილი. რაიონის მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ლიახვი, ტანა, პატარა ლიახვი, მეჯუდა, თეძამი. რაიონში (XX ს. 90-იან წ.) შემდეგი სამრეწველო ობიექტები ფუნქციონირებდა: ბამბეულისა და საკონსერვო კომბინატები, ღვინის ქარხანა ატენში და ტყვიავში, აგრეთვე ხიდისთავის ღვინის საწარმოები, ხის ტარის კომბინატი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, „საქსოფტეხნიკა“ – გორისა და ტყვიავის განყოფილებები, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, შინდისის რკინა-ბეტონის დამზადების პოლიგონი, წისქვილკომბინატი და ყველ-კარაქის ქარხანა, მოქმედებს ტირიფონჰესი და სხვ.

გორის რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მეხილეობა, მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მეჭარხლეობა. გავრცელებულია ვაზის საშამპანიურე ადგილობრივი ჯიშები, ხილ-კენკრის მრავალნაირი ასორტიმენტი, მარცვლეული კულტურებიდან — საშემოდგომო ხორბალი და სიმინდი, განვითარებულია მეცხოველეობა. რაიონშია 15 საბჭოთა მეურნეობა, 3 საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობისა და მეღორეობის ფერმა, 1 სამეურნეობათაშორისო მეურნეობა, 4 სახელმწიფო მეურნეობა და სხვ.

რაიონში 72 ზოგადსაგანმანათლებლო და 3 სამუსიკო სკოლაა, 16 საბავშვო ბაგა-ბაღი, 25 საბავშვო ბაღი, 83 ბიბლიოთეკა, თეატრი, 10 კულტურის სახლი, 30 სასოფლო კლუბი, 24 კინოდარბაზი, 10 მუზეუმი, გამოდის რაიონული გაზეთი „გამარჯვება". რაიონში მოქმედებს 5 საავადმყოფო, 25 ამბულატორ-პოლიკლინიკა, 19 საფერშლო-სამეანო პუნქტი, 8 აფთიაქი. არის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები: გორიჯვარი და ბოშური.

დ. ლიახვის ხეობა ისტორიულად ზემო და შიდა ქართლის ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული. ქართლის სხვა რეგიონებთან ერთად, იგი ოდითგანვე მჭიდროდ დასახლებული ადგილია, რასაც ხელს უწყობდა მდიდარი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობა. ხეობის დიდი აუზი მდიდარია ტყიან-ჭალიანი ადგილებით, საზაფხულო საძოვრებით, ველ-მინდვრებით, ბაღ-ვენახებით, სახნავ-სათესით, შესაბამისი სარწყავსაირიგაციო ნაგებობებით და სხვ.

ისტორიული წყაროებიდან, ხეობის უტყუარი, დეტალური აღწერა მოგვცა XVIII ს. გამოჩენილმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ამ რეგიონის პოლიტიკურ-მეურნეობრივ ცხოვრებაში. კერძოდ, 1717-1724 წწ. როდესაც ქართლის მეფემ ბაქარმა, აჯანყებული დათუნა ქსნის ერისთავი დაიმორჩილა, მას თან ახლდა ვახუშტი ბატონიშვილი, რომელსაც დაევალა ხეობის გამგებლობაც. აქედან გამომდინარე, მის მიერ ხეობის ირგვლივ მოძიებული და განზოგადებული მასალა ერთობ მნიშვნელოვან დოკუმენტადაა მიჩნეული.

ლიახვი, რომელიც სათავეს იღებს დიდი კავკასიონის ქედიდან – მაღრან-დვალეთიდან, ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს: „ხოლო კვალად ქნოღოს ჩრდილოთ კერძოდ არს მთა დიდი კავკასი. ამ კავკასის ჩრდილოსკენ არს მაღრან-დვალეთი. და იმზღვრების ესე მაღრან-დვალეთი: აღმოსავლეთით კავკასით, მთიულეთსა და მაღრან-დვალეთს შუათითა აქ მაღრან-დვალეთს გამოსდის დიდი ლიახვი თრუსოსა და ზახის კავკასსა, და დის სამხრეთს-დასავლეთს შუა, და არს მაღრან-დვალეთი სამ ხეობა, მოსავლით, ვითარცა ამ მხარის მთის ადგილნი დავსწერეთ. მსახლობელნი არიან ოსნი“. ფაქტორად ამავე ადგილებიდან იღებს სათავეს პატარა ლიახვიც. „ხოლო გორიდამ ლიახვის მდინარის სიგრძე არს მაღრან-დვალეთამდე და დის მაღრან-დვალეთიდამ, აღმოსავლეთიდამ, მუგუთამდე; მუგუთიდამ დის სამხრით გორამდე. და გორს მცირეთ ქვემოთ მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. არამედ არს მდინარე, ლიახვი სარგებლიანი, მრწყველი ველთა იმერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რიყიანი, და ხმოვანი, სასმელად შემრგი და გემოიანი, მარადის ცივი, გარნა ვერ განაჰყინავს ზამთარს სიჩქარისათჳს. თევზნი მრავალნი. რომელი ველნი ირწყჳან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი და გემოიანი და სპეტაკი. გორს ზეით ლიახვს ერთვის გორისავე ჭალისა და ნაჭარმაგევისა წყალნი. ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო და აწ კარალეთად წოდებული, ადგილი ტურფა, ჭალიან მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“. ციტირებულ მონათხრობს კომენტარიც არ ჭირდება, თუ რაოდენ შემკობილია ლიხვის ეს მიდამოები, რომელიც მის ზედა წელშიც გრძელდება. „ვარიანს ზეით ერთვის ლიახვს აღმოსავლეთიდამ პატარა ლიახვი. ამის გამო ეწოდება დაბასა ამას შერთული. ვანათამდე არს ვენახიანი, ხილიანი, დაბნებიანი და მრწყველი ველთა გორს ზეითისა, მეჯვდის მდინარისა და პატარა-ლიახვს შუათთა, გვერდისძირამდე“.[140]

ლიახვის ხეობა, ისტორიულად წარმოადგენდა ქვეყნის სტრატეგიულ რეგიონს, რომელსაც ბუნებრივია განსაზღვრავდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა. ამ ხეობაზე გავლით გადიოდა გზები ჩრდ. კავკასიაში

[140] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გე. 71, 75.

ზეკარის უღელტეხილით, რომელშიც ჩართული იყო პატარა-ლიახვის ხეობაც. ისე, რომ ეს ორივე ხეობა წარმოადგენდა ერთ-განუყრელ რეგიონს, ქვეყნის როგორც შიდა ისე საგარეო ცხოვრებაში. ეს ხეობები, უმოკლესი გზით აკავშირებდა ქართლს იმერეთ-რაჭის მხარეს და ამდენად, ერთობლიობაში იგი იძენდა განუსაზღვრელ ადგილს ქვეყნის ტერიტორიალურ ერთიანობაში. აღნიშნული გადასასვლელები, რომელიც ამიერ და იმიერ საქართველოს აკავშირებს თავისი ინტენსიურობით გამოირჩევა, ძირითადად იწყებოდა გორიდან და გადიოდა ცხინვალზე, კეხვზე, წონა-ჩიხათზე, საჩხერე-ონზე და ა.შ. ზახა-თრუსოს გადასასვლელების აღწერისას ვახუში მოგვითხრობს: „ზახის-ხეობის წყალი გამოსდის თრუსოსა ზახას შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, არამედ ბოლოს მოდრკების და მიერთვის ზრამაგის წყალსა. ამ ზახის-წყალს მოერთვის სამხრეთ-ჩრდილოეთიდამ ხევნი, და არიან დაბანი კოშკოვანნი. აქ არს ეკლესია მცირე. აქიდამ გარადვალს გზა თრუსოს, მაღრან-დვალეთს და ჟბას, დიდ-ლიახვზედ. ამას აქუს აღმოსავლით თრუსოს მთა; სამხრით კავკასი ზეკარისა; ჩრდილოთ ამასა ზროგოს შორისი ხოსიდამ ჩამოსული მთა; დასავლით ხევი ზრამაგისა. კვალად ამ ზრამაგის-ხევის სათავიდამ გარდავალს ზეკარზედ გზა ქართლს დიდ-ლიახვზე“.[141] XVIII ს. მდგომარეობით აღწერილ ხეობაში, ნათლად ჩანს თუ რაოდენ ინტენსიურად უნდა ყოფილიყო მოძრაობა ერთის მხრივ სამხრეთიდან დასავლეთისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ ჩრდილოეთსა და სამხრეთ რეგიონებს შორის. აქვეა ნაჩვენები დაბა-დასახლებათა სიმრავლე, რომელიც საბრძოლო-თავდაცვითი კოშკებით ყოფილა მოფენილი. აღსანიშნავია, რომ გადასასვლელებისა და საზღვრების აღწერა-დახასიათებისას, ვახუშტი ხაზგასმით აღნიშნავს გზას მაგალითად „კუდაროდან ქრცხინვალის გავლით ზედა ქართლში“-ო, რომელიც ერთხელ კიდევ მეტყველებს ამ რეგიონის ზემო ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებობას. ამჟამად კი ხეობა მოიცავს გორის, ცხინვალისა და ჯავის ადმინისტრაციულ ცენტრებს.

---

[141] იქვე, გვ. 115.

XVIII ს. მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ ორივე ხეობის აუზები, მიუხედავად არაერთი ნასოფლარისა, სადაც შემორჩენილი ყოფილა კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც მატერიალური კულტურის ძეგლები, კერძოდ ეკლესია-მონასტრებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნანგრევები, ჩანს, თუ ქართველი კაცი რაოდენ შეუპოვრად იცავდა მთას და რაოდენ მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა ამ ორ — მთისა და ბარის მოსახლეობას შორის. ამის ერთ-ერთი უტყუარი ფაქტია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები ზემოაღნიშნულ ხეობებში მოსახლეობის-სოფლების სიმჭიდროვეზე, სადაც აღნიშნულია აგრეთვე ეთნიკური მდგომარეობაც. იგი აღწერს რა მაგალითად „დიდი-ლიახვისა და მით მრწყველი" სოფლების ნუსხას, ჩამოთვლილი აქვს 50 ქართული და 13 ოსური სოფლის სახელები. ამასთან„ ოსური სოფლების უმრავლესობა ქართული სახელწოდებისაა. რაც შეეხება პატარა-ლიახვის სოფლებს, აქ დაფიქსირებული აქვს 16 ქართული და მხოლოდ ერთი ოსური სოფელი.[142]

აქედან გამომდინარე, ამ ორივე ხეობის სანაპების მოსახლეობა ისტორიულად აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა, რომელზეც მტკვრის ცენტრალური აუზიდან ერთის მხრივ დიდი ლიახვის ასწვრივ ჩრდილო-დასავლეთით — გორი-ვარიანი-შინდისი, ნიქოზი, ხვითი, ცხინვალი, ჯავა, ონის გზით მიმდინარეობდა, ხოლო — მეორე პატარა ლიახვით გორი, კარალეთი, ტყვიავი, ცხინვალი, ჯავა, ონის მიმართულებით. ხეობებში მოსახლეობის აქტიური, განუწყვეტელი ცხოვრების დასტურია აქ აღმოჩენილი არაერთი არქეოლოგიური ძეგლი, ეკლესია-მონასტრების, საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები, ზეპირსიტყვიერი გადმოცემები და სხვ. ამ მხრივ საყურადღებოა ტყვიავის ენეოლითის პერიოდის ძეგლები; ბრინჯაოსა და რკინის ხანის სამარხები; სოფ. ფლავისმანის გათხრები. მეჯუდას ხეობაში სოფ. ახრისთან და სოფ. ქვეშში ამავე პერიოდის ძეგლები და სხვ. აქედან განსაკუთრებით საყურადღებოა სოფ. ახრისთან ერთი ოქროს მონეტის აღმოჩენა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტარტერის უხეშ წაბაძულებას წარმოადგენს.

---

[142] ვახუში ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 202.

ხეობების, განსაკუთრებით ზედა წელის ქართლის ჩრდილოეთის საზღვრის დაცვას ქვეყნის გამგებლები უმთავრესად ადგილობრივ მოსახლეობას ანდობდა, რადმენადაც დიდი კავკასიონის ქედის, როგორც გადალმა, ისე გადმოლმა მომთაბარე, უცხო ტომელთა თარეში სისტემატიურ ხასიათს ატარებდა. ამიტომ, სამეფო ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა ამ შემთხვევაში ალან-ოსებთან და დვალებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა, რაც ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. ეს პროცესი განსაკუთრებით გამწვავდა II-III საუკუნეებიდან, როდესაც ჩრდილოეთით გამოჩნდნენ თურქული ტომები — ხაზარები, შემდეგ მონღოლები და სხვ. რითაც შევიწროვებული ალან-ოსები ვერ უმკლავდებოდნენ და დიდი ლიახვის სათავეებისკენ იხევდნენ და ამ მიზეზით არაერთხელ შემოჭრილან ქართლში.

ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ესე ამაზასპ (მეთვრამეტე მეფე) იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი მსგავსი ფარსმან ქუელისა. და ამისსა მეფობასა გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი, დიდნი, გზასა დვალეთისასა. ხოლო ვერ იგრძნა ამაზასპ მეფემან გარდამოსვლა ოვსთა ვიდრე გარდამოელამდე მთისა. მოვიდეს ოვსნი და დადგეს ლიახუსა ზედა რვა დღე განსვენებად, და არა სადა განვიდა მარბიელი, რამეთუ ქალაქისა მცხეთისა შემუსვრად მოსრულ იყვნეს“.[143]

შიდა და ზემო ქართლი, ამ მიმართებით განსაკუთრებულ შეშფოთებას განიცდიდა. ცნობილია ის პერიოდიც, როდესაც ვახტანგ გორგასალის მცირეწლოვნობის პერიოდში როგორ გადმოვიდნენ ოსთა ურიცხვი სპა, მოაოხრეს ველნი, ციხე, ქალაქნი და ტყვედ წაიყვანეს მისი სამი წლის და მირანდუხტი. ამას მოზდევდა შიდა ფეოდალური დაპირისპირებებთან ბრძოლა და სხვ. არაბთა, განსაკუთრებით მეორე შემოსევისას უმძიმესი მდგომარეობა შეექმნა ქართლის მოსახლეობას, რომელთაც მკაცრი სარწმუნოებრივი პოლიტიკა დაამყარეს და ქრისტიანებს დაუწყეს დევნა. ამის გამო, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დასავლეთ საქართველოს და მაღალ მთიან ადგილებში შეაფარა თავი. ლიახვის ხეობით ქართლის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის გადასვლამ რაჭა-

[143] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 55.

ლეჩხუმში, რომელიც ამ დროისთვის სვანეთს ეკუთვნოდა, VIII-IX საუკუნეებში მიემატა ახალი ქართული სოფლები — აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი. ეს ის პრიოდია, როდესაც ლიახვის ხეობით ქართლიდან ჩრდილოეთით, მათშორის ოსეთშიც ვრცელდებოდა ქრისტიანობა და ამ მისიას ქართლის ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო კათედრა — ნიქოზის ეკლესია ასრულებდა. „ლიახვის გალმა, არს ნიქოზსს ეკლესია ღვთაებისა დიდი, გუმბათიანი, აღაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გვამი წმიდისა რაჟდენისა. მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოსოდ და დასვა ეპისკოპოზი; მის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა გლოლა-ღებითურთ. და არს ეკლესია დიდშენი, კეთილს ადგილს, შვენიერი — ამ ნიქოზის ჩრდილოთ დიდის-ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქრცილვანი, კეთილ-ჰაოვანი".[144]

აღნიშნული პროცესი წარმოადგენდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ქმედებას ქართველი ხალხის სხვა ეთნიკურ მოსახლეობასთან მეგობრული ურთიერთობის გაფართოების მიმართულებით, რომელიც განსაკუთრებით მძლავრად წარმოჩინდა მეფე დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში. აღნიშნულმა გარემოებამ დააჩქარა და გაამყარა ამ ხალხთან კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა მას შემდეგ, როდესაც ქართველმა მეფეებმა ამ ხალხთან იწყეს პოლიტიკურ-ნათესაური კავშირების დამყარება. ერთ-ერთი ასეთი ურთიერთობა დამყარდა გიორგი III დროს (1156-1184 წწ.), როდესაც მან შეირთო ოსთა მთავრის ასული, ხოლო მისი და ცოლად გაჰყვა ოსთა ჩინოსანს და მეფის კარზე იზრდებოდა ოსეთის უფლისწული დავით სოსლანი, რომელიც შემდეგ თამარ მეფის მეუღლე ხდება და სხვ. ყველა ეს პროცესები ითვალისწინებდა ჩრდილოეთის საზღვრის საიმედოდ დაცვას, ამ ხალხთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას. ამ პერიოდის ისტორიულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ კერძოდ ოსეთთან ამგვარმა ურთიერთობამ დადებითად იმოქმედა ქვეყნის უსაფრთხოებაზე, თავდაცვაზე. ამის მაგალითს იძლევა თუნდაც ის ფაქტი, როცა მემატიანეს ცნობით, თამარ მეფის მიერ გამართულ დარბაზობაზე, ყმადნაფიც შირვანშაჰ აღსართანის სტუმრობისას მიმგებელთა შო-

[144] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 76.

რის პირველად ოსები იყვნენ, ხოლო შემდეგ „ჰერნი, კახნი, მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი და შემდეგ სომხითისანი, შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურულნი. თან რაჭა თაკუერ-მარგუელთურთ და თვით კარვის კარისა ხელისუფალნი და შინანი“-ო.

XIII-XIV საუკუნეებში, როდესაც პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა და მკვეთრად შეიცვალა, რაც გამოწვეული იყო მონღოლთა შემოსევებით და აღმოსავლეთ საქართველო იქნა დაპყრობილი, ამასთან ჩრდილოეთის ქვეყნებიც დაიმორჩილეს, ეს უკანასკნელნი ვერ უძლებდნენ მათ ბატონობას, ისინი თავშესაფარს კავკასიონის სამხრეთის ხეობებში პოულობდნენ, ბუნებრივია მათი ზეწოლა საქართველოს საზღვრებში თანდათან აქტიურდებოდა. ითვალისწინებდნენ რა არსებულ ვითარებას, მონღოლთა ხელშეწყობით და წაქეზებით ოსთა მოთარეშე რაზმებმა იწყეს ლიახვის ხეობის სათავეების გადმოლახვა, მოოხრება და გორის აღებაც და იქ გამაგრება. ეს იყო გიორგი V (ბრწყინვალე) დროს (1239-1399; 1318-1346 წწ.) მატიანე მოგვითხრობს: „მერმე შევიდა (გიორგი V) და შემუსრა კავკასსა შინა მყოფნი და დაიმორჩილნა, და მოხარკე ჰყუნა ყოველნი იგი, და დააშშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინადგან გზანი ყოველნი თეთ დაიპყრნა“-ო.

მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება, რამდენადაც XIV ს. მეორე ნახევრიდან, თემურ ლენგმა ქართლის ჩრდილოეთის საზღვრების გადალახვით განიზრახა ჩრდილოეთით ოქროს ურდოს – თოხთამიშის დამარცხება და ამისათვის რვაჯერ ილაშქრა, ბუნებრივია ამ არიალში ლიახვის სათავეებიც შედიოდა. ეს ის პერიოდია, როცა ხეობის დაცვა-მეთვალყურეობა მეფისგან დავალებული ჰქონდა დიდგვაროვან მაჩაბელს. ვახუშტი ბატონიშვილი ამ გვარის ირგვლივ წერს: „მაჩაბელი იტყვის ანჯაფისძეობას, აფხაზეთიდან მოსვლას“-ო. სხვა საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ მაჩაბელი პირველად გიორგი VII დროს (1395-1407 წწ.) იხსენიება, კერძოდ თემურლენგთან ბრძოლაში, რომელსაც ლიახვის ხეობის გამაგრებასთან ერთად ევალებოდა ჩრდილოეთით მოსაზღვრე ხალხთან, პირველ რიგში ოსებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და სამხედრო-თავდაცვითი კავშირების განმტკიცება. და მარ-

თლაც, მემატიანეს ცნობით, მაჩაბელს ოსეთთან სამხედრო კავშირი დაუმყარებია, დაუმარცხებია თემურლენგის ლაშქარი, სადაც მაჩაბელს მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია: „მაშინ იყო მაჩაბელი, რომელსა ერქვა ხალელამჰრე, მოიმხრო ოსეთი და აღუიქვა ასული თავისი, რათა შეეწიოს თათართა ზედა. შეკრიბეს ჯარი ვითარ ორი ათასი კაცი ჰყვა ძე ერთი, რომელსა ერქვა არხიპოს, ესე არხიპოს უთავა ჯარსა და იყუნეს ცოტაოდენი ქართველნიც დაესხნენ თავსა ლანგთემურის ჯარს და დიდი ზიანი უყვეს“.[145] იმავე მემატიანეს ცნობით, როდესაც თემურლენგი საქართველოს ანადგურებდა, ამ დროს ქსნის ერისთავს „ესმა დვალთა ღალატი, განრისხნა და განილაშქრა მათზედ და შემოვიდა ქსანის ერისთავი გზასა აჩაბეთისასა მოაოხრა სრულიად დვალეთი“-ო.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ მაჩაბელი ლიახვის ხეობის ფეოდალთა გვარიდანაა და სოფ. აჩაბეთიდან მომდინარეობს, სადაც მეფისა და მათი რეზიდენციაც ყოფილა. როდესაც 1759 წ. დაღესტნის ბელადმა კოხტამ და ჩონჩოლმუსამ აიღეს აჩაბეთი, ააოხრეს და მრავალი ტყვეც წაასხეს, ამის შესახებ მემატიანე გადმოგვცემს: „გარდამოვიდნენ კვალად დაღესტნის ბელადი კოხტა და ჩონჩოლმუსა დაღესტნის ჯარებით; ვიდრე რვაათასამდე კაცნი. ესენი გაიყვნენ, ჩონჩოლმუსა მოვიდა აჩაბეთს და აღიღო და მრავალნი სულნი დაატყვევა, შევლო ლიახვზედ, სამაჩაბლოს ოსები დაარბივა“.[146] მათ წინააღმდეგ შეკავშირებულან თეიმურაზი და ერეკლე, აგრეთვე იმერეთის მეფე სოლომონი. ლეკთა ჯარი დამფრთხალა და გაქცეულა. მაჩაბელი უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა. იგი არც მთავრისა და არც ერისთავის ტიტულს ატარებდა — მას მინიჭებული ჰქონდა ხევის უფროსობა და ხევის თავად იხსენიებოდა. იგი ითვლებოდა ლიახვის ხეობის უფროსად სოფ. აჩაბეთიდან სათავეებამდე და ევალებოდა ჩრდილოეთის საზღვრის ზონის მეთვალყურეობა და როგორც ითქვა ოსეთთან მეგობრული ურთიერთობის დაცვა-განმტკიცება. რაც შეეხება ხეობის ქვედა წელს, როგორც ცნობილია აქ გორის მოუ-

---

[145] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 337.
[146] იქვე, გვ. 281.

რაობა გიორგი VIII, 1465 წ. თავის ერთგულს ზედგინიძე-ამილახვარს სამემკვიდროდ უბოძა.

როგორც არაერთგზის ითქვა, ლაიხვის ორივე ხეობა ერთ ტერიტორიულ კომპლექსში განიხილებოდა და იგი განსაკუთრებით საიმედოდ უნდა ყოფილიყო დაცული, რამდენადაც თავისი მდებარეობით ერთგვარ თავდაცვით რეგიონს წარმოადგენდა მთელი შიდა ქართლისათვის ვიდრე მდ. მტკვრის სანაპირომდე. აქედან გამომდინარე, რეგიონში დღესაცაა შემორჩენილი ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები. კერძოდ, დიდ ლიახვზე: მუგუთის, გუბთის, სვერის, კეხვის, აჩაბეთისა და სხვ. ციხეები; პატარა ლიახვზე: აწრევის, ვანათის-დმენისის, კულბითის, ერედვისა და სხვ. ციხეები, ციხე-გალავნები. ამ ხეობებში თითქმის არ იყო სოფელი, სადაც მცირე თავდაცვითი ნაგებობა, ე.წ. საყარაულო კოშკი არ მდგარიყო. ისე, რომ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქ. გორში იყო აშენებული ყველაზე დიდი და მძლავრი ციხე-სიმაგრე, ადვილი წარმოსადგენია თუ რაოდენ იყო დაცული შიდა ქართლის მტკვრის მარცხენა სანაპიროები ჩრდილოეთიდან დიდი კავკასიონიდან გადმოსასვლელების ჩათვლით. მომდევნო საუკუნეებში, კერძოდ XV საუკუნიდან, როდესაც აღმოსავლეთში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა და თურქებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს (1453 წ.) საქართველოს სახელმწიფოს დასავლეთის მხრიდან გამოუჩნდა ძლიერი მტერი ოსმალეთის სახით, ხოლო აღმოსავლეთიდან ასევე ძლიერი ყიზილბაშური ირანი, ეს ორივე მუსულმანური აგრესორი ერთმანეთს ეცილებოდა ამიერკავკასიის — პირველ რიგში საქართველოს დაპყრობაში. უმთავრესად სწორეთ მათი ზეგავლენით იწყება საქართველოს სამეფოს დაშლის პროცესი და მის ნიადაგზე სამთავრო-საერისთაოების წარმოქმნა.

ასეთ ვითარებაში, საქართველო გაიყო სამ — ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოდ. ამასთან, ქართლის სამეფოს ცალკე გამოეყო სამცხე-საათაბაგო, ხოლო მომდევნო საუკუნეებში ასევე ცალ-ცალკე ჩამოყალიბდა ქსნისა და არაგვის საერისთაოები, სამუხრანბატონო და საამილახვრო, რომლებიც ნომინალურად ქართლის მეფეებს ემორჩილებდნენ, თუმცა ხელსაყრელ პირობებში მზად იყვნენ განდგომისათვის. ამ მხრივ

ერთადერთი, ლიახვის ხეობის სამაჩაბლო აღმოჩნდა, რომელიც ბოლომდე მეფის ერთგული დარჩა და შინაფეოდალურ ომებში მეფის მხარეზე თავდადებით იცავდა ქვეყნის ერთიანობას. აქედან გამომდინარე, ერეკლე დიდად აფასებდა ასეთ ერთგულ სამსახურს და ყოველთვის კმაყოფილებას გამოსთქვამდა მაჩაბლის მიმართ. ხოლო შემდეგ, როდესაც ერეკლე II 1777 წელს ქსნის საერისთავო ურჩობისათვის გააუქმა, ლიახვის ხეობაშიც მდგომარეობა შეიცვალა და ეს ხეობა მეფემ ბატონიშვილ იულონს მიუბოძა. ამან კი ეს მცირე ქალაქი ცხინვალი, თავის დედას — დარეჯან დედოფალს უბოძა და ამ დროიდან იგი სადედოფლოდ ითვლებოდა. ამას მალე მოჰყვა ქართლ-კახეთის შეერთება რუსეთთან, რის შემდეგაც ჩრდილოეთის საზღვარი მოიშალა და ჩრდ. კავკასიასთან გაერთიანდა. ამ სასაზღვრო ზონის გაუქმებას თავის მხრივ მოჰყვა ლიახვისა და ქსნის ხეობებით ოსების ჩამოსახლების პროცესი. მით უმეტეს, რომ ხეობა ისტორიულად აოხრებული იყო ლეკთა და იმავე ოსთა თარეშისაგან და ნასოფლარებიც საკმაოდ არსებობდა. ამიტომ, მოსახლეობის მოსაზიდად, უკან დასაბრუნებლად, ამ შემთხვევაში ლიახვის ხეობის (და არა მარტო მათი დ.პ.) მემამულეები ცდილობდნენ გახიზნული ქართველების სხვადასხვა შეღავათებით უკანვე დაბრუნებას, აგრეთვე ოსების ჩამოსახლებასაც კი, რომელნიც გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ. კერძოდ, ისინი თავისუფლები იყვნენ პირადი ბატონყმური სამსახურისგან. აღსანიშნავია, რომ უმეტესად, ოსური მოსახლეობა, მებატონეების მამულზე სახლობდნენ, ამუშავებდნენ მიწას, ითვისებდნენ ტყეებს და წლიურად მემამულეს 5-10 მანეთამდე მახტას უხდიდნენ.

ამგვარად, XIX საუკუნეში, ლიახვის ხეობის ზედა წელზე, განსაკუთრებით ჯავის რაიონში, აქტიურად მიმდინარეობდა ოსთა ჩამოდინება და აქედან ცხინვალის რაიონის მიმდებარე ტერიტორიებზეც დასახლება. ასე ამრიგად, კონკრეტულად ზემო ქართლის ამ რეგიონში წარმოიქმნა არაერთი, შერეული მოსახლეობისაგან შემდგარი სოფელი.

დიდი ლიახვის სათავეებში მდებარე სოფლები ადმინისტრაციულად, მაღალმთიანი ჯავის რაიონში შედის და ისტორიულად მის სანახებზე გადის სასაზღვრო ხაზი ქართლსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის.

აქაური მოსახლეობა შერეულია, თუმცა თანდათანობით ოსური მოსახლეობა ჭარბობს. ამ სოფლებში მრავლადაა შემორჩენილი მატერიალური კულტურის მდიდარი ძეგლები: XI ს. „ცხრაკარას“ ეკლესიის ნანგრევები სოფელ დოდოთში; სოფ. კვაისაში X საუკუნის „კვაისა ჯვარის“ ეკლესია და სხვ. XI საუკუნის ეკლესია და ციხე-კოშკები სოფ. ნადარბაზევსა და სოხთაში; XX ს. 50-იანი წლების მონაცემებით, განადგურების პირას იყო მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლები როგორიცაა: სოფ. მშხლებში, სოხთაში, წოისში, გუმბათსა და მუგუთაში.

ვახუშტი ბატონიშვილი, ზემო ქართლის — ლიახვის ხეობების აღწერისას ბევრგან ასახელებს ნასოფლარებს, ნაციხარებს, ნაეკლესიარ ადგილებს და სხვ. „სვერის ხიდს ზეით ჩამოვარდების ითრაფულა დასავლეთიდამ და მიერთვის ლიახვს. ამას ზეით, გუფთას, არს ნაციხარი. გუფთას ზეით მოერთვის ლიახვის მდინარე ფაწა. გამოსდის ერწოსა და ამას შუათს მთას, მიდის აღმოსავლეთად და ამ ხევს მოერთვის სხვა ხევი სამხრიდამ, გამოსდის მასვე მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ ხევის შესართავს ზეით ერთვის ფაწას პატარა — ჯავის ხევი, გამოსდის დვალთ-გორასა. ამას ზეით ერთვის ფაწას სოხოს ხევი. სოხოს-ხევს ზეით. ფაწასვე მოერთვის ქეშელთის-ხევი. და ზდიან ეს ხევნი დვალთ-გორასა“.[147] და განაგრძობს: ფაწის შესართავს ზეით არს სხლები და ჯავა. ჯავას ზეით ერთვის ლიახვის დასავლეთიდამ ხვწის-ხევი, სდის დვალთ-გორასა ხწევს ზეით ერთვის ხევი მუგუთისა ლიახვს, დასავლეთიდამ, და გამოსდის დვალთ-გორასა. აქ აღაშენა ციხე მაჩაბელმან, შემუსრეს ურუმთა. რომელი იყო მაღალს კლდესა ზედა ლიახვს მიერთვის ხევი კოშკისა. მას ზეით მოერთვის ლიახვს როკის-ხევი, როკის ზეით მიერთვის ლიახვსვე ბჟის-ხევი, სადაც სდის კავკასსა, მუნ დამდაბლდების ზეკარის კავკასი; და გარადვალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა ზახას და დვალეთს. კვალად ლიახვს ერთვის ბჟას ზეით, სამხრეთიდამ მშხლების-ხევი და გამოსდის გურის მთას“.[148]

---

147 ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 77.
148 იქვე, გვ. 77.

ამ სანახებში, როგორც ვახუშტიც აღნიშნავს, დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე სოფ. გუბდათის ქვემოთ, სადაც გვერდზე ჩამოუდის სვერის წყალი და ერთვის ლიახვს, აგებულია დიდი ციხე-სვერისა, რომელიც მთელ ხეობას გადასცქერის, რომლის აშენებას XVIII ს. მიაწერს თეიმურაზ მაჩაბელს. „ხოლო ამილახვარმან წამოიყვანა მაჰმად-ყული ხანითურთ ოსმალთა სპანი და დაესხა მაჩაბელს მუგუთს, შემუსრეს ციხე სვერისა, რომელიც აღაშენა თეიმურაზ მაჩაბელმან“. ამის შესახებ კიდევ უფრო ზუსტ ცნობებს გვაწვდის მემატიანე სეხნია ჩხეიძე, რომელიც გადმოგვცემს: ქორონიკონსა უით (1731 წ.) შეუერთდნენ ქსნის ერისთავს შანშეს, კახი ბატონი ურუმთა ჯარით, მრავალი სული დაუტყვევეს, ბოლოს შემოეხვეწა შანშე და შეირიგეს. შეუხდენ სამაჩაბლოს, აიღეს ციხე სვერისა და დააქციეს, გარდაიარეს მთა ოსეთისა, მიუხდენ მუგუთსა, კოშკი იყო მაგარი, ადგილი კლდოვანი, შეექმნათ სროლა, დაიხოცა თათარი არა მცირედნი“-ო.[149]

დ. ლიახვის სათავეებში ჩვენამდე, მეტ-ნაკლები სახით შემოინახა ერთადერთი ყველაზე დიდი სამონასტრო კომპლექსი სოფ. თირში, რომელიც აჩაბეთიდან ოთხიოდ ვერსზეა აგებული. XX ს. 50-იანი წლების მონაცემებით, სოფლეში სულ ათიოდე მოსახლე ყოფილა, თუმცა თავისთავად ამ მოცულობის მდიდრული სამონასტრო ნაგებობა აშკარად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მას ოდესღაც ყავდა ერთობ მძლავრი, ქართველი მრევლი. სპეციალისტების აზრით, მონასტერი XIII-XIV საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს, ანუ იმ დროს, როცა საქართველოში მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პერიოდს — მონღოლთა შემოსევებს, შიდა ფეოდალურ დაპირისპირებას უკავშირებს და მაინც მოხერხდა ამ მდიდარი სამონასტრო კომპლექსის აშენება. მონასტრის კომპლექსის, ეკლესიას ჩრდილოეთით ეკვრის კარის თავზე წარწერა, რომელიც მარი ბროსეს სიტყვით დიმიტრი მელვინეთუხუცესს ამოუკითხავს, სადაც აღნიშნულია: „ქ. შეწევნითა ღვთისითა მეოხებითა თავ-დების ღვთისმშობლისათა, ჩვენ თაქთაქიძემ, მრულევის, ეპისკოპოსმან ფილიპემ და არდაშელ, და ძმა-მან ელისბარ, ავაშენეთ საყდარი ესე წმიდისა ნიკოლოზისა, სულის ჩვენისა

[149] ს. მაკალათია, დიდი ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 18.

სახსრათ, ოდეს ბედნიერის ხელმწიფებისაგან ჩვენსა ნათესავსა სასაფლაოდ, სამკვიდროთა და სამამულოდ მოსცემოდა ესე მონასტერი. მამა-პაპანი მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდა, და ეს ეკვდერი ავაშენეთ, სასაფლაოს მოუმატეთ ქკს ტი: (1622 წ.)".[150]

რამდენადაც ჩვენს მიერ ლიახვის ხეობის ირგვლივ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოანცემების ამსახველი მასალა შეკრებულია უმთავრესად „ქართლის ცხოვრების" მატიანის, ვახუშტი ბატონიშვილს ქვეყნის აღწერისა და ს. მაკალათიას შესაბამისი გამოკვლევების საფუძველზე. ამდენად ზოგიერთი მითითებული პირველი წყაროც ამ ნაშრომიდანაა დაფიქსირებული.

იმავე მონასტერში მომხდარ სხვა სახელმწიფოებრივ მოვლენებიდან საყურადღებოა თუნდაც ის ფაქტი, როდესაც ქართლის მეფე ვახტანგ VI, სწორეთ თირის მონასტერში აფარებდა თავს და მან აქვე მიაბარა მიწას თავისი ვაჟი — როსტომი, სავსებით გასაგებია არა მარტო ამ კომპლექსის დიდი ეროვნული დატვირთვა, არამედ მისი პოლიტიკური მნიშვნელობაც, რომელსაც აქ დაცული წარწერაც ადასტურებს: „ყოვლად ქებულის მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანის ქართლის მეფისა გიორგი ძმის ყოვლად შემკულის ბატონის ლევანისძე, საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ, ვიყავ სამკვიდროსა მამულსა ჩემსა სოფელსა ამას, რა-ოდენთაძე წელთა, და მიიცვალა ძე ჩემი პირმშო, ბატონიშვილი როსტომ, და დავფალ ეკლესიასა ამას შინა, სამკვიდროს. მამულსა ჩემსა ქრისტეს აქეთ ჩქათ (1689 წ.)". ამ წარწერიდან ჩანს, რომ ეს მონასტერი (თირის) მამულით სამეფო კუთვნილება ყოფილა, რომელიც ღვთისმშობლის სახელზეა აშენებული და ხალხშიც ღვთისმშობლის სახელითაა ცნობილი, ხოლო სახელწოდება თირის, გადმოცემით იმიტომ ეწოდება, რომ იგი თირიან (რბილიქვის) ნიადაგზეა — ფენაზეა აგებული-ო.

თირის მონასტრის კარის თავზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა იტყობინება: „თავხელიძეთა საოშ და რატის და ასათს და ხელის და მაჩაბელსა და მშობელთა მათთა შ-ნ (შეუნდვენ) დიმ (ღმერთმა) ა-ნ

[150] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 28.

ამინ“. ამ წარწერის მიხედვით, სამრეკლოც მე-14-ე საუკუნეში უნდა იყოს აშენებული, სადაც მაჩაბლის გვარი პირველად სწორეთ ამ საუკუნის ბოლოსაა მოხსენიებული.

როგორც ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, დიდი ლიახვის ხეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი იყო სოფ. აჩაბეთი. შესაბამისი ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ერთდროს აქ მეფის რეზიდენციაც ყოფილა, რომელიც მაგარი ციხით იყო დაცული. აქ იყო ხეობის გამგებლის მაჩაბლის მუდმივი რეზიდენცია, რამდენადაც მას საამისოდ გეოგრაფიული მდებარეობა უწყობდა ხელს, კერძოდ მასზე გადიოდა ლიახვის ხეობის ყველა მნიშვნელოვანი გზა. XX ს. 50-იანი წლების მონაცემებით, სოფლის მკვიდრთა შორის მაჩაბელთა გვარი აღარ ფიგურირებს და როგორც ადგილობრივი მოსახლეობა იტყობინებოდა იგი ოტიაშვილებით შეცვლილა. გადმოცემით, აქაური მებატონე ოტია მაჩაბელი დაბრუნებულა და გვარიც გამოუცვლია, რომლის ჩამომავლობიდან სამი კომლი დარჩენილა.

სოფელში დგას პატარა ეკლესია და „ზვარეთის“ წმ. გიორგის ნიში, სადაც გიორგობის დღეობას აღნიშნავენ, მასზე საკმაოდ დიდი ოთხკუთხა კოშკია შემორჩენილი. ამ გალავანში შემორჩენილია აგრეთვე შედარებით პატარა, წმინდა ესტატეს სახელობის ეკლესია. რაც შეეხება ციხის ირგვლივ ცნობებს, იგი XVI ს. მონაცემებით, ქართლის მეფე ლუარსაბ I ირანელებთან ბრძოლისას სწორეთ აჩაბეთის ციხეში ყოფილა გამაგრებული. აგრეთვე, გივი ამილახვართან ბრძოლის დროს ერეკლე II ორჯერ მოუხდა აჩაბეთისათვის ბრძოლა, ხოლო რაც შეეხება მაჩაბელთა საგვარეულოს ბედს, XIX ს. როდესაც გაუქმებული იქნა სათავადო, მაჩაბლები გადასახლდნენ სოფ. თამარაშენში და იქ მოაწყვეს თავიანთი ცხოვრება.

დიდ ლიახვს, შუა წელზე ერთვის პატარა მდინარე – კეხურა, რომლის სანაპიროებში გაშენებულია ერთ-ერთი დიდი სოფელი კეხვი. ამ სოფელზე, ანუ დიდი ლიახვიდან ნახევარ ვერსზე, გადის ცენტრალური გზა კვაისაზე იმერეთ-რაჭისაკენ. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან, საყურადღებოა დღემდე შემორჩენილი კეხვის ერთ-ერთი დიდ ციხე, რო-

მელიც მდებარეობს კეხვის დასავლეთით ორიოდ ვერსზე და ითვლებოდა ყველაზე მნიშვნელოვან თავდაცვით ნაგებობად. იგი მდებარეობს მაღალ გორაკზე, რომელსაც ირგვლივ ხევი ეკვრის და ამდენად ძნელად მისადგომს წარმოადგენდა. ამასთან, იგი ქვითკირის მტკიცე, დულაბით ნაგები გალავნითაა შემოზღუდული. კოშკი 4-5 სართულიანია, შიგნით ჭაა და წყლის საცავი აუზი, რომელიც აგრეთვე ქვიტკირთაა ნაგები. ჭასთან ერთად, ციხის წყალით მომარაგება ხდებოდა მთის ფერდობიდან გამოყვანილი თიხის მილებით. აღსანიშნავია, რომ ციხეში გამოყვანილ წყაროს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ისტორიულ წყაროებში ეს ციხე XVI ს. მოხსენიებული, როდესაც თურქეთი და ირანი ქართლის დაპყრობისათვის იბრძოდნენ (1578 წ.). ეს ის ეპიზოდია, როდესაც თურქებმა ლალა ფაშას მეთაურობით, ირანელები დაამარცხეს და ამ დროს ირანში ტყვეობაში მყოფი ქართლის მეფე — სვიმონი გაათავისუფლა და დიდი ჯარით გამოგზავნა. სვიმონმა თურქები დაამარცხა, დასაჯა მათი მომხრე ფეოდალები, მათშორის მუხრანბატონი, რომელიც შეიპყრო და კეხვის ციხეში დაატყვევა.

კეხვის ციხესთანაა დაკავშირებული აგრეთვე 1625 წ. ბრძოლა, როდესაც გიორგი სააკაძემ გაამაგრა იგი ირანელების წინააღმდეგ, ისევე როგორც გივი ამილახვარმა კეხვის ციხე გამოიყენა ნადირ-შაჰის წინააღმდეგ საბრძოლველად; 1745 წ. შაჰის ბრძანებით თეიმურაზმა ჯარი გაგზავნა კეხვში ციხის ასაღებად და ოთხი თვის ალყის შემდეგ მაინც ვერ აიღეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ზარბაზნები დაუშინეს და მათთვის კი დახმარების აღმოჩენა ვერ შესძლო, გივი ამილახვარმა, ციხე დაეცა. ამის შემდეგ, შაჰის ბრძანებით კეხვისა და სურამის ციხე დაანგრიეს, თუმცა ისინი მალევე აღადგინეს; მომდევნო წლებში, კერძოდ 1763 წ. კეხვში შემოჭრილა ლეკთა დიდი ჯარი, მაგრამ ერეკლეს მათთვის გზა გადაუჭრია, ეს ციხე გაუმაგრებია და ისინი სასტიკადაც დაუმარცხებია; 1810 წ. ამავე ციხეში გამაგრებულა ბატონიშვილი ლევანი იულონის ძე, რომელსაც მოუწოდებია ჯავის ოსებისათვის მეფის რუსეთის წინააღმდეგ ასაჯანყებლად. ამ მიზნით, იგი აქედან ავრცელებდა ირანიდან გამოგზავნილი ალექსანდრე ბატონიშვილის წერილებს ოსებისადმი, რომელშიც

მათ მხარდაჭერას მოითხოვდა. ალექსანდრე ბატონიშვილის მოლოდინში, ლევანს მხარდაჭერას და დახმარებას უწევდნენ ხერხეულიძეები, ბაადურ და იასე მაჩაბელი, რომელნიც ლიახვის ხეობის აუზის ციხეებს ამაგრებდნენ და სურსათ-სანოვაგითაც ამარაგებდნენ, ხოლო ოსები სახორცე საქონლით. აქ თავმოყრილ მეამბოხეებს ლევანი არწმუნებდა, რომ ირანის შაჰის ჯარები დასახმარებლად შემოვიდნენ და ალექსანდრე ბატონიშვილიც დღეს თუ ხვალ გამოჩნდება-ო. კეხვის ციხესთან არსებულ პატარა საყდართან — დედაღვთისმშობელთან ყოველ 7 მაისს აღნიშნავენ დღეობას — ხატობას, აქვე მოდიან სალოცავად აღდგომის დღესაც.

გორი-ცხინვალი-ჯავა-ონის გზატკეცილზე, დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე, სადაც აჩაბეთიდან საბოლოოდ გადმოსულან მაჩაბლები, იყო სოფელი თამარაშენი. „კვალად ქცხილვანს ზეით არს, ლიახვის დასავლით, თამარაშენი, მცირე ქალაქი. მსახლობელნი სომეხნი, ურიანი და ქართველნი“. სწორეთ აქ აუშენებია ვიქტორ მაჩაბელს ლიახვის ნაპირზე სახლი კოშკითურთ, ხოლო სოფ. საბაწმინდაში კი დასახლებულან ზაალ და ბორის მაჩაბლები. ამის შემდგომ კი აქვე ჩამოსახლებულან ზაალის ჩამომავლები, რომლებიც ახლა ზაალიშვილებად იწოდებიან. XX ს. 50-იანი წლების მონაცემებით, ზაალ მაჩაბლის სასახლე უკვე ჩამოქცეული ყოფილა და მხოლოდ საძირკვლისა და ბუხრის ნარჩენები შეინიშნებოდა. გადმოცემით, ამ სასახლეს ჰქონია ირგვლივ ღია აივანი ლამაზად მოჩუქურთმებული სვეტებით. აღსანიშნავია, რომ ამ სვეტებიდან 4 წამოულია ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს მუზეუმში, ხოლო დანარჩენი ცხინვალის მუზეუმში ყოფილა დაცული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სწორეთ ამ სასახლეში დაბადებულა ივანე მაჩაბელი. მაჩაბლების მამულები მოიცავდა ცხინვალი-როკიდან იმერეთის საზღვრამდე ადგილებს. გადმოცემით, თამარაშენი თამარ დედოფალს დაუარსებია და პატარა ქალაქადაც უქცევია. ვაჭრობის განვითარებისთვის მას გადმოუსახლებია ებრაელები და სომხები. ამას იზიარებს პლატონ იოსელიანიც, რომელიც აღნიშნავს: თამარაშენი დაარსა თამარ მეფემ და ქალაქი იყო. რუსუდანის მეფობისას თამარაშენი ჯალალ-ედ-დინმა დაანგრია-ო. ხოლო ს. მაკალათიას ცნობით, როდესაც ზაალ და ბარძიმ მაჩაბლები საბაწმინდიდან თამარაშენში

გადასახლებულან, თამარაშენის მამულები შეუსყიდიათ, ებრაელები და სომხები კი ცხინვალში გადასულან.

რაც შეეხება სომეხთა და ებრაელთა ცხინვალში გადასახლებას, ამ მხრივ არსებობს სხვა მტკიცებულებაც, კერძოდ ის, რომ ქ. ცხინვალის დაწინაურებამ და აქ მოსახლეობის განუხრელმა ზრდამ თავისთავად დაჩრდილა თამარაშენი და ამდენად მოსახლეობის ზემოაღნიშნულმა ფენამ ცხინვალში, როგორც უფრო პროგრესული ქალაქი ირჩია მუდმივ საცხოვრებლად.

სოფ. თამარაშენის მეზობლად მდებარეობს სოფ. ხეითი, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფლის თავში აგებული ძელცხოველის ეკლესია, რომელიც მომცრო, დარბაზული ტიპისაა და მოჩუქურთმებული ქვებით შემკული. ს. მაკალათიას აზრით, ეს ჩუქურთმიანი ქვები და ჯვარი სამცხიდან უნდა იყოს ჩამოტანილი მაშინ, როდესაც XV-XVI სს. ეს მხარე ოსმალებმა დაიპყრეს და გამაჰმადიანების შიშით ქართველობა გადმოიხიზნა ქართლში და თან წამოიღეს ოსმალეთისგან დანგრეული ეკლესიის ნაწილები და აქ ჩააშენეს. მისივე სიტყვით, იგი ერთ-ერთ ძლიერ სალოცავად-ხატად ითვლება. ხატის ეზო საგსე ყოფილა ქვევრებით. „ამ სალოცავში ქალი ვერ შევიდოდა — ხატი არ უშვებდაო. ამის გამო მლოცველი ქალები ეკვდერში დგებოდნენ და იქ ხატს სანთელს უნთებდნენ. აქ ღორის ხორცეულის მოტანა იკრძალებოდა, ხოლო თუ ვინმე ამას ჩაიდენდა, მას ორი კვირით ეკრზალებოდა სალოცავში მისვლა. ხატობა სამშაბათობით იმართებოდა და ის წელიწადში სამჯერ სრულდებოდა. იანვარში იცოდნენ „ბოსლობა“ (როგორც თუშეთში), შემდეგ „ამაღლება“ და მესამედ „მარიამობა.“ იგი მაღალი მთის წვერზეა აგებული და მისასვლელი გზა დახრამული, ძნელად მისადგომი და ამდენად ურმით მისვლა ძნელდება. აქ მოსული მრევლი ღამისთევით მოდის. ზვარაკად ბატკნები და მამლები, ვინ რას შეეუთქვამდა ძელცხოველის წმ. გიორგის ხატს შველასა და მფარველობას სთხოვდნენ. შიგნით ხატს სანთელს მას შემდეგ დაუნთებდნენ, როდესაც მას სამჯერ შემოუვლიდნენ და მამალს გაუფრენდნენ. გაფრენილ მამალს ნებისმიერი იჭერდა, თუმცა ამას უფრო მნათეები აკეთებდნენ. ამასთან, ეკ-

ლესიის კარებთან იდო რკინის მსხვილი ჯაჭვი ე.წ. „დადიანური“, რომელიც დაახ. 30 კილოგრამს იწონიდა და ჰქონდა საყელურიც და ორივე მხარეს გაყრილი ჰქონდა ერთი წყება მსხვილი ჯაჭვი, თვითეულის სიგრძე ერთ მეტრზე მეტი, მასთან მლოცველები მიდიოდნენ რიგრიგობით და საყელურით კისერზე ან მხარზე, მკლავზე გადმოიგდებდნენ, ხოლო ვისაც არ შეეძლო ამ ცერემონიალის შესრულება, მას ეშველებოდნენ და ასე სამჯერ შემოუვლიდნენ. ამის შემდეგ იშლება სუფრა და იწყება სიმღერა, ცეკვა-თამაში, გართობა და სხვ. ხვითში, ლიახვის პირას მაღალ გორაზე დღესაც დგას ოთხკუთხა კოშკი, რომელიც ბარძიმ მაჩაბელს ეკუთვნოდა“.[151]

დიდი და პატარა ლიახვის აღწერისას, ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „კვალად ერედვის ჩრდილოეთ, ამავე მთასა შინა, არს, ქრცხინვალისკენ, მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, კარგ ადგილსა და შენიერსა, საბაწმინდა, დიდნაშენი, და აწ ხუცის სამარ. მის ზეით, ამავე მთაში, არს, აღმოსავლისკენ, უდაბნო, მაღალს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი ეკლესიით“.[152] როგორც ითქვა, მაჩაბლებმა, რომელთაც დატოვეს თავიანთი ისტორიული რეზიდენცია სოფ. აჩაბეთში, პირველად სოფ. საბაწმინდაში დასახლდნენ, ხოლო აქედან თამარაშენში. ხოლო 1432 წლის თირის სიგელში ჩამოთვლილ იმ ყმა-მამულთა შორის, რომლებიც მოლარეთუხუცესმა ხელა თავხელიძემ „შესწირა თირის მონასტერს, მათშორისაა: „საბაწმინდას ვიგრიასაგან ნასყიდი მაჩუას ძის მამული“.

როგორც სოფლის სახელწოდებიდანაც ჩანს, იგი წმინდა საბას აღსანიშნავადაა დარქმეული, რამდენადაც წმინდა საბა იყო ისტორიული საეკლესიო პიროვნება. ამ სახელწოდებით არაერთი პირია ცნობილი და მათშორის სულხან-საბა-ორბელიანი, თუმცა ყველაზე სახელგანთქმულთა შორის ცნობილია კაბადოკიელი წმინდა საბა, რომელმაც პალესტინაში დააარსა მონასტერი და რომელიც ქრისტიანულ აღმოსავლეთში იქცა მართლმადიდებლობის ცენტრად. სოფელი, სადაც აღნიშნული მონასტე-

---

[151] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გე. 37.
[152] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გე. 76.

რია აგებული, ლიახვის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, რომელსაც გვერდით შესანიშნავი თვისების წყარო ჩამოუდის. საბაწმინდის ეკლესია, რომელიც სპეციალისტების აზრით აგებულია X საუკუნეში, ხოლო განახლებული XIV საუკუნეში, სადღეისოდ მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ამჟამად, მის სამხრეთით შემორჩენილია მხოლოდ მრგვალი და საკმაოდ დიდი კოშკი, რომელიც ზაალ მაჩაბელს აუშენებია, სადაც ცხოვრობდა და ზედ სახლიც ჰქონოა მიშენებული. მიუხედავად იმისა, რომ მისი შთამომავალი სოფ. თამარაშენში იყვნენ დასახლებული და გვარიც ზაალიშვილებად გადაიკეთეს, ისინი სალოცავად აქ დადიოდნენ და იმარხებოდნენ კიდეც. ამას ადასტურებს მარი ბროსეს ჩანაწერები, რომელსაც ეკლესიაში უნახავს 1759 წ. გარდაცვლილი ზაალ იესე ძე მაჩაბელის საფლავი.

დიდი ლიახვის ორივე ნაპირზე გაშენებულია ქ. ცხინვალი. ისტორიულად, ცხინვალი ითვლებოდა არა მატრო ხეობის, არამედ რეგიონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, სტრატეგიულ ადგილად. მიუხედავად იმისა, რომ წერილობით წყაროებში იგი მოიხსენიება მხოლოდ XIV საუკუნეში, მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დაარსებულია III ს. I ნახევარში და ქართლის მეფის ასფაგურის სახელს უკავშირდება (პლატონ იოსელიანი). ამ მოსაზრებას გვერდს უმაგრებს ქ. ცხინვალის არქეოლოგიური მასალა ე.წ. „ცხინვალის განძი“. სახელწოდება ცხინვალი-ქრცხინვალი, გადმოცემით ხის ჯიშის რცხილასაგან უნდა იყოს წარმოებული – „გავჩეხე რცხილნარი – დავარქვი ცხინვალი“-ო.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ნიქოზს ჩრდილოეთ, დიდ-ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქრცხილვანი, კეთილ ჰაეროანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. გარემოს წალკოტოვან ვეანხოვანი, საზრდლით მაძღარი, ლიახვს გაღმა, აღმოსავლეთით ქრცხილვანისა, ასტყდების მთა ტყიანი, და ეს მთა მიჰყვების ჩრდილოეთით მშხლებამდე“.[153]

ცხინვალი, როგორც დაწინაურებული მცირე ქალაქი ჩანს, რომ ყოველმხრივ იყო შემკული, რასაც ხელს არა მარტო ბუნებრივი, არამედ

---

[153] იქვე, გვ. 76.

გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობდა. 1432 წელს თირის სიგელში ჩამოთვლილ ყმა-მამულთა შორის, რომელიც მოლარეთუხუცესმა ხელა თავხელიძემ შესწირა მონასტერს ქრცხინვალს 2 ვენახი, თავხელისძე ასათს შეუწირავს „ქრცხინვალს სააღაპოდ ლალური მაკარა, ცამეტი კოკა, შემდგომად სიკვდილისა ოცდასამი კოკა, ოთხმოცი პური და თევზი“.[154]

მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალი სამეფო ქალაქი იყო, აქ ნაკლებად მაგრამ მაინც 1771 წელს ქსნის ერისთავთა ოჯახის წევრებს შორის დადებული წიგნიდან ჩანს, რომ მათ ამ დროისათვის ყავდათ ყმები ქრცხინვალს, უფლისციხეს და ამასვე იტყობინება 1791 წ. საამილახვროს კუთვნილი სოფლები, სადაც მათ ყავდათ ყმა-მამული, მათ შორის ცხინვალშიც. სათანადო წყაროების მიხედვით (XIX ს. I ნახ.), როდესაც სამაჩაბლო მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტორიას, მასში შედის ლიახვის ხეობა ცხინვალ-დგერისის ხეობიდან როკამდე, დვალეთში — ზროგოს ხეობა, მდ. ყვირილას და დვანის წყლის სათავეები. გარდა ამისა, მაჩაბლებს ეკუთვნოდათ ცალკეული ყმა გლეხები ქართლის ბარის სხვა სოფლებში. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ „ქართლის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილებია — გორი, ქრცხინვალი და სურამი“.[155] მისი გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც ნაწილობრივ ითქვა, სხვადასხვა პერიოდებში, განსაზღვრავდა როგორც ქალაქად, ისე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ჩამოყალიბებას, რამდენადაც იგი წარმოადგენდა გზაჯვარედინს მტკვრის სანაპიროდან გორზე, ბორჯომ-ახალციხეზე, ჩრდ. ოსეთში, რუსეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სხვ. რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამ მხარის სავაჭრო-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის დაწინაურებისათვის და სხვ. უოველივე ზემოაღნიშნული მახასიათებლების გამო, მასზე ხშირად ხორციელდებოდა მეზობელი ტომების თავდასხმა-ძარცვა, აგრეთვე შიდა ფეოდალური დაპირისპირება და სხვ.

---

[154] ჯ. გვასალია, დას. ნაშრომი, გვ. 267.

[155] გიულდნშტეტდის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 267.

ამ მხრივ ერთ-ერთ გამანადგურებელ შემოსევას ჰქონდა ადგილი 1772 წ. ახალციხის ფაშის — სულეიმანის მიერ ლეკთა ჯარით, რომელმაც სასტიკად ააოხრა, გაძარცვა ქ. ცხინვალი და ტყვეც ბევრი წაასხა. ამის შესახებ ომან მდივანბეგი გვატყობინებს, რომ „მოვიდნენ უგრძნეულად და ქრცხინვალი წაახდინეს, რაც ციხეს გარეთ ხალხი იყო, სულ დაატყვევეს, ვიდრე ექვსას სულამდე“-ო. აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე, ცხინვალში ძუნწადაა შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლის მიზეზიც ალბათ ის გაუთავებელი შემოსევები იყო, რომელიც ქალაქს გადახდა. ამ მხრივ შემორჩენილ ძეგლებს შორის საყურადღებოა „ზღუდრის“ უბანში ქვიტკირით ნაგები დარბაზული ეკლესიის ნაშთები, რომლის სამხრეთის კარის ზედა მხარეს ჩაშენებულ ქვაზე არსებული წარწერა: „წ. ჰოი ახოვანო, მოწამეთა შორის მთავარმოწამეო, წმინდაო გიორგი ზღუდერისაო, მფარველ გექმენ ორთავე შინა ცხოვრებითა (მადიდებელს) დედოფალთ დედოფლისა და ხელმწიფის დადიანის ასულსა მარიამს და ნაცვლად გავაგე მადლი და ფარვა შენმიერ დღესა მას დიდისა განკითვისასა შინა“. მიუხედავად იმისა, რომ წარწერა არ გვამცნობს მისი აგების თარიღს, შინაარსიდან მაინც ირკვევა, რომ იგი XVII ს. შუახანებში განუახლებიათ, რაზეც მეტყველებს ტექსტში მარიამ დედოფლის ხსნება, რომელიც ლევან II დადიანისა და ქართლის მეფის როსტომის მეუღლე იყო, ხოლო ეს უკანასკნელი კი მეფობდა 1633-1658 წლებში.

ცხინვალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორპოსტია მომდევნო პერიოდებშიც, კერძოდ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, რამდენადაც აქაც უმთავრესი პოლიტიკური და თავდაცვითი მნიშვნელობა მის მდებარეობაში გამოიხატებოდა. ამის მაგალითია თუნდაც 1801 წლის 16 მარტის წერილი, სადაც გენერალი ლაზარევი სთავაზობს გენერალ კნორინგს, რათა ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად დააყენონ ჯარები ისეთ დიდ ციხეებში, როგორიც იყო გორი, ლორე, დუშეთი, ცხინვალი და სურამი. ამასთან, ქ. ცხინვალი გეოგრაფიულად განლაგებულია რა ზეგანზე — მთისა და ბარის მოსახლეობის გარდამავალ ზოლზე, განსაკუთრებულ როლს თამაშობს მთისა და ბარის მჭიდრო

სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამის შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „მთისა და ბარის შუა ტერიტორიული ზოლი, ზეგანი, ორი მეურნეობის დაახლოების სარბიელია. ზეგანით ახერხებს ბარი მთიანეთზე გავლენას, ზეგანითვე ეზიარება მთა-ბარის ურთიერთობას — ჰერეთის ჩრდილოეთი, კახეთის გაღმამხარი, ქართლის ქსან-არაგვი (მუხრანის გამოკლებით) ცხინვალ-გერდისძირი, ზემო რაჭა, ლეჩხუმი და აფხაზეთის ზეგანით საქართველოს ბარისა და მთის შეხების ის ზოლია, რომელიც ბარმა თანდათან აითვისა და თავის სოციალურსა და კულტურულ ურთიერთობას აზიარა“.[156] ისე, რომ ისტორიულად იგი წარმოადგენს შუამავალ რგოლს ლიახვის ზემო წელსა და შიდა ქართლის ბარის ზოლს შორის.

ცხინვალის, როგორც ყველაზე უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკა კი ითვალისწინებდა მის მიერ მიერთებულ ტერიტორიებზე თავისი დასაყრდენი ხალხი ჩაესახლებინა და რისთვისაც არაფერს იშურებდა. ასეთ ვითარებაში, მათთვის ყველაზე სიამედო ჩრდილოეთიდან ოსური მოსახლეობისათვის საქართველოში გადმოსვლისათვის ყველა პირობა შექმნა. საამისოდ კი მას გააჩნდა წინაპირობა მანამდე კავკასიონის ქედის გადმოღმა, კერძოდ ლიახვის სათავეებში კანტი-კუნტად არსებული სოფლების არსებობა, სადაც შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა იყო. ისე, რომ XIX საუკუნიდან განსაკუთრებული აქტივობა იგრძნობოდა ზემო ქართლის ამ რეგიონში ქართულ ნასოფლარზე ოსთა დასახლების მომრავლებით. ოსთა ამგვარი მოძრაობა თანდათან ქართლის შუაგულისაკენაც შეიმჩნევა, რომლის პირველ ობიექტად სწორეთ ქრცხინვალი იქცა. შემდგომში ამის აშკარა გამოძახილი გახდა უმეტეს შემთხვევაში ძალადობის გზით საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნება არა მარტო ლიახვის სათავეებიდან, არამედ ზემო რაჭის, ფრონე-ყორნისის და თრუსოს ხეობების გადმოსასვლელებიდან. აღნიშნული პროცესი საუკუნეთა ნათლად გამოჩნდა XX ს. 20-იან წლებში, როდესაც დანმოუკიდებელი საქართველო ჯერ

156 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 241.

კიდევ სუსტი იყო ამგვარ მომხდურებთან ბრძოლისათვის, რომელსაც ზურგს „დიდი რუსეთი“ უმაგრებდა და ყოველმხრივ უწევდა დახმარებას, ცხინვალი იქცა (1918 წ.) მათი დაპყრობის ობიექტად, თუმცა ამჯერად ქართულმა ჯარმა შეძლო მათი განდევნა.

ხოლო მას შემდეგ, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა რუსეთის რეჟიმი (1921 წ.) ცხინვალი იქცა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოლქის დედაქალაქად და ამ მიზნით შეიერთა ზემო და შიდა ქართლის, იმერეთისა და რაჭის წმინდა ქართული მოსახლეობა ტერიტორიებითურთ. ხოლო რაც შეეხება შემდგომ პერიოდებს, იგი კიდევ უფრო მტკივნეული აღმოჩნდა ხელმეორედ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, კერძოდ 2008 წელს, ომის შედეგად როდესაც რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს წაქეზებით და ყოველმხრივი დახმარებით შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო“ დედაქალაქი ცხინვალით.

ამგვარად, თუ XVII-XVIII საუკუნეების ცალკეულ პერიოდებში, მუსულმანური სამყაროს წაქეზებით და ხელშეწყობით, საქართველო განიცდიდა განუწყვეტელ თარეშს, ძარცვა-გლეჯას, ტყვეთა გაყვანას, განსაკუთრებით კახეთ-ჰერეთის ტერიტორიაზე ჩნდება ლეკური დასახლებები და ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში „ლეკიანობითაა“ ცნობილი, XIX-XX და XXI საუკუნეების, გარკვეულ პერიოდებში, იმავე რუსეთის ძალისხმევით, აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს ტერიტორიის ხელყოფა, სადაც ცენტრალურ ფიგურად ოსეთი წარმოადგენდა. აღნიშნული პროცესი ერთხანს თუ მხოლოდ ქვეყნის მთიან და მაღალმთიან ადგილებში მიმდინარეობდა, მან თანდათან მოიცვა მთელი საქართველოს ტერიტორია, რის ნიადაგზეც ჩნდება არაერთი, მათ შორის კომპაქტური დასახლების ოსური სოფლები. ყოველივე ამის სამწუხარო მწვერვალს წარმოადგენდა 2008 წელი, როდესაც რუსთა, ოსთა, ჩეჩენთა და ჩრდ. კავკასიის სხვა ხალხთა შერეულმა ძალებმა ფაქტობრივად დაიპყრო მთელი შიდა ქართლი მათშორის ქ. გორი და ახალგორი, გაჩნდა ასობით ათასი დევნილი, მიწასთან იქნა გასწორებული ათეულობით მსხვილი, ქართული სოფელი, საიდანაც გატანილი იქნა უამრავი ქონება, სამხედრო

ტექნიკის ჩათვლით, სოფლები იქცა ნასოფლარებად და სხვადასხვა საკომუნიკაციო ობიექტებად, ჩადენილი იქნა არნახული-გაუგონარი სისასტიკე, ადამიანთა პირადი ხელყოფა და ა.შ. სამწუხაროდ, ყოველივე აღნიშნულ გარემოებას რამდენადმე შეუწყო ხელი საქართველოს მთავრობის მიერ დაშვებულმა პოლიტიკურმა შეცდომებმა, რამაც ქვეყანა გადააქცია უმუშევრობის ბუდედ, მილიონზე მეტმა მოსახლემ თავის სარჩენათ დატოვა სამშობლო და სხვაგან ჰპოვა თავშესაფარი. ამდენად, ეს პერიოდიც ისტორიაში შევიდა, როგორც „ოსობის“ ხანა. ისე, რომ ქვეყნის დასუსტებასთან ერთად საქართველოზე იწყებოდა ფარული, თუ ღია თავდასხმები, ხოლო ისტორიულად, ძლიერების პერიოდებში, ანუ როდესაც ქართველი მეფეები გონივრულ საგარეო პოლიტიკას მიმართავდნენ, ამგვარი საშიშროება ხშირად თავიდან ყოფილა აცილებული და გარე ფაქტორები ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენებული.

ამ მიმართებით, საყურადღებოა თუნდაც დავით აღმაშენებლის პერიოდი, როდესაც მის მიერ ყივჩაღთა შემოყვანა გადაწყდა და რომელთაც ოსეთზე უნდა გამოევლოთ, ამისათვის როგორ შევიდა იგი ოსეთს და სთხოვა მათი გამოტარება, როგორ დიდებულათ შეხვდნენ მას ოსთა მთავრები: „შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილათ შეუექრთნა ორნივე ნათესავნი. და აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთ კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვს, და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი; და სიმამრი და ცოლის ძმანი თვსნი არა ცუდათ დაშურეს მათითა ხელითა მოსრნა სრუიად სპარსეთისა ძალნი“.[157]

ამგვარად, საქართველოს ისტორიას ახსოვს პერიოდებიც, როდესაც ქართულ-ოსური ურთიერთობა კეთილმეზობლურიც იყო.

დიდი ლიახვის ხეობის გარდამავალ ზოლში — ზეგანზე, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი და მჭიდროდ დასახლებული სოფ. ზემო ნიქოზი. სოფელი ცხინვალიდან ორიოდე კილომეტრზეა გაშენებული და

[157] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 336.

ორადაა გაყოფილი — ზემო და ქვემო ნიქოზი. სოფლის ორ დასახლებად წარმოჩენა შემდგომ პერიოდში უნდა მომხდარიყო, რაც განპირობებულა მისი სოციალურ-ეკონომიკური ზრდა-განვითარებით, ქართველ ფეოდალთა მიერ ტერიტორიების გადანაწილებისა და სხვ. პროცესებით. ისტორიული წარსულით, ზემო ნიქოზი მდიდარი მატერიალური კულტურის ძეგლებითაა ცნობილი. როგორც ჩანს, ამ სოფლის მიმდებარე ტერიტორია-რეგიონი ისტორიულად საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა, რასაც მეზობელი სოფლების მდიდარი ისტორიული წარსული მიგვანიშნებს. ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „ხოლო კვალად შერთულს ზეით, დიდს-ლიახვზედ, არს მელვრეკისს მონასტერი უგუნბათო, უზის წინამძღვარი. დასავლით მელვრეკისისა ლიახვს გაღმა, არს ნიქოზს ეკლესია ღვთაებისა დიდი, გუნბათიანი, აღაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გვამი წმიდისა რაჟდენისა. მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოსად და სხვა ეპისკოპოსი; მის ღღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-ღებითურთ. ამ ნიქოზის ჩრდილოთ, დიდის-ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქრცხილვანი, კეთილ-ჰაოვანი“.[158]

როგორც ჩანს, ნიქოზი წარმოადგენდა ერთ-ერთ მსხვილ საქრისტიანო ცენტრს, რომლის არიალში ზემო რაჭის რეგიონიც შედიოდა. სოფლის ცენტრში დგას X საუკუნის მთავარანგელოზის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, რომელსაც ამშვენებს რამოდენიმე რელიეფური გამოსახულება. სოფლის ცენტრშივე მდებარეობს ღვთაების ეკლესია-კომპლექსი, რომლის სამშენებლო ფენა V-VI საუკუნეებით თარიღდება. მემატიანე ჯუანშერის ცნობით, იგი ვახტანგ გორგასლის დაკვეთით აუგიათ. ნაგებობა თავდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა. მისგან შემორჩენილია აფსიდი სამრეკლო და სადიაკვნე. ეკლესია ამჟამად ჯვარგუმბათოვანია. სამრეკლო დგას გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით. ნაგებობა ორსართულიანია. ეპისკო-

[158] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 76.

პოსის სასახლე დგას გალავნის გარეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით და თარიღდება X-XI საუკუნეებით.[159]

ამგვარად, ნიქოზში მდებარე კომპლექსი, რომელიც ვახტანგ მეფისეული ეკლესიის საფუძველზეა აგებული და სადაც ეპისკოპოსიც და უსვამს, ეეალებოდა ლიახვის ხეობით ქრისტიანობის გაერცელება ჩრდილოეთში, კერძოდ დვალეთში, ოსეთში და მთის რაჭაში.

ცხინვალიდან ოთხიოდე ვერსზე, დიდი ლიახვის ნაპირზე მდებარეობს სოფელი მელვრეკისი, სადაც XX ს. 50-იანი წლებისთვის 400-ზე მეტი კომლი სახლობდა. აღნიშნული სოფელი, ისტორიულად განიხილება იმ კომპლექსში, რომლის შესახებაც ზემოაღნიშნული ვახუშტისეული აღწერა იტყობინება. აქ არის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც დგას სოფლის ცენტრში და მიეკუთვნება გვიანდელ ფეოდალურ ხანას. რაც შეეხება მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებს – გარდა ციხე-კოშკისა, რომელიც ლეკიანობის პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს, თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით.

დიდი ლიახვის შუაწელზე მდებარეობს სოფ. ზემო ხვითი. ისე, როგორც ზემო და ქვემო ნიქოზი, ესეც თავდაპირველად ერთ დასახლებულ პუნქტად განიხილებოდა და როგორც ითქვა ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტარციულ ტერიტორიაში მოიაზრებოდა. ამ მხრივ ჩანს, რომ ქვემო ხეითი უფრო ადრეული დასახლებაა, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია: სამების ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია, წმ. გიორგის ეკლესია და ციხე-კოშკი, ხოლო ზემო ხვითში აგრეთვე: სამების ეკლესია, წმინდა გიორგის ეკლესია და ციხე-კოშკი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ამ ორივე სოფლის ზემოაღნიშნული ძეგლები ნაგებია გვიან ფეოდალური ხანის საქართველოს პერიოდებში და არა უგვიანეს ხანაში. აღნიშნულის ფონზე, შედარებით მდიდარი ისტორიული წარსულის მქონეა, მისი მიმდებარე სოფელი ფხვენისი, რომელიც აგრეთვე დიდი ლიახვის ხეობის შუა წელის მოსახლეობის

---

[159] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერა, 5, 1990, გვ. 68.

სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკური განვითარების კომპლექსში განიხილება.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან სოფ. ფხვენაში, აღსანიშნავია: ამილახვრის ციხე-კოშკი, ნათლისმცემლის ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია, ე.წ. დიდი რუ-სარწყავი სისტემის ნაკვალევი და სოფლის ძველი ნასოფლარი. „ნასოფლარი ფხვენისი“, რომელიც მდებარეობს ფხვენისის მიმდებარედ ნახევარ ვერსზე სამხრეთით და თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. ნასოფლარზე ეკლესიის ცალკეულ ფრაგმენტებზე, კერძოდ სარკმლის თავზე ჩასმულ მოწითალო ქვაზე X ს-ის ასომთავრული წარწერა გვამცნობს: „ქრისტე ადიდე ბეშქენ სტეფანოზისძე“, რომლის შეწევნითაც უნდა იყოს აგებული; სოფლის შუაგულში დგას ჩამონგრეული ნათლისმცემლის ეკლესია, დათარიღებული გვიანდელი ფეოდალური ხანით. აქვეა წმ. გიორგის ეკლესია, რომლის სამხრეთ ფასადზე მხედრული წარწერის მიხედვით, ეკლესიის მშენებლობა დასრულებულა 1835 წ. 16 მაისს. ეკლესია დარბაზულია და მის დასავლეთით დგას აგურით ნაგები ოთხსვეტიანი სამრეკლო; სოფლის სამხრეთით გზის პირას დგას ამილახვრის ციხე-კოშკი, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება და ძალზე დაზიანებულია; პერიოდული პრესის კორესპონდენციიდან ჩანს, რომ 1860 წ. მომხდარა უკმაყოფილო გლეხების გამოსვლა. გლეხები შეგროვდნენ სოფლის ცენტრში, წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში და მემამულეებს: ავალიშვილებს, ამილახვრებს ერისთავებს და მაჩაბლებს უარი განუცხადეს გადასახადის გადახდაზე. გლეხებმა დაიწყეს მემამულეთა კარ-მიდამოების დარბევა, მოითხოვდნენ ბატონყმობისგან განთავისუფლებას. მთავრობამ დააწესა ახალი გადასახადები, სოფელში ჩააყენა ეგზეკუცია და დააპატიმრა გამოსვლის თავკაცები; აგრეთვე, 1905 წ. 23 ივნისს, სოფლის თავში, მებატონე ამილახვრისაგან შეწუხებულმა გლეხობამ მისივე სახლთან მოკლეს იგი თუმცა პოლიციამ მკვლელი ვერ აღმოაჩინა.

სოფ. ფხვენისის მნიშვნელოვან მეურნეობრივ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს აქ შემორჩენილი ძველი სარწყავი სისტემის — რუსხმულების ნაკვალევი, რომელიც არქეოლოგების მიერ იქნა მიკვლეული ე.წ. „დიდი

რუ“, რომელიც სათავეს იღებდა სოფ. ფხვენისსა და ბებნისს შორის — თარიღდება ფეოდალური ხანით. აღნიშნული არხი, რომელიც შემდგომში იქნა აღდგენილი, რწყავს სოფლების: საქაშეთის, შინდიის, სასირეთის და ბებნისის მიწებს. XIX ს. 80-იან წლებში შედგენილ ს. მაჩაბლის გამოკვლევის მიხედვით, დიდი ლიახვი რწყავდა 17 სოფელს: არაშენდას, ბებნისს, ვარიანს, ზემო აჩაბეთს, ზემო ნიქოზსს, დგერისს, ქვ. აჩაბეთს, კეხვს, ქვ. ნიქოზსს, ფხვენისს, რუისს, სასირეთს, თვალთუბანს, თამარაშენს, ურბნისს, ცხინვალს, შინდისს. სულ დიდი ლიახვით ირწყვოდა 1691,9 დესეტინა, ანუ გორის მაზრის სარწყავი მიწების 26 პროცენტი.

გადმოცემით, დიდი რუ თამარ მეფის დროს აუგიათ. არხის გასწვრივ აღმოჩენილია ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები; სოფლის შუაგულში შემორჩენილია აგრეთვე გვიანდელი ფეოდალური ხანის კოშკი. ფხვენისის შესახებ წერილობითი წყაროებიდან საყურადღებოა 1514 წელს მაჩაბელისეული ნუსხის მონაცემები, რომელშიც ჩამოთვლილია ის ყმა-მამული, რომლებშიც მოლარეთუხუცესმა ხელა თავხელიძემ შესწირა თირის მონასტერს, სადაც ფხვენისის ერთი ვენახი ძველადვე ყოფილა შეწირული. 1791 წლის დავთრის მიხედვით კი ამილახვრების ყმა-მამულში, ფხვენისიცაა მოხსენიებული. ამგვარად, ჩანს, რომ ფხვენისში, ყმა-მამულები გააჩნდათ ამილახვრებს, ავალიშვილებს და მაჩაბლებს. ისე, რომ ქართლის სინამდვილეში, სოფლების დიდ ნაწილში ყმა-მამული ეკუთვნოდათ რამოდენიმე თავადს, სადაც გამოკვეთილად ბატონობდა მათშორის ძლიერი სათავადო.

დიდი ლიახვის ხეობის მარჯვენა ნაპირზე — ვაკეზე, მდებარეობს განვითარებული ფეოდალური ხანის ერთ-ერთი ძლიერი სოფელი — შინდისი, სადაც მატერიალური კულტურის ნაშთებიდან შემორჩენილია: — კვირაცხოვლის ეკლესია, ნათლისმცემლის ეკლესია, სტეფანწმინდის ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია, წმ. ნიკოლოზის ეკლესია და ციხე-გალავანი. აქედან, კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზეა აგებული, თარიღდება X-XI საუკუნეებით; სტეფანწმინდის ეკლესია მდებარეობს აგრეთვე სოფლის მიმდებარედ და X-

XI საუკუნეებშია აგებული; ამავე პერიოდს მიეკუთვნება ნათლისმცემლის ეკლესია; ხოლო ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც აგრეთვე სოფლის განაპირასაა აშენებული გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება; ციხე-გალავანი დგას სოფლის ჩრდილოეთით — ვაკეზე და თარიღდება XVIII ს. II ნახევრით, რომელიც ჩამოქცეულია და მხოლოდ სამი სართულია ნაწილობრივ გადარჩენილი, რაც შეეხება წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას, იგი სოფლიდან ორ ვერსზე, ე.წ. ნასოფლარ „თვალათუბანში“ მდებარეობს და ესეც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება.

აღნიშნული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ სოფელი შინდისის მოსახლეობა განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ, სულიერ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, როგორც ქართლის მთისა და ბარის ურთიერთ მჭიდრო კავშირის განმტკიცებაში, ისე მომხდურთა დაცვის მხრივ. ისტორიულად მასზე გადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზატკეცილი გორი-ცხინვალი-ონის მიმართულებით, რომელიც დიდ როლს თამაშობს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. 1905 წ. 13 მარტს ადგილობრივმა გლეხობამ დაარბია სოფლის მამასახლისის კანცელარიის შენობა, სადაც შემდგომში აქ პოლიციის მიერ აღმოჩენილი იქნა იარაღის საწყობი რევოლუციის მოსაწყობად და სხვ.

კიდევ უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ადგილზეა გაშენებული სოფ. ვარიანი, რომელიც ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და განთქმულია აქ მომდინარე ე.წ. ვარიანის ანკარა ფშანით და საერთოდ, წყალუხვობით. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ლიახვის დასავლით, რუისის მთის ძირს, არს თედოწმინდა. მცირედ მას ზეით ერთვის დასავლეთიდამ ლიახვს ვარიანის ფშანი და ახალდაბასა შინა იპყრობის კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი“-ო. სოფელი ვარიანი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე დ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, გორი-ნიქოზი-ცხინვალ-ონის გზატკეცილზე. იგი, გორიდან 12 ვერსზე მდებარეობს და ერთ-ერთი უძველესთაგანია რეგიონში, რომელიც ფეოდალურ ქართლში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მის პოლიტიკურ და ეკონო-

მიკურ ცხოვრებაში. უპირველესად, ვარიანი არის ქართველი ერის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის დაბადების ადგილი. სოფლის შუაგულში დგას გოგებაშვილის ორსართულიანი სახლ-მუზეუმი, რომელიც აგებულია სოფლის მღვდლის ს. გოგებაშვილისა და მისი ვაჟის — ანდრიას მიერ, რომელსაც შემდგომ ამ სახლს მიუმატა ერთი ოთახი იაკობის ძმამ ზაქარიამ. ამით ამ შენობის რეკონსტრუქცია არ შეწყვეტილა და1930 წ. მას მიაშენეს კიდევ ორი ოთახი და გახსნეს სკოლა, რომელიც საბჭოთა საქართველოს მთავრობის 1958 წ. 14 დეკემბერის გადაწყვეტილებით აქ გაიხსნა იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი.

ვარიანის სოფლის დასავლეთით ნახევარ ვერსზე მდებარეობს კოშკი და ნასოფლარი. კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებიდან, რომელიც გვიანდელ ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება აღსანიშნავია კოშკის მიმდებარედ — ადგილ „ლელისთავებში“ — ნასოფლარზე აღმოჩენილი შენობების საძირკვლის ნაშთები. ადგილობრივთა გადმოცემით, ამ ნასოფლარიდან მოსახლეობა აყრილა ლეკიანობის დროს (XVIII ს.) და სხვადასხვა ადგილებში გაბნეულა. მეორე ნასოფლარი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფლიდან ერთ ვერსზე — ადგილ „წყაროსთავებში“ და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით, სადაც შემორჩენილია სახლების ნანგრევები და საძირკვლები. გადმოცემით, ამ ნასოფლარიდანაც ლეკიანობის დროს აყრილა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა ადგილებზე უმთავრესად XIX ს. II ნახევარში რაჭიდან ჩამოსული კერესელიძეები დასახლებულან. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი შემდგომაც გაგრძელებულა და საბჭოთა პერიოდში სოფ. ვარიანში დას. საქართველოდან სხვა გვარებიც გადმოსულან. სოფლის შუაგულში დგას ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია, რომელიც მასზე არსებული წარწერის თანახმად აგებულია 1835 წელს, აქვეა აშენებული აგურის პატარა სამრეკლოც.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ადგილ „ფუტუროებში“, სასაფლაოზე დგას ღვთისმშობლის ეკლესია. აქვეა ნასოფლარის ნაშთებიც, რომელიც განვითარებული ფეოდალიზმის ხანას მიეკუთვნება. რო-

გორც ზემოაღნიშნული მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ვგებულობთ, დღევანდელი ვარიანის მიმდებარე ტერიტორიაზე სამი ნასოფლარის — ნაკვალევის აღმოჩენა, იმის დასტურია, რომ ისტორიის უკუღმართობის პერიოდებში, ეს სოფლები დაცარიელებულა და მოსახლეობა ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში გადასახლებულა, რაც იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ზოგადად, ამა თუ იმ სოფლის ძირძველი მოსახლეობის მტკიცებულება მათი პირვანდელი საცხოვრისის მიმართულებით ძნელდება. რაც შეეხება სოფ. ვარიანის ტერიტორიაზე ყველაზე ძველ ძეგლს, ეს არის „ღვთისმშობლის“ ეკლესიის ნანგრევები, რომელიც სასაფლაოზე მდებარეობს და სადაც ყოველ 25 პარილს იმართება სახალხო დღესასწაული ღვთისმშობლობა, აგებული უნდა იყოს XII საუკუნეში. აღსანიშნავია, რომ ამავე სასაფლაოზეა დაკრძალული იაკობ გოგებაშვილის მშობლები, რომლის ქვაზეც იკითხება: „ეს ქვა დამდო თავისს ძვირფასს დედას შვილმა იაკობმა, გარდაცვალებული ჩყოგ (1873) წელსა“. აღნიშნულია ი. მეგრელიძის ნაშრომში „დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირი“ (გორი-ერგნეთი).

და ბოლოს, სოფელ ვარიანის მადლიან მიწას, მის ძირძველ მოსახლეობას, ქართულ გენს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან გაგვიზარდა ერის უანგარო მოღვაწე, დიდი განმანათლებელი, მეცნიერ-პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც აქ გაატარა თავისი ბავშვობა და ყრმობა. სწორეთ იაკობი იყო, ერთ-ერთი ის რომელმაც XIX ს. ქართველ ერს მზნეობა და სამომავლო განვითარების გზის საფუძველი შეუქმნა. იაკობმა, სხვა სიბრძნესთან ერთად თქვა: „ფილოსოფია სულის საზრდოა, ისტორია გონების“-ო. რომ სამშობლო ქვეყნის მრავალწახნაგოვნად, ერთიან კომპლექსში შესწავლა დიდად უწყობს ხელს მისდამი სიყვარულის გაღრმავებას და რომ იგი კიდევ უფრო აამაღლებს საზოგადოების მისწრაფების და უნარის სამშობლოსათვის ბრძოლაში, რათა არავის დაუთმოს თავისი მიწა-წყალი, რომელიც „ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“.

სოფელი არაშენდა მდებარეობს დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია მთავარანგელოზისა და ფერისცვალების ეკლესია. მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია დგას სოფლის სამხ. აღმოსავლეთით — მთაზე და თარიღდება განვითარებული ფეოდალიზმის ხანით, ხოლო ფერისცვალების ასევე დარბაზული ეკლესია, ამავე პერიოდისაა და დგას სოფლის განაპირას — სასაფლაოზე. რაც შეეხება წერილობით წყაროებს, 1804-1818 წლების კამერალური აღწერების მიხედვით, მაჩაბელთა ყმა-მამულის სიაში სხვა სოფლებთან ერთად, მოხსენიებულია არაშენდა, სადაც მათ მხოლოდ ერთი კომლი ყმა-მამული ყოლიათ. ყმა-მამულთა დანარჩენი კომლი, როგორც ჩანს ამილახვრებს უნდა ჰკუთვნებოდათ.

სოფელი ახალდაბა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და ამ რეგიონის დასახლებულ ადგილებთან ერთად გვიანფეოდალური პერიოდის ხანებში საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ადგილადაა მიჩნეული. მის მიმდებარედ მიკვლეულია ნასოფლარის ნაშთები, ხოლო სოფლის შუაგულში კი შემთხვევით, მეკომურ გ. ქებაძის სახლის საძირკველში მოკვლეულ სამარხში აღმოჩენილი სხვადასხვა საოჯახო ნივთების შესწავლით, გვიანდელი ბრინჯაოს ხანით თარიღდება. რაც შეეხება სოფლის შუაგულში მდებარე ღვთისმშობლის დარბაზულ ეკლესიას, რომელიც შემაღლებულ ადგილზეა აგებული, მიეკუთვნება X ს. დასაწყისს, ხოლო სოფლის სამხრეთით მდებარე წმ. გიორგის დარბაზულ ეკლესიას, იგი გვიანდელი ფეოდალური ხანითაა დათარიღებული. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ახალდაბა ნასოფლარზეა გაშენებული და ამდენად სახელწოდებაც მის აღორძინება-გაახლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამასთან, საქართველოში სოფლის სახელი ახალდაბა, ისტორიამ რამოდენიმე ადგილას შემოგვინახა. სოფელ თედოწმინდას ვახუშტი ბატონიშვილი ასე აგვიწერს: „გორის ზეით, კარალეთის პირისპირს, ლიახვის დასავლით, რუისის მთის ძირს, არს თედოწმინდა ტინის-ხიდით. თედო წმინდით სასირეთამდე და მტკვრამდე, მცირე ადგილს ტყიანი, სახნავი და მოსავლიანი ნაყოფიერად, უწყლო და ადგილ-ადგილს და წყარონი მცირენი, მტკვრის პირად ღრანტოიან კლდიანი“.

დიდი ლიახვის მტკვართან შეერთების მიმდებარე ადმინისტრაციული სოფლების კულტურული მემკვიდრეობის გაშუქების ფონზე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ქ. გორის ირგვლივ დამატებითი ცნობების წარმოჩენა, სადაც ნათლადაა ასახული მრევლის გარკვეული ფენის სარწმუნოებრივი დონე კონკრეტულ წმინდანთან მიმართებაში. 1886 წ. გაზ. „იერია“-ში მოთავსებულ ვრცელ სტატიაში ვკითხულობთ: „ჩვენდა შესარცხვენად ქართლში არცერთი ეკლესია არ მოიძებნება წმინდა ნინოს სახელობის, გარდა ურბნისისა არცერთს ეკლესიაში 14 იანვარს, ნინოს გარდაცვალების დღეს, არ იწირება. ქართლელმა კაცმა (რასაკვირველია, აქ მე დაბალი ხალხი მყავს სახეში) არ იცის ნინო ვინ იყო, რა ღვაწლი მიუძღვის მას საქართველოს ეკლესიისა და ერისადმი. არ იცის, ვიმეორებ, იმ წმინდა ადამიანის ვინაობა, რომელმაც გაიცნო იგი ჯვარცმულ მაცხოვრისა, მისცა მას სარწმუნოება ჯვარ-ცმულისა, გაანათლა სულით და ჩააყენა ქრისტეს სწავლით დაწინაურებულ ერთა რაზმში, რომელმაც მისცა თავისსავე თმებით შეკრული ჯვარი ვაზისა, ჯვარი რომელიც წინ უძღოდა ყოველ ქართველს გაჭირვების ჟამსა და რომლის სახელითაც ჰღებავდა მამულს სისხლის ნაკადულით და არ ეთმობოდა მტერს ერთი ფეხის გადადგმასაც წელს გორის ოქონის ეკლესიის მღვდელმა ბლ მიხეილ ნასყიდაშვილმა იდღესასწაულა თავის მრევლმა თოთხმეტი იანვარი საზოგადოდ, მღვდელი ნასყიდოვი (ნასყიდაშვილი) შესანიშნავია ქართლის სამღვდელოთა შორის თავისის დაუცხრომელი შრომით, ღვაწლით თავის მოწაფეთა შორის. მან განაახლა და გააშვენიერა სამების ეკლესია გორში, როდესაც იქ მღვდლობდა. გადმოიყვანეს თუ არა ოქონის ეკლესიაში ფიცხლავ მიჰყო ხელი მის განახლებას. ოქონის ეკლესია აშენებულია XI ს-ში, ბაგრატ IV დროს, ხატი ამ ეკლესიისა „ოქონის ღვთისმშობლის“ მოჰყვა ბაგრატის ცოლს ელენეს საბერძნეთის მეფის დისწულს მზითევში. იგი ხატი დაასვენეს გორში, სადაც მისთვის ააშენეს საკუთარი ეკლესია. ეს ეკლესია დროთა

ბრუნვისა გამო ძალიან დაძველებულიყო, ასე, რომ ძალიან საშიში იყო მლოცველთათვის. მიხეილმა შეაგროვა ფული, დაანგრია ძველი, დაბალი, მინგრეული-მონგრეული საყდარი და მის ადგილს აღმართა მშვენიერი, ფართო, ნათელი, ტაძარი, სადგური ოქონის ღვთის-მშობლისა, რომელიც გორის მცხოვრებთ, ქართველთ თუ სომეხთ დიდ პატივდებაში ჰყავთ. მას შემდეგ (ეკლესიის ლოტბარი) ნასყიდაშვილი არ ზოგავს თავის ცდას და შრომას, რომ სულითაც გაანათლოს თვის საყდართ-სამწყსო და ამიტომ ჰქადაგებს კვირა–უქმათ. ამავე ეკლესიაში დაიარებიან გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი ბერიშვილის ლოტბართა გალობენ ქართულად ყოველ წირვა-ლოცვაზე. ამის გამო ხალხი ბლომად დაიარება, რადგან სასოება გაელვიძათ. ბატონი ბერიშვილი გალობის მასწავლებლად არის სახალხო სასწავლებელში. მაგის მოსვლისთანავე აღზდგა ჩვენს ქართლში ქართული კარბელაშვილის ძალობა; იგი არ ზოგავს თავს, ოღონდ მკვიდრ ნიადაგზე დადვეს ეს მივიწყებული და ახლად გაღვიძებული საქმე. ბერიშვილის მეოხებით აღზდგა ბევრი ქართული ძველი, სუფრის შემამკობელი სიმღერები, რომლებსაც ეხლა ყოველ შემთხვევაში გალობენ და მღერიან ეგრეთწოდებულის აქაურ „ინტელიგენციის“ სახლებში.

სოფელი თედოწმინდა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და იგი გვიანდელი ფეოდალური ხანის დასახლებას უნდა წარმოადგენდეს, რამდენადაც აქ, ჩრდ. დასავლეთით მიკვლეულია ნასოფლარის ნაშთები, შენობა-ნაგებობის საძირკველი, საოჯახო ჭურჭლის ნამსხვრევები და სხვ. მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებიდან აღსანიშნავია თევდორეს დარბაზული ეკლესია, რომელიც აგრეთვე გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. ამავე პერიოდს მიეკუთვნება სოფლის ცენტრში მდგარი გარსევანიშვილების კოშკი. სოფ. თედოწმინდასთანაა დაკავშირებული 1724 წ. ქართველებსა და ოსმალებს შორის მომხდარი ბრძოლა, რომელიც ქართველთა მარცხით დამთავრდა.

სოფელი ოთარაშენი მდებარეობს ლიახვის მარჯვენა ნაპირას, სადაც შემორჩენილია ნასოფლარის ნაშთები, აგრეთვე ორი კოშკი და წმ. გიორგის ნიში. სოფელი ამილახვრების საბატონო ყოფილა, რაზეც სხვა წყაროებთან ერთად შემორჩენილი „ამილახვრიან კოშკიც“ ადასტურებს, რომელიც XVIII ს. ბოლო პერიოდს ეკუთვნის. გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება აგრეთვე ნასოფლარი და აქ შემორჩენილი კოშკი, ხოლო წმ. გიორგის ნიშის ხნოვანება ჯერჯერობით დაუდგენელია.

სოფელი ტინისხიდი ლიახვ-მტკვრის შესართავთან, ქ. გორთან მიმდგარ იმ სოფლების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის სოციალურ-ეკონომიკურ და სტრატეგიულ ფუნქციას ქალაქის მდგომარეობა განსაზღვრავდა. სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე გვიანდელი ფეოდალური ხანით დათარიღებული ე.წ. ადგილ „გრძელეებში“ მიკვლეულია ნასოფლარის ნაშთები. XVIII ს. მიწურულის წერილობითი წყაროების მიხედვით, სოფლის ძირითად ყმა-მამულებს ფლობს ამილახვრების საგვარეულო. მასვე ადასტურებს XVII საუკუნის საამილახვროს დავთარი, სადაც 55 სოფელს შორის, რომელიც საამილახვროში შედიოდა ტინისხიდი და ქ. გორიც მოიხსენიება.

ურბნისის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „მტკვრის პირას ღრატოიან-კლდიანი და ამ მთის დასავლით, მტკვრისა ზედა, არს ურბნისი. აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსადმდე, ხოლო აწ არს ეკლესია დიდი, უგუნბათო, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი დიდის ლიახვისა, და რომელი ირწყვის ლიახვითა მით. შემუსერილი აღაშენა და განაახლა ჟდ მეფემან ვახტანგ და შეამკო ხატი მისი წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა — მოზღუდა ქვიტკირითა. ურბნისის დასავლით, დუდეს, დის წყარო ფრიად დიდი კიდესა მტკვრისასა,

რომლით ბრუნვენ დიდნი წისქვილნი ზამთარცა, ვინათგან ვერ გაჰყინავს".[160]

ქართულ წერილობით წყაროებში, ურბნისი იხსენიება ელინისტურ ხანაში. თანამედროვე სოფლის ადგილას და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგებმა მიაკვლიეს ანტიკური და ადრინდელი ფეოდალური ხანის ნაქალაქარს, სადაც გამოვლინდა ძვ.წ.ა. III ათასწლეულის ადამიანის მოღვაწეობის კვალი — ქვაცხელები, ხიზანაანთ გორა. ამ ძეგლებში მიკვლეულია საკმაოდ დიდი და ძლიერი დასახლების კვალი, რომელიც II და I ათასწლეულით თარიღდება. ძეგლების მიხედვით, აღნიშნული პერიოდის შუა ხანიდან სამოსახლოთა გაერთიანების შედეგად, აქ წარმოიშვა მჭიდრო დასახლება, რომელიც შეიძლება იქნეს მიჩნეული პირველ ქალაქურ დასახლებად. ძვ.წ. IV ს-თვის ურბნისი ქალაქად მოიხსენიება. ამ დროს აქ გამავალი სავაჭრო გზების წყალობით, ურბნისი მჭიდრო ურთიერთობაშია მეზობელ და შორეულ სამყაროსთან. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი უცხო წარმოების მრავალნაირი საქონელი, მათშორის მონეტები. ძვ.წ.ა. III ს-ში ქალაქი უცხო დამპყრობელს დაუქცევიათ და გადაუწვიათ. ახ.წ.ა. I საუკუნეებიდან საქალაქო ცხოვრება კვლავ აღორძინდა. ანტიკურ ხანაში ურბნისი დაწინაურდა, განვითარდა, ეწეოდა გაცხოველებულ ვაჭრობას და სხვ.

„ქართლის ცხოვრება"-ში ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას და ეპყრა ქვეყანა არაგვთან და ტფილისიდაგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, არაგვთაგან და არმაზითაგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენასოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა-ქართლი".[161]

---

[160] ვახუში ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 78.
[161] ქართლის ცხოვრება, ტ. I., თბ., 1955, გვ. 10.

ჩანს, რომ ქართლის სხვა ქალაქებთან ერთად, ურბნისის აშენებას მიაწერს მცხეთოსის შვილს უფლოსს. ურბნისი იხსენიება აგრეთვე წმ. ნინოს მოღვაწეობასთან საქართველოში, როდესაც იგი აქ გაჩერებულა ერთი თვე და აქედან სალოცავად და სავაჭროდ მიმავალ ურბნელებს გაყოლია მცხეთაში. ამავე სოფლის დიდმნიშვნელობაზე მეტყველებს ადრინდელი ფეოდალურ ხანაში საეპისკოპოსოს დაარსება და V-VI ს-ის მიჯნაზე დიდი ქრისტიანული ტაძრის, ხოლო ცოტა მოგვიანებით ქალაქის ალიზის დიდი გალავნის მშენებლობა. ამავე ხანაში შეიცვალა ქალაქის სამეურნეო პროფილი. დაქვეითება დაიწყო საქალაქო ცხოვრებამ-მეურნეობამ, ვაჭრობამ. სანაცვლოდ გაძლიერდა და ქალაქის ეკონომიკის განმსაზღვრელი გახდა სოფლის მეურნეობის დარგები. ისე, რომ V-VI სს-ის მიჯნაზე, ურბნისმა კიდევ ერთი რბევა განიცადა. წერილობითი წყაროების მიხედვით, VIII ს-ის 30-იან წლებში მურვან ყრუს შემოსევის შედეგად, ქალაქი მთლიანად განადგურდა. ამის შემდეგ ურბნისი ქალაქად აღარ იხსენიება. აქ რჩება მხოლოდ საეპისკოპოსო რეზიდენცია, რამაც XIX ს-მდე იარსება.[162] ფეოდალური ხანის ურბნისის დიდმნიშვნელობაზე მიუთითებს ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მონაცემები, რომელიც ცნობილი რუის-ურბნისის 1104 წლის საეკლესიო კრებას ეხება.

ურბნისის ფრიადსაინტერესო ისტორიულ წარსულზე მეტყველებს აქ აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა, კერძოდ ნამოსახლარი „ქვაცხელები“, რომელიც სოფლიდან სამიოდ კილომეტრზეა მიკვლეული მტკვრის მარცხენა ნაპირზე – თარიღდება ძვ.წ.ა. III ათასწლეულის I ნახევრის შუა ხანებით, გვიანდელი ანტიკური ხანით და ადრინდელი ფეოდალური ხანით. მეორე დიდმნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი ურბნისში გათხრილია სოფლის სამხრეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ამაღლებული ტერასის კიდეზე, რომელიც თარიღდება ძვ.წ.ა. IV ათას-


---

[162] საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 396.

წლეულის დასასრულით, III ათასწლეულის შუა ხანებით. აღსანიშნავია, რომ ნაქალაქარი ურბნისი, პირველად 1893 წ. პ. უვაროვმა გათხარა, მოპოვებული მასალა ინახება მოსკოვის ისტორიის მუზეუმში. აქვე ინახება ურბნისში მოპოვებული ორი სხვა ნივთიც (პ. ი. შჩუკინის კოლექცია). ურბნისის ნასოფლარზე აღმოჩენილია მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებიც, კერძოდ: გალავანი (ძვ.წ.ა. IV-III – ახ.წ.ა. VII სს.), აბანო (III ს.), მარანი (VI-VII სს.), წყალსადენი, ტექნიკური წყლის არხები, ბაზილიკა – ურბნისის სიონი (V-VI სს. მიჯნა), სამრეკლო (XVIII ს.) და სხვ.[163]

ამჟამად, ქვეყნის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონის მოსახლეობას რუდუნებით ემსახურება ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტი იასე, ერისკაცობაში – ზურაბ ჭანტურია.

[163] იქვე, გვ. 399.



უფლისციხე ძვ.წ.ა. VI-V სს.

თავი მესამე
შიდა ქართლი

1. პატარა ლიახვის ხეობა

პატარა ლიახვის ხეობის ტერიტორია, ადმინისტრაციულად მდებარეობს ისტორიული ზემო და შიდა ქართლის წყალგამყოფ საზღვრაზე. დასავლეთიდან იგი მოქცეულია დიდი ლიახვის ხეობის ფრიად დაწინაურებული კულტურული მემკვიდრეობის, ხოლო აღმოსავლეთით მეჯუდაჭარებულას ეკონომიკრადაც კიდევ უფრო მაღალგანვითარებულ ორბიტაში, რამაც განსაზღვრა მისი, როგორც მეურნეობრივი, ისე პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, რამდენადაც ხეობის ტერიტორია შიდა ქართლის ერთ-ერთი ცენტრალური რეგიონის ნაწილთაგანია, ამდენად, იგი ყოველთვის თანაბრად ინაწილებდა ქვეყნის წარმატება-წარუმატებელ მდგომარეობას.

აღნიშნული ხეობა, რეგიონში ოდითგან თავისი კოლორიტულობით და სილამაზით გამოირჩეოდა. დიდი ლიახვის ხეობის მსგავსად მისი სათავეები ცნობილი იყო მდიდარი ალპური მდელო-საძოვრებით, რომელსაც მოსდევდა წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივები, რითაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი შუა წელი. ქვემოთ და ქვემოთ გვხვდებოდა აყრილი ჭალები თავისი მდიდარი ფაუნით, ველ-მინდვრებით, ვენახბაღებით, ბოსტნებით და სხვ.

XVIII ს. გამოჩენილი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც 1717-1724 წლებში აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში, 1717 წ. როდესაც ბაქარ-ქართლის მეფემ თავის ძმას — ვახუშტის მიანდო აჯანყებული დათუნა ქსნის ერისთავის დამორჩილება და ამისთვის იგი ლაშქრით საერისთაოში შევიდა, ლიახვის ხეობა დაიჭირა და მის უშუალო გამგებლადაც იქცა.[164]

---

[164] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 70.

აქედან გამომდინარე, მის მიერ ამ ხეობის ირგვლივ მოწოდებული ცნობები, კიდევ უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნის ფართოდ ვიმსჯელოთ აქ მოსახლე საზოგადოების ყოფისა და კულტურის თვისება-თავისებურებების შესახებ. ისე, რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ზოგადად საქართველოს და ამ შემთხვევაში პატარა ლიახვის დეტალური აღწერა, ფასდაუდებელი ისტორიული, წერილობითი განძია, რომელიც გვამცნობს არა მარტო კონკრეტული პერიოდის, არამედ უძველესი ქართული ტერიტორიის, ბუნებრივი სიმდიდრის, არამედ აქ მოსახლე აბორიგენი ხალხის ყოფისა და კულტურის ამსახველ მოვლენებს.

ამგვარად, მისი აღწერით, პატარა ლიახვის ხეობა წარმოადგენდა: „ხოლო ისროლის მოსახლენი არიან ოსნი. ამ ფოტრისას ხევს ზევით არს აწერის-ხევი. აქ აღაშენა შანშემ ციხე სიმაგრედ თვსად, არამედ ექმნა გალიად, რამეთუ გამოიყვანეს ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ. მას ზევით მიერთვის ხევი შანბიანისა ლიახვის აღმოსავლეთიდამ.გამოზდის ჟამურის მთას და დის დასავლეთიდამ. ამ ხევს ზეით ერთვის ლიახვს ხევი ჩაბარუხეთისა. გამოზდის გერის მთას, დის აღმოსავლით, ერთვის ლიახვს დასავლეთიდამ. ამ ლიახვის შესართავს, ორსავ წყალშუა, არს ციხე ბეყჩოსი. ამ ციხეს ზეით არს ქნოლო, სამ ხეობად, აღმოსავლეთიდამ, ჩრდილოდამ და დასავლეთ-ჩრდილოდ შუადამ.ხოლო ტბა ქნოლოსი არს მცირე, რომელსა სდის ლიახვი, ამ ტბიდამ ვანათაგან არს ლიახვის ხეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის ხევნი, და სივიწროვით ესე უფროს მწირი, არამედ აწერის — ხევს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად“.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტის აღწერით, დიდ ლიახვზე 50 ქართული და 10 ოსური სოფელი ყოფილა, ხოლო პატარა ლიახვზე — 30-დან ერთი ოსური.[165]

შესაბამისი არქეოლოგიური და წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ხეობა უძველესი დროიდანვე ყოფილა დასახლებული. მისი ხელშემწყობი ბუნებრივი ეკონომიკური პირობები — განსაკუთრებით ქვედა წელზე — ძველთაგანვე შესაძლებლობას იძლეოდა ადამიანის აქტი-

[165] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 202.

ური ცხოვრებისათვის. ამის დამადასტურებელს წარმოადგენს აქ აღმოჩენილი ქვის, კაჟის, ბრინჯაოს საოჯახო-სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, საკულტო საგნები და სხვ. ამ მხრივ საყურადღებოა თუნდაც სოფ. ტყვიავში 1938-1940 წწ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ენეოლითის ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები (რომელზეც ქვემოთ გვექნება აღნიშნული).

შესაბამისი ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ჩრდილოეთში შევიწროვებული ალან-ოსების ტომთა ლიახვის სათავეებისაკენ ლტოლვა თანდათან მასიურ ხასიათს იღებს, რისთვისაც მათ განსადევნად ქართველ მეფეებს არაერთხელ დასჭირდათ შესაბამისი ღონისძიების გატარება. ამასთან ერთად, როდესაც არაბებმა საქართველოში მკაცრი სარწმუნოებრივი პოლიტიკა დაამყარეს და ქრისტიანებს დევნიდნენ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დასავლეთ საქართველოში ეძებდა თავშესაფარს, შიდა ქართლიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ხეობით გადადიოდა რაჭა-ლეჩხუმში, აქედან ჩრდილოეთის ხალხებში, სადაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ, როგორც მეურნეობრივ, ისე სულიერი ცხოვრების სფეროში.

ცნობილია, რომ ჩრდილოეთის მაღალმთიანი ადგილებიდან, საქართველოს ტერიტორიაზე, უმთავრესად ოსური მოსახლეობის თანდათანობით შემოდინებას, გარკვეულ წილად, ხელს უწყობდა სარწმუნოებრივი თანხვედრაც, რომელიც ერთ დროს ქართველი მისიონერების მეშვეობით მიმდინარეობდა საერთოდ ჩრდ. კავკასიის ხალხებში.

მართალია მთიელ ოს ხალხს არ გააჩნდა მიწათმოქმედების შესაბამისი, ტრადიციული ცოდნა-გამოცდილება, მაგრამ სამაგიეროდ ისინი კარგად ფლობდნენ ფაქტობრივად მიუვალი ადგილების სამეურნეო თვალსაზრისით გამოყენების პროცესებს, რაც გამოიხატება: ხე-ტყის დამუშავების, მესაქონლეობის განვითარების, სათიბ-საძოვრების მოპოვებისა და გარკვეულწილად მცირეოდენი მარცვლეული კულტურების წარმოებაშიც. აქედან გამომდინარე, მათი არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს ბუნებრივი რესურსების განივრული გამოყენება წარმოადგენდა. ამასთან, ისინი კარგად იყენებდნენ და რეალიზაციას უკეთებდნენ თავიანთ

ფიზიკურ შესაძლებლობას იმ გაგებით, რომ სეზონურად ჯგუფ-ჯგუფად ჩამოდიოდნენ ქართლის სოფლებში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მიწათმოქმედების, უმთავრესად კი ხორბლეულის აღება-გადამუშავების სამუშაოებში. ამ და სხვა გარემოებათა მეშვეობით გარკვეულწილად მიმდინარეობდა შემოდინებული ხალხის ორმხრივი ასიმილაციის პროცესი.

მართალია, სარწმუნოება, თავისთავად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაში, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ საქართველოს ამ მხარეში საზღვრები უყურადღებოდ იყო მიტოვებული. კერძოდ, ლიახვის ხეობის დაცვა-მეთვალყურეობა ამ დროს (XIV ს.) მეფისაგან დაკისრებული ჰქონდა დიდგვაროვან მაჩაბელს. ეს გვარი პირველად გიორგი VII დროს (1395-1407 წწ.) მოიხსენიება თემურ ლენგთან ბრძოლებში, რომელსაც ხეობის გამაგრებასთან ერთად მინდობილი ჰქონდა ჩრდილოეთით მოსაზღვრე ტომებთან, პირველყოვლისა ოსებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება. ამიტომ, ამიერიდან მაჩაბელი, როგორც ლიახვის ხეობის გამგებელი, სახლდება აქვე, ხეობის მნიშვნელოვან ცენტრში — აჩაბეთში, საიდანაც გზა დვალეთში გადადიოდა.[166]

რამდენადაც ლიახვ-მტკვრის შესართავთან, აღნიშნულ ხეობებს გორის დიდი ციხე დარაჯობდა და მტკვრის ხეობიდან მომდგარ მტრისგან იცავდა, ამდენად ქართველი მეფეები ხეობის დაცვას საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ. ამიტომ, სოფ. აჩაბეთში, მაჩაბლებს თავიანთი რეზიდენციაც გააჩნდათ. ხოლო შემდეგ, როდესაც ერეკლე II, 1777 წ. ქსნის საერისთაო ურჩობისათვის გააუქმა, ლიახვის ხეობა ბატონიშვილ იულონს მიუბოძა, ხოლო ცხინვალი თავის დედას — დარეჯან დედოფალს, რასაც ჩქარა მოჰყვა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება და ჩრდილოეთით საზღვრის მოშლა და ლიახვ-ფრონეებისა და ქსნის ხეობები ოსთა აქტიური ჩამოსახლების პროცესი.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, პატარა ლიახვით ირწყვის სოფლები: შერთული, ძევერა, ტყვიავი, კარბი, დიცი, ერედვი, ქვაბთა, სარაბუკი, ვანათი, სათიხარი, დისევი, კულბითი და ოსთა სოფელი. ამას-

---

[166] ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 13, 16.

თან, პატარა ლიახვის აუზში იგი მოიხსენებს სოფლებს: საცხენისი, ედემქალაქი, ბელოთი, აწერის-ხევი, ხოლო ოსისაში: ზონკარი, შუაცხვირი, სიათი, გნასური, ინაური, ჩაბარუხეთი, წიფორი, შამბიანი და ჭნოლო. რაც შეეხება სავახტანგოში შემავალ სოფლებს ესენია: შინდისი, ტირძნისი, ვანათი, ოსის სოფელი, მარალეთი, შურიული, ინაური, ყლარცვი, მეფრეთი, გერი.[167]

როგორც ზემოთაც ითქვა, პატარა ლიახვის აუზი ფაქტობრივად სავახტანგოში და საერისთაოში შედიოდა, ხოლო დიდი ლიახვის ხეობის ძირითადი ნაწილი სამაჩაბლოში. ისე, რომ ქართლის ეს გეოგრაფიული რეგიონები ბუნებრივია გორის მაზრას ეკუთვნოდა, სადაც XIX-XX სს. მიჯნაზე აქ მოსახლეთა რაოდენობა ერთ ვერსზე 37,1 სულს შეადგენდა და ამდენად იგი თბილისის მაზრის (თბილისის ჩათვლით) შემდეგ მოსახლეობის სიმჭიდროვით 40 სულით მეორე ადგილზე იმყოფებოდა.[168] აქედან გამომდინარე, ბუნებრივია საკვლევი ობიექტიც სავაჭრო-სამიმოსვლო გზაჯვარედინისა და სხვ. გარემოებათა გამო, განსაკუთრებით მისი ქვედა ნაწილი, საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული იყო და ამდენად მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით დიდად განებივრებული არ უნდა ყოფილიყო. და თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ იგი გამოირჩეოდა ფრიად ნაყოფიერი ველ-მინდვრებით, ვენახ-ბაღ-ბოსტნებით, სადაც მაღალ მეურნეობრივ დონეზე იყო მოწყობილი სარწყავ-საირიგაციო სისტემა, ბუნებრივია ამგვარ ადგილებზე მეზობელი ხალხის ჩამოდინების ტენდენცია მუდმივად არსებობდა.

პატარა ლიახვის აუზის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას, ბუნებრივია რეგიონის შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო დარგების წარმოება იყო, სადაც შერწყმული სახით სათანადო ადგილი ეკავა აგრეთვე უმთავრესად შიდა მოთხოვნილების საოჯახო-სამეურნეო მოწყობილობისა და იარაღ-ინვენტარის წარმოებას.

---

[167] ეახუშტი ბატონიშვილი, გე. 201, 202.

[168] გ. ნ. გეხტმანი, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, თბ., 1923, გვ. 63.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან, ბუნებრივი პირობების შესაბამისად, განვითარებული იყო განსაკუთრებით ენდემური ხორბლის ჯიშების, მარცვლეულის წარმოება. მარცვლეული კულტურებიდან XIX ს. მნიშვნელოვნად იკიდებს ფეხს შედარებით ახალი კულტურა — სიმინდი, რომლის წარმოების ერთ-ერთ ხელსაყრელ ზონად ლიახვის ხეობა იქცა. ამის შესახებ ს. მგალობლიშვილი წერდა: „შიდა ქართლი პურის ბეღელს წარმოადგენს. აქ 5-6 წლის წინათ დაიწყეს სიმინდის მოყვანა და პ. ლიახვის, ფრონისა და დოღლიაურის მინდვრები მთლიანად სიმინდს დაუკავებია. ამის მიზეზი კარგი ფასია. აქაურ სიმინდს უფრო დიდი ფასი აძევს იმერულზე, რადგანაც მძიმეა, მაგარია, გზას იტანს და არ ყანდება. მას იქ სთესენ, სადაც უხვადაა წყალი და ამ მხრივ პ. ლიახვის წყალი საუცხოოა. მაშინ, როდესაც დიდ ლიახვზე ასეთი სიმინდი არ მოდის. მიწამ თანდათან იწყო გაულონოვება და თუ აქამდე ხალხი მარტო სოფლის ახლომდებარე მამულებს აპატივებდა ანუ „ნაფუძარს“, ახლა მინდვრებშიც გააქვთ პატივი. აქ კარგად გვარობს და მოჰყავთ აგრეთვე მუხუდო“.

მისივე სიტყვით — „ხალხს რაც ხელს აძლევს იმას თესავს. ასე მაგალითად, ზემო ქართლელი მემამულე ბევრ ქერს, მერე პურს, მუხუდოს, სიმინდს; დ. ლიახველი პურს, კომბოსტოს, ქერს, იშვიათად სიმინდს; პ. ლიახველი: სიმინდს, პურს, ნიორს, კომბოსტოს, და სხვ. ბოსტნეულს; მდ. მეჯუთის გლეხობა პურს, სიმინდს, ხილს და ა.შ. ბაღ-ვენახების გაშენებას მიზდევენ უფრო ლიახვებზე, მეჯვრისხევში, ატენ-ხიდისთავში, იქ, სადაც სახნავ-სათესი ცოტა აქვთ, ზოგ ადგილებში იმდენად შემცირდა სახნავი ბაღ-ვენახის ხარჯზე, რომ საქონლისათვის ბზე სხვა სოფლებიდან მოაქვთ. ბაღ-ვენახების მოშენებას უფრო წვრილი მეურნე მიზდევს. შარშან პატარა ლიახვის ხეობის მემამულეებს შეუკვეთეს ნიორი და დიდი მოსავალიც მიიღეს. მას ფოჩიანად ახმობენ და ისე ჰყიდიან, რომელიც ოდესისაკენ მიაქვთ. ადგილზე ფუთში ორ აბაზს, ცხრა შაურს აძლევენ“ (იტყობინება 1887 წ. ივლისის „ივერია“.). ამავე რეგიონში ფართოდ მიზდევდნენ აგრეთვე მესაქონლეობას, განსაკუთრებით მომთაბარეობის სახით.

ხელოსნობის დარგებიდან: ხით-ხურობა, კალატოზობა, ყავრის გამოხდა, ურემ-მარხილის კეთება, მჭედლობა, ტყავის გამოყვანა და სხვ. სადაც შესაბამისად შეინიშნებოდა სპეციალიზაციის გამოვლენის ტრადიციები. მაგალითად, ხეობის ზედა წელის მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის დამახასიათებელს წარმოადგენდა ხით-ხურობა, სადაც ხელოსანთა ერთი ნაწილი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობასთან ერთად დასაქმებული იყო წვრილი, საოჯახო, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მოწყობილობის დამზადებაში, რომლის გასაღების არიალი ხეობით შემოიფარგლებოდა, ხოლო გარკვეული ნაწილი ცხინვალის, დუშეთის და გორის ბაზარზე გადიოდა. ხელოსნები შიდა საოჯახო საგნებისა და სამეურნეო იარაღ-ინვენტარის დამზადებას ძირითადად ზამთრის პერიოდში მიმართავდნენ. ასეთთა შორის იყო ურემ-მარხილის, ნიჩაბ-არნადის, ფიწალ-ფოცხის, სარცხის, უღელ-ტაბიკის, კევრის, ღვედ-აპეურის, ვარცლ-სადღეებლების, ჯამ-კოვზების, კიდობან-ამბრის, ყავრისა და სხვ. წარმოება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღეობებზე და ცენტრალურ სოფლებში გამართულ ე.წ. „იარმუკებზე“ იყიდებოდა ან ნატურაზე, უმთავრესად ღვინო-არაყზე, ხორბალ-სიმინდზე, ლობიო-ნიორზე, ხახვზე, საქალამნე ტყავზე და სხვ. იცვლებოდა. ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით მასიური ხასიათი ჰქონდა შეშისა და ყავრის დამზადება-წარმოებას, რომელსაც მოგვიანებით უმთავრესად ხეობის მთის ოსი მოსახლეობა მიზდევდა და ბარში ასაღებდა.

პატარა ლიახვის მოსახლეობა ისტორიულად ქართველია, სადაც განსაკუთრებით მის ზედა წელზე XIX-XX სს. მიჯნაზე გააქტიურდა ოსური ოჯახების მომრავლება, რომლის შესახებაც გარკვეულ წილად ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს. იგი, ოსთა შედარებით კომპაქტურ დასახლებაზე მიუთითებს მხოლოდ ხეობის ვიწრო, მაღალმთიან ადგილებში და გარდამავალ ზოლში მხოლოდ ერთ „ოსთა სოფელს“ ახსენებს. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ თვით ქ. გორში მიმდინარე საუკუნის ოციან წლებშიც კი ადმინისტრაციული მონაცემების აღწერაში საერთოდ არ ჩანს ოსური მოსახლეობა. აღნიშნული პერიოდისათვის აქ

ცხოვრობდნენ: ქართველები 9.569, სომხები 5.959, რუსები – 1.377 და ებრაელები – 104 სული.[169]

რაც შეეხება ოსური მოსახლეობის მომძლავრებას, განსაკუთრებით XIX-XX სს-ში ლიახვის ხეობის აუზებში, ცნობილია, რომ ხელი შეუწყო, როგორც მეფის მთავრობის პოლიტიკამ და ბატონყმობის გაუქმებამ, ისე თავადაზნაურთა ერთი ნაწილის დაუდევრობა-წაყრუებამ, ხიზნობის დაკანონებამ და საბჭოურმა გამიზნულმა მოქმედებამ. ისე, რომ თუ პირველ ხანებში, ოს ხიზანთა მომძლავრება აქტიურად მიმდინარეობდა ხეობის მაღალმთიან ადგილებში, ცარიზმისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის შედეგად, ოსურმა მოსახლეობამ განსაკუთრებით ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართლ-კახეთის ნაყოფიერ მიწებზე. ამ მიზნის მისაღწევად, ისინი ყოველგვარ ხერხებსა და მეთოდებს მიმართავდნენ: ჩამოდიოდნენ ბარად, დგებოდნენ მოჯამაგირეებად, ხიზნებად, დროებით ვალდებულად, სეზონურ მუშად, მწყემსად და სხვ. ამასთან, აქტიურობდნენ ნათესაური ურთიერთობის დასამყარებლად, ქართულ სასწავლებლებში აწყობდნენ შვილებს, ხდებოდნენ ეკლესია-მონასტრების მსახურებად და ა.შ. აგრეთვე დიდ „აქტიურობას“ იჩენდნენ ქურდ-ბაცაცობაში, ქართული მოსახლეობის სხვადასხვა გზებით შევიწროვებაში და ა.შ. აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულს ისინი მართლაც შესაშური გულმოდგინებით და გამიზნული ჟინით ახერხებდნენ. აღნიშნული პროცესი იმდენად „გეგმაზომიერად“ მიმდინარეობდა, რომ შედარებით ადრე ჩამოსულ მთის მოსახლეობას ახლად შემოსული ოსური ოჯახები ენაცვლებოდა, ხოლო პირველნი უფრო ბარად იკიდებდა ფეხს.

სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ ოსთა შემოჭრის აქტიური პროცესი და საერთოდ ამ რეგიონის, როგორც ოსეთის ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის მცდელობა იწყება 1802 წლიდან, როდესაც საქართველოში სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელმა გენერალ ლეიტენანტმა კარლო კნორინგმა, რუსეთის იმპერატორისთვის გაგზავნილ პატაკში დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ოსებით დასახლებულ მთიან

---

[169] ვახ. ითონი'შვილი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ. 30.

რაიონებს ხელაღებით უწოდა „Осетия“, ხოლო ქართველთა საცხოვრისს მთისწინა და ბარის ზოლში „Грузия“, რითაც შუაგულ საქართველოს უბოდიშოდ დაანათლა მეზობელი ქვეყნის სახელი.[170] შემდგომში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე ამ მხარის პოლიტიკური სტატუსი საბოლოოდ იქნა დაკანონებული. შექმნილ ვითარებაში — აღნიშნავს პროფ. ლ. თოიძე — ქართველ ბოლშევიკებს საქმით უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათთვის უცხო არაა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გამონახავდნენ საერთო ენას ქართველ ხალხთან, განსაკუთრებით მის ინტელიგენციასთან. აქვეა მოყვანილი გრიგოლ ლორთქიფანიძის შეფასებაც: „ფორმალურად გამოცხადებული დამოუკიდებელი საბჭოთა საქართველო ძლიერ დასერა და დასჭრა რუსეთმა პოლიტიკურად და ტერიტორიალურადაც. ამ მიზნით, მან გამოაცხადა აფხაზეთის ჯერ დამოუკიდებელი, შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა, ასეთივე რესპუბლიკა აჭარაში და ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთისა აფხაზეთის რესპუბლიკა რუსეთს სჭირია, როგორც საქართველოში შემოსავალი ჭიშკარი და საკოლონიზაციო პოლიტიკისათვის დასაყრდნობი პლაცდარმი. ასეთივე პოლიტიკურსა და სტრატეგიულ როლს აკისრებს მოსკოვის იმპერიალიზმი, ე.წ. სამხრეთ ოსეთს. თუმცა ნამდვილი ოსეთი ქედს გადაღმაა, კასრის ხეობის იქეთ, მაგრამ იქ რუსეთმა სრულიადაც არ დაინახა საჭიროთ შეექმნა წმინდა ოსური სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ჩრდილო ოსეთისა ან სხვა რამ ამგვარი სახელწოდებისა. იქ ოსები, ინგუშები და სხვები ერთ ავტონომიურ მთის რესპუბლიკაში დასტოვა, ხოლო საქართველოში, სადაც ოსობა წარმოადგენს ხიზნებსა, კოლონისტებს, მათთვის ოთხი მაზრიდან (გორის, დუშეთის, შორაპნისა და რაჭის) ხელოვნურად გამოსჭრა ოსური ავტონომია მრავალ წმინდა ქართული სოფლების შიგ ჩართვით. ეს ზომაც მიმართული იყო, რასაკვირველია, იქითკენ, რომ ოსურ- ქართული შური გაეღვივებია და საქართველოში შემოსასვლელი ჭიშკრები მოსკოვის ხელში ყოფილიყო სავსებით

---

[170] ლ. თოიძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა, „მაცნე“ ისტორიის სერია, 1990, №4.

და ამ მიზნისათვის, ასე წარმოიდგინეთ იმდენად აწამეს და აჭახრაკეს ავტონომიური ოსეთის საზღვარი, რომ მის ფარგლებში მამისონის გადასასვლელიც კი მოაქციეს რაჭის მხრიდან".[171]

როგორც წესი, ნაძალადევად ჩამოსახლებული ოსური მოსახლეობა უდიერად ექეცოდა გარემო პირობებს და ოჯახის გადარჩენა, მომძლავრებისათვის პირველ რიგში დაუნდობლად კაფავდა ტყის მასივებს, რომელიც შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცა. ამ მხრივ ისინი ერთის მხრივ საზრდო-სანოვაგეს იმარაგებდნენ, ხოლო მეორეს მხრივ იფართოვებდნენ სახნავ-სათეს-სათიბ ადგილებს. შესაბამისი წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მასალები დიდი გულისტკივილით გვამცნობენ საკვლევ რეგიონში ჩამოსული ოსური მოსახლეობის ზემოაღნიშნულ ბარბაროსულ დამოკიდებულებას. კერძოდ ტყის მასივების განადგურების იმ ფაქტებზე, როდესაც ვეებერთელა ხეებს მიჯრით, მიწიდან ერთი ადლის სიმაღლეზე ქერქს შემოაცლიდნენ და ორიოდე წლის შემდეგ ცეცხლით „ასუფთავებდნენ". ტყავშემოცლილი ტყის მასივები — იტყობინებოდა „ივერია" — ისე გულსაკლავად გამოიყურებოდა, რომ მნახველს შორიდან ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს მას ფერადფერადი სარტყელი შემოჰკროდესო. მართალია, ოსთა მიერ ზემოაღნიშნულ და სხვა მზაკვრულ მოქმედებებს სწორად აღიქვამდა ადგილობრივი მოსახლეობა და მისი მოწინავე საზოგადოებრიობა, რომელიც შესაბამისი წერილობითი თუ სიტყვიერი გამოსვლებით ამ ფაქტებს სათანადოდ რეაგირებდნენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში უშედეგოდ, რამდენადაც მართვა-გამგებლობის არსებული სტრუქტურა, მთლიანად ანტიეროვნულ ინტერესებზე იყო აღმოცენებული. ამდენად, შესაბამისი პრინციპიდან გამომდინარე, რეგიონის განსაკუთრებით ზედა წელში, „კანონმდებელთა" და შემსრულებელთა როლში ოსი და რუსი ჩინოვნიკები გამოდიოდნენ.

ზემო ქართლის — მაღალმთიან ადგილებში განსაკუთრებით მატულობს თვითნებობის სოციალური პრობლემების, მიმართულებითაც, რომელიც კიდევ უფრო გამოიკვეთა XIX ს. II ნახევრიდან. განუკითხაობის

---

171 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგ სსცია), ფ. 48, საქ, 624, ფურ. 1.

ნათელ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც 1835 წ. ბ-ნ ზ. სანაკოშვილისა და რ. ყოჩიშვილის საჩივარი ბეცია ფალავანდოვისადმი, რომელმაც დააკლო ფული, გორის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი გერითი და პავლენოვი მიმართავენ ჯავის ხეობის პრისტავს ამ საქმის გადასაჭრელად; 1841 წ. იმავე პირთა საჩივარი, რომელთაც იასაულებად იმსახურეს ოსეთის მხარეში ყოფილ პრისტავ თავად ფავლენოვთან და დააკლო ჯამაგირი; 1845 წ. სურამის ნაწილის, სოფ. ბალთან მცხოვრები ჩერქეზა ქუმარიტაშვილის საჩივარი, რომელიც მოჯამაგირედ დაუყენებია, პატარა ლიახვის პომოშნიკმა ქაიხოსრო ორბელიანოვმა ქ. ცხინვალში მცხ. ქიტესა ელბაქიძის თანადასწრებით და ფულს არ იძლევა; 1851 წ. გორის მაზრის მებატონეთა თავად დიმიეტრი, ივანე, პეტრე, თავად მაყაევისადმი, რომლებიც მოითხოვდნენ ოსების გასახლებას მთიანი და ტყიანი ადგილების დაკავების შესახებ, რომ „წელსა აპრილს თვეში ჩვენდა უცნობლად გადმოსულან რამდენიმე კომლნი ოსნი, რომელი არ ვიცით თუ რომლის მცხოვრებნი არიან, და რომელთაც თავისი მნიშვნელობით უწყვით ჩვენს საერთო ნასახლარის თრეხვში ხვნა-თესვა და საქონლის მოვლით... უმორჩილესად გთხოვთ უბრძანოთ სადაც ჯერ იყოს, რათა ახლად გადმოსულნი ზემო მოხსენიებულის ნასოფლარის არცხვაში ოსები იყვნენ გაძევებულნი და გადასახლებულ პირველსავე ადგილს მდგომარეობასა მათსას რომელ იგინი არ დაიშლიან ბოროტმოქმედებას და ქურდობას“; 1849 წ. 29 მარტიდან, სადაც სოფ. ტყვიავში ცხოვრობდნენ, როგორც ძველი კომერსანტები: იოკიმე, პანტელეიმონ და გიორგი ხოროვიზები საკუთარ ნაყიდ მიწაზე „კუპჩის კრეპოსტით“, რომელსაც ედავებოდნენ და სამართალს ვერ პოულობდნენ; 1873 წ. გორის მაზრის მოსახლეობის კამერალურ აღწერაში აღნიშნულია, რომ ოსების 91 სოფელი, რომელნიც ყოფილ ოსეთის მხარეში შდიოდნენ არ იხდიდნენ გადასახადს სიღარიბის გამო და 1844 წ. ისინი გაანთავისუფლეს. აქვეა აღნიშნული, რომ თბილისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ ლეიტენანტმა თავადმა ანდრონიკოვმა მათ დაუწესა 1,50 კაპიკიდან 3 მანეთამდე გადასახადი, მაგრამ არ იხდიდნენ და დაუწესდათ სახელმწიფო მიწაზე 3,50 კაპ., საკუთარზე — 3, ხაზეინთან შეთანხმებით 2 მან და დროებით

ვალდებულებს 1,50 კაპ. გადასახადი. ამავე დოკუმენტში ჩამოთვლილია ლიახვის ხეობის სოფლები: ბერიჯვარი, ბიეთი, ბრილი, გნასური ზენკარი, ინაური, კვირიკა, ქუფთა, ოტრევი, ქნოლო ანუ ფარაზაანთკარი, რეხი, საბუე, თხინვალი, ხელჩუა, ჩაბარუხი, შამბიეთი, შუა-ცხვარი, გერი, ზგუბირი (ზღუდერი), ზემო და ქვემო ვანური, მანარეთი და სხვ; 1828 წ. ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ ოსი ყაჩაღები (მალომენსკოეს ხეობიდან) სოფ. ჯაურაში თავს დაესხნენ დიგასაშვილებს ორ ძმასთან ერთად და აწრისხევში მცხ. გაბრიელ მიდელაშვილთა ოჯახს და გაძარცვეს (42 სული ცხვარი წაასხეს). ამასთან, 1834 წ. ერთი საბუთის მიხედვით, შეინიშნება სოციალური პირობების გაუმჯობესების მაგალითებიც: თავადი ნიკოლოზ ოსიპეს ძე ფალავანდოვი თხოვნით მიმართავს სოფ. ვარიანში და სარაბუკში, დმენისში, ქსუისში, არბორში, ქორდში, თერგვისში, ერედვში, დიცში, ტირძნისში, ბროწლეთში, მელვრეკისში, ერგნეთში, საბაწმინდასა და ხეითის მოსახლეობისთვის უფლება დაერთოთ თავიანთი შრომით და ხარჯებით გაიყვანონ არხი-კანაო მდ. ლიახვიდან, როგორც სარწყავი ისე სასმელად. ამის ზედამხედველები იქნებიან კეთილმოსურნე აზნაურები; სიმონ ცოტნიაშვილი, გრიგოლ ბროძელი და დიმიტრი შაბუროვი; 1854 წ. მონაცემებით, სოფ. ვანათში არცერთი ოსი მოსახლეა, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ: ბასიშვილები, ზაქარაშვილები, გალეგაშვილები, პაპუაშვილები, თედელურები, წიწილაშვილები, მახნიაშვილები, ოქრუაშვილები, გოჩიაშვილები, კაციაშვილები, ჯოჯიშვილები, ჩოჩიშვილები და სხვა, ამავე საბუთში აღნიშნულია სოფ. თლაყანას მცხოვრები ოთხი კომლის თაბუაშვილებისა და ჩიბურაშვილების საჩივარი გორის უბნის ზედამხედველ საყვარელიძისადმი, რომ „ვანათელებმა მოგვტაცეს 25 ძირი თივა და უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ რადგანაც ჩვენ ვცხოვრობთ თავად დავით მაჩაბლის მიწაზე მოურიგდნენ მას, რადგანაც დ. მაჩაბელი იქვე — თამარაშენელია“.[172]

ოსთაგან გაუთავებელი კომპლიქტი და ხშირად სისხლის ღერაც, უმთავრესად გამოწვეული იყო მათი დაუსჯელობით, რითაც ესოდენ შეწუხებული ადგილობრივი, ქართული მოსახლეობა იძულებული იყო

---

[172] სსცია, ფ. 48, №1, საქ. 3-72.

რათა ხშირად თვითონ დაეცვა თავი და ფიზიკურადაც გასწორებოდნენ. სოფ. თამარაშენიდან 1846 წლის სექტემბერში რევაზ და დავით მაჩაბლების მიერ შედგენილ საჩივარში ვკითხულობთ: „სოფ. ვანათის სახელმწიფო გლეხნი მიხდომიან თავიაანთ მესაზღვრე სოფლის ხალხთა ოსთა მხარის პატარა ლიახვის სოფლის თლაყანის მცხოვრებთა ყმათა ჩვენთა შიგ სოფელში და უცემიათ-გაულახავთ იქაურნი მათშორის სოლომონ ჩიბირაშვილი და სხვები, რომელთაგან გალახულები იყვნენ ავად და ძალით წაურთმევიათ 40 ძირი თივა და თან დამუქრებიან ძალით მათ ყანასაც მოვმკითო ან მომკილს წაიღებენო. ვანათის სოფლის მცხოვრებნი დიდად შეწუხებულნი არიან ავაზაკებისაგან, რაც მრავალგზის ხდება. ისინი იმუქრებიან, რომ სოფელი მთლიანად აჰყარონ და წაართვან ყოველივე საცხოვრებელიც“.[173]

ოსთა თავაწყვეტილობის შესახებ გვამცნობს აგრეთვე 1886 წ. გაზ. „ივერია“: „სოფ. რეხაში მცხოვრებ რამდენიმე გლეხკაცს წამოუღიათ ურმები ლიახვის რიყიდან ქვის საზიდლად და წამოზდგომია ერთი ოსი ლოთი გვარად მარღიშვილი და დაუწყვია ლანძღვა, როგორ გაბედეთ ჩემი ბატონის კოტე ამილახვრის ნებადაურთველად ქვის წაღებაო და დაუწყვია საყვედების ხანჯლით დაჭრა. ერთი გელხი გადამდგარა წინ და დაუწყვია ტირილი, შეხვეწნია ნუ ჩამიჭრიო, მაგრამ ამ ოსს ხანჯლით გამოუწელია და იქვე გარდაცვლილა. ოსი კი გაქცეულა. ამავე წლის მონაცემებით ქ. გორში კრივის დაშლის შემდეგ, როცა ბოქაულ გვარამაძის დესიატნიკი ხალხს ყრიდა, გარსევანიშვილი შეეკინკლავა და ოსმა ალექსიმ იგი ხანჯლით გამოფატრა, თუმცა ბოქაულმა იგი გაამართლა. მაშინ, როდესაც ეს ოსი ალექსი სულ ახლახან დაჭერილი იყო, მაგრამ გამოუშვეს და ეხლაც ასეთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა“-ო.[174]

ისე, რომ აღნიშნული პერიოდისა და მის შემდგომ წერილობით წყაროებში, უამრავ კორესპონდენციაში ასახულია „ოსობის“ პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულე-

---

[173] სსცია, ფ. 72, საქ. 25.
[174] სსცია, ფ. 72, 4, საქ. 25.

ბრივი ქმედებები, რომელიც ხელს უწყობდა ძირძველი მეკომურის აყრას და გასახლებას.

XIX საუკუნეში მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა და გარე ძალების ძალადობა, განსაკუთრებულ ფაზაში შედის, რომელიც საბოლოოდ მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებში გადაიზარდა. ამ მოძრაობას თან ახლდა, როგორც ნაწილობრივ ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი, ძალადობრივი პროცესები. ამ მხრივ ბუნებრივია სახელმწიფო ცდილობდა სხვადასხვა მეთოდებით მათშორის საკანონდებლო-საუწყებათშორისო დონეზე ადგილობრივი ძალებით მოეხდინა აღნიშნული პრობლემების დარეგულირება. ასეთ ვითარებაში, მოსახლეობაში მშვიდობიანი ურთიერთ თანადგომის დაცვის მიზნით, ერთ-ერთ საყურადღებო ღონისძიებად ფიცის აღთქმის ინსტიტუტის ჩამოყალიბება იქცა, რომლის მიხედვითაც ცალკეულ სოფლებში აირჩა იმ პირების გარკვეული რაოდენობა, რომელთა მოვალეობა-ვალდებულებას წარმოადგენდა დაძაბული სამეზობლო-საოჯახო ურთიერთობის მოგვარება.

ამ მიზნით, 1846 წ. აგვისტოს ლიახვის ხეობაში ფიცის აღთქმის მონაწილეთა შორის სოფ. სარაბუკში გაწევრიანდა: ფ. ალბორიშვილი, ქ. ალბორიშვილი, ხავთეგა ქოქოშვილი, ტარიელ გუჩმაზაშვილი; სოფ. დმენისში: როსტომ ალბორიშვილი, ტეტო ჩოჩიშვილი, ზაქარია ჩოჩიშვილი, ყარამან ჩოჩიშვილი, ბასილა ავალიშვილი; სოფ. საცხენეთში: ქიტესა და გაბრიელა ბიძინაშვილი, კიკოლა ჯანაშვილი, სიმონა კობალაძე, ტიტე ხადური, გიორგი ელიზბარაშვილი და სოლომონ ხადური; ერედვში: მოსე ივანიშვილი, ტეტია ღამბაშიძე, სოლომონ ტურაშვილი, ნინია ბოცვაძე, ნინია ცოტნიაშვილი, გიგა ცოტნიაშვილი, სოსია ცოტნიაშვილი, გიგო ტარიელაშვილი; ორტევში: ზაზა ჩოჩიშვილი, ფრიდონ შავერდაშვილი; ძარწემში: ბეჟანა ჭოელიძე, ოთარა ჭოელიძე, ბეჟანა მეტრეველი; ქემერტში: კიკოლა მეტრეველი, ბერო ოთინაშვილი, ხევთისია ოთანაშვილი, სოსია მინდიაშვილი, ბერო მინდიაშვილი, სვომონა მეტრეველი, ღვთისია კასრაძე, ეფრემა კასრაძე; სოფ. სარაბუკში: (საბატონო გლეხი) ფრი ალბორიშვილი, კოკა ალბორიშვილი (საბატონო გლეხი), ღვთისო ქოქოშვილი (სახელმწიფო გლეხი), ჩერსელა გუჩმაზაშვილი (სახ. გლეხი),

დმენესში: ს. ალბორიშვილი (სახ. გლეხი), ტეტო ჩოჩიშვილი (სახ. გლეხი), ყ. ჩოჩიშვილი (სახ. გელხი), ბასილა ვალიშვილი (საბატონო გლეხი); საცხენისში: ქიტესა ხადური (საბატონო გლეხი), სვიმონ კობალაძე (საბოტონო გლეხი), (ეს სოფელი მთლიანად საბატონოა); სოფ. ერედვში ძირითადად საბატონო გლეხები, გარდა ჩოჩიშვილებისა, რომლებიც სახელმწიფო გლეხები იყვნენ. ამის დასტურს ხელს აწერს აზნაური სოლომონ ბათიევი (ბათიაშვილი). (სსცია, ფ. 72, №4, საქ. 25).

სოფლად კაპიტალიზმის განვითარების შესაბამისად სულ უფრო და უფრო ფართოვდება პატარა, მცირე მოცულობის სავაჭრო ფარდულებისა და სახელოსნოების გახსნა, რომელთაც თანდათან განდევნეს ფეხითმოსიარულე ე.წ. „საწვრიმალო“ დახლებით ვაჭრობა, რითაც უმთავრესად ებრაელი და სომეხი ვაჭრები იყვნენ დასაქმებული. მთის მდინარეთა ვიწრო ხეობების შესაბამისად, გვიანდლამდე, ზემოწელის მოსახლეობა ძველებურად-მამაპაპურად ცხოვრობდა, სადაც მტკიცედ იყო დაცული ზნე-ჩვეულება, ადათ-წესები, შრომის ფორმები და საწარმოო ძალთა განლაგება. ხოლო ქვედა წელის მცხოვრებნი უფრო ადვილად გამოდიოდნენ კარჩაკეტილობიდან და ცხოვრების ახლებურ წესს ეზიარებოდნენ. აღნიშნული ვითარება, როგორც გაზ. „ივერია“ იტყობინებოდა, არამარტო ამ ხეობისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ მთლიანად საქართველოსათვის, რაც სპეციფიურ სახეს იძენდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციაში. ამასთან, უნდა ითქვას, რომ მოსახლეობაში შიდა ურთიერთმეზობლურ დამოკიდებულებაში ტენდენციურობას იჩენდნენ უმთავრესად უცხო მოხელე-ჩინოვნიკები, რაც ხშირად სარწმუნოებრივ პოლიტიკაშიც მჟღავნდებოდა.

1861 წ. მონაცემების მიხედვით, ქ. ცხინვალში სამი წლის წინ ნაცვლად აურჩევიათ სახაზინო ყმა, ვინმე იაკობ გრიგოლის ძე იარალოვი, რომლის მიმართაც საზოგადოების 27-ზე მეტ წევრს აღუძრავთ საჩივარი გორის მაზრის უფროსის, თავად მაიორ ერისთავის წინაშე, სადაც მომჩივანნი იტყობინებოდნენ, რომ „ამ სამი წლის მანძილზე არიან ჩვენ შორის მართლმსაჯულება და კეთილი განწყობა, არამედ მან უწყების მოქმედება დააწესა ის, რაც ქრისტიანობის რჯულს არ შეესაბამე-

ბოდა. დაიწყო ქვრივ-ობოლთა შევიწროვება. მას ქედმაღლობა და შეურაცხმყოფელი გამოხდომები ახასიათებს. ატყუებს მთავრობას ვითომ ვინმე ჩვენი საზოგადოებიდან მიუხტა და ცეცხლი გააჩინა და მან დაწვისაგან გადაარჩინა და ჯილდოს ითხოვს. მისი უწესო ქცევის გამო წევრებს შორის ურთიერთობის დაწყნარებისთვის მან კანონის შესაბამისად უნდა თანამდებობა აღასრულოსო. საჩივარს ხელს აწერს: საჩინო მურადაშვილი, მიქელ ხახანოვი, ივანე, თედო, იასონ მესხიშვილი, ზაქარია, იაკობი, ვანო (ამათი გვარები ვერ იკითხება), მიხეილ შადინოვი, გლახო გრძელიშვილი, იოველ ცერაძე, რაჟდენ, ივანე, ფიდო, გიგო და დიმიტრი ცეცხლაძეები და სხვ. (არცერთი სოემხი და ოსი). ამას მოზდევს მეორე წერილი, თხოვნა „საზოგადოება ქართველთაგან“, რომ იარალოვი სომეხია და ჩვენ გვავიწროვებს ყოველნაირად და მოვითხოვთ ქართველით შეიცვალოს, რაზეც ხელს აწერს 40-ზე მეტი პირი“.[175]

XIX ს. მიწურულისათვის, ქართლის პოლიტიკური მმართველობის სტრუქტურაში, გარკვეული ცვლილება განხორციელდა. ამ დროისათვის გორის მაზრა 5 უბნად, ანუ საბოქაულოდ იყო დაყოფილი, რომელიც მოიცავდა: ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპისა და მთლიანად ცხინვალის მხარეს. გორის მაზრა გუბერნიაში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. როგორც ტერიტორიის, ისე მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივაც

XIX ს. 90-იანი წლებისათვის, გორის მაზრის საბოქაულოს ადმინისტრაციული ცენტრებიდან: ახალქალაქი (კასპის რაიონი), ბორჯომი, ცხინვალი, სურამი და ტყვიავი, საბოქაულო გადააქვთ ახალქალაქიდან ხიდისთავში, ხოლო ტყვიაიდან მეჯვრისხევში. ტყვიავის თემი, რომელსაც გეოგრაფიულად ერთ-ერთი ცენტრალური – სტრატეგიული ადგილი ეკავა, გაუქმდა და მეჯვრისხევის საბოქაულოს დაექვემდებარა. აღნიშნული ცვლილებების დამადასტურებელი არგუმენტები შესაბამის დოკუმენტაციაში არაა ასახული, თუმცა აშკარაა, რომ იგი რუსეთის მმართველობის გამიზნული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა, რამდენადაც ტყვიავის საბოქაულოს გაუქმებით, მასში შემავალი სოფლების ნაწილი

[175] სსცია, ფ. 48, ან. 1, საქ. 29.

ცხინვალს დაექვემდებარა, რითაც ეს უკანასკნელი კიევ უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა. ამგვარად, ხელოვნურად გაზრდილ ქალაქში ბუნებრივია საქმის წარმოება რუსულ ენაზე გადავიდა და ამდენად შეიზღუდა მოსახლეობის ეროვნული ინტერესები.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კიდევ უფრო აქტიურად იწყება ოსთა ჩამოსახლების პროცესი, რის შედეგადაც ქართული ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული ხდებოდა ქართლის ცენტრალურ ადგილებისაკენ დაძრულიყო.

XIX ს. მიწურულისთვის განსაკუთრებით მკვეთრად შეინიშნება მათი ცხინვალში მომძლავრების პროცესი. „ცხინვალში — იტყობინებოდა გაზ. „ივერია“ (1893 წ.) ადგილობრივი მოსახლეობა ოსებს „შემოსულებს“ ეძახიან და მოითხოვენ მათ დაუყოვნებლივ უკან გარეკვას, რამდენადაც სხვა უმსაგვსობასთან ერთად ისინი ურჩობასაც იჩენდნენ გადასახადების გადახდისასო-ო. ამიტომ, გაუთავებელი დავა იყო შემოსულებზე გადასახადისთვის. ისინი კი არ იხდიან და გაიძახიან — რამდენ ადგილას უნად ვიხადოთო“. ამგვარად, ჩანს, რომ ე.წ. დროებით ჩამოსული ერთდროულად ინარჩუნებს ძველ საცხოვრებელ ადგილსაც და აქაც ცდილობს მის მოპოვებას, რამდენადაც აქ უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა ლუკმა-პურის შოვნისა და საერთოდ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება-გაფართოებისათვის, ხოლო შემდგომში სახელმწიფო სამსახურის შევნისაც. ხოლო რაც შეეხებოდა ხეობის მთის რეგიონებს, აქ ძირითადად ადმინისტრაციულ-აღმასრულებელ ორგანოებში დიდი ხანია ოსური მოსახლეობის წარმომადგენლობა ჭარბობდა. „ტყის მცველები — ე.წ. „აბიაშჩიკები“ უმთავრესად ოსები იყვნენ. თუ რაც მოეწონებოდათ და რა ღალა-კულუხიც არ აიღეს სოფლიდან, მაშინვე შეუყენებდნენ და ხალხს აჯარიმებდნენ. ამ ორი კვირის წინათ გლეხს სულამაძეს სოფ. დგვრისში ვენახი და ნამყენი აუჩეხეს. აქვე დააბეზღეს გლეხი ყაზარაშვილი არაყსა ხდისო, მაგრამ ბრალდება არ დაუდასტურდა“-ო.[176]

ხეობის მოსახლეობა, რომელიც ოთხ ძირითად კატეგორიადთანრიგად იყოფოდა: საბატონოდ, სახაზინოდ, საეკლესიოდ და ხიზნებად,

[176] „ივერია“, 1894.

აქედან ქვეყნის მასშტაბით, ამ უკანასკნელის ყველაზე დიდი ოდენობა გორის მაზრაზე მოდიოდა. აღნიშნული ვითარება გარკვეულწილად განპირობებული იყო ქართლის საერთო ეკონომიკური სიძლიერით, მიწათმოქმედების მაღალი კულტურით და შესაბამისი სახნავ-სათესის ფართობების მეტ-ნაკლები უზრუნველყოფით და სხვ. ამასთან, აღნიშნულთან ერთად, მისი გეოპოლიტიკური პირობები ფართოდ იზიდავდა საშოვარზე გამსვლელთა კატეგორიას. მართალია გორის მაზრაში და საერთოდ ქართლში, უმიწო და მცირემიწიანი გლეხობის — ხიზანთა გარკვეულ ნაწილს ქართველებიც შეადგენდნენ, რომელნიც უმთავრესად იმერეთიდან და რაჭიდან მოდიოდა, მაგრამ ისინი მცირე გამონაკლისის გარდა მუდმივ საცხოვრებლად არ რჩებოდნენ. მაშინ, როდესაც ქართლის სინამდვილეში, ძალზე მოზღვავდა ოსთა ჯერ სეზონურ სამუშაოებზე მოსვლა, შემდეგ დროებითვალებულის და ბოლოს ხიზნის უფლებით დარჩენა. ხიზანთა გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ოსური მოსახლეობა, აქაც ისევე როგორც ქალაქად, იმასაც არ ერიდებოდა, რომ ერთდროულად ორი გადასახადი ეხადა — ვისი ყმაც იყო და ვისთანაც მიდიოდა. ჩანს, რომ მათი მისწრაფება იმდენად მიზანსწრაფულ ხასიათს ატარებდა, რომ ისინი საამისოდ სხვადასხვა დაბრკოლებებსაც არ ერიდებოდნენ.

როგორც ცნობილია, ხიზნებს, ისევე, როგორც გლეხობას საერთოდ ოთხ ძირითად ჯგუფად ყოფდნენ: „ლიტრიანები“ — ყველაზე შეძლებულნი, კომლზე საშუალოდ 20 დღიური მიწა, „სამჩარექიანები“ 15 დღიური მიწა, „ჩარექიანები“ — 5 დღიურით და უმიწონი, რომელთაც მხოლოდ მცირეს საკარმიდამო ნაკვეთი გააჩნდათ.[177] იმ შემთხვევაში, თუ ხიზანი მემამულის მიწაზე გააშენებდა ბაღს, მაშინ შესაძლებელი იყო 5-10 წლის შემდეგ მის განკარგულებაში გადასულიყო ბაღის ნახევარი, ან მთელი ბაღი 10-12 წლით სარგებლობისათვის. გარდა ამისა ხიზანი საბეგრო სამუშაოებსაც ასრულებდა მებატონისათვის ხვნა-თესვა, მოსავლის აღება, ბაღ-ვენახის შემოკავება. მასვე ევალებოდა შეშის მოტანა და მშენებლობის დროს დახმარება. ხიზანთა ნაწილი კი მიწათსარგებლობისათ-

[177] ი. უთურაშვილი, გლეხების კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX ს. II ნახ., თბ., 1957, გვ. 54.

ვის ფულად გადასახადსაც იხდიდა, ხოლო ტყის და საძოვრებისათვის მხოლოდ ფულადს. 1863 წელს ქართლის მემამულეები დ. ყიფიანს წერდნენ: ხიზნები მოვალენი არიან უხადონ მებატონეს დღიურზე 2 კოდი პური ანუ ღალა მოსავლის მეექვსედი ვენახიდან კულუხი მეექვსედივე მოსავლისა, აგრეთვე ხეხილიდამაც კომლზე 40 მუშა წელიწადში და სამი ძღვენი.[178]

მართალია ილია ჭავჭავაძე ხიზნობის ინსტიტუტს „სასიკეთო მოვლენად“ ცნობდა და მსგავსად ყმობისა არ მიიჩნევდა მის გაუქმებას, მაგრამ ცალკეულ ვითარებებში, კერძოდ გორის მაზრის პირობებში, როდესაც აქტიურად მიმდინარეობდა ქართული ნასოფლარების ოსთა მიერ დაკავება, ან მათი ქართულ მოსახლეობაში მომძლავრება, როგორც გამოჩნდა ერთობ საზიანოდ იქცა. ამასთან, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში ხიზნობა მემამულეთათვის ხელსაყრელს წარმოადგენდა, რამდენადაც მუშახელი არ ყოფნიდათ და მათ გამოჩენას სიამოვნებით ხვდებოდნენ. ამასთან, დიდ ნაწილს მათ მიერვე ნახევრად მიტოვებულ მიწებზე ამუშავებდნენ: ტეხდნენ ყამირს, ამზადებდნენ შეშას და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, როცა მიწათმფლობელს, როგორც წესი ხიზნის პიროვნებაზე ხელი არ მიუწვდებოდა და რომ იგი, მხოლოდ საადგილმამულო ვალდებულებით იყო მასზე დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მემამულე ბუნებრივია ცდილობდა მის დაყმევებას, რომელსაც წარმატებითაც აღწევდა კიდეც. 1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებით კი ყმური წარმოშობის ხიზნები თავისუფლდებოდნენ ძველი მებატონის ყმობისგან და ახალ მემამულეებთან რჩებოდნენ ხიზნის მდგომარეობაში. ამდენად, ჩვენდა სავალალოდ, შექმნილი ვითარება ზედმიწევნით კარგად გამოიყენა პატარა ლიახვის ხეობის მაღალმთიანმა ოსურმა მოსახლეობამ, რომელთაც სამუდამო ადგილსამყოფელი დაიკანონა. ამასთან, გარკვეულწილად იწყება ადგილობრივი, ქართული მოსახლეობის „გაოსებაც“, რამდენადაც ისინი უკვე პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

---

[178] ი. უთურაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 55.

1835 წელს ჯავის პრისტავისადმი მიწერილ საჩივარში აღნიშნულია, რომ ბესა სანაკოშვილმა, ზაალ სანაკოშვილმა და რევაზ ყოჩიშვილმა იმუშავეს ბეციე ფალავანდოვთან მთელი წელიწადი და დააკლეს ფული, ხოლო 1841 წელს იგივე ჯავის მცხოვრებნი უკვე ბესა სანაყოვი, ზაალ სანაყოვი და რევაზ ყოჩიშვილი წერდნენ რომ „პირველის ოსეთის ნაწილისა მასზედ, რომელ ვიყავით რა აღნიშნულ წელიწადში იასაულებად ჯამაგირი მივიღეთ ყოფილ პრისტავ-პროპორშიკის თავადის ფავლენოვისაგან თითოეულმა ხუთ-ხუთი თუმანი, რომელიც გამორთმეულია მცხოვრებთაგან შემოსავლის“.[179]

აღნიშნული დოკუმენტებიდან საგულისხმოა, რომ ჯავის მხარეში სადაც ამჟამად თითქმის ოსური მოსახლეობაა, სულ ახლო წარსულში ფავლენიშვილების სამოსახლო-სამფლობელოს წარმოადგენდა, ბესა და ზაალი უკვე ოსებადაა „მონათლული“.

1821 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 8 მაისს, ცხინვალში შემოსულ ოსებს როგორ დაესხნენ თავს 25-მდე ადგილობრივი მოსახლე და როგორ განდევნეს ისინი იქიდან. ხოლო 1828 წლის საბუთში კი ნათქვამია, თუ ოსი ყაჩაღები მალომენსკოეს ხეობიდან როგორ დაესხნენ თავს სოფ. ჯაურაში დიგასშვილების ოჯახს თავის ორ ძმასთან ერთად და სოფ. აწრისხევში მცხ. გაბრიელ მიდელაშვილების ოჯახს და წაართვეს 42 ცხვარი და ა.შ.[180] რომ „მათი უმთავრესი ჩვეულებაა: ქურდობა, ქალის მოტაცება, საქონლისათვის კუდებისა და სახსრების გადაჭრა, თივებისა და სახლების გადაწვა, მკითხავებთან სიარული და მოლების მიერ ჯადოს წიგნების შედგენა და წერა...[181] იყო აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადგილობრივი მოსახლე გარკვეულწილად ცდილობდა ოსთა დაახლოებას არა მარტო მეურნეობრივი თვალსაზრისით, არამედ მოძალადეობის მიზნითაც, მათშორის მეზობელნათესავებთან დაპირისპირება-ანგარიშსწორებისათვისაც კი.

---

179 სსცია, ფ. 48, საქ. ე., ფურ. 7.
180 სსცია, ფ. 48, საქ. ე., ფურ. 9.
181 „იეერია“, 1888.

გაზ. „ივერია“ (1886 წ. №59) იტყობინებოდა: სოფ. ძვილეთში ცხოვრობენ ორი შტო ტატიშვილებისა ნათესაობით დაშორებულნი. ჩრდილოეთით მცხოვრები ზემო ტატიანი და სამხრეთით ქვემო ტატიანი, მამულებიც ასე აქვთ გაყოფილი, რაც 1844 წ. მომხდარა. 1883 წ. ქვემო ტატიაანთ დაარღვიეს ეს ძველი განაჩენი და ზემო ტატიანთ მამულზე წაიწიეს ხელი. გაჩენეს ტყე საახოვედ და ჩააყენეს შიგ ხიზნები — ოსები. 1885 წ. ზემო ტატიაანთ იმ სადავო მამულის ახლოს დაასახლეს ხიზნები. ამ სადაო მამულს ეძახდნენ „სამგლე ხევს“. ქვემო ტატიანი ორ კომლად არიან, მაგრამ ნაყმევი და ხიზნები ბლომად ყავთ, ზემოთ კი რამდენიმე კომლია და ხიზანი ნაკლებად. ამ საკუთრების აღსადგენად მოხდა შეტაკება, მსხვერპლი ...“

ლიახვის ხეობების მოსახლეობის იძულებითი მიგრაციის პროცესებში, აღსანიშნავია ის გარემოებაც, როცა მომხდური უფრო აქტიურია, მოძალადეა, რამდენადაც უცხო ადგილას მას დამხმარე, მხარში ამომდგომი არ ეგულებოდა და ამიტომ ყოველ მხრივ ცდილობს თუნდაც გაიძვერობით, მლიქვნელობით, თვითნებობა-ძალადობით მოიპოვოს საცხოვრისი. მაშინ, როდესაც ქართველ მოსახლეობას შესაძლებლობა გააჩნია სხვაგან — უმთავრესად ბარში მოინახულოს ახლობელ-ნათესავები და მათი მხარდაჭერა-დახმარებით შედარებით ადვილად მოიკიდოს ფეხი ახალ მამულზე. ამ და სხვა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო, პატარა ლიახვის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ბარად დაიდო ბინა და მომხდურს დაუტოვა მამა-პაპათა ადგილ-მამული, ტყე, საძოვარ-სათიბი, ეკლესია-მონასტერი, წინაპართა საფლავები

1849 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ, რომ თავადი მიხეილ ელიზბარისძე მაჩაბელი სთხოვს გორის განყოფილების პორუჩიკს თავად მაჩაბელს, რათა საკუთარნი ყმანი ჩემნი მცხ. სოფ. საბაწმინდას რაჭამა და მოსე ქასაბიშვილები გახდნენ ჩემის ბატონყმობის მორჩილებისაგან ერთად სხვათა გლეხთაგან, ჩემთა მიერ მცხოვრებთა დაუწესე თავისი სამკვიდრო ადგილსამყოფელი უცნობლად ჩემდა და ადგილობითს მთავრობისა და იფარებოდნენ ხიზნებითურთ მათით და მოძრავს საცხო-

ერებლით ოსეთის ოკრუგში, რომელნიც თხოვნისამებრ ჩემისა და თქვენი ოტნოშენიის ბრწყინვალება წარმოგზავნილ იქნენ ყარაულად ჯავის უჩასტნიკი და აწ იმყოფებიან ცხინვალში და უარს ჰყოფენ მოქცევად თავის ადგილსა მცხოვრებლად". და მოითხოვს მათ დაბრუნებას-დატუსაღებას, რათა სხვისთვისაც სამაგალითო იყოს"-ო.[182]

ასე ამრიგად, თანდათანობით, შიდა ქართლის ეს მხარე ფაქტობრივად დარჩა ტყის, საზაფხულო საძოვარ-სათიბების, საოჯახო-სამეურნეო იარაღ-ინვენტარის მწარმოებელი მოსახლეობის გარეშე, რომელთა ადგილი ოსებმა დაიკავეს და იწყეს ბუნებრივი რესურსების ქართველ მოსახლეობაზე მამა-სისხლად მიყიდვა. 1892 წლის ერთ დოკუმენტში, აღნიშნულია გორის მაზრის სოფ. ბრეთის მცხოვრებთა წუხილი: „შეშა და მასალა მამასისხლად გვიყიდება. ზედ გვკარგავს საფალავანდოანთ ტყე, ფულიც შეგვაქვს, მაგრამ ოსები რომ არ დაგვხვდნენ ვიპარებით. ოსები ხიზანი ხალხია და თუ ოსები ტყის მცველები არიან, მაშინ კანტორის ბარათს რატომ არ იწყნარებენ"-ო. მეორე დოკუმენტში კი აღნიშნულია: „სამაჩაბლო დიდი ლიახვის ხეობაზე — მაჩაბლებს მიტოვებული აქვთ და ოსები დაჰპატრონებიან. ისინი დროდადროც კი არ ჩამოდიან, „შემკრებლებს" აქ ჩააქვთ ფული და ესენიც ძალზე ხელს ითბობენ. ისპობა ხე-ტყე და ისპობა ერი..."[183]

აღსანიშნავია, რომ ხშირად ქართველების მიერ მიტოვებული სოფლებიდან ჩამოსახლებულთა გარკვეულ ნაწილს თან მოჰქონდა თავისი დაშლილი სახლის ნარჩენები, რომელსაც ახალი ბინის აშენებისას იყენებდა, ან ჩამოსახლებული ოსი მოსახლე ქართველებზე ჰყიდდა. 1940 წ. პატარა ლიახვის ზედა წელის ნამოსახლარიდან სოფ. ფლავში გადმოსახლებულმა ტერაშვილებმა ურმებით ჩამოიტანა დაშლილი სახლის ხის ნაწილები: ძელები, კოჭები, კარ-ფანჯარა, მოჩუქურთმებული დედა ბოძი და როდესაც მას ერთ-ერთმა მეზობელმა უთხრა: „ამსიშორიდან, ამ ხევ-ხუვებიდან ძლივ-ძლივ ამის ჩამოტანა ღირდა-ო, გოლა ტერაშვილმა ასე უპასუხა: „ეს ჩემი ნაფუძარია — მთავარანგელოზიანია და ამ სახლ-

---

[182] სსცია დ. 48, საქ. 507, ფურ 22.
[183] „ივერია", 1903.

შიც ბარაქა და დოვლათი დამეკვებებაო“. რაც შეეხება ერთ-ერთი მეურმის — ლუარსაბ პავლიაშვილის პასუხს, მან განრისხებულად უთხრა: „რადროს საყვედურია, მოდი მოგვეხმარე გადმოცლაში და მერე ერთი კარგად დავილოცოთ ქართული ღვინით“-ო. (თეთრ ღვინოს ქართლში ქართულ ღვინოს ეძახდნენ)“.

სამი მომცრო ხეობისგან წარმომდგარი პ. ლიახვის ხეობის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ მოსახლეობის ვერტიკალური განლაგების მიმართულებით ფრიად საინტერესო სურათი წარმოგვიდგინა, რომელმაც თანამედროვე გააზრებით საგულისხმო დასკვნამდე მიგვიყვანა.

აქ აშკარად შეიმჩნევა მოსახლეობის კლასიფიკაცია, რომელიც ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან ერთად მოსახლეობის ნაციონალური მდგომარეობიტაც განისაზღვრება, მაშინ როდესაც სოფლები: შერთული, ძევერა, მარანა, ტყვიავი, ტირძნისი, თერგვისი, კარბი და სხვ. ბუნებრივლანდშაფტური პირობებით კონტინენტურ სარტყელში მდებარეობენ; არბო, დიცი, არგვიცი, ერედვი, ქვაბთა, სარაბუკი და ვანათი მთა-ბარის გარდამავალ ზეგანს მიეკუთვნება, ხოლო სოფლები: სათიხარი, დისევი, კულბითი, ოსთა სოფელი და სხვ. მაღალმთიან ზონად ითვლება, ისინი დასახლების მეურნეობრივი სტილით დიდად არ განსხვავდებიან. თუმცა მათი ძირითადი შინაარსი, მოსახლეობის განლაგება ძირითადად ვერტიკალურ ჭრილშია წარმოდგენილი და ამდენად მათი ყოფითი მდგომარეობაც მეტ-ნაკლები თავისებურებით გამოირჩევა. ამიტომ, მოსახლეობის ყოფითი თავისებურება-სტრუქტურა, რომელიც ხანგრძლივი დროიდან ყალიბდება, გამომდინარეობს შესაბამისი მიკრო გარემო პირობებიდან. აქედან გამომდინარე, ცალკეული სოფლის მოსახლე შესაბამის პიროებებში ეკონომიკურადაც და სოციალურადაც განიცდის პერიოდულ სტრუქტურულ ცვლილებებს. აღნიშნულ გარემოებას შესაბამისად განსაზღვრავდა ადგილობრივი სამართლებრივი გარემოებაც.

მაგალითად, 1891 წლის 3 ივნისის დადგენილებით, როდესაც ხიზნებად იქნენ ცნობილნი ის მიწათმოქმედი გლეხობა, რომელნიც ამ წლამდე დასახლდნენ მემამულეთა მიწებზე და რომელთაც ისინი ფლობდნენ, მათვე რჩებოდათ სარგებლობაში და მემამულეთა წინაშე

ასრულებდნენ მხოლოდ გარკვეულ ვალდებულებებს, ასეთ ვითარებაში, უპირველესად სარგებლობდა ე.წ. თვითნებურად შემოსული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც თავის გადაწყვეტილებით აწყობდა საცხოვრებელ მეურნეობას და ამდენად ეს პროცესიც ფაქტობრივად დაკანონებული იქნა ძირითადად არაქართული გლეხობისათვის.

მართალია აღნიშნული დებულება ითვალისწინებდა მემამულეთა და ხიზანთა საადათო სამართლის უფლებას, ანუ რენტის უცვლელობას და მიწის სარგებლობის მუდმივობას მაშინ, როდესაც დებულება აძლევდა მამემალეს რენტის შეცვლის-გადიდების და ხიზნის აყრის იურიდიულ უფლებას, მაგრამ ეს გადაწყვეტილება თავადაზნაურობას არ აწყობდა და მოითხოვდა: ხიზნების მიერ დაკავებულ მიწებზე მათი საკუთრების უფლებას, — უფლების შეუზღუდველობას, ხიზნის აყრის შემთხვევაში დაწესებული ორმაგი საზღაურის გაუქმებას, ხიზნებად მხოლოდ იმ გლეხთა ჩათვლას, რომელნიც მემამულეთა მიწებზე დასახლდნენ რეფორმამდე, ხიზანთა სარგებლობაში მყოფი მიწების შემცირებას, რეფორმის შემდეგ მათ მამულებში ჩამოხიზნული გლეხების სახაზინო მიწებზე გადასახლებას და ა.შ.

ქართველმა თავადაზნაურობამ, ერთხანს რამდენადმე მიაღწია თავიანთი მოთხოვნილებების დაკანონებას და 1899 წლის სახელმწიფო საბჭოში განხილვის შედეგად ბევრი გლეხი-თვითნებურად ჩამოსახლებული უკვე ვეღარ ახერხებდა თავის დამტკიცებას და იძულებული იყო ჩვეულებრივი მოიჯარის უფლებებს დასჯერებოდა. ახალი კანონი აუქმებდა აგრეთვე ხიზნის გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევისათვის დაწესებულ ორმაგ საზღაურს და ამით მემამულეებს არასასურველი ხიზნებისაგან მიწის გაწმენდის შესაძლებლობას უადვილებდა.[184]

აღნიშნული კანონი, რომელიც ბუნებრივია თანაბრად ვრცელდებოდა ადგილობრივ თუ შემოსულ ხიზნებზე, თავისთავად ხშირად ირღვეოდა განსაკუთრებით ნაკლებად მართვად ადგილებში — მთიან ზოლში, რითაც სარგებლობდა ძირითადად არაქართული მოსახლეობა სადაც მიწათმფლო-

[184] ალ. ბენდინიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში, 1890-1917 წწ. თბ., 1965, გვ. 29.

ბელობის საქმე ისე არეული არსად არის როგორც საქართველოში — იტყობინებოდა „სახალხო გაზეთი“. მიწათმფლობელობის მრავალნაირი ფორმები დღევანდლამდე გამოურკვეველ მდგომარეობაში სტოვებს ქართველ გლეხობას. ქუთაისის გუბერნიაში თითქმის ყველა დროებით ვალდებულმა გლეხებმა თავი დაიხსნეს მემამულეთაგან. ტფილისის გუბერნიაში კი დროებით ვალდებული გლეხების ნაწილს თვითმემამულეთაც ყურიც კი არ გაუბერტყნიათ. დღემდე მოსავლის მეოთხედს ახდევინებენ, რის გამოც ურთიერთობა მემამულეთა დროებით ვალდებულ გლეხთა შორის გამწვავებულია და ყოველ ღალის აღების დროს დიდ აურზაურს იწვევს. ჯერ კიდევ შარშან, ნამესტნიკის კანცელარიამ, პროექტი შეიტანა საბჭოში დროებითვალდებულ გლეხთა გამოსყიდვაზე, სადაც ხიზნების საკითხიც მიაყოლა, რაც ითვალისწინებდა მთლად იმ მამულების გამოსყიდვასაც, რომელნიც ხიზნებს უჭირავთ-ო.

ზემოაღნიშნულ 1891 წლის 3 ივნისის პროექტს, ქართველი თავადაზნაურობა უსამართლოდ მიიჩნევდა, ვინაიდან ტფილისის გუბერნიაში ის გლეხები, რომელნიც თავიანთ თავს ხიზნებს უწოდებდნენ 4348 კომლს უდრიდა, საიდანაც 1/4 იყო ქართველი, ხოლო 3/4 ოსი. „ამიტომ, თუ იმ მამულების გამოსყიდვა, რომლითაც 4348 კომლი სარგებლობს სავალდებულო იქნება, მემამულეების მეტი ნაწილი მთლიანად უმამულოდ დარჩება. როდესაც მიწების სავალდებულო გამოსყიდვის პროექტმა სოფელთა ყურამდე ბევრად უფრო ბუნდოვნად მიაღწია და უმეტესობა დარწმუნდა, რომ იმ სახაზინო მამულებით რითაც სარგებლობდნენ მთავრობისაგან სრულიად უსასყიდლოდ მოგვეცემაო, ცდილობდნენ ეს საკუთრება გაიფართოვონ და არ ერიდებიან სხვისი მფლობელობის დარღვევას. და რომ ხიზნად დამტკიცებული გლეხი დარწმუნებულია, რომ მესაკუთრედაც დამტკიცდა და მამულის ყიდვის თაობაზე აღარ ფიქრობს. ამის მიზეზად ქართლის ბევრ სოფელში მემამულეებმა შუამდგომლობა აღძრეს ხიზნები აჰყარეთო“.[185]

ასეთ პირობებში, ქართველი გელხობის ყოფით ტრადიციებზე ბუნებრივია მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა აგრეთვე რუსეთის ცა-

[185] „სახალხო გაზეთი“, 1911.

რიზმის მიერ საქართველოში სახაზინო მიწების შექმნამ, რითაც ოპოზიციაში მდგომ თავადაზნაურობას მემამულეობითაც დაუპირისპირდა. ამ მიზნით, სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში თანდათან გადავიდა სახასო, საუფლისწულო და აჯანყებულ-დასჯილ თავადაზნაურთა მიწები გლეხებითურთ და მოგვიანებით საეკლესიო მამულებიც. სახზინო მიწა აღმ. საქართველოში კომლზე საშუალოდ 17 დესეტინას ითვალისწინებდა, საიდანაც ეზოს, ბაღ-ვენახსა და სახნავ-სათესს 6 დესეტინა ეკავა. დანარჩენი კი საძოვარს, ბუჩქნარს და უვარგის ნაკვეთებს. ამასთან, სახელმწიფო გლეხები იბეგრებოდნენ, როგორც სახელმწიფო ანუ სახაზინო, ისე საზოგადოებრივი-სასოფლო ვალდებულებებით. ანალოგიური ვალდებულებანი დაკისრებული ჰქონდათ სხვა კატეგორიის გლეხებსაც, მაგრამ სახელმწიფო გლეხები როგორც სახაზინო მიწათმოსარგებლენი უფრო მძიმედ იბეგრებოდნენ. ამასთან, გამოსაღები არ ითვალისწინებდა მიწების ფართობს და შემოსავლიანობას, რაც მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას. სწორეთ ამ და სხვა გარემოებათა გამო, ბუნებრივია სახელმწიფო-სახაზინო გლეხი ყოველთვის იბრძოდა მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასასვლელად, რომელსაც მხარს უჭერდა მოწინავე ინტელიგენციაც.

გლეხთა შორის მიწების არათანაბრად განაწილების ფაქტს საქართველოში თვით ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღიარებდნენ. ამიტომ, რადგანაც გლეხობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ფლობდა სანადელო მიწას, ისინი იძულებულნი იყვნენ საიჯარო ფორმისთვის მიემართათ, რომელთა ძირითადი — მიწის იჯარით გამცემნი იყვნენ ბუნებრივია სახელმწიფო ხაზინა და თავადაზნაურობა. იჯარული მეურნეობა კი, როგორც ცნობილია დამოკიდებული იყო გლეხის მეურნეობაში არსებული მუშახელის — მათ შორის დაქირავებული მუშებისა და მუშაპირუტყვის რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე, შეძლებული გლეხობა მიმართავდა მსხვილ გრძელვადიან, ხოლო ღარიბი — წვრილ მოკლევადიან იჯარას, რომლის პირობებიც გაცილებით მძიმეც იყო, რამდენადაც 1-2 წლის შემდეგ ახალი ხელშეკრულებით შესაძლებლობა ეძლეოდათ ფასების გაზრდისათვის.

ამგვარად, XIX ს. მეორე ნახევრიდან, როდესაც განსაკუთრებით გააქტიურდა ხიზანთა და მოიჯარადრეთა ინსტიტუტი, საქართველოს შედარებით აუთვისებელ-დაუსახლებელ ადგილებში მძლავრდება მისწრაფება უმიწო და მცირემიწიანი გლეხობის დასასახლებლად, რაც ხშირად თვითნებურ ხასიათს ატარებდა. სწორეთ ასეთ ვითარებაში მთიელი და არა მარტო მთიელი ქართველი და ოსი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ გორის მაზრის მთისწინა ზეგანზე, რომელნიც აქტიურად იკავებდნენ ამილახვრების, ჯავახიშვილების, ციციშვილების, ერისთავების, ფავლენიშვილების, მაჩაბლების ამირეჯიბებისა და სხვათა კუთვნილ მამულებს, რომელნიც უმთავრესად ხიზნური ადათ-წესების საფუძველს ემყარებოდა. სწორეთ ამ მიზნით გაჩნდა საქართველოს ქართლის რეგიონებში 100-ზე მეტი ახალდასახლება.[186]

ცნობილია, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები მეტად მრავალფეროვანია და იძლევა საშუალებას მრავალწახნაგოვანი სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისათვის. მაგრამ აღნიშნული პერიოდისათვის ამ ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს ძალზე აკლდა შესაბამისი ათვისება-გამოყენების ძალისხმევა. ქართლის ამ რეგიონში, როგორც ითქვა, განსაკუთრებით მიზდევდნენ მემინდვრეობას, მევენახეობას, მეხილეობა-მებოტნეობას და მეცხოველეობას. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, სამიმოსვლო გზების, რკინიგზების და სხვ. განვითარებამ დიდად დააჩქარა არა მარტო ამ დარგების სავაჭრო-სასაქონლო მიმართულებით ზრდა, არამედ ახალი ან მივიწყებული კულტურების აღორძინება-წარმოება. ფართო სასაქონლო ხასიათს იძენს ხორბლის, სიმინდის, ღვინის, ხილის, ყველის, მატყლის, აბრეშუმის ჭიისა და სხვათა წარმოება. საქართველოს მთიან ზოლში განსაკუთრებული აქტიურობით ვითარდება მეცხოველეობა და იგი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი ხდება. მთის ძირისა და ზეგანის, ბარის მოსახლეობისათვის მეცხოველეობა შედარებით დაბალი განვითარებით ხასიათდებოდა, რამდენადაც იგი დამოკიდებული იყო სათიბ-საძოვრების მოცულობაზე.

---

[186] ი. უთურაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 184.

სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებაში აქტიურად ებმება რეგიონის მოსახლეობა, რომელთაც ხელს უწყობდა საკმაოდ მსხვილი სავაჭრო ცენტრების სიახლოვე: გორი, ცხინვალი, დუშეთი, ხაშური, თბილისი და სხვ. საიდანაც ისწრაფოდნენ ვაჭარ-მევახშეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელნიც ადგილზე იაფფასებში იძენდნენ როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ისე საოჯახო წარმოების ჭურჭელ-ნაკეთობას და ქალაქად სარფიან ფასში ყიდიდნენ. ვაჭარ-მევახშეთა ნაკადი, რომელიც ქალაქსა და სოფელს შორის საშუამავლო ფუნქციას ასრულებდა, თავისთავად პროგრესული მოვლენა იყო, რომელიც მწარმოებელს და მომხმარებელს შესაბამის სტიმულს აძლევდა მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქტ-ნედლეულის წარმოებაში. მაგრამ როდესაც გამოიკვეთა ვაჭარ-მევახშეთა გლეხობაზე ზეწოლითი ზემოქმედება, რაც შეიძლებოდა იაფფასებში შეეძინათ მისგან მოწეული მოსავალი, მიწათმოქმედმა იწყო მათდამი უნდობლობისა და უკმაყოფილების გამოხატვა. ამიტომ, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, საქართველოს ცალკეული რეგიონების ცენტრალურ დასახლებულ ადგილებში იწყება სახელმწიფო-საზოგადოებრივი მაღაზიების, სავაჭრო ფარდულების, შესაბამისი საკრედიტო ამხანაგობების დაფუძნება და სხვ.

ამასთან, თავადაზნაურთა ერთი ნაწილი იწყებს მეწარმეობას, აწყობს რაციონალურ, დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ სასოფლო-სამეურნეო დარგების წარმოებას მსხვილ ფართობებზე. ამისათვის კი ისინი ხშირად მიმართავდნენ შრომა-მიგებას და კაბალურ იჯარას. სანადელო და საიჯარო მიწებზე მოწყობილი გლეხური მეურნეობანი ექცეოდა სასაქონლო-ფულად და კაპიტალისტური ურთიერთობების ორბიტაში, რის შედეგადაც ჩქარდებოდა მიწების გამოსყიდვა და საერთოდ ყიდვა-გაყიდვა.

აღნიშნული პროცესები თავისთავად მიმდინარეობდა საკვლევ რეგიონშიც, როდესაც პატარა ლიახვის ქვედა წელზე აქტიურად მიმდინარეობს სახნავ-სათესი, საბაღ-ვენახე ფართობების ზრდა და ახლებურად მოწყობა, მამულების გამოსყიდვა-შესყიდვის პროცესები. სამუშაოთა წარმოებაში მიწათმოქმედი მიისწრაფის პროგრესული მეთოდების დანერგვი-

საკენ, სოფლებში: ტყვიავი, მერეთი, ქურთა, აჩაბეთი, ვანათი და სხ. შენდება ევროპული ტიპის ბაღ-ვენახები თავიანთი სანერგე მეურნეობებით, შემოაქვთ უცხოური ჯიშის კულტურები, არსდება სასოფლო-სამეურნეო სკოლები და ა.შ. ახლად დაარსებული სამეურნეო საზოგადოებები ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის პროგრესულ მეთოდებზე გადასვლას., საამისოდ აღნიშნული საზოგადოებები მემამულეთაგან იძენდნენ მიწებს და იქ აშენებდნენ ბაღ-ვენახებს, აწარმოებდნენ ენდემური ჯიშების გამოყვანა-დანერგვას.

მაგალითად, საამისოდ ერთი ასეთი მიწა შეიძინეს სოფელ ტყვიავში მებატონე გაბუნიასაგან, რომლის მოცულობა 20 დესეტინას შეადგენდა. ამისთვის შედგენილ იქნა ბაღის გაშენების პროექტი თავისი ხარჯთაღრიცხვით, რომელიც მეხილეობის დარგის ინსტრუქტორმა დ. გორთამაშვილმა ითავა. აღნიშნული პროექტით 10 წლის განმავლობაში უნდა დახარჯულიყო 86 090 მანეთი და ამავე ხნის განმავლობაში მამული საზოგადოებას მისცემდა 105 100 მანეთ შემოსავალს, ანუ 19 010 მანეთ მოგებას.[187]

პატარა ლიახვის ხეობის ქვედა წელის ბოლო სოფელში — შერთულში განსაკუთრებით იკიდებს ფეხს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება და იძენს სასაქონლო ხასიათს, რომელიც უმთავრესად რეგიონალურ ფარგლებში მიმდინარეობს. აღნიშნული პროცესი განპირობებული იყო სოფლის მიკროკლიმატური პირობებით და მის მიმდებარე სოფლებში ამ დარგის შედარებით ნაკლებ წარმოებით, ქ. გორთან სიახლოვით და სხვ. თითქმის ასეთივე ტენდენცია შეინიშნებოდა მეზობელ სოფელ ძევერაშიც, თუმცა შერთულის ვენახ-ყურძენი და რასაკვირველია ღვინოც, გამორჩეული იყო ახლომახლო სოფლებისაგან. მთხრობელ ბაგრატ ჯავახიშვილის სიტყვით მართალია მას სოფ. ძევერაში თავისი ვენახი გააჩნდა, მაგრამ ძირითადად სასტუმრო ღვინოს შერთულიდან იძენდა, სადაც მას მუდმივად საამისო მწარმოებელი ჰყავდა და ენდობოდა პატიოსნებაში. მისივე სიტყვით, ღვინო-ყურძენს ხშირად ჭირნახულზეც ვცვლიდით, ჩვენ უფრო კარგი სახნავ-სათესი გაგვაჩნდა, თუმცა საერთო

[187] „სახალხო გაზეთი“, 1914.

სარწყავი წყალი მდ. პატარა ლიახვიდან მოგვყავდა – ო. შერთულს საამისოდ კარგი ჭალებიც გააჩნდა რაც ერთერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა ვენახის სასარე მასალის წარმოებისათვის და სხვ.

მევენახეობა-მელვინეობით განთქმული იყო აგრეთვე სოფელ ფლავისმანური ღვინო – „დუდური“. აღნიშნული სოფლის შესახებ გაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა, რომ „სოფელი, სადაც „დუდური“ მოდის საგარაკო ადგილს წარმოადგენს და მთელ ქართლშია ცნობილი. როცა 90-იან წლებში ამ რეგიონში ქოლერა, შავი ჭირი მძვინვარებდა, აქ ერთიც არ გამხდარა ავად. აქაური წყარო „ბობინა“ უზადო და წყალუხვია, რომელსაც სარწყავადაც კი ხმარობენ. ასეთ კარგ სოფელში, სადაც ასზე მეტი მოსახლე ყოფილა წერა-კითხვა სულ ორ-სამ კაცს სცოდნია. სოფელში არცერთი წიგნიერი თავადაზნაური ცხოვრობს რომ მათთვის მიებაძათ. მღვდელი და დიაკვანი მეზობელ სოფლებში არიან. სოფლელებს თავისუფლების სურვილი ნაკლებად გააჩნიათ. მემამულეს ისევ „ბატონს“ და არა „ნაბატონარს“ ეძახიან. ურია-სომეხთ ისინი საწველ ფურად ყავთ გადაქცეული-ო“.[188]

ვახუში ბატონიშვილის, აკად. ნ. კეცხოვალისა და სხვა მეცნიერ მკვლევართა ნაშრომების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, ლიახვის ხეობის სოფლების ვერტიკალური განლაგების, მოსახლეობის სოციალური და მეურნეობრივი ტრადიციების თავისებურება XIX-XX საუკუნეების გასაყარზე ფრიად საინტერესოდ წარმოგვიდგება. იგი განსაკუთრებით საგულისხმოა დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიმართებაში, სადაც ერთობ მნიშვნელოვანი მომენტებია გასათვალისწინებელი საქართველოს აღორძინების მიმდინარე ეტაპზე.

საკვლევი ხეობის ქვედა წელზე გამოირჩევა სოფლები: ძევერა, მარანა, ქიწნისი, ტყვიავი, ტირძნისი და კარბი, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ოდითგანვე ჭარბობდა მეხილეობის, მევენახეობისა და მარცვლეული კულტურების წარმოება. აღნიშნული სოფლების გაშლილი სარწყავი სახნავ-სათესი მიწების ნაყოფიერების მიუხედავად, მოცემულ პერიოდებში გლეხობის სოციალური და ეკონომიკური მდგომა-

[188] „ივერია“, 1899.

რეობა არ შეესაბამებოდა ბუნების მიერ ნაბოძებ და მოსახლეობის გარჯის შედეგებს. ადგილობრივი მმართველობისა და ბუნებრივ-კლიმატური ჭირვეულობის შედეგად, ხშირად მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გაჭირვებას განიცდიდა: „ვერ წარმოიდგენთ რა გაჭირვებაში ცხოვრობს აქაური (ტყვიაველი): გადასახადები, ბეგარა, ფოსტის ფული, საქონლის ავადმყოფობა, უამინდობა სულ ერთად დააწვა. მაისის ათიდამ ადგნენ გორის გზატკეცილის ქვიშის დაყრას და რის ვაივაგლახით მორჩნენ და უცებ გამოაცხადეს: ამ ერთ კვირაში ფოსტის ფული უნდა მოიტანოთო. სთხოვეს გადავადება, მაგრამ არ შეიწყნარეს. არადა ფოსტის ფული 5-6 მანეთია და ასეთი გლეხი სოფელში არცერთი აღმოჩნდა, რომ უცებ გამოეტანა. გლეხმა ან უნდა ისესხოს, ან სამუშაოდ გავიდეს. ამ დროს კი გასაყიდი არაფერი აქვს, პირიქით ყიდულობს. მათი შემოსავლის წყაროს ამ პერიოდისათვის შეადგენდა ქირაობა – ურმით წასვლა, ტირიფონაზე ან განჯის მხარეში მკაში დასაქმება, რასაც ხელი შეუშალა უამინდობამ და მოსავლის აღების ვადების მოშლამ. თუ გლეხი სესხს აიღებდა საამისოდ მსესხებელიც ჭირდა და ისიც ორი კვირის ვადით სულ ხუთ მანეთში ათი შაური სარგებელიც უნდა ეხადა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფარდაგები, ქვაბები, ლოგინი და სხვა, ჩაფრებისაგან გირაოში გაიყიდებოდა“.[189]

აღნიშნულ გარემოებას ისიც ემატებოდა, რომ „სოფელში გაჩენილა საქონლის დაავადება – თურქული, რაც ერთობ ამძიმებდა გლეხის მდგომარეობას. ახლად შებმული ანეულის გუთნები სულ ერთიანად ჩაშლილა და მოუხვნელი დარჩა. ავადმყოფობა კი სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. თუ საქონლის პირის ტკივილი 4-5 დღეში რჩება, თურქული ჩლიქებს აცლის და მანამდე არ გაუვლის-წამოეზრდება უღელში ვერ შეაბამენ. უამინდობისაგან ვაზიც წამხდარა. ჰმას ემატებოდა ოსთა ქურდობა, რომელიც ძალზე გავრცელებული იყო მეზობელ სოფლებში და აქაც არ აკლებდნენ. ისინი იპარავდნენ საქონელს, ატიალებდნენ ვენახებს და სხვ. ტყვიაველები, როგორც ჩანს ძალიან მიზდევდნენ აგრეთვე ნიორის მოყვანას და კარგ სარგებლობასაც ნახულობდნენ. ამასთან ერთად

[189] „ივერია“, 1894.

ნაკლები შრომა უნდა სიმინდთან შედარებით. ნიორი რაკი მწარეა ძალზე უყვარდა ოსებს და ამიტომ იპარავენ კიდეც და დარაჯსაც არ ერიდებიან-ო“ — იტყობინებოდა „ივერია“.[190]

გორის მაზრა ერთ-ერთი წამყვანი იყო საქართველოში მარცვლეულის, განსაკუთრებით კი ხორბლის ენდემური ჯიშების წარმოებაში, სადაც გამოირჩეოდა ტრიფონის ველი და მდ. ლიახვების ქვედა წელის სახნავ-სათესი ადგილები. ჩანს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მარცვლეულის მოყვანა უფრო აძლევდა ხელს, რამდენადაც მას გააჩნდა უკვე სასაქონლო-სავაჭრო ხასიათი, რომელიც საზღვარგარეთადაც კი გაჰქონდათ. თუმცა მკვეთრად იზრდებოდა აგრეთვე ბაღ-ვენახის ფართობებიც. ამიტომ, როგორც ამ პერიოდის პუბლიკაციებშია აღნიშნული ქართლის ეს ვეებერთელა ველი ძალზე იშვიათად იყო მოცდენილი და სულ გადახნულ დამარმარებული ყოფილა. და ეს მაშინ, როდესაც აქაური დიდი ხის გუთანში 6-8 და მეტი უღელი ხარ-კამეჩი იყო შებმული. აღსანიშნავია, რომ ხის დიდი — ქართული გუთნის „აშენება“ და გამოყენება ფაქტობრივად XX ს. 20-იან წლებში შენელდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1941-1945 წწ.) მისმა ხელახალმა აღდგენამ გარკვეული როლი ითამაშა მიწათმოქმედების წარმოებაში, როდესაც სოფელი მანქანა-ტრაქტორების ნაცვლად ცოცხალი გამწევი ძალის ანაბარა დარჩა.

იმავე ცნობებით, ტირიფონის ველზე ყანებს ძალზე მორევია სურმა, რასაც ცივი გაზაფხულით ხსნიდნენ, რამდენადაც ხორბალმა ბარტყი ვერ გაათამამაო. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მდინარე დიდ და პატარა ლიახვების აუზებში ძველთაგანვე ქერის წარმოებას ერიდებოდნენ — კარგად არ გვაროობდა. როგორც დაკვირვებით იცოდნენ, იგი კარგი მოდიოდა უმთვრესად ურწყავ ადგილებში — ტირიფონის ველზე, ზემო ქართლში და განსაკუთრებით სოფლების: დირბის, ძვილეთის, ღოლეთის, წვერის, არადეთის, მოხისის მიწებში. საზოგადოდ კი ზემო ქართლი ოდითგანვე ცნობილი ყოფილა ქერისა და მუხუდოს წარმოებით. „ამ ადგილებში წმინდა პური მოდიოდა მხოლოდ იქ, სადაც დი-

[190] „ივერია“, 1894.

დი ლიახვის წყალი უდგებოდა. ადრე, თუ ლიახველები თითქმის ყველაფერს თესდნენ, მათ შორის სიმინდს ფეტვს, ქერს და სხვ. XIX ს. 80-იანი წლებისათვის ხელი მოჰკიდეს ისეთი კულტურების წარმოებას, რომელიც უფრო ხელსაყრელ-სავაჭრო ხასიათს იღებდა". ამიტომ, ზემო ქართლში განსაკუთრებით იწყეს ქერის წარმოება, შემდეგ მოდიოდა პური, მუხუდო და სიმინდი. დიდი ლიახვის აუზში პური, სიმინდი, კომბოსტო და იშვიათად ქერი. მაშინ, როდესაც პატარა ლიახვის აუზში ინტენსიურად მიზდევდნენ სიმინდის, კომბოსტოს, ნიორისა და პურის წარმოებას. ხოლო მდ. მეჯუდის ხეობაში პურის, სიმინდისა და ხელის მოყვანას და ა.შ. სადაც სოფლის მეურნეობის წარმოებაში წამყვან ადგილს იკავებდა მიკრორეგიონის შესაბამის დარგთა პრიორიტეტული მიმართულებით განვითარება. აქედან გამომდინარე, ბაღ-ვენახების გაშენება, უმთავრესად მიმდინარეობდა: ლიახვების, ქვედა წელის, მეჯუდის, ტანას, მტკვრის მიმდებარე ფართობებზე, სადაც საგრძნობლად შემცირდა სახნავ-სათესი ფართობები, რამაც ერთხანს გამოიწვია ჭირნახულის მკვეთრი ნაკლებობა და გლეხობის ჩავარდნა მემამულის კაბალაში. „ზოგგან — იტყობინებოდა „ივერია" — ისე შემცირდა სახნავ-სათესი, რომ გლეხობას ბზეც კი არ გააჩნდა საქონლის საკვებად და სხვა სოფლებში ყიდულობდნენ. ამის გამო, პატარა ლიახვის ხეობის ქვედა წელის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ბზე ტირიფონიდან გადმოჰქონდა. იმავე დროს ბაღ-ვენახის წარმოებას დიდი ჯაფაც სჭირდებოდა, რაც წვრილ მეურნეს ილაჯს ულეევდა-ო".[191]

ამასთან ერთად, ისიცაა ნათქვამი, როცა „ზემო ქართლში ხშირად იყო ისეთი გლეხიც, რომლის ამბარშიც 500-600 კოდი პური ეყარა და ამდენად აქაური ხალხი უფრო სარჩიანი იყო ვინემ დანარჩენი ადგილების, რომ ქართველი გლეხის ერთ-ერთი სიმდიდრის წყარო მთხლე, ჭაჭა და ნიორიაო. თუ აქამდე თხლე-ჭაჭას ყრიდნენ, ახლა ისინი მათ საკვებად იყენებენ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ნიორზე და ამიტომ მას პატარა ლიახვის ხეობის მემამულეებს წინასწარ უკვეთავდნენ ხოლმე. ნიორს ყიდიდნენ ფოჩიანადაც კი და ადგილზე ფუთში ორ აბ-

[191] „ივერია", 1887.

აზსს აძლევდნენ. ფოჩიანი ნიორი, უმთავრესად მიჰქონდათ ოდესაში. აქედან კი ალბათ ევროპაში გადიოდა".

1888 წელს, ქართლში ხორბლისა და ქერის იმდენად დიდი მოსავალი ყოფილა, რომ მთიდან ჩამოსული ოსი მთიბავებიც კი ვერ უდიოდნენ. „ივერია" იტყობინებოდა, რომ „ქართლში ხორბლისა და ქერის დიდძალი მოსავალი მოსულა და ორი კვირის განმავლობაში მთლიანად მორჩენილან ჩათიბვას. ამ საქმეში დიდი შეღავათი მიუციათ მთიდან ჩამოსულ ოსებს. კარგი მოსავლის პერიოდში — მკათათვეში ადგილობრივი მუშახელი ძვირად იშოვებოდა. ამიტომ გლეხკაცობა ფულს არ ზოგავდა, ოსებს უმთავრესად ნარდად აძლევდა სამკალ-სათიბს და ისინიც უფრო გულმოდგინებით ღამ-ღამობით სცელავდნენ და აბულულებდნენ".

„მუშა-ოსები დას-დასად იყოფოდნენ. თითო დასში ხუთიდან ოცამდე კაცი იყო შეამხანაგებული. თითო კაცი დღიურად ღირდა ათი შაურიდან სამ უზალთუნამდე ყანის პატრონის ჭამა-სმით, ხოლო ნარდად დღიურის გაცელვაში კი ოსები იღებდნენ ორ- და ათ შაურამდე. ერთმა მებატონემ სამოცი დღის ხოდაბუნი ყანა 15 ოსს 12 თუმნად გაათიბინა. მემამულე ნარდად იყო გარიგებული და მუშებმა ორ დღე-ღამეში გაათავეს თიბვა. ახლა კალოები იმართება, ზოგგან უკვე დაიწყეს ლეწვა, ზოგგან ეხლა ეზიდებიან ძნაბულულებს, ოსები გაჰქრნენ ქართლში და გაეშურნენ თავიანთ მთაში. გლეხი დარჩა თავის-თავის და ხარ-კამეჩის ანაბარა. კალოს მუშა ძალიან ძვირად ფასობდა 15 მანეთი თვეში, ისიც ვერ შოულობენ. ვისაც მოუსწრია და წინასწარ დაუჭერია მოჯამაგირედ 10-12-13 მანეთად კიდევ არა უშავრა. ისეთი კარგი მოსავალი იყო, რომ ძველი თესლის ქერს გამოსდის 25-30 კოდი, ანუ 100-120 ფუთი, ახალს თესლს 10-15 კოდი. გაზაფხულზე ნაოშად დათესილ ქერს კი გამოსდის 8-12 კოდი, პურს დღიურზე 25-30 კოდი. ბევრია გლეხი რომ 300-400 კოდ ქერს არ დასჯერდება. ვისაც მხოლოდ 8-10 დღის სახნავი ჰქონდა იმედი აქვს, რომ 150-200 კოდს ჭირნახულს ჩაჰყრის ორმოებსა და ამბრებში. ასეთი კარგი მოსავალი იშვიათი როდია. აქ სიმინდსაც სთესენ და კარგ ფასშიც იყიდება, მაგრამ წყლის სიძვირეა. ვენახებს ნაკლებად მიზდევენ, ფრონის ხეობაში ერთ-ერთი სოფელია — დირბი, სადაც დიდი

ვენახებია. ამიტომ ამ სოფელს ქართლში პატარა კახეთსაც ეძახიან. ხშირად ერთი დღის მიწაზე გაშენებული ვენახი 20-40 კოკა ღვინოს, ანუ 240-280 თუნგი ღვინო გამოზდის".[192]

აღსანიშნავია, რომ აქაური ყურძნის ჯიში — „დირბულა" შემდგომში მთელ ქართლში გავრცელდა. სამწუხაროდ აღნიშნული ჯიში სადღეისოდ მხოლოდ ამ რეგიონში შემორჩა, ხოლო ქართლის სხვა ადგილებში მხოლოდ კანტიკუნტად გვხვდება. ვაზის ეს ჯიში ადვილად იტანს დაავადებას, მაღალი მოსავლიანობით და შესანიშნავი გემოვნებაშეფერილობით გამოირჩევა. ქართლის დანარჩენ ღვინის მწარმოებელ ძირითად სოფლებში: მეჯვრისხევი, ხიდისთავი, ატენი, მუხრანი, საგურამო, დამპალა, თეზი-ოკამი, ფლავი-ფლავისმანი, შერთული და სხვ. გავრცელებული იყო გორული მწვანე, შავკაპიტო, ბუდეშური, ხარისთვალა და სხვ. ჯიშები.

ამავე რეგიონში, განსაკუთრებული მაღალი მოსავლიანობით გამოირჩეოდა ხორბლისა და ქერის კულტურა, რომლის წარმოებაში ტრადიციულად იყო უმთავრესად დასაქმებული ლიახვებისა და ქციის ხეობების, ტირიფონისველის მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ფართობებზე წარმოებული პრუდუქციის ძირითადი ნაწილი XIX ს. II ნახევრიდან სამრეწველო ხასიათს იღებს და თუ იგი მანამდე შიდა, ნატურალურ საქონლად ითვლებოდა, ახლა მის შემსყიდველებად და გარეთ გასატანად ქალაქებიდან ჩამოსული ვაჭრები გვევლინებიან. ამ მიზნით, ცალკეულ სოფლებში ადგილობრივი თავადაზნაურობის წარმომადგენლები ხსნიან შემსყიდველ ფარდულებს, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა სიმინდის, ხორბლის, ქერისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გადიდება. 1891 წ. ასეთი მიმღები-სარეალიზაციო პუნქტი იქნა გახსნილი სოფ. შინდისში, რომლის მოთავეებად ადგილობრივი და მეზობელი სოფლის თავადაზნაურობა იყო. აღსანიშნავია, რომ გახსნის პირველსავე დღეს პუნქტმა ადგილობრივი გლეხობისაგან შეისყიდა 105 კოდი პური, ხოლო 2-3 დღეში მისი მოცულობა 500 კოდამდე გაიზარდა. აღნიშნულ სავაჭრო-კაპიტალისტურ წარმოებას სულ მალე მიბაძა

[192] „იევრია", 1888.

მაზრის სხვა რეგიონებმაც და ამრიგად გარდა მარცვლეულის შესყიდვა-რეალიზაციისა, ფართოდ იწყებს განვითარებას სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონლის სოფლად შეტანისა და საამისო ფარდულების გახსნისადმი დაინტერესება. აღნიშნული პროცესი კი ხელს აძლევდა როგორც გლეხობას ისე ვაჭარ-ხელოსნობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრამ თავისთავად წარმოშვა ადგილობრივი მოსახლეობიდან ვაჭარ-ხელოსანთა გარკვეული ნაწილი, რამაც განაპირობა ამ და სხვა წამოწყებათა შედეგად საზოგადოების ახალ-ახალი ფენების ჩამოყალიბება.[193]

გაზ. „ივერია“-ს 1887 წ. 5 ივლისის ვრცელ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „საქართველოს ყველა ადგილებზე ქართლი უფრო განთქმულია პურის მოსავლით, გორის მაზრა ე.წ. შიდა-ქართლი. ხალხი მრავლდება და ხვნა-თესვა მატულობს. ხალხს ეს უფრო აძლევს ხელს, თუმცა ბაღ-ვენახების გაშენებაც მატულობს. განსაკუთრებით კარგ ფასში იყიდება წმინდა პური — დოლის. ამიტომ ქართლის ეს ვეებერთელა ველი ძალზე იშვიათადაა მოცდენილი სულ გადახნულია. ხორბალი გადაეიდა საზღვარს. ამ ხუთიოდე წლის წინ სიმინდის მოყვანასაც მიჰყვეს ხელი. ასე, რომ პატარა ლიახვის ველი და ხეობა, ფრონის ხეობებში, დოღლიაური მთლიანად სიმინდის ხოდაბუნებადაა ქცეული. ეს იმიტომ, რომ მას ბლომად ეზიდებიან საზღვარგარეთ. უფრო ფასშია ქართლული სიმონდი ვიდრე იმერული, რადგანაც მძიმეა, მაგარია — გზას იტანს და არ ყანდება. მას ბუნებრივია სთესენ სარწყავში და ამიტომ პ. ლიახვის წყალი განსაკუთრებით შესარგია სიმინდისთვის. მაშინ, როდესაც დიდი ლიახვის აუზში ასე კარგი ვერ მიდის თუ ძალზე განოყიერებული არაა“

„თუ აქამდე ნეზვის ზვინები იდგა ხოლმე ქართლის სოფლებში, ახლა იგი გააქვთ არამარტო „ნაფუძრებში“ მის გარე მამულებშიც. ტირიფონის ველზე ყანას ძალზე მოერია სურმა, რასაც ცივი გაზაფხულით ხსნიდნენ და ხორბლის ბარტყი ვერ გაათამამაო. ამიტომ თაველი ვერ

---

[193] დ. პაელიაშვილი, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების ისტორიისათვის საქართველოში, 1998.

დაისრულა და სურმად-მურად გარდაიქმნაო. ამასთან დ. და პ. ლიახვების აუზში ქერი კარგი არ გვარობას. იგი კარგი მოდის ურწყავ ადგილებში — ტირიფონაზე, ზემო ქართლში: დირბი, ძვილეთი, ლოღეთი, წვერი, არადეთი, მოხისი. საზოგადოდ ზემო ქართლი განთქმულია ქერით და მუხუდოთი. აქ ხორბალიც კარგი მოდის. წმინდა პური იცის განსაკუთრებით დ. ლიახვის ხეობამ, სადაც იგი რწყავს"

„უწინ გლეხობა ცოტ-ცოტას ყველაფერს თესდა: სიმინდს, ფეტვს, ხორბალს, ქერს. ახლა იმას მიზდევს, რაც უფრო ხელს აძლევს. ამიტომ ზემო ქართლი უფრო ბევრს თესავს ქერს, შემდეგ პურს, მუხუდოს, სიმინდს; დიდი ლიახველი: პურს, კომბოსტოსა, სიმინდს ქერს, იშვიათად; პატარა ლიახველი: სიმინდს, პურს, ნიორს, კომბოსტოს და სხვ. ბოსტნეულს; მდ. მეჯუდას ხეველები: პურს, სიმინდს და სელს. ბაღ-ვენახების გაშენებას უფრო მისდევენ ლიახვებზე, მეჯვრისხევში გალმა მხარეში — ატენ-ხიდისთავში. ასეთ ადგილებში სახნავ-სათესი კლებულობს და გლეხობას აკლდება ჭირნახული და ხშირად სესხულობს მამულისაგან ერთი ორად, ერთი სამად. ზოგგან ისე შემცირდა სახნავ-სათესი, რომ ბზეც არ გააჩნდათ საქონლის საკვებად და სხვა სოფლებში ყიდულობენ (მაგ. ტყვიავში ბზე და ხორბალიც კი ტირიფონიდან გადმოჰქონდათ დ.პ.). ბაღ-ვენახს დიდი ჯაფაც სჭირდება, რაც წვრილ მეურნეს ილაჯს ულევს"

ზემო ქართლში ხშირია იმისთანა გლეხი, რომელიც ხუთას-ექვსას კოდ პურსა და ქერს ჩაყრის ამბარში. საერთოდ დიდი ლიახვის გლეხობა და ზემო ქართლისა უკეთ ცხოვრობს და უფრო სარჩოიანია, ვინემ დანარჩენი ადგილი"

შიდა ქართლის მოსახლეობის ყოფითი თავისებურების ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემების განზოგადების ფონზე, მდიადრი ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე, ცალკეული სოფლის მაგალითზე, ფრიადსაინტერესოდ წარმოგვიდგება პ. ლიახვის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მატერიალურ ფასეულობათა წარმოჩენა: სოფ. ვანათი, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობით მთისა და ბარის გარდამავალ მეურნეობრივ ზოლ-

შია განლაგებული, ვახუშტის აღწერით: „ჩრდილოეთ კერძ, არს ვანათი, პატარა ლიახვის კიდესა. მაღლა გორასა ზედა არს ციხე, სნეკვიდამ წამოსულს მცირესა მთასა ზედა. ეს მთა გაჰყოფს კულბითს ვანათამდე სოფლებსა, და საცხენისსა და ბელოთს, და პატარა ლიახვს. ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსრეს კვალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩრდილოეთ არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭვრეტი ლიახვისა და მას შინა ქვაბნი გამოკუთილნი მრავალნი ვანათს ერთვის დასავლეთიდამ ლიახვს ხევი გერისა. ამის ზედა მსახლობელნი არიან ოსნი, უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს“.[194]

ეთნოგრაფი და პუბლიცისტი, ნ. ხიზანიშვილი, იხსენებს რა ზურაბ ერისთავის მიერ მთიულეთისა და ხევის დამორჩილებას, წერს: „ზურაბ ერისთავი იყო ნუგზარის შვილი. „ქართლის ცხოვრების“ თქმით, ნუგზარის პაპა უბრალო ვანათელი აზნაური ყოფილა. ვანათი ახლაც უბრალო სოფელია და პატარა ლიახვზე მდებარეობს. მაღალ კლდოვან გორადამ დასცქერის ვანათს დიდი და მშვენიერი ციხე. ერთდროს ამ ციხისთავი განუდგა მეფე სვიმონს I (1556-1600 წწ.). ნუგზარის პაპამ ღალატითა და მოტყუებით აიღო ეს ციხე და ამიტომ მეფემ უბოძა ერთგულ აზნაურს „მამულნი“ ვანათში. შემდეგ ვანათელმა აზნაურმა ქსნის ერისთავი მოიბირა, თავს დაესხა ვიღაც თექ-თურმანიძეს და ჭარმეულს, ძირიანად ამოაგდო ათი საშენებელი და დაიპყრო ბაზალეთი. ამნაირად თავგასულ აზნაურთა ვანათიდამ ბაზალეთში ამოჰყო თავი. მოწყალე სვიმონ მეფემ მას არაგვის ერისთაობაც მისცა. ხოლო როცა ეს მოკვდა, მისმა ერთმა უკანონო შვილმა ყველა ამოწყვიტა კანონიერი ძმები, ხოლო პატარა ძმისწულიღა გადარჩა, ეს იყო ნუგზარი. ჩაიხედეთ მატიანეში და თქვენ გაოცდებით მისი და მისი ჩამომავლობის მოქმედებით. ამას გარემოებაც და ჟამთავითარებაც უწყობდა ხელს. ყიზილბაშთა თარეში, შაჰ-აბაზის მიერ განადგურებული ქართლ-კახეთი“ და სხვ.

XX ს. 50-იანი წლების მონაცემებით, ვანათში 200 კომლი ცხოვრობდა, სადაც უძველესი ძეგლები უკვე აღარ არსებობდა. გორაკზე ერთდროს მდგარი ეკლესია დაშლილა და მის ეზოში საავადმყოფო

[194] ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 70, 75.

ჩაუდგამთ. სოფელს მებატონე არ ჰყოლია და სახაზინოს წარმოადგენდა. აქედან ისტორიულად გზა გადადიოდა იმერეთში, ჯავა-კვაისა-ონი. აღსანიშნავია, რომ სწორეთ ამ გზით გადმოსულა ქართლში გასაჭირში ჩავარდნილი იმერეთის მეფე სოლომონ II, რომელიც მოსალაპარაკებლად უნდა ჩასულიყო თბილისში მთავარმართებელ ტორმასოვთან. რომ 1810 წ. სოლომონი თავისი ამალით ჩამოსულა ვანათში, სადაც მას ტორმასოვი უცდიდა.[195] რამდენადაც ციხის მეორე მხარეს სოფ. დმენისია, ამდენად მას დმენისის ციხესაც უწოდებენ. ციხის ფართობი ნახევარ ჰექტარს აღემატებოდა, რომელიც აღნიშნული პერიოდისათვის მთლიანად დაშლილი ყოფილა და მხოლოდ გალავნის ნაწილიღა შემორჩენილა. დარჩენილი კედლის სიმაღლე ზოგგან 10 მეტრს აღწევდა. მასში ჩაფლული ყოფილა ქვევრები, ხორბლის ორმოები — საროები, ორი ქვიტკირის ოთახი და ლიახვთან ჩასასვლელი გვირაბი. როგორც ვახუშტი იმოწმებს — ციხე XVI ს. არსებობდა და რომ არაგვის ერისთავი ნუგზარის პაპა იყო ვანათელი აზნაური და როდესაც მეფე სვიმონს „უკუუდგა ვანათის ციხის მპყრობელი და მან (ნუგზარმა) ბრძანებათა მეფისათა და შეტყუებითა აიღო ციხე იგი, და მეფე — მან მიანიჭა მუნ მამულნი“-ო. შემდგომშიც, — კერძოდ XVIII ს. თეიმურაზ II მეფობისას ქსნისა და არაგვის ოსები ავკაცობდნენ და ბეგარასაც არ იხდიდნენ, მაშინ „წაბრძანდა მეფე თეიმურაზ ჯარითა, მიბრძანდა ვანათს, მიეგებნეს ოსნი და შეიქმნა ომი. არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ქსნის ერისთავის ოსთა, მივიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფე თეიმურაზს და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვანი და მისცეს სრული ბეგარა“.[196] აღსანიშნავია, რომ უკნასკნელად ეს ციხე იულონ ბატონიშვილს გაუახლებია და ამდენად მას ხალხი დღესაც „იულონის ციხედ“ იხსენებს.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ვანათი შემკული იყო შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, შესაბამისი სახნავ-სათესით, სათიბ-საძოვრებით, ისტორიის ცალკეულ პერიოდებში მოსახლეობის ცხოვრების დონე არ შეესაბამებოდა არსებულ შესაძლებლობებს, გელხის გარჯის

---

[195] ს. მაკალათაი, გე. 57.
[196] ს. მაკალათია, გე. 58, 59.

შელეგებს და ამიტომ, ხშირად საშოვარზე — ქირაზე გადიოდა. „აქ ფრიად ჯანსაღი ჰავაა და მოსახლეობაც ნაკლებად ავადდება, თუმცა გადამდები სენი ხშირია. აქაური გლეხების გულკეთილობა და შრომისმოყვარეობა განთქმულია ხეობაში. მიუხედავად ამისა აქ ძნელად მოიძებნება შეძლებული გლეხი. ამის მიზეზი მამულის ნაკლებობაა. ზოგს ერთი დღიურიც არ გააჩნია. მაგრამ თუ სახლობაში მოუკვდა ვინმე საშუალებაც რომ არ ჰქონდეს უნდა ისესხოს, იყიდოს ძროხა ან ხარი, ღვინო და ქელეხი გადაიხადოს. ასეთი ალაპები არცთუ ცოტაა. ასეთ ხარჯს ისინი წელიწადში 3-4 ჯერ იხდიან და ვერაღა ვერ მოიშალეს. სოფლის ძირითადი საზრდო საქონელია, თუმცა აქაც ჭირი გავრცელდა. ამასთან ხალხსაც თავისი ჭირი დაერია: წითელა, ყივანა-ხველა, ჭვალი და სხვ. სახლი არაა; რომ ამისთანა ავადმყოფი არ იყოს 1-2 მაინც. ბატონები — ანუ წითელა მოდებულია და ამ დღეებში მთავარანგელოზობაში აპირებენ სალოცავში წასვლას. დედაბერს, რომელსაც ოთხი შვილიდან ორი ბატონებით ჰყავდა ავად ექიმის მოყვანა არ შეეძლო და ამიტომ სალოცავში მიდიოდა".[197]

სოფელი ლიახვის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული, რომელიც დაცული იყო მოპირდაპირე მხარეზე საკმაოდ მაღალ კლდეზე აშენებული ე.წ. „დმენისის ციხით". ციხეს გააჩნდა დიდი — სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსი. აქ მუდმივად არცერთი თავადი ან აზნაური სახლობდა. XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის სოფელში 75 კომლი გლეხი ცხოვრობდა, რომელთა ძირითადი საქმიანობა ხვნა-თესვა, ნაკლებად ბაღ-ვენახის მოშენება. ზოგიერთი გლეხი კირის გამოწვითაც ირჩენდა თავს. ერთი ურემი გამომწვარი კირი ადგილზე 2-3 მანეთი ღირდა. სოფელში, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, რატომღაც ერთხანს მეზობელი სოფლის ოსურმა მოსახლეობამ მოისურვა ვანათში სახალხო სკოლის გახსნა, სადაც ოსებსაც უნდა ესწავლათ, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებნი წინ აღუდგნენ და არ მისცეს ამის საშუალება.[198]

---

[197] „ივერია", 1886.
[198] „ივერია" 1894.

პატარა ლიახვის ხეობაში ერთ-ერთი უძველესი სოფელია ერედვი, რომელიც ვახუშტის აღწერით „ლიახვს გაღმა (იგულისხმება დიდი ლიახვი) აღმოსავლეთით ქრცხილვანისა, ასტყდების მთა ტყიანი, და ეს მთა მიჰყვების ჩრდილოეთკენ მშხლებამდე. ამ მთის ძირს, ქრცხინვანის აღმოსავლეთით, პატარა ლიახვისაკენ, არს ერედვის ციხე და ეკლესია მას შინა წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. კვალად ერედვის ჩრდილოთ, ამავე მთასა შინა, არს, ქრცხილვანისაკენ მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, კარგს ადგილსა და მშვენიერსა, საბაწმინდა, დიდნაშენი და აწ ხუცის სამარ“.[199]

ერედვის ეკლესია, რომელიც მოკლედ აქვს აღწერილი ს. მაკალათიას და ვრცლად რ. მეფისაშვილს, ხოლო მასზე არსებული წარწერები პროფ. თოფურიას, მიეკუთვნება X ს. დასაწყისს, XX ს. 50 წლებისათვის იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვანად დაზიანებულ, მოზრდილ დარბაზულ ნაგებობას თლილი, კვადრატული ფორმის მოვარდისფერო ქვაფიქლით. ამ დროისათვის ჯერ კიდევ შერჩენილი ყოფილა კანკელი, რომელზედაც გამოსახულნი იყვნენ წმინდანები, სლავური წარწერით. ამ ეკლესიის თავდაპირველ სახეს, როგორც ჩანს ჩვენამდე არ მიუღწევია. იგი გადაკეთებულა XIII-XIV წწ; აღსანიშნავია, რომ ერედვში მდგარა თეიმურაზ მეფე, როდესაც იგი აქედან განდგომილ გივი ამილახვარს ებრძოდა.[200]

XIX ს. 80-იანი წლების მონაცემებით, ერედვი პატარა ლიახვის ხეობაში ერთ-ერთ დიდ და ეკონომიკურად ძლიერ დასახლებას წარმოადგენდა, რომელიც 210 კომლზე მეტს ითვლიდა, აქედან თავადაზნაური იყო ათი კომლი. მიუხედავათ ამისა — იტყობინებოდა „ივერია“ — „რაოდენ საწყენი უნდა იყოს ის გარემოება, რომ სოფელში თითქმის არ მოიპოვებოდა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი. ასეთ დიდ სოფელს არც სამრევლო და არც საერო სკოლა არ გააჩნდა. სოფლის მეორე უბედურება უწყლოობა იყო, თუმცა უამრავი წყაროებია მის ირგვლივ და მოთავე არავინ იყო რომ მათთვის თავი მოეყარა. უკანასკნელ წლებში სოფელს

---

[199] ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 76.
[200] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 82.

მოუსავლიანობა ატყდებოდა თავს, თუმცა სარჩო-საბადებელი კი ჰქონდათ. ვენახს ხშირად უჩნდებოდა ნაცარი და წამლობას არ უტარებდნენ. 1894 წლის ცნობებით, განუწყვეტელი წვიმების გამო არაფერი ჰქონდათ დათესილი, თუ მეორედ არ მოიხვნებოდა ანეული „ორხლით“ ისე არაფერი მოვა“.[201] 1818 წ. მონაცემებით, სოფელი სახაზინო იყო და შესდგებოდა: 31 კომლით, 99 სავარგულით, 69 დესეტინა სახნავით. აქ ქურდბაცაცები არ აკლდათ, იშვიათად თუ შევხვდებით ვენახს რომ ნაკრეფი არ იყო. იკარგება ძროხა, ხარი, ღორი და სხვ. ერთ გლეხს, რომელიც ღორების მოშენებას მიზედეს ქურდებმა შეაწუხეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ფრთხილი კაცი იყო. მერე განაცხადა: თუ კიდევ არ მომეშვებით თოფს გესვრითო. და მართლაც როცა ქურდები ესტუმრნენ და ღორების გარეკვას აპირებდნენ ესროლა. როგორც თავად თქვა სამნი ყოფილან და ერთი წაბარბაცდა სროლისას და ორმა ხელი მოჰკიდეს და წაიყვანესო. ერთი-ორი დღის მერე სოფელში ოსები დადიოდნენ ღვინის საყიდლად და როცა უთხრეს, რისთვის უნდათ, თქვეს, რომ მავანი კაცის შვილის დასამარხად გვინდაო. გლეხი კი ამტკიცებდა ეგ ჩემი მოკლულიაო. არ არის დიდი ხანი რაც ზემოხსენებული ოსები დააყენეს ადგილობრივმა მამულის პატრონებმა და აჩეხინებენ ტყეს. თავლიდგან გაიყვანეს თავად ფაველენიშვილის ულაყი 7-8 თუმნად ღირებული, რომელსაც 7-8 მოსამსახურე ჰყავდა — სად იყვნენ ისინი! და უნდა სოფლისგან იზღოსო“.[202]

ოსების მხრიდან იმდენად მოიკიდა ფეხი ქურდობამ, რომ სოფლების დმენესისა და სათიხარის მოსახლეობამ 1889 წელს მოიწვიეს სპეციალური ყრილობა, რომელიც ითავა დმენესის სამამასახლისომ, სადაც განაჩენი იქნა გამოტანილი იმის თაობაზე, რომ აერჩიათ ხევის კაცები ათი კაცის შემადგენლობით, თითო სოფლიდან ხუთი, რათა სოფლები დაეცვათ-ეპატრონათ. და თუ ისინი ამას ვერ შესძლებდნენ, მაშინ ამორჩეულთ გადახდებოდათ ათ ათი მანეთი ჯარიმა.[203]

---

201 „ივერია“, 1889.
202 „ივერია“, 1898.
203 „ივერია“, 1889.

საქართველოში მოსახლეობის სიჭრელესთან ერთად, ბუნებრივია დიდი ცვლილებები მომდინარეობდა სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარების მიმართულებითაც. ამ შემთხვევაში პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობის, განსაკუთრებით მის ზედა წელში, სუსტდება და ასიმილაციას განიცდის ადგილობრივი, ქართული ცხოვრების წესი-ტრადიციები, სადაც ფეხს იკიდებს მისთვის უცხო, რუსული თუ ოსური ელემენტები. ამ ტერიტორიაზე გადმოხვეწილ გადამთიელთა შედეგად, რუსული პოლიტიკური მმართველობის მხარდაჭერით, ხელფეხგახსნილი მომხდური იმდენად ლაღად გრძნობდა თავს, რომ ადგილობრივ თავადაზნაურთ და მემამულეებს სადავოდ უხდიდნენ მამაპაპეულ ადგილსამყოფელს. ასეთ პირობებში, მუდმივად დასახლებულ უცხო მოსახლეობას თავისი ადათ-წესები შემოჰქონდა და გარკვეულ წილად ადგილობრივ მკვიდრს თავს ახვევდა მისთვის მიუღებელ, უცხო გადმონაშთს.

ამ მხრივ აღსანიშნავია XIX ს. 80-იანი წლებისათვის ქართლის ამ რეგიონის მოსახლეობის ცხოვრებაში დამკვიდრებული საქორწინო — „ურადის“ გადახდის მძიმე სოციალური მოვლენა. „ურადით“, სასიძოს სასიმამროსათვის უნდა მიეცა რამოდენიმე ხარი, ძროხები, ქვაბები, ხმალი, ხანჯალი, თოფი, დამბაჩა და რამოდენიმე თუმანი. ხოლო მიცვალებულისას „აღაპის“ წესით რაც უნდა ღარიბი ყოფილიყო დაზარალებული, ვალდებული იყო ეყიდა რამოდენიმე კოკა ღვინო, დაეკლა ხარი ან ძროხა, ერთი ან ორი ცხვარი და გადაეხადა ქელეხი. ამასთან ქელეხს წელიწადში თითქმის ხუთჯერ იხდიდნენ: დამარხვისას, ორმოცზე, ამაღლებას, მარიამობას და წლისთავზე.[204]

ურადისა და აღაპის ასეთი დამძიმებული ფორმა, როგორც ჩანს ოსური მოსახლეობის ზეგავლენის შედეგი უნდა იყოს, რომელიც ბუნებრივია მძიმე ტვირთად აწვა ისედაც გაღატაკებულ ხალხს. იმ შემთხვევაში კი თუ ოჯახს შეძლება არ ჰქონდა, მაშინ მას გაუყიდიდნენ ავეჯს, უგირავებდნენ ან გაუყიდიდნენ მიწას და სხვ. მაგალითად, სოფ. დისევში ერთ მიცვალებულ ოსს დარჩა ერთი ძროხა და ერთი დღის მიწა. ქვრივს არ უნდოდა აღაპის ფართოდ გადახდა, მაგრამ ახლობელ-მეზობლებმა

[204] „იერია“,1886.

ძროხაც დაუკლეს და მიწაც დაუგირავეს. ამიტომ ქვრივმა შვილები აქაიქ დაარიგა და თვითონა მოსამსახურეთ წავიდა.[205] ამგვარი მაგალითები კი საკმაოდ ბევრი იყო. ამიტომ, სოფ. გერში 1886 წ. ნოემბერში შედგა საზოგადოების ორი ყრილობა სოფ. ორტევისა და ჭვრივის, რომელსაც უნდა დაეგმო ურადისა და აღაპის აღნიშნული წესი, სადაც ბლაღოჩინმა ფილიეემა სთხოვა ხალხს დაენებებინათ ამისათვის თავი და დაადგინეს: „მოხუცებულობისას სიკვდილის დროს სარჯი შეძლებისდაგვარად, ამაღლებას ერთი ცხვარი და ბატკანი დაუკლას, მარიამობას ერთი ცხვარი და მეტი არაფერი, ურადში სასიძომ მხოლოდ ერთი ძროხა, ხარი და ოთხი თუმანი ფული“. ვინც აღნიშნულ გადაწყვეტილებას დაარღვევდა თუმანს გადაიხდიდა ვანათის სკოლის სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ეს სკოლა ოსების თაოსნობით გახსნილა და მათიეედ ითვლებოდა, მაგრამ 50-დან მხოლოდ 18 ოსი სწავლობდა, რის მიზეზიც ოსთა სიშორე და ბინის ქირის სიძვირე ყოფილა.[206]

ხეობის ზედა წელის თვალწარმტაც ადგილზე მდებარეობს ისტორიულად ერთ-ერთი ძველი სოფელი კულბითი. ვახუშტის აღწერით: „არბო-წმიდის ეკლესიის ზეით ერთვის პატარა ლიახვს აღმოსავლეთიდამ მერის-ხევი. ამ ხევზე აღმოსავლეთით არს, ორბოძლის მთის კალთასა ზედა, კულბითს ციხე. კულბითს ქვეით მიერთვის ამ ხევს ლაფაჩების-ხევი“.

გადმოცემით თურმე ეს ადგილი თავისი ტყით, მეფე დავით აღმაშენებელს უბოძებია ერთ-ერთი ქართული ოჯახის ოქროპირიძეების წინაპართათვის — ჩოჩიშვილებისათვის, რომელნიც ხეობის ზემო ადგილებიდან გადმოსახლებულან. როგორც ჩანს, ამ გვარს მეფის ყურადღება დაუმსახურებია თავიანთი ერთგულებით და მისივე ნებადართვით მათ ამოურჩევიათ ეს ადგილ-სამყოფელი. ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე, დავითის მიერ ნაბოძები სიგელი, რომელიც XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ დაცული იყო ოქოროპირიძიანთ ოჯახში. სოფლის თავში ცივი და ანკარა წყაროა, რომელსაც „წაბლაწყაროს“

---

[205] „იეერია“, 1886.
[206] „იეერია“, 1886.

ეძახიან და გადმოცემით გაციებული კაცი თუ იქ იბანავებდა უმალ იმ-კურნებოდა-ო სათანადო მონაცემებიდან ჩანს, რომ აღნიშნულ სოფელში ხშირად უცხოვრიათ ქართველ მეფეებს და მათ შვილებს. ცნობილია აგრეთვე რომ ამ ხუთასი წლის წინათ აქ ცხოვრობდა მეფის-ძე გოჩა /გიორგი/ — იტყობინებოდა „ივერია“ 1889 წელს. ეს სოფელი ძლიერ ყვარებია აგრეთვე ერეკლე II შვილს იულონს, რომელიც აქ ჩერქეზიშ-ვილების ოჯახში აღიზარდა და ხშირად მუხის ძირში დრო უტარებია. მაშინ, როდესაც იუოლონი იძულებული იყო იმერეთს წასულიყო, თან ერთგული მხლებლებიც, მათ შორის ფირანაც ახლდა, რომელიც იულო-ნის შეპყრობის დროს ლეკებს თავგანწირული კაცი ლუკმა-ლუკმად აუ-კუწიათ და ივანე შევარდნაძეს დაკეპილი სხეული კალათაში ჩაულაგებია და კულბითის მიწისათვის მიუბარებია.[207] ამ სოფელში „ივერიის“ კო-რესპონდენციით, ოდესღაც 12-მდე ეკლესია ყოფილა, რომელთაგან დღე-ვანდლამდე მხოლოდ ერთი, ისიც დანგრეული სახით შემორჩა და რო-გორც ამბობენ გოჩასაგან-გიორგისაგანაა აშენებული. ეკლესია თლილი ქვითაა ნაშენი, რომლის დასაცავად მასვე აუშენებია ქვიტკირის მკვიდრი კედელი-გალავანი კოშკებით. ეს ლამაზი კომპლექსი კარგად ჩანს 40 ვერსიდანაც, რამდენადაც იგი მაღალ გორაკზეა ნაგები.

ნეტარსვენებული გოჩას შემდეგ — იტყობინება „ივერია“ — რო-მელიც ჩრდილოეთის სვეტისა და სამკვეთლის შუაში განისვენებს, მისგან აშენებულ ეკლესიაში არ შეწყვეტილა წირვა-ლოცვა და ამ რამდენიმე წლის წინად საყდარში შტატიც იქნა ოქროპირიძეების მიერ განახლე-ბული-ო.

გოჩას ეკლესიის შესასვლელში ესვენა სასწაულმოქმედი ხატი — ხვთისმშობლისა, რომელიც ჯერ ჩერქეზიანთს ოჯახში სვენებულა და მერე ეკლსიისთვის შეუნახავთ. ეს ხატი, როგორც ამბობენ მოუტანიათ იერუსალიმიდან და არის ნამდვილი პირი ივერიის ხვთისმშობლისა, რო-მელიც ზღვაზე სასწაულებრივ გამოსცხადებია ქართველ ბერს — გა-ბრიელს. ეს ხატი იტყობინება „ივერია“ — ჟამთავითარებისაგან დაძველე-ბულია, წამალი ადგილ-ადგილ გადასვლია, მხატვრობა ბუნდად ჩანს. ამ

---

[207] „იევრია“, 1889.

უკანასკნელის გარემოებით აიხსნება ხალხის ღრმა რწმენა, რომ ხატი იღრუბლებაო.[208] დროთა ვითარების გამო, გოჩას ეკლესია ძლიერ დაძაბუნებულა, ჩრდილოეთის მხარე დაირღვეულა და აღმოსავლეთის მხარეს საძირკველი გამოსჩენია. გარედან კედელისა და ფრონტებს-კალთებს თითქმის სულ შემოცლილი ჰქონია თლილი ქვები, კალთებიდგან სინათლე ჩამოდიოდა. ეკლესია თუმცა მაგრად სდგას, მაგრამ არც იმას შერჩენია სახურავი. სამწუხარო იყო მისი მდგომარეობით, რომ ხალხი ძალიან ლოცულობს აქ და ამიტომ დიდად უკმაყოფილო იყო, ეკლესია დაინგრეოდა თუ ადგილობრივ მღვდელს მამა გაბრიელს რომ არ ეთხოვა გასაახლებლად საქართველოს ეგზარხოსისათვის პალადისათვის კომიტეტის დაარსება. ამ კომიტეტში თავად მღვდელის გარდა შესულან გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ივანე დავითისძე სულხანიშვილი, გიორგი იორენიმესძე საძაგელოვი და ინსპექტორი მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელის საზოგადოებისა მღვდელი მამა ლეონიდე.[209]

საქმის დაწყებამდე, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელიც მთელ საქართველოში ცნობილია, როგორც უხვი გამღებელი შეწირულობისა, კეთილ ინება და შესწირა 10 თუმანი. კომიტეტი უკვე შეუდგა ნაკისრ საქმეს. შეეკრა ოსტატ ბერძნებს პირობითა და იმედი აქვს, რომ ამ ენკენისთვის გასვლამდეს ნახევარ საქმეს მაინც შეასრულებენ. ამდენად ამ მოკლე ხანში განახლებულ ნიქოზის ტაძარს მიემატება გოჩას ეკლესიაც.[210]

აქვე უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, არაერთი ეკლესია-ტაძარი იქნა აღდგენილი, აქტიურად მიმდინარეობდა სამრევლო სკოლებისა და სემინარიების გახსნა. ლიახვის ხეობისა და საერთოდ ქართლის მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში ოდითგანვე, უპირველესი ადგილი ეკავა ქართულ ეკლესიას, მართლმადიდებლობას, რომლის მრევლსაც წარმოადგენდა ახლად შემოდინებული ხიზან-ლტოლვილთა ის ძირითადი ნაწილიც, რომელიც განსა-

---

208 „იერია“, 1889.
209 „იერია“, 1889.
210 „იერია“, 1890.

კუთრებით ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოდიოდა. ამავე დროს ქართლის მოსახლეობის ერთ ნაწილში შეინიშნებოდა გრიგორიანული სარწმუნოების გავრცელების შემთხვევებიც, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო ზოგიერთი სომეხი საეკლესიო პირისა და ვაჭარ-ხელოსნის აქტიურობითა და ზემოქმედებით. ამის საილუსტრაციო მაგალითია თუნდაც სოფ. ტყვიავის მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები, სადაც 1873 წლის მონაცემებით: გოგუაშვილების, მერებაშვილების, ქარელების, დალაქიშვილებისა და ხაბაზიშვილების გვარები მართლმადიდებლებად არიან დაფიქსირებული, ხოლო მომდევნო 1886 წ. დავთრების მიხედვით კი მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გრიგორიანელები არიან, თუმცა სასაუბრო ენა ქართულია. ამასთან, ერთად, თუ აქამდე მათი ოჯახების წევრთა სახელები იყო: იოსები, სვიმონი, ელიზბარი, სპირიდონი, გლახო, ზურაბი, გიორგი, მიხეილი, სოლომონი, სანდრო, არჩილი, ნინია, ნიკოლოზი, ზაქარია, გოდერძი და სხვ. ე.წ. სომეხი ტერტერას აქტიურობით მათ გარკვეულ ნაწილში ჭარბობს სომხური სახელები: არტაშა, არშაკა, არუთინა, ავეტიკა, აშოტა, აკოფა, ოვანესა, ვარსენიკა, შუშანა, სუსანა, გაიანე და სხვ.

თანამედროვე სოფ. ტყვიავის ჩრდილოეთით, მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ნასოფლარი, რომელიც ცნობილია „ძველმაღალის“ სახელწოდებით. ნასოფლარზე წარმოქმნილია ხელოვნური გორა ე.წ. „ხარის გორა“, სადაც 1938-1940 წლებში განხორციელდა არქეოლოგიური გათხრები. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ენეოლითის პერიოდის მატერიალური კულტურის მდიდარი ძეგლები: ქვის, კაჟისა და ბრინჯაოს ხანის საოჯახო, სამეურნეო და საბრძოლო იარაღი-ინვენტარი, საკულტო საგნები. აქვე აღმოჩენილია ადამიანის 42 ჩონჩხი სხვადასხვა დანიშნულების საგნებით: ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭელი, ქვის ხელსაფქვავი, სპილენძის სადგისები, ნემსები და სხვ., ამასთან, აღმოჩენილი ქვევრების ერთი ნაწილი სამარხებადაც ყოფილა გამოყენებული.

აღნიშნული მასალების მიხედვით, სამარხები წინაისტორიულ ხანას, სახელდობრ ენეოლითის პერიოდს მიეკუთვნება, რომელიც მესამე ათასწლეულის პირველი ნახევრით, ანუ ძვ.წ.ა. 2500 წლით თარიღდე-

ბა.[211] აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ აღმოჩენილი უძველესი კულტურის ნაშთები ერთადერთი როდია პ. ლიახვის ტერიტორიაზე, რომელიც მეტყველებს ხეობის მოსახლეობის უწყვეტ ციკლზე. ენეოლითის ხანიდან ვიდრე ბრინჯაოსა და რკინის პერიოდის ამსახველი მატერიალური კულტურის ძეგლები მიკვლეულია აგრეთვე სოფ. ფლავისმანისა და ცხინვალის ტერიტორიაზე.[212] ხოლო რაც შეეხება წერილობით წყაროებს, აღსანიშნავია ლეონტი მროველის (VIII ს.) ცნობები, რომელიც გვამცნობს ამავე რეგიონის უძველესი წარსულის ცალკეულ მოვლენებს.[213]

პ. ლიახვის ხეობის ქვედა წელზე, ტყვიავი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს დასახლებას, რომელმაც ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შეძლო დაებრუნებია ის ტრადიციული კულტურულ-ეკონომიკური პრიორიტეტი, რომელსაც რეგიონალური მდგომარეობა კარნახობდა. სოფელი გაშენებულია ხეობის იმ ნაწილში, სადაც მდინარე ლიახვის დინება და აუზი ერთობ ფართოა, წყალუხვია და დატოტვილი, რომელსაც სისწრაფეც შესაბამისად აქვს შენელებული.

XVIII-XIX სს. მიჯნაზე ქვეყანაში მიმდინარეობს მძიმე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებით მძიმე პირობებში, განსაკუთრებით აქტიურდება ჩრდ. კავკასიის ხალხთა — უმთავრესად ოსთა ფარული თუ ღია ანექსია. ბატონყმობის გაუქმებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი და დააჩქარა განსაკუთრებით ხეობის ზედა წელის ქართული მოსახლეობის ბარად ჩამოდინების პროცესი, რომელიც გამოწვეული იყო მომხდურთა ზეწოლით. ისე, რომ ქართულ ნასოფლარებს იკავებს ოსური მოსახლეობა და ამგზით — ჩნდება მათი კომპაქტური დასახლებებიც, რომელიც მეფის რუსეთმა ე.წ. „ოსურ ოკრუგად“ აღიარა. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა ქართლის

---

211 ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943 წ.

212 ო. ჯაფარიძე, ცხინვალის განძი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI, 1950, გვ. 99.

213 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955, გ. 54-55.

ჩრდილოეთის ადმინისტრაციულმა ტერიტორიებმა. გარდაუვალი გახდა აქ გამავალი ისტორიული, სატრანზიტო გზებისა და გადასასვლელების მეთვალყურეობა-დაცვითი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ქართლის მჭიდრო ურთიერთ კავშირი რაჭა-იმერეთის მოსახლეობასთან ჩრდ. დასავლეთის მხრიდან, გორი-ტყვიავი-ცხინვალის გზატკეცილით.

ქართლიდან რაჭა-იმერეთზე გამავალი გზა-გადასასვლელი, კიდევ უფრო აქტიურ დატვირთვას იძენს და გორი-ხაშური-ჭუთაისის მიმართულების გზატკეცილთან ერთად, ქვეყნის ერთიანობის სტრატეგიულ სიმბოლოდ ყალიბდება. ამ მიზნით, დიდ და პატარა ლიახვებზე იგება კიდევ უფრო გამტარუნარიანი კაპიტალური ხიდები. ისე, რომ აღნიშნულმა გარემოებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტყვიავის (როგორც მასზე გამავალმა გზამ) როგორც მოსახლეობის რაოდენობრივ, ისე თვისობრივ მახასიათებლებზე, რამაც ამავდროულად გამოიწვია გეგმაზომიერი დასახლების, სოციალურ-ეკონომიკური და ნაციონალურ-სარწმუნოებრივ სფეროში არსებითი ცვლილებები.

სოფელი იზრდებოდა ძირითადად ლიახვის მარცხენა ნაპირის გასწვრივ ტერიტორიაზე, რომელიც სამეურნეო თვალსაზრისით რიყიან, ნაკლებად ასათვისებელ ადგილებად ითვლებოდა. აღნიშნული პროცესი საერთოდ დამახასიათებელია საქართველოს სამიწათმოქმედო სექტორში, რამდენადაც ნაყოფიერ და სარწყავ ადგილებს სწორეთ ამ მიზნისათვის იყენებდნენ, ხოლო ნაკლებად ასათვისებელს კი საკომუნიკაციოდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტყვიავმა შედარებით ნაკლებად განიცადა ე.წ. „ლეკიანობისა“ და „ოსიანობის“ თავდასხმები. თუმცა დოკუმენტების მიხედვით, გარკვეულ წილად მოსახლეობის ამ ნიადაგზე შევიწროვების არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. ისე, რომ ამგვარი გამონაკლისების მიუხედავად, აღნიშნული გზაკეცილის გასწვრივი სოფლების მოსახლეობა განუხრელ ზრდას განაგრძობდა. სოფლების ზრდა-განვითარება ძირითადად მიმდინარეობდა მებატონეების მოწადინებით და თაოსნობით, რომლებიც რეგიონის შიგნით ხორციელდებოდა (ქსნის, არაგვის, ლიახვის ხეობები, ზემო იმერეთი, ზემო რაჭა).

ტყვიავის ზრდა-განვითარების პროცესი, განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა XIX ს. II და XX ს. I ნახევარში, როდესაც იწყება ქსნის საერისთაოს საზღვრების კიდევ უფრო გაფართოება შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და შემდეგ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის გამოცახდებით. სწორეთ ამ პროცესებს უკავშირდება სოფლების აღორძინებითი სამუშაოების გაფართოვება: მიწათმოწყობითი, სარწყავ-საირიგაციო გაყვანილობა-ნაგებობათა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური მოწყობის, საცხოვრებელ-სამეურნეო, საკომუნიკაციო ნაგებობათა და სხვ. ღონისძიებების განხორციელება. საზოგადოების განვითარების შესაბამისად, იცვლება კლასობრივი ურთიერთობის ხასიათი, სათავადოებსა და სააზნაურო მფლობელბას დაქვემდებარებული დაბალი ფენის გლეხობის წინაშე ახალ-ახალი პრობლემები ისახება., საფეოდალოებს შორის გამწვავებულ ურთიერთობას ეწირება აგრეთვე აზნაურთა უფლებები, რაც გამოიხატებოდა მათ მკვეთრ დაპირისპირებაში და სამეფო ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებაში. 1800 წ. ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია საციციანოდან ნიკოლოზ ციციშვილის ჩივილი მეფესთან თავის აზნაურებზე მაღრაძესა და კლიმიაშვილზე: „ამ ჩემს აზნაურიშვილს (კლიმიაშვილს) ჩემი ბატონყმობა არ უნდა და ის მტანჯავს“-ო. ეს ორი აზნაური თვითნებურად რუსეთს წასულან, სადაც 4 წელი დაუყვიათ და „ახლა მოვიდნენ, თეთრი მოიტანეს, ახლა ყმასა და მამულსაც მართმევენ“-ო. იმავე ციციშვილების აზნაური, რუისელი დაფქვიაშვილი, რომელიც ინტენსიურად ეწეოდა მამულების შესყიდვას, ცდილობდა დამოუკიდებლობის მოპოვებას. იგი საამისოდ 1771 წ. მეფისაგან უშუალოდ ღებულობს ყმის სახელმწიფო ბეგარისგან განთავისუფლების წიგნს იმ საბაბით, რომ საკუთარი ძალებით თავის მამულში კოშკი ააშენა. მაგრამ ციციშვილი თავისი მეთოდებით შეებრძოლა დაფქვიაშვილის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. ისე, რომ XIX ს. დამდეგიდან აღნიშნული პროცესები კიდევ უფრო მწვავდება და მოსახლეობის შიდა მოძრაობა. საცხოვრებელი ადგილების მონაცვლეობა აქტიურ ფაზაში შედის, რის უმთავრეს საფუძვლად 1861 წ. მანიფესტი — ბატონყმობის გაუქმება წარმოადგენდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან ტყვიავი შესამჩნევ აღორძინებას განიცდის. 1818 წ. კამერალური აღწერის მიხედვით, სოფელში ცხოვრობდა 47 კომლი (230 მამაკაცი, 160 ქალი). აქედან სახაზინო გლეხი იყო 3 კომლი (4 კაცი, 3 ქალი), საბატონო 6 კომლი (22 კაცი, 14 ქალი), 1 კომლი საეკლესიო (2 კაცი, 2 ქალი)., ამავე წელს მეორე მონაცემებით ტყვიავში ცხოვრობდა: სახელმწიფო კომლი – 5, საეკლესიო – 1, საბატონო – 45 და თავისუფალი 5 კომლი, ანუ სულ 56 კომლი.[214]

სოფელში ცხოვრობდა და შესაბამისად ყმა-მამულებსაც ფლობდა 6 თავადი. აქედან ქსნის ერისთავებად წოდებული 4, ფავლენიშვილი 1 და ნატროშვილი 1. რაც შეეხება აზნაურებს აქ ცხოვრობდნენ: ძამელაშვილები, კორინთლები, ჩიხლაძეები, ყორაშვილები (ხოლო სურამელის ერთი ოჯახი, რომელიც ქართლის ერთ-ერთი ძველი თავადების შტო უნდა იყოს, დოკუმენტებში არ ფიქსირდება). აღნიშნული პერიოდისათვის სოფელში ცხოვრობდნენ კომერსანტები: ხოროვიჭი, რაზმაძე, მერებაშვილი, მდივან მწიგნობარი მართლმადიდებელი თამაზ ქარელი და სომეხი მღვდელი არშაკონოვი გიორგი.[215]

1873 წ. მონაცემებით, ტყვიავში მიწის საკუთრებით ცხოვრობდა მხოლოდ 2 კომლი, სახაზინოს წარმოადგენდა 5, მეპატრონის უფლებით – 8, დროებითვალდებული იყო 108 კომლი, სულ 123 კომლი (380 მამაკაცი, 333 ქალი). ამ დროისათვის შედარებით მრავალრიცხოვანი გვარი იყო: ქარელი, გიგუაშვილი, ოდიაშვილი, ლობჯანიძე, კოშუაშვილი, ოქრუაძე (ოქრუაშვილი), ხაბაზიშვილი, პაპანაშვილი (პაპიაშვილი), პაჭუაშვილი, ჯაშაშვილი, კეცხოველი, პავლიაშვილი, დალაქიშვილი, ბაშარული, მუჩაიძე, შერმადინი, ტერტერაშვილი, ლიჩელი, ყურთულაშვილი, ხუბაშვილები და სხვ.[216]

1886 წ. თბილისის სახელმწიფო პალატის საოჯახო სიის მიხედვით, ტვიავის სასოფლო საზოგადოებაში დაფიქსირებულია: „ოქრუაძე ალექსი სიმონის ძე 32 წლის, ქართველი; ისაკა გაბრიელის ძე ოქრუაძე

---

214 სსცია, ფ. 254, №1. საქ. 80.
215 იქვე, საქ. 8.
216 სსცია, ფ. 254, №3. საქ. 378.

25 წლის, ქართველი; ოქრუაძე სპირიდონ სიმონისძე 40 წლის ქართველი; ოქრუაძე გლახო თედოს ძე 34 წ., იოსებ სპირიდონის ძე ქარელი – 25 წლის, ქართველი, მართლმადიდებელი; გიორგი ზურაბის ძე ქარელი 53 წ. ქართველი, მართლმადიდებელი; დარჩო გიგოს ძე წლინახევრის,; სარქისა სიმონის ძე ქარელი, გრიგორიანი; არშაკა სოლომონის ძე ქარელი, გრიგორიანი; გიგოლა სოლომონის ძე 17 წლის; ნინიას ძე (სახელი არ იკითხება) 32 წლის გრიგორიანი.; მოსე სოსიას ძე 60 წ. გრიგორიანი; ივანე კიკოლაძე 40 წ. გრიგორიანი; გაბო 17 წ. მალხაზი – 45 წ. გაბო – 18 წ. ივანე 17 წ. თედო 43 წ. გიო 28 წ. პეტუა 27 წ. იაკობ 21 წ. სოსია ზურაბის ძე მერაბიშვილი 70 წ. ნაზარა 15 წ. ვანო 26 წ. ზაქარია 10 წ. მიხეილი $1^1/_2$ წ. ნაზარა 35 წ. სოლომონ 24 წ. ფარსადანი 28. მიხეილი 18 წლის ქარელი, გრიგორიანი; (სასაუბრო ენა – ქართული) ..., ფარსადან რევაზის ძე, ნაზარა 18 წ. გაბრიელ 53 წ. ნინია 53 წ. მელქუა 45 წ. გიგოლა 28 წ. ბაღდასარა 33, მიხეილი 28 წ. წყალობა 25 წ. მოსე 45 წ. გლახო 40 წ. კარგო ნიკოლოზის ძე ყურთულაშვილი 20 წ. ქართველი; ისაკა და იაკობ პაპანაშვილები, ქართველები, ზაქრო იოსების ძე ჯაშაშვილი; თედო ხადური; ზაქარია ლობჯანიძე, მიხეილ, გოგია და თედო გაბაშვილი; ივანე ჩიქლაძე ზაქრო, პეტრე, გიორგი, მიხეილი; ჯაშაშვილი გიორგი, ბესო; ბერუა ხოროვიჭი; ანდრო ჯაშაშვილი; რაზმაძე გიგო, იასე; დიმიტრი, შიო, ღვთისავარ ხოროვიჭი; ჩიქლაძე გიორგი, ღვთისავარ; გიორგი და სტეფანე დალაქიშვილი, ქართველები; იოსებ გრიგოლისძე პაველიაშვილი 38 წლის ქართველი, მისი შვილი გრიგოლი (2 წლისა და 8 თვის), ცოლი ერმონა ჩიქლაძე (29 წლის) ქართველი; რაზმაძე დათუა, ღვთისავარ; წყალობა, პაველე, ისაკა, სამსონი მიხეილი, ვასილი პაპიაშვილი; ანდრო, ფარსადან, სოლომონ, ტეფო, გეორქა, გაბრიელ გიგუაშვილი; ალექსანდრე ჩიხლაძე; გრიგოლი, იოსები, ივანე, შიო, გაბრიელი, გლახო, იაგორ შერმადინი".[217]

რაც შეეხება ტყვიავის თავადთა ყმა-გლეხების მფლობელთა ვინაობას 1873 წ. კამერალური აღწერის მიხედვით ვგებულობთ: „რევაზ

---

217 სსცია, ფ. 254, №2. საქ. 1706.

ლუარსაბის ძე ერისთავს ეკუთვნოდა სულ 18 კომლი. მათ შორის: ფარსადან, აბრამა, ბაღდუა, ივანე, ვანო და გიგუა გიგუაშვილები, იასონ მერაბიშვილი, ქიტესა, გიორგი, იოსებ დალაქიშვილები, სპირიდონ და გაბრიელ ჩიქლაძეები. გიორგი, თედო და ზაქარია ლობჟანიძეები, ბენუა ხოროვიჭი, გიორგი მოსიაშვილი, გიორგი (გიგო) ისაონის ძე პავლიაშვილი, ძმა მისი სოსია (ოჯახში 3 კაცი, სამი ქალი); თავად ალექსანდრე პავლესძე ერისთავის 8 კომლი: ნინია და ალექსი ჩიხლაძეები, იასე რაზმაძე, ღვთისწყალობა, მალხაზ, ქიტესა და ივანე ქარელები; თავად ალექსანდრე ლევანისძე ერისთავის 15 კომლი: იოსებ, ზაქარია, მიხეილ, გიორგი ქარელები, ზურაბ მინდიაშვილი, ნანია და სიმონ გიგუაშვილები, ანდრო პავლესძე პავლიაშვილი, ვასილ პავლესძე პავლიაშვილი, დიმიტრი რაზმაძე, სიმონ და სოსია პაპიაშვილები, ნიკოლა, ლაზარე და გაბრიელ მერაბიშვილები; პოლკოვნიკ თავად ელიზბარ ერისთავის 56 კომლი: ჩიხლაძე სოფიო – ქვრივი, რაჟდენ, ივანე და ვასილი ჩიხლაძეები, სოსია, გიორგი და ანდრო კოშუაშვილები, მიხეილ, ისაკა, ღვთისავარ, წყალობა და პაველე ხაბაზები, დათუა, ნინია (სოსიას მეორე შვილი არ იკითხება. დ.პ.), პეტუა, ღვთისო, ალექსი, ნინია, პეტია, გლახო, ბერუაძე, მოსე, მიხეილ, გაბრიელ გოდერძისძე, მიხეილ სოსიასძე ქარელები; იაგორ გაბრიელისძე შერმადინი, გიორგი, მიხეილ, ზაქარია, იასე, გიორგი ჩიხლაძეები; დიმიტრი ბაშარული, დათუა ხაბაზიშვილი, ზაქარა ქარელი, გიორგი ჯაშაშვილი, იოსებ ჯაშაშვილი, სოსია მერაბიშვილი, გაბრიელ რაზმაძე, ზაქარია ხიდაშელი, იასე რაზმაძე, იოსებ ნარიკაშვილი, სიმონ მეგრელიშვილი, გიორგი ოდიშვილი, აბრამა ოდიშვილი, ქიტესა ხუბაშვილი, გიორგი ფოსური, სოლომონ ხუბაშვილი, გლახა ყურთულაშვილი, გლახა ოქრუაძე, ალექსანდრე ქარელი, ბაადურ, კარლო და სიმონ ყურთულაშვილები, იასონ, ალექსანდრე, სპირიდონ და ალექსანდრე სამსონისძე ოქრუაძე, მათე, სოსია, სოლომონ და პაველე ოდიშვილები; ამასთან ერთად ელიზბარ ერისთავს დიდი მამულები, მათ შორის ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი ბაღი გააჩნდა სოფ. კარალეთში; თავად ლუარსაბ ერისთავს იმთავითვე ეკუთვნოდა: ზაქარია გაბრიასძე კოშუაშ-

ვილი; თავად ალექსანდრე პავლესძე ერისთავს — იაკობ იოსებისძე ქარელი; თავად დავით ერისთავს — გიორგი იოსებისძე ქარელი".[218]

1818 წ. კამერალური აღწერის მიხედვით, ტყვიავში ჩამოსახლებულთა შორის დას. საქართველოდან, 1804 წლამდე სოფელში დასახლებულა: გიორგი წერეთელი ოჯახით, ცოლით ორი შვილით და სიდედრით — იმერეთიდან; გიორგი კარბესა ცოლით და ორი შვილით — ტვიშიდან; გოგია ფხაკაძე ცოლით და ორი შვილით — ოსეთიდან და ა.შ. ჩანს, რომ სოფლის ზრდის პროცესში, გარკვეულ ადგილს იკავებს ხელოსან-ვაჭართა და კომერსანტთა გარკვეული კატეგორია, რასაც ადასტურებს 1849 წ. დოკუმენტური მასალა, სადაც აღნიშნულია ტყვიავში ახლად ჩამოსახლებული გლეხების: იოკიმე პანტელეიმონ და გიორგი ხოროვიჭვების კომერსანტული საქმიანობის შესახებ, რის გამოც, ისინი გირაოში — ვალში ჩადებულ ელიზბარ და ალექსანდრე ქსნის ერისთავებისაგან იძენენ და იფორმებენ საკმაოდ დიდ მიწებს. 1892 წ. საბუთის მიხედვით, პრივილეგირებულ მემამულეთაგან დაფიქსირებულია ტყვიავში აზნაურები: კორინთლები, ძამელოვები (ძამელაშვილი), პავლენოვი (ფავლენიშვილი) პელაგია და დიმიტრი კაციევიჩი — აზნაურები. პელაგიას აქვს 15 დღიური, ხოლო დიმიტრის 30 დღიური მიწა. ამისთვის პირველი იხდის 45 კაპ. მეორე 90 კაპ. ამასთან, ეს უკანასკნელი სამეურნეო მოწყობილებების გადასახადს იხდის 1 მან და 80 კაპ., პავლენოვებს იასე რომანისძეს, გააჩნია მიწები ტყვიავში, მარანაში, ცხინვალში, დიდ მეჯვრისხევში, ფავლენოვ დიმიტრი კირილესძეს ტყვიავში, მარანაში და ძევერაში, ხოლო ზაქარია ივანესძე ფავლენოვს აქვს მიწები სარაბუკში და დვანში, ფავლენოვი ნინა ილიას ასულს ერედვში, ფრისში და თორტიზაში. სხვა ფავლენოვებს ერედვში, ფრისში (ამ უკანასკნელის საცხოვრისი არაა მითითებული) ამას მოსდევს აგრეთვე 14 პირი ფავლენოვების, რომელნიც აზნაურებადაა მოხსენიებული.

აღნიშნულ საბუთში 176 პრივილეგირებულთა შორის იყვნენ ტყვიავში მცხოვრები 15 პირი: გაბუნია მერაბი, რომელსაც მიწები გააჩნდა აგრეთვე ფლავში და მარანაში, ძამელოვი გიორგი დიმიტრისძე (აზნაუ-

[218] სსცია, ფ. 78, №1. საქ. 3518.

რი), ძამელოვი ილია დიმიტრისძე (ტყვიავში), კორინთელი ქრისტინე (ტყვიავში), კორინთელი მიხეილი (ტყვიავი, ქერე), კორინთელი პლატონ გიორგისძე (ტყვიავი, ქერე), კორინთელი ნიკოლოზ დავითის ძე (ტყვიავი), კორინთელი ივანე გიორგისძე (საკორინთლო), კორინთელი კონსტანტინე და კიკოლა (საკორინთლო), კორინთელი იასონ და გიორგი მიხეილისძე (საკორინთლო), კორინთელი ალექსანდრე სოლომონისძე (ტყვიავი), კორინთელი ელიზბარ დავითისძე (ტყვიავი), კორინთელი სიმონ დავითისძე (ტყვიავი), კორინთელი ნინა იაგორის ასული (ფლავი, ქიწნისი), ფავლენოვი (აზნაური), ტყვიავში, ძევერაში და მარანაში, ერეღვში, სარაბუკში და ფრისში აქვს მამულები, ერისთავ დავითს — მიწები აქვს: ფცაში, ქვეშში, ტყვიავში, ნაწრეტში, დიცში, მეჯვრისხევში, საქაშეთში, წერეთში, ფლავში, ფლავისმანში, ბნავისში, თეზში.[219]

XIX ს. 80-იანი წლების ტყვიავის შესახებ გაზ. „დროების კორესპონტენციაში ვკითხულობთ: ტყვიავი მდებარეობს ვაკეზე, ირწყვის პატარა ლიახვით. სოფელი დაფანტულია და მოცულია ბაღ-ვენახით, რომელნიც საკვირველ არიან ხილის ხეებით. ჰაერი აქ მშვენიერია, გზა იმერ და ამერ მდგარი ხეებით. ოდესმე სოფ. ტყვიავსაც სჭერია ადგილი ჩვენს ძველი ცხოვრების ისტორიაში (ნაგულისხმევია ძველ მაღალის დასახლება, დ.პ.) სხვათა შესანიშნავ სოფელთა შორის. ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ გეოგრაფიულ განყოფილებაში იხსენებს ტყვიავსაც: „სოფ. ტყვიავი პ. ლიახვის (პირზედ) სდევს მარცხენა ნაპირზედ, სადაც ქართველი მეფეების დროს არსენალი იყო, თოფ-წამალი და ტყვია-წამალი ინახებოდა“. ამ ჩვენ ახალ დროშიც თამაშობდა იგი არა მცირე როლს; ტყვიავს ქონდა სასოფლო ბანკი. რა სიცხარით მოეკიდნენ თავის როლებს აქაური ახალგაზრდები, მაგრამ მალე მოსწყინდათ აქ რიგიანი ახალგაზრდები თურმე მოიპოვებიან. უწინ აქ კარგი ტყვიავი იყო მეფე ლუთონისტე ფანქრეტასის არ იყოს უწინ აქ კამეჩებიც კი კომუნისტობდნენ. ეხლა კი როლები შეიცვალეს. აქაურები კარგად მდგარან. აი ვთქვი, როდესაც სოფელში შევედი და ვიხილე რიგიანად აშენებული სახლები. მდგომარეობა კარგი აქვს თქვენ ტყვიავს, რატომ აგრე უყუ-

[219] სსცია, ფ. 54, №3, საქ. 1270.

რებთ. აქაურებმა „აბსერვატორიაც“ გაიკეთეს, რომელსაც კოხტა სახელს უძახიან „აბსერვატიური პუნქტი“, ანუ ჩვეულებრივად სამზვერაო ადგილი. აი აქედან უცქეროდნენ, როდესაც „ყულბითის ციხეს“ და ერთ „აულს“ იღებდნენ. დიდ სიკეთეს უზამს ეს პუნქტი ვაკე ქართლს. მიწაში ხომ ვერ ჩააძერნენ ნაპარავს თორემ ამას არ გამოეპარებარა“

„სოფელი ტყვიავი შემკულია მამულ-ადგილით, მაგრამ საძოვარი ნაკლებად არის; ამიტომ პირუტყვი გამხდარია; საღამოზე ისრე უნდა ჭმევა, როგორც ზამთარში. ხალხიც ძალიან ღარიბად ცხოვრობს (გლეხობა), რადგან მამული მეტი წყლისგან გარეცხილია, დედამიწას გამოლევია ძალა, რომელიც შევსებას ითხოვს, მაგრამ გლეხობას უღონობის გამო ვერ გააქვთ მინდვრად სასუქი. წყლის რეცხვის გამო აქ მოყავთ მრავლად სიმინდი, რომელიც ძლიერ კარგი მოდის. ტყვიავში ცოტა შესვენების მერე, სადაც სტუმრად ვიყავით ი. რ-ჩი გაგვიმასპინძლდა ცივცივი ღვინით და თეთრი, ფუნთუშა ნაზუქით. ჩვენ გაუდექით გზას. პ. ლიასვი ერთობ ჩამომწყდარიყო. თუმცა კი რიყე დიდი დაეჭირა. მას კოლოები დახვედროდნენ და მიმტკიცებდნენ ანდაზის სინამდვილეს „კიდევ გნახავ შენ ლიახო, დაგხვეოდენ კოლოები; შიგ ბიჭები ბანაობდნენ და ფეხშველა გოგოები“.

როგორც ჩანს, სოფ. ტყვიავი არსებული დროის კვალობაზე საკმაოდ დაწინაურებულია, სადაც ქრისტიანული კულტურის ძეგლებიდან ფუნქციონირებდა: მიძინების ტაძარი-ეკლესია, ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ეკლესიები, სადაც უმთავრესად მოსული ღვდელმსახურები მსახურობდნენ, ხოლო მოგვიანებით კი ადგილობრივი მღვდელი — კეცხოველი სწირავდა. როგორც ჩანს, სოფლის მოსახლეობის საგანმანათლებლო კერებს სწორეთ ეს სალოცავები ასრულებდნენ, რამდენადაც 1886 წ. ცნობებით, აქ ჯერ კიდევ არ არსებობდა რაიმე სასწავლებელი, სკოლა. „ქართლში სამი სასოფლო სკოლაა: მეჯვრისხევში, ცხინვალში და რუისში. ეხლა ემატება ამ რიცხვს ხელთუბნის სკოლა. მეჯვრისხევის სკოლა არის სამჭედლო (ამბობენ მოსპესო) მოსაწონად მუშაობდნენ ბავშვები სამჭედლოში მ. ნათაძის ხელში. მის დროს მეჯვრისხევში 80-მდე მოსწავლე იყო სოფ. კარალეთში გარშემო ორი ვერსის მოცილე-

ბით ახვევია სოფლები; აქ სკოლა როგორ არ უნდა იყოს? ან ტყვიავში, ტირძნისში, ერედვში, მერეთში და სხვაგან. მაგრამ საქმეს გულის შემატკივარი უნდა".[220]

კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, სოფ. ტყვიავის მოსახლეობის მდგომარეობაზე, შესაბამისი წერილობითი წყაროების მიხედვით, აქ ძირითადად ერთმორწმუნე მართლმადიდებლები იყვნენ, სადაც მოსახლეობის ზრდასთან ერთად მათი სარწმუნოებრივი მდგომარეობაც იცვლება. აღნიშნული პროცესების დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, როცა 1873 წ. ტყვივის მოსახლეობის კამერალური აღწერის მიხედვით, თითქმის ყველა გვარი მართლმადიდებელია, მათშორის გიგუაშვილები, ქარელები, მერაბიშვილები, დალაქიშვილები, ხაბაზიშვილები, ხოლო 1886 წ. აღწერაში ისინი გრიგორიანებად გვევლინებიან. ამ აღწერაში არ არის დაფიქსირებული ეროვნება, რადგანაც ბუნებრივია ყველა ისინი ქართველები არიან და მითითებულია სალაპარაკო ენა ქართული. ამასთან დაკავშირებით არსებობს ისეთი ჩანაწერებიც, სადაც მოხსენიებულია სომეხი მღვდელი, ვინმე გიორგი არშაკუნოვი, რომლის „დამსახურებითაც" მომდევნო აღწერისას, სადაც სულ 172 კომლია დაფიქსირებული, აქედან 48 ოჯახის შემადგენლობას გრიგორიანობა აქვს მიწერილი. თუნდაც ის ფაქტი, რომ ტყვიავის მოურავის – ჩერქეზიშვილის კარის მდივან-მწიგნობარი ქართველი მართლმადიდებელი თამაზ ქარელი იყო და რომ იგი „ჩერქეზიშვილის ფარდად იყო აღებული", ეს დაწინაურება აზნაურულ წოდებაში შედარებით გვიანდელი – XVIII ს. ამბავი იყო,[221] ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ტყვიაველი მღვდელის 1792 წ. ერთ არზაში იულონ ბატონიშვილისადმი ნათქვამია: „ქარელი მდივანი კაი ყმა შეიქმნა და იმ სოფლის (ტყვიავის) მოხელე შეიქმნაო".[222]

ცხადია, რომ ქარელი, რომელიც 1814 წლის შემდეგ იხსენიება, ქართველია და ისტორიულად მართლმადიდებელი, სადაც ნათლად ჩანს,

---

220 გაზ. „იერია", 1884, №148.
221 სსცია, ფ. 48, №1, საქ. 3518.
222 სსცია, ფ. 48, №1, საქ. 1565.

აგრეთვე ამ გვარის საერთო ჩამომავლობიდანაც, რომელთა ძველი საცხოვრისი პატარა ლიახვის ხეობის ყოფილ სოფელს — ფაჩურს უკავშირდება, სადაც პირწმინდათ ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა. დიდი ალბათობით გამორიცხული არ არის, რომ ამ სოფლის ადგილას ახლა ლაფაჩების სოფელი იყოს აღმოცენებული. მით უფრო, რომ სახელწოდება ფაჩური და ლაფაჩი ერთი ფუძიდან უნდა იყოს წარმოებული.

ზემოაღნიშნულთან ერთად, კამერალური ჩანაწერები საყურადღებო ცნობებს გვაწვდის არა მარტო ცალკეული გვარების წარმომავლობის, არამედ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის შესახებაც. კერძოდ, ტყვიავის სინამდვილეში ოქროპირიძეები, ოქრუაშვილები, ოქრუაძეები ერთი წარმომავლობისანი უნდა იყვნენ, რომელთა ძირი პატარა ლიახვის სოფ. კულბითიდან მომდინარეობდა და როგორც ერთ-ერთ დოკუმენტშია აღნიშნული, მათი წინაპრები ჩოჩიშვილები ყოფილან. თითქმის ასეთივე გარემობასთან გვაქვს საქმე ტყვიავში მოსახლე პაპიაშვილების მიმართაც, რომელთა პირვანდელი გვარი პაპანაშვილი, ხაბაზიშვილების — ხაბაზი, ოდიაშვილების — ოდიშვილი და ა.შ. ამავე აღწერით, გარკვეულმა გვარებმა, როგორც ჩანს არსებობა შეწყვიტა ან სხვაგან გადასახლდნენ. ასეთთა შორის დაფიქსირებულია: მელაძე, ფოსური, გელაშვილი, მეგრელიშვილი, მათიაშვილი, შერმადინი და სხვ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის ზოგიერთ კამერალურ აღწერილობაში რატომღაც არაა დაფიქსირებული სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურთა ისეთი ცნობილი გვარები როგორიცაა: ძამელაშვილი, კორინთელი, უთნელიშვილი, მახათელი, ზანდუკელი, სურამელი, თავყელიშვილი, მახვილაძე, უზნაძე, კოტეტიშვილი, გედევანიშვილი, მგალობლიშვილი, ჩიკვაიძე, ქარუმიძე, ჩუბინიშვილი, გაბუნია და სხვ. აღსანიშნავია, რომ ტყვიავში სახლობდა სურამელთა მხოლოდ ორი კომლი ციხე-კოშკით, რომელიც ქართლის ერთ-ერთ უძველეს და ძლიერ სათავადო შტოს უნდა წარმოადგენდეს.

სამწუხაროდ, გვაროვნული მემკვიდრეობის ამსახველი უძველესი ქართული დოკუმენტები, რომელიც უნდა ასახავდეს საზოგადოების შედარებით დაბალი ფენის სულიერ პირობებს, ერთობ მწირედ მოგვეპოვება.

მაშინ, როდესაც ამ მიმართებით შედარებით მდიდარი ისტორიული მასალა არსებობს მეფე-დიდებულთა გვაროვნული დინასტიების, ან ისეთი პიროვნებების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი ქვეყნის პოლიტიკურ საბრძოლო მოღვაწეობაში.

როგორც ცნობილია, ისტორიული პიროვნებების წარმოჩენისა და დოკუმენტურ მონაცემებში ასახვა უმთავრესად კონკრეტული სახელით მოიხსენებოდა, რომელიც თანდათან შვილსა და ძეში გადადის.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივად საქართველოში ფართოდ დამკვიდრდა ე.წ. უცნაური გვარების ნაირსახეობა და შესაბამისად ხშირად ე.წ. ზედმეტი სახელებიდან წარმოებული გვარებიც. ამის ერთ-ერთი მაგალითს წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები" — განხილული დოკუმენტები, რომელიც აღმ. საქართველოს XVIII ს. ხალხთა აღწერას ეხება. აღნიშნული მონაცემები მრავლისმეტყველ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სულიერი ცხოვრების უტყუარ მტკიცებულებებს შეიცავენ, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ შემთხვევაში სახელებიდან საგვარეულო წარმომავლობას. აქედან კი დასახლებული უბნების, სოფლების აღმოცენებას და სხვ.

ამ დოკუმენტების მიხედვით, როგორც ითქვა, უამრავი, უცნაური გვარ-სახელების ფუძიანობა ირკვევა, სადაც ასახულია ქვეყნის შესაბამისი ბუნებრივ-გეოგრაფიულ არიალთან მისადაგებული სახელებიც, გვარებიც, დასახლებული ადგილების — სოფლების სახელწოდებები და ა.შ. აქაა ასეულობით დაფიქსირებული ისეთი სახელები, როგორიცაა მაგალითად: სულიკო, საბუკა, მახარა, საწუთრო, კანჯარა, სეხნია, კვირტა, ჟამურა, ელო (კაცის სახელია), ტრიკელა, მწადია, მამისა, ბერი, თათარი, ქადისგულა, პატა, ხუცია, გვარიანი, პაპია, უმცროსა, ხატისა, უსისხლა, ღარიბა, ფიწალა, ღვინა, ჯვარისა, გამხარდა, მექვევრე, ეშმაკურა, ბეგარა, ოქრომჭედლა, ოქრუა, ოქრო, ოქროპირი და სხვა მრავალი, რომელთაგან შესაბამისი გვარებიცაა წარმოქმნილი.

საკითხის განხილვის ამ ჭრილში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნიეთ დიდი სასულიერო მოღვაწისაგან — იოანე ოქროპირი-

საგან გავრცობილი და წარმოებული ისეთი გვარები, როგორიცაა: ოქრუაძე, ოქრუაშვილი, ოქროპირიძე, ოქრიაშვილი, ოქროკვერცხიშვილი და სხვ. რომელნიც წარმოებულია სახელებიდან. აღსანიშნავია, რომ სოფ. ტყვიავის XIX ს. 70-იანი წლების მოსახლეობის კამერალურ აღწერაში არაერთგზისაა მოხსენიებული სახელები: ოქრო (ლობჟანიძე), ოქრია (ქარელი), ოქროპირი (ოქროპირიძე), ოქრუა და სხვ.[223]

რაც შეეხება იოანე ოქროპირ-პონტოელის სასულიერო მოღვაწეობას, იგი ისტორიული წყაროების მიხედვით ცხოვრებდა და მოღვაწეობდა IV საუკუნეში, კერძოდ 398 წ. იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი და ითვლებოდა ყველაზე დიდი ქრისტიანული ეკლესიის იდეოლოგად. მას განათლება ჰქონდა მიღებული ანტიოქიის რიტორიკულ სკოლაში და ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი ორატორი, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელი – „ოქროპირი“ – ოქროს პირიანი“. იგი იყო მრავალი ქადაგების, ფსალმუნის, ბიბლიის კომენტატორი, აქტიური მებრძოლი კონსტანტინეპოლში არიანული ერესების წინააღმდეგი; აკრიტიკებდა საიმპერატორო კარის ფუფუნებით ცხოვრებას, უმაღლესი სამღვდელოების უზნეო საქციელს და სხვ. რითაც იწვევდა კონსტანტინეპოლის ხელისუფალთა უკმაყოფილებას, რისთვისაც 403 წ. ქვეყნიდან განდევნეს. თუმცა შემდეგ ისევ დააბრუნეს პატრიარქის ტახტზე, ხოლო 404 წ. კვლავ გადაასახლეს ამიერკავკასიაში, დიდი ალბათობით დას. საქართველოში. იგი შერაცხული იქნა წმინდანად.

აღსანიშნავია ოქროპირიანთ სასულიერო დინასტიის გაგრძელების მაგალითი XIX ს. სოფ. ბელოთში, როდესაც ადგილობრივმა მღვდელმა, მ. ოქროპირიძემ, უპატრონოდ მიტოვებულ სოფლის ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღადგინა. ეს ცნობილი ის ეკლესია იყო, რომელიც ბატონიშვილ იულონის ციხე-გალავანში იდგა.[224] ამავე გვარის შთამომავლობაში იყვნენ აგრეთვე სოციალური ფენის სხვა წარმომადგენლებიც, კერძოდ ვაჭარ-ხელოსნები. ამის შესახებ ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ სავაჭრო ცენტრში – ცხინვალში „მოქმედებენ ვაჭრობითა განა მუშაკობითა

---

223 სსცია, ფ. 48, №1, საქ. 1565.
224 „ივერია“, 1894 წ.

და არ აძლევენ სოფელს-ცხინვალს გამოსაღებს: მედუქნე-ხელოსნები, მათშორის სონია ოქროკეერცხიშვილი, (ამ დოკუმენტში 60-მდე პირია მოხსენიებული), გიო ოქრომჭედელი" და სხვა.[225]

ამასთან, საკარაუდოა ის ფაქტიც, რომ 404 წ. ამიერკავკასიაში გადასახლებული ოქროპირის შთამომავლად მივიჩნიოთ ქობულეთთან მდებარე სოფელი, სადაც ფაქტობრივად მხოლოდ ოქროპირიძეები ცხოვრობენ. ოქრუაანთ საგვარეულო სოფელი არსებობს აგრეთვე არაგვის ხეობაში (დუშეთის რ-ნი).

ტყვიავის მაგალითის მიხედვით, სოციალურ საკითხებს შორის საყურადღებოა 1886 წ. კამერალური აღწერის მასალები, სადაც დაფიქსირებულია დიდი ოჯახების გაყოფისა და განთესვის, გაშვილების, გახიზვნის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სოფლიდან გადინების ხშირი მაგალითები და სხვ. აღნიშნული ჩანაწერების მიხედვით: 30 წლის მიხეილ სტეფანესძე ლობჟანიძემ, უმწეობის გამო ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი ელისაბედი და სოფიო სოფ. ძევერაში ახლობელთან გახიზნა; დავით მელითაურმა შვილებით ქ. გორს შეაფარა თავი; 42 წლის გიორგი გიგოლასძე პავლიაშვილმა ოჯახით – შვილი პეტრე 12 წლის, ცოლი სოფიო 35 წლის, ქალიშვილი ოლღა 8 წლის 1870 წ. ქ. გორში გადადიან დროებით საცხოვრებლად, 30 წლის, წყალობა გაბრიელის ძე შერმადინი 1878 წ. საცხოვრებლად გადასულა ვლადიკავკაზში, ხოლო მისი 20 წლის ძმა ალექსი ქ. თბილისში, თუმცა მათი 42 წლის ძმა იაგორი შვილებით – გაბრიელი 14 წლის, ნიკოლა 10 წლის, აბრამა 6 წლის იმჯერად ადგილზე დარჩენილან, ამასთან მომდევნო აღწერაში მათი გვარი უკვე დაფიქსირებული არ არის; გიორგი გლახოსძე კოშუაშვილის ბიძაშვილი 22 წლის ალექსი მიხეილისძე სოფ. ქსუისში გაიხიზნა; დარჩია ისაკასძე ქარელის დედა და და ქ. გორში დასახლდნენ; არშაკა ივანესძე გიგუაშვილის დედა 35 წლის მარიამი ქ. თბილისში წავიდა საცხოვრებლად; 50 წლის გრიგოლ გიორგისძე მათიაშვილი ოჯახთან ერთად გარე კახეთში გადასახლდა; გაბრიელ იოსებისძე მერაბიშვილი, რომელიც 32 წლის ასაკში გარადიცვალა, მისი ოჯახი 20 წლის იასე, 16

---

225 სსცია, ფ. 16, №3, საქ. 4678.

წლის აბგარა და 14 წლის ნიკო ქ. თბილისში გადასახლდნენ; 20 წლის ალექსანდრე ანდრიასძე ქარელი 14 წლის ძმასთან ზააქარიასთან სოფ. ახრისში ჩასახლდნენ 1880 წელს, ხოლო მათი და სოფიო 1878 წ. გორში გადასახლებულა. აქვე გადასულა საცხოვრებლად მათი ბიძაშვილი სოსო გიგოლასძე 1879 წ., ტატია ნინიასძე ქარელი, ცხინვალში გადასახლებულა; 20 წლის გიორგი ბაადურისძე ქარელი ქ. თბილისში წასულა 35 წლის ტატო დიმიტრისძე ყურთულაშვილი ქ. გორში, ხოლო მისი ორი ძმისშვილი რუისში გადასახლებულან; 40 წლის იაკობ იოსებისძე ქარელი, რომელიც 1881 წ. გარდაცვლილა, მისი შვილები 25 წლის იოსები და 20 წლის მიხეილი, აგრეთვე მისი 50 წლის ძმა ფარსადანი ქ. თბილისში გადასახლებულან; 25 წლის ალექსი ანდრიასძე ქარელი და 11 წლის ძმა ალექსი სოფ. ახრისში ჩასახლებულა; 30 წლის ტიმოთე იოსებისძე ნიკორაშვილი სოფ. ძევერაში; 80 წლის ნინო გრიგოლის ასული ოდიშვილი სოფ. ქვეშში გახიზნულა; 26 წლის გიორგი გაბრიელისძე გაბარაშვილი სოფ. ხიდისთავში; 28 წლის დარჩო იასესძე ქარელი ქ. გორში' 24 წლის სტეფანე გიორგისძე ელბაქიძე სოფ. ვარიანში ჩასახლებულა; 15 წლის ნიკოლოზ ფარსადანისძე მერაბოვი (მერებიშვილი) ქ. თბილისში; 21 წლის იაგორ ბაადურისძე ყურთულაშვილი ქ. თბილისში დასახლებულა; 16 წლის სოფიო ივანეს ასული და მისი ძმები 20 წლის მიხეილი და 17 წლის ნიკალა ყურთულაშვილი ქ. თბილისში წასულა საცხოვრებლად და ა.შ.

გაზ. „დროების" 1883 წ. პუბლიკაცია იტყობინება: „12 სექტემბერს, სადილად ვიყავით იასე რამანისძე ფავლენიშვილთან, სადაც სურამის პოლიციის პრისტავიც იყო ბ. დ. დეკანოზოვი, მოგვადგა ორი ცხენოსანი კაკარდიანი (ქუდი, დ. პ.) და სოფლის სუდია მამასახლისი. მათ მიაბეს ცხენები ნიკო ფავლენიშვილის კარებთან და „შენ ქვაბი გქონია არაყსახადი და აქტი უნდა შეგიდგინოო. ფავლენიშვილმა უთხრა — მე მართლა ვიყიდე ქვაბი ოთხ თუმნად, მაგრამ იქვე ფლავშია არ წამომიღია, ერთ გლეხს დავუტოვეო. ეს ორი წელია არაყის სულიც არ ვიცი მაგრამ მამასახლისმა არც წაიკითხა ისე დასვა ბეჭედი"-ო.

1882 წ. იმავე ჟურნალ „დროება“-ში მოთავსებულ კორესპონდენციაში — „ქართლის პანორამა“ — ეკითხულობთ: „რა მიზეზია, რომ ამისთანა დიდ სოფლებში: ხიდისთავი, ქარელი, ხვცისი, სურამი, ქვიშხეთი, მოხისი, ალი, დირბი, შინდისი, ტირძნისი, ერედვი, ტყვიავი, კარალეთი, ქვ. ჭალა, კასპი — ერთი სკოლა არ არის. თითოეულ მათგანს სამას თუმნიდგან ორი ათას თუმნამდე შემოსავალი აქვს და ამის თავი და თავი გახლავთ მიზეზი ამავე სოფლების ბობოლა მებატონეების უთაურობა, დაუდევრობა საზოგადო საქმეში.[226]

როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა გაიგონებდით: „სკოლების გახსნაში პასრედნიკები ბევრს დაგეხმარებიანო“, თუმცა სკოლის ხსენება არსადაა ხერხეულიძეები წინანდელ დროში ცხრა ძმა ერთ დღეს ერთ ომში მამულისათვის თავსა სწირავდა, ეხლა ამ დალოცვილებმა ერთი ძმა მაინც გასწირონ გაუნათლებლობისათვის ამ — ელი — იმ კურთხეული შვილმა იმდენი რომ სკოლისათვის გამოიმეტოს, რაც ქორ-მეძებრებზე ეხარჯება, საუკეთესო სკოლას გამართავდა

ტყვიავში, მანამ რამან ფავლენიშვილი ცოცხალი იყო, იქამდის მიიყვანა საქმე ბანკიც დაარსეს, სკოლასაც აპირებდნენ. რაკი იმას ამ უკულმართმა წუთისოფელმა იაგორჩიკის წყალობით ბოლომოუღო, იქაურმა მებატონეებმა ყველაფერს თავი მიანებეს: ბანკი მოქმედებს თუ არა, არავინ იცის, სკოლის ხსენება ხომ არსად ისმის. ერთმა აქაურ მებატონეთაგანმა საქონელს თავი მიანება უმწყემსოთ, რომ იტყვის ვინმე, ჭირნახულს აფუჭებენო, უპასუხებს: ყმაწვილნო, ეგენიც კომუნისტობენ.

კარალეთის სოფლის შუა, ვაკე ალაგას არის ამართული ერთი უშველებელი გორა. გეგონებათ, ბუნებისაგან არისო; მაგრამ მოსტყუვდებით: ეს არის ბატონყმობის დროს ნაშენი გორა, ზედ მშვენიერის სახლებით, ეკუთვნის — მიხვდებით ვისაც აგერ ათი წელიწადია ბატონად ბრძანდება ექვსიც კიდევ სხვა გვარ ბატონად ბრძანდება, ამ ხანაში თავის საქმე ისე მოიყვანა, წელიწადში უკანასკნელი ორი ათასი თუმანი შემოსავალი ექნება, ამ სახელის გვერდ გვერდზე გზის პირათ არის გა-

---

226 სსცია, ფ. 254, №3, საქ. 1706.

მოწყობილი სხვადასხვა წითლად შეღებილი მაშინები. ამ დალოცვილს მაშინების გამოწყობას, სხვის სამაგალითოთ მაინც, ერთი კარგი სკოლა გამოეჭიმა ჭკუისა და გონების სავარჯიშოთ, ის არა სჯობს? ღმერთიც დაუმადლებდა, კაციც. თუ რომ თავის სამშობლო სკოლისათვის ასე ზრუნვა, თავის საბძანებლისათვის ასე ზრუნავს, რასაკვირველია დღე და ღამ მოსვენება არ ექნება. მონდომება ბრძანეთ, თორემ თავის თომა დულუზაშვილს ბრუტ-საბძელზე გააკეთებინებს სკოლას“-ო.[227]

და ეს მაშინ, როდესაც იაკობ გოგებაშვილი, თავის პატარა სოფელში, როგორც თავად აღნიშნავს – ვარიანში „დავაარსე წერა-კითხვის სკოლა, რომელიც რეგლამენტის გარეშე იდგა და სწავლება შეიძლებოდა მოწყობილი ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ დედა-ენაზე. მასწავლებლად დავამწესე ჩემი ძმისწული ალექსანდრე გოგებაშვილი და სასკოლო ავეჯი გავუკეთე ჩემის ხარჯით, ყველა ნივთს ვუგზავნიდი უფასოდ. ასე რომ ღარიბს ვარიანს გროშიც კი არ ეხარჯებოდა“-ო.[228]

აღორძინებულ ტყვიავში, ჩასახლებულთა შორის, ერთ-ერთი პირველთაგანია პავლიაშვილების საგვარეულო, რომელიც XVIII-XIX ს. პერიოდს უკავშირდება, როდესაც გიორგი – ქსნის ერისთავმა (1817-1819 წწ.), კავკასიის მეფის ნაცვლის ნებართვით, თავის სამწყსოდან, უმთავრესად ატენის ხეობაში გადმოასახლა 50 კომლზე მეტი ყმა ოჯახი და რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა ნახევრად დაცარიელებული სოფლების აღორძინება და მათი დაცვა ლეკთა თარეშისაგან, სადაც პავლიაშვილის რამოდენიმე ოჯახიც იყო. პარალელურად თავადმა ალექსანდრე ქსნის ერისთავმა, პავლიანთ კარიდან ტყვიავში გადმოასახლა და თავის სასახლის მიმდებარედ მიუჩინა საცხოვრებელი იასონ პავლიაშვილს. ამავდროულად, იმავე სოფლიდან თავადმა ლევან ქსნის ერისთავმა გადმოასახლა მეორე – ბერო პავლიაშვილის ოჯახი შვილებით: გიგოლა, პავლია და ლუარსაბი, რომელიც აგრეთვე მისავე სასახლის მიმდებარედ დაუსახლებია. ჩამოსახლებულ პავლიაშვილთა შორის ერთი ჭაბუკი უნდა

---

227 „დროება“, №18, 26 იანვარი, 1882 წ.

228 ე. კერესელიძე – იაკობ გოგებაშვილი და სოფ. ვარიანი, ჟურ. „მნათობი“, 1972, №7.

ყოფილიყო, რომელმაც ტყვიავში შექმნა ოჯახი. ამასთან, ჩამოსახლებულ პავლიაშვილთა შორის ერთი ყოფილა ცნობილი ხითხურო, რომელსაც ტყვიავის მიძინების ეკლესიის ხის საკურთხეველი აუგია და ორნამენტებით მოუჩუქურთმებია. რის გამოც მის სახელთანაა დაკავშირებული დღევანდელი პავლიაშვილების გვარის „დურგლიაანთად“ მოხსენება.

აქვე უნდა ითქვას, რომ რამდენადაც პავლიაშვილების შტო განსაკუთრებით აღ. საქართველოში მომდინარეობს პავლიანთ კარიდან (ქსნის ეხობა) და პავლეურიდან (არაგვის ხეობა). ამდენად, ტყვიავისა და ატენის ხეობის სინამდვილეში, აღნიშნული გვარი ქსნის ხეობიდან მომდინარეობს, ხოლო კახეთში (ბოდბისხევი, კაკაბეთი) არაგვის ხეობიდან, რამდენადაც ერთხანს აღნიშნული ხეობა კახელ თავადთა საბატონოს წარმოადგენდა. არაგვის ხეობის სოფ. პავლეურიდან ჩამოსახლებულ პავლიაშვილთა ერთი შტო სოფ. ძალისში, დასახლებული მეორე, ქვაჭალაშია. ამასთან, ჩანს, რომ პავლიაშვილთა ერთმა შტომ, მეფის კარზე მოიპოვა აზნაურის წოდება, რომელიც XV ს. სოციალური ინსტიტუტის თანახმად, როცა საქართველოში აზნაურთა თავადებზე გასაჩუქრებაწყალობათა გაცემის საკმაოდ აქტიური პროცესი მიმდინარეობდა და იგი ყმა-გლეხების მსგავსად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ხოლო უფრო გვიანდელ ხანაში კი ხშირად, აზნაურის ყმა-მამულით მზითევში გაყოლებას, სისხლში მიცემისა და გასაჩუქრების შემთხვევებსაც, როდესაც დამოუკიდებელი აზნაური ფაქტობრივად აღარ არსებობს, ასეთ ვითარებაში, ბერო პავლიაშვილი, რომელსაც ქ. თბილისში უცხოვრია (107 წლის 1845 წ. გარდაიცვალა) და მეფის გიორგი XII რძლის მზითევი ყოფილა, ბუნებრივია სოციალურად მაღალი წოდების — აზნაური იყო. სოციალურად მაღალ წოდებაში უნდა ყოფილიყო აგრეთვე სოფ. ტყვიავში ქსნის ერისთავის მიერ თავის საბატონო სოფლიდან — პავლიანთ კარიდან გადმოსახლებული გიორგი პავლიაშვილი, რომელიც უშუალოდ მის კარზე იქნა დასახლებული და გამოჩენილი ხითხუროც ყოფილა. ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ტყვიავიდან ქ. გორში 1870 ჩასახლებულ გიორგი გიგოლას ძე პავლიაშვილის მოღვაწეობას, რომელსაც „მოქალაქეთა“ ნაცვლის — ხელოსნების უფროსის თანამდებო-

ბა მოუპოვებია, ბუნებრივია მისი სოციალური მდგომარეობაც მაღალ წოდებაშია წარმოდგენილი. 1889 წ. „ივერია“ იტყობინებოდა: ნოემბერს (1888 წ.) ქ. გორში ორი დუქანი გატეხეს. გორში თუ გატყდა რამე პოვნა ძალიან ძნელი გახლავთ. შედგება „პროტოკოლი“ და მიეცა საქმე მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ასეთი ადამიანი გამოჩნდა გულშმატკივარი ამ საქმეში, რომ კაცი ვერ იფიქრებდა, თუ ის გამოიდებდა თავს. ეს კაცი გახლავთ გორის მოქალაქეთა ნაცვალი ბ-ნი გიორგი პავლიაშვილი. გული დასწვია, რომ ხელოსნებს, რომელთაც იგი უფროსობს, დუქნები გაუქურდიათ და კვალში ჩასდგომია ქურდებს. ქურდებს ნაძარცვი მაშინვე ფაიტონით ცხინვალში წაულიათ. ბ-ნ პ-ს შეუტყვია, გამოუცახლებია პოლიციისათვის, გამაყოლეთ ბოქაული და ჩაფრები და ქურდებს მაპარავის ნივთებით აქ ჩამოგგვრითო, წასულა ღამით ცხინვალში და დაუჭერია ქურდები და ნივთებიც ჩამოუტანია. განა პოლიციას არ შეეძლო ქურდების აღმოჩენა? თუკი პავლიაშვილმა, ისეთმა კაცმა, რომელსაც არ შეეხება, აღმოაჩინა ქურდები, მიაგნო იმათ კვალს, იმათ-ღა, ვინც ახლო სდგანან ამ მხარეზე მაგრამ აქ გულია საჭირო, გული ღმერთმა დაუმადლოს ბ-ნს პ-ს“. იგი იყო ტყვიავის მკვიდრი გიგოლა პავლიაშვილის ძე, რომელიც გორში 70-იან წლებში გადასახლდა 12 წლის შვილთან პეტრესთან, ცოლთან და 8 წლის ოლღასთან ერთად. ამავე ნომერში მოთავსებული მეორე წერილი იტყობინება: „შარშან ტყვიავში პოლიციის ბოქაულს დაბრალდა, ვითომ ერთს დირბელს კაცს რამდენიმე თუმანი აწაპნა და დაჰპირდა, რომ შენს შვილს ჯარის-კაცობიდან გავათავისუფლებო. ბოქაული წმინდად გამოვიდა ამ საქმიდან და უღელში კისერი გაჰყო ერთმა დირბელმა აზნაურმა, რომელიც მწერლობდა ბოქაულთან. ლ. დეკანოზიშვილმა, ასე ეწოდება ბატონს დირბელს აზნაურს, ხელები ძირს ჩამოიღო ფიცით, რომ მე ავიღე ქრთამი და არა ბოქაულმა; რას ემართლებით საწყალ ბოქაულსო. სასამართლომ ორის თვით საპყრობილე მიუსაჯა ლ. დეკანოზიშვილს“.

ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების იმ იდეას, რომელიც შესაბამისი ტრაქტატით იყო გაფორმებული განხორციელება არ დასცალდა. იგი მზაკვრულად დაარღვია მეფის რუსეთმა, რასაც მოჰყ-

ვა მთელი რიგი ნეგატიური მოვლენები საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. მიუხედავად ამისა, რუსეთი მაინც ანხორციელებდა გულის მოგების ისეთ ღონისძიებებს, რომელნიც გარკვეულ წილად კმაყოფიელბას იწვევდა საზოგადოების ერთ ნაწილში. ამის დასტურს წარმოადგენდა თუნდაც ის ფაქტი, რასაც 1901 წ. რუსეთთან შეერთების 100 წელს ე.წ. იუბილე ქვეყნის მასშტაბით იქნა აღნიშნული. იუბილე მართალია დიდი გრანდიოზულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მან გარკვეულ წილად ასახვა ჰპოვა ცალკეულ ადმინისტარციულ ცენტრებში. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, სოფ. ტყვიავში ჩატარებულ კრებაზე, გაფორმებულ დოკუმენტს ხელი მოაწერა 104 პირმა. მათშორის შვიდმა ხოროვიჭმა, ღვთისო ჩიქლაძემ, თევდორე ბათიაშვილმა, ივანე ბაშარულმა, ირაკლი და კიკოლა ჯაშაშვილებმა, შაქრო ბაშარულმა, იაკობ, ისაკო, აბრო და სოფრომ პაპანაშვილებმა, ლექსო და ორფერა ჩიქლაძეებმა, ლექსო, ანდრო, სანდრო, ღვთისო დალაქიშვილმა, გიგო პავლიაშვილმა, ზაქრო და შაქრო პაჭუაშვილებმა, თათო, წყალობა, ღვთისო, სოლო, ცაკო ხაბაზიშვილებმა, ნიკალა, ბასილა პაპაშვილებმა, პეტრე და კარგო გიგუაშვილებმა, ილო და გიო კოშუაშვილებმა, ტეფო ოდიშვილმა, ილურიძემ, ელბაქიძემ, ყურთულაშვილმა, მერაბიშვილმა, ქარელმა, ყორაშვილმა და ა.შ.[229]

საქართველო რუსეთთან შეერთების შემდგომ, გააქტიურდა კაპიტალისტური ურთიერთობა და ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო- ეკონომიკური კავშირი. ამ მიზნით იქმნება საკრედიტო ამხანაგობები, ბანკები და სხვ. 1915 წ. გორის ურთიერთ საკრედიტო საზოგადოების წევრთა შორის ტყვიავის საზოგადოებიდან დაფიქსირებულია სამი პიროვნება: არშაკუნოვი, მიხეილ ალექსანდრესძე დაბრუნდაშვილი, გიორგი იოსებისძე დალაქიშვილი, ილია ივანესძე კახნიაშვილი, ნიკოლოზ ზაქარიასძე კეცხოველი, ქრისტეფორე დავითისძე ლობჟანიძე, ევგენი ალექსანდრესძე მახათელი, ელიზავეტა დიმიტრის ასული მუჩაიძე, ვასილ გაბრიელისძე მუჩაიძე, იოველ ივანესძე ნატროშვილი (ნატროევი), გიორგი აბრამისძე ოქრუაშვილი (აქამდე ოქრუაძედ იხსენებოდნენ), ფერშანგოვი ბალდასარ

[229] სსცია, ფ. 48, №1, საქ. 2331.

ალექსისძე, ქრისტეფორე ივანესძე რაზმაძე, ზაქარია ივანესძე რაზმაძე, შალვა რევაზისძე ერისთავი, აგრეთვე მიხეილ რევაზისძე, გიორგი ნიკოლოზისძე, რევაზ იასონისძე, ნიკოლოზ დავითისძე, დიმიტრი იაკობისძე, სოლომონ ვასილისძე, მიხეილ ლევანისძე და დავით გიორგისძე ერისთავები.

აღსანიშნავია, რომ ურთიერთ დახმარების საზოგადოებები ჩამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ. 1873 წ. როდესაც გორის მაზრის ატენის ხეობის სოფ. ბობნევში, სადაც გაერთიანებულთა შორის იყვნენ ქერდიყოშვილები და ლუა (ლუარსაბ?) პავლიაშვილი, ხოლო სოფ. იფნარში ალექსი ჩოჩიშვილი, ფარესაშვილი და თვაური; ბოშურში გოგია ქოქაშვილი, ალექსი და დავით თინიკაშვილები, შატაკიშილი; ატენში: ბზიშვილი, ხიბლიშვილი; ჩიქლაძეები: იოსები, ფიდო, სვიმონა, ივანე, ალექსი, თედო; პავლიაშვილი გლახო და ზაქარია. წიქარაძე, ვანიშვილი; ბნავისში: ქარელი დავით, პავლიაშვილი შიო, მიხეილი, ანდრია, იასე და ზაქარია, ქარელი დავითი.[230]

1858 წ. ცნობებით, სოფ. ტყვიავში დაუდგენელ პირებს გაუქურდიათ მიძინების ეკლესია-ტაძარი, რომლის ირგვლივ არსებობს მიწერ-მოწერის 9 დოკუმენტი, თუმცა უშედეგოდ, ხოლო 1911 წ. დოკუმენტი კი გვამცნობს, რომ „მთიანი ოსეთის მხარის პრისტავის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია 5 აპრილის მიქელიანების შესახებ, სადაც უფროსი მცველი (სტრაჟნიკი) ჯავის საგუშაგოდან გოვენკო და უმცროსი მცველი შერბაკი ქ. გორში, რათა მიეღოთ ტყვიავის განყოფიელბის საჩივრის საბუთები. ამიტომ ისინი გორში აღარ წასულან ფოსტის მისაღებად. გოვენკო დაბრუნდა უკან ჯავაში და გზად სოფ. ცხინვალიდან წაიღო სახელმწიფო ფოსტა, როცა გოვენკო და შერბაკი უკან ბრუნდებოდნენ, ლიახვის ხიდიდან გადავარდა შერბაკი და გოვენკომ ძლივს უშველა, თუმცა ფოსტა და ვინტოვკა დაკარგეს“.[231]

---

[230] სსცია, ფ. 254, №3, საქ. 11785.
[231] სსცია, ფ. 72, ანაწ. 2 4, საქ. 185, 851.

XIX ს. 70-იან წლებში, როდესაც საქართველოში საიდუმლო ხალხოსნური მოძრაობა იწყება, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო სოფრომ მგალობლიშვილი, წერდა: „ჩვენ მიზნად დავისახეთ თვითგანვითარება (განათლება) და შემდეგ ხალხში გასვლა საქადაგებლად მონარქიული წყობილების საწინააღმდეგო აზრებისა“-ო.

ხალხოსნების მოქმედების მთავარ ცენტრებს შორის ერთ-ერთი გორიც იყო წარმოდგენილი, სადაც ოცამდე წევრს შორის იყვნენ: ქაიხოსრო ფურცელაძე (სამეხდრო ექიმი), ანტონ ფურცელაძე (მწერალი და პუბლიცისტი, ვექილი) სოფ. მერეთიდან, ვასილ სამადაშვილი (მღვდელი ს. ტყვიავში), სოფრომ მგალობლიშვილი, მოსე ნათაძე (მევაჭრისშვილი) და სხვ.

ხალხოსნები ავრცელებდნენ რა პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, ქართულად ითარგმნებოდა, რათა გასაგები ყოფილიყო გაუნათლებელი და წერა-კითხვის უცოდინარი სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის, მთავარი იყო მისი გამრავლება. სწორეთ ამ მიზანს ემსახურებოდა სოფ. ტყვიავში საიდუმლო სტამბის გახსნა, სადაც წარმატებით მუშაობდა მღვდელი ვ. სამადაშვილის ხელმძღვანელობით. თუმცა, როგორც ერთერთი მონაწილე-აქტივისტი შიო დავითაშვილი ალნიშნავს მათ საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს: „როგორც ტყვიავის, ისე სხვა სოფლების გლეხობაში, ჩვენი აზრები, მეტადრე მიწის ჩამორთმევა ბატონებისაგან და გლეხებისთვის გადაცემა ცოცხალ ინტერესს იწვევდა, მაგრამ მჭიდრო კავშირი გლეხობასთანო მაინც ვერ შევკარით, გლეხობა მეტისმეტად დატვირთული იყო მუშაობით, ჩვენთვის ყურის დასაგდებად მას არ ეცალა, მით უმეტეს, ზაფხულის თვეებში, როცა შინდა გარეთ გამოულეველი სამუშაო აქვს თვითეულს“.[232]

მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერიაში და საზღვარგარეთ აქტიურად მიმდინარეობდა მარქსიზმის პროპაგანდა, (XIX ს. 90-იანი წლები), ტყვიავის მკვიდრი ლადო კეცხოველი დიდ პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა. ლ. კეცხოველი 1891 წ. გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიე-

232 მ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 30.

რო სემინარიაში, სადაც იგი შედის სემინარიელთა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო წრეში, რომელსაც ეგნატე ნინოშვილი ხელმძღვანელობდა. 1893 წ. სემინარიაში გამეფებული იეზუიტური რეჟიმის წინააღმდეგ გაფიცვის, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლ. კეცხოველი გარიცხეს სემინარიიდან. მისი პირველი კორესპონდენცია, რომელსაც 1894წ. „ივერიაში“ აქვეყნებს, ეხება ტყვიავის სოფლის ცხოვრებას, გლეხობის სიდუხჭირეს და ჭირ-ვარამს. ამ დროს სოფელს სკოლა არ ჰქონია: „გლეხკაცობაში ძალიან იშვიათად თუ ვინმემ იცის კითხვა“. სკოლის გახსნის წინააღმდეგ თვით გლეხები ყოფილან: შენობას ვერ ავაშენებთ, მასწავლებლებს ჯამაგირს ვერ მივცემთ. კეცხოველი მხურვალედ მოუწოდებს – სკოლის საქმეს ზურგს ნუ შეაქცევთო. „დრო არის კაცმა კაცურად იცხოროს და არა პირუტყვულად უღელში დალიოს თავისი სიცოცხლის დღენიო“.[233] მეორე კორესპონდენციაში აღწერილია ტყვიავის გლეხობის მდგომარეობა: „კაცი ვერ წარმოიდგენს როგორ გაჭირვებაში არის ახლა ჩვენებური გლეხკაცი: ბეგარა, ფოსტის ფული, საქონლის ავადმყოფობა სულ ერთად დააწვა მას კისერზე, და თუ მან დროზე არ გადაიხადა გადასახადი, ჩაფრები შეესევიან და თუ სახლში რაიმე აბადია, სულ ერთიანად წაართმევენ და გაუყიდიან“-ო.[234] მესამე კორესპონდენციაშიც იგი ისევ გლეხობის დუხჭირ ცხოვრებაზე ლაპარაკობს და აღნიშნავს: „ხალხი ძალიან შეწუხებულია სახელმწიფო ბეგარით და გადასახადებით. უწინ მოკრეფილი და, საცა ჯერ არს, არ წარდგენილი ფოსტის ფული გამოააშკარავა ახალ დაწესებულმა სოფლის სამმართველომ და ხალხს რამდენსამე წლის დარჩენილი სახელმწიფო ხარჯი (ნედოიმეები) სულ ერთბაშად დააწვა კისერზედ: ზედ დაემატათ წრევანდელი ხარჯი, ჩაფრისა და მამასახლისის ფული და ერთს ვაი-ვაგლახში არიან. ბევრის გლეხკაცისაგან გამოყავთ უკანასკნელი ხარი და სახაზინო ვალში უყიდიან“-ო.[235]

---

[233] „ივერია“, 1894, №51.
[234] „ივერია“, 1894, №146.
[235] „ივერია“, 1894, №172.

1894 წ. ლ. კეცხოველი შევიდა კიევის სასულიერო სემინარიაში. 1896 წ. დააპატიმრეს და სამი თვის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს მშობლიურ სოფელ ტყვიავში. 1897 წ. ლ. კეცხოველი შედის თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და ხდება არალეგალური გამომცემლობის შესანიშნავი ორგანიზატორი და ა.შ. ხოლო 1903 წ. იგი მეტეხის ციხეში დახვრიტეს.

1883 წ. რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატისათვის დართული ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების სიის მიხედვით, კეცხოველი ავალიშვილის აზნაურია. საერთოდ კი კეცხოველთა ოჯახი ტყვიავში წარმოადგენდა სასულიერო წოდებისა და სწავლულ აგრონომთა შტოს. მათ გააჩნდათ ევროპული დონის სანერგე მეურნეობა და სხვ.

როგორც აღინიშნა, ტყვიავის აღორძინება-განვითარება განსაკუთრებით XIX ს. II ნახევარში შეინიშნება, რაც დამახასიათებელია ზოგადად საქართველოში პოლიტიკური ვითარებისათვის. აღნიშნული ძვრები ბუნებრივია მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. გორის მაზრაში პრიორიტეტული ხდება მებოსტნეობის დარგის შემდგომი განვითარება, სადაც ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს სოფ. ტყვიავი იკავებს. სოფელში იხსნება საცდელ-საჩვენებელი სადგური, სადაც მიმდინარეობდა პრაქტიკული და თეორიული სწავლების ლექცია-მოხსენებები, არსდება სანერგე მეურნეობა, სადაც გამოჰყავდათ, როგორც ადგილობრივი ჰიბრიდული ჯიშის, ისე უცხოური, უმთავრესად ევროპიდან შემოტანილი ხილის ნერგები და სხვ. რამაც შესაბამისი შედეგი გამოიღო XIX ს. 10-30-იან წლებში, როდესაც მაზრის განსაკუთრებით მთისპირა ზეგანის სახნავ-სათეს ფართობებზე გარკვეულ წილად ვითარდება ევროპულ სტანდარტებზე მოწყობილი ბაღები, საიდანაც მიღებულ პროდუქციას ხელ-ფეხი გაეხსნა სხვადასხვა ქვეყნებში ბაზრის მოპოვება-დამკვიდრების მიმართულებით.

1914 წელს თბილისის გუბერნიის აგრონომიული განყოფილების ანგარიშიდან ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო დარაიონების, კერძოდ, IX ზონის გორის მაზრაში, როგორ დეტალურადაა გათვალისწინებული ამ დარგის განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივა. დოკუმენტში აღნიშნულია

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო დარგების ზონალური განვითარების საკითხები. ამ მიმართებით IX ზონაში განისაზღვრა სამი ძირითადი პრიორიტეტული მიკრო ზონები, სადაც შესაბამისი დარგები უნდა განვითარებულიყო. აქვეა განსაზღვრული ნახევრად დაბლობ, ან ზეგანზე და ჩრდილოეთ ე.წ. მთიან ზონაში მეხილეობის განვითარების შესახებ (ფრონე-ყორნისის, ლიახვები, მეჯუდის, ლეხურისა და ქსნის ხეობების გარდამავალი ფართობები, დ.პ.), რამაც XX ს. 30-40-იან წლებში წარმატებული შედეგები გამოიღო.

გორის მაზრაში, სამაგალითოდ იქნა შესწავლილი და გაანალიზებული სოფ. ტყვიავში ამ დარგის განვითარების ტრადიციები და შემდგომი პერსპექტივები. შესაბამისმა კვალიფიციურმა, სამთავრობო აგრო-აგრარულმა განყოფილებამ სოფ. ტყვიავის და ხიდისთავის რაიონები მიიჩნია თესლოვანი და კურკოვანი ხილის მთავარ მწარმოებლურ ზონად. ამ მიმართებით შექმნილი იყო სწავლულ სპეციალისტ-აგრონომთა ბრიგადა, რომელსაც დაევალა ცალკეულ რეგიონებში ეწარმოებინათ საჩვენებელი სამუშაოები: მყნობა, დარგვა, გასხვლა, მკურნალობა, ნიადაგების დამუშავება-შერჩევა და სხვ. მათი მითითებით ეწყობოდა საცდელი სადგურები, სანერგეები, საჩვენებელი ბაღები, პროდუქციის მოკრეფა-გადამუშავებისა და შენახვის, საბაზროდ მომზადებისა და და სხვ. ამ მიზნით, ტყვიავში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომელმაც 1914 წლიდან დაიწყო საჩვენებელი, პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება. ერთ-ერთი ასეთი საჩვენებელი ღონისძიება მოეწყო 1914 წ. სადაც მივლინებულმა კომისიამ: პ. გ. მელიას, ვ. ი. რცხილაძისა და რაიონის ინსტრუქტორის დ. გორთამაშვილის შემადგენლობით, სოფელში შეყრილ უამრავ გლეხობას ბაღში გასვლით უჩვენა ხეხილის გასხვლის სამუშაოები, თუმცა, როგორც თავად აღნიშნეს ამ მიმართულებით გლეხობამ გაცილებით მეტი იცოდა ვიდრე მასწავლებლები ელოდნენ.[236]

ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა თავის შედეგი გამოიღო, რამაც განაპირობა უმოკლეს დროში ხილის პროდუქციის მსოფლიო სტანდარტების დონეზე წარმოება. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს XX

[236] სსცია, ფ. 243, №7, საქ. 808.

ს. 30-იან წლებში სოფ. ტყვიავში აშენებული ჩირის სახმობი ქარხანა (1932 წ.), ხილის დამხარისხებელი ქარხანა, ხილის შენახვა-გამოზამთრების კაპიტალური, აგურით ნაგები სარდაფი, რომელიც იტევდა ასობით ტონა ცოცხალ პროდუქციას.[237]

ტყვიავში რევოლუციურ განწყობაზე 1906 წ. გაზ. „მეგობარი", იტყობინება: „ქართლს სხვადასხვა გმირი არ ელევა. ამასწინათ ელიზბარ ტატიშვილი და მისი ძმა მიუხტნენ სოფ. ტყვიავში დათა პაჭუაშვილს და მთელი ოჯახი დააწიოკეს. მერე დუქანში შევიდნენ და როცა მედუქნემ ცაკა რაზმაძემ დანახარჯი მოსთხოვა საცემრად იწიეს. ესენი წითელრაზმელების წევრებათ ასაღებენ თავსა".

1909 წელს გორის კანცელარიის ერთ-ერთი საბუთი იტყობინება: „გავარდა ხმა, რომ მაზრის ზოგიერთ სოფელში: მეკვრისხევი, ცხინვალი, ქვიშხეთი, ტეზერი, ალი, ტყვიავი და სხვ. ქუთაისის გუბერნიის მებატონეებს ჩამოართვეს მიწები და გლეხობას დაურიგესო ტყვიავში გლეხმა გორა ხაბაზიშვილმა, როდესაც ერისთავმა გლხებს მოსთხოვა წისქვილის წყლის კანაოს გასუფთავება, უპასუხა, რომ ვიმუშავებ იმ შემთხვევაში თუ თქვენც აიღებთ ლაფატკას და ჩვენს გვერდით დადგებითო". აქვეა აღნიშნული, რომ „გორის მაზრის უფროსი ყიფიანი ხელს უწყობს გაუგებრობას. მაგალითად, გორთან ახლოს ინჟინერი ზეზემანი სამსახურის მუშებს ხუთი თვეა არ უხდის ფულს და იწვევს არეულობას".[238]

1886 წ. „ივერია"-ში მოთავსებული კორესპონდენცია კი გვამცნობს, რომ გორის მაზრის სოფლებში სახელოსნო სკოლების გახსნის ინიციატივით გამოდის გორელი მღვდელი ტერიღიშ – ტერ-სააკოვი, სადაც ისწავლიან დურგლობას, მჭედლობას, ხუროობას, ჩილინგრობას, ხოლო ქალები ჭრა-კერვას, სახეების კერვას-ო.

ტყვიავი ისტორიულად განვითარდა სახნავ-სათესი ფართობებით და შესაბამისად წყლით უზრუნველყოფილ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში.

---

[237] სსცია, ფ. 299, საქ. 45.

[238] სსცია, ფ. 254, №2. საქ. 1706.

მისი მიმდებარე საზღვრები, აყრილი ჭალებით იყო დაფარული, რომელიც ლიახვის აუზის ერთიან სიერცეს წარმოადგენდა, საიდანაც (ლიახვიდან) სოფელზე გამავალი სასოფლო რუ-მდინარე-კანაოები და არხები სასმელ-სარწყავი წყლით უზრუნველყოფდა არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ მიმდებარე სოფლებსაც. XVII ს. 30იანი წლების მონაცემებით, როდესაც როსტომ მეფის ჩარევით (1633-1658) აღდგენილი იქნა XII ს. არხი დიდსა და პატარა ლიახვს შორის და მისივე მითითებით გორელი გორგიჯანაშვილისა და მისი შვილების მიერ ფშანის არხი იქნა აღდგენილი, პარალელურად მიმდინარეობდა ახალი არხების გაყვანაც. იმავე როსტომ მეფის ინიციატივით და უშუალო დახმარებით, გორგიჯანაშვილის მიერ ნეკის წყაროდან გამოყვანილი იქნა ახალი, მათშორის: ძევერის, ტყიურეთის (ტყვიავის), კარალეთის, გარეჯვრისა და თორტიზას არხების ახალი სისტემაც. (გ. ჟორჟოლიანი, საქართველო, XVIII ს. 30-50-იან წლებში, ქართლ-კახეთი, 1987 წ.), რომელთა სათავეს უმთავრესად პატარა ლიახვი წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე, ძველი ტყვიავის-ძველმაღალის სანახებიდან წყლის რეგულირების სისტემას უზრუნველყოფდა ტყე-ჭალიანი ადგილები. ლიახვის ხეობის ამ სექტორში განთქმული იყო „მუხიანისა“ და „ტეტუნაანთ“ ჭალები მდიდარი ფლორითა და ფაუნით. მუხიანის ტყის ზოლი, რომელიც სოფ. ტყვიავზე გამავალ ე.წ. „ტყიურეთის“ არხს, ანუ მდ. ქიწნაულას მოჰყვებოდა, თანდათანობით გამეჩხერებული სახით სოფლის ბოლომდე აღწევდა. ამ მდინარეზე, სოფელში მოქმედებდა სამი მძლავრი — 3-4 თვლიანი ოდიაანთ, ჩიქლაანთ და ნტროვიანთ წისქვილი. მეორე მდინარე, აგრეთვე სათავეს ძველმაღალიდან იღებდა, რომელიც სოფლის ცენტრალურ ნაწილში მოედინებოდა. მას სავარაუდოდ „ქარელიანთ“ რუს ეძახდნენ, მუშაობდა სამი წისქვილი: „პანტელაანთ (რაზმაძეების), დურგლიაანთ (პაველიაშვილების) და მერებაანთ (მერებაშვილების). ხოლო მესამე მდინარე, აგრეთვე ძველმაღალიდან იღებდა სათავეს, სოფლის დასავლეთ მხარეს მოედინებოდა და ცნობილი იყო „გარეჯარულას“ სახელწოდებით, რომელზეც გამართული იყო ერთი — „კაკალაანთ“ წისქვილი. აქვე უნდა ითქვას, რომ უმთავრესად წისქვილების

მფლობელები იყვნენ სოციალურად მოწინავე გვარის წარმომადგენლები, რაზეც ტყვიავის მაგალითიც მიგვანიშნებს, სადაც ოდიაანთ წისქვილის მფლობელი ცნობილი იყო, როგორც ერთ-ერთი ძლიერი, კომერსანტი ოჯახი. ჩიქლაანთ წისქვილის მეპატრონე აზნაური ჩიქლაძე, ნატროვიანთ – თავადი ნატროშვილი, პანტელაანთ – კომერსანტი რაზმაძე, დურგლიანთ – თავად ერისთავის კარზე დაწინაურებული პაველიაშვილის ოჯახი, კომერსანტი-ვაჭარის მერებაშვილის, კომერსანტი-ვაჭრის კაკალაშვილის წისქვილები. აღსანიშნავია, რომ მუხიანის ჭალის გაგრძელება კორომის სახით სოფელში შემორჩა წმინდა გიორგის ეკლესიის ირგვლივ ტერიტორიაზე, სადაც XX ს. 50-იან წლებში კულტურისა და დასვენების პარკი გაიხსნა.

ტყვიავში XX ს. 30-იანი წლებიდან იწყება მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრები: 1928 წ. ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, სადაც გაერთიანდა 12 კომლი 45 სულით, რომელსაც წლიურად ემსახურებოდა 18 ტრაქტორი და 15 ხოლო სატვირთო ავტომანქანა ერთი, მარცვლეულის ასაღები კომბაინი. 60-იანი წლების მონაცემებით სოფელში ფუნქციონირებდა ორი – დაწყებითი და საშუალო სკოლა, საბაღშვო ბაგა-ბაღი, კულტურის სახლი, საავადმყოფო, აფთიაქი, ვეტპუნქტი, ღვინის ქარხანა, ხილის წვენების ქარხანა, ხილის დამზადების 2 პუნქტი; სოფელი უზრუნველყოფილი იყო ელექტრო ენერგიით, რადიო მაუწყებლობით, წყალგაყვანილობით, ფუნქციონირებდა მანქანა-ტრაქტორთა სადგური, წისქვილები მოეწყო საკოლმეურნეო ავტოპარკი, სადალაქო, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ავეჯის დამზადების საამქრო, პურის საცხობი, აბანო, უნივერმაღი. შეკეთდა და გაფართოვდა შიდა გზები, ხიდ-ბოგირები, მოეწყო ახალი სამჭედლო, სამშენებლო ბლოკის საამქრო და სხვ.

2008 წ. აგვისტოში, კვლავ რუსეთის უშუალო მონაწილეობით და წაქეზებით, ოსი და საერთოდ ჩრდ. კავკასიის ხალხთა გარკვეული ნაწილის მონაწილეობით მომხდარი ომის შედეგად შიდა ქართლის ცენტრალური ტერიტორია ბარბაროსულად იქნა აოხრებული. ტყვიავმა, როგორც ერთ-ერთმა ძლიერმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ობიექტმა

განსაკუთრებული სისასტიკით განიცადა მომხდურთა არაადამიანური მოქმედება. ხელყოფილი იქნა, როგორც მოსახლეობის სულიერი და ფიზიკური, ისე მატერიალური კულტურის ძეგლები და სამწუხაროდ ამ ჭრილობების მოშუშების პროცესი სადღეისოდაც არ იგრძნობა.

პატარა ლიახვის ხეობის მარცხენა ნაპირის შუა წელზე, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი სოფელი კარბი. იგი წარმოადგენს საშუალო სიდიდის დასახლებას, რომელიც მოქცეულია ისეთი უძველესი ნასოფლარ-ნამოსახლარების ორბიტაში, როგორიცაა ტყვიავის ე.წ. „ხარის გორის“-ა და ფლავისმანის გვიანდელი ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარები. კარბის შემდგომი, როგორც ისტორიული პროცესების ერთ-ერთი მონაწილის აქტიური ადგილი განისაზღვრა მისი გეოგრაფიული მდებარეობით. წერილობითი წყაროების მიხედვით, სოფელი XI საუკუნეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლება ყოფილა. აღსანიშნავია, რომ 1068 წ. ქართლში შემოჭრილი თურქ-სელჩუკთა სარდალი, სულთანი ალფ-არსლანი, რომელიც აქაურობას აოხრებდა სოფელ კარბში ყოფილა დაბანაკებული. სოფელი წარმოადგენდა საამილახვროს, რომელიც ერთხანს დაკარგა კიდეც, თუმცა XVI ს. II ნახევარში, სიმონ მეფემ (1698-1701 წწ.) უკან დაუბრუნა იგი ბარძიმ ამილახვარს.

რამდენადაც შიდა ქართლის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ამილახვრებს ეკუთვნოდათ, ხოლო არა ნაკლებ ტერიტორიას ფლობდნენ ქსნის ერისთვები, ამდენად, როგორც არაერთგზის ავღნიშნეთ, ამ რეგიონის მოსახლეობის მოძრაობა-მიგრაციულ-ემიგრაციული პროცესები ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სოფ ქვ. ჭალაში დაბადებული ცნობილი სასულიერო მოღვაწე, გამოჩენილი სასულიერო მგალობელი გრიგოლ პეტრეს ძე კარბელაშვილი, მისი შვილის, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი — ვასილ კარბელაშვილის შთამომავალი, გამოჩენილი ეკონომისტი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებული ლუარსაბ კარბელაშვილისა და სხვა მემკვიდრთა პირვანდელი სოფელი კარბი ყოფილიყო.

კარბი წარმოადგენდა აგრეთვე ერთ-ერთ სტრატეგიულ ადგილს, საიდანაც შესაძლებელი იყო ლიახვ-ლეხურას ხეობებს შორის მოქცეულ

ტერიტორიაზე საზედამხედველო, – თავდაცვითი მნიშვნელობის ღონისძიებების გატარება, რასაც შესაბამისი საფორთიფიკაციო ნაგებობებიც საჭიროებდა. აღნიშნულ გარემოებაზე მეტყველებს აქ შემორჩენილი რამოდენიმე ციხე-გალავნისა და კოშკის ნანგრევები, აგრეთვე მის გვერდით სოფელი კოშკა, რომელიც შემდგომ ცალკე დასახლებად ჩამოყალიბდა და სხვ.

სადღეისოდ სოფ. კარბში მეტ-ნაკლები სახით შემორჩენილია გნოლიძეების ციხე, რომელიც სოფლის ცენტრში – გნოლიაანთ უბანშია და თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით; მეორე დავითაშვილის ციხე, სოფლის ცენტრში – დავითაშვილების უბანშია და თარიღდება XV-XVI საუკუნეებით; მესამე კოშკიც სოფლის ცენტრშია და სავარაუდოდ XVII-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება; მეოთხე კოშკი დგას სოფლიდან ოდნავ მოშორებით, ჩრდილოეთით და თარიღდება XVIII საუკუნით; მის მიმდებარედ დგას მეხუთე კოშკი და ესეც XVIII საუკუნის ძეგლია; სოფლის ცენტრში – ხუბაშვილების უბანში დგას მეექვსე ე.წ. ხუბაშვილების ციხე, რომელიც XVIII საუკუნით თარიღდება; სოფლის ცენტრალურ ნაწილში დგას ღვთისმშობლის გვიანდელი ფეოდალური ხანის ეკლესია, სოფლიდან ოდნავ მოშორებით კი მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე წმინდა მარინეს ეკლესია, რომელიც XVIII-XIX სს. მიჯნით თარიღდება, აგრეთვე სოფლის განაპირას დგას წმ. სამების XVI-XVII ს. დარბაზული ეკლესია.[239]

სოფელი ტირძნისი პ. ლიახვის შუაწელის მარჯვენა ნაპირზე, სავახტანგოს ისტორიული ტერიტორიის ცენტრალურ ადგილზე მდებარეობს, რომელის გაშენების ხანად XVII-XVIII საუკუნეების შემდგომი პერიოდი უნდა მივიჩნიოთ. იგი ერთ-ერთი დიდი სოფელია, რომელი მოქცეულია დიდსა და პატარა ლიახვებს შორის ვაკე ადგილის ნაყოფიერ ტერიტორიაზე, აქედან გამომდინარე, სოფლის წყალუხვობით გამოირჩევა.

---

[239] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღერილობა, თბ., 1990, ტ. 5. გვ. 74.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია: დედაღვთის ეკლესია, კვირაცხოვლის ეკლესია, სამების ეკლესია და ციხე-გალავანი. დედაღვთის ეკლესია სოფლის განაპირას ჩრდ. აღმოსავლეთით დემურიანთ უბანში სასაფლაოზე მდებარეობს, რომელიც 1872 წ. აგებული; კვირაცხოვლის ეკლესიაც სოფლის განაპირას სამხ. აღმოსავლეთით მდებარეობს და აშენებულია 1886 წ., სამების ეკლესია აგრეთვე სოფლის განაპირას ჩრდ. აღმოსავლეთით მდებარეობს და აგებულია 1832 წ., რაც შეეხება ციხე-გალავანს, იგი სოფლსი ცენტრშია და მდებარეობს მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. ციხის კომპლექსში შედის ციხე-გალავნის კოშკები, კელსია და სამრეკლო. იგი დათარიღებულია XVIII ს. II ნახევრით. მასში არსებული დარბაზული ეკლესიისა და სამრეკლოს კედელზე არსებული წარწერის მიხედვით, აშენებულია 1830 წ. დავით სულხანოვის (სულხანიშვილის) თაოსნობით.[240]

ისტორიული წყაროების მიხედვით, ტირძნისის მოსახლეობა გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტუალური საზოგადოებით, რითაც მათი სოციალური და ეკონომიკური პირობები ყოველთვის სამაგალითოს წარმოადგენდა ამ რეგიონის მიმდებარე სოფლებისათვის. ტყვიავთან ერთად, ტირძნისის პოლიტიკური და მეურნეობრივი მნიშვნელობა განსაკუთრებულ სიძლიერეს აღწევს XIX ს. II ნახევარში.

გორელი მებატონის, ივანე დავითისძე სულხანოვის (სულხანიშვილის) 1865 წლის ჩანაწერების მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, რომელიც ტირძნისის მკვიდრიც ყოფილა, ძველი ნასოფლარის მაგალითზე, დეტალურად აგვიწერს რა შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, წერს: „მესაქონლეობა საკმაოდ განვითარებულია, რქოსანი პირუტყვი ტანადი და ძლიერია, რომელსაც კარგად კვებავენ. ადგილობრივი მოსახლეობა მიმართავს რა გადაზიდვებს, ცდილობენ ყავდეთ კარგი მუშა საქონელი. ზამთარში საქონლის სადგომებად მიწისქვეშ მოწყობილ ბოსლებს იყენებენ, რომელიც ხშირად საცხოვრებელი დარბაზის ქვეშაა განლაგებული და კვებავენ ბზით და თივით, აგრეთვე ჭაობის გამომშრა-

240 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. I. 1890, გვ. 86.

ლი თივით. ზოგიერთ მემამულე-მებატონეს ყავს ძროხების პატარა ჯოგი — ნახირი, რომელიც ზაფხულობით მთის საძოვრებშია, ხოლო ზამთარში ვინ როგორ ადგილებში ამყოფებს. საერთოდ კი ყოველ გლეხს ჰყავს 2-3 ძროხა მაინც, ხოლო ზოგიერთს მეტიც. რძისაგან აკეთებენ ყველს და იღებენ კარაქს, რომლის ნაწილს ადგილობრივად მოიხმარენ, ნაწილს ბაზარზე ყიდიან. კარაქი ამოჰყავთ რამდენიმე დამჟავებული რძისაგან (მაწონი), რომელსაც დღობავენ ხის ერთნახევრიან ($1^1/_2$) არშინის სიგრძის და ნახევარი არშინის დიამეტრის ხელსაწყოში (სადღებელი). კარაქის ამოსაყვანი თოკებით ჩამოკიდებულია ჭერზე, რომესაც ხელით აქანავებენ ნახევარი საათის განმავლობაში, მანამ კარაქი არ მოგროვდება. დარჩენილი ნაღებისმაგვარი (დო) ნარჩენისაგან, რომელსაც უმატებენ რაღაცას (ფქვილს) ამზადებენ შესქელებულ მასას, რომელსაც დომხალს უწოდებენ და ინახავენ ქილაში (უმეტესად მიწაში ჩაფვლით), საიდანაც უბრალო ადამიანები აკეთებენ შეჭამანდს (დომხლის შეჭამანდს).

ქართლის ზოგიერთ მემამულეს ჰყავს აგრეთვე ცხვარი, რომელიც ადგილობრივი ჯიშისაა და სიდიდით, გემრიელი ხორცით, რბილი ან გრძელი მატყლით გამოირჩევა. ზაფხულობით ცხვარს თრიალეთის მთიან საძოვრებზე მიერეკებიან, ხოლო ზამთრობით ახლო-მახლო ჭალებში ამოძრავებენ. 1864 წ. პრფ. პელცოლდმა შეადარა რა ინგლისურ ცხვარს, განსაკუთრებულად მაღალი შეფასება მისცა. ქართლში გვხვდება 300-400 სულიანი ცხვრის ფარა და იგი ზოგიერთის შემოსავლის ძირითადი წყაროა და განსაკუთრებით ბოლო წლებში, როდესაც კავკასიიდან გასატანი საქონლის საშუალებები გაიზარდა. ყოველ ას სულ სამატყლე ცხვარზე თრიალეთის საძოვრებზე იხდიან 30-40 მანეთს ვერცხლით. თითოეული ზრდილი ცხვარი საშუალოდ კვების კვალობაზე იძლევა 5-6 ფუნტ გაურეცხავ მატყლს, ხოლო ზამთარში კარგად, თივით კვებისას გაცილებით მეტს.

სულხანოვი დეტალურად აღწერს აგრეთვე ქართლში მეღორეობის დარგსაც და აღნიშნავს: ადგილობრივი ღორი უმთავრესად შავი, გრძელი და წვრილი ცხვირი, აცქვეტილი ყურებით, დაბალი და წვრილი ფეხები, რამდენადმე მრგვალი ტანით, ქეჩოზე უხეში და მაღალი ჯაგარით,

ზრდასრულად ითვლება 3 წლიანი. ზამთრობით ღორის ჯოგს მიერეკებიან მუხით მდიდარ ტყეში, რაიონის დაბლობებზე და ნაწილი სომხეთის ტერიტორიაზე. ღორები გოჭებს ყრიან წელიწადში ორჯერ: ზამთარში ტყეში, ზაფხულში ადგილზე, სადაც ისინი მოსავლის აღების შემდეგ მინდვრებში იკვებებიან. მისივე აზრით, ქართული და ინგლისური ღორის შეჯვარების შედეგად მიღებულმა ჯიშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ფერი თეთრი, შედარებით სწრაფი, მოძრავი და ა.შ. რომელმაც გარკვეულ წილად უნდა გაზარდოს მოსახლეობის ინტერესი მის გასამრავლებლად.

ბოსტნეული კულტურებიდან განსაკუთრებით იწარმოება კომბოსტო, რომელიც მწარმოებელს კარგ შემოსავალს აძლევს. ცნობილია სურამის კომბოსტო, როგორც თეთრი, მსხვილი და მაგარი თავით, რომელსაც ყიდიან ქუთაისში, ნაწილობრივ გორში და თბილისში. გარკვეულ პერიოდებში აწარმოებდნენ ყვავილოვან კომბოსტოს და კარტოფილს, ხოლო რაც შეეხება მელვინეობას და მებაღეობას, ვაზი წარმოადგენს ყველა სოფლისა და კომლის აუცილებელ კულტურას. მას აწარმოებენ დაბლარად, სარებზე და ახლომახლო, გასხვლა ხდება შემოდგომით, ვენახს 2-3 წელს აყამირებენ, ბალახს თიბავენ, რომელსაც შემდეგ ბარავენ და ამით მოსავლიანობა და ყურძნის ხარისხი იზრდება. ისევე, როგორც მთლიანად ქართლში, აქაც გავრცელებულია: თეთრი, წითელი, საადრეო, საგვიანო, სასუფრე და საღვინე ჯიშები. აქაური ღვინო მსუბუქია, სასუფრეა და კარგად შენახულს შესანიშნავი სურნელება-ბუკეტი გააჩნია. საუკეთესო ღვინოა ხიდისთავის უბანი, რომელიც ტოლს არ უდებს რეინვეინის ღვინოს. საერთოდ ამბობენ, რომ ქართლში წარმოებული ღვინო ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და იგი დას. საქართველოდან — შორაპნიდან შემოაქვთ, რომლის ერთ ნაწილს იაფად ყიდულობენ ქართველები და მთის ოსები. ოსები საერთოდ ღვინოს სვამენ განსაკუთრებულ დღესასწაულების შემთხვევაში. მათი ჩვეულება სასმელი ლუდი, თითქოს პივა, რომელსაც ამზადებენ ქერისა და хмеля–გან (ხმელასაგან). სამრეწველო ხეხილის გაშენებას ხელი მიჰყვეს დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, ოსეთის მთიანი ადგილების მისადგომებზე, რისთვისაც

კარგი ბუნებრივი პირობებია. თითონ ცხინვალში არაა საკუთარი ხილის ბაღები, როგორც იგი გვხვდება ევროპის ბევრ ადგილებში, თუმცა ხილის ხეები ჩვეულებრივად დარგულია ვენახების ირგვლივ და მის შიგნით მიყნებზე. ისე, რომ აქ წარმოებული ხილი ასეული ურმით გადის თბილისისა და გორის ბაზრებზე, უმთავრესად ვაშლი და მსხალი.[241]

მოტანილი ვრცელი ამონაწერის მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანა, განაპირობა აღნიშნული პერიოდის შიდა ქართლის სინამდვილეში არსებულმა მდგომარეობამ, რომელიც გამოიკვეთა განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავაჭრო მიწათმოქმედებაზე გადასვლის პროცესში.

სოფ. ტირძნისის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის პლატონ იოსელიანი, (რომელიც ერთხანს გამგებელი ყოფილა ამ სოფელში), წიგნში — „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“, სადაც ვკითხულობთ: „ტირძნისი ყოფილა არაგვის ერისთავის საჰაერო სოფელი და მეფემ ირაკლი არაგვთან ტირძნისიცა ჩამოართვა არაგვის ერისთავს“. მაშინ ტირძნისი მისცა სართად ხერთვისისა ბეგსა ახალციხიდამ აქ გადმოვარდნილსა. მას ბეგს გამოართვა მეფე ერეკლემ და მისცა სამოურაოდ დავით ვისმე აბაშიძეს, და შემდგომად აბაშიძისა, მისცა გარდაცვალებისა მეფის ირაკლისა, გამეფებულმა მეფემან გიორგიმ წარგზავნა გამგედ მისს სოფლისა ბეცია თურქისტანიშვილი და როდესაც ახალ დროსა მეფისა გიორგისა გამეფებისა, დავით ბატონიშვილი გადმოვიდა რუსეთათ და ლაშქაროვის მაგიერ სოფელი სთხოვა მეფესა, მაშინ მეფემან დააწერინა სიგელი ტირძნისისა, რომ არის ტირძნისი ლაშქარევისაო, მაშინ ის სოფელი მიაბარა მეფემან სიგლითურთ დავით ბატონიშვილსა. დავით ბატონიშვილმან გამგზავნა მე (ეგნატე იოსელიანი) გამგედ მისი ჩღჟს და ჩყუთ და რაც გამოსავალი იყო სოფლიდამ ჩემს სარგოს მე ვიღებდი და საბატონოს ვუგზავნიდი დავით ბატონიშვილსა. მერე მე გამომცვალა სვიმონ გაბაშვილმან წელსა 1799-სა. 1802 წელსა რუსეთით მოვიდა ნიკოლოზ ონიკოვი და ლაშქარევსა ტირძნისი მიებარებინა მისთვის, ამისათ-

[241] ცსსია, ფ. 241, №3, საქ. 14.

ვის მან ონიკოვსა იოსებ დეკანოზოვმან წინამძღვრისშვილმან. ამისისა მოქმედებათა გაისყიდა ტირძნისი და მიესყიდა სულხანოვს".[242]

ამავე ნაშრომში ჩამოთვლილია მეფე გიორგის დროს იმ მოხელეთა ვინაობა რომელთაც ქართლში სხვადასხვა, მათშორის მოურავის თანამდებობა ეკავა; ერასტი ამილახვარს — სოლანლულში, ქაიხოსრო სუმბათოვი (სუმბათაშვილი) მოლარეთუხუცესი — ნავთლულს, ბარამ გურგენიძე — დიდუბეში, წინწყაროს და ორსავ ავლაბარში, ალექსანდრე მაყაშვილი — კუკიის, ფარსადან ქარუმიძე — ახალ სოფელში, გიორგი ამილახვარი — გორში, ლუარსაბ ლოლაძე და გიგა ბეგიაშვილი — მეკვრის ხევს, გოგია ბეგიშვილი — მეკუდაში, დავით ბიბილური — სათემოს, ფირან ჩერქეზიშვილი — ქიწნისში, ტყვიავში, ღვიდისში, გოგია ფურცელაძე — პ. ლიახვისა და ოსებისა, გოგია მირზაშვილი — ვანათსა, არბოს, შინდისს, ეგნატე იოსელიანი — ტირძნისში, ნინია ამილახვარი — ცხინვალში და ქართლში, მიმბაში ზაზა მაჩაბელი — ქელეაში და აჩაბეთში, ზარდიაშვილი ნასყიდა — მაღრან დოვლეთში, ევგენი აბაშიძე — ალსა, სურამსა და ქეფინისხევსა, ნიკოლოზ გლურჯიძე მოლარეთუხუცესი — ხიდისთავს და ა.შ. შემდეგ მოზდევს 15 მოხელე, რომლებიც უმეტესად კახეთის სოფლებში მსახურობენ, თუმცა იმავე კახეთის მოურავები ცალკეა ჩამოთვლილი, სადაც 40 სოფელში შესაბამისი პიროვნებებია დაფიქსირებული.[243]

აღნიშნული მასალა, ისტორიულად მრავლის მეტყველია, სადაც აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდის აღმ. საქართველოში მეფის მოხელეთა შორის კვალწმინდათ ყველა ადგილობრივი — ქართველი პიროვნება ფიგურირებს.

1886 წლამდე ტირძნისში უკვე ფუნქციონირებდა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, რომლის საფუძველზე 1900 წელს გაიხსნა სამეურნეო განყოფილება 5 მოსაწავლისათვის. ამ სასწავლებლებში განათლებას იღებდნენ არა მარტო ადგილობრივი და მიმდებარე სოფლის ახლგაზრ-

---

242 პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი — ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, თბ., 1895., გვ. 325..

243 იქვე, გვ. 327.

დობა, არამედ აქ ჩამოდიოდნენ „იალბუზების ძირში მცხოვრები ოსები, თუმცა ადგილობრივნი უფრო გაურბოდნენ და ამდენად ოსები ჭარბობდნენ. სამეურნეო სკოლაში თითო მოსწავლის შენახვა იაფი, სულ 30 მანეთი ფასობდა. აქ არც სწავლის ქირას ახდევინებდნენ, მხოლოდ ჭამასმა, ტანსაცმელი, ბინა ჯდებოდა ოცდაათი მანეთი“.[244]

ცოტა უფრო მოგვიანებით, ტირძნისში იხსნება ქალთა სკოლა, რომელიც სოფ. მეღვრეკისიდან იქნა გადმოტანილი ივანე დავითისძე სულხანოვის თაოსნობით. მისივე მეცადინეობით, აქვე აგებულა საეკლესიო სამრევლო ორკლასიანი სკოლის შენობა სამასწავლებლო კურსით, რომელმაც შესწირა 9 დღიური სახნავ-სათესი მიწა და ადგილი შენობის ასაგებად ეზოთი და ბაღ-ვენახით. „ქალთა სკოლაში — იტყობინებოდა „ივერია“ — 50 ახალი მოსწავლე ჩამწკრივდა წირვაზე, რომელსაც მასწავლებელი ქალი კობიაშვილი ხელმძღვანელობდა. წირვას უძღვებოდა მასწავლებელი, ლოტბარი ივანე ვასილის ძე ხანდამოვი. გადახდილი იქნა პარაკლისი“.

ტირძნისის მოსახლეობის ერთი ნაწილი, როგორც ითქვა აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობაში. 1902 წ. ახლანდელი სკოლის ტერიტორიაზე მოხდა მშრომელთა რამოდენიმე რევოლუციური გამოსვლა; სოფლის გლეხობამ იმავე წლის სექტემბერში თაედასხმა განახორციელა სასამართლოს აღმსარულებელზე და პოლიციის ბოქაულზე, რომლებიც მემამულე ნ. სულხანიშვილის მოთხოვნით, სოფლის მშრომელებს მსხვილფეხა საქონელს ართმევდნენ. ამისათვის დააპატიმრეს 10 გლეხი, რომლებსაც გორის საოლქო სასამართლომ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა. ამან და სხვა სახის სულხანიშვილის მიერ შევიწროვებულმა გლეხობამ, 1905 წ. გაზაფხულზე მებატონეს დაუნგრიეს სამეურნეო ნაგებობები, გადაუწვეს პურის ყანები და გადასახადზე თქვეს უარი. ამიტომ, სულხანიშვილის თხოვნით მთავრობამ კაზაკთა 50 კაციანი რაზმი ჩააყენა, რომელთა მიერ მოკლული იქნა 7 და დაჭრილი 10 გლეხი. კაზაკების რაზმი დიდხანს იდგა სოფელში 27 ნოემბერს შეთქმული გლეხები კვლავ დაესხნენ კაზაკებს,

---

[244] გაზ. „იეერია“, 1882.

მოკლეს 2 გლეხი, რომელთა საპატივსაცემოთ სოფელში დაიდგა საპატიო დაფა.

პატარა ლიახვის ხეობაში ოდითგანვე გამოირჩეოდა სოფ. ბელოთი, რომლის შესახებ „ივერიის“ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ოდითგანვე ბელოთი მნახველს ბევრ სიამოვნებასთან ერთად დიდ სინანულსაც გვრიდა. საქმე იმაში იყო, რომ სოფლის შესანიშნავი ადგილმდებარეობის შესაბამისი სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვრებისა და სარწყავ-საირიგაციო სისტემით უზრუნველყოფის მიუხედავად, ეს ხალხი რატომღაც მთის ოსებს წააგავს ვიდრე ქართველებს“-ო. XX ს. 50-იანი წლებისათვის სოფელში ცხოვრობდა 60-მდე კომლი, სადაც ჭარბობდა ტურაშვილების, წიქარიძეების, დემეტრაშვილების და სხვ. გვარები. აქაური გლეხების ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა ყოფილა. ბელოთი, რომელიც პ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული, დაცული ყოფილა ქართული ქვითკირის ტიპიური ციხე-გალავნით კოშკებითურთ, რომლის ფართობი 500 კვ. მეტრამდე აღწევდა. გალავანში მაცხოვრის ძალზე დაზიანებული თაღოვანი, სამრეკლოიანი ეკლესია იყო და ეს დარბაზული შენობა ტუფის ქვითაა ნაგები. ს. მაკალათიას აზრით, ეკლესია უფრო ძველია, ვიდრე გალავანი. გალავანი XVII-XVIII საუკუნისაა და ეტყობა ლეკიანობისაგან თავდასაცავად აუგიათ, რაც დამახასიათებელი იყო ქართლის სოფლებისათვის. მისივე მტკიცებით, ლეკები ლიახვის ხეობაში შემოსვლისას უფრო მეტად პატარა ლიახვის მოსახლეობას აწიოკებდნენ, ძარცვავდნენ აქაურ შეძლებულ სოფლებს და ტყვეებიც მიჰყავდათ. ამიტომ, მათგან დასაცავად აქ მდგარა ბატონიშვილი იულონიც, რომელსაც მისი დედა დარეჯან დედოფალი თავის წერილში ურჩევდა, ბელოთიდან აყრილიყო ცოლ-შვილით და გორში დამდგარიყო.[245]

1804 წ. სოფ. ბელოთში ცხოვრობდა მიხეილ ერისთავის 15 კომლი ოსური, რ. ერისთავის 9 ქართული, 12 ოსური, სულ 36 კომლი. სოფლის თავზე, ლიახვის პირას დგას მაღალი, მრგვალი კოშკი პატარა გალავნით და მას „ხადურიანთ“ კოშკს უწოდებენ, სადაც სამი კომლი ხადური ცხოვრობდა. აქვე, ბელოთის მთაზე წმ. მარინეს დანგრეული

---

[245] მ. ცოტნიშვილი, ცხინვალის ისტორიისთვის სტალინირი, 1961.

ეკლესიის ქვემოთ, გაღმა ნასოფლარი ყოფილა, რომელსაც „ბოლოთაანი“ რქმევია და ბოლოთაშვილებს უცხოვრიათ.[246] რაც შეეხება გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტის ამ სოფლის მოსახლეობის ოსებისადმი მსგავსებას, უნდა ითქვას, რომ ოსთა მოსახლეობის სამ უმთავრესად მეურნეობრივ კატეგორიად: მთის, ბარისა და ველის ოსებად დაყოფა, შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. ოსთა აღნიშნულ კატოგორიებად დაყოფას ადგილი ჰქონდა არა მარტო ლიახვების, არამედ ქსნის, ფრონეს, თერგის და სხვ. ხეობებშიც. საქმე იმაშია, რომ გარდამავალი ზოლის ანუ ბარის ოსები ისე, როგორც „ველის ოსები“, თავიანთი სოციალური მდგომარეობით ბუნებრივია უფრო ახლო, მჭიდრო ურთიერთობაში იყო ქართულ მოსახლეობასთან და ამდენად მათი ასიმილაციის პროცესი შედარებით სწრაფად მიმდინარეობს, ხოლო მთიან რეგიონებში, იქ, სადაც კომპაქტური დასახლებაა, მათი ზნე-ჩვეულება მეტ-ნაკლებად დიდხანს ინარჩუნებს თვითმყოფადობას.

„ივერია“ იტყობინებოდა: მთის ოსების ავლადიდება სტუმართან და მოყვარესთან — ჭირში და ლხინში არაყია. მართალია ზოგიერთი სოფლის მკვიდრნი მიდიან ვაკეში, იღებენ ვენახებს „საიხელოდ“ — საზიაროდ უნდათ ამ საქმის შესწავლა, მაგრამ რა წელი უნდა მოზდევდეს ამგვარ მუშაობას“. ამიტომ, ოსების მსგავსად, სოფ. ბელოთის მთისძირა მოსახლეობა ქართული ტრადიციების შესაბამისად ბარში ეძებს საიხელო ვენახებს, რასაც დიდი ეკონომიკური ეფექტი არ მოჰყოლია. ამ სოფლის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებას მოცემულ პერიოდში, ხელს ისიც უშლიდა, რომ იგი გორის ბაზარს 35 ვერსით იყო დაშორებული და ამდენად უგზოობის გამო ჩაკეტილ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო ცხინვალის ბაზარი ერთობ პატარა იყო.

გაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა: „გზა ჯერ იყო და ლიახვისაგან იყო აოხრებული და მერე უპატრონობისაგან. თორემ გლეხობა წასვლას და მუშაობას არ მოერიდებოდა. ამიტომ ისინი არიან გამოყრუებულნი და მახლობელი ოსებისაგან მუდამ ძარცვა-გლეჯით შეწუხებულნი. რაც მთავრობისგან გადაწყდა სოფლებში ახალის მოხელის დანიშვნისა, მას აქეთ

---

[246] ს. მაკალათია, გვ. 56.

სამჯერ იქნა ამორჩეული მოხელენი და სამჯერვე უეარგისნი გამოდგნენ, მეოთხედ იყო ყრილობა 26 აპრილს მამასახლისის ამოსარჩევად და ერთხმად იქნა ამორჩეული ლენტო რაზმაძე. იგი რვა წელზე მეტია ცხინვალის ბოქაულობას ემსახურებოდა მწერლად და რასაკვირველია უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ზედმიწევნით ეცოდინება პოლიციის საქმე. იმედია ეს ყმაწვილი კაცი მოეკიდება თავის წმინდა მოვალეობას სრულის ძალით, ავაზაკობას და ცუდკაცობას გადაეფოფინება, აუხსნის ხალხს: სწავლა-ცოდნის მნიშვნელობას, შეაკეთებს გზებს და უჩვენებს ხალხს რიგიანი ცხოვრებისაკენ. აღსანიშნავია, რომ ამავე ყრილობაზე იყო მოწვეული ხუთი სამამასახლისო, სადაც ცხინვალის ბოქაულმა გუგუშვილმა გათოკა სამი ავაზაკი ოსი. ეს ვაჟბატონები დანავარდობდნენ ზემო ქართლისაკენ. მათვე გაუძარცვიათ მოურავი თავადი ბაგრატიონ დავითაშვილისა, რომლისთვისაც წაურთმევიათ ოცდაათ თუმნამდე. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ გუგუშვილი ძლიერ მარჯვედ ადევნებს თვალყურს ცუდკაცობას და ზდევნის".[247]

სოფელი ბელოთი, რომელიც ცხინვალის საბოქაულოში შედიოდა 13-15 ვერსით იყო დაშორებული და ეკუთვნოდა თავად ერისთავებს და ალექსანდრე ორბელიანს. ამ სოფელში უცხოვრია იულონ ბატონიშვილს, რომლის ციხე-გალავანში სამსართულიანი სახლი მდგარა და XIX ს. 90-იანი წლებისათვის მხოლოდ ნანგრევებიღა ყოფილა. ამჟამად მხოლოდ მოზრდილი ეკლესიაა. ამ ეკლესიის სიგრძე 20 და სიგანე 9 არშინამდეა, რომელსაც ამშვენებს ხუცური წარწერა. ეკლესიის საკურთხევლის წინ იულონის საფლავი ყოფილა. აქ — იტყობინებოდა „ივერია" — ხუთი წელია მღვდელი არ ყოფილა. ახლა დაუნიშნავთ მ. ოქროპირიძე და კორესპონდენტის სიტყვით ჩემს იქ ყოფნისას იყო ალ. ორბელიანის მოურავი გ. რატიშვილი და გლეხებმა შესჩივლეს, რო გიორგი ამილახვარმა ტყე შეგვიკრა, ჩაჩნები დააყენა და სულსა გვხუთავსო. საქონელი, თხა და ცხვარი ველარ გაგვიტარებია, შეშისათვის ველარ გავსულვართ. ამასთანავე ჩაჩნები თავისუფლად დანავარდობენ ჩვენს ნახნავებში და სიმინდი სულ მთლად ამოგვიგდესო. ამის გაგონებაზე რატიშვილმა უთხრა, რომ

---

[247] გაზ. „ივერია", 1894.

მაინც იქიტკენ მივდივართ მიწის დასაზომად და ბარემ იქამდის მიეყოლით და „სირონი" — მიჯნა გავსინჯოთო. სირონის გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ მ. ამილახვარს კარგა ტყე წაურთმევია ბელოთელებისათვის და ახალი სირონი თვითონვე გაუვლია. საყარაულოში ჩაჩნები არ იყვნენ, იქვე ტყეში ყოფილიყვნენ. ის იყო უკან ვბრუნდებოდით, რომ იჭექა ბერდენკამ. იმას მეორე-მესამე მოჰყვა და ერთი გლეხი კაცი, რომელიც თან გვახლდა დაეცა მძიმედ დაჭრილი. სროლამ ათ წუთს გასტანა დაშავებულ კაცს მარჯვენა ხელი და ბარძაყი მთლად გახვრეტილი აქვს. იმწამსვე შეატყობინეს ცხინვალში პოლიციას, მაგრამ ჯეროვანი ყურადღება არ გამოჩნდა. ჩაჩნები იმისათვის, რომ საპყრობილეში იჯდნენ, დღესაც თავისუფლად დადიან. ბერდენკის ტარება აკრძალულია და მათ რა უპირატესობა აქვთო.[248]

პატარა ლიახვის სათავე ნაწილში თავისი სილამაზით გამოირჩეოდა აგრეთვე სოფ. აწერი-აწრევი-აწრისხევი, რომლის ზევით ლიახვი ოცდაათამდე ვერსზე მიედინება, სოფელში გასული საუკუნის ბოლოსათვის სულ რამოდენიმე კომლი ცხოვრობდა და ეკუთვნოდა ქსნის საერისთაოს. აღნიშნულ სოფელში სადღეისოდ თითქმის ოსები სახლობენ, რამდენადაც ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ, სადაც სულ ათიოდე კომლი იყო და რომელთა უმრავლესობას ქართველობა: ასკილაშვილები, ვაზაგაშვილები, მარიამიძეები და სხვ. შეადგენდა ახლა ბარად დაიდეს ბინა.[249] ამ სოფლის მოსახლეობა ადრეც და ახლაც ძირითადად მესაქონლეობას მიზდევს, რამდენადაც მათ გააჩნდათ მდიდარი, მომთაბარული სათიბ-საძოვრები, ამდენად საქონლის საკვებად ბარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ზაფხულობით ამ ადგილებს იყენებდა.

ვახუშტის აღწერით, „ხოლო ტბა ქნოლისი არს მცირე, რომელსა სდის ლიახვი. ამ ტბიდამ ვანათამდე არს ლიახვის ხეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის ხევნი, და ვიწროვით ესე უფროს მწირი, არამედ აწერის-ხევს ზევით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად".[250]

---

[248] „ივერია", 1897.
[249] ს. მაკალათია, გვ. 23.
[250] ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 71.

ამგვარად, XVIII საუკუნის მონაცემებით, სოფელი აწერის-ხევი ქართულ დასახლებას წარმოადგენდა და როგორც ითქვა ოსები მხოლოდ მის ზემოთ, ლიახვის ხეობის ვიწროებში ცხოვრობდნენ. ს. მაკალათიას აღწერით XX ს. 50-იან წ-ში შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ციხე-გალავანი, რომლის ზემოთ ღვთისმშობლის ეკლესია ყოფილა, ხოლო მის ქვემოთ 1839 წ. სამების ეკლესიაც აუშენებიათ, რომელიც მარიამიძეების სალოცავი ყოფილა. მისივე სიტყვით, ასეთი დიდი და ნაგებობით საყურადღებო ციხე-გალავანი ამ ხეობაში არ შემონახულა, რომლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ამ ფოტრისის-ხევს ზემოთ აღაშენა შანშემ ციხე სამაგრედ თესად, არამედ ექმნა გალიად, რამეთუ გამოიყვანეს ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ“-ო.

როგორც ავღნიშნეთ, პ. ლიახვის ხეობის ერთ-ერთი შემადგენელი შენაკადია გერის წყალი –ხეობა და „ღერია წყალი“-ს ხევი. აქაა დარბაზული სტილის პატარა ეკლესია – გერის წმინდა გიორგი, რომელიც ქართლში დიდ სალოცავად ითვლება. ეკლესიაში 15-16 აგვისტოდან თითქმის ქრისტეშობის თვის დამდეგამდე ზღვა მლოცველი მოდის, მაგრამ უგზოობაა – იტყობინებოდა 1903 წ. „ივერია“ – ურმები ფეხს ვერ უქცევენ და განსაკუთრებით ოსები. ხატში სალოცავად ავადმყოფებიც მოჰყავთ. თუ აედარია მტრისკარს. ყველას საკლავი მოჰყავს ცხვარი, ხარი, ძროხა. თუ მღვდელი დაგვხვდა კარგია პარაკლისს გადაიხდით თუ არა და ეკლესიის მწათე ოსი დაგამწყალობთ, ჟღარუნებიანი ბაირაღით. თქვენგან მოყვანილ ცხვარს, კურატს თუ ზვარაკს სამჯერ შემოატარებს ეკლესიას, მერე დაჰკლავენ, ნახევარი საკლავისა, ტყავი იმათ მიაქვთ შენ კი ნახევარი გრჩება. თუ გეყოთ ხორცი ხო, თუ არადა თვითონვე ყიდულობ შენი მიყვანილიდან. სამი კვირის განმავლობაში აქ დაიკლა 1350 სული ცხვარი და 500 სხვადასხვა საქონელი. საწირავის ფული, ჯვარი, სანთელი, მიტკალი, ძაფი, საჭაპურები, არაყი, ლუდი, ღვინო და სხვ. ისე რომ ეკლესიას სულ ცოტა 1000 თუმანი შემოსავალი აქვთ და გზა კი არაა“.

ს. მაკალათიას აღწერით, ამ გრძელი „მღერია“ ხევის მთებზე ოსების სოფლებია გაფანტული, სადაც აქაიქ შემორჩენილია ძველი მთიულური ტიპის კოშკები. მთაზე გაშენებულია სოფ. გერი, რომელიც ხუთ უბნათაა დაყოფილი ეკლესიას თლილი ქვის გალავანი აქვს შემოვლებული და თავზე ლომის თავია გამოკვეთილი. ეს სალოცავი უმთავრესად სულით დაავადებულთა მკურნალად ითვლება. გერის წმინდა გიორგის ხატობა ქართლში ორ ადგილას სოფ. გერსა და არბოში იმართებოდა. გერი იყო ამ ხატის მთის საბრძანისი, არბო კი — ბარისა. გერისთაობა სამ კვირას გრძელდებოდა: პირველი თავგერისთაობა, მეორე — შუაგერისთაობა და მესამე — გერის ბოლო. ეს უკანასკნელი სოფ. არბოში იმართებოდა.

გერსითაობაში მლოცველთა უზარმაზარი ნაკადი მიედინებოდა აღმ. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან. ე.წ. „ჩარდახ“-ფარდაგხალიჩებით გადახურული ურმებით და ცხენის საზიდრებით, განუწყვეტელ ქარავანს მიჰყვებოდა შეთქმულ-შესაწირავი საკლავი, აგრეთვე მუსიკოსთა თანხლებით, ხშირად ფეხშიშველი მრევლი, უმეტესად ქალები. სოფ. არბოში — არბოობა იმართებოდა აქ მდგარი X ს. პატარა და XI ს. დიდი ეკლესიის ირგვლივ და რამდენადაც ხალხის ტევა არ იყო, ფაქტიურად მთელი სოფლის შემოგარენი სავსე იყო ღამისთევით მოსული ხალხით. ამდენად, მთელი დღე-ღამის განმავლობაში იყო ღერობა, ცეკვა-თამაში, ჭიდაობა, იმართებოდა დოღი და სხვ. აქვე იმართებოდა დიდი ბაზრობა ე.წ. „იარმუკა“, სადაც იყიდებოდა, როგორც ადგილობრივ ხელოსანთა ნახელავი, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-ინვენტარი, საოჯახო მოხმარების საგნები და სხვ. აგრეთვე ქალაქიდან ჩამოსული, უმთავრესად სომეხ-ურიათა მიერ მოტანილი სხვადასხვა სამრეწველო საქონელი.

ამავე სოფლის მიმდებარედ არის წმინდა ბარბარეს ეკლესია, რომელიც სოფ. ქორდის სანახებშია და ითვლება ყვავილ-ბატონების მფარველ ღვთაებად. ეს სალოცავიც ერთ-ერთი ძლიერია ამ ხეობაში, სადაც მლოცველები ქ. გორიდან და მის ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოდიან. ძეგლი XVI-XVII სს. მიეკუთვნება, რამდენადაც ეს ეკლესია ხაჩიურიანთ მამულშია, ამდენად ეს გვარი პატრონობდა. ამ სალოცავში ორშაბათობით

მოდიოდა მლოცავი და ღამისთევით რჩებოდა. შესაწირავს შორის ჭარბობდა ქათამი და განსაკუთრებით მამალი.

მდ. პატარა ლიახვის ზედა წელზე მდებარეობს სოფ. დმენისი, რომელიც ოდითგანვე მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით იყო ცნობილი. აქ განსაკუთრებით მიზდევდნენ ხორბლისა და ქერის მოყვანას, ხოლო მესაქონლეობიდან მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებას. რაც შეეხება ბოსტნეულ-ბაღჩეულის კულტურებს, იგი შიდა მოხმარების ფარგლებს არ სცილდებოდა. თუმცა სხვა სოფლების მსგავსად, XIX ს. 90-იანი წლებიდან აქაც, სოფლის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ხელი მიჰყო განსაკუთრებით მეხილეობის განვითარებას და სულ მოკლე ხანში იგი გახდა გლეხის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ, რომელმაც კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო XX საუკუნის შუა ხანებისათვის და მესაქონლეობასთან ერთად ფართო სავაჭრო დარგად იქცა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხეობაში ხელოსნობის დარგებიდან, სოფლის სინამდვილეში რაიმე სპეციალიზაცია იმთავითვე არ შეინიშნებოდა. მაშინ, როდესაც სოფლებში გარკვეულ წილად ყოველთვის მოიძებნებოდა საოჯახო დანიშნულებისათვის იმ აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო, თუ სხვა საყოფაცხოვრებო საგნების ხელოსან-მწარმოებლები. ამიტომ, თითქმის ყველა მოზრდილ სოფელს ჰყავდა ადგილობრივი კალატოზი, ხითხურო, მჭედელი, მეწაღე, დალაქი, ნალბანდი, ბეითალი და სხვ. რომელიც უმთავრესად ხალხურ ცოდნა-გამოცდილებაზე იყო დაფუძნებული. სავაჭრო-კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შემდგომ ეტაპზე ისევე, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, აქაც აქტიურად იწყება ჯერ ე.წ. „მეწვრიმალე“ ვაჭარ-ხელოსნების მოძრაობა, ხოლო შემდეგ ადგილობრივ სავაჭრო-სახელოსნობის გახსნა.

როგორც არაერთგზის ავღნიშნეთ, საკვლევ რეგიონში, განსაკუთრებით XIX საუკუნის მიწურულიდან, მძლავრად იკიდებს ფეხს ოსური მოსახლეობა, რომელნიც თითქმის იაფასიანი მუშახელის სახელით ჯერ დროებით, ხოლო შემდეგ მუდმივად სახლდებოდნენ თავად-აზნაურთა მიერ ნაბოძებ, ან უმეტესწილად თვითნებურად მიტაცებულ მიწებზე, რომელმაც წამოჭრა ისეთი გაუთვალისწინებელი, სავალალო სოციალურ-

ეკონომიკური პრობლემები, როგორიცაა: დავა სამოსახლოებისათვის, აღებ-მიცემობაში, შრომულ ქორწინებაში, სწავლა-განათლებაში, რელიგიური კავშირ-ურთიერთობაში, ნათელ-მირონობაში და სხვ. ასეთ ვითარებაში, როდესაც ადგილობრივ, ძირძველ მოსახლეობაში იჭრება უცხო ელემენტი, ბუნებრივია ხშირად კნინდება და მახინჯდება ადგილობრივი ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი, ძველი ტრადიციები და სხვ. ამგვარი პროცესების შედეგად, თანდათან ადამიანის თვალწინ და მეხსიერებაში იჭრება მისთვის აქამდე უცხო სამეურნეო თუ ზნეობრივი გამოხდომები, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ეროვნულ თვითშეგნებაზე, თუ აღარაფერს ვიტყვით მოსახლეობის ეთნიკურ და დემოგრაფიულ შედგენილობაზე, ტერიტორიალური მთლიანობის მოშლაზე და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივს წარმოადგენს ის ფაქტიც, როცა საკვლევი პერიოდის პრესისა და საარქივო დოკუმენტებში ასახულია უამრავი ქურდობის, თავდასხმების, მკვლელობის, ბუნებისადმი უდიერი დამოკიდებულებისა და სხვა ფაქტები, სადაც მოქმედ პირად უმეტესად ახლად ჩამოსახლებული გვევლინება. აღნიშნულ გარემოებაზე მიგვითითებს თუნდაც იგივე სოფ. დმენისის საბოქაულოს მიერ სოფლის ყრილობაზე მიღებული ერთ-ერთი განაჩენი, სადაც გათვალისწინებულ დანაშაულობათა აღკვეთის მიზნით, მამასახლისის წარდგინებით ამ ორი სოფლიდან — დმენისი და სათიხარი — ამორჩეული იქნა 5-5 კაცი ანუ „ხევის კაცები“, რომელთაც ევალებოდათ სოფლის საერთო პატრონობა და იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ შესძლებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, მაშინ თითოეული მათგანი გადაიხდიდა 10 მანეთს ჯარიმის სახით.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ამ ეტაპზე, სათანადო ყურადღება მიექცა აგრეთვე სწავლა-განათლების საკითხებს, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, როდესაც სოფ. დმენისელების თხოვნით მათი ბავშვები მოშორებით მდებარე მერეთის სამრევლო სკოლიდან მიმაგრებული იქნენ ვანათის სკოლაზე, რაც მამა ლეონიდეს თაოსნობით მოხერხდა და საამისოდ დიდი ზარ-ზეიმიც მოეწყო. აქვე სხვა გართობა

თამაშობასთან ერთად ხშირად მღეროდნენ ხალხურ ლექსებს, მათშორის შრომით მოტივებზე:

„გუთანო შენი ჭირიმე,
გათლილო წმინდა ხისაო
შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა
დამმარხველი ხარ მკვდრისაო.[251]

XIX საუკუნის 80-90-იანი წლებისათვის, მნიშვნელოვნი ღონისძიებები ტარდება განსაკუთრებით სასულიერო სასწავლებლების დაარსებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა-შეკეთების მიმართულებით. სოფ. ერედვში, სადაც შესანიშნავად ნაგები ეკლესია, მოძღვრის გარეშე, უმოქმედოდ იდგა, 1894 წელს, გორის სასულიერო სასწავლებლის ზ. დავითაშვილის თაოსნობით დაიწყო სამრევლო სკოლის აღდგენითი სამუშაოები. როდესაც მან ამის თაობაზე ხალხს მიმართა, ბუნებრივია ყველამ თანხმობა გამოთქვა, მაგრამ თან სთხოვეს, რათა საამისოდ დიდი თანხა არ შეეწერათ. აღნიშნული განცხადების საფუძვლად მათ მოიყვანეს მიზეზად სიღარიბე, მამულის ნაკლებობა და სხვ. ამ შეკრებაზე შედგენილი იქნა განაწერი, რომლის ძალითაც სკოლის მშენებლობა-გაბსნისათვის ერთ კომლს უნდა გადაეხადა წელიწადში მანეთნახევარი, რაც საერთო ჯამში 240 მანეთს შეადგენდა. ამის გარდა, არაერთმა აქ დამსწრე თავადიშვილმა სიამოვნებით შესწირა ზოგმა თუმანი ზოგმა ხუთი მანეთი და სულ მცირე ორი მანეთი. ამიერიდანვე დაიწყო აგრეთვე წიგნების შეწირულობაც, რომელიც ითავა ერედვის მღვდელმა ანტონ ლომოურმა.[252]

1887 წლის 13 ნოემბერს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა სოფ. ვანათის სკოლის მასწავლებლის ზ. ოქრუაშვილის წერილი„ რომელიც იტყობინებოდა, რომ ამ ოციოდ წლის წინ მღვდლები მთავრობისაგან დავალებულნი იყვნენ სამხრეთ ოსეთში, რომ თავიანთ მრევლში გაემართათ სკოლები, სადაც გლეხის შვილებს შეეძლოთ წერა-კითხვის სწავლა. მართლაც ბევრმა მათგანმა გამართა სამრევლო სკოლები, თუმცა ისინი

---

[251] „ივერია“, 1889.
[252] „ივერია“, 1894.

მალე გაუქმდა. მხოლოდ პატარა ლიახვის ხეობას შემორჩა 4 სკოლა: ჯავაში, ვანათში, ყორნისსა და როკში, რომელნიც კარგახანს შემორჩა. როკის სკოლა ამ ექვსი წლის წინ დაკეტეს და დარჩა მხოლოდ სამი, სადაც ამ ორ წლამდე სწავლა მიდიოდა ქართულად და რუსულად. შემდეგ კი ჯავასა და ყორნისში შემოიღეს ოსური. ამგვარად, ქართულსა და ოსურს მხოლოდ ვანათში ასწავლიან. ჩემს წინა მოადგილეს კ. ცხვედაძეს ვანათის სკოლაში გაუმართავს კარგი წიგნ-საცავი, შეუკრებია ფული, უყიდია წიგნები, კარადა და კატალოგით დაუწყვია. ბლაღოჩინ მღვდელს ლ. ფილიშვილს დაუდგენია განაჩენი, რითაც სხვა სოფლელებსაც შეეძლოთ ესწავლათ. ამასთან მათივე მეცადინეობით სხვა სოფლებშიც უნდა გაეხსნათ ასეთი სასწავლებლები.

მართლაც, რეგიონის სხვადასხვა დასახლებულ ადგილებში აქტიურად მიმდინარეობს არა მარტო სამრევლო, არამედ სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო სკოლების დაარსება, სადაც შეისწავლიდნენ მიწათმოქმედების ახალ მეთოდებს, იარაღ-მოწყობილობათა გამოყენებას, პროდუქციის გადამუშავება-რეალიზაციას, ხელოსნობის დარგებს: დურგლობას, კალატოზობას, მჭედლობას, ჩილინდრობას, ქალები ჭრა-კერვას, სახეების კერვას, ძაფის გამოყვანას და სხვ. აღნიშნული პერიოდისათვის, ბუნებრივია ახლად შექმნილი სკოლები თავიანთი პედაგოგ-მასწავლებლებით და საბაზო მოწყობილობებით, ჰიგიენური თვალსაზრისით და სხვ. უნაკლო არ იქნებოდა. ამიტომ, დროთა განმავლობაში, არაერთი ქართველ მოჭირნახულე-მოღვაწეთა თაოსნობით, თანდათან მიმდინარეობდა მათი აღდგენა-კეთილმოწყობისა და სრულყოფის სამუშაოები.

მაგალითად, სოფ. ვანათში, სადაც ფუნქციონირებდა კავკასიაში გამართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც პედაგოგიურად და ჰიგიენურად ნაკლოვანი იყო, 1889 წელს სამრევლო სკოლების ინსპექტორმა — მამა ლეონიდემ, დათვალიერებისას ნახა რა აღნიშნული მდგომარეობა, ურჩია სოფ. ვანათელებს, ორტეველებს და დმენელებს, რომელთა შვილებიც აქ სწავლობდნენ, აეშენებიათ ახალი 100 ბავშვზე გაანგარიშებული სკოლა. აღნიშნულ თავყრილობას ესწრებოდნენ: სამრევლო სკოლების ინსპექტო-

რი მღვდელ-მონაზონი მამა ლეონიდე, ცხინვალის პოლიციის ბოქაული ბატონი ვახვახოვი (ვახვახიშვილი), ცხინვალში მცხოვრები ბოქაულად ნამყოფი ბატონი ჟურული, ორტევის ბლაღოჩინი მღვდელი მ. კაპანაძე, ამ სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი კ. დავითაშვილი. შეკრებისას მამა ლეონიდემ თქვა: „იშვიათად ნახავდით თვალითგანვე გლეხის სახლს, სადაც სახარება, დავითნი ან სამოციქულო არ ჰქონოდა. მზითევშიც აუცილებლად ატანდნენ ერთერთს".[253]

აღსანიშნავია, რომ მოცემული პერიოდისათვის, არამარტო ეკლესია-მონასტრები და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობები განიცდიდნენ უგზოობას, არამედ საერთოდ ქალაქებსა და დაბებს შორის დამაკავშირებელი სამიმოსვლო სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობასაც, რაც ბუნების ჭირვეულებითაც იყო გამოწვეული. ამ შემთხვევაშიც მდ. პატარა ლიახვის ხეობა არ იყო გამონაკლისი, რომელიც თავისი სწრაფდინებით დიდ ზიანს აყენებდა ადგილობრივ მოსახლეობას, ტრანზიტად მოძრავ ადამიანებს. აღნიშნულ გარემოებათა გამო, ხშირად გაუთავებელი აყალ-მაყალი და უსიამოვნო დაპირისპირება მიმდინარეობდა ცალკეულ სოფლებს შორის თუ ვის უნდა ეზრუნა ხიდ-ბოგირების, მდინარეთა კალაპოტების გამაგრებაზე, საამისოდ ვებირებისა და გოდორყურბის მოწყობაზე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ პატარა ლიახვი მოედინებოდა აყრილ ჭალებში და ტყით დაფარულ ხევ-ხუვებში, მაინც იმდენად სწრაფად მოქუხდა განსაკუთრებით ადრე გაზაფხულზე, რომ ბუნებრივი ბარიერები ვერ უმკლავდებოდა და ფარავდა სახნავ-სათესს, ანგრევდა სახლებს, იტაცებდა საქონელს და სხვ. რის გამოც, ხალხში დღევანდლამდე შემორჩა ლექსი:

„ლიახვმა სთქვა ავდიდდები,
არაგვს არ დავერიდები.
ისე მოვალ და მოვქშუი,
თითქოს ზედ მეკვრის ნალები.

---

[253] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1902.

ბევრი ურია დავალრჩე,
წითელ ქოჩორა ლალები-ო.“

ამიტომ, როდესაც გადაწყდა პატარა ლიახვზე ხიდის აგება, ბუნებრივია ხალხი მას ალფრთოვანებით შეხვდა, რომლის მშენებლობა ტყვიავ-ტირძნისის საზღვარზე დაიწყო 1893 წლის ივნისში და დამთავრდა დეკემბერში. ერთი თვის წინ – იტყობინებოდა „იერია“ – „ინჟინერმა კრუგლიკევიჩმა გასინჯა ხიდი და დეკემბერში აკურთხეს, რაც საერთოდ ცხინვალის ბოქაულის გუგუშვილის მეცადინეობით განხორციელდა. ამისათვის მას ხალხმა მადლობის ნიშნად ძვირფასი ხმალი მიართვა. ხიდის გახსნისას თბილი სიტყვით მიმართეს პოლკოვნიკმა ალექსანდრე მაჩაბელმა – თავადაზნაურთაგან და ეაჭართაგან საჩინო მურადაშვილმა. ალნიშნული ხის ხიდის მიმართ თავადი ხერხეულიძე საყვედურს გამოთქვამდა, რატომ რკინისა არააო და იმას კი არ კითხულობდა რა სახსრებითა“-ო.[254] სამწუხაროდ ამ პერიოდშიც ცხოვრობდნენ ხალხი, რომელთა ზოგიერთ მათგანს არ აწყობდა ასეთი პატრიოტული საქმეების წამოწყება და ამიტომ ლიახვის ხიდის მშენებლობისა და მის შემდგომ პერიოდშიც არ წყდებოდა არა მარტო კრიტიკული პუბლიკაციები, არამედ მშენებლობის ჩაშლის მცდელობაც კი. ერთ-ერთი ასეთი ფაქტის შესახებ იტყობინებოდა „იერია“ – ისე აუტყდნენ ამ პატარა ლიახვის ხიდს, რომ მთელი მაზრისაგან ნაშრომ-ნაამაგარს ჯერ თითო-ოროლა მწერალი გამოუჩნდა, რომელნიც იმის უვარგისობას ამტკიცებდნენ და ახლა საქმე იქამდეც მივიდა, რომ ნელ-ნელა ანგრევენ. ყოველღამ ხან მოაჯირს, ხან სხვა ნაწილს ანგრევენ. პოლიცია ეძებს, მაგრამ ვერ მიუკვლევიათ. ჩანს, რომ ავაზაკნი ტირძნისის მხრიდან მოდიან, ნგრევა იქიდან იწყება და კვალიც ჩანს. მაშინ, როდესაც ხალხი გოდებს და გვრგვინავს, რმელთაც შეებით ამოისუთქეს ხიდის გაკეთებით-ო.[255]

როგორც აღვნიშნეთ, მდ. პატარა ლიახვის აუზი თავისი სასოფლო-სამეურნეო პროფილით ფრიად საინტერესო და მრავალწახნაგოვანი, რომელსაც ხელს უწყობს მოწესრიგებული სარწყავ-საირიგაციო სისტემა.

---

254 „იერია“, 1893.
255 „იერია“, 1894.

ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, როდესაც დოკუმენტში ხშირად ვხვდებით მდ. ლიახვზე ოდითგანვე მოწყობილ საირიგაციო ნაგებობათა, წყლის მომარაგებ-გამოყენების ამსახველ საინტერესო მასალებს. და მიუხედავად იმისა, რომ აქ მოსახლეობა საკმაოდ განებივრებული იყო სარწყავი წყლის მარაგით, მაინც მის სარგებლობისას გარკვეულ პერიოდებში ადგილი ჰქონდა უყაირათო ხარჯვას, დაუდევრობას, უწესრიგობას, სარწყავი სისტემის მოშლის არაერთ ფაქტს, რაც გამოიხატებოდა როგორც ცენტრალურ, ისე შიდა სასოფლო რუებისა და კანაოების დაცვისა და გასუფთავების, წყლის განაწილებისა და სხვ. საქმეში. ამიტომ, მეურნეობის ამ სისტემაში გაუთავებელი დავა ბუნებრივია ზეგავლენას ახდენდა პროდუქციის წარმოების დაქვეითება-მოუსავლიანობაზე.

ამიტომ, ერის მოწინავე საზოგადოება ყოველთვის ცდილობდა ამ საჭირბოროტო პრობლემების გონივრულ მოგვარებაზე. ამ მიზნით, 1894 წლის 20 თებერვალს, ქ. გორში შედგა მერუეების – „მირაბების“ არჩევნების ჩატარება, სადაც იმსჯელეს და კონკრეტული ღონისძიებები დასახეს მდ. პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობების მოსახლეობის სარწყავი სისტემის მოვლა-პატრონობისა და წყლის უდანაკარგოდ მოხმარება-მოწესრიგებისათვის.[256] თუმცა ამ ღონისძიებას უარყოფითად შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელთაც უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ ისინი მდიდრები იყვნენ წყლით და ხარჯი ტყუილად უნდა ეხადათ. მაგრამ, მიუხედავათ მათი ჭირვეულობისა, რადგანაც იგი ეფუძნებოდა მთავრობის გადაწყვეტილებას, ამდენად, მოსახლეობა იძულებული იყო შერიგებოდა. რამდენადაც სარწყავი სისტემის გონივრულ მოწყობასა და გამოყენებაზე იყო დამოკიდებული სასმელი წყლით მომარაგება-უზრუნველყოფაც, ამდენად მოსახლეობაში ეს საკითხი ყოველთვის ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომ, აღნიშნული საკითხის ერთ კონკრეტულ გადაწყვეტილებას თავი მოაბა 1834 წ. თავად ნიკოლოზ ოსიპეს ძე ფალავანდიშვილმა, როდესაც: ვანათის, სარაბუკის, მეღვრეკისის, ერგნეთის, საბაწმინდისა და ხეითის სოფლების მოსახლეობის სახელით, თხოვნით მიმართა მთავრობას უფლება დაერთო,

[256] სცსია, ფ. 16, საქ. 4884, ფურ. 12.

რათა თავიანთი შრომით და ხარჯებით გაეყვანათ არხი-კანაო მდინარე ლიახვიდან, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც სარწყავი, ისე სასმელი წყლით მომარაგებას. იგი აღნიშნავდა, რომ ამ სამუშაოთა ზედამხედველები იქნებოდნენ ფრიადგანათლებული აზნაურები: სიმონა ცოტნიაშვილი, გრიგოლ ბროძელი და დიმიტრი შაბუროვი (შაბურიშვილი). ამავე საბუთშია სოფ. ერედვის თავადთა და გლეხთა საჩივარი, სადაც აღნიშნულია, რომ უწყლოობისაგან ხორბლის დიდძალ მოსავალს კარგავენ და საერთოდ არც სასმელი წყალი ჰყოფნით. ვენახები თითქმის გადამხმარია, წყლის გაყვანას უხელმძღვანელებს აზნაური პეტრე შაბუროვი, რომელსაც მიზანშეწონილად მიაჩნია წყლის გამოყვანა სოფ. ვანათიდან. მომჩივარნი პირობას იძლეოდნენ, რომ ქუდზე კაცი გამოვიდოდა თავიანთი ნიჩაბ-ბარებით და საჭმელ-სასმელით. აღნიშნული სამუშაოები მართლაც წარმატებით დაიწყო, რაზედაც იტყობინება მთავრობის განკარგულება სამუშაოთა ადრინდელივით გაგრძელებაზე.[257] (სავარაუდოდ ამ არხს სალთვირის არხს უწოდებენ).

რამდენადაც, სარწყავი სისტემის ტექნიკური მოწყობილობის დონე განსაზღვრავდა აგრეთვე სასმელი წყლით მოსახლეობის რეგულარულ მომარაგებას, ამდენად, ყოველწლიურად, გაზაფხულიდანვე მიმდინარეობდა მათი წესრიგში მოყვანის სამუშაოები, რაც ყველა მეკომურისათვის სავალდებულოს წარმოადგენდა, ანუ ბეგარის სახით ხორციელდებოდა. ამ სამუშაოებში შედიოდა: მდინარეთა კალაპოტების გამაგრება, ხიდბოგირების შეკეთება, რუსხმულების, გოდორყურების, ჯებირების, ქვის კედლების, სასმელი წყლის საწრეტების მოწყობა და სხვ.

გაზ. „დროების“ 1914 წლის იანვრის ნომერი იტყობინებოდა, რომ ლიახვის რუსხმულების რუები უპატრონოდ არიან მიტოვებულნი. ლიახვების დაბალი კიდეები საშუალებას იძლევა ადვილად გასჭრან სარწყავი რუები. საუკეთესო საბაღე, სავენახე, საყანე და საბოსტნე ადგილები ბლომად არის, მაგრამ მოკლებულია ნორმალურ წყალგაყვანილობას. ლიახვების რუსხმულებში გაშენებულია ულამაზესი და უმდიდრესი სოფლები ქართლისა. ეს სოფლები ცხრა უმთავრესი რუებით ირწყვის.

---

[257] სცსია, ფ. 16, საქ. 4886, ფურ. 15.

დიდი ლიახვიდან ირწყვებოდა ერთი უდიდესი რუთი – არხით, რომლის სათავე კეხვიდან ყოფილა დედოფლის დროს და ყაიბულა რქმევია. თვალუწვდენელი, ურწყავი და ნაყოფიერი მინდვრები დგვრისის, თამარაშენისა, ტბეთისა, წუნარისა, ნიქოზებისა, ზემო ხვითისა და დირბისა, სადც სოფელიც კი ყოფილა და ახლა საყდრის ნანგრევილაა და ყვავის საყდარი ჰქვია, ყაიბულას კვალი ეხლაც მშვენივრად ამჩნევია სათავიდან მოკიდებული ბოლომდის.

ამ ძველი ყაიბულას არხის კვალს ვინ აღადგენს, როცა აწ მოქმედი რუებიც უნუგეშო მდგომარეობაშია, გაუწმენდავია და ზამთარშიგაზაფხულზე ითოშება ეს სველი თოვლით და სოფლებს ტბორავს, აოხრებს-ო. აქვე უნდა დავძინოთ, რომ აღნიშნული ისტორიული არხის ნაკვალევზე XX ს. 40-იან წლებში აღდგენილი იქნა ე.წ. სალთვისის სარწყავი სისტემა – არხი, რომელიც დღეს წარმატებით ფუნქციონირებს.

ლიახვის ხეობის სანახები უმთავრესად რვა დიდი რუთი ირწყვებოდა: „ცერაანთ და „მელაანთ რუ“ – კეხვიდან იწყებოდა და სოფლის ბოლოსვე იყრიდა თავს; ცხინვალიდან ირწყვებოდა „შედანაანთ რუ“; ქვემო ნიქოზის ბოლოდან „წლევიჯვრის რუ“; ფხვენისიდან „ბრეთული რუ“; „ქვედა რუისის რუ“; ვარიანიდან კი „ტინისხიდის რუ“; ხოლო მარცხენა ნაპირის სოფლებს კი რწყავდა სოფ. ხვითიდან გაყვანილი „მელვრეკისის რუ“.

ზემოაღნიშნული სარწყავი სისტემიდან, ტექნიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით მაღალ საირიგაციო დონეზე ყოფილა მოწყობილი ქვედა და ზედა რუები, რომელთაც ყველაზე გრძელი სადევარიც გააჩნდა, ანუ დიდ ფართობებს რწყავდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ეს ორივე რუ, რომელიც სოფ. საქაშეთზე გადიოდა, მისი სამხრეთი ნაწილი ძალზე ჩავარდნილ ადგილს წარმოადგენდა და მოითხოვდა 4-5 საჟენი სიმაღლის ხელოვნური მიწაყრილის მოწყობას. ამდენად, ამ მიწაყრილის ე.წ. „წარაბის“ სიმაღლე 4-5 საჟენს, ხოლო სიგრძე 2 ვერსზე მეტს აღწევდა. როგორც ჩანს, ეს საკმაოდ ძველი საირიგაციო მოწყობილობა იმ დროისათვის ერთ-ერთ რთულ ნაგებობას წარმოადგენდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გაზ. „დროების“ პუბლიკაციით ეს შესანიშნავი ხელოვნური

სერი – „წარაბი“ ვახტანგ გორგასლის დროს აუშენებიათ და გადმოცემით ხალხში ლექსიც შემორჩენილა:

„ვახტანგ გორგასლანი ვიყავ,
სახელი დიდი დავიგდე,
ურბნისს ავაგე საყდარი,
უწყლოსა წყალი ვადინე-ო.“

ეს ორი ძმა კამკამა სარწყავ-სასმელი რუ, სასირეთიდან რუისის მთის მრავალ ხევხუვიდან მთის სერებზე და ტყე-ჭალებში მოიკლაკნებოდა, რომელიც თავის დროზე ამ რეგიონში შესანიშნავ ლანდშაფტს ქმნიდა და სავსე იყო ნადირ-ფრინველითაცო, რომელიც საუკუნის დასაწყისისათვის აღარც სარწყავად და აღარც სასმელად ვარგოდა. საქმე იმაში იყო, რომ სხვადასხვა ბალახ-ფოთლებისაგან წლობით გაუწმენდავ-გაუკვალავი რუები, განსაკუთრებით ზამთრობით წყალს ველარ ატარებდა, ნამქერით იფარებოდა და წყალი რუებში იკარგებოდა, რის გამოც საქონელი წყლის დასალევად 4-5 კილომეტრზე მიჰყავდათ და თან კოკებით, ციგებით და მარხილებით სასმელი წყალიც მოჰქონდათ. იმავე ცნობებით, ამ მხრივ ის სოფლებია ბდნიერი, რომელნიც ლიახვის ნაპირებზეა განლაგებული-ო. ამასთან, როგორც ზემოთაც ითქვა, წყლის მომწყობებიც ნაკლებად ყავდათ, თუმცა სოფელი ყოველთვის ირჩევდა საამისო მოხელეს, „ხასადარს“ და მერუეს „მერაბს“. მერუებს წყალი მოჰყავდათ, ხოლო „ხასადარი“ რიგს იძლეოდა. ამასთან, ხასადარს დიდი გაჭირვებით გამოჰყავდათ ხალხი რუების სათავეში სამუშაოდ, რისთვისაც მათ სასარგებლოდ ხალხი იხდიდა თითო ჩანახ ჭირნახულს კომლზე. (დ. პავლიაშვილი, შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, 1998.).

ყველაზე დიდი გაჭირვება და წყალზე მოთხოვნა აგვისტოდან იწყებოდა, როდესაც ანეულის ჩაშაშლელად და შემდეგ, როცა გამოშრებოდა, დაფარცხავდნენ და ისე მორწყვას საჭიროებდა. ამიტომ ამ პერიოდებში ხშირად იყო აყალ-მაყალი, ჩხუბები და ერთმანეთს უნგრევდნენ ე.წ. „სულაწონებს“ – რუების ამოსაყვანებს-სათავეებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო – იტყობინებოდა „ივერია“ 1903 წელს – „18 წლის წინ მთავრობამ მოჰკიდა ხელი რუების მშენებლობის

საქმეს, აარჩევინა გორში ამ სოფლებს „მირაბი“ ზაქარია ფავლენიშვილი, რომელმაც უჯამაგიროდ იკისრა ეს საქმე, აარჩევინა ხუთი ჯუარი-ხასადარი, სამი წევრი საბჭოსი და ამით შემოიღო რუების მართვა-გამგეობა. ეს პროცესი სამ წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელებულიყო და ხელახლად აერჩიათ რუების მართვის გამგეობა, მაგრამ შემდგომში თავი ვერ გაართვეს და მოიშალა. საერთოდ კი მათთვის ჯამაგირი განსაზღვრული იყო: სახნავ ღღიურზე 3 კაპიკი, ვენახზე და ბაღზე – 20 კაპიკი და თითო თვალ წისქვილზე თითო მანეთი. სულ 196 თუმანი სოფელზე, მაგრამ ვერ აკრიფეს და ამდენად მოიშალა. აქვე ხმა გავარდა – დიდი ლიახვიდან ტირიფონაზე სარწყავი რუ გაჰყავთო და მერე კი ხალხს ეშველებაო“.[258] ამდენად, როგორც ჩანს, დღევანდელი ტირიფონის არხის სარწყავი სისტემა, რომლის გაყვანაც XX საუკუნის 30-40-იან წლებში დასრულდა და სამწუხაროდ ფაქტიურად ამჟამად მოშლილია. როგორც ჩანს, XII ს. არხის ნაკვალევზე გათვალისწინებული იყო მისი აღდგენა ჯერ კიდევ XIX ს. მიწურულისათვის, რომელიც იმხანად ვერ განხორციელებულა.

ლიახვის ხეობები და საერთოდ გორის მაზრა მდინარეებთან ერთად მდიდარი იყო აგრეთვე ტყე-ჭალებით. მდ. დიდი და პატარა ლიახვების, ტანას, დოღლიაურის, ფრონეს, მეკუდას, ლეხურას, ცხრაძმულას, ჭარებულას, ძამისა და სხვ. ხეობები განსაკუთრებით მდიდარი იყო როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვოვანი ტყეებით, ჭალებით. კაპიტალისტური ურთიერთობის აღმავლობიდან ამ ადგილებში იწყება ხე-ტყის რეწვითი სამუშაოები. ხე-ტყის მასიური წარმოება განპირობებული იყო ბინათმშენებლობის გაფართოებით, საქალაქო მეურნეობის შეშითა და ნახშირით მომარაგების, ორთქლის მანქანებში გამოყენების, საკინიგზო ხაზების მშენებლობისათვის და ა.შ. ამიტომ, ტყეების მოვლა-დაცვა ისევე, როგორც ძველად, ახლაც შესაბამისი კანონზომიერებით უნდა წარმართულიყო. ტყეს ჰყავდა, როგორც მფლობელი, ისე მცველი. ტყის მასივების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა, დანარჩენი თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა. თუ აქამდე ხე-ტყის მომხმარებელი ძირითადად სოფლის მოსახლეობა-გლეხობა წარმოადგენდა, ახლა მისი არიალი

[258] „იეერია“, 1903.

როგორც ითქვა ერთიორად გაფართოვდა და ამდენად მას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი, გაჭირვებული გლეხობა კიდევ უფრო განიცდის შეშაზე და საერთოდ ხე-ტყეზე ფასების ზრდისა და კონტროლის დაწესებას, რასაც ხშირად მოზდევდა გაუთავებელი დავა ტყის მეპატრონეებს, მცველებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

XX ს. 10-იან წლებში, მეფის რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო იძაბება და პიკს აღწევს. ამ მძიმე ურთიერთობაში გარკვეულ წილად ჩაება საქართველოს საზოგადოების ერთი ნაწილი, რაც გამოიხატა ცალკეულ რეგიონებში მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებში.

მმართველობის სისტემაში მეტი ოპერატიულობისა და მობილურობის მიზნით, გორის მაზრის ცენტრალურ უბნებში და რეგიონებში ძლიერდება სასოფლო-საზოგადოებების საპოლიციო დაწესებულებები. 1914-15 წლების მონაცემებით, გორის მაზრის ტერიტორიაზე, კერძოდ, ცხინვალში შეიქმნა საპოლიციო უბანი, რომელიც აერთიანებდა: ბელოთის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფლებს: ბელოთი, ბეჟანაანთ სოფელი, გაბარაანთ კარი, გნოსური, გუზიტაანთ კარი (?), დვანულა, დასჭინა (?), ზონკარი, ზემო ვანურა, ინაური, ქვ. ვანურა, ჭნოლო, კულდუმო, ქუფთა, ლაჩაური, ლბირი, დიდი მარმაზეთი (მარმარეთი?), პატარა მარმაზეთი, მანიჟიანთ კარი, პოჩურა, პარახაანთ კარი (ფარახა?), რეხა, საბოლოკე, საკანაფო, სამციხრო, საცხენეთი, სიათა, საჩინო;

თარაანთ კარში: თემულთა, ხადურა, ხაშურა, ხაჩირაანთ კარი, ჩაბარუხი, შამბიეთი, შულაური, შუაცხვირი, ელტურა, ტარყაანთ კარი, უდხვარა?, ხვცე, ჩივკინა?, ელბაქიანთ კარი;

დიცის სასოფლო საზოგადოებაში: ბროწლეთი, დიცი, ქორდი, მელერეკისი, ფრისი, სარაბუკი, თერგვისი, ტირძნისი, ერგნეთი, ერედვი;

ყემულთის სასოფლო —საზოგადოებაში: აბანო, დამწვარი, ჯავის თავი, დიდი ნასტო, დორზანა, ყემულთა, ქემერტი, კოლა, კოტოტო, მარიამა?, მასხარა, ნაზილთა?, სოზა, თლი, თხელა, წრომი, ჩალათა?, ჩამადა?, ერწო;

ოტრევის სასოფლო-საზოგადოების საპოლიციო უბანში: ზემო ბადათი?, ვანათი, გუდოსი, გერი, ბალდა, კიმასა?, ყლარცვი, ქორეთა

(ქურთა?), კობი, მარანეთი, მინარეთი? ორტევი, საზალეთი? (ბაზადი?), ჭვრივი, შელეური?;

მეჯვრისხევის საპოლიციო უბანში შედიოდა 105 სოფელი. აქედან კარალეთის — 10, მერეთის — 12, მათშორის: გრემი?, დმენისი, ზარდიანთ კარი, კარბი, კულბითი, კოშკი, კეტისი? (ქსუისი?), სათიხარი, სნეკევი, ხოჩევი? (ხელჩუა?), ჭარები, ქერე; (სოფლების დასახელება ხშირად დამახინჯებულია. დ. პ.).

ტყვიავის სასოფლო საზოგადოების საპოლიციო უბანში: ზემო არცევი, იკორთა, ქვ. არცევი, ქვეში, ქიწნისი, მარანა, ფლავი, ფლავისმანი, სათემო".[259]

წინამდებარე ნაშრომში მოტანილი არასრული ფაქტობრივი მასალების ანალიზიდან, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ირკვევა, რომ მოცემულ პერიოდში, ძირითადად მეფის რუსეთის ხელშეწყობით და დახმარებით, პ. ლიახვის ხეობის ქართული მოსახლეობა თანდათან განიცდის მატერიალურ და სულიერ შევიწროვებას, რის გამოც მიმდინარეობს მათი იძულებითი ადგილმონაცვლეობა ქართლის შუაგულ-ბარის ადგილებისაკენ. ისე, როგორც ოსური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფეხს იკიდებს საქართველოს ცენტრალური ადგილების, განსაკუთრებით მდინარეების ხეობების მდიდარ სამეურნეო ადგილებში, რომელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა კოლავინდებურად მესაქონლეობაა.

თანდათან ოსების ძალადობის უმთავრეს ობიექტად ცხინვალი იქცა, რისთვისაც კარგად გამოიყენეს შექმნილი პოლიტიკური ვითარება და იწყეს მასობრივი შეტევითი ოპერაციების განხორციელება. ყოველივე ამის შესახებ გაზ. „საქართველო" 1918 წ. იტყობინებოდა, რომ წლის დამდეგს ქართლში დაწყებული ანარქია ცხინვალსაც არ ასცდა. 7 თებერვალს, უცაბედად, ოსების შეიარაღებულმა და უიარაღო ბრბომ ძველი ნამამასახლისარ-ნასტრაჟნიკალის მეთაურობით ქართულ სოფლებს ჩამოუარა და თავადების იარაღის აყრას შეუდგა. ხალხი მათ გაჰყვა მოარბიეს ხვითები, ფხვენისი, ნიქოზი, ერგნეთი, ერედვის, დგვრისის, ქურთისა და სხვა სოფლების ყოფილ თავად-აზნაურთა ოჯახები და 500 კაცამდე შეიარაღებული ბრბო 8 თებერვალს ცხინვალს მიადგნენ. ცხინვალელები

---

259 სსცია, ფ. 254, №3, საქ. 12741.

მხნედ დაუდგნენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ცხინვალელი ოსების შეგნებულმა ნაწილმა და მთელი ბრბოს მაგიერ მხოლოდ 12 ამორჩეული კაცი შეუშვეს და ყველა თავადი გაჩხრიკეს და იარაღი ჩამოართვეს. იარაღი ჩამოართვეს აგრეთვე ცხინვალის კომისარს ს. მაჩაბელს.

შემდეგ თბილისიდან მოსულ მთავრობის წარმომავლობათა მიტინგი გამართეს. ხალხთა ბრბომ ზოგიერთი მეთაური დაატუსაღა. თუმცა ისინიც მალე გაანთავისუფლა. ცხინვალის მხარეზე დიქტატორად დაუნიშნავთ კ. კაზიევი. მას უფლება ჰქონია ემოქმედა სასტიკად. მას შეუტყვია, რომ სოფლის წითელ რაზმელებს ბოროტგანმძრახველები იარაღს ართმევენო და გაუცია განკარგულება, რომ ყველა სოფლის რაზმელებსა და თოფიან ჯარისკაცებს იარაღი ჩამოართვან რათა უფრო ძლიერი სოფლის რაზმები შეედგინათ 50-100 კაციანი, რომელთაც ადვილად ვერ ჩამოართმევდნენ იარაღს. ეს მოქმედება ყველაზე დიდი სოფლიდან უნდა დაეწყოთ და ერედვიდან დაიწყეს, რომელიც ცხინვალს დაჰყურებს. ცხინვალის წითელ გვარდიას მოუთხოვია ერედვისათვის იარაღი, მაგრამ წითელრაზმელებსაც და ჯარისკაცებსაც უარი უთქვიათ და დამუქრებიან. ერედველებს მთელი ღამე ქალ-კაციანათ თხრილები და საფრები გაუკეთებიათ. დილით, როცა კაზიევი მოსულა წითელგვარდიელებით ერედველებს სროლა აუტეხიათ. მათაც უპასუხიათ, ერედველები გაქცეულან და სხვა სოფლებისათვის მიუმართავთ საშველად. ვინ ცულით, ვინ ხანჯლით, ვინ წალდით, თოხით და ბარით და 18 მარტს ცხინვალი გარშემორტყმული აღმოჩნდა.

ხალხს მოუთხოვიათ კაზიევის, ს. გოგინოვის და სამი სხვა კაცის მათთვის გადაცემა და იარაღის აყრა გვარდისათვის. ცხინვალს გორისათვის მიუმართავს საიდანაც გიორგი მაჩაბელს — გორის მაზრის კომისარი წითელი გვარდიელებით, კანტი-კუნტი სროლის შემდეგ მოლაპარაკება დაუწყვია. გ. მაჩაბელს მაინც ვერ დაუმშვიდობებია და ისევ ორთავე მხრით სროლა დაწყებულა. ცხინვალს წითელი გვარდიის ინსტრუქტორი სამი ღამის უძილო ი. მელიქოვი — ახალგაზრდა კაცი დამფრთხალა და 20-ში გორში ჩასულა. გ. მაჩაბელი ფეხში დაჭრილა, ს. კეცხოველი მოუკლავთ და გაუძარცვიათ. მოუკლავთ აგრეთვე კაზიევი. მთელი სამი დღე ცხინვალი ბრბომ გაძარცვა და გადაწვა. ბაღ-ვენახები ცეცხლში (ღობეები) ყოფილა გახვეული და დასამალი ადგილებიც აღარ ყოფილა.

წესრიგის აღსადგენად, ცხინვალში მოსულების შტაბს დაუყენებია ცხინვალის მთავრობა. ცხინვალის კომისარს კულუმბეგოვს მიულია კომენდანტის ტიტული. ვისაც ცხინვალიდან სურდა წასვლა ის აძლევდა „პროპუსკს“ ფანქრით ნაწერ მოკლე შინაარსის ხელმოწერით Кулумбеков – ბეჭდის დარტყმით. უამბარათოდ გამოპარვა ძნელი იყო. რაკი ხალხმა ცხინვალში დაელა იშოვებაო სოფლებიდან ხალხი დაიძრა. ტყვე გვარდიელების ნაწილი დირბში გაგზავნეს, ნაწილი ს. ყორნისში. ესენი სოფლელებმა დაატყვევეს და მათ ისე უყურებდნენ, როგორც კონტრრევოლუციონერებს, რომელთაც ბატონყმობის აღდგენა სურდათ.

19 – 20-ში დიდძალი ხალხი დაიძრა ოსეთისაკენ, გორი გაივსო. ცხინვალიდან გორში ხუთკაციანი დელეგაცია ჩამოვიდა: ორი ოსი, ორი ურია, ერთი სომეხი, ერთი სტუდენტი. ეს უკანასკნელი ხალხში დადიოდა და ოსების სასარგებლოდ ლაპარაკობდა. ხალხში კი ოსების წინააღმდეგ იყო ლაპარაკი. საღამოს ჯარი ცხინვალისაკენ დაიძრა. 21-ში გორში უკვე ჯავშნიანი მატარებელი იდგა რეგულარული ჯარით.

მოკლულთა რიცხვში ასახელებდნენ: გიორგი მაჩაბელს, რომელმაც ყოველივე თავისი ძვირფასი რაც გააჩნდა რევოლუციას და ხალხის განთავისუფლებას შესწირა, სანდრო კეცხოველს, პორფირე ეფრემიძეს, კოტე ცერცვაძეს, კაზიევს, გ. ცერცვაძეს და სხვ. ს. კეცხოველს დაჭრილს უთქვამს: „ხალხო ამ გათეთრებულმა წვერმა მოგიტანათ თავისუფლებაო და რას მერჩითო და ორი ტყვიაც ზურგიდან დაუხლიათ“. ხოლო გიორგი მაჩაბელზე უთქვამთ „ღორი დაგიკალით და მწვადები ასჭერითო“.

ამავე გაზეთის შემდგომ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: 16 მარტს ცხინვალს ოსები დაესხნენ. ამისთვის მაჩაბელი 400 კაცით, ერთი ზარბაზნით, 3 ტყვიამფრქვევით შევიდა. მაჩაბელი თავისი რაზმით იცავდა ცხინვალს. ოსები მთებში, თხრილებში ჩასაფრდნენ. გაიმართა მიტინგი. ოსებმა მას ტყვია დაუშინეს, გადასჭრეს მავთული და ცხინვალი ცეცხლს მისცეს. მათთან ვერავითარმა მოლაპარაკებამ გასჭრა, მიუხედავად მდგარი წინააღმდეგობისა ისინი შემოიჭრნენ 3 საათზე, ზოგი მოგვიკლეს, ზოგიც ტყვედ წაიყვანეს. ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები წაგვართვეს. ცხინვალი მთლად დამწვარა. მაჩაბელი და კოსტა ხიდაშელი მოჰკლეს. ეძებდნენ გაგლოევს, სანდრო კეცხოველს, კაპანაძეს, არჯევა-

ნიძეს და სხვ. დღეს 20 მარტს ცხინვალში ავიდნენ გორის, ხაშურისა და ქვა. ჭალის გვარდიელები 800 კაცი ჯულელის მეთაურობით ზარბა-ზან-ტყვიამფრქვევებით. გორსა და ქართლის არემარეში მღელვარებაა, აქ ოსობა სახლობს. გუშინ გორიდან ოსებს ჩუმათ გაუგზავნეს 2 ფურგუნი ტყვიამფრქვევებით და პატრონებით. ოსებს ძალა ემატებათ, სხვა მაზრე-ბიდანაც იშველებენ ძალებს. ოსები ამბობენ: ქართველები უნდა განვდევ-ნოთ და ჩვენ უნდა დავსახლდეთო. აქ დიდძალა ოსობა ჩამოვიდა. ამჟამად გორში მედგარი ოსების პოლკი 300 კაცს უდრის. ცხინვალში მოსული ოსობა რამდენიმე ათასია, მათ ამის გარდა კავშირი აქვთ ჩრდ. კავკა-სიასთან. მათ საომარი თხრილები გამართეს. დიდი წამებით მოუკლავთ დავით მაჩაბელი და ს. კეცხოველი. ოსების თარეშს პროპორშიკი ხარე-ბოვი ხელმძღვანელობს, რომელმაც ახლახანს ხულიგანთა ბრბო შეადგინა და გორის მაზრის თავადაზნაურობა ამოჟლიტა და გუბერნიის კომისარმა მას ეს დანაშაული აპატია და სთხოვა როგორც „შეგნებულ პირს“ დახ-მარება გაეწია მისთვის ანარქიასთან ბრძოლაში“.

ამგვარად ჩანს, რომ რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდგომ, როდესაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა ცდილობდა დემოკრატი-ული რესპუბლიკის მშენებლობას და არ შესწევდა უნარი შესაბამისი ძალებით გამკლავებოდა რუსეთისავე მიერ დაპირისპირებულ ძალებს, ბუნებრივია ოსურმა მოსახლეობამ დრო იხელთა და დაიწყო მასიური, ლეგალური თავდასხმები. თითქმის ანალოგიური პროცესი განვითარდა XX ს. 90-იან და XXI ს. 10-იან წლებში, რის შედეგადაც შიდა ქარ-თლის ტერიტორიის დიდი ნაწილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლი-კას“ დაექვემდებარა, ასობით სოფელი იქცა ნასოფლარად, დევნილად. მოსახლეობა დევნილად.

ამჟამად, შიდა ქართლის ამ რთული, ფრიადსაპასუხისმგებლო რე-გიონის მრავალრიცხოვან მრევლს მაღალი იდეალებით და შემართებით თაედაუზოგავად ემსახურება სამთავისისა და გორის ეპარქიის მიტრო-პოლიტი ანდრია, ერისკაცობაში — ამირან გვაზავა.



იკორთა

2. მეჯუდა-ჭარებულას ხეობა

მდ. მეჯუდას ხეობა, გეოგრაფიულად შიდა ქართლის ჩრდილოეთის ერთ-ერთ ცენტრალურ ტერიტორიას მოიცავს, რომელიც სათავეს იღებს დიდი კავკასიონის სამხრეთის კალთებიდან, მოედინება მდ. მტკვრის აუზისაკენ და მიერთვის ქ. გორთან დასავლეთით ლიახვის, ჭარებულსა და ფშანის წყალთან ერთად. ხეობას ფრიად სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია, რამდენადაც იგი მოიცავს ერთობ ნაყოფიერ ზეგანს, რომელიც ძირითად დამაკავშირებელ ობიექტს წარმოადგენს ლიახვ-ლეხურა-ქსნის ხეობებს შორის მდებარე ქართლის გულის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობის ყოფისა და კულტურის აღორძინება-განვითარებაში.

აქედან გამომდინარე, მიმდებარე ხეობებთან ერთად, მისი ადგილი და როლი ქვეყანის თავდაცვითი უნარიანობისა და მშენებლობის საქმეში ოდითგანვე ერთ-ერთ ცენტრალურ ტერიტორიად აღიქმება. ამასთან, იგი წარმოადგენს აგრეთვე ერთგვარ გზაჯვარედინს აღმ. და დას. საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის პროცესში; დედა მდინარის – მტკვრის აუზის მარჯვენა სექტორში განლაგებულ მოსახლეობასთან სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი ურთიერთობათანადგომის მტკიცე გარანტს და სხვ.

ცნობილია, რომ ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფაში, ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი ხევების, ანუ ხეობების მდებარეობა-განლაგებას ეძლეოდა, სადაც თითქმის თანაბარი მნიშვნელობით განისაზღვრებოდა მათი მოცულობის ადგილი. ზოგადად, ხეობათა წყალუხვობა და ფართობის სიდიდე დროის შესაბამისად გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, რომელიც კლიმატურ-ბუნებრივ და სოციალურ მოვლენებთანაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ ამა თუ იმ რეგიონის სოიალურ-ეკონომიკური სიძლიერე, დიდად არის დამოკიდებული წყლის რესურსებზე, რომელიც განსაკუთრებით იკვეთება საქართველოს გარდამავალი მეურნეობრივი ზონის კლიმატურ პირობებში. ამიტომ, ინტენსიური მეურნეობის დროს არსებულ პატარ-პატარა რუ-ნაკადულ-შენაკადების გონი-

ერულ მოწყობას და მოვლა-გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ასეთ პირობებში, საყურადღებოა თუნდაც მისი ერთ-ერთი შენაკადის — ჭარებულას წყალი-ხეობა, რომელიც წყალუხვობით მხოლოდ სეზონურად გამოირჩევა და ერთობ მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარკვეულ წილად ისეთი დიდი სოფლების გასარწყავიანებაში, როგორიცაა: ქერე, ტყვიავი, ქიწნისი, სათემო, კარალეთი. ისე, როგორც ქართლის სხვა ძირითადი მდინარეები, ჭარებულა-მეკუდაც, როგორც აღვნიშნეთ, შესაბამისი სევებით მოედინება, რომელთა აუზი ოდეზღაც გაუვალი ჭალებით და წყალუხვობით გამოირჩეოდა. ხოლო მას შემდეგ, როდესაც მათი ტერიტორია ყოველმხრივ დაუცველი გახდა, განადგურდა ჭალები, რიყე-ადგილები დაიკავა სხვადასხვა სამეურნეო შენობა-ნაგებობებმა, რამდენადმე მოიშალა წყალგაყვანილობა, მისი ტექნიკური გამოყენება და სხვ. ბუნებრივია წყლის მოცულობა და სისწრაფე საგრძნობლად შემცირდა. თუმცა წლის გარკვეულ პერიოდებში, ბუნებრივი მოვლენების შესაბამისად, ისინი ერთობ გაშმაგებულები ხდებიან და ამიტომ კალაპოტიც ჯებირ-გოდორყურებით მაგრდება.

ისე, რომ შიდა ქართლის არცთუ დიდი — ჭარებულას ხეობა, რომელიც მნიშვნელოვან სამსახურს უწევს სოფლის მეურნეობის განვითარებას და საერთოდ ტექნიკური წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფას სხვა, ყველა ამ რეგიონის მდინარეების მსგავსად სათავეს იღებს კავკასიონის ქედის სამხრეთ, შედარებით უფრო დაბალი ფერდობებიდან, კერძოდ სოფელ ჭარების სანახებიდან. როგორც გადმოგვცემენ, სოფელ ჭარების ანუ ჭვარების ნასოფლართან, ახლაც რამოდენიმე კომლს უცხოვრია. რაც შეეხება ხევის სახელწოდებას, გადმოცემით მომდინარეობს თვით მდინარის ხასიათიდან — „ჭარბი წყლიანობისაგან, რამდენადაც ის ხშირად ადიდდება ხოლმე, კალაპოტში ვერ ეტევა და მთელი არემარე მიაქვს ხოლმეო“.

როგორც ითქვა, ჭარებულა, გორთან მიერთვის მდ. მეკუდას, ხოლო შემდეგ მტკვარს. ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „აქ ციხისძირს (გორის ციხე), ერთვის ლიახვს მეკუდის მდინარე, არს ბიყრამდე მეკუ-

და ვენახოვანი, ხილიანი, ამიერ და იმიერ დაბნები მრავალნი, თესლითა მარცვლითა მოსავლიანი, ნაყოფიერი, გორს ზეით, ბერბუკს, ერთვის მეჯვდას სვენეთის ფშანი. არს მეჯვდაზედ, იკორთასა და კირბალის მთის ძირს, დაბა მეჯვდა (ნასოფლარი), რომლისგან ისახელა მდინარე ესე. გორიდგან ჩრდილოთკენ მეჯვდას ზეით არს, უსანეთის მთის ძირში, მონასტერი წმიდის თევდორესი, აწ ხუცის სამარს. ამას ზეით არს მონასტერი, მეჯვდის მდინარის დასავლეთად, მთის ძირში, ბიეთს, მონასტერი კეთილს მშვენიერს ადგილს. ამათ უდის ხევი, გამომდინარე მერის მთისა, და მოერთვის მეჯვდას დასავლეთიდამ. უზის ბიეთს წინამძღვარი. ბიეთს ზეით არს ხევი მახისისა. აქამომდე ხეობა მეჯვდა ვენახოვან-ხილოვანი, მოსავლიანი. ამას ზეით არს ბიყარი და ისროლის-ხევი, ვითარცა აღვწერეთ“.[260]

ვახუშტი ბატონიშვილის ამ ფრიადსაყურადღებო აღწერის ფონზე, ერთობ შემაშფოთებლად წარმოგვიდგება იმავე ადგილების მიმდინარე ინფრასტრუქტურა, სადაც ფაქტობრივად აღარ არსებობს მდინარის ხეობის ჭალები შესაბამისი ფლორა-ფაუნით, პატარ-პატარა შენაკადები, გასარწყავიანებული ველ-მინდვრები და სხვ. მაშინ, როდესაც, ერთხანს (XX ს. 30-80-იანი წლები) განხორციელდა ამ რეგიონის (და არა მარტო ამის) აღორძინება-განვითარების ქმედითი ღონისძიებები, რაც გამოიხატა პირველ რიგში ძველი სარწყავ-საირიგაციო სისტემის აღდგენა-განვითარებაში, ისტორიული ინფრასტრუქტურის გამოცოცხლებაში (წისქვილების, სამჭედლოების, სასოფლო რუების აღდგენა, სოფლის საერთო კეთილმოწყობა-ჰიგიენის დაცვა და სხვ.), რის შედეგადაც შეიქმნა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსები, სადაც პრიორიტეტული ადგილი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე დაიკავა ისეთმა წამყვანმა დარგებმა როგორიცაა: მეხილეობა, მევენახეობა, მეჭარხლეობა, მებოსტნეობა და სხვ. ამავე პერიოდში იქნა აღდგენილი და სრულყოფილად მოწყობილი ისეთი მძლავრი სარწყავ-საირიგაციო სისტემები როგორიც იყო: ზემო ქართლში სალთვისის, შიდა ქართლში ტირიფონის, იგოეთისა და სხვ. არხები, რის შედეგადაც გასარწყავიანდა ათას ჰექტრობით

[260] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 74.

მშიერი ადგილები, კერძოდ ტირიფონისა და მუხრანის ველები რომელნიც ამ ზონის ერთ-ერთ მძლავრ არა მარტო სასოფლო-სამეურნეო რეგიონად წარმოჩინდა, არამედ შესაბამის სამრეწველო ობიექტების მშენებლობისა და განვითარების, ნედლეულის გადამუშავება-გასაღების სექტორადაც, რომელიც ამჟამად უკიდურესად მოშლილ და გაპარტახებულ მდგომარეობაშია.

მეჯუდა-ჭარებულას აუზის მნიშვნელობა, ისტორიულად, არა მარტო მეურნეობრიობის მრავალწახნაგოვნობაში, არამედ მის გეოგრაფიულ მდებარეობაში აისახება, რაც კარგად ჩანს ამ მდინარეების სათავეების მეშვეობით ადგილობრივ მოსახლეობის მჭიდრო ურთიერთობაში, კერძოდ ქედის გადალმა ჩრდილოეთის ხალხებთან კავშირში და სხვ. ამასთან, ხეობის ყოფა და კულტურა გამოირჩევა თავისი ეროვნული თვითმყოფადობის, ტრადიციების დაცვის ერთ-ერთ სამაგალითო რეგიონადაც, სადაც კარგადაა შემორჩენილი და დაცული კულტურული მემკვიდრეობის ჰარმონიული შერწყმა და სხვ. ისე, რომ სისხლითა და ოფლით დაცული კონკრეტულად ეს მხარე ფაქტობრივად განიცდის აგრარულ კატასტროფას, რამდენადაც უმთავრესად უცხოელებზე ხშირად ფარულად, სხვისდება სახნავ-სათესი, საძოვარი, ტყე-ჭალების მასივები, იცლება და პარტახდება სოფლები – ქვეყნის არსებობის საფუძველთა საფუძველი. რაც ისტორიულად უცხოელ მომხდურებს გადაურჩათ, მას ქვეყნის უნიათო, ხელისუფალი ასხვისებს და მშრომელ მოსახლეობას გალატაკებულ მდგომარეობაში აყენებს.

მეჯუდა-ჭარებულას ხეობის ისტორიული დაწინაურება და ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, როგორც ითქვა, განაპირობა მისმა გეოგრაფიულ-ბუნებრივმა გარემოებამ, აბორიგენი მოსახლეობის გამჭრიახმა მოქმედებამ, რამდენადაც ძველთაგანვე იგი მოექცა მსხვილი დაბა-ქალაქების სავაჭრო ცენტრების ორბიტაში (გორი, ცხინვალი, კასპი, ყორნისი, ახალგორი, მუხრანი). ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქ. გორთან და ცხინვალთან მჭიდრო ურთიერთობა, რომელთა ფუნქციას უმთავრესად ქვეყნის თავდაცვითი და სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება წარმოადგენდა. ამასთან, გორი წარმოადგენდა არა მარტო უძ-

ველეს ცივილიზაციათა გზაჯვარედინს, არამედ მნიშვნელოვან სამხედრო თავდაცვით ობიექტს. ამის შესახებ მოგვეპოვება არა ერთი ქართული და უცხოური ცნობები, რომლის ფართოდ განხილვა ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ ერთ ამონარიდს 1833 წ. „მოსკოვსკი ტელეგრაფი“-დან, სადაც აღნიშნულია: გორი სამხედრო თვალსაზრისით რუსთა ძლიერების ერთ-ერთი სტრატეგიული ფუნქციათაგანია საქართველოში. ჩრდილოეთიდან და სამხრეთ დასავლეთიდან ეს თბილისის გასაღებია; ამავე დროს გორი არის თურქეთის საზღვრებიდან და შავი ზღვიდან მომავალი გზების სიმაგრეთა დასაცავი კვანძიო.

ამავე უწყებიდან ჩანს, რომ რუსი კორესპონდენტი (ხერხსონეცი), გორს მიიჩნევდა საქართველოსა და რუსეთს შორის მიმავალ ორ გზას შუა მდებარედ, სადაც მიმოსვლის ერთ გზად სთვლიდა ჯერ არ არსებულს, მაგრამ შესაძლებელს — შავი ზღვის სანაპიროდან მომავალს, ხოლო მეორეს — საქართველოს სამხედრო გზას, თაგაურთ ხეობაზე რომ გაივლის (ეს ყელია, რომლითაც საქართველო რუსეთიდან სიცოცხლესა და ღირსებას იღებს). ამასთან, გადმოგვცემს, რომ გენერალი (ერმოლოვი), ფიქრობდა თბილისიდან გორში გადაეტანა ცენტრი.[261] ხოლო რაც შეეხება ქართულ წყაროებს, აღსანიშნავია აკად. ს. ჯანაშიას შეხედულება ქ. გორის მიმართ, რომლის მტკიცებით ქ. გორი ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია, რომელიც დავით აღმაშენებელს ხელახლად უნდა გაეშენებია და მას შემდეგ მუდამ იყო საქართველოს ძირითადი თემის, შიდა ქართლის ცენტრი-ო. ქალაქის ძირითადი დასახლება თანამედროვე ციხის უბანში იყო, რომელსაც ქვითკირის კედელი იცავდა. ამასვე აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილიც, როცა წერს: „ქალაქში არის შენობა უმეტეს ქვითკირისა, ეკლესიანი კეთილმშვენიერნი-ო“. და თუ დაუბრუნდებით იგივე ხურსო. ნეცის ცნობებს, იგი ამტკიცებს, რომ გორი როგორც კავკასიის ქალაქთა უმრავლესობა, გაშენებულია მთის კალთაზე, რომელიც ამფითეატრს მიგვანიშნებს. რომ ქალაქის ზოგიერთი უბანი ციხიდან ასე

[261] დ. გერიტიშვილი, გორის ისტორიიდან, 1947, გვ. 5.

მოჩანს, ფუტკრის სკას აგონებს. შუა ქალაქში კარგად მოწყობილი დუქნები და ბაზარია-ო.[262]

ამდენად, მცირეოდენი ისტორიული ექსკურსიდან ნათლად ჩანს, გორის არა მარტო როგორც ქართლის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო ადგილი და პოლიტიკური, თავდაცვითი-ეკონომიკური ცენტრი, არამედ ჭარებულას, მეჯუდას, ლეხურას, ფრონეებისა და ლიახვების სექტორის მეურნეობრივი გაერთიანების ხერხემალიც.

რაც შეეხება საკვლევი ობიექტის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს, იგი მდიდარი ჰარმონიული შერწყმით გამოირჩევა, რამდენადაც ჰაეა კონტინენტურია და დღე-ღამის საშუალო ტემპერატურა წლების მანძილზე 10,9 გრადუსია, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი — 30,5 და აბსოლუტური მაქსიმუმი — 37,9 გრადუსი. რაც შეეხება საშუალოდ ნალექის ოდენობას იგი აღწევს 498 მილიმეტრს, მაქსიმალურს — 768 და მინიმალურს 336 მილიმეტრს. ნიადაგებიდან გავრცელებულია ალუვიური, მდელოს კარბონატული და ალუვიური ყავისფერი კარბონატული, ტყის ყავისფერი და ყომრალი, გაეწერებული ტყის ყომრალი, კორდიანი და კორდიან ტორფიანი ნიადაგები, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ ქართლის პირობებისათვის. აქედან, ბარის ნიადაგები მაღალი მეურნეობრივი მაჩვენებლებით გამოირჩევა, სადაც მდიდარი ტრადიციების შედეგად კარგად ვითარდება როგორც ერთწლიანი მარცვლოვანი, ისე მრავალწლიანი ნარგავები, პარკოსანი, ბოსტნეული და ტექნიკური კულტურები.

ყოველივე აღნიშნული, ბუნების მიერ ნაბოძები სიმდიდრე, ტრადიციულად ზედმიწევნით გონივრულად იყო გამოყენებული ქართველი ხალხის მიერ და სათანადოდ შერწყმული ცალკეული დარგების განვითარებისას შესაბამისი სამეურნეო ტექნიკის მიზან მიმართულად მისადაგების მეშვეობით. აქედან გამომდინარე, თანამედროვე სოფლები, რომელნიც განლაგებულია ზემოაღნიშნულ ხეობათა აუზში, მათშორის: კარალეთი, ბერბუკი, სვენეთი, ხელთუბანი, რეხა, თორტიზა, გარეჯვარი, ქიწნისი,

[262] იქვე, გვ. 6.

ფლავი და სხვ. წარმოადგენენ მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების მძლავრ კერას.

ზემოაღნიშნულის ფონზე, ბუნებრივია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა შესაბამისი მახასიათებლებით გამოირჩეოდა, რომელიც გარკვეულ პერიოდებში ეთნიკურ შემადგენლობასთან ერთად ცვლილებებსაც განიცდიდა. ამ მოვლენების ამსახველი ისტორიული მასალებიდან, პირველ რიგში საყურადღებოა: არქეოლოგიური ძეგლები, საკულტო-სასულიერო და საფორტიფიკაციო შენობა-ნაგებობები, ქართული და უცხოური წერილობითი მტკიცებულებები, ზეპირსიტყვიერი გადმოცემები და სხვ. რამდენადაც არქეოლოგიურ და სხვ მატერიალური კულტურის ძეგლებზე შემდგომ გვექნება საუბარი, ამდენად შევჩერდებით მხოლოდ იმ წერილობით წყაროებზე, რომელიც ხალხის აღწერას და სხვა სოციალურ საკითხებს ეხება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ: „ცნობა საქართველოში ხალხის აღწერის არსებობის შესახებ XII – საუკუნემდე ჯერ არ მოგვეპოვება, მაგრამ უეჭველია ეს გარემოება შემთხვევითი მიზეზით, მრავალი უძველესი ძეგლების დაღუპვით აიხსნება. ჟამთაღმწერელს მოთხრობილი აქვს, რომ მონღოლთა ყაენის განკარგულებით არღუნი „მოიწია საქართველოს“. და დიდსა ჭირსა მოვლნეს ყოველნი მკვიდრნი სამეფოსა დავითისანი, რადგან „იწყეს აღწერად და კაცთა და პირუტყვთადმე, ყანით ვენახთამდე, წალკოტით ბოსტნამდე“-ო. მისივე აზრით, ძველად რა ეწოდებოდა იმ წიგნსა და საბუთს, რომელშიაც ხალხის აღწერა შეჰქონდათ ხოლმე, ჯერ არ ჩანს, მაგრამ ს. ს. ორბელიანის ერთი ცნობათგან ცხადი ხდება, რომ XIII ს. მეორე ნახევარში მაინც „დავთარი“ რქმევია.[263] ამ დავთრის შედგენას კი ბუნებრივია გარკვეული წესები გააჩნდა, რომელიც დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა. ხალხის აღწერის გარკვეული წესების არსებობის შესახებ „ვითარცა წარსულით ნაანდერძევი დებულება“ ვახტანგ VI-ც აქვს თავის „დასტურლამალ“-ში შეტანილი. ამ წესით სამეფო ოთხ სადროშოდ, ან სასარდლოდ დაყოფის პრინციპზე

[263] იქვე, გე. 5.

იყო დამყარებული. და რამდენადაც ქართლის სამეფო ოთხ სააღმწერლო ერთეულად იყო გაყოფილი, ამდენად მოსახლეობის აღწერაც ოთხ დავთარში უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

ჭარებულა-მეჯუდას ტერიტორიის მოსახლეობა, ადმინისტრაციულად ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა, რომელიც ნეძვის, კორტნეთის და ტაშისკარიდგან მოყოლებული მთელი ზემო ქართლისა და საამილახვროს შეიცავდა. სოფლობრივ და სულიერი მდგომარებისდა მიხედვით არის დალაგებული და მეკომურის მხოლოდ მამრობით სქესს ეხებოდა. მაგრამ მას შემდეგ როდესაც 1721 წ. რუსეთის მეფის პეტრე დიდისგან სპარსეთზე ასამხედრებლად შეცდენილი და მერმე მოულოდნელად სპარსეთის განრისხებული შაჰის შურისძიების მსხვერპლად უმწეოდ განწირული ვახტანგ VI იძულებული შეიქნა საქართველოდან გახიზნული სამეფო მიეტოვებინა, ამის შემდგომ, ჯერ მოკავშირედ მოწვეულ 1721 წ. ოსმალთა გაბატონებამ, შემდეგ სპარსეთის დაპყრობამ, აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება და დანაწესები გაანადგურა. ამ დროიდგან მოყოლებული შეწყდა, რასაკვირველია, კანონით შვიდ წელიწადში ერთხელ მოსახდენი ხალხის აღწერაც.

შემდგომში, აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთის უშუალო ბატონობის მოსპობისა და მეფობის აღდგენა-მომაგრებისთანავე ქართლ-კახეთში, ხალხის აღწრა წინანდებურად უნდა განახლებულიყო. მართლაც, ჩვენამდე მოაღწია – XVIII ს. მეორე ნახევრის პირველი ათეულის ერთ-ერთმა ძეგლმა კერძოდ ლეხურას ხეობის დავთრის ნაწილმა, რომელიც სოფლებს: იქით გარეჯვრის, ახალდაბისა და ხელთუბნის შესახებ ცნობებს მოიცავს. აღნიშნული დავთარი მხოლოდ კომლთა შესახებ გვაწვდის ცნობებს, მაგრამ არსად „კომლი“, როგორც ტერმინი ნახმარი არ არის. აგრეთვე „თავი“-ც არსად იხსენიება და ყოველი გვარის ცნობას უშუალოდ მოზდევს ხოლმე ერთი სახელი, რომელიც, ალბათ, ოჯახის უფროსის სახელი უნდა იყოს. დავთარში აღნიშნულია მოსახლის სულიერი, წოდებრივი, ქონებრივი და სხვა ოჯახური მდგომარეობა; აზნაური, ყმა, მეკომლე, ბოგანო, უმამულო, ხიზანი. ისე, რომ ამ და სხვა თავისებურება-თვისებებით აღნიშნული დავთარი განსხვავდება დავთრების-

გან. მათშორის აქ ყოველთვის იხმარება ტერმინი „მეკომლე“ და ყოველი სოფლის აღწერისას ბოლოში ჯამი აქვს ხოლმე დართული. მაგალითად, მეკომლის ცალკე, ბატონის ცალკე, ხიზანის ცალკე ჯამი და ა.შ. ამასთან, ივ. ჯავახიშვილი იშველიებს „გორჯასპი მდივნის ყმა“-ს აღწერაში მისი შვილის მანუჩარის ფაქტს, რომელმაც არაგვის ხეობის 1774 წ. დავთარი შეადგინა და იქ არ არის ხსენება. ხოლო თვით გორჯასპი თუმანიშვილი მდივან-მწიგნობარი, როგორც საბატონოდანაც ჩანს, 1749 წელს 27 მარიამობისთვის თეიმურაზ II სიგელის დამწერი ყოფილა და ა.შ. რაც გვაფიქრებინებს ამ დავთრის XVIII ს. შუა წლებიდან ვიფიქროთ-ო.[264]

დავთრების სხვა ღირებულებებთან ერთად, ფრიადსაინტერესოა, მამაშვილობის გვარად ქცევის ფაქტები, როდესაც მოსახლის გვარი ჩვეულებრივადაა აღნიშნული და თანაც თვითეული მეკომურის მამისშვილობაც — მაგალითად, სოფ. ილურთ-კარში: ილურიძე ბიბილასშვილი გიორგი, ილურიძე ქიტიას შვილი გიორგი, ილურიძე ნიკოლოზის შვილი მღვდელი გივი, კიკოლა და იოსები; იმავე ილურთ-კარში 1781 წლისაში: ბიბილასშვილი გიორგი და ბერი, ქიტიაშვილი გიორგი, ნიკოლოზის შვილი ივანე; ქარჩხობს ქენქაანთ-კარს: ქენქაძე ხადოღას შვილი, აბრამა ქენქაძე ფოცხვერას შვილი გიორგი, ქენქაძე ბერის შვილი გიორგი, გოგია და მახარებელი. 1781 წლისაში: ქარჩოხს ქენქაანთ-კარისა და გოლგოლეთს: ხადალას შვილი გიორგი, ფოცხვერის შვილი გიორგი, ბერის შვილი მახარებელი[265] და ა.შ.

აღწერების ძირითადი ნაწილი უფრო დეტალურად ასახავს ეკონომიკურ საკითხებს, მით უფრო როცა ისინი დამპყრობლების თაოსნობით ტარდებოდა. მაგ. 1741 წ. აღწერა, რომელიც ნადირ-შაჰის ბრძანებით განხორციელდა, იმდროინდელი მწერლის მიხედვით „ესრეთ იყო აღწერა, რაც ძველთა ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მონები საბელითხრევი (ხარკი) დასდევს. აგრეთვე ამ სახით შენობა (თე) სადმე იყო.

---

264 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930, გვ. 21, 22.

265 ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 28.

დიდი ხრეში დასდეს-თვალეს ვაზები. ეგრე აკეთებდნენ, ვაზს ერთი ბისტი (ორი კაპ.) დასდევს. სოფელსა ბაღსა შინა რაც ხე ნახეს, თითო საური დასდევს. კაცის ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს ყმაწვილზე, პირუტყვზე ყოველისა ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერის შენობასა ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდევს, რომ ყოვლის კაცისგან დიდად შეუძლებელი იყო — ამა ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა. მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის ხელით კაფდის და აოხრებდის".[266]

აღწერილობიდან და სხვა წერილობითი წყაროებიდან, ნათლად ჩანს, ისტორიის გარკვეულ პერიოდებში. შიდა ქართლის ამ რეგიონში, როგორ მიმდინარეობდა სოციალურ-ეკონომიკური პროცესები და მისგან მიღებული მძიმე შედეგები, რაც განსაკუთრებულად სოფლის მოსახლეობამ განიცადა, შრომის ხალისი დაუკარგა. მოსახლეობა დამპყრობთა და ადგილობრივ ბატონთა ბეგარას ვეღარ აუდიოდა. ამისათვის კი იგი სესხს მიმართავდა და ჩარჩის ხელში ექცეოდა, რის შედეგადაც გადაუხდელობის გამო მონად იქცეოდა. ილაჯგაწყვეტილი გლეხი კი სხვაგან გარბოდა. ასე ამრიგად, მკვიდრი გლეხობის რიცხვი კატასტროფულად კლებულობდა, ხოლო „ბოგანოთა, ღატაკთა და ხიზანთა რიცხვი, „ხარაბა" (მიტოვებულ-გაპარტახებული) ადგილები იზრდებოდა. ყველა ეს პროცესები გამოწვეული იყო დამპყრობთა პოლიტიკით და შიდა სათავადოთა დაპირისპირება-ბრძოლებით. ამ ხანებში — აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი — მარტო საამილახროდან გადაიკრიბა კახეთში სამი ათასი კომლი კაცი-ო. ამიტომ, ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა ბატონყმობის გაუქმებას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ ბატონყმური დამოუკიდებლობის მოწესრიგებას. კერძოდ აყრილ-დაკარგულთა, ხიზან-ბოგანოთა რიცხვის შემცირებას, ქვეყნის დამცველ მემკვიდრე გლეხთა, შეძლებულ, „გამომღებ" მიწის მუშათა გამრავლებას.

---

[266] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 173.

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, გლეხთა სოციალურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხიზნის ინსტიტუტი, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენდა გლეხთა იმ კატეგორიას, რომელიც ერთი მებატონისგან მეორე მებატონეს შეხიზვნია, აგრეთვე სხვადასხვა ადგილებიდან გამოხიზნულ-გამოქცეულა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზით და სხვ. გლეხი, რომელიც სხვადასხვა დანაშაულის გამო თავშესაფარს ეძებდა შორეულ ბატონთან, სადაც ახალ ცხოვრებას იწყებდა; ხიზნად მიდიოდა გლეხი, რომელსაც მიწა ან სულ არ მოეპოვებოდა, ან იმდენი არ ჰქონდა რომ თავი ერჩინა.

ცნობილია, რომ საგლეხო რეფორმის წინა, ათწლეული სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიმძაფრით, კლასობრივი ბრძოლის მეტად გამწვავებით ხასიათდებოდა. აღნიშნული გარემოება, სხვა მრავალ მოვლენებთან ერთად, გამოწვეული იყო ფულად-სასქონლო ურთიერთობათა განვითარების სწრაფი ტემპით, რაც ბუნებრივია აძლიერებდა მწარმოებლის განუზომელ ექსპლოატაციას. ამიტომ, აღნიშნული პერიოდი, ანუ XIX ს. 60-იანი წლები საქართველოში გადასახადების ხანადაა მიჩნეული, რამდენადაც ამ დროს გატარდა, როგორც საგლეხო, ისე სხვა ბურჟუაზიული რეფორმები და ამით დაიწყო კაპიტალიზმის სწრაფი ტემპით განვითარება. ქართველმა ფეოდალებმა, კარგად გამოიყენეს ზემოაღნიშნული მოვლენები და მნიშვნელოვნად გაადიდეს საგლეხო გადასახადები, რამაც ბუნებრივია გამოიწვია მწარმოებელ ძალთა არაერთი რეაქცია და ივი უარს ამბობდა არამარტო უკანონო, არამედ კანონიერი გადასახადების გადახდაზეც. აღნიშნული პროცესები შესაბამისად მიმდინარეობდა ქალაქადაც, რომელთა განსაკუთრებით დაბალი ფენა ფაქტობრივად ავანგარდის როლში გამოდიოდა. ესენი კი ძირითადად იყვნენ დროებით ან მუდმივად სოფლიდან მოსული, გამოქცეული გლეხობა.

ბატონყმობის გაუქმების შედეგებით თუ კი მსაჯულებს, ყმებს პირადი თავისუფლება მიენიჭათ, რაშიც თავადაზნაურობამ, გარდა ერთდროული კომპენსაციისა, დამატებით დახმარებაც მიიღო. ხოლო რაც შეეხებოდა გლეხებს, დამოუკიდებელი მდგომარეობიდან გამოსულთ, დე-

ბულებით მიწა მიეცათ, მაგრამ არა საკუთრებით, არამედ მუდმივ სარგებლობაში, რისთვისაც ისინი მის პატრონს უხდიდნენ იმავე გადასახადებს, რასაც რეფორმამდე – პერიოდში გლეხებს გამოყოფილი მიწის საკუთრებად შესყიდვა მხოლოდ მებატონის თანხმობით შეეძლო. ამიტომ, რაკი გამოსყიდვა ნებაყოფლობითი იყო და არა სავალდებულო, დროებით ვალდებულებამ მუდმივი ხასიათი მიიღო და ის კანონით მხოლოდ 1912 წ. გაუქმდა. ამასთან, ხალხებს მიწა გარკვეული ნორმით ეძლეოდათ, ხოლო მასზე მეტი მემამულის სასარგებლოდ უნდა ჩამოსჭროდა.

ყველა ზემოაღნიშნულმა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა, დააჩქარა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება საქართველოს სოფელში და ამდენად სავაჭრო მიწათმოქმედებას თანდათან ეხსნებოდა გზა, რომელიც ბუნებრივია კარგავდა ადრინდელ, კარჩაკეტილ ხასიათს. ისე, რომ საგლეხო რეფორმამ მნიშვნელოვნად მოსპო მზარდ საწარმოო ძალებსა და დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობებს შორის არსებული წინააღმდეგობანი და ამდენად ხელფეხი გაუხსნა სოფლის მეურნეობის აღმოავლობას. ბაზრების გაფართოებამ, რომელიც განსაკუთრებით გამოცოცხლდა XIX ს. 70-იანი წლებიდან, როდესაც მნიშვნელოვნად ვითარდება და ფართოვდება სატრანსპორტო-გადაზიდვათა საშუალებები, კერძოდ რკინიგზა, საზღვაო, საგზატკეცილო ტრანსპორტი და სხვ., გამოცოცხლებას იწყებს სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები და მიმდინარეობს მათი სპეციალიზაცია საბაზრო მოთხოვნილებების მიხედვით.

რადენადაც საქართველო, ისტორიულად წარმოადგენდა მდიდარი ტრადიციების მქონე აგრარულ ქვეყანას, სადაც ძველთაგანვე ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად მეურნე კარგად ურჩევდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, ამდენად, კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისთვის მყარი საფუძველი არსებობდა. ისე, რომ საქართველოში, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება ემყარებოდა ჯერ კიდევ XVIII ს. შემუშავებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ იმ პრინციპებს, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ქვეყნის აგრო-ბოტანიკურ არეებად დაყოფა წარმოადგენდა. საქართველოს სოფლის

მეურნეობის მრავალწახნაგოვნება, რომელიც ისტორიულად იქნა ჩამოყალიბებული, განსაზღვრა აგრეთვე ამა თუ იმ რეგიონისა და ზონის მოსახლეობის არა მარტო მატერიალური პირობები, არამედ მათი სულიერი მდგომარეობა და მეურნეობის საყოფაცხოვრებო გარემოს შესაბამისად მოწყობაც. სავარგული მიწების სიმცირის პირობებში, გლეხობა ცდილობს საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსი შედარებით შემჭიდროებული ფორმით შეინარჩუნოს და ხშირად ამ მიმართებით ფართე მოთხოვნილებები შეიზღუდოს. აღნიშნული პროცესები უნდა ითქვას, რომ მთლიანად საქართველოს სოფლისთვისაა დამახასიათებელი და განსაკუთრებით იქ, სადაც გლეხი იძულებულია რათა თითოეული მტკაველი მიწა ზედმიწევნით მომჭირნეობით გამოიყენოს. ამ და სხვა ფაქტორების გამო, განსაკუთრებით საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, თითქმის ყველა მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობები ერთობ შემჭიდროებულადაა წარმოდგენილი და მათშორის ზღვარი მტკიცედაა დაცული. ისე, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების პროფილი განსაზღვრავს საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობათა შინაარსსა და ფორმას, რაც პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-გამოყენების თავისებურებებს უნდა აკმაყოფილებდეს. აღნიშნული თავისებურებანი კი ვლინდება რეგიონისა და მიკროზონის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, ცენტრალურ სამომსვლო გზატკეცილების, ქალაქების სიახლოვისა და სხვ. პროცესებში, რომელნიც თავის მხრივ განსაზღვრავენ მოსახლეობის დასახლების სტრუქტურას.

ასეთ პირობებში, მაგალითად, ქ. გორის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, საქალაქო ცხოვრების წესის დამკვიდრებისაკენ ისწრაფვის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კატეგორიის სოფლების მოსახლეობის საქმიანობაში იკვეთება ქალაქისათვის დამახასიათებელი სავაჭრო-ხელოსნური სპეციალობებისადმი მიდრეკილება, რაც ასახულია შესაბამის დოკუმენტებსა და გადმოცემებში. ისე, რომ გლეხობის გარკვეული ფენიდან ვაჭრობაში თუ ხელოსნურ წარმოებაში ებმევა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც პარალელურად სოფლის მეურნეობაშიც აქტიურადაა ჩართული. ასეთ ვითარებაში კარგად

შეინიშნება აგრეთვე შრომა-საქმიანობაში კონკურენტუნარიანი ფენის ჩამოყალიბების პროცესიც. ამიტომ, ქალაქელი, გამოცდილი და ვაჭრობაში დაწინაურებული, გარკვეული ფენის წარმომადგენლები ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და მთავრობას პრეტენზიებით მიმართავდნენ. ე.წ. „პირველხარისხოვანი მოქალაქეები“ და საერთოდ ადგილობრივი ვაჭრები სულ უფრო და უფრო მეტ უკმაყოილებას გამოსთქვამდნენ „ალად მოსულ-დასაქმებული ვაჭრების მომრავლებისა და სათანადო გაევლენის გამო, რომელსაც მათი აზრით თავად მთავრობა უწყობდა ხელს“-ო.

ასეთ პირობებში, ხელოსან-ვაჭრებისათვის გარდაუვალი ხდებოდა მჭიდრო ურთიერთკავშირის გაღრმავება, რომელსაც არამარტო სამუშაოთა შინაარსი და პროფილი მოითხოვდა, არამედ უმთავრესად თავდაცვითი ხასიათი, რამდენადაც მათ უხდებოდათ აგრეთვე გაბატონებულ კლასთან დაპირისპირებაც. გარდა ამისა მათი შეკავშირება აუცილებელი გახდა სოფლიდან გამოქცეული, მოზღვავებული, გაღატაკებული გლეხობის ახალ-ახალი ჯგუფების კონკურენციისათვის, რამდენადაც ისინი ქალაქად გროვდებოდნენ და ხელოსნობასა და ვაჭრობას ჰკიდებდნენ ხელს.

ქ. გორის მიმდებარე სოფლები: ბერბუკი, სვენეთი, ხელთუბანი, ხიდისთავი, კარალეთი, რეხა, ტინისხიდი და სხვ. მოსახლეობის შრომითი საქმიანობის პროფილი მრავალფეროვანს წარმოადგენდა, რომლის პროცესი განსაკუთრებით სწრაფად XVIII-XIX საუკუნეებიდან მიმდინარეობდა.

ამის დასტურია თუნდაც XVIII ს. შუა წლების სოფ. ბერბუკის, გალავნისა და სარწყავი სისტემის, რუების მოწყობა-კეთების დოკუმენტი,[267] სადაც წარმოჩენილია საერთოდ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის იმდროინდელი მახასიათებლები: „გალავნის საძირკვლის მოთხრაზედა და შენებაზედა მუშას უმუშავნია ას სამოცდა თუთხმეტს. მუშა ერთ შაურად, რვა მინალთუნი და თუთხმეტს შაური ოცმა გალატოზმა საძირკველზედა ქვით იმუშავა, დღეში ერთმა ორ შაურათ, – იქს ორ მინალთუნს ალიზი ვიყიდეთ ორმოცდათოთხმეტი ათასი, ათასი

---

[267] იე. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930, გვ. 104.

ოთხ აბაზათ, — იქს ოთხს თუმანს და ოთხს მინალთუნსა ალიზი მოზილა სამოცდაცხრა ურემმა, ერთი ურემი ექვს შაურათ. ჯამი იქსა ორი თუმანი ექვსი შაური მუშისა და გალატოზის ჯამი ცხრაას სამოცდაათი. მათ უჭამია: ერთ კაცს ნახევარი ლიტრა პური, იქს ორმოცდა რვა კოდსა და ნახევარსა. კოდი ორ აბაზათ, იქს ცხრამეტ მინალთუნს ორ აბაზს"-ო.

ზემოაღნიშნულიდან ცხადი ხდება, რომ ამ ანგარიშში ადამიანი მაშინდელი მუშაობის წესსაც განსჭვრეტს, მუშა-ხელოსანთა ხელფასსა და მუშაობის პირობებსაც გაიგებს და ასაგები მასალისა და ოსმალ-სპარსთა ძალადობისგან უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართლში საჭმელ-სასმელის იმდროინდელ ფასებსაც შეიტყობს — დაასკვნის მკვლევარი.

რამდენადაც საკვლევი რეგიონის სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი ნასოფლარია, ან ახლად დასახლებული, იმდენად ადგილობრივ, როგორც სახაზინო, ისე სათავადო და საეკლესიო აზნაურებს საკმაოდ დიდი სახნავ-სათესი გააჩნდათ. 1804 წ. საეკლესიო ყმათა კამერალური აღწერილობის ცნობით სოფ. სვენეთის აზნაური შატბერაშვილი ფლობდა 100 დღის სამკვიდრო მიწას, აქედან ამუშავებდა მხოლოდ 15 დღიურს. სოფ. ზემო რეხს მცხოვრები აზნაური იოსებ ანანიაშვილი ფლობდა 200 დღიურს, ამუშავებდა 20 დღიურს[268] და ა.შ.

მონაცემებიდან ჩანს, რომ მიწების გარკვეული ნაწილი ნაკლებ სამეურნეო მნიშვნელობისაა. აღნიშნული პროცესი მომდევნო პერიოდებშიც შეინიშნება, რამდენადაც განსაკუთრებით გორის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების იმ ნაწილის სამეურნეო ადგილები, რომელნიც ქალაქის სანახებს ესაზღვრება, გამოირჩევა ჭანჭრობ-ჭაობიანობით, რის გამოც აქ ძველთაგანვე დასაშრობი კანაოების ე.წ. საწრეტების მოწყობას მიმართავდნენ. აღნიშნული პროცესი კარგად შეინიშნება მდიდარი ტრადიციების მქონე მეურნის ყოველდღიურ საქმიანობაში, რომელიც ერთ გოჯ მიწასაც შესაბამისი დანიშნულებით იყენებს. ამასთან ერთად, არცთუ იშვიათად, მოხნულ-დამუშავებული მიწების მცირე რაოდენობით წარმოჩენა

---

[268] გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 89.

მიუთითებს აგრეთვე დამუშავების შესაძლებლობაზეც, რამდენადაც აზნაურებს შორისაც კი ეს მაჩვენებელი ერთობ დაბალია. როგორც სათანადო მასალებიდან ირკვევა, საამისოდ მათ არ გააჩნდათ როგორც საჭირო მუშახელი, ანუ განიცდიდნენ ყმა-გლეხთა ნაკლებობას, ისე ცოცხალი გამწევი ძალისა და საერთოდ ტექნიკურ აღჭურვილობას. ამასთან, შეინიშნება ის ტენდენციაც, როცა მიწის მფლობელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი აწარმოებს მხოლოდ იმდენს, რამდენსაც საშინაოდ მოიხმარს, ანუ არაა ჯერ კიდევ დაინტერესებული სასაქონლო პროდუქციის წარმოებით. ეს ის პერიოდია, როდესაც კარჩაკეტილი მეურნეობის წარმოება ბატონობს და არ გააჩნია სათანადო სტიმული და საშუალება, რათა ბაზრისთვის იზრუნოს.

შესაბამისი წყაროებიდან ჩანს, რომ ზემოაღნიშნული პერიოდისთვის, აზნაურთა საკმაოდ ნაწილს საერთოდ არ გააჩნია ყმა-გლეხი, რის მაგალითსაც იძლევა თუნდაც საამილახვროს ყმების ერთ-ერთი ნუსხა, სადაც 17 აზნაურია აღწერილი და მათ შორის 3 აზნაურის შესახებ ნათქვამია, რომ ისინი უყმონი არიან. ხოლო 2 აზანური კი ცალმოგვე აზნაურია და მათაც არ გააჩნიათ ყმები. დანარჩენ 12 აზნაურს კი მხოლოდ რამდენიმე კომლი ყმა და ბოგანო გლეხი ჰყავს-ო.[269]

ხოლო მას შემდეგ, რაც განვითარებას იწყებს სავაჭრო მიწათმოქმედება და მეტნაკლებად ჩნდება ნიადაგობრივი სტრუქტურის ხელოვნურად გარდაქმნა-ათვისების შესაძლებლობები, მოსახლეობის ზრდის ტენდენცია აშკარად იზრდება, რაც ზოგადად საზოგადოებრივ განვითარების წინსვლის შედეგად მიმდინარეობდა.

1926 წ. აღწერით, ქ. გორის მოსახლეობა შეადგენდა 10,5 ათას კაცს, 1939 წ. იგი გაიზარდა 19,5 და 1959 წ. შეადგინა 35,0 კაცი. რაიონის სოფლის მოსახლეობა შესაბამის წლებში უდრიდა 54,0, 64,7 და 68,4 ათას კაცს, აქედან, მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში: 1926 წ. 4,5 ათასი კაცი, 1939 წ. 5,0, 1959 წ. 5,7 კაცი; შესაბამისად ბერბუკის – 2,9 3,6 და 4,5; კარალეთის – 2,5, 3,5, 4,2

[269] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 91.

ათასი კაცი ისე, რომ აქ უკვე სახეზე გვაქვს ზრდის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად, დროთა ვითარებაში იცვლებოდა დასახლების სტრუქტურაც. ტრადიციულად, აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობები უმთავრესად გვაროვნული ნიშნით იყო განლაგებული და მჭიდრო დასახლების პრინციპზე აგებული. აღნიშნული პროცესი კი გამომდინარეობდა მიწის მომჭირნეობიდან, თავდაცვითი, დიდი ოჯახების გაყრა-გამრავლებით და სხვა გარემოებებიდან.

დასახლების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ, როდესაც განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას ადგილმონაცვლეობის მეტ-ნაკლები შესაძლებლობა მიეცა და გარკვეულ წილად მიწების გადანაწილების შედეგად საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობების ახალ-ახალ ადგილებზე მშენებლობის საშუალებაც გაუჩნდა.

რაც შეეხება მთლიანად მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლებს, იგი ისტორიულად არასრულ მონაცემებს შეიცავდა და ისიც ნაკლებად შემოინახა. თუნდაც ის ფაქტი, როცა 1721 წელს, ვახტანგ VI-ს მთელი ქართლის ოთხივე სადროშოს აღწერა უბრძანებია და იგი განხორციელებულა კიდეც, აქედან მხოლოდ ერთი — მეწინავე სადროშოს აღწერის დავთარია აღმოჩენილი და ბუნებრივია მოსახლეობის რიცხვის სრულყოფილ წარმოდგენაზე ზედმეტია საუბარი. ამასთან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღწერაში არ შედიოდა უმწეო, უუნარო და მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, თავისთავად ცხადია ამ მიმართებითაც ზუსტი მონაცემების დადგენა შეუძლებელი ხდება.

„მეფეთ მეფემან პატრონმან ბრძნა აღწერა თვითეულად, თვინიერ კავკასთა, ოვსთა და დვალთა და უჩანნა სხვათა კიდეთა სხვანი სარდალნი და მწიგნობარნი, ხოლო აღწერა მეწინავე დროშის, საბარათაშვილოსა და სომხითისა, უბრძანა ძესა თვისსა ბატონიშვილს სარდალს ვახუშტის და თანახლება ჩვენ უნარ-ჩვევისა მონისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის გივისა“... ავღწერეთ ამ დავთართა შინა რომელთა ძალ-ედვა აბ-

ჯართა და ცხენთა ხმარებნი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგარათა გამოღებანი. ხოლო რომელთა არ ძალედვის ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევეთ და არა აეღწერეთ წიგნსა ამას შინა, რათა არა მწუხარე იქმნეს, მადლობდენ ღმერთსა და აქებდენ და ლოცვიდენ მეფესა“-ო.[270]

ამრიგად, ჩანს, რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ქვეყნის კომპლექსურად აღწერა, ამ პერიოდისათვის ერთ-ერთი მასშტაბური და სანდო მტკიცებულებათაგანია, თუმცა მის სრულყოფაზე და უტყუარ გადმოცემაზე თავად ავტორსაც არ გააჩნია საამისო პრეტენზია, რამდენადაც იგი დამოკიდებული იყო რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებზე, სხვა წყაროებზე.

მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობათა განვითარებას, საქართველოს ცალკეულ მხარეებსა და რეგიონებში, ისტორიულად შესაბამისი მახასიათებლები გააჩნდა. XIII-XIV საუკუნეების ფეოდალური საქართველოს ხანა, ისტორიოგრაფიაში შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდი, ხოლო XII საუკუნე მის გარადამავალ ეპოქად. ეს იყო ხანა დიდი აზნაურების უფლებებისა და ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ნორმალური გზით განვითარება-გამარჯვებისათვის. ისე, რომ XIII საუკუნისათვის ფეოდალიზმის აღმავალი განვითარება საქართველოში ფაქტობრივად დასრულებულია და იგი ახალ ფაზაში გადადიოდა. თუმცა, არახელსაყრელი საგარეო ურთიერთობის შედეგად, ეს პროცესები საკმაოდ დიდი ხნით აბრკოლებდა ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებას და ფეხს იკიდებს არააგრესიული ხასიათის სოციალურ ეკონომიკური მოვლენები, რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი აღმოჩნდა სათავადოთა სისტემის წარმოშობა და XV საუკუნეში მისი სრულად ჩამოყალიბება-გაფორმება. ასეთ ვითარებაში, ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბდა დიდებული აზნაურები, არსებით ცვლილებებს განიცდის საშუალო და წვრილ აზნაურთა ფენა, რომელიც მძიმე ეკონომიკურ და

---

270 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., გვ. 18.

სოციალურ დამოკიდებულებაში ექცევა მსხვილი ფეოდალების – თავადების მიმართ და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულს, თავისთავად კიდევ უფრო მწვავე მდგომარეობაში აქცევს ქვეყნის საერთო ეკონომიკური დაქვეითება, რომელიც დამახასიათებელი გახდა XIII-XIV საუკუნეების საქართველოსათვის, რაც ძირითადად გამოწვეული იყო გაუთავებელი შემოსევებით. ამის შედეგად, შეირყა ფეოდალური სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ძლიერება. ეს ის პერიოდია, როდესაც „მონღოლთა სახით საქართველოს მწარმოებელი საზოგადოების ახალი ექსპლოატატორი მოევლინა. ამავე დროს ძველი ვალდებულებანი: სამეფო, საქვეყნო, სამოხელეო, საეკლესიო და საბატონო არა თუ დარჩა არამედ ზოგი მათგანი კიდევ უფრო დამძიმდა მეურნეობამ გლეხისათვის აზრი დაჰკარგა: ის გადასახადებს ვერ უდის და ყოველმხრივ მომძლავრებულ-მოხვეჭილი გლეხობა ბრძოლის უკანასკნელ საშუალებას მიმართავს; ბოგანოობა-ხიზნობას იწყებს".[271] აღნიშნული პროცესები კი მწარმოებელი მოსახლეობის გაჩანაგებას და თავისთავად მეურნეობის დაცემა-დაქვეითებას იწვევდა. ხოლო ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის სიძნელეები კი პირველ რიგში თავს იჩენს და დამღუპველად მოქმედებს წვრილ მემამულეებზე, წვრილსა და საშუალო შეძლების აზნაურებზე.

მეჯუდა-ჭარებულას სანახების ძირითადი მფლობელები, როგორც ითქვა ქსნის და საამილახვროს თავადთა შტო ითვლებოდა, რომელთაგანაც პრიორიტეტული ადგილი მაინც ამ უკანასკნელ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევარში, როდესაც უქმდება ამ ერთ-ერთი უმსხვილესი სათავადოს-საამილახვროს ნაწილი, მეფის საწინააღმდეგო შეთქმულების აქტიური წევრის დემეტრე ამილახორიშვილის წილი ყმა-მამული 1765 წლიდან სამეფო საკუთრებაში გადავიდა. აღნიშნულის შედეგად, სამეფო აზნაურებად იქცნენ დემეტრე ამილახვრიშვილის საბატონოში მყოფი: შიოშ საყვარელიძე, ერთ-ერთი მსხვილი აზნაურთაგანნი ზაალ ქარუმიძე თავისი ძმებით ლუარსაბი, ფარსადანი, ბერი

---

271 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია მე-13-14 სს. თსუ შრომები, ტ. VI, 1937, გვ. 289, 291.

და სხვა აზნაურებიც. მეფის მიერ ნასახლარად აღებული ამილახვრიანთ ყმა-მამულის ნუსხაში დასახელებული არიან: სოფ. თორტიზას ქარუმიძეების ოთხი კომლი თავიანთი ყმებით, ძევერას ბ კომლი აზნაური თავიანთი ყმით, ერედვს აზნაურიშვილნი ცალქალამანიძეები თავიანთ ყმით, ნიქოზსს ნამორაძე ბეჟან თავისის კაცით, ფხვენისს ზედგინიძეები თავიანთი კაცით. ეს ნუსხა, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, არასრულია, რამდენადაც აქ დასახელებული აზნაურების (ქარუმიძეები, ცალქალამანიძეები, ნამორაძეები, ზედგინიძეები) გარდა დემეტრე ამილახვრიშვილის საყმოში შედიოდნენ აგრეთვე აზნაურები: იალღუზიშვილები, ჯავახიშვილები, ციმაკურიძეები, საყვარელიძეები.[272]

როგორც ამ და სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, შიდა ქართლის სათავადოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სათავადო საამილახვროა, რომელიც მამულებს ფლობდა მდ. ლიახვის, ტანა-ატენის, მეჯუდა-ჭარებულისა და ლეხურას ტერიტორიების გარკვეულ ნაწილს. ისე, რომ ძმებს — ამილახვრებს მამულები ყმებითურთ გააჩნდათ შიდა ქართლის სხვადასხვა რეგიონებში, რასაც ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ძმათაშვილები ქვეყნის უმაღლეს მმართველობის სისტემაში სხვადასხვა კატეგორიას ეკუთვნოდა. მაგალითად, XVII საუკუნის ბოლოს, როდესაც ქართლში ერთდროულად მეფობენ ერეკლე პირველი და გიორგი მეთერთმეტე და ქართველი თავადების ერთი ნაწილი ერთ მეფეს უჭერდა მხარს, სხვა კი მეორეს, ამ დროს იოთამ და ავთანდილ ამილახვრები ერეკლე I მხარეზე აღმოჩნდნენ, ხოლო მათი ბიძა გივი ამილახვარი გიორგი XI-ემ მიიმხრო. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია მეფეები განკარგავდნენ ხელქვეით მყოფ სათავადოებს და მათ თანამდებობებსაც. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ამილახვრიანთ აზნაურს ცალქალამანიძეს, ერეკლე პირველმა ხან ჩამოართვა და ხან ისევ უბოძა ყმა-მამული კავთისხევს., ტატიშვილები, რომლებიც XVII ს. შუა ხანებიდან დავითაშვილების აზნაურები არიან, 1696 წელს ერეკლე I, მათ უბოძა წყალობის წიგნი და დაუმტკიცა მათ „სამკვიდრო და ნაჯილდოები სოფელი სურნისი“. ისე, რომ ერეკლეს ეს თავისებური მიდგომა თავადებისადმი გამოხ-

[272] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 117.

ატავს მათ წინააღმდეგ მათსავე აზნაურების დამოკიდებულებას და ამით იყენებს მათშორის არსებულ უთანხმოებას თავის სასარგებლოდ.[273]

როგორც ცნობილია, სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურთა რაოდენობის შესახებ ცნობები XV-XVIII სს. ქართლში საფუძვლად აღებულია 1783 წ. რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატისთვის დართული ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების სია. ამ დოკუმენტის მიხედვით, სამეფო აზნაურთა რიცხვი 81-ია, ხოლო საკათალიკოზო ეკლესია ფლობს 13 სააზნაურო სახლს.[274]

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, XVIII ს. I ნახევარში ქართლში 38 თავადია, რომელთაგან 21-ს ჰყავს თავისი ყმა-აზნაური, აქედან საამილახვროში 12 სააზნაურო სახლია. ესენია: ზედგინიძე, ქარუმიძე, ყანჩელი, ჩიკოიძე, ბასილაშვილი, ლიპარიტაშვილი, ტასაიჭაშვილი, ზაალიშვილი, თუხარელი, ალექსისშვილი, მურაჩაშვილი, ციმაკურიძე.

ისტორიულად, ზედგინიძე ამილახვართა მონათესავე გვარია. იმ დროს, როდესაც ერთი შტო XIV საუკუნეში აღზევდა და თავისი სათავადო-საამილახრო ჩამოაყალიბა, ამ საგვარეულოს სხვა შტოები წვრილი ფეოდალის მდგომარეობაში რჩებიან. ისე, რომ XVII საუკუნეში ზედგინიძეებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული უნდა ჰქონოდათ ამილახვართაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა. ამის შესახებ იტყობინება XVII საუკუნის ერთი საბუთი, სადაც ჩამოთვლილი არიან ამიახვართა სადროშოში შემავალი თავადები და სამეფო აზნაურები, დასახელებული არიან „ერთობილნი ზედგინიანნი“, ფავლიანთა, მაჩაბლიანთა, თუმანიანთა, ტატიანთა, აბაზაძისა და სხვა. ამილახვრიანთაგან დამოუკიდებელი საფეოდალო საგვარეულოების გვერდით, 1747 წ. დავით ამილახვრიშვილი ასახელებს ზედგინიძეს: „ჩვენი აზნაურიშვილი ზედგინიძე ბეჟან“. ამასთან, 1753 წ. გაყრის დროს ამილახვრიანი ზედგინიძეებსაც იყოფენ ურთიერთ შორის.[275]

---

[273] იქვე, გვ. 107.
[274] გ. აკოფაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 126.
[275] იქვე, გვ. 138.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში — ტრაქტატში, ამილახვრიანთ 12 სააზნაურო სახელია მოხსენიებული, თუმცა ეს სია უდაოდ ნაკლულია და იგი გაცილებით მეტს უნდა მოიცავდეს; რამდენადაც მარტო პროფ. დ. გერიტიშვილის გამოკვლევით, დამატებით 5 გვარია დასახელებული. მათ შორის: თექთურმანიძე, კუპატაძე, პატისშვილი, კაპანაძე და იალღუზიშვილი. აქედან ორი თექთურმანიძე და იალღუზიშვილი ტრაქტატში მოუხსენებლობა გამოწვეულია მათი XVIII ს. დასასრულისთვის გადაშენებით. თექთურმანიძე, რომელიც XV საუკუნეში საკმაოდ თვალსაჩინო გვარი ყოფილა და ხევის პატრონად ითვლებოდა, არაგვის ერისთავის წინაპრებს ამოუწყვეტიათ და ხევიც დაუჭერიათ. ხოლო ამ გვარიდან გადარჩენილნი კი სულიერად ჩამომცრობილა, თუმცა მათი პატივი სამილახვროში მაინც შემოუნახავთ, რომელთაც თავი ამ უკანასკნელთა მფლობელობაში შემოუნახავთ.

ასეთივე ბედი სწვევია იალღუზაშვილთა სააზნაურო სახლსაც, რომელთა მამული ამილახვრიანთ ყმა-მამულში ბეითალმანად — გაუბედურებულად იხსენიება და ა.შ. ისე, რომ ამილახვრიანთ ყმა-აზნაურთა სიაში უნდა იყვნენ აგრეთვე: ღაზნელთა, შანაშვილთა, ჯანიაშვილთა, უგონაძეთა, პარკაძეთა, ცალქალამანიძეთა და მაჭავარიანთა სააზნაურო სახლებიც. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ საკვლევ რეგიონში ნაწილობრივ ცხოვრობდნენ აგრეთვე ქსნის ერისთავთა სააზნაურო სახლის წარმომადგენლებიც. სააზნაურო სახლში ბუნებრივია იგულისხმება ყმაგლეხთა გარკვეული ნაწილი, რაც უმთავრესად შიდა ქართლის სხვადასხვა რეგიონებიდან ივსებოდა. ამასთან, შიდა ქართლისკენ აქტიურად ისწრაფოდა აგრეთვე ჩრდილოეთ მთიანეთის, დიდი კავკასიონის კალთების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

ისტორიული ფაქტია, რომ „ჩვენი სამშობლოს ეკონომიური კეთილდღეობისთვის უაღრესი მნიშვნელობა ქვემო და ზემო ქართლს ენიჭებოდა. სწორეთ აქ იყო საუკეთესო მოსავლიანი მიწები: საქართველოს საკვები მცენარეების ნამდვილ ბელელს ჯავახეთი, შიდა-ქართლი და ქვემო-ქართლი, შემდეგ ბორჩალოდ, საბარათიანოდ და საორბელოდ წოდე-

ბული თემი წარმოადგენდა".[276] ისე, რომ შიდა ქართლის – მეჯუდა-ჭარებულას აუზი ერთ-ერთ ნაყოფიერ ველებად იყო მიჩნეული, სადაც სახნავ-სათესი ფართობების გვერდით მდიდრად იყო წარმოდგენილი ჭან-ჭრობ-ჭალებიანი მიდამოები, რომელიც დავით აღმაშენებლის საყვარელ დასასვენებელ ადგილებად ითვლებოდა: „რომელი აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ"-ო.[277]

აღნიშნული ადგილები, როგორც ზემოთაც ითქვა, ქ. გორის სანახებში და მის ჩრდილოეთით, სვენეთ-კარალეთის მიმდებარე ტერიტორიები იგულისხმებოდა, რომელიც ძველად ნაჭარმაგევად იყო წოდებული. ნაჭარმაგევი, ანუ დღევანდელი კარალეთი კი ამ რეგიონში ერთ-ერთი ცენტრალური, ბუნებრივად შემკული დასახლებული სოფელი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეს ადგილები, დავით აღმაშენებლის მემკვიდრეთათვისაც საუცხოო, სასიამოვნო გარემოთ იყო მიჩნეული და რომ ავადმყოფი თამარ მეფე სწორეთ აქ ისვენებდა და იგი „ავადმყოფი მეფე ნაჭარმაგევითგან „წამოიყვანეს კუბოთა ტფილისს".[278] ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ გიორგი II რუისში აკურთხეს, თამარი – კი პირველად ეგონებ ნაჭარმაგევს, ხოლო მეორედ ტფილისში.[279] მისივე მტკიცებით, სადაც მეფე მუდმივად ცხოვრობდა „სამეფო, ან სამეფო ქალაქი", „სახლი სამეფო", „მეფეთა საჯდომელი", ან „საჯდომი" ერქვა. მაგრამ მეფეები ერთ ადგილს არ ბინადრობდნენ, არამედ ზამთარში საცხოვრებლად უფრო თბილ მხარეს ირჩევდნენ, ზაფხულში – კი გრილი, მაღლობი ადგილებისკენ მიეშურებოდნენ. ბაგრატ IV მაგალითად ქართლში ცხოვრობდა ხოლმე, ხოლო ზამთარში აფხაზეთს გადადიოდა. მემატიანეს სიტყვით დიდგორიც „მეფეთა საზაფხულო სადგომი" ყოფილა, ხოლო გიორგი III-ის დროს ნაჭარმაგევს „მეფის სახლი სალხინო", ან „სათამა-

---

276 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930 წ. გვ. 421.
277 ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, თბ., 1983 წ., გვ. 39.
278 ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, 1983, გვ. 289.
279 ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, 1984, გვ. 157.

შო“ იყო.[280] 1818 წელს სოფლების კამერალური აღწერის მიხედვით, სოფ. კარალეთი საბატონოა, რომლის კომლთა ოდენობა, ანუ საბატონო კომლი იყო 34, რომელნიც ფლობდნენ სათემო მიწებიდან გამოყოფილ ე.წ. ჩამონაჭრებს 121 დესეტინას სულ კი ამუშავებდნენ 140 დესეტინას. ხოლო დანარჩენი მოსახლეობა, როგორც ჩანს წარმოადგენდა სახელმწიფო და საეკლესიო გლეხობას, რომლებიც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მათსავე კუთვნილ მიწებზე.

სოფელი კარალეთი, რომელიც ქართლის შუაგულ ვაკეზე გორის სანახებს ესაზღვრება, არქეოლოგების მიერ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორადაა მიჩნეული. ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო; და აწ კარალეთად წოდვილი, ადგილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“. როგორც ითქვა, XI-XII საუკუნეებში ნაჭარმაგევი შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი ყოფილა. სწორეთ აქ მდგარა დავით აღმაშენებელი 1110 წელს თავისი ტაძრეულით და აქედან აწარმოებდა ბრძოლებს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ და როგორც ვნახეთ, ნაჭარმაგევს იხსენიებს გიორგი III-ისა და თამარის ისტორიკოსიც. მომდევნო ხანებში, კერძოდ XVIII ს. სოფელს დიდი ზიანი მიაყენა ლეკთა თარეშმა, რომელთაც ერთ-ერთი შემოსევის დროს სოფლის ციხეც აუღიათ და დიდძალი ტყვე და საქონელი გაურეკიათ.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან სოფ. კარალეთში აღსანიშნავია არქეოლოგიური ნასახლარი, რომელიც მის ცენტრში, გორაზეა განლაგებული და თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოს- ადრინდელი რკინის ხანით. რაც შეეხება ღვთისმშობლის ეკლესიას, იგი სოფლის განაპირას მდებარეობს და თარიღდება ფეოდალური ხანით. XIX-XX საუკუნეების მიჯნის პერიოდის სოფლის ისტორიული მოვლენებიდან, აღსანიშნავია მისი, როგორც ერთ-ერთ რევოლუციურ ცენტრად წარმოჩენა, რომლის მიზეზიც 1902 წელს ერისთავსა და გლეხებს შორის ამტყდარი დავა საძოვრების თაობაზე გამხდარა. ამის შედეგად გლეხობის დეპუტაცია, რომელიც მთავარმართებელთან იყო მისული დაპატიმრებული იქნა და

[280] იქვე, გვ. 178.

რუსეთის შორეულ გუბერნიაში გადასახლებული; „1905 წ. 7 მარტს სოფლის კანცელარიასთან თავი მოიყარა მეზობელი სოფლების — ხელთუბნის, თორტიზის, დიდი და პატარა გარეჯვარების მოსახლეობამ და ხელთუბნელების თაოსნობით მოაწყვეს მსვლელობა წითელი დროშებით, დაარბიეს და დაანგრიეს კანცელარიის შენობა., იმავე წლის 13 მარტს, სოფლის ცენტრში ათასამდე გლეხმა მოითხოვა თავად ერისთავისგან ნაცვლის გადასახადებისგან განთავისუფლება, ტყითა და საბალახოთი სარგებლობის უფლება, მღვდელისა და სოფლის მოხელეთა თვითნებობის ალაგმვა, ასეთივე გამოსვლები მოხდა 20 მარტსაც". ამჟამად, სოფ. კარალეთი ერთ-ერთ დიდ და მჭიდროდ დასახლებულ კულტურულ-სამეურნეო ცენტრს წარმოადგენს. 1967 წ. მოსახლეობის აღწერით სოფელში 3170 კომლია; 1929 წ. დაარსდა კოლმეურნეობა „წითელი სხივი" გაერთიანდა 45 კომლი, 203 სულით; 1961 წ. იგი საბჭოთა მეურნეობაა 3999 ჰა მიწის ფონდით, საშუალო სკოლაში 864 მოსწავლე სწავლობდა; მეურნეობას გააჩნდა: 55 ტრაქტორი, 3 მარცვლეულის კომბაინი, 20 სატვირთო ავტომანქანა და სხვ.

ქ. გორის მიმდებარედ გაშენებულია სოფ. ბერბუკი, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანის დასახლებას უნდა წარმოადგენდეს. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან სოფელში დაზიანებული სახით შემორჩენილია ოდეზღაც სამსართულიანი კოშკი, რომელიც რიყის ქვით და კვადრატული აგურითაა ნაგები. სოფლის განაპირას დგას მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, რომელიც 1830 წ. აგებულა გიგაურების თაოსნობით. 1818 წ. გორის მაზრის სოფლების კამერალური აღწერის მიხედვით, სოფ. ბერბუკი საბატონო ყოფილა, რომელსაც მხოლოდ 8 კომლი ეკუთვნოდა და ფლობდა 50 დესეტინა მიწას, ამასთან სათემო ჩამონაჭრებიდან ამუშავებდა 80 დესეტინა ნაწყალობევ სავარგულს. რაც შეეხება მოსახლეობის დანარჩენ ყმა-გლეხობას ისინი სარგებლობდნენ სახელმწიფო და საეკლესიო მიწებით.

აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით, ბერბუკი არცთუ უძველესი სოფელია, თუმცა XIX-XX საუკუნეებში იგი განსაკუთრებულ ძლიერებას და განვითარებას აღწევს. 1930 წ. სოფელ-

ში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა – „შუქურა“, სადაც პირველივე წელს გაერთიანდა 22 კომლი, რომლის განკარგულებაში იყო (1967 წ.) 38 ტრაქტორი, 11 სატვირთო ავტომანქანა, ფუნქციონირებდა კულტურის სახლი და საშუალო სკოლა 213 მოსწავლისათვის. აღნიშნული პერიოდისათვის სოფელში ცხოვრობდა 485 კომლი. ბერბუკი წარმოადგენდა ერთ-ერთ მსხვილ ადმინისტრაციულ სასოფლო-საბჭოს, რომელშიც გაერთიანებული იყო სოფლები: ხელთუბანი, თორტოზა, სვენეთი და რეხა სულ 5423 კომლი.[281]

სოფელი ბერშუეთი გვიანდელი ფეოდალური ხანის დასახლებაა, რაზეც მეტყველებს აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის სამი ძეგლი. მათშორის კოშკი, რომელიც სოფლის ცენტრში დგას და წარმოადგენს თავდაცვით ნაგებობას. კოშკი სამსართულიანი ყოფილა და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება., სოფლის ცენტრში დგას მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, რომელიც XIX ს. აუგიათ; სამების სახელობის ეკლესია დგას სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე და თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. 1818 წ. კამერალური აღწერით სოფელი ძირითადად საამილახვროს ყმა-მამულს წარმოადგენდა, სადაც მისი კუთვნილი 39 საბატონო კომლი ამუშავებდა 162 დეს. მიწას, აქედან 100 დესეტინა სათემო ჩამონაჭერს წარმოადგენდა. რაც შეეხება მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს ისინი სარგებლობდნენ, როგორც სახაზინო, ისე საეკლესიო მამულებით.

თბილის-ქუთაისის ცენტრალური საავტომობილო გზატკეცილის გასწვრივ მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი და მრავალკომლიანი სოფელი სვენეთი, რომლის ნამოსახლარი მის სამხრეთით ორიოდ კილომეტრზე ე.წ. „გუდაბერტყიას“ მომცრო მთის კალთაზე ყოფილა გაშენებული. არქეოლოგიური ძეგლის მიხედვით, გუდაბერტყას ნამოსახლარი რამოდენიმე კულტურულ ფენას მოიცავს, რომელთაგან ყველაზე უძველესი ძვ.წ.ა. III ათასწლეულის I ნახევარს მიეკუთვნება, ხოლო ზედა ფენები გვიანდელი ბრინჯაოს ადრინდელი რკინის ხანას. აღნიშნული მასალების მიხედვით, აქ მიწათმოქმედ მოსახლეობას უცხოვრია. მიკ-

[281] გორის რაიონი და ქალაქი გორი, სტატ. კრებული, გორი, 1968 წ.

ვლეულია შენობების ნაშთები, რომელიც მოგრძო ფორმისაა და სწორკუთხა. სახლები ლასტურია, ძელურწნული, რომელიც რიყის ქვის საფუძველზეა მოწყობილი. კედლები ორივე მხრიდან თიხით შელესილი, იატაკი თიხატკეპნილია, შუაში დედაბოძით, წინ წრიული კერაა. ნასოფლარს ატყვია ხანძრის კვალი. მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას.[282]

ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ავბედობის ხანაში, სოფლის მოსახლეობის გადარჩენილი ნაწილი აყრილა და დაფანტულა, ხოლო გარკვეული მეკომური თანამედროვე სოფლის ტერიტორიაზე დასახლებულა. 1818 წ. მონაცემებით სოფელი საბატონოს კუთვნილებაა, სადაც 37 კომლი ფლობდა 350 დეს. ფართობს, აქედან სახაზინოს 200 დესეტინას.

რაც შეეხება სოფლის აღზევება-განვითარებას, მიმდებარე სოფლების მსგავსად, განსაკუთრებულ აღმავლობას იწყებს გვიანდელი ფეოდალური ხანიდან, რაზეც მეტყველებს აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ღვთისმშობლის სახელობის სამი ეკლესია, რომელნიც XVIII-XIX საუკუნეებშია აგებული. ამჟამად სოფელში 1149 კომლზე მეტი ცხოვრობს.

სოფ. ხელთუბანს თურმე ძველად ხევთ-უბნად იხსენიებდნენ. იგი გორიდან 6 ვერსის სიშორეზეა. როგორც ამბობენ ის უშველებელ ხევზე იყო გაშენებული. მაგრამ ჟამს ეს ხევი გაუმიწისპირებია და სოფელის სახელშიც ერთი ასოც შეცვლილა — იტყობინება გაზ. „ივერია“ (1886 წ.) „აქაური მდებარეობა, — განაგრძობს კორესპონდენტი, ძალაუნებურად უღვიძებს გლეხს ხვნა-თესვის სიყვარულს. თუმცა ბევრ გლეხს არ მიჰყვება ხოლმე წლის დამლევამდე პური. რაც შეეხება მევენახეობას, ხელთუბნელი კაცი გამოცდილი არ გახლავთ. ესეც ბუნების ბრალია, აქ ვაზი არ ვარგობს, თუმცა არის რამდენიმე ვენახი. ღვინოც არაცს კარგი „კლუკვინის წვენია“ სწორეთ. აქაურ მცხოვრებლებს ქართველები და სომხები შეადგენენ. ეს ორი ხალხი არაფერში არ გაირჩევიან. ეს შესამჩნევი მოვლენა გახლავთ, რადგან როგორც გამიგია, ზოგ სხვა სოფლებში

---

282 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V., თბ., 1990, გვ. 83.

და ქალაქებში ეს ორი თანამოძმე ხშირად ვერ ეწყობიან ერთმანეთსო. ერთმა გარემოებამ აქაც მცირედ უკმაყოფილება დაბადა. ხელთ-უბანში 1884 წ. გაიხსნა სკოლა, სადაც პირველივე ოცდაექვსი ყმაწვილი მოგროვდა: ქართველების და სომხების. დავიცადეთ პატარა ხანი და სომხის ყმაწვილებმა ტირილით ჩააბარეს ისევ მასწავლებელსა წიგნები: აღარ უნდა მოვიდეთო, ფულებს გვახდევინებენო, ტრაფი არისო, გადაიბირა თურმე ვიღაცამ სომხობა შემდეგ შეინანეს ცოდვა და ყმაწვილებიც მიპყავთ. აქაური სკოლა დროებით მოთავსებულია ნათხოვარ სახლებში, რომლებიც თავად დავით თუმანიშვილისა. ამ სკოლაში სამი განყოფილებაა, სადაც 35 მოწაფეა — ვაჟი და ქალი მშობლები მიდიან და ნანობენ ჩვენი შვილი რომ შარშან მიგვეყვანა და სხვის სიტყვას არ ავყოლოდით ეხლა იმასაც ხომ ექნებოდა გაზეპირებული ეს წიგნი“-ო.

1818 წ. გორის მაზრის სოფლების კამერალური აღწერის მიხედვით, ხელთუბანი საბატონოს წარმოადგენს, სადაც 98 კომლი ყმა-გლეხი ამუშავებს 630 დეს. მიწას, საიდანაც სათემო ჩამონაჭერს შეადგენდა 400 დესეტინა. სოფლის დანარჩენი მოსახლეობა ცხოვრობდა და შრომობდა სახელმწიფო და საეკლესიო მიწებზე.

ისტორიული მოანცემებით, გვიანდელი ფეოდალური ხანის სოფელ ხელთუბანში მატერიალური კულტურის ძეგლებიდან მეტ-ნაკლები სახით შემორჩენილია აგიას საყდარი და ნასოფლარი. ეს უკანასკნელი ფეოდალური ხანისაა. ნასოფლარი საყდართანაა, სადაც თავდაპირველად სოფელიც ყოფილა და ხევთუბანს უწოდებდნენ. როგორც გადმოგვცემენ ეს სოფელი უწყლოობის გამო ქვევით ჩამოსახლებულა და სახელიც ხელთუბანი შემორჩენია. აღნიშნულ ნასოფლარზე არქეოლოგების მიერ „ყორღანულ ველზე“, მოკვლეული მასალების მიხედვით, ძეგლი სავარაუდოდ თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრით და შედგება ორი ჯგუფისგან ე.წ. „გორაკების მიწებისა“ და „თანდიწყაროსაგან“. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გორაკების მიწებს „ზეიანებს და შამპანურებსაც უწოდებენ და მდებარეობს სოფ. ხელთუბანსა და კვარხითს“ შორის. თანდიწყაროს ჯგუფის ყორღანებს შორის გაითხარა

ორი ყორღანი, სოფლიდან ნახევარ კილომეტრზე და მოპოვებული მასალების მიხედვით განეკუთვნება ძ.წ. XXIV-XXII საუკუნეებს.

სოფლის ცენტრში დგას პეტრე მოციქულის ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. სოფლის ცენტრშივე დგას სამების ეკლესია, რომელიც 1806 წელსაა აგებული, ხოლო რაც შეეხება წმინდა გიორგის ეკლესიას, იგი სოფლის სამხრეთით განაპირასაა აგებული და მიეკუთვნება გვიანდელ ფეოდალურ ხანას.

სოფ. თორტიზა გვიანდელი ხანის დასახლებას წარმოადგენს, სადაც დღევანდლამდე შემორჩენილია ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით, სოფლის განაპირას დგას და თარიღდება XIX საუკუნით. სოფლიდან კიდევ უფრო მოშორებით მდებარეობს მეორე – წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. ჩანს, რომ აღნიშნული სოფელი, ძველი ნამოსახლარის მიხედვით, ერთ-ერთი უძველესია, რომელმაც თავისი სიდიდე და სიძლიერე კარგად შეინარჩუნა XVIII საუკუნის შუახანებამდე,[283] ამის შესახებ მეტყველებს აღნიშნული პერიოდის ერთი დოკუმენტი, სადაც ორასამდე ადგილობრივი მოსახლეა აღნუსხული. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ თითოეული მათგანის ოჯახურ მდგომარეობას, საშუალოდ ადვილად წარმოვიდგენთ სოფლის კომლთა სიმრავლეს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, აქ უცხოვრიათ: ჩარუხაშვილებს, მურადაშვილებს, შიოშვილებს, ებისაშვილებს, ლელუაშვილებს, მექვევრიშვილებს, კაციაშვილებს, ნურალაშვილებს, სტეფანაშვილებს, დათუაშვილებს, სვანიძეებს, ელიზბარაშვილებს, ტერმანოველაშვილებს, ცარიელაშვილებს, ბერძნიშვილებს, კოშუაშვილებს, დალაქიშვილებს, ფერიაშვილებს, აბელაშვილებს, თედიაშვილებს, ყულიაშვილებს, ებიაშვილებს, მარღიშვილებს, აბუაშვილებს, მირონაშვილებს, ამზაშვილებს, ჯანიაშვილებს, არაქელაშვილებს, ელიკაშვილებს, ჭაბუაშვილებს დარმანაშვილებს, ეშმაკურაშვილებს, კობიაშვილებს, ჩალაბაშვილებს, მიქიაშვილებს, კიკოზაშვილებს, საქიაშვილებს, ნინიაშვილებს, ბეტაშვილებს, აკოფაშვილებს, ბაიაშვილებს, შოშიაშვილებს, ნარიბეგაშვილებს, ანესაშვილებს, თათარიშვილებს, ძამა-

[283] იე. ჯაჯახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 250-255.

შვილებს, ხევსურიშვილებს, მირაქაშვილებს, დავითაშვილებს, საკაშვილებს (დისელი), ხეჩიკაშვილებს, ბაბულაშვილებს, ბუბულაშვილებს, მენაბდიშვილებს, მეგრელიშვილებს, ამირაშვილებს, გაბინაშვილებს, ბარდაძეებს, ჯილავდარაშვილებს, ავაქაშვილებს, ბასიაშვილებს, ჯანგულაშვილებს, ფანოსაშვილებს, ძამუკაშვილებს, საინაშვილებს, ბაღდასარაშვილებს, შამბარაშვილებს, ბეგიჯანაშვილებს, მღებრიშვილებს, კბილაშვილებს, უმიკაშვილებს, მერაბიშვილებს, მჭედლიშვილებს, პეტროზაშვილებს, ოქედაღაშვილებს, სოლომონიშვილებს, ყუმანაშვილებს, წიკლანაშვილებს, ჯანყურაბანაშვილებს, მამულაშვილებს, ნადირაშვილებს, კირაკოზაშვილებს, ფარსელაშვილებს, ბაბანაშვილებს, როსტომაშვილებს და ა.შ. აქედან 41 ხიზანია, მეკომლე 3, თავადი ერთი — დემეტრე ამილახვარი, აზნაურები: შატბერაშვილი, ყაფლანიშვილი, ჩაჩიკაშვილი, ზურაბიძე, იარალიშვილი, ავალიშვილი, ყორღანაშვილი, თუშმლისშვილი, გოსტაბაბაშვილი, იაგულაშვილი, მუსხელიშვილი, შანშიაშვილი, რატიშვილი და სხვ.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, ხიზანთა უმრავლესობა შიდა ქართლის სხვადასხვა რეგიონებიდანაა მოსული, კერძოდ სოფ. ზელდულეთიდან, ჯავახეთიდან, უფლისციხიდან, რუისიდან, ხოლო ნაწილი ლილოდან, წყნეთიდან, თრიალეთიდან და ზოგიერთი ლორედან, შუშიდან, ახპატიდან, ირაქიდან.

1818 წ. გორის მაზრის სოფლების კამერალური აღწერის მიხედვით სოფელი თორტოზა საბატონოა, სადაც 39 კომლი ყმა-გლეხი ამუშავებს 400 დესეტინა მიწას, აქედან 300 დეს. წარმოდგენდა სათემოს ჩამონაჭერს, ხოლო დანარჩენ ფართობებზე, რომელიც ეკუთვნოდა სახელმწიფოს და ეკლესიას შესაბამისი ყმა-გლეხობა სახლობდა და შრომობდა.

ჭარებულა-მეჯუდის ხეობებს შორის ცენტრალურ ტერიტორიაზე მდებარე ორი სოფელი — დიდი და პატარა გორიჯვარი, XVII-XVIII სს. საკმაოდ მოზრდილ დასახლებებს წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ამ ორივე სოფლის ერთი და იგივე სახელწოდებას, რომლიც საქართველოს სინამდვილეში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული და განსაკუთრებით

განვითარებული ფეოდალური ხანის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს, თავდაპირველად ერთი ძირითადი დასახლებიდან უნდა მომდინარეობდეს. ისე, რომ დიდი, პატარა, ზემო, ქვემო, უბანი და სხვათა წარმონაქმნი თავისთავად, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მათი ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობის შედეგია.

ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ სახელწოდება გარეჯვარი მომდინარეობდეს ისტორიულად უძველესი სოფლის — კარალეთის (ნაჭარმაგევი) მიმდებარეობიდან. სავარაუდოა, რომ კარალეთის სანახებში აღმოცენებული შედარებით ახალი დასახლება ანუ „გარეჯვარი“ — სალოცავ ადგილთან იყოს დაკავშირებული, სადაც ორი ეკლესიაცაა შემორჩენილი (წმ. გიორგის — პატარა გარეჯვარში და ღვთისმშობლის დიდი გარეჯვარი). როგორც ჩანს, ისტორიულად, ნაჭარმაგევის მოსახლეობის ძირითადი სალოცავები ნიში და ეკლესია სწორედ ამ სოფლების ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო განლაგებული და მათი როგორც დამოუკიდებელ სოფლებად ჩამოყალიბება შედარებით მოგვიანებით ამით იყოს გამოწვეული.

შესაბამისი აღწერილობით დოკუმენტებში (XVIII ს. 60-იან წლებში), პატარა გარეჯვარის მოსახლეობა აღემატება დიდი გარეჯვარის კომლთა ოდენობას. დოკუმენტი საყურადღებო მონაცემებს შეიცავს აგრეთვე მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესახებაც, სადაც კარგადაა გამოკვეთილი საგვარეულო-საუბნო დასახლების სტრუქტურა; ივ. ჯავახიშვილის მიერ შესწავლილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „გარეჯვარს (ანუ აქეთა — დიდ გარეჯვარს) გორჯასპი მდივნის ყმა სოლთანაშვილი ბერიძე მეკომლე, ამისივე ყმა გრძელი გორგიშელი თამაზა მეკომლე; ედიშერ მდივნის ყმა ირამაშვილი გიორგი მეკომლე, ამისივე ყმა ლომიტაურის დათუნას ობოლი ბოგანო; ოთარ მდივნის ყმა ღორიგლიჯა რამაზა მეკომლე; პატარკაცის ყმა მურადას შვილი გიორგი მეკომლე, ამისი ყმა ლელუაშვილი გაბრიელი მეკომლე, ამისივე ყმა ოთიაშვილი პატა ბოგანო; იასეს შვილის პაპუას ყმა ნინიკას შვილი ბერიკია მეკომლე, ამისივე ყმა ფოცხვერას შვილის ობლები ბოგანო, ამისივე ყმა ლომაშვილი ბერუა ბოგანო., აქაც გარეჯვარს მთავარეპისკოპო-

ზის ყმა ივანეშვილი ბერუა მეკომლე., თუმანიშვილის გიორგის ყმა ბერდიკელი დავითაშვილი თევდორე., აქავ გარეჯვარს მისკარბაშის ყმა წყნეთელი ასიტაშვილი, ამისივე ყმა წყნეთელი მაშუკა ხიზანი, ამისივე ყმა წყნეთელი შაყულაშვილი ივანე ხიზანი; ამისივ ყმა წყნეთელი არაქელას შვილი კისერა ხიზანი., სახასო აიადირბეგის მამასახლისის შვილი აბასა ხიზანი; სარდლის რევაზის ყმა ღოუბნელი მამულა ხიზანი; ყაფლანიშვილის ტეტიას ყმა მეწისქვილე თამაზა ხიზანი; მანგლელის ყმა ქვენადრისელი ჭყოპიაშვილი ესტატე ხიზანი; ციციშვილის გივის ყმა ქვენაფლაველი მურადას შვილი მანძულა ხიზანი; ჯავახი რევაზა ხიზანი".[284]

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, სოფელში 9 ხიზანი ცხოვრობს, რომელთა წარმომავლობა სოფელი წყნეთი, ღოუბანი, ქვენადრისი, ქვენაფლავი და ჯავახეთია, სადაც ძირითადად მითითებული არ არის მათი გვარები და მხოლოდ სახელია აღნიშნული. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდო, რომ საყოველთაოდ, საქართველოში დამკვიდრებულ ტრადიციების შესაბამისად, სახელიდან გვარის წარმოქმნის ფაქტებთან გვაქვს საქმე, რაც საქართველოს ყველა რეგიონისათვისაცაა დამახასიათებელი. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტი სრულად არ ასახავს სოფლის მოსახლეობის ოდენობას, რამდენადაც აქ ნახსენებია მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის სახელი და ყმათა და ხიზანთა მონაცემები. ხოლო რაც შეეხება თავისუფალ, საეკლესიო, სახელმწიფო მოსახლე გლეხთა, აგრეთვე თავად-აზნაურთა ოდენობას, სამწუხაროდ დღესდღეობით ამის მონაცემები არ გაგვაჩნია. ამ მხრივ ერთადერთია მხოლოდ 1818 წ. კამერალური აღწერის მასალები, სადაც სოფ. გარეჯვარი საბატონოს ეკუთვნის და 10 კომლი ამუშავებდა 56 დეს. აქედან 42-ს სათემოს ჩამონაჭერს.

XX ს. II ნახევრის (1967 წ.) მონაცემებით, დიდ გარეჯვარში ცხოვრობდა 674 კომლზე მეტი, ხოლო პატარა გარეჯვარში — 1353 კომლზე მეტი. ამ და ქვემოთ მოტანილი დოკუმენტიდანაც გამოჩნდება,

---

[284] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონ. ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 248.

რომ ისტორიულად ე.წ. დიდი გარეჯვარი, პატარა გარეჯვარის წარმონაქმნი უნდა იყოს. XVIII ს. შუაწლების დოკუმენტის მიხედვით: „იქით გარეჯვარს (პატარა გარეჯვარს): ედიშერ მდივნის ყმა მურადას შვილი ფარსადანი მეკომლე, ამისივე ყმა მურადას შვილი გელია ბოგანო, ამისივე ყმა თუში შერმაზანა მეკომლე, ამისივე ყმა ჩრდილიდ უბნელი სათას შვილი კაცია უმამულო; ოთარ მდივნის ყმის მამულზე დგას წყნეთელი ასიტას შვილი მელქუა მეკომლე, ამისივე მამულზე ბოგანო ჯავახი ანდრია ბოგანო; ბელელის შვილი დავითის ყმა ჩუხრუკიძე ღვთისია მეკომლე., აქავ გარეჯვარს გიორგის შვილი გიორგი ამილახვრის აზნაური, ამისივე განაყოფი იესე აზნაური, ამისივ განაყოფი ოთარი აზნაური, ამათი ყმა ჯავახი ბერი ბოგანო, ამილახვრის ყმა მუნჯის შვილი გიორგი ბოგანო; ქარუმიძე ავთანდილ ამილახვრის აზნაური, ამისავე ყმა ბეგას შვილი ზურაბი მეკომლე, ამისივე ყმა წაქარელი მარქარა ამირხანაშვილი უმამულო, ამისივე ყმა წაქარელი ამირხანაშვილი არაქელა უმამულო, ამისივე ყმა წაქარელი ათანას შვილი არაქელა უმამულო, ამისივე ყმა წაქარელი ათანას შვილი ათანა უმამულო, ამისავე ყმა წაქარელი თვალიაშვილი ბერუა უმამულო., რევაზ სარდლის ყმა ძამაშვილი ესტატე ხიზანი, ამისავე ყმა ილაგდაგელი ოანეზ ხიზანი; მდივანბეგის იოვანეს ყმა ტაშირელი არუთინას შვილი ისაია ხიზანი; ტეტია ყაფლანისშვილის ყმა წნულელი თამაზა ხიზანი, ამისივ ყმა ვართანას შვილი ოსეფა ხიზანი; იარალას შვილი ყმა დინუმაშვილი სარუხანა ხიზანი; სამცხეთო ატენელი დვალია შვილი პაპა ხიზანი; კიდევ სამცხეთო ატენელი დვალიშვილი სეხნია ხიზანი; გორელი ჯაშნაშვილის ყმა გოგებას შვილი დავითა ხიზანი; ჯავახი ეივაზა ხიზანი; ავალიშვილის ყმა გოჭი კუდაშვილი ბერუა ხიზანი; გარაყანიძის ყმა ავჭალელი ავბეწაშვილი გელია ხიზანი; გურამიშვილის გივის ყმა ავჭალელი მიქელი შვილი დიაკვანი ხიზანი; ყაზახელი ბადალა ხიზანი; შანშიაშვილის გივის ყმა სახუნდრელი არუთინა ხიზანი“.[285] აქვეა წარმოდგენილი აზნაურთა, მეკომლეთა, ბოგანოთა, უმამულოთა და ხიზანთა საერთო ოდენობა.

---

[285] იე. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გე. 249.

განხილული დოკუმენტი გარდა იმისა, რომ გვამცნობს ამ სოფლის სიძველეს და ხიზანთა სიმრავლეს დიდ გარეკვართან შედარებით, საინტერესო მონაცემებს გვაწვდის თავად-აზნაურთა პიროვნებების დასადგენად, რომელნიც ამ სოფლებს ფლობდნენ და მოღვაწეობდნენ. ამასთან, საყურადღებოა კონკრეტულად ამ სოფლის — პატარა გარეკვარში აზნაურთა სიმრავლის, საქართველოს სხვა, საკმაოდ შორეული რეგიონებიდან ჩამოსულ-ჩამოხიზნული პიროვნებების შესახებაც. კერძოდ თუშეთიდან, ჯაყახეთიდან, წყნეთიდან, ატენიდან, გორიდან, ავჭალიდან, სახუნდაროდან, წნულიდან, წაქარიდან, ტაშირიდან და ა.შ. აგრეთვე სახელიდან წარმოებული და დღეს გვარად ქცეული: მურადაშვილი, საათაშვილი, მუნჯიშვილი, გოგებასშვილი და ა.შ.

სოფ. კვარხითი, რეგიონის ტერიტორიაზე სხვა მრავალი სოფლის მსგავსად, გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება და ამ მიმართებით მტკიცებულების ერთად-ერთი ძეგლი წმინდა გიორგის ეკლესიაა, რომელზეც XVIII საუკუნეში საბრძოლო კოშკიც მიუშენებიათ. ჩანს, რომ კვარხითი, გარდა იმისა, რომ ისტორიულად არცთუ ძველი და დიდი სოფელია, თავისი თვითმყოფადობა მეტ-ნაკლები სახით შემოინახა, სადაც 1967 წ. 341 კომლი მოსახლე ცხოვრობდა.

სოფელი კირბალი სადღეისოდ მოზრდილი დასახლებაა. იგი მდებარეობს მეჯუდას ხეობის ინტენსიური მიწათმოქმედების ზონაში და 600-მდე კომლს ითვლის. ისტორიულად, რეგიონის ძირითადი სოფლების მსგავსად, კირბალი გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან სოფელში შემორჩენილია კვირაცხოვლისა და წმინდა გიორგის ეკლესიები. აქედან პირველი XVIII-XIX საუკუნეებით, ხოლო მეორე — წმინდა გიორგის ეკლესია გვიანდელი ფეოდალური პერიოდით თარიღდება. სოფლის ხნოვანობას განსაზღვრავს აგრეთვე არქეოლოგიური ძეგლი — სამაროვანი, სადაც მიკვლეულია გვიანდელი ფეოდალური ხანის უინვენტარო ქვაყუთი. ჩვენს ხელთ არსებულ XVIII საუკუნის შუახანების მოსახლეობის აღწერისას დოკუმენტში სოფ. კირბალში დაფიქსირებულია სულ რამოდენიმე მოსახლე, ისიც მხოლოდ ხიზნები. მათ შორის: „კირბალს მთავარეპისკოპოზის ყმა ანა-

ნიაშვილი ზურაბა აზნაური; მარკოზ მღვდელი მეკომლე, თავაძე პეტრუა მეკომლე; ქვენატკოცელი დათაშვილი გიორგი ხიზანი; ქვენატკოცელი პაპიტაშვილი დათუნა ხიზანი; ჯავახი თევდორე ხიზანი. რუსი ქიტესა ხიზანი და პაპანას შვილის ობლები".[286]

1818 წ. კამერალური აღწერით კირბალში ცხოვრობს 25 საბატონო კომლი, რომელიც ამუშავებდა 104 დეს. მიწას, აქედან სათემოს 88 დეს. დანარჩენი მიწები და ყმა-გლეხები ეკუთვნოდა სახელმწიფოს და ეკლესიას.

გვიანდელი ფეოდალური ხანის სოფელია ზერტი, სადაც სადღეისოდ მატერიალური კულტურის ძეგლებიდან დაფიქსირებულია ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ორი ეკლესია. ამათგან ორი XIX საუკუნითაა დათარიღებული, ხოლო ერთი — წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით სასაფლაოზეა აგებული, დათარიღებულია 1839 წლით. მასში ჩატანებული წარწერის მიხედვით ვგებულობთ „ჩყლთ წელსა აღვიშენეთ ეკლესია ესე წმინდა გიორგისა ჩვენ ზერტის მცხოვრებელთ ერთობათა ქართველთა და სომეხ სასაფლაოთა ჩვენის მუშაკობითა შემწეობითა".[287] აქედან გამომდინარე, სოფლის სიძველეც აღნიშნული ძეგლებით დგინდება.

1818 წ. გორის მაზრის სოფლების კამერალური აღწერის მიხედვით, ზერტი საბატონო სოფელია, სადაც მათი 44 კომლი ამუშავებდა 104 დეს. მიწას, აქედან 98 დეს. იყო სათემო, ხოლო მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ცხოვრობდა და შრომობდა სახელმწიფო და საეკლესიო მამულებზე.

გვიანდელი ფეოდალური ხანის სოფელია აგრეთვე დიდი ხურვალეთი, რომლის ბაზარზეც თანდათან წარმოიშვა პატარა და ახალი ხურვალეთი. სხვა, მსგავსი მაგალითებისამებრ მოსახლეობის ბუნებრივმა ზრდამ და სოციალურ-ადმინისტრაციულმა გარემოებებმა წარმოქმნა ორი

---

286 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 255.

287 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 71.

დასახლება-სოფელი. რაც შეეხება ამ სოფლების შედარებით სწრაფად განვითარებას, იგი განაპირობა მისმა მდებარეობამ, რომელიც გამოირჩევა მდიდარი სავარგულებით, სარწყავი წყლით და სხვა ხელშემწყობი ფაქტორებით. ბუნებრივია ასეთი პირობების მქონე სოფლისაკენ ყოველთვის იქნებოდა სწრაფვა, როგორც მთიელი ქართველი გლეხობიდან, ისე სხვა, შედარებით მოუსავლიანი ადგილების მოსახლეობიდან.

გადმოცემით, სახელწოდება — ხურვალეთი მხურვალე-ცხელი ადგილიდანაა წარმოქმნილი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ადგილები, საერთოდ გამოირჩევა ზომიერი კლიმატურ-ბუნებრივი პირობებით, ხოლო რაც შეეხება სოფლის ისტორიულ წარსულს, მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით, რომელიც სოფ. ხურვალეთშია, კვირაცხოვლის ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია, ყველაწმინდის ეკლესია და წმინდა გიორგის ეკლესია, დათარიღებულია გვიანდელი ფეოდალური ხანით.

1930 წ. დიდ ხურვალეთში შეიქმნა „პირველი მაისი“-ს კოლმეურნეობა, რომელშიც გაერთიანდა 39 კომლი 142 სულით; პატარა ხურვალეთში 1930 წ. ჩამოყალიბდა „სტალინის სახელობის“ კოლმეურნეობა 11 კომლით და 23 სულით; ახალ ხურვალეთში 1930 წ. შეიქმნა „ლენინის სკოლ“-ის კოლმეურნეობა, სადაც გაერთიანდა 11 კომლი 26 სულით. 1952 წ. მონაცემებით ახალ ხურვალეთში იყო 14118 კომლი, დიდ ხურვალეთში 1962 წ. 13861 კომლი.

გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება სოფელი სობისი, სადაც ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია: „კვირაცხოვლის ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია და ამავე პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი ე.წ. „სობისი“ — საკარაუდოდ ნასოფლარი. სოფელში მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია ფეოდალური ხანით დათარიღებული ღვთისმშობლის სახელობის ორი ეკლესია.

1818 წ. კამერალური აღწერის მიხედვით სობისი საბატონოს წარმოადგენს, სადაც 14 კომლი ყმა ამუშავებდა 64 დესეტინა მიწას, აქედან სათემო ჩამონაჭერს 48 დესეტინას, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა სახელმწიფო და საეკლესიო მიწებით სარგებლობდა.

მეჯუდის ხეობაში ერთ-ერთი დიდი სოფელია ახრისი, სადაც XX ს. 70-იანი წლებისთვის სახლობდა 750 კომლი. აქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლის — სამების ეკილესიის აგების თარიღით თუ ვიმსჯელებთ, იგი განვითარებული ფეოდალური ხანის დასახლებაა და ამდენად ისტორიული თვალსაზრისით დიდ ყურადღებას არ იმსახურებს. 1818 წ. მონაცემებით, სოფელი საბატონოა, სადაც 28 კომლი ყმა-გლეხი ამუშავებდა 93 დეს. მიწას, აქედან 52 დეს. სათემოს, ხოლო დანარჩენი სახელმწიფო და საეკლესიო მამულით სარგებლობდა.

1928 წ. ახრისში კოლმეურნეობა — „წითელი ვარსკვლავი“ დაარსდა, სადაც 48 ოჯახი, ანუ 91 სული გაერთიანდა. სოფელი მდებარეობს შიდა ქართლის ფრიადნაყოფიერ — ტირიფონის ველზე, სადაც შესაძლებელია ინტენსიური სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების წარმოება როგორიცაა: მევენახეობა, მებაღეობა, მეჭარხლეობა და სხვ.

ტირიფონის ნაყოფიერ ველზე მდებარეობს სოფელი ახალუბანი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1928 წ. დაარსდა კოლმეურნეობა — „წითელი სოფელი“ — კოლმეურნეობაში გაერთიანდა 13 ოჯახი 75 სულით, რომელიც სწრაფად იწყებს აღორძინებას და XX ს. 70-იან წლებში იგი 700 კომლზე მეტ მოსახლეს ითვლიდა. ახალუბანი უახლესი ისტორიის პირმშოა, ანუ XVIII საუკუნის დასახლებაა, რამდენადაც აქ შემორჩენილი ერთადერთი — სამების ეკლესია ამ პერიოდით თარიღდება. 1818 წ. მონაცემებით სოფელი სახაზინოა, სადაც 22 კომლი ამუშავებდა 55 დეს. აქედან ჩამონაჭერს 42 დეს., ხოლო მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი სახელმწიფო და საეკლესიო მიწებით სარგებლობდა.

მეჯუდის ხეობის სოფლებს შორის ისტორიული წარსულით და საერთოდ, კულტურულ-ეკონომიური მემკვიდრეობით გამოირჩევა სოფ. მეჯვრისხევი, რომელიც მდებარეობს მდინარე მეჯუდის ზედა წელის საკმაოდ გაშლილ, დატოტვილ, ოდესღაც ტყე-ჭალიებით შემკობილ ტერიტორიაზე. იგი ძირითადად წარმოდგენილია ორ დასახლებად — დიდ და პატარა მეჯვრისხევად.

სათანადო ისტორიული წყაროების მიხედვით, სოფელი ძველთაგან ერთი დასახლება უნდა ყოფილიყო — სავარაუდოდ დიდი მეჯვრისხევი.

სოფელი მეჯუდის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ხოლო პატარა მეჯვრისხევი მის ქვედა ტერიტორიაზე. პატარა მეჯვრისხევში მდებარეობს ორი ეკლესია: ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის, რომელნიც ნაგებია გვიანდელ ფეოდალურ ხანაში. რაც შეეხება დიდი მეჯვრისხევის ტერიტორიაზე არსებულ მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ოთხი ეკლესია და ერთი სალოცავი ნიში. აღნიშნული ეკლესიები დათარიღებულია გვიანდელი ფეოდალური ხანით. რაც შეეხება სოფლის სახელწოდებას, გადმოცემით იგი მდინარე მეჯუდასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ მეჯვრისხევის ტერიტორიაზე შემორჩენილი ეკლესიები: კვირაცხოვლის, უსანეთის, ღვთისმშობელის ორი ეკლესია და ერთი წმ. გიორგის ნიში, გვიანდელი ფეოდალური ხანითაა დათარიღებული, სოფელი ერთ-ერთ უძველეს დასახლებადაა მიჩნეული. იგივე შეიძლება ითქვას პატარა მეჯვრისხევზე, სადაც ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესიებია შემონახული, ესეც ბრინჯაოს ხანის ნასახლარს წარმოადგენს, რაზეც მეტყველებს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები: ბრინჯაოს ხანის ცულები, საბრძოლო შუბები და სხვა სახის იარაღ-ინვენტარი. როგორც ჩანს, სოფელი ძველთაგანვე, V-VII სს. აქტიურად ყოფილა ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. მისი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება XVI-XVII სს. როდესაც იგი იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საჯაჭრო გზაჯვარედინად. ცნობილია, რომ 1605 წ. საზაფხულოდ აქ მდგარა ქართლის მეფე გიორგი X, რომელიც მოულოდნელად გარდაცვლილა, ხოლო XVIII ს. დასაწყისში ლეკებთან ბრძოლაში დამარცხებული ოსმალთა გარნიზონის სარდალი, გორის ფაშა დაღუპულა. ამავე სოფელთანაა დაკავშირებული გივი ამილახვარის მიერ ლეკთა საბოლოო განდევნა და მშვიდობიანობის დამყარება.

ძველ ნასოფლარზე დგას IX-X საუკუნეებით დათარიღებული ღვთისმშობლის ეკლესია, ხოლო მის შრდილოეთით ღვთისმშობლის მეორე ეკლესია, რომელიც სასაფლაოზეა და გვიანდელი ფეოალური ხანით თარიღდება. ამავე ხანით თარიღდება სოფლის განაპირას მდგარი

კვირაცხოველის ეკლესია, სოფლის ცენტრში უსანეთის ეკლესია, რომელზეც შემორჩენილი წარწერის მიხედვით იგი 1857 წ. ივანე ზაქარიასძე ხატუტაშვილის მიერაა აგებული; მესამე ეკლესია — ღვთისმშობლის დგას ე.წ. „ჩარხის უბანში“ და ესეც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება; წმ. გიორგის ნიში დგას სოფლის აღმოსავლეთით, ფერდობზე, ადგილ „ლომისაზე“ და მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ პერიოდს.

XVIII-XIX სს. მიწურულს მეჯვრისხევი წარმოადგენდა მეჯუდის ხეობის ზემო წელის ყველაზე მდიდარ კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრს, რასაც ადასტურებს ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები. ამ მხრივ აღსანიშნავია თუნდაც სოფლის მეპატრონე ერისთავთა საცხოვრებელი სახლის კომპლექსი, რომელიც XVII-XVIII სს. საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ნაგებობას წარმოადგენს. სოფლის მშვენებას წარმოადგენდა აგრეთვე მირმანოზ ერისთავის XVIII-XIX ციხე-სახლის კომპლექსი, რომელიც მოგვიანებით გადაუკეთებიათ; აქვეა ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას სახლმუზეუმი, რომელიც XIX ს. მშენებლობის შესანიშნავი ნიმუშია და სხვ.

მეჯვრისხევი არ გამოირჩეოდა მარცვლეული კულტურების წარმოებით, რამდენადაც სოფელს არ გააჩნდა ისეთი სახნავ-სათესი ფართობები, რომელიც ამის განვითარების შესაძლებლობას მისცემდა. სამაგიეროდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული მევენახეობისა და მებოსტნეობის დარგები, რომელთაც ამ მხრივ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა მაზრის ეკონომიკაში.

1891 წლის გაზ. „ივერია“-ში მოთავსებული კორესპონდენცია გვამცნობს: „ქართლში სულ რამდენიმე სოფელია ღვინის მიხედვით ნაქები: მეჯვრისხევი, ხიდისთავი, ატენი, მუხრანი, დამპალა და თეზი. მეჯვრისხევში არის მოსახლე, რომელსაც 8-13 დღიურამდე ვენახიც აქვს. აქ 500-მდე კომლია და კომლზე რომ დღევანდელი ვიანგარიშოთ 700-800 დღიური გამოვა კარგი მოსავლისას 5-10 კოკას გაჰყიდის, კოკა თუმანზე ნაკლები არაა. კოკაში 20 ბაზრის თუნგია. ბევრი 40-60 კოკასაც ყიდის და ასსაც. ოთხმეხუთედს ყიდიან. ყიდულობენ ხშირად პურს. სახ-

ნავ-სათესი ცოტაა სულ მებატონეებისა, ან ვიწრო ადგილები, წყალი, ნაკლებია, მწირე ადგილებია, მოსავალი 8-10 კოდამდე მოდის, მოუსავლიანობისას კი 3-4 კოდი".

მეჯვრისხევს თავისი აქტიურობა არ დაუკარგავს რუსეთის რევოლუციების პერიოდშიც. 1905 წ. 20 მარტს აქ თავი უნდა მოეყარათ მახლობელი სოფლების გლეხებს. ბოქაულმა გზები შეკრა და სხვა სოფლის გლეხებს მეჯვრისხევში ჩამოსვლის საშუალება არ მისცა. სოფლის სასაფლაოზე მაინც შეგროვდა ოთხი ათასამდე კაცი. გადაწყდა მოეთხოვათ: დროებითი ვალდებული გლეხების დაუყოვნებლივ გათავისუფლება; გლეხებისთვის ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება, ღალის ერთ მეათედამდე შემცირება, მღვდლის გადასახადის მოსპობა, სახელმწიფოს ხარჯზე სწავლის შემოღება და სხვ. იმავე წლის ორ აპრილს გორის მაზრის პოლიციამ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრა ამ სოფლის ხუთი გლეხი; 1919 წ. 9 ნოემბერს მაზრის აჯანყებულმა გლეხებმა სოფელში შეკრეს გზები, დააპატიმრეს ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურები, გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება., 1921 წ. 18 ოქტომბერს მეჯვრისხევში ჩამოყალიბდა საქართველოში ერთ-ერთი პირველი შრომითი ამხანაგობა „მშველეთი", რომელშიც გაერთიანდა ადგილობრივი თემის გლეხობა. დამფუძნებელ კრებაზე აირჩიეს გამგეობა, მიიღეს წესდება და დაამტკიცეს წევრების სია. 1928 წ. პატარა მეჯვრისხევში დაარსდა კოლმეურნეობა „მომავალი", სადაც გაერთიანდა 18 კომლი 81 სულით; 1930 წ. დიდ მეჯვრისხევში დაარსდა კოლმეურნეობა — „მაგალითი", სადაც გაერთიანდა 158 კომლი 533 სულით. მეჯვრისხევში ფუნქციონირებს მეფრინველეობის ფაბრიკა, აქვე აშენდა ექსპერიმენტალური დასახელება ყველა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით; სოფელშია საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი, ბიბილოთეკა, აფთიაქი, საავადმყოფო და სხვ. სოფელი შედგება რამოდენიმე უბნის — სოფლისგან: მეჯუდის პირი, ჩარხის უბანი, შრომის უბანი, მექვაბიანთ უბანი და ქეციხურა, რომელთა მოსახლეობა ოთხიათას კომლს აღემატება. მეჯუდას მარცხენა ნაპირის მეჯვრისხევის უბნებია: სუხიანთ (სურიანთ), სადაც უმეტესად ცხოვრო-

ბენ შერმადინები და სუხიშვილები; ბეგიანთ უბანი — ბეგაშვილები; ჩარხის უბანი — სარაულები; ძაღლის უბანი; ქეციხურა; ლოლაანთ უბანი; მექვაბიანთ უბანი; მღებრიანთ უბანი; ახალშენი. მეჯუდის მარჯვენა ნაპირას: პატარა მეჯვრისხევი — ცხოვრობენ: ჩიკოიძეები, ძებისაშვილები; მეჯუდისპირში: — მახათაძეები, სუხიშვილები; ყუჯიაშვილებისა და ბუჯიაშვილების უბანი; ზუმბულიძეების უბანი. წისქვილები: ლოლაანთი, ხუროაანთი, ღამბაძეების, ქავთარაძეების, ჩიტიაშვილების, კოჭლაშვილების, აღდგომელაანთი, სახლაძიანთ და ჩამართის; ხელოსნები: მეთუნგეები — ასალაძე, მჭედლების მაზანაშვილი, ნალბანდი: ბეროშვილი, კალაშვილი; დურგალი: კვინიკაძეები, ბიბილაშვილები; კალატოზები: ხარხელი, ძურძუკი; ურმის მკეთებელი: ილურიძე, ჯებირაშვილი, შახნაზაროვი, მეწისქვილე — კოჭლაშვილი და ა.შ.

მეჯუდას ხეობაში მდებარეობს სოფ. აძვი, რომლის მოსახლეობა 450 კომლზე მეტია. ისტორიული წყაროების მიხედვით, XVIII-XIX საუკუნეებში, აძვი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული ადგილია. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ე.წ. „წმინდა მუხას“ ტყეში, შემაღლებულ ბორცვზე მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, ხოლო სოფლის ცენტრში სამების ეკლესია, რომელიც უფრო მოგვიანებით — XIX ს. აგებული. 1929 წ. დაარსდა კოლმეურნეობა „აძურა“, სადაც გაერთიანდა 26 კომლი, 69 სულით.

მდინარე ჭარებულას ხეობის ქვედა წელზე მდებარეობს სოფ. ქიწნისი, რომელსაც მდინარე ყოფს ორ ნაწილად, ძველ და ახალ ქიწნისად. სოფელი შიდა ქართლის გაშლილ, ნაყოფიერ ველზეა გაშენებული და იგი დაფუძნებული უნდა იყოს განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია სამი ნაგებობა, მათ შორის: სამების, ღვთისმშობლისა და ყველაწმინდის ეკლესია. აქედან პირველი სოფლის ცენტრში, მეორე და მესამე სოფლის განაპირას მდებარეობს. ეკლესიები ფეოდალური ხანისაა. ყველაწმინდის ეკლესიის წარწერის მიხედვით აგებულია 1895 წ. 1930 წ. ჩამოყალიბდა სოფ. ქიწნისის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც სულ მალე შეუერთდა ქიწნისის კოლმეურნეობა.

ჭარებულას ხეობის ახლად აღმოცენებულ სოფლებს შორის მოიაზრება ჯარიაშენი, რამდენადაც აქ შემორჩენილი ერთადერთი ისტორიული ძეგლი — წმ. გიორგის ეკლესია XIX საუკუნით თარიღდება. სადღეისოდ კარგად განვითარებული, ეკონომიკურად ძლიერი სოფელია, სადაც ცხოვრობს 450 კომლზე მეტი. ჯარიაშენში კოლმეურნეობა „შრომის გზა“ დაარსდა 1930 წ., სადაც გაერთიანდა 14 კომლი, 38 სულით.

ჭარებულას ზედა წელზე, ჯარიაშენის ზემოთ, მდებარეობს სოფელი ფლავი. ხეობის ამ ტერიტორიაზე განლაგებულია ორი სოფელი — ფლავი და ფლავისმანი, რომელიც მდინარის მიერაა გაყოფილი. ფლავისმანი შედარებით მაღლობზეა შეფენილი, ხოლო ფლავი ვაკე ადგილზე. მათი წარმომავლობა ერთი საერთო ტერიტორიიდან უნდა მომდინარეობს, რამდენადაც აქ აღმოჩენილი უძველესი ნამოსახლარი ორივე სოფლის გასაყარზეა მიკვლეული. თუმცა ნამოსახლარი მეტ-ნაკლებად მაინც ფლავისმანის მიმდებარედ — ზემო უბანში ე.წ. „ბატონის საყდრის“ ტერიტორიაზე მდებარეობს. საყდრის საძირკველთან აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლი-სამაროვანი და ქვაყუთის ნაშთები, რომელიც გვიანდელი ბრინჯაოს — ადრეული ხანითაა დათარიღებული, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ამ ორ სოფელს შორის პირველ დასახლებად ფლავისმანი მივიჩნიოთ. აღნიშნულზე მიგვანიშნებს აგრეთვე აქვე აგებული გვიანდელი ფეოდალური ხანის ნათლისმცემლის ეკლესია. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ორი სოფლის გასაყარზე მდებარე ნათლისმცემლის ეკლესიის მრეველი ორივე სოფელის წარმომადგენელია, რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს მათ ერთ სოფლად წარმოქმნაზე.

ფლავისმანის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ფრიადსაყურადღებოა აგრეთვე ე.წ. ადგილ „გორის გორაზე“ მიკვლეული რამოდენიმე ფენის არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ადრინდელი ბრინჯაოს, გვიანდელი ბრინჯაოს — ადრინდელი რკინის ხანით, ხოლო სამაროვანი — ქვაყუთი სოფლის ცენტრშია აღმოჩენილი და გვიანდელი ბრინჯაოს — ადრინდელი რკინის ხანითაა დათარიღებული. აქვეა აღმოჩენილი იმავე პერიოდის ქვაყუთი.

1930 წ. ფლავში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა – „ფლავი“, სადაც გაერთიანდა 60 კომლი 122 სულით, ხოლო ფლავისმანში იმავე წელს კოლმეურნეობა – „ფლავისმანი“, სადაც გაერთიანდა 108 კომლი 318 სულით. ამჟამად სოფ. ფლავში ცხოვრობს 1300-ზე მეტი კომლი, ხოლო ფლავში ათასზე მეტი.



სამთავისი XI ს.

3. ლეხურას ხეობა

შიდა ქართლის ქვედა სექტორის, მდ. მტკვრის ჩრდილოეთით, ვიდრე მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობით მდებარე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მთა-გორიანი ქვეყნისათვის დამახასიათებელი სამივე ძირითადი ზონით: მთიანი, გარდამავალი — ზეგანი და დაბლობი — გაშლილი ადგილებითაა წარმოდგენილი, მოედინება და ქ. კასპის ქვემოთ ერთვის მტკვარს, ერთ-ერთი წყალუხვი მდინარე — ლეხურა. არცთუ დიდი ხნის წინ მთის მდინარის შესაბამისად, ლეხურა წარმოგვიდგებოდა საკმაოდ ვრცელ და ბუნების სიმშვენიერით შემკობილ მდიდარ ხეობად. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება კიდევ უფრო წყალუხვი მდინარე ქსანი, რომელიც გამოირჩევა აგრეთვე მდიდარი ისტორიული წარსულით. ისე, რომ აღმოსავლეთით — ქსნის, დასავლეთით მეჯუდის ხეობებს შორის მდებარე ლეხურის ხეობა, ოდითგანვე იძენდა, როგორც სტრატეგიულ-პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ მინშვნელობას, რომელზეც გადის საქართველოს ცენტრალური საავტომობილო გზატკეცილი დამაკავშირებელი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის.

ლეხურას ხეობა, ანუ ქართლის ეს მხარე, რომელიც მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზეა გაშლილი, ტერიტორიულად და ადმინისტრაციულად ქ. კასპისა და ახალგორის რაიონებში შედის. ისტორიულად, იგი ქართლის გულის ერთ-ერთი ცენტრალური, უმნიშვნელოვანესი ადგილთაგანია. ხეობა მთავრდება ქ. კასპის ადმინისტრაციული ტერიტორიის სანახებით.

კასპის რაიონი 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთის, დასავლეთით გორის, სამხრეთით — თეთრიწყაროსა და წალკის, ჩრდილო-აღმოსავლეთით — დუშეთისა და ახალგორის რაიონები. რაიონში შედის ერთი საქალაქო საბჭო (კასპის), 16 სოფ. საბჭო (აღაიანი, ახალქალაქი, ახალციხე, გომი, დღესი, ზემო ხანდაკი, კავთისხევი, კოდისწყარო, ლამისყანა, მეტეხი, ოკამი, სამთავისი, ქვ. ჭალა, ყარაღაჯი, წინარეხი, ხოვლე, სულ 71 სოფელი (1980 წ. აღდგა სოფელი გოსტიბე).

ლეხურას ხეობის შესახებ 1887 წ. „ივერია“-ს ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ლეხურამ სახელი მიიღო იქიდან, რომ მის მიმდებარე სოფლებს ერქვათ რეხა და აქედან ლეხურა. ამ ხეობაში თითქმის 1400 კომლი ცხოვრობს. სიგრძე სულ 30 ვერსი. გამომდინარეობს სოფ. ქოლოთის მახლობლად. ხეობაში გაშენებულია 30 პატარა-პატარა სოფელი ოსებისა და ოთხი შუათანა სოფელი ქართველებისა: საკორინთლო, ქვემო ჭალა, სამთავისი და კასპი. ხეობა შედგება 6 სამამასახლისოსგან: წოლდისა, ნირისა, საკორინთლოს, ქვ. ჭალის, სამთავისისა და კასპის. პირველ ორ სამამასახლისოს შეადგენენ ოსები, როგორც მთის ხალხისა ტყეებში პატარ-პატარა გორაკებზე, ტყის ფერდობზე მდინარის ორთავე ნაპირებზე გაშენებულნი. ოსებს ას კომლობით ერთად დასახლება არ უყვართ, როგორც ქართველებს. რომელსამე პატარა გორაკზე 5 ან 10 კომლი უნდა ცხოვრობდეს, ხშირად ერთი გვარისა. ეს გამოწვეული უნდა იყოს უმამულობით. ისინი ხვნა-თესვას მიზდევენ, ამასთან უვენახ-ბოსტნოდ არ დგებიან. ისინი ქართველებისგან იღებენ სანახევროდ და ამუშავებენ. აქ ერთ მდიდარსაც ვერ ნახავთ, საქონელი, ფრინველი და ცხენი ერთ სახლში ცხოვრობენ. აქვთ შუაცეცხლი და კარები ღიად, რადგან კომლი უნდა გაიდეს. არანაკლებ სიცივე შემოდის სანათურებიდანაც. მართალია ზოგიერთი გაჭირვებული ქართველიც ასე ცხოვრობს, მაგრამ იგი ყოველთვის ცდილობს პირობების გაუმჯობესებებს, ოსი კი სულაც არა. მათ აღარიბებთ აგრეთვე ურადი და აღაპი. ასეთი ხარჯი წელიწადში 5-ჯერ მოზდით.

ქართველები ძირითადად ლეხურას მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობენ. საკორინთლო 80 კომლი იქნება. კორინთლები ქსნის ხეობიდანაა ძველადვე. ისინი აზნაურები არიან მირიან მეფის დროს, ხოლო 1625 წ. სვიმონ მეფის დროს ქსნის ერისთავები, მაგრამ მეფე განრისხებულა და მათთვის ეს წოდება წაურთმევია და დარჩნენ აზნაურებად. აქვე თუხარელები — სამცხე-საათაბაგოდან გადმოსულნი და 1469 წ. დავითის მეფობისას დასახლებულან გორის მაზრაში, სოფ. მეტეხში, ქვ. ჭალაში, სადაც 180 კომლია“.

კასპის ადმინისტრაციული რაიონის დიდი ნაწილი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, რომელსაც ჩრდილოეთით აკრავს კავკასიონის მთა-

ვარი ქედის სამხრეთ განშტოება, სამხრეთით-თრიალეთის ქედი, აგრეთვე კვერნაქის ჩრდილოეთ ტირიფონისა და მუხრანის ველების, ვაკეების ნაწილი თავისი მდინარეებით: მტკვარი, ქსანი, ლეხურა, კავთურა, თეძამი. XX ს. 90-იანი წლების მონაცემებით, კასპის რაიონში შემდეგი სამრეწველო ობიექტებია: ცემენტ-შიფერის კომბინატი, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი, კავთისხევის საკარიერო სამმართველო, ქარხანა „ელექტროაპარატი“, კასპის სამეურნეობათშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა, წარმოება „საქცეოლითი“, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, კავთისხევის რკინა-ბეტონის ქარხანა, ღვინისა და უპექტინო ხილის წვენების ქარხნები, ღვინისა და ხილკენკროვანი ღვინოების საწარმო, წვრილი საკედლე ბლოკის საწარმო და სხვ.

კასპის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეჭარხლეობა, სარძევე მეცხოველეობა. აწარმოებენ მარცვლეულს. რაიონში არის 7 საბჭოთა მეურნეობა, 1 სახელმწიფო (კასპის. სატყეო სამონადირეო) მეურნეობა, 7 კოლმეურნეობა. რაიონში მოქმედებს 21 საშუალო, 11 რვაწლიანი, 23 დაწყებითი სკოლა, 19 საბავშვო ბაღი, საღამოს საშუალო სკოლა და ინდუსტრიული ტექნიკუმი, პოლიტექნიკური სასწავლებელი, სამუსიკო სასწავლებელი და სპორტსკოლები; მოქმედებს 28 კლუბი, 7 კულტსახლი, 56 ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ივ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი ხოვლეში, ლამისყანის სოფლის ისტორიის მუზეუმი, გამოდის რაიონული გაზეთი „განთიადი“; ფუნქციონირებს 3 საავადმყოფო, 14 საექიმო უბანი, 16 საფერშლო-საბებიო პუნქტი, რაიონული პოლიკლინიკა, სანეპიდსადგური, ცენტრალური აფთიაქი, 4 ჯანმრთელობის პუნქტი და 5 საუბნო აფთიაქი.

ლეხურის ხეობა, რომელსაც ხშირად რეხულის ხეობასაც უწოდებენ, მდებარეობს შიდა ქართლის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილზე და მოქცეულია იმ ერთიან, მდიდარ მეურნეობრივ-ეკონომიკურ სივრცეში, რომელიც ტირიფონის დიდი ველითაა ცნობილი.

ხეობის არიალი ვრცელდება — ქვედა ნაწილი სოფ. საკორინთლომდე და კასპის რაიონს ეკუთვნის, ხოლო ზედა ნაწილი ქოლოთქვითკირით ახალგორის რაიონს.

საქართველოს სხვა რეგიონების შესაბამისად, საკვლევი ხეობა გამოირჩევა თავისი განუმეორებელი ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებებით, სადაც წარმოდგენილია თვალწარმტაცი გარემო, მდინარის დაკლაკნილი კალაპოტით, პატარ-პატარა შენაკად-ხევებით, კლდოვან-გორაკიანი ადგილებით, სამეურნეო მდელოებით და ამ ერთიან სივრცეში წარმოდგენილი და შერწყმული საფორტიფიკაციო, საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, სოფლები, ეკლესია-მონასტრები, და სხვ.

ხეობის პოლიტიკურ-მეურნეობრივ ყოფას, ისტორიულად განსაზღვრავდა აღმოსავლეთის მხრიდან ერთ-ერთი ძლიერი რეგიონის – ქსნის ხეობასთან სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა, აგრეთვე სამხრეთით მტკვრის მარცხენა აუზის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირი და ბოლოს ჩრდილოეთის მხრიდან დიდი კავკასიონის კალთების ასევე მდიდარი ფლორითა და ფაუნით სარგებლობა. მდ. ლეხურა, სათავეს იღებს ამ მდიდარი გარემოდან, კერძოდ ქოლოთ-ქვითკირისა და ე.წ. მდინარე ცხრაწყაროს აუზიდან, სადც იგი იკრიბება პატარ-პატარა ნაკადულებით და გზადაგზა იერთებს წოლდისა და უსისტყის ანუ ტორტლას ხევებს. თვით სახელწოდება ლეხურა-რეხულას ვახუშტი ბატონიშვილი უკავშირებს დაბა რეხას, რომელიც მეორე სასპასპეტოსა და საამილახვროს აღწერისას წერს: „ხოლო წლევის მთას გასჭრის მდ. რეხულა; ქოლოთ ქვითკირით დის ლეხურა სამხრით, ერთვის კასპს მტკვარს ჩრდილოეთიდამ. კასპი აღაშენა პირველად ქალაქი უფლოს, მცხეთოსის ძემან, და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი, კასპს ზეით, წლევის მთაში, არს მონასტერი მამებას, სტეფან წმიდისა, თათესაგან, ქმნული, დაფლულია წმინდა თათე მუნ, იტყვიან ამის ნაწილის აღმოსვლასა, ვითარცა წმიდის შიოსს, არამედ აწ დეკანოზის მიზეზით დაყენებული: და აწ არს ხუცის სამარ, მას ზეით არს ციხე, სადითგან გამოიყვანეს ოვსთა გორგასლის დაი. ამის ზეით, ხორხებთან, ერთვის რეხულას ხევი უსისტყისა და გამოსდის მხურვალეთის მთას, ამის ზეით არს, რეხულას აღმოსავლით, სამთავისი, ეკლესია დიდი, გუმბათიანი, დიდშვენიერად შენებული. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ქსნისა და ლეხურის ხეობასა. ქმნული არს იგი მამათაგანისა ისიდორისაგან, და დაფლული არს იგი მუნვე. ხოლო სამ-

თავისის ჩრდილოეთ, ჭალას, შენობა დიდი სასახლეთა. ჭალის აღმოსავლით არს ციხე ცხვილოსისა, მთის ძირსა ზედა. და წარივლის მთა ესე ზებეყურამდე და დასავლით უსანეთამდე, და არს ტყიანი და ნადირიანი, ჭალას ზეით არს დაბა რეხი, რომლის გამო იწოდა მდინარე ესე. ამ რეხის აღმოსავლეთით არს მონასტერი ქვაბისმანი, ზის წინამძღვარი".[288]

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სოფელი ჯერ კიდევ XIX-XX სს. მიჯნაზე უკვე ნასოფლარს წარმოადგენდა, თუმცა იგი ვახუშტი ბატონიშვილს რუქაზე სოფ. ლეგმამენის ქვემოთ ნასოფლარად აქვს დაფიქსირებული. ხეობა ძველთაგანვე საკმაოდ დასახლებული ყოფილა და შესაბამისად დიდ ტერიტორიას მოიცავს, რომელის სიგრძე 60 კილომეტრს აღემატება.

ხეობის მეცნიერული მიმართულებით შესწავლა განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის 40-50-იანი წლებიდან, როდესაც ამ ტერიტორიაზე შემთხვევით იქნა აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები, კერძოდ, 1940 წ. ნატახტარ-გორის გზის მშენებლობისას, იგოეთთან წინაისტორიული ხანის კულტურული ფენის აღმოჩენისას სამარხებში ნაპოვნი იქნა სხვადასხვა სახის ინვენტარი, კერძოდ, თიხის შავი ჭურჭელი, ბრინჯაოს შუბისწვერი, ბრინჯაოს ცული, ბრინჯაოს საჭრისი, რკინის ლაგამი და სხვ. აგრეთვე 1944 წ. სოფ. გამღლისწყაროსთან მიმდებარე ტერიტორიაზე მიკვლეული იქნა გვიანი ბრინჯაოს და ადრინდელი რკინის ხანის იარაღ-ინვენტარი, რომელიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. მომდევნო პერიოდში, კერძოდ 1962 წ. ამავე ხანის სამარხებში იქნა აღმოჩენილი კასპში, სოფ. საქადაგიანოს მიდამოებში და ა.შ.

ჩანს, რომ წინაისტორიული ხანიდან მოყოლებული, ლეხურის ხეობა განსაკუთრებით კი მისი ქვედა ნაწილი საკმაოდ დასახლებული ყოფილა, რომლის პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა თანდათან კიდევ უფრო გაზრდილა, რაც კასპის, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადმინისტრაციულ ობიექტად ჩამოყალიბებაშიც გამოიხატა.

---

288 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 72.

ლეხურის ხეობის შესახებ წერილობითი ისტორიული წყაროებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ლეონტი მროველის ცნობები, რომელიც ასახავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან მეხუთე საუკუნემდე. აღნიშნული ცნობების მიხედვით, კასპი აშენებულია მითიური უფლოსის მიერ, რომელიც წერს: „ხოლო უფლოსს დარჩა სოფელსა მამისა მათსა მცხეთოსისა მცხეთას, და ამან აღაშენა უფლისციხე, ურბნისი, კასპი“.[289]

როგორც ჩანს, კასპი და საერთოდ ეს მხარე უძველესი დროიდანვე იძენდა აქტიურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხასიათს და შემდგომშიც, როდესაც საქართველოში თანდათან ინერგება ქრისტიანული მოძღვრების იდეოლოგია, სწორეთ აქ — ქართლში, კერძოდ კასპის სანახებში, პირველ ქრისტიანულ მეფეს, მირიანს გადმოცემის თანახმად მზე დაუბნელდა: „ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხრანისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ. განვიდა თხემსა მთისასა. შუა-სამხრისა ოდენ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი, უკუნი, და დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი. და განაბნივეს ურთიერთას ჭირისაგან და ურვისა“.[290]

ისტორიული წყაროების მიხედვით, მომდევნო პერიოდებშიც მნიშვნელოვნად იზრდება ლეხურის ხეობისა და საერთოდ რეგიონის პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა, რაზეც მეტყველებდა აგრეთვე ის ფაქტი, რომ სწორეთ აქ — კასპში მჯდარა სპასალარი და აქედან მეთვალყურეობდა მთლიანად ხეობის დაცვას სხვადასხვა შემოსევებისაგან. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა მეფე ვახტანგ გორგასლის დროს, როდესაც ოსებმა ჩრდილოეთის მხრიდან ლეხურის ხეობით იწყეს ქართლის მოოხრება. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია რომ კასპს, სადაც სპასალარი იჯდა და სტრატეგიულად ლეხურა-მტკვრის შესართავზე მდებარე ქალაქი დიდ პოლიტიკურ საყრდენად იქცა. აღნიშნულზე ისიც მეტყველებს, რომ კასპის სპასალარის პოლიტიკური გავლენა იმდენად გაზრდილა, რომ ვახტანგის მამა მირდა-

289 ქარტლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 10.
290 იქვე, გვ. 109.

ტისაგან მას გასაზრდელად მოუთხოვია მისი ასული მირანდუხტ. „და დაჯდა მეფედ მის წილ ძე (არჩილის) მისი მირდატ. და მეფობდა იგი, ვითარცა მამა მისი, დიდსა სარწმუნეობისა შინა. მიუდგა დედოფალი საგდუხტ და შვა ასული, და უწოდა სახელი მისი სუარანძე. კუალად ევედრებოდეს ღმერთსა მეფე მირდატ და დედოფალი საგდუხტ, რათა მისცეს ძე. და შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიუდგა შვა ძე, და უწოდა სახელი მისი სპარსულად ვარან-ხუასრო-თანგ, ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ და შემდგომად ამისა მოხადა მეფემან ყოველთა წარჩინებულთა ქალაქად; და დღეთა მრავალთა იყო პურობა და განცხრომა

მოითხოვა მეფისგან საზრდოდ სპასპეტმა ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღზარდიან. შემდგომად ამისსა, მექვსესა წელსა, შვა საგდუხტ ასული სხუა, და უწოდა სახელი მისი მირანდუხტ. და მოითხოვა იგი საზრდოდ სპასალარმან კასპისამან, და მისცა იგი მეფემან; და წარიყვანა იგი ქალაქად კასპისა, და იზრდებოდა მუნ. შემდგომად ამისსა, წელსა მეორესა, მოკუდა მეფე მირდატ; და დარჩა ვახტანგ შვიდისა წლისა ყრმა“.[291]

საქართველოს ისტორიაში ეს ის პერიოდია, როდესაც ჩრდილოეთიდან გააქტიურებას იწყებს ოსთა შემოსევები და როდესაც სხვა გადმოსასვლელებთან ერთად ლეხურას ხეობის გამაგრებაც ერთერთ მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, კასპის მისადგომებთან როგორც მთავარ სტრატეგიულ ადგილზე აუგიათ ე.წ. „კლდემაღალას ციხე“. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში ოსთა გააქტიურებას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობდა ისიც, რომ მეფე ვახტანგ გორგასალი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო. მატიანე იტყობინება: „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდმოვიდეს ოვსნი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოხრნეს ველნი არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს. თვინიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაი ვახტანგისი მირანდუხტ, სამისწლის ქალი. რომელი დაურჩეს

[291] ქართლის ცხოვრება, ტ. I., თბ., 1955, გვ. 143.

წარუტყევნელად ხევნი ქართლისნი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი, ჩაელეს რანისა და მოვაკანისა, წარტყუენეს იგიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თვით გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი".[292]

ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ირგვლივ, ხალხში უამრავი თქმულება და წერილობითი მტკიცებულებაა, სადაც კარგადაა ასახული ამ უძლეველი მეფის საგმირო საქმენი. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე ეპიზოდის გახსენება, რამდენადაც იგი უშუალოდ უკავშირდება საკვლევი რეგიონის ისტორიულ პროცესებს. ის ფაქტი, რომ ვახტანგმა თხუთმეტი წლის ასაკიდანვე გაითქვა სახელი, როგორც ქვეყნის მომავალმა ძლიერმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და მოიპოვა არაერთი გამარჯვება, მეტყველებს მის არა მარტო ძლიერ ფიზიკურ აღნაგობაზე, არამედ სულიერ და ზნეობრივ სიძლიერეზეც.

ქართლის ცხოვრების მემატიანე ჯუანშერი, რომელიც აღწერს საქართველოს ისტორიას V-VII სს. კერძოდ, „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა", წერს: „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა, იწყო ზრახვად ხმითა მაღლითა და თქუა: ისმინეთ ხმისა ჩემისა; დაღაცათუ ყრმა ვარ და არა გინახავს ჩემგან კეთილი, მამათა კულა ჩემთაგან გინახვან დიდნი კეთილნი და დიდებანი თქუენ, რომელნი დადგინებულ ხართ მთავრობასა ზედა და არა დავითმინო კიცხევა ოვსთა, არამედ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, სამებისა ერთარსებისა დაუსაბამოსათა, და წარმძღვანებითა ჯუარისა მის პატიოსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღუარად და საჭურველად გულთა მოსავთა მისთა, და ვიძიოთ შური ოვსთა ზედა, და დაამტკიცეს ლაშქრობა ოვსეთისა" „წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთსა, და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი (ოთხმოცდაათი) (ათასი) მხედარი, და წარმართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარი დარიალანისა, შესლვასა მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა თექუსმეტისა".[293] და როდესაც დარიალის ხეობაში მდინარის გაღმა ოსეთის სპა

---

[292] ქართლის ცხოვრება, ტ. I., თბ., 1955, გვ. 146.
[293] იქვე, გვ. 153.

და გამოლმა (ქართლის არაგვი — თერგი) ვახტანგის ჯარი, შვიდი დღის მანძილზე მიმდინარეობდა „ბრძოლა ბუმბერაზთა მდინარესა მას ზედა“, ოსთაგან გამოეყო ერთი გოლიათი სახელით თარხან, ხაზარი“, რომელმაც მიმართა ქართველთა ლაშქარს რათა მათგან გამოსულიყო ყველაზე უძლიერესი ჩემთან საბრძოლველად-ო. და რომ მასთან გავიდა საბრძოლველად უძლიერესი ფარსმან-ფარუხი, რომელიც დამარცხდა. ამით „დაჭმუნდა ვახტანგ და მისი სპანი“-ო. „ვითარ გათენდა, კუალად შთამოვიდა თარხან კიდესა მდინარესა, აყუედრებდა კუალად, და ითხოვდა მუქარასა, და არავინ იპოვა სპათა შორის ვახტანგისთა ბრძოლი მისი. მაშინ ვახტანგიმ რქუა სპათა თჳსთა: „არა მინდობილ ვარ ძალისა ჩემისად და სიმხნისა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმრთისა დაუსაბამოსათა, სამებისა ერთარსებისა ყოვლისა დამბადებელი. სათა განვალ თჳითბრძოლად თარხანისა. მაშინ განკვირდეს წარჩინებულნი იგი, აყენებდეს ვახტანგს და მრავალღონედ ზრახვიდეს, რათამცა დააყენეს ბრძოლისაგან. რამეთუ ყრმა იყო ვახტანგ, და არა იცოდეს გამოცდილება მისი“. თუმცა ჭაბუკი ვახტანგი მაინც შეება ოსთა თარხანს და განგმირა იგი, რის შემდეგაც, მეორე დღეს ოსთაგან გამოვიდა ბუმბერაზი სახელით ბაყათარ და გამოიწვია მეფე ვახტანგი საბრძოლად. „ვახტანგ სიფიცხლითა თუალთათა, და სიმახვილითა გონებისათა, და სიკისკასითა ტაიჭისა მისისათა ირიდებდა ისარსა“. თუმცა, ერთი ისარი, რომელიც ვახტანგის ფარს მოხვდა ვერ გაატანა, ხოლო ბაყათარის მეორე ნასროლმა ისარმა ვახტანგის ცხენი განგმირა. მაგრამ ვიდრე მისი ცხენი დაეცემოდა, იგი „მიუხდა ზედა და უხეთქნა ხმალი მხარსა ბაყათარისსა, და ჩაჰკვეთა ვიდრე გულამდე“. მაშინ დაეცა ცხენი ვახტანგისა და უმალ შეიპყრო ცხენი ბაყათარისა-ო“.[294] ვახტანგმა დაიმორჩილა „ოვსნი და ყივჩაღნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდეთ“. აქვე ააშენა გოდოლი-ციხე მაღალი და ჩააყენა „მახლობელნი იგი მთეულნი“ და ამიერიდან ოსთა და ყივჩაღთა მშვიდობიანი მიმოსვლა საქართველოში მხოლოდ მეფის ნებაზე იყო დამოკიდებული. ამასთან, დაზავების შემდეგ, ოსეთმა ვახტანგის დის ტყვეობიდან განთავისუფლებისათვის მეფეს შესთავაზეს ოცდაათი ათასი ტყვის განთავისუფლება „და მისცა ვახტანგ

[294] იქვე, გვ. 148-153.

ოცდათი ათასი ტყვე დისა მისისათვს, და ესე მოიყვანა".[295] ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში აღმავლობით იწყება სამხედრო-პოლიტიკური, სამოქალაქო-საეკლესიო და კულტურული მშენებლობა. ისე, რომ ვახტანგის მოღვაწეობის საქართველო, ძლიერ პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრებით გამოირჩეოდა, რომელსაც შემდგომში არაბთა დაუნდობელი შემოსევები აბრკოლებს. ამ მძიმე ვითარებაში, საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, (VII-VIII სს.) დიდი ზიანი მიადგა ლეხურის ხეობასაც, ხოლო ქალაქი კასპი მურვან-ყრუს განსაკუთრებით გაუნადგურებია. არაბების მიერ კასპის აოხრების შემდეგ, მის სპასალარს-გამგებელს ხელახალი შემოსევების შიშით, რეზიდენცია ხეობის სოფელ რეხა-სხვილოში გადაუტანია. 842 წ. სწორეთ რეხაში მომხდარა ერთ-ერთი შეტაკება თბილისის ამირა საჰაკსა და მოჰამედს შორის. ჩანს, რომ ლეხურას ხეობაში არაბები საკმაოდ ღრმად შეჭრილან და რეხაში როგორც ერთ-ერთ სტრატეგიულ ადგილზე გაუმართაეს ბრძოლა.

ამ პერიოდისათვის რეხას ტერიტორია წარმოადგენდა არა ამრტო კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს, არამედ ხეობის შემოსევებისგან დამცავ სიმაგრესაც სხვილოს დიდგალავნიანი ციხის სახით. სხვილოსელი დიდგვარიანები და მეციხოვნენი სხვადასხვა დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის დაცვასა და პოლიტიკურ საქმიანობებში. ამ მიმართებით საყურადღებოა დაჩი და ივანე სხვილოსანთა – სხვილოსელთა მოღვაწეობის შესახებ, რომელნიც 957 წ. მიემხრნენ კახთა მეფეს კვირიკეს აფხაზთა მეფე გიორგი კონსტანტინესძის წინააღმდეგ ბრძოლაში. „წარვიდა მეფე აფხაზეთად, და შევიდა კვირიკე ბოჭორმას; ეკაზმოდა და ლამოდა შემდგომად აღვსებისა წარსვლასა. მაშინ შეეზარნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კვირიკეს. დაუწყეს ბრძოლას ციხეთა, და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი

[295] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 151.

ყოველნი,; დაარღვნეს შურის-ციხე და ლოწობანთა, და კუალად ეუფლა კვირიკე მამულსა თვსსა“.[296]

როგორც ცნობილია, არაბთა ბატონობის მთელი სისასტიკე მძიმედ შიდა ქართლის ტერიტორიას აწვებოდა, ხოლო განაპირა მხარეებში შედარებით სიმშვიდე სუფევდა. აქედან გამომდინარე, ამ რეგიონებში ცხოვრება და კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობა შესაბამისად წინაურდებოდა კიდეც. ამ რთულ პოლიტიკურ პირობებში, კერძოდ VIII-IX სს. გასაყარზე იქმნებოდა ახალი, მსხვილი ფეოდალური სამეფო-სამთავროები, რომელთა შორის მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისათვის და პარალელურად მიწების გაერთიანებისათვის, რაც გამოიხატებოდა „ქართლსა ზედა“ ე.ი. ქართლის დაუფლებაში. ყოველივე აღნიშნული, ბუნებრივია არაბებთან ერთად ურთიერთ დაპირისპირებაც ხელს უშლიდა ქართლის კონსოლიდაციას. აქედან გამომდინარე, არაბთა ბატონობის შემდეგ (IX ს. II ნახ.) ქართლში ფაქტობრივად ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი პოლიტიკური ხელისუფლება და ქართლის აზნაურები თავისუფლად განაგებდნენ ქვეყანას. თუმცა მაშთორის X ს-ში მეწინაველ იყო ჩამოყალიბებული ტბელთა გვარი, რომელიც „ქართლის უფროსად“ ითვლებოდა. ყოველივე ამის შედეგად, 904 წ. აფხაზთა მეფე კონსტანტინე იპყრობს უფლისციხეს და „ყოველ ქართლს“ და ივანე ტბელი მის ვასალად, ერისთავად ხდება, ხოლო გიორგი აფხაზთა მეფის ძე კონსტანტი „ქართლის გამგებლად“ იწოდება, რომლის რეზიდენცია უფლისციხეა. ისე, რომ ამ პერიოდისათვის (X-XI სს.) უფლისციხე შიდა ქართლის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა, რომელმაც განაპირობა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოქმნილიყო ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე მეორე „ქვეყანა“ რატი ბაღვაშის საერისთაოს სახით, ცენტრით ატენში. ჩანს, რომ იმდროინდელი საქართველო მნიშვნელოვანი განვითარებული ეროვნული თვითშეგნებით გამოირჩეოდა.

როგორც ცნობილია, საქართველოს ერთიან მონარქიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება დასრულდა უცხო დამპყრობლებისაგან ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ დავით აღმაშენებლის დროს, რის სიმბოლოდაც 1122 წელს ქ. თბილისის აღება და მისი ერთიანი საქართველოს

[296] იქვე, გვ. 269.

დედაქალაქად გადაქცევა გახდა. XIII ს. შუა ხანებიდან ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება ქვეითდება, რაც განპირობებული იყო განუწყვეტელი შემოსევებით (ხორაზმ შაჰის ჯალალ-ედ-დინის, მონღოლი ურდოები), რომელთაც ხანგრძლივად დაამყარეს თავიანთი ბატონობა, რაც საბოლოოდ გააჩანაგა თემურ-ლენგმა, რომელმაც რვაგზის ილაშქრა საქართველოში (XIV-XV სს.) ისე, რომ XV ს. ბოლოს, ერთიანი ფეოდალური საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ.

რაც შეეხება შიდა ქართლს, ქართლის საერისთაოს დაშლის შედეგად წარმოიქმნა: ქსნის საერისთავო (XIII ს.), არაგვის საერისთავო (XIV ს.), საციციანო (XIV ს. ბოლოს), საამილახვრო (XV ს.), საჯავახო (XV ს.), სამაჩაბლო (XV ს.), სამუხრანბატონო (XVI ს.). ამასთან, XVII ს. მსხვილ სათავადოთა გვერდით შიდა ქართლში ჩანან თორმეტამდე გვარის სათავადოები.

ლეხურას ხეობა ისტორიულად შედიოდა ჯერ ქართლის საერისთაოში, ხოლო შემდეგ გორის სამოურაოში, რომელიც თემურ ლენგის შემოსევებით აოხრებული ხეობა ზედგინიძეთა — ამილახვრის სამფლობელოში გადადის. ამ შემოსევების შედეგად (XIII-XIV სს.), საქართველო ძალზე დაზარალდა, რასაც მოჰყვა ახალი მტრის გამოჩენა თურქოსმალების სახით, კერძოდ 1453 წ. როდესაც აიღეს კონსტანტინეპოლი და ხელში ჩაიგდეს მთელი შავი ზღვის სანაპირო. ამ მოვლენით საქართველოს მეფე-მთავრები, რომლებიც ურთიერთშორის იყვნენ დაპირისპირებული, ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. აქედან გამომდინარე, მეფე გიორგი VIII სამეფოს მთლიანობის დასაცავად ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა (1446-1465 წწ.). აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლებში მეფეს გვერდში დაუდგა ქართლის დიდებული აზნაური ზედგინიძე. ამ ერთგულების სანაცვლოდ მეფემ მის შთამომავლობას უბოძა ამილახვრობა და მიუღია სასაფლაოდ სამთავისის ტაძარი, რომელიც ლეხურისა და ქსნის ხეობების სამწყსოს ფლობდა. შემდგომში იგი გადასულა მათ (ზედგინიძე-ამილახვართა) მფლობელობაში და სხვილო რეზიდენციადაც კი აქციეს. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არ არის გვარი, განა წესი მეჯინიბეთუხ-

უცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი".[297]

შემდგომში საამილახვრომ მოიცვა თითქმის მთელი შიდა ქართლი ლეხურა-მეჯუდიდან დაწყებული ვიდრე ზემო ქართლის საზღვრამდე ანუ ბორჯომის ხეობამდე. აქვე უნდა ითქვას, რომ შაჰ აბაზმა (XVI ს.) შესძლო არა ერთი განდგომილი და მოღალატე ქართველი ფეოდალის გამაჰმადიანება, რომელთა შორის იყო ანდუყაფარ ამილახვარი (სიყრმიდანვე შაჰის კარზე იზრდებოდა და ცოლად ყავდა შაჰის შვილიშვილი), იძულებით დატოვა სხვილოს საგვარეულო ციხე-დარბაზი და ქვემო ჭალაში სპარსული ფორმის ციხე-დარბაზში გადასახლდა. ამასთან ერთად, XVIII ს. ამილახვართა შორის თავისი მამულებით ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გივი ამილახვარმა, რომელიც 1752 წ. თბილისის მოურავად იქნა დანიშნული.

ცნობილია, რომ ამილახორი, ამირახორი, ამილახვარი — არაბულად „ამირ-ახურ" — ნიშნავდა საჯინიბოს ამირას და ის იყო გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის სამხედრო უწყების მოხელე, ანუ ამირსპასალარის თანაშემწე, სავაზიროს წევრი სათათბირო ხმით.[298] იმ დროს, როდესაც საქართველოს სამეფო დიაშალა და წარმოიქმნა ცალკეული სათავადოები, ქართლში ერთ-ერთი მსხვილი სათავადოს უფროსი ამილახვარი გახდა.

როდესაც XV საუკუნეში, ქართლის სამეფოში წარმოიშვა ოთხი სადროშო: მეწინავე (სომხითი — საორბელო), მემარჯვენე (ზემო ქართლი), მემარცხენე (სამუხრანბატონო, ქსნის და არაგვის საერისთავოები), მეუკანავე (მეფის სადროშო), ამილახვარი, ანუ ზევდგინიძეთა აღზევებული გვარის წარმომადგენელი ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და ამავე დროს, როგორც წესი გორის მოურავიც იყო, ხოლო რაც შეეხება ზევდგინიძეთა გვარის აღზევებას, იგი XIV ს. დაიწყო, როდესაც ზევდგინიძების გვარმა მეფისადმი არაერთხელ გამოიჩინა ერთგულება; მათშორის მეფე გიორგი VII სიცოცხლის ხელყოფისას. ზევდგინიძეთაგან

---

297 ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 24.

298 ე. მამისთვალაშვილი, ამილახერები, გორი, 1996, გვ. 3.

პირველი აღზევდა იოთამი, რომელმაც გიორგი მეფე სიკვდილს გადაარჩინა და სანაცვლოდ მის ძეს უბოძა მამული, სპასპეტობა ქართლისა და მოურაობა გორისა „ხოლო ამის შემდგომად ეპყრა და განაგებდა მეფე გიორგი ქართლსა, სომხითსა და ჰერ-კახთა. მაშინ მოიყვანა ძე იოთამისა, მიუბოძა მას ცხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მიუბოძა გორისა და სასაფლაო სამთავისი და კარისა თვისისა ამილახორობა მსახურობისათჳს მამისა მისისა, ვითარცა აჩენენ გუჯარნი მათნი“.[299]

ამიერიდან, საამილახორო გახდა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სათავადო, რომელიც ფლობდა თითქმის მთელ შიდა ქართლს ლეხურამეჯუდიდან ბორჯომის ხეობამდე. რამდენადაც ზემო ქართლის სადროშოს ცენტრს გორი წარმოადგენდა, ხოლო გორის მოურავი ამილახვარი იყო. ამდენად, იგი ქართლის ეს ვრცელი ტერიტორია, კერძოდ დღევანდელი გორის, კასპის, ახალგორის, ცხინვალის, ჯავის, ზნაურის, ხაშურის, ქარელის, ხარაგაულის, ბორჯომისა და ახალციხის გარკვეული ადგილების გამგებლად ითვლებოდა.

ამის შესახებ, ვახუშტი ბატონიშვილი, მეორე სასასპეტოსა და საამილახვროს აღწერისას გვამცნობს: „ვიწყებთ მეორეს სასასპეტოს, მემარჯვენეს, შიდა ქართლის ნაკუეთსა, რომელი არს აწის ზემოქართლი.ხოლო საზღვარი ამისი არს: „კასპიდამ წარსრული ჩრდილოს მისრული ქსნის კიდემდე და ბოლომდე; სამხრით მდინარე მტკუარი; და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქითი მთა კოლბეურისა ჩრდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწო-კუდარომდე ხეფნის ხევსა და ამაშუკეთს შუა ვერტყვილამდე: ვერტყვილიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ჭუაბამდე მსხვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკურიანის მთამდე ...“[300]

მდინარე ლეხურას ხეობის აუზის მოსახელობის განლაგება, როგორც ითქვა ისტორიულად იწყება ქ. კასპიდან და მთავრდება ვიდრე ქოლოთ-ქვითკირით. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის მიხედვით (XVIII ს.), ჯერ კიდევ შემონახული იყო აქაური სოფლებისა და ნასოფლარების გარკვეული სახელები, რომელნიც უმთავრესად მდინარის მიმდებარე ტე-

---

299 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 288.
300 იქვე, გვ. 364.

რიტორიებზე ყოფილა განლაგებული. ამ აღწერის მიხედვით, თანმიმდევრულადაა მოხსენიებული: 1. კასპი, 2. მთავარანგელოზი (ნასოფლარი), 3. იგოეთი, 4. ფუნგისი (ნასოფლარი), 5. გერისხევი (ნასოფლარი), 6. ძეძვნარი (ნასოფლარი), 7. კოდისწყარო, 8. ორჭოსანი, 9. ყურია, 10. უსისტყე (ნასოფლარი), 11. მზურვალეთი, 12. სამთავისი, 13. სხვილო (ნასოფლარი), 14. ბენისი, 15. ჭალა, 16. ახალქალაქი (ნასოფლარი), 17. ლეგბაშენი, 18. რეხა (ნასოფლარი), 19. აბრევი, 20. ტბეთი, 21. ცხინურისი, 22. ლელოვანი, 23. წირი, 24. წუბენი, 25. წოლდი, 26. ზახორი, 27. ხანდოეთი, 28. არმაზი,[301] ანუ ვახუშტის მიერ სოფლების ჩამონათვალში 8 ნასოფლარადაა მოხსენიებული, რომელთაგან XX ს. შუახანებისთვის სავარაუდოდ დაფიქსირებულია, რომ მაგალითად, ნასოფლარი გერისხევი თავისი მდებარეობით უნდა იყოს დღევანდელი გამდლისწყარო, უსისტყე – რუსის ტყე, სადაც ყვავის საყდრის ნანგრევებია შემორჩენილი, ძეძვნარის ადგილას ახლა ოსების პატარა სოფელი ყარაფისა გაშენებულა და ა.შ.[302] ამავე ხეობის აუზში განიხილება დღევანდელი სოფლები: ოკამი, თეზი, ლამისყანა, ხეითი, პანტიანი, ვაკე, გორაკა, ქვ. ჭალა, ახალშენი, საკორინთლო, ჩობალაური, ნიგოზა, რენე, ქვ. რენე და არაერთი ნასოფლარი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ვახუშტი სოფლების აღწერისას კი არ აკონკრეტებს ხეობას, არამედ მათ ქართლის რეგიონში განიხილავს.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ექსკურსი გვიჩვენებს, რომ ლეხურას ხეობის აუზი, ისტორიის გარკვეულ პერიოდებში შესაბამისი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, განიცდიდა მოსახლეობის მიგრაციულ-ემიგრაციულ პროცესებს. აღსანიშნავია, რომ ლეხურას ხეობაში, კერძოდ კასპის ჩრდილოეთით, სადაც ე.წ. „მამების“ მონასტერია, თავდაპირველად აქ მოღვაწეობდნენ თათე და ისიდორე ასურელი მამები (VI ს. II ნახ.), რომელნიც საქართველოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად იყვნენ მოსულნი. ათცამეტი მამათაგანი, კერძოდ, თათე მოღვაწეობდა და სახლობდა „მამების“ მონასტერში (კასპთან), ხოლო ისიდორე სამთავისში, რომელიც შემდგომში ხეობის ერთ-ერთ ძლიერ კულტურულ-სასულიერო

[301] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 201.
[302] ს. მაკალათია, ლეხურის ხეობა, თბ., 1964, გვ. 11.

ცენტრად იქცა. სწორეთ, ამის საფუძველზე XI ს. აქ აშენდა საყოველთაოდ ცნობილი ტაძარი — სამთავისი, რომლის საეპისკოპოსოშიც შედიოდა არა მარტო ლეხურის, არამედ ქსნის ხეობაც. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 506 წ. როდესაც ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა, გაერთიანებულ საეკლესიო კრებას საქართველოდან დასწრებია 24 ეპისკოპოსი, მათშორის იყო და ამ დოკუმენტს ხელს აწერს სამთავნელი ეპისკოპოსიც.[303] ისე, რომ აქედან მოყოლებული, მთლიანად, საქართველოს აღზევებასთან ერთად, საკვლევი რეგიონიც განსაკუთრებულად იწყებს განვითარებას და იშუშებს იმ ჭრილობებს, რომელიც წინა საუკუნეებში გადახდა. როგორც შემდგომშიც განვიხილავთ, სხვილოს ისტორია უშუალოდაა დაკავშირებული ზედგინისძეთა აღზევებასთან და შემდგომში ამილახორთა იგივე საფეოდალოსთან. ისტორიული წყაროების მიხედვით, ზედგინიძეთა დაწინაურება მომხდარა გიორგი მეფის დროს, რომელიც კარგადაა ასახული „ამილახვრების საჩივრის წიგნში“, სადაც ვკითხულობთ: „ოდეს გიორგი მეფე ოსეთით მოვიდა სხუილოსი ამოწყვეტილი დახვდეს ორნი ქალნი დახუდეს სხუილოსელთა, ერთი კოჭლი ... (გიორგი მეფე) მან ასრე უბრძანა: კოჭლსა ქალსა ვინც შეირავთ, ამა სხუილოსურსა მამულსა მოგცემ, ის კოჭლი შეირთო ზევდგინიძემან და უბოძა სხუილოსური მამული. გამოხდა დიდი ხანი და გაილაშქრა გიორგი მეფემან თათართა. აქ ჩემი გუარის კაცი ოცდაცხრანი და ოცნეს და ერთი ხელთა დაირჩუნეს. და ათაბაგსა აღბუღას თათარნი მოუხდეს. ერთი თავადი თათარი დარჩა ხელთა და ის ჩემიგუარის კაცი იმითი დაიხსნა დიდმა აღბუღა. გაუშვა და იმავე მკუიდრსა მამულზედა მოვიდა, და ქართველნი ერთობ დაღონებულნი იყუნეს. წავიდა გიორგი მეფე და აღბუღას შეხუეწა. გამოარჩივეს ერთი უშვილო კაცი, უთხრეს: „მეფე ხელთა შევიპყრათ და ქართლი ჩუენ დაგურჩებისო“. ჭუკას გუარის კაცმან ჩემსა გუარისა კაცსა გაანდო. იმან მეფესა არ დაუმალა. უთხრა მეფესა: დასტურად გუიღალატებენო. ღამეს, რომელსა უღალატებდეს, მეფის საგებელში ის ჩუენი გუარის კაცი დაწვა და მეფე წავიდა. მოვიდეს და ჩემი გუარის კაცი დაირჩუნეს და მწოვედ დაკოდეს და სიკუდილსა ულამოდეს და როგორაც ეს იცნეს, რომ ზევდგინიძე არისო, აღარ

[303] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1951 გვ. 302.

მოკლეს. მოვიდა ამავე ჩუენსა დიდსა მამულზედა და უბოძა მეფემან ნასისხლად მღუიმე მისითა შესავლითა სასაფლაო. ახალციხე, სამოცი კუამლი ესახლა. და ხუთი დახატული ჩარდახი მოწყობილი უბოძა სისხლად ...ნის მამისა და თაყა მამისასშვილი, თაყას შვილნი ავთანდილ და ჯანიბეგ".[304]

ამგვარად, ზევდგინიძეებმა, თავდაპირველად, მსხვილოელი მიწა-წყალი-მამული მიიღეს და ამიერიდან (XIV ს.) ისინი ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთ საშვილიშვილოების გაფართოებას, რაც ფეოდალური პერიოდისათვის ბუნებრივი პროცესი იყო. ამის ნათელი დასტურია 1439 წ. ფაქტიც, როდესაც ზევდგინიძეების ხელში გადადის კასპი, იგოეთი, ნადარბაზევი, გომი, ხოლო 1477 წლის მონაცემებით მათვე გააჩნიათ ყმა-მამულები მცხეთას, კარსანს, ჯვარს, ძაგნაკორნას, ახატანს, ხატისწობენს.[305] თუმცა იყო პერიოდები, როდესაც მათივე მამულები, სხვადასხვა გარემოებათა გამო ერთახნს მცირდებოდა, ხოლო შემდგომ ისევ იბრუნებდნენ და ა.შ. ასე მომხდარა თუნდაც ვახტანგ IV (1442-1446 წწ.), გიორგი IX (1446-1476 წწ.), სიმონ I (1508-1601 წ.) მეფობის დროს და ა.შ.

საამილახვრო თავის ძალების უმაღლეს მწვერვალს აღწევს XVII საუკუნეში. ამ პერიოდის ამსახველი მასალები კარგადაა შემორჩენილი ამილახვართა დავთრებში, სადაც ჩამოთვლილია მათდამი დაქვემდებარებაში მყოფი სოფლები და ყმა-მამულები. ამ პერიოდისათვის ამილახვრების სათავადოში ირიცხებოდა 872 კომლი, 57 სოფელი და ქალაქი გორი. ხოლო რაც შეეხება მომდევნო საუკუნის მონაცემებს, საამილახვროს სამფლობელო რამდენადმე მცირდება. იგი თითქმის განახევრებულია და შეადგენს 379 კომლ გლეხს, 29 სოფელს, ერთ ქალაქს (გორი) და ორ დაბას (ცხინვალი, კასპი). ამასთან უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში, ქართლის სათავადოთა საზღვრების ამსახველი ზუსტი მონაცემები ფაქტობრივად არ გაგვაჩნია, თუმცა სხვადასხვა სახის წყაროების მიხედვით,

---

[304] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, I, 1937, გვ. 39-40; ჯ. გვასალია, დას. ნაშრომი, გვ. 88.

[305] საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 9-10.

ისინი გარკვეულ პერიოდებში შესამჩნევ ცვლილებებს განიცდიდა. ის კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გვიანდელი საამილახვროს ტერიტორია ადრეულ საუკუნეებში უფლისციხის ქვეყანას შეადგენდა, სადაც შემდგომში გაერთიანდა ანტიკური ხანის კასპის ქვეყანა და ადრეული ხანის გვერდისძირი, ანუ ქართლის ერთ-ერთი ძლიერი ცივილიზებული რეგიონი. ამასთან სოფლების გარკვეული ნაწილი შერეულ მფლობელობაში იყო, ანუ მეკომურთა ერთი ნაწილი, მაგალითად ეკუთვნოდა ამილახვრებს, მეორე ერისთავებს და ა.შ. ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა თუნდაც, ისეთი დიდი სოფლები, როგორიც იყო: მეჯვრისხევი, გარეჯვარი, კარალეთი, ტყვიავი, ხელთუბანი და სხვ. IX ს. ამავე ტერიტორიაზე გამოკვეთილია ყანჩაელთა საერისთაო, რომლის შესახებაც მკვლევარი, პროფ. ჯ. გვასალია ვარაუდობს, რომ ერისთავთ-ერისთავი იოანეძე ბაკურ ყანჩაელისა იყო ქართლის ერისთავი. ამის დასტური უნდა იყოს ფაქტი, როცა ვახუშტი ბატონიშვილი სოფელთა სიაში ქსნიდან მეჯუდამდე ზოგადად „ქართლისად“ იხსენიებს.. ლეხურას ხეობის მფლობელის, ამ შემთხვევაში, საამილახვროს შესახებ შედარებით ვრცლად განიხილვის საფუძველს გვაძლევს მეტ-ნაკლებად ვიმსჯელოთ რეგიონის, შუა საუკუნეების სოციალურ-კულტურულ მდგომარეობაზე. როგორც ითქვა, საამილახვროს ადგილსამყოფელს წარმოადგენდა ცხვილოსის ანუ სხვილოსის ციხე. აღნიშნული ციხე უფრო გვიანდელია, რამდენადაც მათი მეპატრონეები დაჩი და ივანე აზნაურნი X ს-ში იხსენიებიან: „წარვიდა მეფე აფხაზეთიდან მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსნელი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კვირიკეს“.[306]

აღნიშნული ციხის ადგილი რელიეფურად შერჩეულია ისე, რომ იგი მაღალი მთის ქედიდან ხელისგულზე წარმოგვიდგენს ლეხურას ხეობას და ტირიფონის ვეებერთელა ველს, რაც მას სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. ციხის კედლის სიმაღლე ზოგგან ათმეტრამდეა, სისქე კი ორი მეტრი. იგი საკმაოდ გრძელია და ოთხკუთხა ფორმას ქმნის, ხოლო კუთხეებში შესაბამისი კოშკებია წარმოდგენილი, რომელნიც სიმაღლით

[306] საქართველოს ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 269.

ხუთსართულამდე აღწევდა. ციხეს გააჩნდა ერთადერთი ვიწრო შესასვლელი, რომელიც ორმეტრამდე სიმაღლეზეა და მასში შესვლა მხოლოდ კიბის საშუალებით უნდა მომხდარიყო. ხოლო ერთ-ერთი მთავარი კოშკი, რომელიც ჩრდილოეთითაა და ეზოდან აქვს შესასვლელი ექვს ემტრამდეა. ერთობლიობაში ამ ციხე-დარბაზის ტერიტორია წარმოგვიდგება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებით, ეკლესიით, წყალსაცავით, სამეურნეო და საცხოვრებელი სასახლით, რომელიც ამჟამად ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

საქართველოს კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით, სოფ. ქვ. ჭალის ამილახვრიანთ ციხე-დარბაზი ასე გამოიყურება: „აქ სამი კომპლექსია: მთავარი ციხე-დარბაზის (გალავანი კოშკებით, ეკლესია, კოშკი-სამრეკლო, სასახლე), მეორე ციხე-დარბაზისა (გალავანი კოშკებით, სასახლის ნანგრევები) და ამირინდო ამილახვრის ციხე-დარბაზი. მთავარი ციხე-დარბაზის ჩრდ. აღმოსავლეთით აბანოცაა. ნაგებობები XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება“.[307]

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ზედგინიძე-ამილახვრის პირვანდელი ციხე-დარბაზი, რომელიც სხვილოში მდებარეობდა XVIII ს-ში, ხელისუფლების გაძლიერებისა და ტერიტორიების შემატებასთან დაკავშირებით, ქართლის მსხვილ ფეოდალთა, ამ შემთხვევაში ამილახვართა რეზიდენციამ სხვილოდან ბარში, ქვ. ჭალაში, ლებურის მარცხენა სანაპიროზე გადაინაცვლა, სადაც კიდევ უფრო ძლიერი ციხე-დარბაზის კომპლექსი იქნა აშენებული. ცხვილოდან, ანუ სხვილოდან, ზედგინიძე-ამილახვართა ჩამოსახლება ჭალაში, რომელიც ოთხიოდე კილომეტრით იყო დაშორებული, მისი ნასოფლარად გადაქცევა ბუნებრივია მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული. აღნიშნული მოვლენები მეტ-ნაკლებად საქართველოს სხვა რეგიონებშიც მიმდინარეობდა, რამდენადაც რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებს თან სდევდა მოსახლეობის მთაში გახიზვნა ან ბარში ჩამოსახლება და ა.შ.

მოსახლეობის ცხვილოდან სოფ. ჭალაში ჩამოსახლების ისტორიული პროცესები კარგად აქვს შესწავლილი პროფ. ს. მაკალათიას, რო-

---

307 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. თბ., 1990, გვ. 202.

მელიც XX ს. 50-იანი წლების მონაცემების ფონზე აშუქებს ფაქტობრივად ამ ორი გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული პუნქტის პოლიტიკურ-მეურნეობრივ თავისებურებებს. იგი წერს: „XVII საუკუნის ამილახვრიანთ გარიგების სიის მიხედვით, სხვილო ყოფილა კარგად დასახლებული სოფელი. დასახლებულია მათი გვარებიც: მეფარიძე, მესხი, მჭედლიძე, გეთაშვილი, ბაზლიძე, ლოჯმანელი, სათუაშვილი, მორბედაძე, ბიშიაშვილი, ფანიაშვილი, ტერტერაშვილი და სხვ.“[308] აქვე, სოფ. პაულიანთ კარიდან ჩამოსახლებულან პაულიაშვილებიც.

სხვილოს ციხე-დარბაზი წყლით მარაგდებოდა „ჯანაურის“ წყაროდან, რომლის ირგვლივ თქმულება გვამცნობს: „სხვილოს ლეკები შესევიან და მტერი გალავანში დაბანაკებულა. სხვილოელებს მტერი ვერ გაურეკავთ. მაშინ ერთ ქართველ ქალს, რომელიც ლეკის ცოლი ყოფილა, ლეკების ტყვია-წამალი მოუპარავს და ქართველებისათვის გადაუცია. ამით სხვილოელები გამხნევებულან და გალავანს შესევიან, ხალხს დაუძახია — „ჯან-ურა“ და წყაროსაც ჯანურა დარქმევია. ლეკები გაურეკავთ“.[309] სწორეთ აქ, ჯანურას წყაროსთან გალაენების აღმოსავლეთით არის სხვილოს უძველესი სამნავიანი ეკლესია „ჯვარპატიოსანი“. ფასადზე შემორჩენილი ძალზე დაზიანებული წარწერის მიხედვით, იგი გივი ამილახვრის დაკვეთით აუგია სახლთუხუცესს პაპუა ქარუმიძეს XVII ს. 70-იან წლებში.[310] აქვე ავღნიშნავთ „ჯვარპატიოსანის“ ირგვლივ გავრცელებულ ლეგენდაზე, რომელიც ს. მაკალათიას აქვს დაფიქსირებული. ჩანს, რომ ეკლესიის სახელწოდება წმინდა ნინოს მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული და მოგვითხრობს: როდესაც მირიან მეფემ განიზრახა მცხეთაში, თავის ბაღში აეშენებინა ეკლესია, მოაჭრევინა კვიპაროსის ხე, რომელიც საყდრის საძირკვლად უნდა ჩაედგათ, გაუთლიათ ოთხი საძირკველი, სამი მოთავსებულა, მეოთხე — არა. მაშინ, ნინოს ბრძანებით, მისგან დაუმზადებიათ ოთხი ჯვარი. ერთი წიწამურში აღუმართავთ, აქე-

---

308 ს. მაკალათაია, დას. ნაშრომი, გვ. 26.

309 ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 27.

310 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. თბ., 1990, გვ. 203.

დან ჯვარპატიოსანი წამოუსვენებია ამირინდო ამილახვარს XVI საუკუნეში.

როგორც გადმოცემიდან ჩანს, ჯვარპატიოსნის ეკლესიის სალოცავად იყენებდნენ სომხებიც, რასაც საფუძვლად უდევს გადმოცემა: ამირინდოს მიერ წამოღებული ჯვრის მცხეთელების მიერ წართმევა, რაშიც სომხები მიშველებიან და სანაცვლოდ რამდენიმე კომლი ახალგორელი სომეხი სხვილოს აღმოსავლეთით დაუსახლებია. ამ ადგილს ახლაც „სომეხთუბანს“ უწოდებენო. ხოლო რაც შეეხება ამილახვრების ქვემო ჭალაში ჩამოსახლებას (XVII ს. დამდეგს) და ახალი რეზიდენციის მოწყობას, იგი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ერთი კოშკი ახლაცაა შემორჩენილი, რომელიც ნაგებია აგურით და მოპირკეთებულია რუხი ფერის ქვაფიქლით — ეძახიან გივიანთ ციხე-გალავანს. ისევე, როგორც სხვილოს ციხე-დარბაზში, ბუნებრივია გამაჰმადიანებული ანდუყაფარ ბარძიმისძე ამილახვარი აქაც დიდი პატივით არ სარგებლობდა, თუმცა მან ქვემო ჭალაში შექმნილ სპარსულ ყაიდაზე საკმაოდ მაღალი გემოვნების დონეზე ციხე-სასახლის კომპლექსი ააშენა. კერძოდ, ანდუყაფარს თავის ვეებერთელა მამულში, ციხე-დარბაზიდან ცოტა მოშორებით აუშენებია საკმაოდ ვრცელი და აგურით კარგად ნაგები აბანო, რომელიც მას, როგორც შაჰის სიძეს და მის სტუმრებს შეეფერებოდა. აბანო წყლით მარაგდებოდა თიხის მილებით ჯანაურის წყაროდან, რომელსაც სასმელად ახლაც იყენებენ. რამდენადაც მაჰმადიან ანდუყაფარის ციხე-დარბაზს არ გააჩნდა კარის ეკლესია, ამდენად მისი სიკვდილის შემდეგ (1625 წ.), გივი ამილახვრის მეუღლემ თამარმა, რომელიც ვახტანგ V (შაჰნავაზის) ასული იყო, კოშკს მიაშენა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი 1630 წ. ეკლესიაში ამილახვრების საფლავებია და ერთ-ერთ ქვაფენილზე შემორჩენილია მხედრული წარწერა: „ეჰა სიმაღლე საიდუმლოთა შენთა ღვთისმშობელო, კაცთა ენითა ქება შენი შეუძლებელ არს. მშვიდობა და მშვენიერება პატიოსნისა ჩვენისა ამილახვრისა გივის, განულე კარი მოწყალებისა შენის და მიანიჭე დღეთა სიგრძე და მკურნალ ექმენ, სახიერო, ორსავ შინა ცხოვრებაში, რომლსა მიერ დამკვიდრდა სარქობა ტა-

ბრისა ამის შენობა, წმინდაო ღვთისმშობელო, მფარველ მყავ სახლთხუცესის შვილს ქარუმიძე პაპუა სარქარს".[311]

ქვემო ჭალისა და საერთოდ შიდა ქართლის ისტორიული წარსული (XVI-XIX ს.) აღსავსეა ამილახვრების მოღვაწეობით, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შესრულეს ქვეყნის სულიერ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის ერთ-ერთი მაგალითია თუნდაც გივი II ამილახვრის ღვაწლი ძველი ციხე-დარბაზის გაახლებაში, უფრო გამაგრებაში და საბრძოლო მოქმედებაში მოყვანა 1742 წელს. ეს ის პერიოდია, როდესაც იგი იყო ქართლის ვექილი და ევალებოდა შაჰის მიერ შეწერილი ყოველწლიური გადასახადის მოკრება, ხოლო მოსახლეობას ამის სახსარი არ გააჩნდა და მან ხარკი შეუწყვიტა. ამას კი ბუნებრივია მოჰყვა ხანგრძლივი ბრძოლა გივი ამილახვარსა და ყიზილბაშებს შორის. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლებში გივის საბრძოლო იარაღით ამარაგებდა ახალციხის ფაშა. ამავე პერიოდში გივიმ აალორძინა, განაახლა და გაამაგრა სხვილოს ძველი მამაპაპეული ციხე-დარბაზი. ბლომად მოიმარაგა სურსათ-სანოვაგე, ხორბალი, გამართა ქარის წისქვილი, განაახლა საცხოვრებელი ნაგებობები, განაახლა წყაროს გაყვანილობა და ასე იცავდა იგი ყიზილბაშებისაგან არა მარტო ჭალისა და სხვილოს მოსახლეობას, არამედ მთლიანად ამ რეგიონს. ამ უთანასწორო ბრძოლების შემდეგ, გივი ამილახვარი გადასულა სურამში და ციხეში გამაგრებულა. აქ მას ბოლომდე უბრძოლია და ბოლოს იძულებული გამხდარა თეიმურაზ და ერეკლე მეფეს დანებებოდა. ამის შესახებ რეხულელებს ლექსიც კი გამოუთქვამთ:

„ეს გივი ამილახორი მტრის ენამ შეგვიშალაო,
სამკვიდროები დაჰყარა — სამთაეის-ცხვილოცალაო,
სურამის ციხე აშენა, სულ ცამდე აიყვანაო".[312]

შემდგომში, გივიანთ ამილახვრის მემკვიდრეს — ნიკოს XIX ს. II ნახევარში ჩაუდგამს ევროპული ყაიდის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. აქვე, გივიანთ ციხე-დარბაზის მოპირდაპირედ აშენებულია მეორე

---

311 ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 83.

312 გაზ. „იერია", 1891, №238; ს. მაკალათია, გე. 36.

ციხე-დარბაზი, რომელიც „მესხიანთ“ სახელწოდებითაა ცნობილი, რამდენადაც ერთ-ერთი მესხიშვილი მათ მამულზე ყოფილა ზესიძედ შესული. საერთოდ, ქვ. ჭალისა და სხვილოს ნასოფლარი უამრავი აკბედობის მოწმეა, სადაც სხვა მომხდურებთან ერთად ხშირ თაედასხმებს განიცდიდა ლეკთა მოთარეშეებისგან. ამირინდო ავთანდილისძის მიერ ციხე-დარბაზისათვის გალავნით შემოზღუდულ კარიბჭეზე, ეკითხულობთ: „მოხრობოდა რა ქართლი ცოდვითა ჩვენთა ლეკნი რა წარსტყუენდნენ ქართველთა ერთა, მათის განრინებისათვის ჩენ ძემან ამილახორის ავთანდილისმან ამილახორმა ამირინდო, აღვაშენე გალავანი და კარიბჭე ესე მოსასხსენებლად ჩენდა ქნკ უმც (448)-1760 წ.“[313] ამავე ამირინდოს, რომელიც იყო საგვარეულოს უფროსი, მხედართმთავარი-სპასალარი ქართლისა და გორის მოურავი მისსავე ციხე-დარბაზთან აუშენებია დარბაზული ტიპის ქვითკირის მცირე ეკლესია, რომელსაც ზედვე აქვს დაშენებული სამრეკლო, კარიბჭეზე დატანილ ქვაფენილზე კი აქვს მხედრული წარწერა: „ყოვლაწმინდაო, უბიწოვ, ქალწულო მარიამ, შენის შეწევნით აღვაშენე ამილახვრის ავთანდილისძემ თვით ამილახვარმა ამირონდომ, საყდარი ესე ყოვლად წმინდის შობისა, სულისა ჩვენისათვის და მეცხედრისა ჩვენისა კახეთის ჩოლოყაშვილის საზვერლის ასულ ელენესა სადღეგრძელოდ. მი ყოვლად საგალობელო, დედაო ქრისტესი, შეიწირე, მცირე ნამუშაკევი ჩვენი, მეო გეეყავ წინაშე ძისა შენისა დღესა მას განკითხვისასა, ამინ“. სექტემბრის კ (20) ქრკ. უ ბ (462)-1774.[314]

ს. მაკალათიას მიერ დამოწმებულია, რომ ლებურას ხეობაში ერთ-ერთ დიდ და უმნიშვნელოვანეს სალოცავად ჯვარპაიოსანი ითვლებოდა, რომლის დღეობაც 26 მაისს იმართებოდა და უამრავ მლოცველს მასპინძლობდა. როდესაც იქიდან ჯვარპატიოსანს გამოასვენებდნენ, სოფელს შემოუვლიდნენ და ხატს საყდრის გალავანში დაასვენებდნენ, გზადაგზა მეკომურები სამი საღვინით ხვდებოდა და ხალხს ღვინოს ასმევდნენ. ამის შემდეგ ეზოში იმართებოდა გართობა-თამაშობები, ცეკვა-სიმღერა და სხვა ხოლო, როდესაც გვალვიანი თვე დადგებოდა, მაშინაც ჯვარპატიოსანს

313 სხვილოელი, გა'ხ. „იყერია“, 1891, 237; ს. მაკალათია, გე. 37.
314 ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გე. 37.

გამოასვენებდნენ, ტირიფონის ველისკენ გაემართებოდნენ, იქ სადაც ე.წ. „თეთრახეევის“ სიპ ქვებამდე და აქ მას აუდარს შესთხოვდნენ.

როგორც ჩანს, ძველი სხვილოდან მოსახლეობის აყრა და ბარში ჩამოსახლება ერთბაშად არ მომხდარა, იგი სხვადასხვა დროის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფონზე, თანდათანობით მიმდინარეობდა და ასე ამრიგად სოფელი ნასოფლარად გადაიქცა. სწორეთ ამის შედეგია ის, რომ სხვილოდან ჩამოსულ ამილახვრებს ქვემო ჭალაში ერთიმეორის თანმიმდევრობით აუშენებიათ ციხე-დარბაზები თავიანთი ქვითკირის გალავნებით. აქედან გამომდინარე მათი სახელწოდებაც შემორჩათ: გივიაანთ, ბეჟანაანთ, ავთანდილიანთ, ამირინდოს ციხე-დარბაზი და სხვ.

ყველა ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა, რათა ლეხურას ხეობაში სოფ. ქვემო ჭალა თავის მდებარეობით და ინფრასტრუქტურით მდინარის ორივე მხარეს თანაბარად განვითარებულიყო, სადაც XX ს. შუა ხანებისათვის მოსახლეობის ოდენობამ 500-ს კომლს გადააჭარბა და სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა, რომელიც აერთიანებდა სოფლებს: ქვ. ჭალა, პანტიანი, ვაკე, გორაკა, გამდლისწყარო, საკორინთლო და ახალშენი.

ქვ. ჭალის მოსახლეობა ისტორიულად, ხეობაში საკმაოდ დაწინაურებული და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით გამოირჩეოდა. ცნობილი, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, ქვეყანაში პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად სოციალური დაძაბულობაც მატულობს და თავად-აზნაურობა გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა. ხშირი იყო განუკითხაობა, გამოსვლები, რაც განსაკუთრებით განაპირა მხარეებში შეინიშნებოდა. ამიტომ, 1857 წ. ერთ-ერთი ასეთი გამოსვლა ქვ. ჭალაშიც მოხდა, სადაც გლეხებს ჯერ 400 მან, ხოლო შემდეგ 810 მან გადასახადი შეაწერეს, რაზეც მათ უარი განაცხადეს, თუმცა უშედეგოდ. ამასთან, 1818 წ. სოფელში (1 მარტს), ინტელიგენციის თაოსნობით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა, სადაც თავდაპირველად 15 მოსწავლე იყო. სკოლის პირველი მასწავლებელი იყო გორის საოსტატო სემინარიის ყოფილი შეგირდი მ. რცხილაძე. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში მოღვაწეობდა ნიკო ლეონიძე (გიორგი ლეონიძის მამა), რომ-

ლის მეცადინეობითაც 1887 წ. მარტში სკოლას მეორე კლასიც დაემატა. მანვე დააარსა სკოლაში სცენის მოყვარულთა დასი და 1885 წ. 4 იანვარს აქვე დაიდგა კ. აბაშიძის ვოდევილი „ცოლი თუ გინდა, ეგ არის“. ამ სოფელში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი სასულიერო პირები, როგორიც იყო: სასულიერო მგალობელი პეტრე კარბელაშვილი, მისი შვილი ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი — ვასილ კარბელაშვილი, მათი შთამომავალი უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებული პროფ. ლ. კარბელაშვილი.

ლეხურას ხეობის ერთ-ერთი უძველესი, ისტორიული სოფელია სამთავისი. იგი მდინარის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული და ამჟამად სამასამდე კომლი ცხოვრობს. როგორც შესაბამისი ისტორიული წყაროები გვამცნობენ, VI ს. 50-იან წლებში ერთ-ერთმა ასურელმა მამამ — ისიდორემ (ეზდერიო) აქ ააშენა ეკლესია. სამთავისი ძველთაგანვე საგანამანათლებლო კერად ითვლებოდა, სადაც უმოღვაწიათ მწიგნობრებ-კალიგრაფებს: ილიას (XVI ს.), არქიეპისკოპოსს ევდემონს (XVII ს.), კვიპრიანე სამთავნელს (XVII-XVIII სს.), ანტონ I კათალიკოსს და სხვ. აქ არსებული ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო გაუქმებული იქნა 1811 წ. ახლა იგი აღდგენილია. სოფელი არა ერთი შემოსევისა და გაჩანაგების მოწმეა. სამთავისი ცნობილია XI საუკუნის შესანიშნავი კათედრალით, რომელიც გამოირჩევა თავისი ხუროთმოძღვრული სიდიადით. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „რეხულას აღმოსავლეთით არს სამთავისი, ეკლესია დიდი, გუმბათიანი, დიდმშვენიერად შენებული. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ქსნისა და ლეხურას ხეობისა. ქმნულ არს იგი (13) მამათაგანისა ისიდორესაგან, და დაფლულ არს იგი მუნვე“.[315]

ბუნებრივია, დღევანდელი ტაძარი არ წარმოადგენს VI ს. ხუროთმოძღვრულ ძეგლს და იგი მხოლოდ ისიდორეს მიერ აქ დაარსებული ქრისტიანული მოძღვრების ნიშის საფუძველზე 1030 წ. სამთავნელი ეპისკოპოსის ილარიონ ყანჩელის ძის მიერაა აგებული, ხოლო სხვა დამხმარე ნაგებობები — 1050 წ. სამთავისის ტაძრის სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს გადმოცემა, რომ ვახტანგ გორგასალს ოსებთან ბრძოლის დროს ფიცი გაუტეხია და ოსი ბაყათარი მოუკლავს. ამ ცოდ-

[315] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 72.

ვის მოსანანიებლად კი მეფეს აუგია ოთხი ეკლესია: თბილისის სიონი, მეტეხის ეკლესია, წილკნისა და სამთავისის ტაძარი. რამდენადაც მათში ყველაზე დიდებული სამთავისის ტაძარი დანარჩენ სამზე საუკეთესო ყოფილა, აქედან გამომდინარე, „სამ-თავ-ისი“, ე.ი. დანარჩენ სამზე თავი,[316] სახელიც შესაბამისად შერქმევია.

სამთავისის ტაძარმა არაერთხელ განიცადა აოხრება, ნგრევა, მაგრამ კეთილი ადამიანების მიერ ყოველთვის განახლებას იწყებდა. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებისას სამთავისის საეპისკოპოსო ფლობდა 17 სოფელს, ერთ თავადს და 5 აზნაურს. მისი ფუნდამენტური შეკეთება-განახლება განხორციელებულა 1850 წ. არქიტექტორ რიპარდის მიერ.[317]

როგორც ცნობილია, სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ჰარმონიულ ურთიერთდამოკიდებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნის აღორძინება-განვითარებაში. აღნიშნული პროგრესი, რომელიც ისტორიულად ხშირად დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა, ქვეყნის კეთილდღეობისათვის სასურველ შედეგს მხოლოდ მათი წინამძღვრების გონივრული მოქმედებისა და გადაწყვეტილებების წყალობით აღწევდა.

როდესაც საქართველომ XIX ს. ავტოკეფალია დაკარგა-დაგვაკარგვინეს და რუსეთის ეპარქიის მმართველობაში გადავიდა, რომელთაც მოითხოვეს ეკლესიებში წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე ჩატარება, ქართველი სამღვდელოების ნაწილმა ამაზე უარი განაცხადა, ისინი განკვეთილ იქნენ ეგზარქოსობისაგან, სამაგიეროდ, სომხეთიდან მოიყვანეს გრიგორიანელი მღვდლები. აქედან მოყოლებული, განსაკუთრებით თბილისის შემოგარენში, ქართულ ეკლესიებში ყველგან სომეხი მღვდლები დანიშნეს, რომელთაც უმალ დაიწყეს მართლამდიდებლური ეკლესიების გადაკეთება გრიგორიანულ სტილზე. კერძოდ, ეკლესიაში საკურთხეველი ერთი მეტრით მაღლა ასწიეს და კიბეები გვერდიდან გაუკეთეს. ამასთან, კიდევ უფრო სამწუხარო იყო ის ფაქტი, რომ ისინი სადაც კი მსახურობდნენ, კედელში დიდ ქვას სვამდნენ და აწერდნენ სომხურად, რომელიც იტყო-

---

316 ჰ. ჭალელი, კლდემაღალას ციხე (ისტორიული ლეგენდა), „დროება“, 1875 წ., №38, 39; ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 21.

317 იქვე, გვ. 21.

ბინებოდა ეკლესიის მათ მორჩილებაზე. სწორეთ ამგვარი, უმსგავსო მოქმედების ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ასეთ ეკლესიებს სომხები თავიანთ საკუთრებად ასაღებენ. ისინი ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ და მღვდლები ეგზარქოსებისა და მაშინდელი მთავრობის ჩარევით, საქართველოს მცხოვრებლებს გვარებს და სახელებს სომხურად უკეთებდნენ. ამან ისეთი მასიური ხასიათი მიიღო, რომ მთლიანად ზოგიერთი სოფელი სომხების დასახლებად იქცა, რომელთაც საერთოდ არ იცოდნენ სომხური ენა.

ყოველივე აღნიშნულ გარემოებას საფუძვლად ედო ის, რომ მღვდლები წარმოადგენდნენ რა მოსახლეობასთან გადასახადების ამკრეფს მთავრობისათვის, თუ სომხურ გვარზე გადავიდოდნენ, მაშინ ისინი ნაკლებს იხდიდნენ, ხოლო მღვდლის გვარზე გადასული საერთოდ თავისუფლდებოდა. ასეთი ვითარების შემდომ, სავსებით ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, როცა XX ს. ამ წნეხისაგან განთავისუფლებულმა ე.წ. „სომხურმა“ მოსახლეობამ კვლავ მასიურად იწყო პირვანდელი გვარისა და მართლმადიდებლობის აღდგენა-დაბრუნება.

აღნიშნული მძიმე წარსულის ფონზე, 2011 წ. საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ იმ კანონის გამოცემა, სადაც მოსახლეობის ძირითადი უმრავლესობა მართლმადიდებელია, სხვა რელიგიების ერთ სიბრტყეზე დაყენება ქვეყნის ღალატის ტოლფასია. მაშინ, როდესაც ქართველ მრევლს კარგად ახსოვს ისტორიიდან, თუ როგორ სასწაულებრივად დაიცვა და განავითარა მართლმადიდებლური სარწმუნოება ჩვენმა დიდმა მეფეებმა, სასულიერო მოღვაწეებმა და საერთოდ ქართველმა მოსახლეობამ. აქედან გამომდინარე, დღევანდელ მძიმე ვითარებაშიც მას არ დაუკარგავს იმედი და რწმენა იმისა, რომ ქვეყანას მოევლინება ხელისუფალი, რომელიც ეკლესიის ძალას და მნიშვნელობას გაითვითცნობიერებს და პატრიარქთან, მთელ სამწყსოსთან ერთად ივერთ ქვეყანა კიდევ უფრო განმტკიცდება და თავის ადგილს განიმტკიცებს მსოფლიო ცივილიზაციათა სამყაროში.

ლეხურას ხეობაში ერთ-ერთი მოზრდილი და ისტორიულად სტრატეგიული სოფელია იგოეთი. სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ გვიან

ანტიკურ ხანაში საკმაოდ მნიშვნელოვანი დასახლება ყოფილა, რომელიც ადგილ „ნაქალაქიანთ ხევში“ უნდა არსებულიყო. აქვეა აღმოჩენილი გვიანდელი ბრინჯაოს და ადრინდელი რკინის ხანით დათარიღებული სამაროვანი. სოფლის სამხრეთით დგას ადრინდელი ფეოდალური ხანის ეკლესია, ე.წ. „წითელი საყდარი“, ხოლო სამხრეთ დასავლეთით, გორაკზე სასაფლაოსთან მეორე ეკლესია, რომელიც იმავე პერიოდით თარიღდება. წითელი საყდარი, რომელიც ნაგებია წითელი აგურით, ასრულებდა საბაჟოს ფუნქციასაც, რამდენადაც მდებარეობდა თბილისი-ხაშური-იმერეთის გზატკეცილზე და მეთვალყურეობდა შემოტანილ-გატანილ საქონელს. მეორე ეკლესიას შემორჩენილი აქვს ფუნგისის სახელი. იგი იმავე სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლეხურას გაღმა მდებარეობს, მოცულობით პატარაა, აგებულია წმ. გიორგის სახელზე და როგორც ჩანს ამ ადგილას ნასოფლარი ყოფილა. ძველად სოფელს ფუნგისი რქმევია, რომელიც საამილახვროთა დავთარშია დაფიქსირებული.

ლეხურას ხეობაში ყველაზე უძველესი სოფელია რეხი, რომელიც სადღეისოდ ნასოფლარადაა ცნობილი. საისტორიო წყაროებში, იგი IX საუკუნეშია მოხსენებული. „მატიანე ქართლისა“ იტყობინება: „გამოვიდა საჰაკ, ამირა თბილელი და დადგა რეხს, ხოლო მოჰამედ და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე. და მოვიდეს კახნი გარდაბნელნი შეულად საჰაკისა; შეიბნეს რეხს და იყო ბრძოლა მათ შორის: არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს. აიყარა მოჰამედ და წარვიდა ბარდავს“.[318] ეს ბრძოლა ბაგრატ კუროპალტსა და თბილისის ამირა საჰაკს შორის სწორეთ რეხის მიდამოებში მოხდა 840 წელს და არა სხვაგან, თუნდაც წალკის ან მდ. მეჯუდაზე მდებარე რეხაში. ოდეზრაც, რეხი მჭიდროდ დასახლებული დაბა ყოფილა, რამდენადაც იგი საამილახვრო დავთარშიცაა დასახელებული, სადაც ჩამოთვლილია ქართლში ისეთი გავრცელებული გვარები როგორიცაა: ჩუბინიშვილი, ხელაშვილი, იოსებიძე, ინანიშვილი, ფანჯარაშვილი, ოქრუაშვილი, საჩალელი, ნინიკაშვილი, მაისურაძე, მაჩხაძე, კონიაშვილი, ალვახაზიშვილი, ბეკურწიშვილი, სარეველაძე, ჭეხაშვილი, გორგაშვილი, ბარბალუკი, მამისაშვილი, მირიანაშვილი, შათირიშვილი ჭონიშვილი, ბასილაშვილი, სულთაბაშვილი, დევდა-

[318] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გე. 255.

რიანი, თხელაძე და სხვ. ამასთან, უნდა ითქვას, რომ მათსავე 1791 წლის გაყრის დავთარში სოფ. რეხი დასახლებული არ არის.[319] აქედან გამომდინარე, სავარაუდოა რომ იგი ან საგვარეულო საერთო განკარგულებაში იყო, ან ამ პერიოდისათვის ნასოფლარს წარმოადგენდა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს XVIII ს. ლეკთა გაუთავებელი თავდასხმები და მოსახლეობის სხვაგან გახიზვნის არა ერთი ფაქტი. თუმც არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ ამ ნასოფლარზე შემდგომში ჩამოსახლებულან კორინთლები (ქსნის ხეობის სოფ. კორინთიდან) და დღეს მას საკორინთლო ეწოდება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კორინთელი ქართლის უძველეს აზნაურთა რიცხვს ეკუთვნის. დაჩი კორინთელი ქართლის აზნაურთა შორის ჯე კიდევ „მატიანე ქართლისაი“-ში იხსენიება. XVI-XVII სს. კორინთელი სამფეო აზნაურია. 1610 წ. ლუარსაბ მეფე თავის „ერთგულსა და თავდადებით ნამსახურ ყმას“ მამუკა კორინთელს მისი უშვილო განაყოფის კერძ მამულს უბოძებს. წყალობის წიგნს უბოძებს მამუკა კორინთლის შვილს იოთამს 1639 წ. როსტომ მეფეც და იგივე ეპითეტებით ამკობს. XVII ს. II ნახევარსა და XVIII ს. I ნახევარში კორინთელი ქსნის ერისთავის ყმა შექმნილა. სავარაუდოდ, კორინთელთა გარკვეული ნაწილი ერისთავების მიერ გადასახლებული იქნა (XVIII ს. I ნახევარი) თავიანთსავე საბატონო მამულში – ტყვიავში, სადაც ამჟამადაც დიდ უბნადაა წარმოდგენილი.

დაბა რეხი, რომ ნასოფლარია და ერთ-ერთი უძველესი, მეტყველებს აქ აღმოჩენილი გვიანდელი ანტიკური ხანის სამარხები თიხის სარკოფაგებით და მასში ნაპოვნი ოქროს ბეჭდები, მძივები და სახვადასხვა ჭურჭელის ფრაგმენტები. ხოლო რაც შეეხება ნასოფლარზე საკორინთლოს შედარებით მოგვიანებით აღმოცენებას, კარგად ჩანს მომდევნო პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლთა არსებობით, კერძოდ, სადღეისოდ აქაა შემორჩენილი ე.წ. „ნანაანთ“ წმ. ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც სოფლის სამხ. დასავლეთით მდებარეობს და თარიღდება XVIII საუკუნით. აგრეთვე სოფლის ჩრდ. დასავლეთით მდებარე ე.წ.

---

[319] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 42.

„ქარის საყდარი“, რომელიც აგრეთვე XVIII საუკუნით თარიღდება.[320] აქვე უნდა ითქვას, რომ საკორინთლოს, ანუ ძველი რეხის აღმოსავლეთით მდებარე მონასტერი, რომელიც ქვაბისმანის სახელწოდებითაა ცნობილი, სწორედ ამ სოფლის ისტორიულ წარსულს უკავშირდება. როდესაც ვახუშტი იწყებს მეორე სასპასპეტოს და საამილახეროს აღწერას, აღნიშნავს: „ჭალის ზეით არს დაბა რეხი, რომლის გამო იწოდა მდინარე ესე. ამ რეხის აღმოსავლეთით არს მონასტერი ქვაბისმანი, ზის წინამძღვარი“.[321]

XX ს. 50-იანი წლების ჩანაწერების მიხედვით, ეს სახელწოდება მივიწყებული ყოფილა და მას მონასტერს უწოდებდნენ. აქ გზა მიდის ლეხურას მარცხენა ნაპირას, მოუხვევს პატარა სოფელ მონასტერთან, რომელსაც მილისწყლის ღელე ჩამოუდის. ეს სოფელი ამ რამდენიმე წლის წინათ ქვაბისმანის მონასტრიდან აქ გადმოსახლებულა და მისთვისაც მონასტერი შეურქმევიათ. ქვაბისმანის მონასტერს ახლა ეძახიან ღვთისმშობელს. გზა აღმართია და სოფ. მონასტრიდან დაშორებულია 4-5 კილომერით. (ს. მაკალათია).

ლეხურას ხეობა რეხ-ქვაბისმანიდან ვიწროვდება და გადადის მაღალმთიან ზონაში და ქოლოთ-ქვითკირითურთ „ხილიან-ვენახიანია“. აქვე წყდება ქართველი მოსახლეობაც და ეს ზემო ნაწილი ახალგორის რაიონს ეკუთვნის, სადაც უმთავრესად ოსური მოსახლეობა ბინადრობს. თუმცა XVII ს. მეორე ნახევრის ამილახვრიანთ დავთრების მიხედვით, ხეობის ამ ნაწილშიც მჭიდროდ დასახლებული ქართული მოსახლეობა იყო. ამის მიზეზი XVIII ს. ლეკიანობის გამო ამოწყვეტილ და გაველურებულ ქართულ ნასოფლარებზე ოსების ჩამოსახლებაა. ლეხურას სათავეებში, ისტორიულად, ქართული მოსახლეობა რომ ძველთაგანვე ბინადრობდა, მიანიშნებს ეკლესიებისა და ციხე-კოშკების ნანგრევები, ნასოფლარები და მათი ძველი სახელების შემორჩენა, სადაც ოსთა მიერ ნაგები, დღესაც მატერიალური კულტურის არცერთი ძეგლია დაფიქსირებული.

---

320 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, გვ. 190.

321 ვახუშტი ბათონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 72.

ხეობის ზემო ნაწილის ნასოფლარად განიხილება აგრეთვე აბრევი, ზახორი და არმაზი. აბრევი მდებარეობს მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ხოლო ძველი აბრევი მისგან ორი კილომეტრის მოცილებით მაღლობზე, სადაც შემორჩენილია ჩამოქცეული წმ. თევდორეს ეკლესია. ხეობის ზედაწელზე ქვ. ჭალიდან ოციოდ კილომეტრზე, მდინარის ორივე ნაპირზე, მთის ფერდობზე შეფენილია სოფ. ზახორი. იგი საკმაოდ მოზრდილი სოფელია, რომელიც XX ს. 50-იან წლებში აქვს დაფიქსირებული ს. მაკალათიას. მისივე გამოკვლევით, დაუდ-ხანის (1564-1579წ.) საფიცარ სიგელში ღაზნელის მამულზე დასახელებულია დავით და ზახორ ღაზნელიძე. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ სოფელსაც მისი მფლობელის, ზახორის, სახელი ეწოდა-ო. ჩანს, რომ ზახორ ღაზნელიძეს მტრობა ჰქონია სხვილოელ ამილახვართან და ღაზნის მამულის გარკვეული ნაწილიც ანდერძით ამილახვარს მიუღია. აქვე მოყავს პ. კარბელაშვილის ნაშრომიდან ის ადგილი, სადაც საუბარია ყვარყვარე ათაბაგისა და ბაგრატის ბრძოლის შესახებ გიორგი VIII წინააღმდეგ და აღნიშნავს: „ამ ბრძოლაში ზედგინიძე-ამილახორნი თან ახლდნენ გიორგი მეფეს. ამით ისარგებლეს ბაგრატმა და ყვარყვარემ და ზახორის პატრონს რეხის ხეობაზედ ღაზნელი ღაზნელს ააკლებინეს ამილახვრების ციხე-დარბაზი სხვილოში, სადაც ერთის ოჯახიდან არავინ დარჩა ერთი კოჭლი ქალის მეტი“-ო.[322]

როგორც ჩანს, ღაზნელსა და ამილახვარს შორის მტრობა შემდგომშიც გაგრძელებულა, რომელიც განსაკუთრებით დაძაბულა ანდუყაფარ ამილახვრის დროს. ანდუყაფარ (III) ამილახვრის შესახებ მოკლე ცნობები ასეთია: იგი 1703 წ. ერეკლე I მაგიერ ირანიდან გამოგზავნილმა ლევანმა (ვახტანგ V შაჰნავაზის ძე, მამა ვახტანგ VI-ის) ავთანდილს ამილახვრობა ჩამოართვა და ანდუყაფარ გივის ძეს გადასცა. ანდუყაფარი მაჰმადიანი იყო. მას დიდხანს არ დასცალდა ამ მაღალ თანამდებობაზე ყოფნა და როცა თბილისიდან თავის ციხე-დარბაზში, სოფ. ჭალაში ნადირობით მიმავალი ფონთხელის მახლობლად ცხენიდან გადმოვარდა და

---

322 პ. კარბელაშვილი, ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები; ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 45.

კისერი მოიტეხა.[323] და როდესაც გიორგი სააკაძემ და ზურაბ ერისთავმა შეთქმულება მოაწყვეს შაჰაბაზის წინააღმდეგ, ისინი არ ენდობოდნენ ანდუყაფარს, როგორც მაჰმადიანსა და შაჰის ერთგულს, ამიტომ, მათ განიზრახეს მისი მოშორება და სააკაძემ იგი თავის მეუღლესთან ერშის ციხეში გამოამწყვდია, ხოლო სააკაძის დამარცხების შემდეგ როსტომ მეფემ გაანთავისუფლა და ისევ თავის საამილახვროს დაუბრუნა.[324]

დაბრუნებულმა (ანდუყაფარმა) პირველ რიგში შური იძია ღაზნელზე, რომელსაც მის შეპყრობას აბრალებდა და იასე ერისთავთან ერთად, ღამით თავს დაესხნენ ზახორში მათ ციხე-დარბაზს და ამოწყვიტეს. „ამ ჟამეთა მოიმწო ანდუყაფარ ამილახორმან ქსნის ერისთავი, რამეთუ შესწამა შეპყრობისა თვისისა უწყება ღაზნელსა, დაესხა და მოსწყვდნა იგი და განიყვეს მამული მისი, ქოლოთ-ქვიტკირი დაიპყრა ქსნის ერისთავამ და ნეშტი ამილახორმან“.[325]

აღსანიშნავია, რომ ზახორში მათი ციხე-დარბაზი დღესაც ამაყად გადმოჰყურებს ლეხურის ხეობის სათავეს, თუმცა მას კაბაურის ციხეს უწოდებენ. ის ფაქტი, რომ ანდუყაფარს მთელი საგავრეულო არ ამოუხოცავს ჩანს იქიდან, რომ XVII ს. მეორე ნახევარში საამილახვროს დავთარშია მოხსენიებული, სადაც ზურაბ ღაზნელის ყმებია: ევანისელი აბრამა, მისი განაყოფი ნონია, ხარებაშვილი, ხანოელი, ნადირიშვილი, ბადილიშვილი, ძამაშვილი, გოგიტიშვილი, ქავთარაშვილი, თაკელიძე, დათუაშვილი და სხვ. სიადანაც ირკვევა, რომ სოფლის მებატონე ისევ ღაზნელია და ზახორიც კარგად მოზრდილი დასახლებაა. თუმცა 1791 წ. ამილახვრიანთ გაყრილობის საბუთის მიხედვით, ზახორი გადაშენების გზაზე დამდგარა, სადაც მხოლოდ ოთხი კომლიღა დარჩენილა.[326] რაც შეეხება XVIII ს. დასასრულის მონაცემებს, ზახორში ქართული მოსახლეობა ამოწყვეტილია, ხოლო ნასოფლარზე ოსები დასახლებულან.

---

323 ე. მამისთვალაშვილი, ამილახვრები, გვ. 20.

324 ეგნატაშვილი – ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება; ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 45.

325 ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 434.

326 ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 47.

ზახორიდან ხუთიოდ კილომეტრზეა არმაზის ნასოფლარი, ხოლო იქვე ოსების პატარა სოფელია და არმაზსს უწოდებენ. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე და ხეობის სოფლებში ნახსენები აქვს ზახოზი, თუმცა აღწერილობაში არ ჩანს ნასოფლარის სახითაც კი. ამასთან, იგი აღსანიშნავია იმითაც, რომ აქ დაცულია ხეობაში ყველაზე ძველი ძეგლი — არმაზის ეკლესია (მონასტერი), რომელიც 864 წლითაა დათარიღებული. ს. მაკალათიას აზრით, არმაზის სახელწოდება არ უნდა იყოს შემთხვევითი და მას კავშირი აქვს უეჭველად მცხეთაში ნინოს მოღვაწეობასთან და არმაზის კერპის დამსხვრევასთან. ამიტომ შესაძლებელია, რომ ლეხურას ხეობაში წარმართობის დროს ყოფილიყო ქართველთა მთავარი ღვთაების — არმაზის ნიში. მითუმეტეს, ასეთივე არმაზის მონასტერი არსებობს მცხეთის მახლობლად არმაზის ხევში.[327]

ლეხურას ხეობის სათავეში ბოლო სოფელია ქოლოთა (ქოლოთი), სადაც XX ს. 50-იან წლებში ცხოვრობდნენ ფასანაურის მხრიდან გადმოსული მთიულები (უმეტესად ხარხელები, დ.პ.). მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აქ დაცული იყო ერთი კოშკი, ხოლო სათავეში ძველი ციხის ნანგრევები. აქედან მოკლე გადასასვლელები ყოფილა ქსნისა და მეჯუდის ხეობებში. მეორე სასპასპეტოსა და საამილახვროს აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი ორ სოფელს ერთად აერთიანებს და მოიხსენიებს ქოლოთ-ქვითკირად: „ამის აღმოსავლით, ზემორ, არს ზახორი, ზახორს ზეით ციხე კაბერი, და ამ ციხეს ზეით ქოლოთქვიტკირი".[328]

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ქართლის ცენტრალურ გეოგრაფიულ სივრცეში ყველაზე გაშლილი და ვაკე ადგილი — ტირიფონის ველია, რომელსაც „ტირიფონის დიდ ველსაც" უწოდებენ ხოლმე, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი ცალკეული, შედარებით პატარ-პატარა ველებისგანაა წარმომდგარი. ტირიფონის დიდი ველი, როგორც მას ხშირად ქართლის ბელელსაც უწოდებდნენ (იგი ცნობილი იყო ხორბლეული კულტურების წარმოებით), ბუნებრივად დასერილია პატარ-პატარა ღელე მდინარეებით, ხევ-ხუვებით. ამ ველზეა გაშლილი სოფ. ხურველეთი

---

[327] იქვე, გვ. 49.
[328] ე. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, გვ. 73.

(მხურვალეთი), რომელსაც ამავე სახელწოდების ხევი — ხურვალულა ჩამოუდის. აღნიშნული ხევი-მდინარე სოფ. ორჭოშანსაც ჩაუდის და აქედან, ვიდრე ლეხურას შეუერთდება, სახელწოდება ეცვლება და ტორტლა-დ წარმოგვიდგება, თუმცა კიდევ უფრო ადრე, მას უსის წყალი რქმევია. ყოველივე აღნიშნულზე მიგვითითებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც წერს: „ამის ზეით, ხორხებთან, ერთვის რეხულას ხევი უსისტყისა და გამოსდის მხურვალეთის მთას. ამის ზეით არს, რეხულას აღმოსავლით, სამთავისი“.[329] ანუ აღწერის მიხედვით, ამ ადგილებს ჩამოუდის მხოლოდ ერთი, შედარებით პატარა ხევი-მდინარე ხურვალულა, ტორტლა, ე.ი. უსის წყალი — გამომდინარე ამავე სახელწოდების ტყიდან. ხურვალეთი ამჟამად ერთ-ერთი დიდი სოფელია ტირიფონის ველზე. იგი გაშენებულია ზეგანზე და ფლობს ერთობ ნაყოფიერ მიწებს, სადაც თანაბარი მოსავლიანობით გამოირჩევა, როგორც მებოსტნეობაში ისე მეხილეობა-მევენახეობაში და რომელიც განსაკუთრებით დაწინაურდა დიდი ლიახვიდან გამოყვანილი სარწყავი არხის შემდეგ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სოფელი არ გამოირჩევა დიდი წარსულით. აქ შემორჩენილია სამი პატარა, ფაქტობრივად ჩამოქცეული საყდარი, რომელთა სახელებია: წმინდა მარინე, კვირაცხოველი და წმ. თევდორე. აღნიშნული ეკლესიები სავარაუდოდ XVII საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს. თუმცა მის მეზობლად, დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე, იმავე ტორტლას ხევის აუზის ხოდაბუნებში აღმოჩენილ სამაროვანში ბრინჯაოს ნივთები არქეოლოგების მტკიცებით ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისს მიეკუთვნება.[330]


ლეხურას ხეობის აუზში, ძველი ნასოფლარის მიდამოებში აღმოცენებულია ისტორიულად ახალი სოფელი — ახალშენი, რომლის ნაშთები სახნავ-სათეს მინდორშია მიკვლეული და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება. ნასოფლარის ძველ ტერიტორიაზეა ჩამოქცეული წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც იმავე პერიოდს მიეკუთვნება. ტირიფონის ამ უძველეს ცივილიზებულ ტერიტორიაზე მიკვლეულია არაერთი ნა-

---

329 იქვე, გვ. 72.

330 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 143.

სოფლარი, რომელიც თბილისიდან დასავლეთ საქართველოში მიმავალი გზატკეცილის მარჯვენა – ჩრდილოეთის მხარესაა მიკვლეული, რომელთა ადგილებზე სადღეისოდ აღმოცენებულია სოფლები: გამდლის წყარო, ქვემო და ზემო რენე, ნიგოზა, ჩობალური, კოდისწყარო და სხვ., სამწუხაროდ აღნიშნული სოფლების დიდი ნაწილი რუსეთის აგრესიის მიერ 2008 წელს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ იურისდიქციაში მოექცა.



ქვათახევი XII-XIII სს.

თავი მეოთხე
შიდა ქართლის გაღმამხარი-თრიალეთის ზეგანი

1. ტანა – ათრევას ხეობა

ტანა-ათრევას ხეობა, გეოგრაფიულად თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარებს, რომელიც ადმინისტრაციულად ოდითგანვე ქართლის სამეფოში შედიოდა და როგორც ისტორიული ძეგლები და დოკუმენტური მასალა მეტყველებს, იმდროინდელი ხელისუფალნი თავდაუზოგავად ცდილობდნე მის იმფრასტრუქტურულ სრულყოფა-განვითარებაზე. აღნიშნული ხეობა სადღეისოდ, ტერიტორიულად გორის რაიონს მიეკუთვნება, რომელიც ქ. გორიდან ორიოდე კილომეტრში იწყება და მისი სიგრძე თრიალეთის ქედის მიმართულებით ოცდაათიოდე კილომეტრს არ აღემატება. ხეობის ქვედა წელი, ე.წ. „ქართლის ვაკის“ ნაწილს შეადგენს, ხოლო მისი ცენტრალური სოფლის-ატენის ზემოთ, მდ. ტანას ვიწრო აუზის ზეგანი ადგილები, თავისი კლდოვანი მწვერვალებით, ალპური გორაკ-ბორცვებით, პატარა-პატარა კალთა-უბეებით და ნაკადულშესართავებით, ხეებით დასერილი მდელოებით, განუმეორებელ ლანშაფტურ გარემოს ქმნიან.

ეტიმოლოგიურად, ხეობისა და მისი ძირითადი მასაზრდოებელი მდინარის – ტანას სახელწოდება სხვადასხვა არგუმენტებითაა ცნობილი, რომელთაგან უფრო გაცელებულია მისი ჩამოდინება კლდოვან-ტინისებური ადგილებიდან (ტანა-ტინი), ხოლო მეორეს მხრივ მიმზიდველი, მოხდენილი სილამაზით – ტანადობითა და სხვ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც ტინი – კლდე მაგარი და აღმა ამართულს, კლდე გამჭვირვალი, კაცთა ხორცისა გამკვეთელიო – მიგვანიშნებს ამ მდინარის კალაპოტის შესაბამისობაში. ამასთან ერთად, იგივე გარემოებას უნდა უკავშირდებოდეს ხეობის ცენტრალური სოფლის – ატენის სახელწოდებაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ხეობა ისტორიულადაც მდ. ტანას სახელიდან გამომდინარეობდა, რომელიც დროთა ვითარებაში ჯერ ტანა ატენით შეიცვალა, ხოლო შემდგომ ამ უკანასკნელით თითქმის სამუდა-

მოდ დამკვიდრდა. ყოველ შემთხვევაში, ხეობის სახელწოდებაში ცვლილებები XVIII საუკუნიდან იწყება, რამდენადაც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ამას დასავლით არს ხეობა ატენის მდინარისა (ანუ ტანას დ.პ.). ტანა გამოზდის ჯამჯამასა და საცხენისის მთას“ ...[331] აგრეთვე ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ დღესაც ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად, ხეობას ძველებურად ტანას სახელწოდებით მოიხსენიებს. ხოლო რაც შეეხება მის სიძველეს, იგი გვხვდება XII ს. ძეგლებშიც. კერძოდ ამ დროის მტკვრის სამხრეთის ტერიტორიის აღწერისას ერთერთ დოკუმენტში ნათვამია: „დიდებული სიონის გეგმაზე აშენებული მონასტერი რკონი და ატენი, რომელიც გაშენებულია ტანის ხეობაში: შესანიშნავია თავის დიდებულის სიონით, რომელიც უკვე 853 წ. წინათ ჯვრის გეგმაზე იყო გადაკეთებული“-ო.[332]

ამ პატარა ხეობის ქარტეხილებით აღსავსე წარსულით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული ერთ დროს ქართლის უმთავრეს პოლიტიკურ ცენტრთან — უფლისციხის დაწინაურებასთან. რამდენადაც ტანა-ათრევას ხეობა წარმოადგენდა იმ უმოკლეს გზას, რომელიც ქართლს აკავშირებდა სამხრეთ-დასავლეთ სამყაროსთან, კერძოდ ტაო-კლარჯეთის გავლით მცირე აზიასთან და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, ამდენად მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის საერთო აღმავლობის საქმეში. აქედან გამომდინარე, ხეობაში ძველთაგანვე მიმდინარეობდა რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, რომელიც მოვლენების შესაბამისად იცვლებოდა. ამის შესახებ მეტყველებენ თუნდაც ის გარემოებები, როცა აქ მიმდინარეობდა ახალ-ახალი დასახლებული ადგილების წარმოქმნა, ნასახლარებისა და ეკლესია-მონასტრების სიმრავლე, თვით „მცირე ქალაქის“ ატენის დაწინაურება-დაქვეითების პროცესები და სხვ. ტანა-ათრევას ხეობის აუზი უძველესი დროიდანვე იყო ერთ-ერთი იმ

---

331 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 56.

332 იე. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 38.

ნაწილთაგანი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მშენებლობაში. კერძოდ, ახ.წ. I-II სს. ქართლის სამეფოს გაძლიერებისას, რამდენადაც ქართლის დედაქალაქი მცხეთა არა მარტო დიდი სტრატეგიული გზების, არამედ აგრეთვე სხვადასხვა მხრიდან მოამავალი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. სწორედ აქ იყრიდა თავს სამხრეთიდან, ალბანეთიდან, კოლხეთიდან და „ჩრდილოეთის მომთაბარეთაგან" მომდინარე გზები. ამ მხრივ ცნობილია IV ს. შედგენილი რომაული საგზაო რუკა, რომელიც უფრო ძველ, I-II სს. მასალას ემყარება და ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე უჩვენებს არაერთ გზას, რომლებიც უეჭველია, ამავე დროს სავაჭრო მაგისტრალებს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, საერთო ვაჭრობის ფერხულში, ქართლი ჩაბმული იყო არა მარტო ამ გზებით: სამცხე და ჯავახეთში გადიოდა აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთით — ტაოსა, კლარჯეთსა და კიდევ უფრო სამხრეთით, მცირე აზიისაკენ მიმავალი გზები და ა.შ. რომელთა ერთ-ერთ უმოკლეს და შემადგენელ გზად ტანაათრევას ხეობაც იგულისხმებოდა.[333]

ისტორიული „მცირე ქალაქი" — ატენი ქ. გორიდან ათიოდე კილომეტრზე მდებარეობს და შესაბამის წერილობით წყაროებში VII საუკუნიდან იხსენიება. აღსანიშნავია, რომ აქ, ატენის სიონის აშენების პერიოდში (VII ს.) იგი ქალაქად ჯერ კიდევ არ იწოდებოდა. იგი ერთხანს კლდეკარის ერისთავთერისთავს რატი ბაღვაშს ეკუთვნოდა, რომელიც 989 წელს საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლმა მეფე ბაგრატ III დაიმორჩილა და ატენის ციხესაც დაეპატრონა. ამავე ტაძრის წარწერის თანახმად, მეფე ბაგრატ IV ბრძანებით, ქალაქი აუშენებია ატენის ციხისთავს დაახლოებით XI ს. 60-იანი წლებისათვის და აქედან მოყოლებული ქართველ მეფეთა საკუთრებას წარმოადგენდა. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, როცა აქ-ატენში, მეფე დავით აღმაშენებელს სამეფო საჭურველიც ჰქონდა. ამდენად, როდესაც უფლისციხე წარმოდგენილი იყო ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად, ატენის სიონი თავისი სულიერი კულტურის სიძლიერით და მრევლის სიუხვით გამოირჩეოდა.

---

333 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 535.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ტანის ხეობაში XI ს. ბაგრატ მეფის (IV) ბრძანებით იქ ქალაქი იყო აშენებული. ატენის ციხე ერთ დროს კლდეკართა ერისთავს სჭერია, და „არა მორჩილებდა ბაგრატ მეფესა“, მაგრამ არა ჩანს, ჩვეულებრივ ასე იყო ხოლმე, თუ ატენი საზოგადოდ ქართლის ერისთავს ემორჩილებოდა?“ მაგრამ, როდესაც ბაგრატ მეფეზე განაწყენებულმა ლიპარიტმა მის წინააღმდეგ ცხადი ბრძოლა დაიწყო, კახეთში გალაშქრების „შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყუანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, სამეფოთა ბერძენთა მეფისა ლაშქარითა და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი აზნაურნი „მოელეს ზემო ქვეყანა და ჩავიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი“-ო.[334] ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი, და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა, თვინიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა“-ო.[335]

ისე, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, ერთ-ერთი სტრატეგიული ადგილი ტანას ხეობას ეკავა, სადაც ინტენსიური საბრძოლო თუ მშვიდობიანი ცხოვრების კვალობაზე „ატენ ქალაქს“ და აქ ალმართულ სიონს, პოლიტიკური და სულიერი გაერთიანებისათვის ერთობ მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. ამიტომ, სავსებით გასაგებია, როცა ხეობაში განლაგებული მდიდარი მატერიალური კულტურის ძეგლები ასახავენ იმ ისტორიულ პროცესებს, რასაც სხვადასხვა პერიოდებში ადგილი ჰქონდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კერძოდ, ტანას ხეობის მატიანის როლი გამოისატება თუნდაც აქ განვითარებული ისეთი მოვლენების ამსახველი ცნობებით, როგორიცაა: ბულა თურქის ლაშქრობები, ბაგრატ მეფის სურათები, ამ რეგიონით ქართლის ერისთავებისა და დიდებულების იოანე მარუშისძის ინიციატივით თხოვნა, რათა ტაოს დიდ ერისთავს — დავით კურაპალატს

---

[334] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948, იქვ. გვ. 34, 25, 124.

[335] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 298.

გამოილაშქრა უფლისციხეზე და ქართლის მეფედ მისი შვილობილის ბაგრატ გურგენისძის დასმის შესახებ და რომ დავითმა ეს წინადადება მიიღო და 975 წელს ამ გზის გამოილაშქრა კიდეც, აიღო უფლისციხე და ქართლის მეფედ ბაგრატ III დასვა,[336] და სხვა. თუმცა ბაგრატის გამეფებისა და ამით საქართველოში ერთმეფობას არ თანაუგრძნობდა მანგლის-თრიალეთის ძლიერი ერისთავი — რატი, რომლის მფლობელობაში შედიოდა სწორედ ისეთი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და ეკონომიურად ძლიერი რეგიონი, როგორიც ატენ-თრიალეთის მხარე იყო. „და ამას შინა გარდახდეს წელიწადნი რაოდენნიმე. იყო მას ჟამსა ერისთავად კლდე-კართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით-კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლისხევი და სკვერეთი; არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა“-ო.[337]

აღნიშნული ცნობებიდან ჩანს, რომ სწორეთ ამ გზით, ბაგრატ III უკავშირდებოდა თავისი მეფური უფლებების განსამტკიცებლად, რისთვისაც საჭირო შეიქმნა ატენის ერისთავის რატის დამორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი ატენიდან გამოძევება და საერისთაოს ჩამორთმევა. რატი თავის მხრივ ურჩობდა და დათმობაზე არ მიდიოდა, თუმცა მეფესთან შებრძოლებას ვერ ბედავდა. ამიტომ, მან განიზრახა საქმის მოგება ბაგრატისა და დავითს შორის შურის ჩამოგდებით. ეს ვერაგი განზრახვა კი ბაგრატმა დროზე გაიგო და დავით კურაპალატის ნებართვით 989 წ. გაილაშქრა მასზე, დაამარცხა იგი და დაიმორჩილა.[338] ამასთან, აღსანიშნავია, რომ რატის მემკვიდრეები ვერ ურიგდებოდნენ რა ატენის დაკარგვას, ისინი ყოველთვის ეძებდნენ მოხერხებულ დროს რათა იგი ისევ ხელში ჩაეგდოთ.

ამრიგად, ნაწილობრივ აქ მოტანილი ცნობებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ტანა-ათრევას ხეობა შუასაუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ როლს ასრულებდა, რაზეც ყველაფერთან ერთად სოციალური, ეკონომიკური და სულიერი კულტურის ამსახველი მდიდა-

---

[336] ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 121.
[337] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955 გვ. 276.
[338] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

რი ძეგლებიც მეტყველებენ. ამ მხრივ ერთ-ერთი საყურადღებო ფაქტია თუნდაც ატენის სიონის ტაძრის კედლის 1060 წლით დათარიღებული წარწერა, რომელიც გვამცნობს ბაგრატ IV-ის მიერ ამ ხეობაში ჩატარებულ დიდ მშენებლობაზე და თვით ატენის მძლავრ ციხე-ქალაქად გადაქცევის შესახებ. და რომ მისივე ბრძანებით ქალაქის მშენებლობა უწარმოებია ატენის ციხისთავს გორგანელს თარხანის ძესა და მირიან ერისთავს, რომლის შესახებაც თვით გორგანელი ერისთავი მოგვითხრობს: „ქ. სახელითა ხუთისაითა, მე გორგანელმან, მირიანის ყმამან, თარხანის ძისამან, ატენის ციხისთავმან, ავაგენ სახლნი და ქულბაგი მას ჟამსა ოდეს, ადიდენ ღმერთმან, ძლიერმან მეფეთ მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწას მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა, მეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებაი“-ო.[339]

როგორც ჩანს, აღნიშნული ციხე, რომელიც მეტ-ნაკლები სახით დღემდეა შემორჩენილი, საკმაოდ ძლიერი სტრატეგიული მნიშვნელობისა ყოფილა, რომელსაც თავისი ციხისთავიც — გორგანელი ჰყოლია და ბაგრატის ბრძანებით და მირიანის ზედამხედველობით ატენ-ქალაქის მშენებლობაც განუხორციელებია: „ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი, სასახლენი ადგილი და საქულბაგეო“ და სხვ. აქედანაც ჩანს, რომ აღნიშნული პერიოდისათვის (X-XI სს.) ატენი ერთ-ერთ მსხვილ არა მარტო პოლიტიკურ-სულიერ ცენტრს წარმოადგენდა, არამედ სავაჭრო-ადმინისტრაციულ ადგილსაც, რომელსაც აქტიური ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ქვეყნის არა მარტო შიდა რეგიონებთან, არამედ მეზობელ სახელმწიფოებთანაც. ყოველივე აღნიშნულმა გარემოებებმა, რაც ბუნებრივია გამოიხატა მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების სიმრავლეში, შესაბამისად ეკლესია-მონასტერბისა და თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობათა ინტენსიურ მშენებლობაში და სხვ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტიც, რომ ამ პატარა ხეობაში დღემდე მეტ-ნაკლები სახით შემორჩენილია 50-ზე მეტი მატერიალური კულტურის ძეგლი, მრავალი ნასოფლარი, ნაქალაქარი, სამეურნეო ყოფისთვის დამახასიათებელი კერები და სხვ.

---

339 ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 6.

ასეთ ვითარებაში, ერთ-ერთ მძიმე პერიოდად ითვლება XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც ამ შემთხვევაში ტანა-ათრევას ხეობამ განიცადა თურქეთ-ირანის აგრესიის დროს საქართველოს მიმართ, რამაც გამოიწვია მოსახლეობის აყრა, ნასოფლარების მომრავლება, მატერიალური კულტურის ძეგლების განადგურება და თითქმის ხეობის გაუკაცრიელება. ეს ის ავადსახსენებელი პერიოდია, როდესაც ირანი და თურქეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს დასაპყრობად, როდესაც მათივე წაქეზებით და დახმარებით ლეკთა ბრბოები სისტემატურად დათარეშობდნენ ხეობაში. ტყვედ მიჰყავდათ ხალხი, იტაცებდნენ საქონელს, სარჩო-სანოვაგეს და სხვ. რამაც განსაკუთრებული სიმწვავე მიიღო XVIII საუკუნეში, როდესაც ახალციხის ფაშის დახმარებით და ხელშეწყობით ლეკთა ჯგუფები ამ გზით ქართლის შუა გულშიც აღწევდნენ. ისე, რომ ამ მძიმე პირობების გამო, XIX ს. დამდეგისთვის ტანა-ათრევას ხეობა ერთობ დაზარალებულ-გაერანებული სახით წარმოგვიდგებოდა, რომლის მეტ-ნაკლები სახით აღორძინება ამავე საუკუნის 20-30-იანი წლებიდან იწყება. კერძოდ, როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, გენერალმა ერმოლოვმა აღნიშნული ხეობა გენერალ-მაიორ თავად გიორგი ერისთავს გადასცა. ამის საფუძველი გახდა გიორგი ერისთავის თხოვნა ერმოლოვისადმი, რათა აღნიშნული ხეობა მას პირად საკუთრებაში გადასცემოდა იმ პირობით, რომ ამ გაერანებულ ადგილებში თავის კუთვნილ 50 კომლ გლეხს დაასახლებდა, საიდანაც შექმნილა ყარაულთა რაზმებს ლეკთა თარეშის ასალაგმავად. საამისოდ, როგორც ცნობილია, გენერალმა ერმოლოვმა მიმოწერა გამართა რუსეთის ფინანსთა მინისტრთან (1817 და 1819 წწ.), რამაც სასურველი შედეგიც გამოიღო.[340]

ქსნის ერისთავთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეა გიორგი იესეს (1760-1863), შვილი ქსნის ერისთავის ყულარაღასი იესეს შვილის იესესი, რომლის მამა იესე ცნობილია კიდევ სახელით ალაბაბათი, ამიტომ, გიორგი ერისთავი ზოგჯერ წოდებულია ალაბაბაშვილად. იგი ცნობილი გენერალია, რომლსაც მეტსახელად ეძახდნენ: „დიდი კნიაზი“, „ტავრიჩესკი“, „ჰერი-ჰა“, ჯარისკაცები ეძახდნენ „ბატუშკას“.

---

[340] ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 8.

მისი დროის სხვა გიორგი ერისთავებისაგან გასარჩევად წოდებულია „სენატორად“.

რუსეთის კარზე იგი იყო ყველაზე დაწინაურებული გენერალი, რომელმაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის ყველა ომში მიიღო მონაწილეობა. გიორგი ერისთავი 1799 წ. არის გიორგი XII-ის მიერ რუსეთს გაგზავნილი დეპუტაციის შემადგენლობაში. მოსკოვში იგი დაესწრო ალექსანდრე I-ის 1801 წ. 20 იანვრის მანიფესტის გამოცხადებას. 1846 წ. მისცეს უმაღლესი სამხედრო ჩინი ინფანტერიის გენერლობა. 1861 წ. როდესაც იმპერატორი ალექსანდრე II ეწვია საქართველოს 100 წლის გიორგი ერისთავი ეახლა მას ქუთაისში. იგი ხშირადაა მოხსენიებული რუს მოხელეთა მოგონებებში, ფიგურირებს პ. ერმოლოვისა და მ ვორონცოვის მიწერმოწერაში (ერთი ასეთი მიწერმოწერა ატენის ხეობის შესახებაცაა). მას ყავდა სამი შვილი, აქედან ერთი ვაჟი — ზაქარია, პოლკოვნიკი, რომელიც 1850 წ. ლეკებმა მოკლეს. გიორგი ერისთავმა 1827 წ. მთავარსარდალ პასკევიჩთან შეუთანხმებლად მცირე რაზმით აიღო ქ. თავრიზი, რისთვისაც დაჯილდოვდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით. ამასთან ერთად, მას მისცეს სენატორობა საქართველოში ცხოვრების უფლებით. იგი ერთახნს ცხოვრობდა სიღნაღში, რასაც ადასტურებს 1821 წ. 21 ივლისის წერილი დავით რექტორისადმი, რომელიც კეთილშობილთა სასწავლებლის მოძღვარი იყო. იგი ცნობილია, როგორც კარგი ორატორი თეოლოგიური ნაშრომის ავტორი „მამისაგან შვილის დარიგება“, მის თხზულებაში (გლუხარიჩის) დაბეჭდილია ლექსი „კავკაზი და უხანები“ და სხვ. 1832 წ. შეთქმულებას უთანაგრძნობდა, რომელიც მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილებას ჯერ კიდევ 1830 წ. გამოსთქვამდა, თუმცა მასში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. ჩანს, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა ს. დოდაშვილთან, რომელიც აგრეთვე სიღნაღელი იყო. 1808 წ. გიორგი ერისთავმა შეირთო ცოლად გიორგი XII-ის ასული გაიანე, რომელსაც ამ შემთხვევის გამო სახელმწიფო საბჭომ დაუნიშნა მზითვად 12 000 მან. გაიანე გარდაიცვალა 1820 წ. გიორგი ერისთავი 1863 წ. დასაფლავებულია იკორთაში. მასთან ერთად, ქსნის ერისთავთა საგვარეულოს გამოჩენილი პიროვნებე-

ბია: ელიზბარ შანშესძე ერისთავი (1808-1871), რომელმაც ძმასთან დიმიტრისთან ერთად ააშენა შუშის ქარხანა ატენის მახლობლად სოფ. ღვარებში. ქარხანა შუშით ამარაგებდა ქ. თბილისს, იგი 1855 წ. დაიწვა, თუმცა აღადგინა მისმა შვილმა ივანემ და იჯარით გასცა. 1869 წ. ელიზბარი გორის მაზრის უფროსია. დაკრძალულია გორის საკრებულო ტაძარში; ივანე ელიზბარისძე ერისთავი (1781-1841) ცხოვრობდა თავის მამულში სოფ. ბელოთსა და ქვეშში. მასვე ეკუთვნოდა სოფ. მეჯვრისხევი. იგი ცნობილი იყო სახელებით „სწავლული“ და „ფილოსოფოსი“, რომლის ნაწარმოებები გადაწერა დიმიტრი ოქრუაშვილმა 1811 წ. დასაფლავებულია სოფ. იკორთაში, აქვეა დასაფლავებული შანშე იესესძე (1788-1831) პოდპოლკოვნიკი, რომელიც იყო გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღვარი; დრამატურგ გიორგი ერისთავის მამას დავით როსტომისძეს (1780-1830) ებარა პატარა ლიახვისა და მეჯუდას ხეობის ოსები. იგი მიმაგრებული იყო ოსეთის სასულიერო კომისიაზე და ეხმარებოდა ოსების გაქრისტიანებაში, რისთვისაც მიიღო „გუბერნიის სეკრეტარის“ ჩინი; გიორგი დავითისძე ერისთავი (1813-1864) დრამატურგი, იმ დროს გიორგი ერისთავისაგან განსხვავებულად „გლუხორიჩად“ წოდებული იყო რუსეთის ერთგული. 1850 წ. მსახურობდა ხიდისთავში, საიდანაც გაიწვიეს ქართული თეატრის მოსაწყობად. 1855 წ. თავს ანებებს თბილისს და ბრუნდება ხიდისთავში, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა.[341]

გიორგი ერისთავის თაოსნობით და ძალისხმევით, საფუძველი ეყრება ტანა-ათრევას ხეობის აღორძინებას, რასაც თანდათანობით ხელი შეუწყო ქვეყანაში მეტ-ნაკლებად შექმნილი სასიკეთო სოციალურ-ეკონომიკურმა მოვლენებმაც. დაიწყო სოფლების, მისი ინფრასტრუქტურის აღორძინების პროცესები, ხეობის მოსახლეობის ზრდა, რომელიც ძირითადად ადგილობრივი და ქართლის რეგიონებიდან მიმდინარეობდა. ასეთ ვითარებაში, აშკარად შეინიშნება თავისუფალი გლეხობის იმ ფენის სწრაფვა ამგვარი ადგილებისაკენ, რომელნიც განსაკუთრებით მეცხოველეობის განვითარებას მისდევს. ეს ის პერიოდია, როდესაც ქსნის ხეო-

341 მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, 1980.

ბიდან ნებაყოფლობით ჩამოსახლებული შატაკიშვილების, თინიკაშვილების, წიქარიძეების, პავლიაშვილებისა და სხვათა გვერდით სახლობენ და მრავლდებიან ადგილობრივი და მიმდებარე სოფლებიდან ჩამოსულ-დამკვიდრებული ჩიხლაძეები, ხიბლიშვილები, ბზიშვილები, ტლაშაძეები, ვანიშვილები, ქარელები, ქოქაშვილები, ქერდიყოშვილები, რევაზიშვილები და სხვ. თუმცა ამ სასიკეთო მოვლენების გვერდით, როდესაც მეფის რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, მიზნად ისახავდა ბიუროკრატიულ ემიგრაციას, რამდენადმე დააძაბუნა ადგილობრივი მოსახლეობა, რამდენადაც ამ შემთხვევაში არჩ. ჯორჯაძის სიტყვით: „მიწით გაჭირვებულ ქართლს მთიდან ჩამოსული ხალხი ესევა; აღმოჩნდა, რომ ჟამთა მსვლელობაში, საქართველოს საუკეთესო პროვინციებში, სადაც ძველად ქართული კულტურა ჰყვაოდა, დღეს ოდნავღა მოსჩანს ქართული ეროვნების ნაშთი, რადგან იქ ეროვნული შემეცნებაც მიმქრალა, ენაც ისპობა“.[342]

ამ მხრივ განსაკუთრებული გააქტიურება შეინიშნებოდა ჩრდილო და საერთოდ კავკასიის მთიანეთიდან არაქართული მოსახლეობის ჩამოდინებით, რომელსაც არც ტანა-ათრევად ხეობა გადაურჩა. ცოტა უფრო მოგვიანებით, ტანა, თეძმის, ძამისა და ფრონეს ხეობების გავლით ეს პროცესები თრიალეთის გადაღმაც მიმდინარეობდა.

აქედან გამომდიანრე, სავსებით ბუნებრივს წარმოადგენდა არჩ. ჯორჯაძის გულისტკივილი: „ქართლში ამ უკანასკნელ ხანებში (XIX ს. მიწურულს) შესამჩნევად გაძლიერდა ოსების იმიგრაცია. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ერთიორად მატულობს გადასახლება ფრონეს ხეობაში. აქ გაშენდა სხვა სოფლები, რის გამოც მოისპო ტყე 8500-დე. საფალავანდო მამულში. ოსები დროებით ვალდებულ გლეხებისაგან ჩამორთმეულ ჩამონაჭრებზე სახლდებიან დროებით ვალდებულ გლეხებს უჭირთ, სადაც თანდათან აქ სახლდებიან და მკვიდრდებიან ხიზანი ოსები მემამულეები ორიოდე გროშისთვის უამისოდაც ვიწრო ადგილებზე

[342] არჩ. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1992 გვ. 65.

ახლებს ასახლებენ. აჩეხინებენ ტყეებს და ბუნებით მდიადრ ქვეყანას გაველანებასა და გატიალებას უმზადებენო".[343]

რამდენადაც „საქართველოში თითოეულ მხარეს „თავისი ისტორია" აქვს ზოგადისა და საერთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარჩენთაგან განსხვავებული ისტორიული განვითრაების თავისებურებანიც გააჩნია. მათი შესწავლა-წარმოჩენა აუცილებელია და ეს აუცილებელია სწორედ საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითრაების ცოცხლად, ხორცშესხმულად წარმოდგენისთვის, ამ განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისთვის"...[344]

ტანა-ათრევას ხეობის ზედა წელის მოსახლეობა, რომელიც ბუნებრივად და ისტორიულად ბარის მოსახლეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, თავისთავად განსაზღვრავდა წინამორბედთან მჭიდრო ურთიერთ კავშირის გარდაუვალობას. აღსანიშნავია, რომ ხეობის მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელმაც სახნავ-სათესის, სათიბ-საძოვრების, ხეტყის დამუშავება-გასაღების ათვისების მიზნით, ხშირად რთულ ბუნებრივ პირობებში დაიდო ბინა, თავისთავად ხანგრძლივი დროით არ შეეძლო კარჩაკეტილი ცხოვრება და იგი ესოდენ მძიმე, პირობებშიც კი სხვადასხვა გზებით და საშუალებებით ახერხებდა ბართან ურთიერთკავშირის დამყარებას და პირიქით.

მოსახლეობის ის ფენა, რომელიც გააზრებულად, ხშირად იძულებითი ფორმით ირჩევდა რთულ გარემო პირობებს, ამასთან შესაბამის ლაღ ცხოვრებას, ყოველთვის ითვალისწინებდა ქვეყნის წინაშე მდგარი სირთულეების დაძლევისთვის აქტიურ საავალდებულო სამსახურს. აღსანიშნავია, რომ ქართულ გენში ხშირი ადგილმონაცვლეობის სინდრომი ისტორიულად ერთობ მცირედი სახით იყო წარმოდგენილი, რასაც კარგად ათვითცნობიერებდა ქვეყნის მმართველობა და შესაბამისად ყოველ ღონესაც მიმართავდა მათ ადგილზე დასამკვიდრებლად. ისტორიის ცალკეულ პერიოდებში მოგვეპოვება არაერთი დოკუმენტური მასალა, რო-

---

[343] არჩ. ჯორჯაძე, დას. ნაშრომი, გვ. 59.

[344] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 175.

მელიც ასახავს თვითმმართველობის მოღვაწეობას ქვეყნის რთულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის შესაბამისი შეღავათებისა და დახმარებების გაწევას. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაკლებად დასახლებული ადგილების დასაკავებლად უცხო, მეზობელ ტომთა ნაკადი მოედინებოდა, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდა ისედაც მცირემიწიანი სოფლების მოსახლეობას.

ამგვარი პროცესები გარკვეულ წილად ამ ხეობაშიც განვითარდა განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეებში, როდესაც ძირძველი მოსახლეობის გვერდით ჩნდება ახალშენები, ცალკეული მობინადრეები და ისინი უმთავრესად მის ზედა წელზე სახლდებიან. აქ ჩამოსახლებულთა შორის განსაკუთრებით ოსური მოსახლეობა აღმოჩნდა, რომელთა შემოდინება აღნიშნული დროისათვის უმთავრესად აღმ. საქართველოს მთიანი ზოლისათვის იყო დამახასიათებელი.

ხეობის მოსახლეობის შრომითი საქმიანობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დროის შესაბამის ცვალებადობას განიცდიდა, რასაც განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, მისი საშინაო და საგარეო ურთიერთობა. მაგალითად, როდესაც თურქეთი და ირანი ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს ხელში ჩასაგდებად (XVI-XVII სს), და მათი წაქეზებითა და დახმარებით ლეკთა მოთარეშე რაზმები ქართლს აწიოკებდნენ, მიჰყავდათ ტყვეები, ერეკებოდნენ საქონელს, აოხრებდნენ და აპარტახებდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას და ა.შ. რამაც ერთობ მასიური ხასიათი XVIII ს. მიიღო, როდესაც ახალციხის ფაშას ხელშეწყობით ისინი ტანას ხეობით ქართლის გულში დათარეშობდნენ, ბუნებრივია მოსახლეობა შეადრებით უშიშარ ადგილებში იხიზნებოდა. მართალია მშვიდობიანობის დამყარების პერიოდებში მათი გარკვეული ნაწილი უკან ბრუნდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ხეობის განსაკუთრებით ზედა წელი უმნიშვნელოდ ვითარდება. ამიტომ, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, მთლიანად ხეობაში მრავლობდა ნასოფლარები, ნაფუძრები, ნასაყდრალები, ნაციხარები, ნაბაღ-ვენახევი, ნაფეტერები, ნაკალოვები და სხვ. ადგილები. ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებისთანავე იწყებოდა ამ ადგილების აღორძინებისთვის ხელახალი შრომა-

საქმიანობა, რომელთა სათავეში ერის სასიქადულო, უმთავრესად ინტელექტუალური საზოგადოების წარმომადგენლობა გვეცლინება.

ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული. გრენადერის სარეზერვო ბრიგადის სარდლის, გენერალ-მაიორ თავად გიორგი ერისთავის საქმიანობა, რომელიც გორის მაზრაში იმყოფებოდა და თხოვნით მიმართავდა მთავარმართებელ ერმოლოვს, რათა სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობაში გადასცემოდა ტანას ხეობა, იმ პირობით, რომ იგი ამ გაუკაცრიელებულ ადგილზე დაასახლებდა თავის საკუთარ 50 კომლ გლეხს, რომელთაგან შექმნიდა მუდმივ საყარაულო რაზმს ლეკებისაგან დასაცავად. აღნიშნულის თაობაზე, ერმოლოვმა ოფიციალური წერილით მიმართა რუსეთის ფინანსთა მინისტრს 1817 წლის 8 მარტს, სადაც წერდა:. ... ამ შემთხვევის გამო მე განკარგულება გავეცი ჩემთვის მოეწოდებინათ დაწვრილებითი ცნობები ატენის ხეობის შესახებო. თანახმად ჩემი ბრძანებისა, გორის ოლქის უფროსმა, მაიორმა ტიტოვმა დაათვალიერა ეს ხეობა და მომახსენა, რომ ეს ხეობა არ აღემატება 15 ვერსტს. მასში არის ერთი სახაზინო ბაღი, ორი დესეტინის ოდენა და იძლევა სულ 100 თუნგ ცუდ ღვინოს, სახნავი მიწები სულ არ არის. ამის გამო, გავითვალისწინე ის მცირე სარგებლობა, რასაც იძლევა ატენის ბაღი ხაზინისათვის, შედარებით იმასთან, თუ რა სარგებლობა ექნება ამ ხეობას საყარაულო სოფლებად დასახლებით მთელ ქართლისათვის, რომელსაც ასე აოხრებენ მოთარეშეები გლეხებს.

ამ ადგილობრივი მნიშვნელობის მოსაზრებით საჭიროდ დავინახეთ დავაკმაყოფილო გენერალ-მაიორი ერისთავის თხოვნა და გადავსცეთ მას სამუდამო მფლობელობაში როგორც ატენის სახაზინო ბაღი, აგრეთვე ამ ხეობაში ყველა სახაზინო მიწები, მხოლოდ მას ჩამოვართვი შემდეგი წერილობითი ვალდებულება:

1. რომ მან ახლავე იქ დაასახლოს თავისი გლეხები არა ნაკლებ 50 კომლისა; 2. იყოლიოს თავის გლეხებისაგან მუდმივი ყარაული ამ ხეობის დასაცავად მძარცველთა თარეშებისგან. ამიტომ გთხოვთ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობასთან შუამდგომლობას დაუმტკიცდეს

სამუდამო და სამემკვიდრეო მფლობელობაში გენერალ ერისთავს ატენის ხეობის ყველა სახაზინო მიწები".

იმის შესახებ, რომ ერმოლოვის წერილში ატენის ხეობა მხოლოდ 15 ვერსით და ერთი სახაზინო ბაღით, 100 თუნგი ცუდი ღვინით განისაზღვრება, ბუნებრივია იგი სავსებით შეგნებულადაა დაფიქსირებული და „შესწავლილი", რათა ხეობის ავლა-დიდება ისე წარმოეჩინათ, რომ მისი ერისთავისადმი მუდმივ სარგებლობაში გადაცემას დადებითი პასუხი მიეღო, რაც თავისთავად ამ უკანასკნელის გონივრული ქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო.

ფრიად საინტერესოა ერმოლოვის მეორე 1819 წლის 15 აპრილით დათარიღებული წერილი, სადაც ვკითხულობთ: „მხარის დაცვის ინტერესი ჩემგან მოითხოვდა ფიცხელ განკარგულებას ატენის ხეობა გადამეცა გენ. ერისთავისთვის თავისი გლეხების 50 კომლის დასასახლებლად".

„ეს ხეობა ზედვე აკრავს ახალციხის საფაშოს და ჯერ კიდევ საქართველოს უკანასკნელ მეფეებიდან დაწყებული, რუსეთის ხელისუფლების აქ დამყარების შედეგად იგი უკაცრიელია ყაჩაღურ თავდასხმების მიზნით და ყოველთვის წარმოადგენდა ბუდეს უცხო ყაჩაღებისას, რომლებიც აქედან ქართლს არბევდნენ".

„მთავრობას დღემდე არ ჰქონია შესაძლებლობა ეს ხეობა დაესახლებინა სახაზინო გლეხებით იმ რაოდენობით, რომ მათ ჰქონოდათ საშუალება თავიანთი ყარაულები ჰყოლოდათ და დაეცვათ თავიანთი თავი ჯარების დაუხმარებლად".

„ასეთი დამცველი ჯარის იქ გაგზავნა, საცხოვრებელი ადგილების სიშორის გამო იქნებოდა მეტად საძნელო და თითქმის შეუძლებელიც. ჩემი ეს მოსაზრება დღეის სინამდვილეში გამართლდა, ვინაიდან გენერალ ერისთავის მიერ 50 მეკომურის ატენის ხეობაში გაგზავნის შემდეგ უკვე მეათე თვეა, რაც აქ არ მომხდარა ყაჩაღური თავდასხმები და დარბევები. ამისთვის გთხოვთ შეამდგომლობას მისი უდიდებულესობის წინაშე მამულის სამუდამო და სამემკვიდრეო საკუთრებად თავად ერისთავზე დამტკიცების დაჩქარების შესახებ".[345]

---

[345] ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 8, 9.

ამგვარი მამულიშვილისადმი დაქვემდებარებული ატენის ხეობა მალე იწყებს აღორძინებას, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ქსან-არაგვის ხეობებიდან გადმოსახლებულმა შრომისმოყვარე ხალხმა შეიტანა. ამასთან უნდა ითქვას, რომ რამდენადაც მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ამდენად ისტორიულად რთულად განისაზღვრება ამა თუ იმ გვარის წარმომავლობის საკითხი. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ დოკუმენტშიც არ ჩანს, კონკრეტულად იმ 50 კომლის, კომპაქტურად თუ ერთეულების სახით დასახლების ადგილები. თუმცა სავარაუდოთ, ისინი უმთავრესად ხეობის ზედა წელზე — ტყიან-კორომიან და ნამოსახლარ ადგილებში იქნებოდნენ ჩასახლებული, რამდენადაც ის ფაქტი, რომ სწორედ ამ პერიოდებს ემთხვევა თუნდაც სოფ. საყავრის წარმოქმნა, მიგვანიშნებს ქსნის ხეობის იმ ხელოსანთა ტრადიციების აქ გადმოტანა-დანერგვაზე, რომელიც ე.წ. „ყავარის ხდაში“ და საერთოდ ხის სამეურნეო იარაღ-ინვენტარის ფართოდ სარეალიზაციოდ წარმოებაში გამოიხატებოდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია მათი შრომა-საქმიანობის ტრადიცია ახალ გარემო პირობებშიც პოვებდა შესაბამის ჰარმონიულ განვითარებას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ახალმოსახლეთათვის, უცხოს არ წარმოადგენდა ამ ხეობებს შორის გარკვეულ პერიოდებში საკმაოდ მჭიდრო კავშირურთიერთობა (განსაკუთრებით XVI-XVIII სს.), ცალკეულ შემთხვევებში მიგრაციული პროცესები სავსებით ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

აღნიშნულის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერის მასალა, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს შესწავლილი და „ქსნის ხეობის 1781 წ. ხალხის აღწერის დავთრის სახითაა წარმოდგენილი, მას გ. ერისთავისგან ე. თაყაიშვილის ხელით მიუღია.[346] აქედან ერთი საბუთი იმ უზუსტობაზე მიუთითებს, რომელიც ტეტია და დიმიტრი გარსევანიშვილების სოფლების ნუსხაშია დაფიქსირებული, მათშორის რამდენადაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა,

---

346 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, თბ., 1967, გვ. 205.

იმდენად ისინი სხვადასხვა დროის მონაცემებს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ისინი ერთ თარიღად — 1781 წლადაა მიჩნეულიო. ამის ნათელსაყოფად მოაქვს როგორც ტეტია გარსევანიშვილის, ისე დიმიტრი გარსევანიშვილის სოფლების ნუსხა და დასძენს, რომ ტეტია გარსევანიშვილის სოფლების ეს დოკუმენტი შესაძლებელია უფრო ადრე 1774 წ. ან ეგების კიდევ ადრე იყოს შედგენილიაო. ამავე დოკუმენტით, ტეტია გარსევანიშვილის ნუსხაში 40 სოფელია, ხოლო დიმიტრი გარსევანიშვილისაში კი 48, სადაც ამ უკანასკნელში, კერძოდ ისროლის ხევში სოფ. ატენია მოხსენებული,[347] რაც გვაფიქრებინებს ერთ დროს ტანას ხეობიდან აქ ჩასახლებულმა ხლახმა იგივე ძირძველი სოფელი — ატენი დააფუძნა ან პირუკუ. ასეთი მაგალითები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არცთუ ცოტა მოგვეპოვება. და ბოლოს, ატენ-ათრევას ხეობის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ფუძე რომ ქსან-არაგვის ხეობას უკავშირდება, კარგად ჩანს, თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი იმ მოვლენებიდანაც, როდესაც მათ ძირითად სალოცავად ლომისის წმინდა გიორგის ხატი მიაჩნიათ და ამ რიტუალში დღესაც აქტიურად მონაწილეობენ.

შიდა მიგრაციული პროცესები არსებითად არ ცვლიდა ქართულ ტრადიციებზე ჩამოყალიბებულ სოციალურ-სულიერ მემკვიდრეობას და იგი კიდევ უფრო იხვეწებოდა და შესაბამის ბუნებრივ-პოლიტიკურ გარემოს ესადაგებოდა.

ცნობილია, რომ მოსახლეობის თვითმყოფადობისა და ყოფითი ტრადიციების დაცვა და შემდგომი განვითარება უმთავრესად დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ პირობებზე, ინტელექტუალური რეზერვის მიზანსწრაფულობაზე, მის გონივრულ გამოყენებაზე და სხვ. უმთავრესად მხოლოდ ამ გზით ხდება შესაძლებელი დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის შენარჩუნება. ამ ურთულეს პროცესებში წამყვან ადგილს ისტორიულად განსაზღვრავდა ქვეყნის ხერხე-


---

[347] ივ. ჯაველიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 29.

მალი — სოფლის შემდგომი განვითარება და მის ბაზაზე ქალაქური ცხოვრების წესის სრულყოფა.

ამდენად, საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას, დასაბამიდან მოსდგამს უპირველესად სოფლის აღორძინებისა და მისი შესაბამისი ეპოქისათვის დამახასიათებელი პირობების მიხედვით მოწყობა-განვითარება. საკითხის განხილვის ამ ჭრილში სამაგალითოდ შეიძლება მივიჩნიოთ ხეობის ერთ-ერთი მძლავრი სოფელი ხიდისთავი, რომელიც XVIII-XIX სს. მიჯნაზე უნდა იყოს აღმოცენებული. ამის მოსაზრების უფლებას გვაძლევს აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლი და ის ფაქტი, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ხეობის აღწერისას სოფ. ხიდისთავი არ აქვს დაფიქსირებული.

ხიდისთავში მოსახლე ძირითადი გვარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ქ. გორისა და ხეობის ზედა წელის სოფლების ხარჯზეა აღმოცენებული. აღნიშნული პროცესი სავსებით შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც მისი გეოგრაფიული მდებარეობა ამის პირობას იძლეოდა. სოფ. ხიდისთავი, ფაქტობრივად გორის საგარეუბნო ზონასა და ხეობის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას ესაზღვრება. იგი გორის მიმდებარე, თეძმის, ტანას და მტკვრის ხეობის შესაყარგზაჯვარედინ-ვაკე ადგილზეა გაშენებული, რომელიც მალე იქცა ერთერთ მსხვილ სავაჭრო-სამიმოსვლო ცენტრად. სოფლის ახლად აღმოცენებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აქ, მატერიალური კულტურის მხოლოდ ერთადერთი ძეგლი — გვიანფეოდალური ხანის საგვარეულო სალოცავი — „ღვინიაანთ“ ეკლესიის ნანგრევებია.



სოფელ ხიდისთავის ცაიშქი ასურელი მამის სახელობის ეკლესია

ისე, რომ ხიდისთავი, რომელიც ხეობაში აღიარებული იყო ყოველმხრივ შემკობილ-დაწინაურებულ ადმინისტრაციულ ცენტრად, ფაქტობრივად არ არსებობდა შესაბამისი სალოცავი — ეკლესია, რომელის ფუნქციას მეტ-ნაკლებად ასრულებდა „ღვინიაანთ“ ეკლესიის ნანგრევების მიმდებარედ მოწყობილი ნიში, რომელიც ჩამოტანილ იქნა ხეობის სათავეში, მთის წვერზე მდებარე „დანახვისის“ სალოცავიდან, სადაც 20 მაისს იმართება სახალხო დღესასწაული — „ახალჯვრობა“ და მიმდინარეობს ღვთისმსახურება.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ქვეყანაში გაჩნდა შესაძლებლობა ლეგალურად აღიარებულიყო ქართველი ერის მართლმადიდებლური მრწამსი და ფართოდ გახსნილიყო ეკლესია-მონასტრების კარი, ხიდისთავის მკვიდრმა ხეობაში ისტორიულად ცნობილი გვარის წარმომადგენელმა, ახლაგაზრდა ისტორიკოსმა თეო ტლაშაძემ ითავა ეკლესიის აგება. ამ მიზნით, გორისა და სამთავისის მიტროპოლიტ ანდრიას ლოცვა-

კურთხევით და ხელშეწყობით, 2006 წელს საფუძველი ჩაეყარა და მიმდინარეობს მშენებლობა ცამეტი ასურელი მამის სახელობის შესანიშნავი ეკლესიისა, რომელსაც სახელი ცამეტი ასურელი მამის ხსენების დღის (20 მაისი) აღსანიშნავად ეწოდა.

რამდენადაც სოფ. ხიდისთავი, როგორც დასახლებული ადგილი ისის იყო იქმნებოდა და ძლიერდებოდა, ამდენად ბუნებრივია ლეკთა თარეშიც არ შეჰხებია და არც XIX ს. 20-იანი წლებისთვის გიორგი იესეს ძე ერისთავისგან შეძენილიც არ იქნებოდა. აღნიშნული ადგილ-მამული სახაზინოს წარმოადგენდა და მას ჩვეულებრივად მემამულეები განკარგავდნენ. სახაზინო საბატონო გლეხთა საერთო მდგომარეობა კი ისე იყო მოწყობილი, რომ მათ ყოველგვარი უფლებები ჰქონდათ ჩამორთმეული და ამდენად მათი მფლობელები შეუზღუდავად თვითნებობასაც იჩენდნენ. ამიტომ, ხშირად სულ უბრალო საბაბიც კი საკმარისი ხდებოდა, რათა მემამულეს თავის ყმა სამაგალითოდ დაესაჯა, ხოლო გადასახადებზე უარის შემთხვევაში კი მეტად მკაცრი ზომებისთვის მიემართა. ამასთან, მემამულეები არაიშვიათად თავს ესხმოდნენ მათ, ძარცვავდნენ, იტაცებდნენ მიწებს, ბაღებს, შინაურ საქონელს, ფრინველს, სამეურნეო მოწყობილობას და სხვ. ასეთ გარემო პირობებში ყალიბდებოდა და ფართოვდებოდა სოფ. ხიდისთავი, სადაც მიმდინარეობდა მწვავე სოციალური ურთიერთობების წინააღმდეგობრივი პროცესები.

1818 წელს გორის მაზრის სოფლების კამერალური აღწერით ხიდისთავში მცხოვრები 121 კომლი ფლობდა 390 დესეტინა მიწას, აქედან სასოფლო თემისგან ნაბოძები იყო 282 დესეტინა.

XIX ს. 30-იანი წლებისათვის, ხიდისთავის დასახლება საკმაოდ მოზრდილი უბნის სახით იყო წარმოდგენილი. 1845 წ. საბუთი იტყობინება, რომ გორის მაზრის – ხიდისთავის უბნის გლეხებს გიორგი პეტრე და სიმონ დურგლიშვილებს, რომლებმაც „გაბედეს“ თავისუფლების ძიება მემამულე თარხნიშვილებისგან, ბრაზმორეული თავადები თავს დასხმიან „საზღვარგადასულ“ გლეხებს და სულ ერთიანად აუწიოკებიათ. იმ უწყისიდან, რომელიც თან ერთვოდა ვორონცოვის სახელზე დაწერილ მათ განცხადებას, აღნიშნულია, რომ თარხნიშვილებმა გლეხებს წაართვეს

ერთი ძროხა, 6 ხარი, 2 ღორი, 2 კამეჩი, 12 ქათამი, 19 კილო ხორბალი, 5 კილო ქერი, 1 თოფი და 12 მანეთი ფულად.

სახელწოდება ხიდისთავი, გორის ძველ ხიდთან სიახლოვემ განაპირობა, სადაც ქვითკირის ბურჯები დღესაც კარგადაა შემორჩენილი, რომ გორიდან, ამ ხიდის გავლით მიემართებოდა გზა ტანა-ატენის ხეობაში და გადაღმა (თეძამ-კავთურას ხეობებისკენ დ.პ.). ხიდისყურზე დგებოდნენ ვაჭრები, ქარავნები, ჩალვადრები და, რომ ეს ადგილი წარმოადგენდა ერთგვარ სავაჭრო-საბაჟო ადგილს, რომელიც სახაზინოდ — სამეფოდ ითვლებოდა. ს. მაკალათიას ჩანაწერების მიხედვით (XX ს. 50-60-იან წლები) აქ მცხოვრები ტლაშაძეები ამავე ხეობის სოფ. ატენიდან ჩამოსახლებულან. ეს გვარი შეძლებული და უბატონოდ ყოფილა. მართალია ციციშვილები ცდილობდნენ მათ დაყმევებას, მაგრამ ვერას გამხდარან, რამდენადაც მათ ხელმწიფესთან უჩიელიათ და იქიდან დასტურიც მიუღიათ: „რომ ტლაშაძის კარზე მზისა და წვიმის გარდა არაფერმა არ გაიაროსო, თორემ რისხვას მიიღებთ“-ო.[348]

ცნობილია, რომ იასე ტლაშაძე იყო ვახტანგ VI წრის პოეტი, რომელსაც დაუწერია პოემა „კათალიკოს-ბაქარიანი“, სადაც მოთხრობილია ვახტანგისა და ბაქარის ბრძოლების ამბავი, ქართლის აოხრება სპარსელებისა და ოსმალებისაგან, ვახტანგის რუსეთში გადახვეწა და სხვ. იესე ტლაშაძე ყოფილა მღვდელი, რომელიც ვახტანგს რუსეთში გაჰყოლია, მაგრამ ადრევე უკან დაბრუნებულა საქართველოში და კათალიკოს დომენტის ხლებია სტამბულში. 1727 წ. აქ დაუწერია „კათალიკოზ-ბაქარიანი“, სადაც ქართლის მდგომარეობას ოსმალთა უღელქვეშ ასე გადმოგვცემს:

„რა ჯაერი გჭირდა, წყეულო, ქართლი რომ გაათავია?
მდიენისშვილს დავითს და ზურაბს დააყრევინე თავია,
უბრალო ქაცნი დაჰხოცე, რა გიყვეს იმათ ავია?
შენს ცოლსაც ის დღე მოუვა, რაც იმათ ცოლთ თქვან ვაია!“

(კ. კეკელიძე, ა, ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1960, გვ. 441).

---

[348] ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957 წ, გვ. 12.

ხიდისთავის მეორე უბანია ოხერა, რომელსაც სახელი გადმოჰყვა ჯავახეთის სოფ. ოხერადან გადმოსახლებულთა მიერ. თუმცა მეორე მოსაზრებით, რამდენადაც ეს ადგილი ხშირ აოხრებებს განიცდიდა, ამდენად სახელწოდებაც აქედან უნდა მომდინარეობდეს.

1886 წ. გაზ. „ივერია“ — 18 თებერვლის კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ხიდისთავი გორიდან ორი ვერსის მანძილზეა. ქართლში თუ პირველი არა მეორე სოფელი მაინცაა. კარგი ჰავა, წყალი, მდებარეობა, მინდორი და ტყე ახლო. მდ. ტანა რწყავს მშვენიერ ვენახებს, რომლის ღვინო მუხრანის შემდეგ განთქმულია და კარგ ფასშიც იყიდება. სხვა სოფლებში რომ კოკა ტკბილი ოთ-ხუთი მანეთია, აქ შვიდი-რვა მანეთი, გასავალიც კარგი აქვს გორი ზედვეა. თვითონ დედაკაცებსაც კი გამოაქვთ ხილი გასასყიდად და ერთ ატამსაც არ გააფუჭებენ რომ ფასი არ აიღონ; კვერცხს, ქათამს და ყოველსავე წვრილ-წვრილად კარგად ასაღებენ. მცხოვრებთა რიცხვი ორასზე მეტია, ზაფხულობით აქ დიდი ხალხი მოდის. დღე მუდამ შეხვდებით ხიდისთავში გორელს, რადგან მათ უმეტესად ვაჭრებს გლეხებისგან ბევრი მამული აქვთ შეძენილი, მუქთად ჩაგდებული, ნამეტნავად ვენახები; ვენახებში კარგი ლაზათიანი სახლები აქვთ ჩადგმული ორსართულიანებიც კი. მარნები, ქვევრები, მოკირწყლული და მშვენიერი „ბესეტკებით“ მომართული. ასეთ სოფელს კი ისეთი დიდი ნაკლი აქვს როგორიც უსკოლობაა. აქ ღარიბნიც არიან, მაგრამ უმთავრესად შეძლებულნიც. ირგვლივ სოფლებში: კავთისხევი, ახალქალაქი, მეტეხი, გომი, ხოვლეში სკოლებია აქ კი არა. ნუთუ ერთი მასწავლებლის შენახვა არ შეუძლიათ.

ამ უბედურებას ისიც დაემთხვა, რომ სოფელმა დაკარგა 70 წლის დეკანოზი გიორგი კარიჭაშვილი 26-ს კვირას არქიმანდრიტმა მაკარიმ სწირა შტატის ეკლესიაში წირვისას მშვენივრად იგალობეს კარბელოვის გალობანი ნიკო ბერიშვილმა თავისი ოთხის გორის სას. სემინარიის სასწავლებლისაგან მოწვეული მოსწავლეებით. წირვის შესრულების შემდეგ გორის სობორის მიძინების მღვდელმა იოელ გამრეკელმა დიდებული სიტყვა წარმოთქვა ...“

ხეობაში, თავისი ისტორიული წარსულით და გეოპოლიტიკური მდგომარეობით ყველაზე თვალსაჩინო ადგილი სოფ. ატენს ეკავა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ატენი მცირე ქალაქი. მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არის ციხე მაღალსა კლდესა ზედა, ნაშენი დიდი, და ციხის გორის სამხრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებული; ჩრდილოთ კერძ სდის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა. და სდის სხვაცა ცივი წყარო, ატენის სამხრით არს მონასტერი, სიონი, გუმბათიანი, კეთილნაშენი“-ო.[349]

ატენის პოლიტიკურ-მეურნეობრივ მნიშვნელობას განსაზღვრავს მისი მდებარეობა ხეობის შუა წელზე, მთისა და ბარის გარდამავალ ზოლში, რომელიც ისტორიულად შიდა ქართლის ძირძველი მოსახლეობის ძალისხმევითა და წინდახედულობით შენდებოდა. სოფელი წარმოადგენდა ფრიადმნიშვნელოვან დასახლებას ხეობაში მშვიდობიანობის, ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის განსაზღვრის საფუძველს. იგი, როგორც ერთ-ერთი მსხვილი დასახლებული ადგილი, ბუნებრივია აქ სიონის დიდებული ტაძრის აშენებამდე არსებობდა. თუმცა მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულ პრიორიტეტს იძენს VII საუკუნიდან, როდესაც აქ სიონის ტაძარი იქნა აგებული და იგი ჯერ კიდევ ქალაქად არ იყო ცნობილი. როგორც ითქვა, ატენი, ერთხანს კლდეკარის ერისთავთერისთავს რატი ბაღვაშს ეკუთვნოდა. ხოლო მას შემდეგ რაც საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლმა მეფე ბაგრატ III დაიმორჩილა რატი, 989 წ. იგი ატენის ციხესაც დაეპატრონა. ამ ტაძრის წარწერის მიხედვით, მეფე ბაგრატ IV-ის ბრძანებით, ქალაქი აუშენებია ატენის ციხისთავს დაახ. XI ს. 60-იან წლებში და აქედან მოყოლებული იგი ქართველ მეფეთა საკუთრებას წარმოადგენდა, სადაც დავით აღმაშენებელს სამეფო საჭურჭლეც კი ჰქონია. მისი დაწინაურება-გაქალაქება განაპირობა მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მეურნეობრივმა მნიშვნელობამ. ქალაქი შენდებოდა და იზრდებოდა სიონის მიდამოებში – მდ. ტანასა და მისი მარჯვენა პატარა შენაკადის შესართავამდე. ხეობის

---

[349] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 57.

ვიწრო სანაპების მიუხედავად, აქ კარგი პირობები იყო მიწათმოქმედების განვითარებისთვის, რასაც ადგილობრივი მეურნე ზედმიწევნით ინტენსიურად იყენებდა. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „სოფ. თელოვანის წარმატება ადრეფეოდალურ ხანაში, რომლის მატერიალური მოწმობაა ტაძარი „ჯვარი-პატიოსანი“, ხოლო ატენის დაწინაურება VII საუკუნეში, როცა იქ სიონს აგებდნენ, ტანას ხეობიდან გამოყვანილ რუს წყალობაა“.[350] რამდენადაც ტანას ხეობაზე გადიოდა უმოკლესი გზა შიდა ქართლსა და სამხრეთ საქართველოს შორის, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამდენად იგი სისტემატიურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოლიგონად იყო ქცეული. აქედან გამომდინარე ტანას ხეობის მფლობელობა ყოველთვის სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა და მისი მეთაური ცდილობდა ამ რეგიონის იმფრასტრუქტურულ განვითარებაზე. ამ მიმართულებით თუ განვიხილავთ ხეობის ცალკეულ ისტორიულ მოვლენებს, ნათლად გამოჩნდება ატენის, როგორც პოლიტიკური, თავდაცვითი და სულიერი კულტურის ერთ-ერთი ძლიერი ფორპოსტის მნიშვნელობა.

როდესაც XI ს. შუა ხანებში ბაგრატ IV-ის ნახევარძმამ დემეტრემ ძლიერი ფეოდალის ლიპარიტ ლიპარიტის ძესთან ერთად ბიზანტიის დახმარებით სცადეს ატენის ციხის აღება, რაც მარცხით დამთავრდა, სწორედ ამ ქალაქს ითვალისწინებდა ქართლის დამორჩილებისათვის ერთ-ერთ მძლავრ საყრდენ ბაზად გადასაქცევად., XIII საუკუნეში ქართლის სხვა სოფლებთან ერთად, აბაღა ყაენმა ატენი დავით ულუს უწყალობა, ხოლო დემეტრე II დროს კი მცირე ხნით ატენისა და „მისი ქვეყნის“ (ხეობის დ.პ.) მფლობელია რაჭის ერისთავი კახაბერი, რომელიც ღალატისთვის სიკვდილით იქნა დასჯილი და ამდენად იგი კვლავ მეფეთა საკუთრებად იქცა და როდესაც სამეფო ხელისუფლება (განსაკუთრებით დავით აღმშენებლისა და გიორგი III დროს) იბრძოდა ქალაქების დაუფლებისთვის, განთავისუფლებული მსხვილი ქალაქები მსხვილ ფეოდალებს კი არ უწყალობა, არამედ უშუალოდ მეფის ხელისუფლებას დაუმორჩილა, სადაც თბილისის, რუსთავის, გორის, ქუთაისის, სამშ-

[350] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 298.

ეილდეს, დმანისს, ხუნანსა და სხვა ქალაქებს შორის ატენიცაა ნახსენები., ცნობილია აგრეთვე ის ფაქტიც, როცა XVI ს. დასაწყისში ქართლის მეფე დავით X კახეთის მეფემ ავგიორგიმ როგორ გამოამწყვდია ატენის ციხეში, მაგრამ იგი ისე იყო გამაგრებული, რომ ვერ იქნა აღებული., აგრეთვე აღსანიშნავია 1556 წ. შაჰ-თამაზის მიერ ატენის ციხეზე იერიშის მიტანა, სადაც შეხიზნულები იყვნენ ქართლის მეფის ლუარსაბის დედა ნესტან-დარეჯანი, მეფის და და სხვა ქართველ დიდებულთა ოჯახის წევრები, მხოლოდ ღალატით იქნა აღებული XVIII ს. 30-იან წლებში, როდესაც ქართლის მეფეს როსტომს აუჯანყდნენ ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I – მომხრე დიდგვაროვანი ფეოდალები, შეთქმულებმა ატენის ციხეს შეაფარეს თავი, როსტომმა იგი აიღო და დაანგრია. ამის შემდგომ, ატენის ციხეს აღარ შეუსრულებია რაიმე მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში

მომდევნო პერიოდებიდან აღსანიშნავია XVIII საუკუნეში ლეკთა განუწყვეტელი შემოსევები, რომელმაც მნიშვნელოვნად მოშალა და დააკნინა ოდესღაც მდიდარი და აყვავებული ქალაქი ატენი. ამიერიდან იგი გადაიქცა როგორც სოფელი და ერთ-ერთი სავაჭრო ადგილი, რაც XIX საუკუნემდე გრძელდებოდა.

XIV-XV საუკუნეებში, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება იბრძვის მსხვილი მამულები თავის ინტერესებს დაუქვემდებაროს და კიდევ უფრო გააძლიეროს მზარდი ფეოდალის სახელი, ამ შემთხვევაში მის განსახორციელებლად იყენებდა სამამულო სისტემას. თუ ერთ შემთხვევაში სამამულო სისტემის – ფეოდალური საკუთრების დაცვისთვის იბრძვის მეფე, მეორე შემთხვევაში მას ძალიან უჭირს და ძალაც არ გააჩნია განახორციელოს თავისი უფლება ყმა-ვასალის დასჯისა ან „შეცვალებისა“. მაგალითად, მეფე ვახტანგ (1443-1446) თავად თაყა ფანასკერტელის „ხელთ შეპყრობას“, რადგან „ჰხედავდა,“ რომ ასეთი რამ ადვილად არ ჩაუვლიდა მას, ეს ყმა-ფეოდალი მეფეს შეიარაღებული ძალით დაუხვდებოდა ახლა მეფე-სიუზერენს ის დარჩენია, ასეთი თავადები „მოიმადლოს“ სახელის წყალობით, რათა ამ გზით თავის სამსახურში ჩააყენოს ისინი: თაყა ციციშვილს მეფემ ატენის მოურავობა

უბოძა, მაგრამ „მეფე დია დაღონდა ატენის მიცემასო“. იქვე კი დასძენს, მეფე დაიმედეს — ატენის დაკარგვას ნუ დაეძებ, თუკი „მისთანა კაცი მოიმადლოო“.[351]

ტანას ამ ვიწრო, მაგრამ საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ხეობაში, ატენი წარმოადგენდა იმ დამაკავშირებელ ობიექტს, რომელიც ისტორიულად ერთ მუშტად კრავდა მთა-ბარობისათვის დამახასიათებელ ყოფით ტრადიციებს და როგორც ითქვა ამ ფუნქციის მაღალ დონეზე წარმოჩენას, თავისთავად განსაზღვრავდა მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული და სტრატეგიული მდგომარეობა. მოცემულ გარემოებათა გამო, განსაკუთრებით XIX ს. II ნახევრიდან, სავაჭრო-სამიმოსვლო ურთიერთობათა გააქტიურებამ კიდევ უფრო გააფართოვა ატენის არიალი, რომლის ბაზაზეც წარმოიქმნა ახალ-ახალი უბნები და დამოუკიდებელი დასახლებული ადგილები — სოფლები: ჯებირი, ვანიაანთ უბანი, ფუხაანთ უბანი, გარდატენი, დიდი ატენი, პატარა ატენი, დეგეულა და ჭეჭელაანთ უბანი.

როგორც ახლად წარმოქმნილი სოფლების სახელწოდებებიდანაც ჩანს, თავდაპირველად, ისინი უმთავრესად საგვარეულო დასახლებებს წარმოადგენენ, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს სოფელ ატენის ერთერთ მძლავრ ცენტრად აღორძინებაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად ატენის მოსახეობაში და საერთოდ ხეობაში უმთავრესად ჭარბობდნენ ვანიშვილები, ფუხაშვილები, ჭეჭელაშვილები, ბზისშვილები, ტლაშაძეები ლოთიშვილები, რევაზიშვილები, სააკაძეთა წინაპრები და სხვ. რომელსაც შედარებით მასიურად შეემატა ქსან-არაგვის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელთაც გააჩნდათ მემკვიდრეობითი ურთიერტკავშირის ღრმა ფესვები. აღნიშნული პროცესების ერთ-ერთი გამოვლენაა ქსნის საერისთოას ისროლის ხევში სოფ. ატენის არსებობაც.

სოფ. ატენის გაძლიერება-გაფართოვების შედეგად, უბნებისა და სოფლების წარმოქმნა, ბუნებრივია ხანგრძლივ პროცესს მოიცავდა და იგი გამომდინარეობდა შესაბამის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთხანს ატენის ერთერთი მსხვილი უბნის — ჯებირის ისტორიის ირგვლივ სალხური გადმო-

---

351 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 83; 1973, გვ. 813.

ცემა, რომელიც პიროვნებას უკავშირდება და მას ვახუშტი ბატონიშვილი-იც ადასტურებს: „ამას ზეით მიერთვის ტანას ხევი დრისა, გამომდინარე რაზმითისა მთისა და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქ არს საფლავი ჯეფირისა, რომლისა სიგრძე ხუთი ადგილი, და სცოცხლობდა ჟამსა როსტომ მეფისასაო“[352] (1632-1658 წ.წ.).

ს. მაკალათიას მიხედვით, აღნიშნულ გარემოებას ხალხური თქმულებაც ადასტურებს. ჯეფირი თურმე ისეთი ფიზიკური, გოლიათური აღნაგობისა ყოფილა, რომ მის ფეხის პაიჭში ერთი კოდი ხორბალი ჩადიოდ... და რომ ატენში, დღესაც არსებობს ასეთი გამოთქმები „ჯეფირი ხომ არა ხარო“, „ჯეფირივით ზორბააო“, „ჯეფირივით ღონიერიაო“ და სხვ.[353]

ხეობაში მთის სოფლებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე წერო-დიდი წერეთი. სოფელი განლაგებულია ამავე სახელწოდების მცირე ხეობაში და იგი ატენიდან ექვსიოდე კილომეტრზე მდებარეობს. მთის პირობების შესაბამისად, იგი შედარებით გაშლილ ადგილზეა, რომელიც შემკულია ტყიანი კორომებით და უხვად მოჩუხჩუხე წყაროებით. მთის რეგიონის სოფლებს შორის, რომელთათვისაც დამახასიათებელია პატარა-პატარა დასახლებები — სოფლები, წერო, ატენის მსგავსად ერთ-ერთ მრალავკომლიან დასახლებად ითვლებოდა. სოფელს ვახუშტი ბატონიშვილი ოდეზღაც მჭიდროდ დასახლებულ ადგილად მიიჩნევს, რამდენადაც მის სანახებში უხვად ყოფილა შემორჩენილი ნასახლარ-ნაფუძრები, ციხე-კოშკებისა და ეკლესია-მონასტრების ნანგრევები, საფლავის ქვები და სხვ. აღსანიშნავია, რომ დღესაც ადგილობრივი მოსახლეობა სოფელს მიიჩნევს ხეობის „წყალგამყოფად“, ანუ მთასა და ბარს შუა მდებარე, საზღვრად, რითაც მისი ფუნქცია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მისი ერთ-ერთ მძლავრ დასახლებულ პუნქტად და ორ სოფლად — დიდი და პატარა წეროდ წარმოჩენა სავსებით კანონზომიერ პროცესს წარმოადგენდა.

---

[352] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 57.
[353] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 12.

სოფლის სანახებში შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ე.წ. დიდი წერეთის კოშკი, რომელიც ეკლესიის სიახლოვეს, ნასახლარებთან მდებარეობს და XIV-XV სს. თარიღდება. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, იგი ხუთსართულიანი ნაგებობა და პირამიდის ფორმით — კვადრატული სახით ყოფილა წარმოდგენილი. ამავე პერიოდებს განეკუთვნება აგრეთვე ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის ნანგრევებმაც დღევანდლამდე მოაღწია. რამდენადაც სოფელი ხეობის ვერტიკალური განლაგების გარდამავალ ზოლშია მოქცეული, ამდენად მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გვერდით მებაღეობა-მევენახეობაც წარმოადგენდა. ისევე, როგორც შინამრეწველობის დარგებს შორის განვითარებული იყო ხე-ტყის დამუშავება, სამეურნეო და საოჯახო იარაღინვენტარის და სხვ. წარმოება. შესაბამისად აქტიურად მიმდინარეობდა აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, სოფლის სანახები მდიდარია აგრეთვე ფიქალ-ქვებით, რაც საშუალებას იძლეოდა არა მარტო ქვითკირის მტკიცე ნაგებობათა შესაქმნელად, არამედ სამეურნეო-სარიტუალო დანიშნულების მოწყობილობათა, კერძოდ წისქვილის ქვების, ხელსაფქვავების, საფლავის ქვებისა და სხვ. წარმოებისათვის.

როგორც ითქვა, მთის რეგიონის დასახლების ტიპების შესაბამისად, ტანა-ათრევას ხეობის ზედა წელში მცირე სოფლებია წარმოდგენილი, რომელნიც ძირითადი დასახლებიდანაა აღმოცენებული: პატარა წერეთი, ზემო ბოშური, პატარა ჭვარები და სხვ. ისევე, როგორც ბევრი მათგანი მეურნეობრივი მდებარეობით და გვაროვნული დასახლებით ხასიათდება: ფეტვის ხევი, ყველაანთ უბანი, თხინალა, სახორცე, საყავრე და სხვ. რომელთა უმრავლესობა XIX-XX საუკუნეებში უნდა იყოს წარმოქმნილი.

ტანას ხეობის ზედა წელის ვიწრო აუზის მიხედვით სოფ. ბობნეიდან. ისტორიულად მთის ზონადაა მიჩნეული სოფლები: ფეტვისხევი, დრე, ქვ. ბოშური, ზემო ბოშური, ორმოცი და გაიჩაანთ უბანი, რომლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ამას ზეით მოერთვის ტანას ხეისა დრისა, გამომდინარე რაზმითის მთასა; და არს მთა კალთათა ტყია-

ნი, თხემთა უტყეო. აქ არს საფლავი ჯაფირისა, რომელსა სიგრძე ხუთი ადლია„ და სცოცხლობდა ჟამსა როსტომ მეფისასა. ხოლო ბობნევს ზეით ერთვის ტანას ღუის-ხევი, გამომდინარე საცხენისის მთისა. და ბობნავამდე ხეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი; მას ზეით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდენი, ტყიანი და ცხელი. კოწახური არს ტყედ. ბობნევს ზეით, ჩრდილოთ არს ციხე კიკანათბერი, კლდით მოზღუდული, და წყარო შიგ გამომდინარე, და ფრიად მაგარი ...“[354]

ამჟამად, ბობნევის სანახებში მეტ-ნაკლებად შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ბიისის ეკლესია, რომელიც განვითარებული ფეოდალური ხანითაა დათარიღებული. აქვეა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ანუ კოშკების ეკლესია, რომელიც თარიღდება XVII ს. II ნახევრით (1661-1683 წ.წ.), აგრეთვე კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც სოფლის განაპირა, შემაღლებულ ადგილზეა აგებული და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება.

მიმოიხილავს რა ო. ფირალიშვილის მიერ აღწერილ ბობნევის მოხატულობის შესახებ ცნობას, ს. მაკალათია წერს: „კოშკების ეკლესია აგებულია სოფლის თავზე, ტანას მარცხენა ნაპირზე, ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ნაგებია ქვით და თავისი არქიტექტურული გაფორმებით ინტერესს არ წარმოადგენს. მის კედლებზე დაცულია ფრესკული მხატვრობა. აქვს ორი წარწერაც: ერთი ლაპიდარული, მეორე ფრესკული, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეს ეკლესია აუშენებია და მოუხატვინებია 1683 წ. იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწეს — „დიდმოურავია“-ნის ავტორს, იოსებ თბილელს. აქვეა მოთავსებული იოსებ თბილელის პორტრეტული გამოსახულებაც. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძის ჩამომავალი იყო და ეს სოფელი „ბობნევი“ სააკაძეების სამემკვიდრეო ყოფილა. ამის გამო, გასაგებია იოსებ თბილელის მზრუნველობა ბობნევის ეკლესიაზე“-ო. ეკლესიის სიახლოვეს, მდ. ტანას ნაპირას მდგარა მაღალი, ოთხსართულიანი კოშკი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა გიორგი სააკაძისას უწოდებენ, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი „კიკანათბერს“.

---

[354] ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

ბობნევს ზემოთ, მდინარის აყოლებაზე მდებარეობს ქვ. ბოშური, რომლის სანახები განსაკუთრებით მდიდარია ნაირფეროვანი-შერეული ტყეებით, განსაკუთრებით კი ნაძვნარ-ფიჭვნარით, და ოდითგანვე ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო დასასვენებელ-სააგარაკო ადგილად. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა სამთო მიწათმოქმედება და მეცხოველეობაა. შესაბამისად, საკმაოდ მაღალ დონეზეა შინამრეწველური დარგები, რომელთა ნაწარმის ძირითადი ნაწილი ადგილობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. როგორც ჩანს, სოფელი, ისტორიულად ერთ-ერთი მძლავრი დასახლებული საფორტიფიკაციო მნიშვნელობის პუნქტი უნდა ყოფილიყო, რაზეც მეტყველებს რამოდენიმე ნაციხარი, ნასახლარ-ნასაყდრალი და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები. ჩანს, რომ XVIII ს. სოფელი ფაქტობრივად აღარ არსებულა, რამდენადაც ამ ადგილების აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილს დაფიქსირებული არ აქვს.

რამდენადაც სოფელი ხეობის ზედა წელზე იყო განლაგებული, ამდენად იგი თრიალეთის მხრიდან მომხდურ-მოთარეშე მტრის პირველ დარტყმებსაც იღებდა, რის გამოც მოსახლეობა ხშირად იხიზნებოდა და მისი ძირითადი ნაწილი უკან აღარ ბრუნდებოდა. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება როცა ყოფამ დღევანდელობაში შემოგვინახა გამოთქმა:

„შვილო ნუ წახვალ ბოშურსა,
ბოშური ეკლიანია,
წახვალ და ველარ წამოხვალ,
შენი ჩამოსვლა ძნელია!“

ბობნევისა და ზოგადად ხეობის აღორძინება იწყება XIX საუკუნიდან, როდესაც მისი გარკვეული ნაწილი გიორგი ერისთავის კუთვნილებად იქცა. სწორედ ამ მოვლენასთანაა დაკავშირებული ისეთი გვარების დაფუძნება, რომელთა ძირი ქსან-არაგვის ხეობებშია გავრცელებული. ესენია: თინიკაშვილები, პავლიაშვილები, თოფჩიშვილები, გიგაურები, ქოქიაშვილები და სხვ. აღნიშნულ ფაქტს ნათელს ფენს 1863 წ. მებატონე ერისთავის მიერ ატენის ხეობის გლეხებისათვის ფულადი გადასახადის 200 მან და 45 კაპ. გაზრდის შედეგად მოსახლეობისგან უარის გამო

ეგზეკუციის ჩაყენებისა და დარბევის ფაქტის დაფიქსირებაში ზემოაღნიშნული გვარების მოხსენება.

ისტორიული ძეგლებიდან ზემო ბოშურში აღსანიშნავია ე.წ. „საყდრის ხევის“, ან „მშრალი ხევის“, „ღვთისმშობელი“, რომელნიც სოფლის მიმდებარე ტერტორიაზეა აგებული და გარს აკრავს გაუვალი ტყე და სათიბ-საძოვრები.

ტაძარს, რომელიც ამჟამად ჩამოქცეული სახითაა შემორჩენილი, ჯერ კიდევ ემჩნევა შესანიშნავი მხატერობის კვალი. მასში მოწყობილი ხის კანკელი ლამაზად ყოფილა მოჩუქურთმებული, რომლის თავზეც ასომთავრული წარწერა დაფიქსირებული აქვს ს. მაკალათიას: „ძელო ცხოვრებისაო, ადიდე ორთავე ცხოვრებასა შინა პატრონი ფანასკერტელი ზაქარია. ძელო ცხოვრებისაო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი შენი შემოსვეწილი ესაია“.[355] მისივე აღწერით, ქვაფიქლით გადახურულ ეკლესიას აღმოსავლეთით აქვს გამოქანდაკებული ყოჩის თავი კისერზე ჯაჭვის გამოსახულებით, რომელიც მიგვანიშნებს მესაქონლეობის ინტენსიურ განვითარებაზე და ცხვრის შეწირვის პროცესებზე. ტაძარი დაახლოებით VIII-IX სს. უნდა მიეკუთვნებოდეს, ხოლო წარწერა შედარებით გვიანდელია და აქ მოხსენებული ზაქარია, ზაზა ფანასკერტელის შვილია, რომელიც მის სხვა ვაჟებთან ერთად მოხსენიებულია მეფე კონსტანტინე II-ს მიერ მისდამი ბოძებულ 1467 წ. წყალობის სიგელში. ამასთან, ისიც ცნობილია, რომ ფანასკერტიდან (სამხ. საქართველო) ქართლში პირველად გადმოსახლდა ზაზა ზემოაღნიშნულ წელს მეფე გიორგი VIII დროს, რომელმაც სამფლობელოდ ძამას ხეობა მიიღო და რეზიდენციაც სოფ. ბზორეთში (ორთუბანი) ჰქონდა. მისივე მტკიცებით, ამიერიდან ზაზა და მისი მემკვიდრენი ფანასკერტელის ნაცვლად იწოდებოდნენ ციციშვილებად, როგორც ზაზა მამის „ციცის“ შთამომავალნიო.[356]

ტანა-ათრევას ხეობის სათავეში მდებარეობს სოფ. ფეტვისხევი, სადაც ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია „მარიამწმინდის“ ეკლესია, რომელიც IX-X საუკუნეებით თარიღდება და XII-XIII სს. მოხატულობის

---

[355] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გე. 28.
[356] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გე. 28.

ფრაგმენტებია შემორჩენილი. ამავე ეკლესიაში შემორჩა XV-XVI საუკუნეების ხის კანკელი, რომელიც ამჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული და რომელზეც ასომთავრული წარწერის მიხედვით დგინდება, რომ გვიანდელ ფეოდალურ ხანაში ეკლესია და მისი მიდამოები ამ გვარის ფეოდალური სოფელი ყოფილა[357] და მიუხედავად ფეტვისხევის საინტერესო ისტორიული წარსულისა, როგორც ჩანს XVIII საუკუნისათვის ამ ადგილას მხოლოდ ნასოფლარიღა არსებობდა და ამდენად ვახუშტი ბატონიშვილისეული სოფლების ნუსხაშიც მოხსენიებული არ არის.

ტანა-ათრევას ხეობა მდიდარია სხვადასხვა სამშენებლო – მინერალური რესურსებით, ქვა-ფიქალები, ხე-ტყე, თერმული, სამკურნალო წყალი, საზაფხულო-საზამთრო დასასვენებელი ადგილები და სხვ. რომელის კარგად მიესადაგება თანამედროვე მოთხოვნილებების სტანდარტებს ტურისტული იმფრასტრუქტურის შესაქმნელად. ამ მიზნით, XX ს. შუა ხანებში მოეწყო და გაფართოვდა კაპიტალურ მშენებლობათა კომპლექსები, საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობები, სოფლის მეურნეობის განვითარება, შინამეწველობის ცალკეული დარგების აღორძინება-გამოცოცხლება და სხვ. რამდენადაც ამ მიმართებით ხეობის მოსახლეობას ტრადიციულად მოზდგამდა ბუნების მიერ ნაბოძები რესურსის მიზანმიმართულად გამოყენება (კირისა და ნახშირის გამოწვა, ქვის დამუშავება, ყავრის გამოხდა, საოჯახო-სამეურნეო იარაღ-ინვენტარის წარმოება, ხე-ტყის დამზადება და სხვ.) და საბაზრო დანიშნულებითაც წარმოება, რაც თავისთავად ხელს უწყობდა მთა-ბარობის ურთიერთკავშირის ჰარმონიულ განვითარებას, ხალხთა შორის სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ სიმტკიცეს. აქედან გამომდინარე, სავსებით კანონზომიერ პროცესებთან გვაქვს საქმე, როდესაც თანამედროვეობას შემორჩა ის აქტიური მოძრაობა, რაც გამოხატულია რეგიონებისა და მის ფარგლებს გარეთაც ხატ-სალოცავების მონახულება და იმ რიტუალების მოწყობა, რომელიც მდიდარ ტრადიციებზეა აღმოცენებული. ამგვარი ხალხმრავალი

---

[357] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 110.

შეხვედრები კი, როგორც ცნობილია საფუძველს უმტკიცებდა მათ შორის არსებულ არამარტო სულიერ ერთიანობას, არამედ ყველა იმ ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებას, რომელიც კონკრეტული ვითარებით იყო ნაკარნახევი. ამგვარ შეხვედრებში ვლინდებოდა და მდიდრდებოდა ხალხური შემოქმედებითი საქმიანობა, ნათელ-მირონობის, შეუღლების, სამეურნეო საქმიანობის მოწყობა-გარიგების, სავაჭრო ურთიერთობის, ხელოსან-მომრიგებელთა და სხვა მათთან დაკავშირებული პროცესების რეგულირება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამგვარ პროცესებში შესაბამისად იყო ჩართული, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობა განურჩევლად სქესის, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ტანას ხეობის სათავეებში ბოლო სოფელია გაიჩაანთ უბანი, ისტორიულად უძველესი და ოდესღაც ესეც გაპარტახებული, რამდენადაც ვახუშტი ბატონიშვილის ეპოქაში მხოლოდ ნასოფლარი ყოფილა. გაიჩაანთ უბანი, ზოგიერთი სხვა სოფლის მსგავსად აღორძინებას იწყებს გიორგი ერისთავის ძალისხმევის შემდეგ. შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია „გიორგის ეკლესია“, რომელიც ერთობ კოლორიტულ კორტოხზეა აგებული და სპეციალისტების აზრით — „სტილისტური ანალიზით XIX ს. თარიღდება. იგი ნაგებია ქვიშა-ქვის კარგად გათლილი მოგრძო კვადრატებით, გადმოცემით ბერძენი ოსტატების მიერაა შესრულებული“.[358] არაა გამორიცხული, რომ მისი აგება უშუალოდ დაკავშირებული იყოს გიორგი იასეს ძე ერისთავთან.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, ხეობის მკვეთრი გამოცოცხლება-აღორძინება შეინიშნება XIX-XX სს. რაც ბუნებრივია განპირობებული იყო მშვიდობიანობით, ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსით. ვახუშტი ბატონიშვილის მონაცემებით, (XVIII ს.) ხეობაში 26 სოფელია დაფიქსირებული, ს. მაკალათიას მიხედვით (XX ს. 50-იან წლებში) 25, ხოლო გორის რაიონისა და ქ. გორის სტატისტიკური კრებულის (1968 წ.) მონაცემებით კი 36 სოფელი. უკანასკნელის მონაცემებით, ხეობის სოფლების კომლთა და

358 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V. თბ., 1990, გვ. 81.

სულთა ოდენობა არასრული ცნობებით, გამოიყურება: ატენის სასოფლო საბჭო: ფუხაანთ უბანში – 45 კომლი, 174 სული, დეგეულაში – 67 და 273, ჭეჭელაანთ უბანში – 54 და 207, პატარა ატენში – 262 და 967, ვანიაანთ უბანში – 55 და 256, ჯებირში – 95 და 379, დიდ გარდატენში – 166 და 600, პატარა გარდატენში – 95 და 661; ბოშურის სას. საბჭო: ბობნევში – 66 კომლი, 207 სული, ბიისში – 28 და 98, ორმოცში – 39 და 159, ბალოვანში – 1 და 5, იფნარში – 10 და 46, თხინალაში – 25 და 116, ქვ. ბოშურში – 51 და 177, ფეტვისხევში – 4 და 13, ტუსრებში – 20 და 83, გაიჩაანთ უბანში – 3 და 37, ყველაანთ უბანში – 31 და 107, გაგლოანთ უბანში – 14 და 62, ლევიტნაში – 34 და 83; მღებრიანის სასოფლო საბჭო: მღებრიანი – 27 კომლი, 134 სული, ტამი – 28 და 96, ოქიანი – 7 და 22, დიდი ჭვარები – 15 და 83, პატარა ჭვარები – 7 და 35, ჭანჭახა – 9 და 45, დიდი წერეთი – 16 და 102, პატარა წერეთი – 14 და 68, სახორცე – 14 და 59; ხიდისთავის სას. საბჭო: ხიდისთავი – 843 კომლი, 3382 სული, წედისი 58 და 238, ბნავისი – 92 და 357, ოლოზი – 39 და 175, ღვარები – 27 და 73, ზედა ქსოვრისი – 16 და 43, ავკვეთი – 26 და 128. სულ ტანა-ათრევას ხეობაში იყო დაახლოებით 2202 კომლი და 8996 სული მოსახლე. ამასთან, არასრულადაა აღწერილი იმ სოფლების ოდენობა, რომელიც ისტორიულად ამ ხეობაში შედიოდა, რამდენადაც XX ს. 30-იანი წლებიდან ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა საბჭოთა სოციალისტური სისტემით განისაზღვრა და ამდენად დასახლებული პუნქტების გარკვეული ნაწილი ახალ საზღვრებში მოექცა. ასევე სირთულეს წარმოადგენს ხეობის ამჟამინდელი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის, ეროვნული და საერთო რაოდენობრივი შემადგენლობის მონაცემების მოპოვება, რამდენადაც XX ს. 90-იანი წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეცვალა და გაართულა ყველა აღნიშნული პროცესების შესწავლა და დღის სინათლეზე გამოტანა. ის კი აშკარაა, რომ მნიშვნელოვანი, არასახარბიელო ცვლილებები მიმდინარეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რის შედეგადაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ფიზიკური გა-

დარჩენის მიზნით სხვა ქვეყნებში ეძებს თავშესაფარს. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ტანა-ათრევას ხეობის მოსახლეობის თანამედროვე მდგომარეობას, გარკვეულწილად აქაც შეინიშნება დროებით განთესვის პროცესი. ხეობა მთლიანად დატოვა ოსურმა მოსახლეობამ. რეგიონი განიცდის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ გაჭირვებას და ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორების ულიმღამო მცდელობა სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის იმ ელემენტარულ მოთხოვნებს, რომელიც XXI ს. პროგრესულ მოვლენებს მიესადაგება.

აღსანიშნავია, რომ ტანას ხეობის სათავეებში მდებარეობდა დიდებულ საეკლესიო „ძველი სამკვიდრო“, სადაც გააჩნდათ საგვარეულო ციხეები (ფელი, კიკანათბერი), სასახლე და ეკლესია. აქვე უნდა ითქვას, რომ საეკლესიო ერთმა შტომ შემდგომში თერგის ხეობაშიც მოიკიდა ფეხი, რომელთაც თავიანთი ფეოდალური სამფლობელოც ჩამოაყალიბეს.[359]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, სულიერი კულტურა, შესაბამის ასახვას პოვებს ადამიანის ინტელექტუალურ-ზნეობრივ ჩამოყალიბებაში. მხოლოდ სულიერად ძლიერ ადამიანს ძალუძს შეუპოვარი მიზანსწრაფვით მიაღწიოს საწადელს, დაისახოს ის, რისი განხორციელებაც რეალურადაა შესაძლებელი და სხვ. ამ საკაცობრიო საქმეში, თავისი ხანგრძლივი ისტორიით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ქართული ეკლესიის მოღვაწეობას, რომელიც კულტურის, დამწერლობის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სხვათა აღმავლობა-განვითარების ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედად ითვლება. იგი წარმოადგენდა და წარმოადგენს ისეთ უმნიშვნელოვანეს ძალას, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოების ჩამოყალიბება-გათვითცნობიერებაში.

დიდი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „არცერთ წოდებას არა აქვს ისეთი ახლო ურთიერთობა და მჭიდრო კავშირი ხალხთან, როგორც სამღვდელოებას. მაშინ, როდესაც, მაგალითად სასამართლო და ადმინისტრაციულ ხელისუფალთა წარმომადგენლებს მხოლოდ დრო და დრო

---

[359] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 258.

უხდებათ შესვედრა ხალხთან, — ეკლესიის წარმომადგენლები განუყრელად ცხოვრობენ ხალხში და ყოველი ქრისტიანი კაცის ცხოვრებამ, აკვნით დაწყებული კუბოს ფიცრამდე, უნდა გაიაროს მათ ხელში და შეიძლება ეს გაელენა მარტოოდენ სულიერი სფეროთი შემოიფარგლოს, როდესაც ეკლესიის მოძღვარს შეაქვს ცვლილება ხალხის წარმომადგენლებსა და ზნეობრივ ჩვევებში, ამასთან არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც, ვინაიდან რაც უფრო წმინდაა ხალხის რელიგიური მსოფლჭვრეტა და რაც უფრო მტკიცეთ იცავს ხალხი წმინდა ქრისტიანული ზნეობის წესებს, მით უფრო მეტი იქნება წესიერება და რელიგიურობა მის ცხოვრებაში და მით უფრო მაღლა უნდა იდგეს მისი მატერიალური კეთილდღეობა“.[360]

საკითხის შესწავლის ამ ჭრილში, საკვლევი რეგიონის მოსახლეობის სულიერი სიწმინდისა და სიძლიერის გამომხატველია საუკუნეებით ნაშენ-ნაგები საკულტო-სამონასტრო საგანმანათლებლო, თავდაცვით ნაგებობათა სიმრავლე, რომელიც არა მარტო შიდა ქართლის, არამედ სამხრეთ საქართველოს, მანგლის — ტაო-კლარჯეთის კომპლექსში განიხილება. ამიტომ, ხეობის ინფრასტრუქტურაში სულიერი კულტურის ამსახველი მატერიალური ძეგლები, ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ადათ-წესების უძველესი ტრადიციები და მათთან დაკავშირებული თქმულებები, ფოლკლორული მასალა და სხვ. ნათლად მეტყველებს აქ მობინადრე ხალხთა სულიერ სიძლიერეზე, რამაც დიდი შრომისა და ხშირად სიდუხჭირის ფასად, ისტორიამ შემოგვინახა ქართველი ერისთვის დამახასიათებელი თავგანწირული და შეუპოვარი წარსული.

აღნიშნულზე ისიც მეტყველებს, რომ ამ პატარა — ტანა-ათრევას ხეობაში არ მოიძებნება სოფელი, სადაც 3-4-ზე ნაკლები ამტერიალური კულტურის ძეგლი ან ნასაყდრალი არ არსებობდეს. ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ სოფ. ხიდისთავია, სადაც ერთადერთი „ღვინიანთ საყდრის“ ნანგრევებია შემორჩენილი და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება.

---

[360] ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. I. თბ., 1952, გვ. 123.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც ეკლესია-მონასტრებში რუსული ღვთისმსახურება იწყებს დამკვიდრებას, ბუნებრივია ქართული მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს და იგი რამდენადმე სწყდება ეკლესიურ ცხოვრებას. ამ პროცესის შესახებ ი. გოგებაშვილი დიდი გულისტკივილით წერდა: „ქართული ეკლესიის ნაძალადევად გარუსების სისტემამა, რომელიც დამყარდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, სხვათა შორის, მიკროსკოპულ მოცულობამდე შეავიწროვა ქართველთა სამსახურებრივი უფლებანი, საქართველოს ახლანდელმა, ეგზარქოსმა პაველმ ჩამოსვლის პირველ დღეებიდანვე მიზნად დაისახა ყველა ქართველი ზედამხედველის გადაყენება და მათი შეცვლა რუსებით. ასეთივე ანტიქართული მიმართულება აშკარავდება სხვა ფრონტებზეც. ერთი თვის წინათ ჩვენში გარდაიცვალა კათედრალური დეკანოზი ქართველი პავლიაშვილი. დაუყოვნებლივ შემოვიდა აუარებელი თხოვნა დამსახურებული დეკანოსებისაგან ადგილის დასაკავებლად, მაგრამ ისინი კეთილგონიერი აღმოჩნდნენ და უარი თქვეს. ამჟამად სემინარიის 16 დამრიგებლიდან მხოლოდ ორია ქართველი“-ო.[361]

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, გარუსების პოლიტიკა უპირველესად გამოიხატა იმაში, რომ საქართველოს ეკლესია რუსულ სინოდს დაუმორჩილეს და როდესაც ამ თვალსაზრისით (1885 წ.) საქართველოს ეგზარქატის ადმინისტრაციულ წყობილებაში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართულ საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. კერძოდ სამეგრელოსა და გურიას აეკრძალათ ჰყოლოდათ საკუთარი ეპისკოპოსები, ანუ აქ გაუქმებული იქნა ეპარქიები. ამ და სხვა ზეწოლას ქართველი მართლმადიდებლური საზოგადოება მრევლთან ერთად იდგა თავისი ეროვნული თვითშეგნების დაცვის სადარაჯოზე. როდესაც საქართველოს ეკლესია რუსეთის სინოდს დაუმორჩილეს და მასში 24 ეპარქია იყო, სადაც ქართველი მღვდელმთავრები — უმთავრესად ძველი ქართველი გვარების თავადიშვილური ჩამომავლობისანი იყვნენ, რუსეთის მთავრობას არავითარ ჯამაგირს სთხოვდნენ და ისინი თავიანთ სამწყ-

[361] ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. I. თბ., 1952, გვ. 459.

სოსთან ერთად იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვება და დამცირებას, რითაც ქვეყნისათვის თავდადების მაგალითს იძლეოდნენ. თუმცა სამღვდელოების სამსახურისადმი ოდეზღაც დაუცხრომელი ლტოლვა აშკარად კლებულობდა.

ზემოაღნიშნულის ნათესაყოფად მოვიშველიებთ ისევ ი. გოგებაშვილის შეშფოთებას, რომელიც 1886 წ. თბილისის სასულიერო სემინარიის მდგომარეობის შესახებ აღნიშნავდა: „უაღრესად მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ თუ უწინდელ ქართველ სამღვდელოებაში ძლიერი იყო ბერობისაკენ ლტოლვა, თუ იგი მრავალრიცხოვან ქართულ მონასტრებს ავსებდა, ამჟამად ჩვენი საუკუნის სამღვდელოება, რომელსაც განათლება თბილისის სემინარიაში აქვს მიღებული, იმ ზომამდეა ამგვარ მისწრაფებას მოკლებული, რომ სემინარიელებიდან ორ-სამ კაცზეც კი ვერ მიეუთითებთ, რომლებსაც ბერობა მიეღოთ. ასე გასინჯეთ სემინარ დამთავრებული ქვრივი მღვდლებიც კი სისტემატურად გაურბოდნენ და გაურბიან ბერობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი მდგომარეობა პირდაპირ მოითხოვს ამას. მას მოჰყვა საქართველოს სამონასტროების დიდი ნაწილის დახურვა და გადარჩენილ მონასტრებში ბერთა რიცხვის უაღრესად შემცირება. ასეთი უარყოფითი შედეგი სემინარიის მრავალსაგნიანი პროგრამაა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მკვიდრი მართლმადიდებელი მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებას, რუსული ენის აღიარება სწავლების ერთადერთ იარაღად, სემინარიელთა მოწყვეტა მშობლიური ენისაგან, მშობლიური საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიისაგან, მშობლიური სასულიერო და საერო გონებასა და გულს და ჰკლავდა მათში მაღალ მისწრაფებებს. და რომ დაარსების დღიდან, 1817 წლიდან, ვიდრე 30-იან წლებამდე თბილისის სემინარში არანაირი ზნეობრივი მდგომარეობის სიმპტომი არ ჩანდა“.[362]

ი. გოგებაშვილს სინანულით მოჰყავს ის ამაზრზენი ფაქტები, როდესაც მეფის რუსეთი ამიერკავკასიაში გამორჩევით ავიწროებს და სდევნის ყველაფერ ქართულს და უპრველესად სულიერ კულტურას,

[362] ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. II. თბ., 1954, გვ. 137, 138.

როდესაც ქართული ეკლესიის რუსული სინოდის დამორჩილებისას 24 ეპარქიიდან 1821 წ. დარჩა მხოლოდ 5. ისე, რომ საქართველოს ზოგიერთი რეგიონი საერთოდ ეპარქიის გარეშე დარჩა, რაც ამ სისტემაში სლავური ენის შემოღებით იყო ნაკარნახევი და ეს მაშინ აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი, როდესაც ამავე ამიერკავკასიაში მცხოვრები სომხები თავისუფლად ხმარობენ თავის ენას ეკლესიაში, ჰყავთ საკუთარი კათოლიკოსი, მოძღვრები, სამღვდელოება, საკუთარი სასულიერო აკადემია, სემინარიები და სკოლები და მასწავლებლებიც, მაგრამ ამისთვის სომხეთის ხალხს თავს არავინ არ ესხმისო.[363]

ი. გოგებაშვილი ქართულ ეკლესიას თვლიდა ქართული კულტურის — დამწერლობის, ლიტერატურის, ხელოვნების აღმავლობა-განვითარების საქმის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად და ამდენად ამ კუთხით და ასპექტებით ასახავდა იგი მის დამსახურებას თავის შემოქმედებაში. ამავდროულად, ქართული ქრისტიანული ეკლესია მისთვის წარმოადგენდა ისტორიულად ისეთ უმნიშვნელოვანეს ძალას, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საზოგადოების გათვითცნობიერებაში.

ასეთ ძალმომრეობის პერიოდებში, ბუნებრივია ქვეყნის მოსახლეობის განსაკუთრებით ის რეგიონები განიცდიდნენ სულიერ შევიწროვებას და კულტურული განვითარების შიმშილს, რომელნიც განაპირა მხარეებში, მთიან ზოლში ცხოვრობდნენ. იქ, სადაც ეკლესიის ფუნქცია გადამწყვეტ როლს ასრულებდა შესაბამისი აზოგადოების ჩამოყალიბების, თვითშეგნების ამაღლებისა და სულიერი შთაგონების გამდიდრების საქმეში. სულიერ მოძღვართა ინტელექტუალური დონე და ოდენობა განსაზღვრავდა ქართული ეროვნული ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, მრავალფეროვანი რიტუალის ფუნქციების დამკვიდრებას და სხვ.

მაშინ, როდესაც თავის დროზე დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ეკლესიის მეურვეობიდან სკოლის განთავისუფლების მიზნით გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული, ასეთ ვითარებაში მეფის რუსეთის თვითმპყრობელობა და მისი ფუძე მართლმადიდებლური ეკლესია, მაინც არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს. ამის ნათელ დასტურს წარ-

---

[363] ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. II, თბ., გვ. 173.

მოადგენდა თუნდაც 1908 წ. მეორე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროზე განსახილველ სახალხო განათლების კანონმდებლობის ერთ-ერთ მუხლში შეტანილი პუნქტი: „რელიგიის სწავლება ითვლება კერძო საქმედ; ცალკეულ სარწმუნოებათა წარმომადგენლობას ენიჭებათ უფლება საზოგადოებრივ სასწავლო დაწესებულებათა შენობებში საკუთარი ხარჯით მოაწყონ თავიანთი სარწმუნოების სწავლება, როგორც არასავალდებულო საგნისა“, რომელიც სხვა მუხლებთან ერთად ესეც განუხორციელებელი დარჩა. საერთოდ კი სახელმწიფო და კერძო სკოლებიც ვალდებულნი იყვნენ ეკლესიის კარნახით სათანადო ადგილი და დრო დაეთმოთ რელიგიის შესწავლისა და შესაბამისი რიტუალების შესრულებისათვის.

ეკლესიის როლსა და ფუნქციის შესახებ პროპაგანდაზე არა მარტო ჩვენი ქვეყნის სასულიერო მოღვაწენი ზრუნავდნენ, არამედ, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ბირთვიც და ერთიანი ძალით აღამაღლებდნენ ეროვნულ პრინციპებს. თუნდაც იმ პერიოდში, როდესაც ი. გოგებაშვილი მოღვაწეობდა, რამდენადაც ახალგაზრდობას პატრიოტული აღზრდის საქმესთან რელიგიას ერთგვარი ოფიციალური კავშირი ჰქონდა, ამდენად არა მარტო მას, არამედ 60-იანელთა თაობას არ შეეძლო მათი გვერდის ავლა, კერძოდ, ეკლესიის წარსულისა და აწმყოს პრობლემების გაანალიზება. ეკლესიის ეს გავლენა კი როგორც წესი, საერთოდ ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს და იგი არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე კონკრეტული პრობლემით, თუნდაც დავუშვათ სულიერი სფეროთი. ამიტომ, ი. გოგებაშვილის აზრით. „ასეთ სასიკეთო გავლენას მღვდლები მხოლოდ მაშინ მოახდენენ, როცა ისინი მიზანშეწონილი აღზრდით მომზადებულ არიან თავიანთი მაღალი მიწოდების, თავიანთი საგანმანათლებლო მისიის შესასრულებლად, სადაც ისინი საეკლესიო წესებისა და წირვა-ლოცვის მექანიკური და უსულგულო აღმასრულებელნი კი არ იქნებიან, არამედ თავიანთ სამწყსოში იმოქმედებენ როგორც მაღალი ზნეობის გულმოდგინე მასწავლებელნი, პატიოსანი ცხოვრების მაგალითის მომცემნი და ქრისტიანობის დამამყარებლის მაღალი მოძღვრების დაუღალავი მქადაგებელნი“. მისივე აზრით, ეკლესიის მიმავალ მოძღვართა ასეთი მომზადებისა და ასეთი აღზრდისათვისაა მოწოდე-

ბული სასულიერო სემინარია. და აი ამიტომ აქვს მნიშვნელობა იმ საკითხებს, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი ქართველი ხალხისა და ჩვენი მართლმადიდებელი ტომების სულიერ მოთხოვნილებებსო.

ამიტომ, 1878 წ. მოწვეულ სამღვდელოების ყრილობას იგი აღფრთოვანებით შეხვდა, რამდენადაც სხვა უამრავ საკითხებთან ერთად, სემინარიის მართვა-გამგეობისა და ქ. თბილისში ქალთა პირველდაწყებითი სასწავლებლის დაარსება განიხილა, თუმცა იგი სადღაც სინანულითაც აღნიშნავდა: „საქმე ის არის რომ ბოლო დროს ქართველ მოსახლეობაში შემჩნეულია განსაკუთრებული წარმატება არა მარტო კათოლიკური სარწმუნოების, არამედ ევანგელიკური ეკლესიის პროპაგანდაც კი, იქ სიამოვნებით იკრიბება უბრალოდ ხალხი, რადგანაც იქ ესმის მას ნუგეშისა და მშვიდობის მღაღადებელის საქმიანი სიტყვა, რომელიც მისთვის გასაგები და ძვირფასია და ხალხი ეჩვევა ამ ეკლესიას".[364]

აღნიშნული პროცესები, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, საქართველოს გარკვეულ რეგიონებში მეტ-ნაკლები სახით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ახლაც და რაოდენ გულდასაწყვეტია, როდესაც ისტორიულად სულიერი კულტურის ერთ-ერთ შესანიშნავ ხეობაში, სადაც ჯერ კიდევ VI-VII სს. ატენის სიონი იწყებს ფუნქციონირება-აყვავებას, სადღეისოდ სხვადასხვა რელიგიური სექტები იკიდებენ ფეხს. ხეობის ცენტრალურ ადგილზე განლაგებული სოფ. ატენი, სადაც საყოველთაოდ ცნობილი სიონის ტაძარია აგებული, თავის ირგვლივ იკრებდა არა მარტო ადგილობრივ, არამედ მეზობელი რეგიონებიდან მოსულ მრევლს და ამდენად იგი ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და თავისთავად სულიერ საუნეს წარმოადგენდა, ამგვარი, არამართლმადიდებლური კერები განვითარდეს.

ატენის სიონი, ხეობის ქრისტიანული ხატ-სალოცავის მთავარ სულიერ საზრდოს წარმოადგენს. იგი ჯვარგუმბათოვანი, 22 მეტრი სიმაღლის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარია, რომელიც ნაგებია მომწვანო-მონაცრისფერო ქვიშაქვის ლამაზად მოპირკეთებული თლილი კვადრატებით, სადაც გამოყენებულია სხვადასხვა ფერის ქვა-მასალა და მი-

[364] ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. II, თბ., გვ.125.

სი მიმდებარე სანახები ბაღ-ვენახებითაა დაფარული. ისტორიულად, ატენის სიონი არა მარტო ამ რეგიონის ცენტრალურ სასულიერო კულტურის ცენტრს წარმოადგენდა, არამედ ხეობაში მდებარე, გაფანტული, შედარებით მცირე ეკლესიების, ხატ-სალოცავი ნიშების, თავდაცვითი საფორტიფიკაციო ციხე-კოშკებისა და სხვა ძეგლებთან კომპლექსში განიხილება. სწორედ ამ ერთიან კომპლექსში შეისწავლება: კვირაცხოვლის ეკლესია, ნათლისმცემლის ეკლესია, ორბელიანების ღვთისმშობლის მცირე გუმბათოვანი ეკლესია, ოქროიანთ საყდარი, ბარბარეს ეკლესია, გიორგის ეკლესია, 2 სათოფურებიანი კოშკი, ატენის ციხე, საცივის ციხე და სხვ. გარდა ამისა, ამ ხეობაში სულიერი კულტურის მემკვიდრეობის სხვა მრავალი ძეგლია დაფიქსირებული, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოაღწია, ხოლო ნაწილი დღემდე მიუკვლეველია. დღევანდლამდე მეტ-ნაკლენი სახით შემორჩენილ ძეგლებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სოფ. ბობნევში: ბიისის დარბაზული ეკლესია, რომელიც განვითარებული ფეოდალური ხანით თარიღდება, XVII ს. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, გვიანდელი ფეოდალური ხანის კვირაცხოვლის ეკლესია, ამავე ხანის კოშკების ეკლესია და წმ. გიორგის ეკლესია; გაიჩაანთუბანში XIX ს. წმ. გიორგის ეკლესია; გარადტენში: ადრინდელი ფეოდალური ხანის დანახვისის წმ. გიორგის ეკლესია, VI ს. უერეს ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც XI ს. გადაკეთებულა; X-XI სს-ით დათარიღებული მწვანე საყდარი. გვიან ფეოდალური ხანის ორსაყდრის ღვთისმშობლის ეკლესია; ამავე ხანის ნინოს ეკლესია და ჯებირის ეკლესია, რომელნიც აღნიშნულ ხანას მიეკუთვნება და ზედ აკრავს აზრატის ციხე; დიდ წერეთში: XIV-XV სს. ღვთისმშობლის ეკლესია, და 2 კოშკი; ზემო ბოშურში, იგივე ფეტვისხევში: IX-X სს. მარიამწმიდის ეკლესია. ოლოზში X-XI სს. ღვთისმშობლის ეკლესია და დაუთარიღებელი წმ. გიორგის ეკლესია; ორმოცში XIX ს. ღვთისმშობლის ეკლესია; საყავრეში XVI ს. ღვთისმშობლის ეკლესია, IX-X სს. წმ. გიორგის ეკლესია; ფეტვისხევში IX-X სს. მარიამწმიდის ეკლესია; ფიცესში 1152 წ. აგებული საორბისის წმ. გიორგის ეკლესია; ქვაბვრელში ადრინდელი ფეოდალური ხანის გამოქვაბულების კომპლექსი; ღვარებში

გვიანდელი ფეოდალური ხანის წმ. გიორგის ეკლესია; წედისში გვიანდელი ფეოდალური ხანის ღვთისმშობლის ეკლესია და ნასოფლარის მატერიალური კულტურის ძეგლები;წითელწყაროში (საყავრის სას. საბჭო) IX ს. მთადეკეულის წმ. გიორგის ეკლესია, XI ს. ნათლისმცემლის ეკლესია და ა.შ.

ისტორიულად, სხვა რეგიონების მსგავსად — ტანა-ათრევას ხეობაში ხატ-სალოცავების, ეკლესია-მონასტრების და სხვა საკომუნიკაციო ციხე-კოშკის მშენებლობა უკავშირდება და ექვემდებარება როგორც საგვარეულო, ისე სახელმწიფო სტრუქტურას, რომელთაც დროის შესაბამისად სათანადო ცელილებების კვალი ამჩნევიათ, რაც უმთავრესად განპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით, მრევლის მომძლავრება-შემცირებით და სხვ. რაც შეეხება ნიშ-სალოცავების სიმრავლეს, რომელთაც დღემდე ნაკლებად მოაღწია, უმთავრესად განპირობებული იყო მთავარ სალოცავებში მრევლის შეძლება-საქმიანობაზე, რამდენად შესწევდათ უნარი მოშორებულ ან მიუდგომელ ადგილებში მისვლისათვის. ამიტომ, როდესაც მაგალითად ტანა-ათრევას ხეობის მრევლის და არა მარტო მათი მოწადინება რათა მის წვერზე მდებარე „დანახვისის“ სალოცავში ასვლა გარკვეული კატეგორიის ხალხისთვის (მოხუცი, ავადმყოფი და სხვ.) ხელმიუწვდომელს წარმოადგენდა, სანაცვლოდ ისინი ღამის თევით ვერეს ხეობაში, ე.წ. „დიდი ველების“ მთის ძირში ძველი ტაძრის, ანუ მონასტრის დავაკებაზე, წყლის ნაპირას გამართულ დანახვისის ნიშში ასრულებდნენ წირვა-ლოცვას.

როგორც წესი, ეკლესია-მონასტრებსა და საერთოდ საკულტო ნაგებობათა მიმდებარე ტერიტორიებზე, სოციალური მდგომარეობის შესაბამისად სასაფლაოებიც იყო მოწყობილი, რომელიც აგრეთვე უტყუარ მატერიალურ ძეგლს წარმოადგენს მოსახლეობის ყოფითი ტრადიციების შესწავლაში.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობა ერთნაირი ძალით არ იყო განვითარებული საქართველოში და ცალკეულ, ზოგადად, მაღალ მთიან რეგიონებში შეადრებით სუსტად იყო იგი წარმოდგენილი. ამის უმთავრესი

მიზეზი გარკვეულ პერიოდებში ბარის მოსახლეობასთან კავშირის შესუსტება წარმოადგენდა, რაც გამოწვეული იყო ბუნებრივი და პოლიტიკური პროცესების გამწვავებით. ასეთ ვითარებაში, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს ტანა-ათრევას ხეობის მაგალითი სადაც ატენის სიონი სამაგალითოდ, მთელი ძალისხმევით კრავდა და აერთიანებდა მთისა და ბარის მრევლთა სულიერ ცხოვრებას. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტიც, როცა XIX-XX სს. ოსეთის მაღალმთიანი რეგიონებიდან აქ ჩამოსახლებულმა ოსმა მოსახლეობამ შეისისხლხორცა, დაიცვა და გააგრძელა იმ ქრისტიანული მოძღვრების ტრადიციები, რომელიც ადგილობრივმა, ძირძველმა, ქართველმა მოსახლეობამ შესთავაზა. ამასთან, ხეობაში, განსაკუთრებით მაღალ და მასიურ დონეზეა წარმოდგენილი ქრისტიანული მოძღვრებისთვის დამახასიათებელი ყველა უმნიშვნელოვანესი ატრიბუტის ყოფით კულტურაში წარმოჩენა. ამ მხრივ საინტერესოა თუნდაც სოფლის მეურნეობის მიწათმოქმედების, მევენახეობის, მეხილეობისა და მესაქონლეობის დარგების წარმოებისას რწმენა-წარმოდგენების ტრადიციულად დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების შესრულების ფაქტები, რომელიც ფაქტობრივად ანალოგიურს წარმოადგენდა კონკრეტულად შიდა ქართლის ყოფით კულტურაში.

ტანა-ათრევას ხეობის სამიწათმოქმედო მეურნეობაში, როგორც წესი, დამკვიდრებული იყო სახნავში გასვლის წინ გუთნეულის შემადგენლობის თაეშეყრა და სახელდახელო ქეიფის მოწყობა, სადაც ხვნის წარმატებით დასრულებისთვის შესალოცად და დასალოცად მღვდელს მოიწვევდნენ, შემდეგ პირველი ხნულის გაჭრამდე, საძირე და წინა უღელის ხარების რქებზე სანთლებს დაანთებდნენ, ერთხელ კიდევ დაილოცებოდნენ ღვინით ან არყით და შემდგომ ამისა იწყებდნენ სამუშაო პროცესს. ამგვარი რიტუალის შესრულება, მთხრობელთა რწმენით, ხვნის წარმატებით დამთავრებას და მაღალი მოსავლის მშვიდობით დაბინავება-გამოყენების საწინდარს იძლეოდა. თითქმის ამგვარი რიტუალი სრულდებოდა გვალვიან პერიოდში, როდესაც ხალხი ღმერთს წვიმის მოსვლას შესთხოვდა, რისთვისაც გუთანს წყალში გაატარებდნენ, სადაც ქალები

იყვნენ შებმული, თან თესვის იმიტაციას ასრულებდნენ, წუწაობას გამართავდნენ — ვითომ წვიმა მოვიდაო. ამასთან დაკავშირებით მიმართავდნენ აგრეთვე „ლაზარობას“, ანუ თიხისგან აკეთებდნენ მამაკაცის თავის გამოსახულებას, რომელსაც ფიცარზე დაამაგრებდნენ, ზედ სველ ტილოს გადააფარებდნენ და სიმღერით სოფელ-სოფელ დაატარებდნენ — წვიმა მოგვეც ჩემო ლაზარეო, აღარ გვინდა გოროხი, ახლა გვინდა ტალახიო. „ლაზარობას ჩამომველელთ“, დამხვდურნი წყლით ეგებებოდნენ — წუწავდნენ. ამასთან, მათთვის გამოჰქონდათ სხვადასხვა სახის პროდუქტი, რითაც ერთ-ერთ ოჯახში ქეიფს მართავდნენ, სადაც პირველ რიგში სანთლებს დაანთებდნენ და წვიმის მოსვლაზე დაილოცებოდნენ, ხოლო შემდეგ ლაზარეს წყალში გადააგდებდნენ და ა.შ.

რიტუალი ეწყობოდა აგრეთვე სამკალში გასვლისა და კალოობის დაწყების წინაც. კერძოდ, მკის დაწყებამდე ყანის ნაბჯის — ხორბლის თავთავით ერთ ბღუჯა ე.წ. ხელეურს მოგლეჯდნენ, რისგანაც ჯვარს შეკრავდნენ, ხეზე მიამაგრებდნენ და იმ ადგილზე დაარჭობდნენ, საიდანაც მკა უნდა დაწყებულიყო, შემდეგ ღვინით დაილოცებოდნენ და სიმღერა — „პოპუნით“ პირველ ნამგალს ან ცელს გამოუსვამდნენ და ასე იწყებოდა ყველა ფართობის მკის პროცესი. ხოლო რაც შეეხებოდა კალოს მოწყობის ცერემონიალს, იგი შემდეგნაირად სრულდებოდა: როგორც ცნობილია, კალოს მოწყობის ოდენობა სოფლის სიდიდის მიხედვით ხდებოდა, კალოს თავისი მეპატრონე ჰყავდა, რომლის ვალდებულებაში შედიოდა მისი მაღალ დონეზე მოწყობა, რაც გამოიხატებოდა ნიადაგის გზადაგზა მორწყვა-დატკეპნაში, ძნების დასადგმელად მიმდინარე ტერიტორიის მოწესრიგებაში, ბზისა და ჭირნახულის დასაბინავებელი სამეურნეო ადგილების მოწყობაში, შესაბამისი იარაღ-ინვენტარით უზრუნველყოფაში და სხვ. რომლის დაწყებასაც მოწვეული მღვდელი აკურთხებდა — წირვა-ლოცვას აღავლენდა, რაშიც იგი შესაბამის გასამრჯელოს იღებდა — უმთავრესად ნატურით. რაც შეეხებოდა გალეწვის შემდგომ ჭირნახულის დაბინავების ადათ-წესებს, პირველსავე გალეწილ ერთ ჩანახს, ნახევარ ან ერთ კოდ ხორბალს საზედაშედ აიღებდნენ, რომელსაც რელიგიური დღესასწაულების დროს დაფქვავდნენ, პურს გა-

მოაცხობდნენ და საზედაშესავე ღვინით თავიანთ ხატ-სალოცავებში მოიხმარდნენ. ჩვეულებრივად, სადღესასწაულო დღეობები იმართებოდა ხატ-სალოცავებში, სადაც ეწყობოდა სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები მუსიკალური საკრავების თანხლებით. იშვიათად იყო სოფელი, სადაც არ ფუნქციონირებდა „მეზურნე-მედუდუკეთა დასტა“, რომელთა გარეშე არ ეწყობოდა სხვადასხვა გართობა-თამაშობა, ჭიდაობა, დოღი, ქორწილი, მიცვალებულის დაკრძალვა და სხვ. ყველაზე მასობრივი დრესასწაული ეწყობოდა ცალკეული სოფლის ქრისტიანული დღეობების დროს. განსაკუთრებით კი მარიამობას, გიორგობას, ამაღლებას, ნათლისმცემლობას, ფერისცვალებას და სხვ. ხოლო რაც შეეხებოდა საახალწლო დღესასწაულს, როგორც წესი ის ყველგან ერთდროულად მიმდინარეობდა. ამ უკანასკნელი დღესასწაულის დროს აცხობდნენ ე.წ. ბასილას, რომელსაც მამაკაცის გამოსახულება ჰქონდა, აცხობდნენ „ბედისკერებს“ იმდენს, რამდენიც ოჯახში ცხოვრობდა. ბედისკერს განსაკუთრებით აჭმევდნენ საქორწილო ვაჟს ან გასათხოვარ ქალს, რათა „საბედო“ დასიზმრებოდათ. ბედისკერი სხვადასხვა გამოსახულებისა ცხვებოდა. ნამცხვრებს შორის განსაკუთრებით გავრცელებული იყო ბედის პური, რომელსაც ყველა შეექცეოდა და სიზმრად სამომავლო მოვლენებს იხილავდა. ბედის პურში დებდნენ ტკბილეულს და თუ იგი გამოცხობის პროცესში კარგად არ აფუვდებოდა ცუდის მომასწავებელი იყო და ა.შ.

ბედის კვერებს ახალი წლის დილას ხონჩაზე გააწყობდნენ, რომლის შუაზეც ღორის თავი და ბასილა იდო, ირგვლივ სანთლებს შემოურიგებდნენ — დაანთებდნენ და ოჯახის მეკვლე-უფროსი დაილოცებოდა. შემდეგ ხონჩას რამდენჯერმე შემოაბრუნებდნენ და ბასილას შესთხოვდნენ ბარაქიანი და მშვიდობიანი წელი ყოფილიყო. ამის შემდეგ, იგივე მეკვლე ყველას სათითაოდ მიულოცავდა ახალი წლის დადგომას, კერს შეაჭმევდა და ტკბილად „დააბერებდა“ თაფლიანი პურით. აღნიშნული ცერემონიალის შემდეგ იგი შეივიდოდა ბოსელში ხელში კვერცხით და ერთი მუჭა ხორბლით, რომელსაც გადააპნევდა-დათესავდა და უფალს შესთხოვდა იმდენი საქონლის მომრავლებას რამდენი მარცვლეულიც იყო.

ამის შემდეგ, კერცხს საქონლის ზურგზე გადააგორებდა და თან დააყოლებდა – მაჟაურა-ავადმყოფობა არ შეგახვედროსო და ა.შ.

ყველა ზემოაღნიშნულის შემდეგ, მეკვლე ცეცხლს დაანთებდა, გამოჩხრიკავდა, რათა ბევრი ნაპერწკალი გამოჰყროდა და დააყოლებდა: „ასე გაამრავლე ჩვენი ოჯახი და ხარ-საქონელიო“. აღსანიშნავია, რომ თითოეული ოჯახი ფაქტობრივად თვითონ ირჩევდა გარედან მოსულ, მომსვლელ მეკვლეს, რომელიც ფეხბედნიერი, შეძლებული ოჯახის, ჯანმაგარი, მრავალშვილიანი და შეხედული ადამიანი უნდა ყოფილიყო. მეკვლეს თან მოჰქონდა ტკბილეული, რომელიც ოჯახში შესვლისას დაილოცებოდა: „ჩემი კეთილი ფეხით, კვალი ანგელოზისა“-ო. შემდეგ მას სუფრასთან მიიწვევდნენ და გაუმასპინძლდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ახალი წლის ამ რიტუალური პურის ნაწილს მომავალი ქრისტიანული დღესასწაულის – ნათლისღებებამდე ანუ 6 იანვრამდე ინახავდნენ. ნათლისღების დღეს ბასილიდან ამოჭრიდნენ ჯვარს და ბელელში ჩააგდებდნენ, რათა ბარაქა დოვლათი გამოეღოთ. ამ გზით შენახული ჯვარი მომავალი მოსავლის ამავე დროისათვის ინახებოდა, რომელსაც ამოიღებდნენ და საქონელს შეაჭმევდნენ, ხოლო გუთნისთვის განკუთვნილ კვერებს კი ხარ-კამეჩს. ამავე დღეს, ხალხი და საქონელი მდ. ტანაზე ჩადიოდა, სადაც მღვდელი მოვიდოდა და მათ წყლით აკურთხებდა. ნაკურთხი წყალი სახლშიც მიჰქონდათ, დილაობით უზმოზე ოჯახის ყველა წევრი მიირთმევდა და ა.შ.

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, ტანა-ათრევას ხეობაში ყველა დღესასწაული, თუ გართობა-თამაშობები ძირითადად რელიგიური შეხედულებების მიხედვით იმართებოდა. ამ მხრივ საყოველთაოდ გავრცელებული იყო ყენობა, რომელიც ყველიერში იმართებოდა და იგი ბარაქიანობისა და ზომიერი წლის სიმბოლოში – წყალში წუწაობით და ქეიფის მოწყობით, ლოცვა-კურთხევით მთავრდებოდა. ყველიერშივე იმართებოდა ბერიკაობა, ხოლო ჭონა აღდგომა დღის წინ, როდესაც რამოდენიმე ახალგაზრდა გოგო-ბიჭი სიმღერა-ცეკვა-თამაშით კალათებით ხელში სოფელს შემოივლიდნენ, ბანზე გადადგებოდნენ და დაამღერებდნენ: „ალათასა, ბალათასა, ჩამოვკიდებ კალათასა, დედი, ერთი

კერცხი მომე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა. ჭონა, ჭონა, ჭონაო ახალი სახელი დაგიდგამს გარს შემოგირტყამს ფიჭვიო, ღმერთმა ყველა დაგიზარდოს გოგო იყოს თუ ბიჭიო". ბანიდან ჩამოკიდებულ, ან ეზოში კალათით ხელში მიმდგარს მასპინძელი არა მარტო კერცხს როგორც სიმბოლოს, არამედ სხვა სანოვაგესაც, მათ შორის ღვინო-არაყსაც მიართმევდა. ამის შემდეგ, შეგროვილი პროდუქტით ქეიფს აწყობდნენ, სადაც სანთლის დანთებითა და ლოცვა-კურთხევით მოილხენდნენ.

ქრისტიანული კულტურის ელემენტები ფართოდ იყო წარმოჩენილი მარცვლეულის კულტთან, რომლის ირგვლივაც დღესაც ფართოდაა დაცული ყველა ის აუცილებელი რიტუალი, რის გარეშეც ცხედარს მიწას არ მიაბარებენ. ამ მხრივ მრავალ მომენტებთან ერთად აღსანიშნავია სასაფლაოების მოწყობა და ცალკეულ საფლავებზე მატერიალური კულტურის მოწყობის ნაირფეროვნება, რომელნიც მარტო სულიერი შინაარსის გამოხატულებას კი არ წარმოადგენენ, არამედ ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლებსაც. თუნდაც ის ფაქტი, რომ ტანა-ათრევას ხეობაში განსაკუთრებით ფართოდ იყო დანერგილი და გამოყენებული სასაფლაოს მოზრდილი, მოჩუქურთმებულ-მოხატული ქვები, სადაც აუცილებელ კომპონენტთან — ჯვართან ერთად გამოსახულ-ამოკეჭნილია სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის სცენები, გვაფიქრებინებს ქრისტიანული მოძღვრებისადმი დიდ მოკრძალება-პატივისცემასა და სიძლიერეზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხეობის და განსაკუთრებით მისი მიმდებარე ტერიტორია — თრიალეთის მთები, მდიდრადაა წარმოდგენილი საამისო ქვა-მასალით და შესაბამისად ქვის მტეხელ-ხელოსან-ხუროებით, რითაც ფართოდ სარგებლობდნენ შიდა ქართლის მიმდებარე რეგიონებიც. საფლავების ქვებზე გამოსახულებებიდან აღსანიშნავია გუთნეულის, გუთნის დედის, მეცხვარის, მეჯოგის, მეხრის, ტანსაცმელ-აკაზმულობის, საბრძოლო და სამეურნეო იარაღების, დედაბოძისა და მასზე გამოსახული სხვადასხვა სარიტუალო თუ ციური სხეულების გამოსახულებები, მუსიკალური ინსტრუმენტები, და სხვ. რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ხეობის მოსახლეობაში ქრისტიანული, სულიერი და მატერიალური

კულტურის უძველეს ტრადიციებზე, რომელიც კარგადაა წარმოდგენილი და შერწყმული რეგიონის ინფრასტრუქტურაში.

საქართველოს მთის მოსახლეობის ძირითადი უმრავლესობის მსგავსად, ტანა-ათრევას ხეობის ის ნაწილი, რომელიც მარცვლეული კულტურების იმ ოდენობას ვერ აწარმოებდა, რასაც ოჯახის მოთხოვნილება ითვალისწინებდა, ბუნებრივია თავს ბართან აღებ-მიცემობით ირჩენდა. ასეთ პირობებში, ოდითაგვნვე მოქმედებდა ნატურგაცვლის წესი, რომელსაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა და გარკვეულწილად დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამ მხრივ ტანა-ათრევას ხეობა ქართლში თავისი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით, ერთ-ერთ მძლავრ მიკრო რეგიონს წარმოადგენდა, რამდენადაც მისი ქვედა წელი ოდითგანვე განთქმული იყო ხორბლეულის წარმოებით, ბოსტნეულის მოყვანით, ბაღ-ვენახებით, ხოლო მთის ნაწილი მეცხოველეობის განვითარებით, რაც უზრუნველყოფდა მთლიანად ხეობის მოსახლეობის ჰარმონიულ ურთიერთობათა მაღალ კულტურას.

კაპიტალისტური ურთიერთობის, ანუ სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდამ, მეტ-ნაკლები გაქანებით ქვეყნის ყველა რეგიონი მოიცვა. აღნიშნული პროცესი მთიან რეგიონებში ბუნებრივია შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, სადაც ბარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აქტიურად ითრევდა იმ სავაჭრო ორომტრიალში, რომელსაც პირველ რიგში ახლად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოების მაღალი ფენა მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, საზოგადოება შობდა ე.წ. ახალ მამოძრავებელ ძალებს, რომელთა ხვედრითი წილი ხდებოდა ერთის მხრივ ბუნებრივი რესურსების წარმოების გადიდება, მეორეს მხრივ მისთვის სათანადო ბაზრის მოპოვება, რაც საბოლოოდ სტიმულს იძლეოდა მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქტ-ნედლეულის მიღებისთვის. აღნიშნული პროცესები კი თანდათან არეგულირებდა მთისა და ბარის მოსახლეობის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი, რომელსაც ხელს უწყობდა, საგზაო-სატრანსპორტო საშუალებათა განუხრელი ზრდა და სხვ. ამგვარი ურთიერთკავშირის მეკავშირედ-შუამავლად გვევლინება უმთავრესად მათსავე

ფენებიდან გამოსული ვაჭარ-ხელოსანთა ერთი ნაწილი, რომელიც გარკვეულ სოციალურ ინსტიტუტად ყალიბდება.

მომდევნო ხანაში, კერძოდ XX საუკუნიდან და განსაკუთრებით 20-30-იანი წლებიდან, ყველა ზემოაღნიშნული პროცესები კიდევ უფრო გააქტიურებით ხასიათდება. 30-იანი წლებიდან, სახალხო მეურნეობაში რადიკალურად განსხვავებულმა, აქამდე უცხო — ე.წ. სოციალისტურმა რეფორმებმა, რომელთაც ხშირად ძალდატანებითი ხასიათი გააჩნდა, კიდევ უფრო დააჩქარა ამ ორი რეგიონის ურთიერთ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება-გაღრმავება. შრომის დანაწილების პრინციპი ისე იყო აგებული, რომ მთისა და ბარის მოსახლეობის ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად განვითარების პროცესებს გამორიცხავდა. ეს ის დრო იყო, როდესაც თანდათანობით თავის ფუნქციას კარგავდა შინამრეწველობის ტრადიციული დარგები და ამ საგნებით განსაკუთრებით მთიანი მოსახლეობის მომარაგება-დაკმაყოფილება ბარად არსებულ ფაბრიკულ-არტელური ნაწარმი პროდუქციით მიმდიაბრეობდა. თითქმის ასეთივე გარემოებასთან გვქონდა საქმე სოფლის მეურნეობის წარმოებაშიც, როდესაც ცენტრიდან იგეგმებოდა ყველა იმ კულტურის წარმოების აუცილებლობა, რაც უპირველესად საერთო სახელმწიფო სტრატეგიულ ინტერესებიდან გამომდინარეობდა. თუმცა მეტ-ნაკლებად გარკვეული ყურადღებაც ექცეოდა იმ ტრადიციული დარგების წარმოებასაც, რომელიც ამა თუ იმ რეგიონისთვის იყო დამახასიათებელი.

ამ უკანასკნელის ნათელი დადასტურებაა გასული საუკუნის 50-იანი წლების ხეობის ცალკეული სოფლის მონაცემები მარცვლეული და პარკოსანი კულტურების წარმოების მიმართულებით: ხიდისთავში — 548 ჰექტრიდან საშუალოდ აღებული იქნა 5,7 ცენტნერი; ბნავისში — 394-დან 5,3; ატენში — 432-დან 3,0; ბოშურში — 102-დან 2,8; საყავრეში — 627 ჰექტრიდან 7,2 ცენტნერი და ა.შ.[365]

როგორც ჩანს, დაბალი საჰექტრო მოსავლიანობის მიუხედავად, ტანა-ათრევას ხეობის გარკვეული სოფლების სამიწათმოქმედო დარგთა

---

[365] გორის რაიონი და ქალაქი გორი, სტატისტიკური კრებული, ქ. გორი, 1968, გვ. 126.

სტრუქტურაში საკმაოდაა შემორჩენილი მარცვლეულის წარმოების ადგილი, რომლითაც ნაწილობრივ კმაყოფილდებოდა არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ მისი გარკვეული ოდენობა სახელმწიფო ბეღელშიც შედიოდა.

როგორც ითქვა, ტანა-ათრევას ხეობის ქვედა წელი შიდა ქართლის ე.წ. „ახალქალაქის ვაკის“ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მტკვრისა და თრიალეთის მთებს შორისაა გაშლილი და აქაურ ცხელ ჰავას ანელებს შერწყმული ლანდშაფტი. აქედან გამომდინარე, ისტორიულად, ზემოაღნიშნული მეურნეობრივი ზონა კარგ პირობებს ქმნიდა მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის. მიმდინარე ეტაპზეც, ხეობის სანახების კოლორიტული მდებარეობა ხასიათდება ხელოვნურად მოწყობილ ტერასებზე სოფლის მეურნეობის ისეთი ინტენსიური კულტურების წარმოებით, როგორიცაა მევენახეობა-მეხილეობა. ამ მიზნით, ხეობის დაღარული მთის ფერდობ-კალთები მაქსიმალურადაა ათვისებული უძველესი, ტერასული კულტურის მეურნეობრივი სისტემით, სადაც მოწყობილია უნიკალური წყალმომარაგების კომპლექსი. ამასთან, ტერასებზე გაშენებული ვენახი მწკრივად კი არაა წარმოდგენილი, არამედ ტრადიციულად შერეულ-შემჭიდროვებული ფორმით, რაც საშუალებას იძლევა ძნელად მისადგომ-ასათვისებელი, დამრეცილი ფართობების მაქსიმალური გამოყენებისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვაზის კულტურის საწყისი ფორმები მსოფლიოს სხვა უძველეს სახელმწიფოებთან ერთად ამიერკავკასიაშიც, კერძოდ საქართველოშია საძებარი, სადაც ყურძნის წვენიც იქნა დაღვინებული და რომ მევენახეობა დამოუკიდებლად განვითარდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონში.[366]

აკად. ნ. კეცხოველი აღნიშნავს, რომ ამჟამად გავრცელებული 2000-ზე მეტი ვაზის ჯიში ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ მევენახეობის განვითარების რამდენიმე დამუიკიდებელი ცენტრი იყო. მათ შორის კულტურული წარმოებისა და მელვინეობის განვითარე-

366 Негруль Д. М. Происхождение культурное винограда, 1946, стр. 340.

ბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და არის საქართველო, სადაც ჩამოყალიბდა 500-ზე მეტი ჯიში, ანუ მსოფლიოს მთელი ასორტიმენტის 2,5%.[367] ისიც ცნობილია, რომ მევენახეობა-მეღვინეობა უძველესი დროიდანვე ქვეყნის ერთ-ერთ ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა. და, რომ „უპირველესი სამხარი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა მიწათმოქმედებაა და სხვაგვარი სახსარი ჯერ ჩვენში თითქმის არც კი დაძრულა. მიწათმოქმედებას ორი საგანი მოაქვს ჩვენი ქვეყნის გასაძღოლად ღვინო და ყოველგვარი ე.წ. საპურე მარცვალი".[368] აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივს წარმოადგენდა, როცა უცხო დამპყრობნი საქართველოს დასაუძლურებლად, მისი ეკონომიკის საფუძვლის განადგურებასაც ცდილობდა და აჩეხინებდა ვაზს, ნიგვზნარს, თუთნარს, ხეხილნარ-წალკოტს და სხვ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი როდესაც აღნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილის დიდ ღვაწლს, წერდა: „ვახუშტის ხეობის მოსავლიანობა-ნაყოფიერების დახასიათების დროს ყოველთვის აღნიშნული აქვს ხაზი, სადამდეც აღწევდა ის ზოლი და არე, სადაც ვაზი ხარობდა და რომლის ზევითაც ვაზი, ან ვაზთან ერთად ხეხილიც უკვე ქრებოდა. მაშასადამე ამ თვალსაზრისით მიწა-წყალი ორ ნაწილად იყოფოდა: ერთს ვენახხილიანი არე შეადგენდა, მეორეს კიდევ უვენახო და უხილო ზოლი ეკუთვნოდა:[369] ამასთან ერთად, იგი არ ივიწყებდა ღვინოსაც და სადაც კი შეუმჩნევია განსაკუთრებით თავისებური ღვინო, აღნიშნავდა: „ატენშიც არის საციცი ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებული. აქეე ღვინო კონდოლის წარჩინებული, და ახმეტის ღვინო კეთილი" და ა.შ.[370]

---

[367] ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 233.

[368] ი. ჭავჭავაძე, წერილები მეღვინეობის შესახებ, ტ. XII, თბ., 1956, გვ. 95.

[369] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. 2, თბ., 1935, გვ. 305.

[370] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 57.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების ტრადიციული, ზონალობის საფუძველზე, რომელიც დაფუძნებულია მდიდარ საწარმოო გამოცდილებაზე, გაგვაჩნია დასაბუთებული და მეცნიერულ ნიადაგზე შემუშავებული მიწათმოქმედების განვითარების პროგრამა, რომელიც ქვეყნის დარაიონების პრინციპით უნდა ხორციელდებოდეს. აღნიშნული პროგრამით, საქართველოში მეღვინეობის მიკრორაიონებადაა მიჩნეული კახეთის, ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის რაიონები. აღნიშნული რაიონები თავის მხრივ მოიცავენ, ანუ განიხილებიან მასში შემავალი მიკრორაიონებით, რომელნიც ერთმანეთისაგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავებულ პროდუქციას იძლევიან. მაგალითად, ქართლში საუკეთესო ღვინის რაიონებია ე.წ. გვერდის ძირი — წილკანი, ვაზისუბანი — დამპალო, ქსოვრისი, თეზი, ოკამი, კოდის წყარო, ხურვალეთი, კირბალი, მეჯვრისხევი, ფლავისმანი და სხვ. ამასთან, ქართლი ძირითადად ნაზი, სუფრის ღვინოების მომცემი კუთხეა, სადაც თავისი მაღალხარისხოვანი თვისებებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქსნის, არაგვის, მეჯუდის, ატენის ხეობების თეთრი, უჭაჭოდ დაყენებული სუფრის ღვინოები, ხიდისთავისა და ატენის სპეციფიკური ღვინოები. მათი ხალისიანი მჟავიანობა, მჩატე სხეული, მომწვანო ფერი და შემადგენელ ნაწილთა ჰარმონიული შეხამება ქმნის მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების მიღების შესაძლებლობებს.[371] ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართლში და საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, ყურძნის ჯიშთა მრავალფეროვნებისა და კლიმატურ-ნიადაგობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ღვინის ღირსების მიხედვით ხასიათდება ერთობ ნაზი პროდუქციით, რაც ფრიად მაღალხარისხოვანი შამპანური და საერთოდ ევროპული ტიპის ღვინომასალის შესაძლებლობას იძლევა, რომელსაც დიდი ადგილი უკავია ამ დარგის მრეწველური მიმართულებით განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში თითქმის გამოუსწორებელი შეცდომებია დაშვებული, მაინც ქვეყნის კლასიკურ რეგიონებში დიდი ტრადიციების შედეგად, ჯერ კიდევ

---

[371] ნ. კეცხოველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

შემონახულია უძველეს ჯიშთა მრავალფეროვნება, რომელთა ურთიერთ შერევით უნიკალური ღვინომასალა იწარმოება. ამ მხრივ საკვლევ რეგიონში აღსანიშნავია, ტაშისკარის, ატენის, მეჯუდის, დიდი და პატარა ლიახვის, ლეხურის ხეობათა ღვინოები. აქ ისტორიულად ჭარბობდა ე.წ. ჩინური (ჩინებული) ჯიშის ვაზი, რომელთა შორის შერეული სახით გაშენებული იყო გორული მწვანე, ბუდეშური, ღრუბელა, ხოლო თავკვერის გვერდით შავკაპიტო და ა.შ. ამიტომ, ქართული ვენახი თავისებურ მუზეუმს, სამოთხეს მოგვაგონებდა, რომელსაც ქართველი ხალხი მარტო საწარმოო თვალთახედვით კი არ აშენებდა, არამედ მას მიიჩნევდა საამო, საჩრდილობელ, დროს გასატარებელ ადგილადაც. აქედან გამომდინარე, იგი ვენახის გასაშენებლად დროსა და ენერგიას არ ზოგავდა და მისთვის ადგილის შესარჩევად და მოსაწყობად მდიდარ ტრადიციებს იყენებდა. ამიტომ, მან კარგად იცოდა, რომ საუკეთესო ღვინის წარმოებისათვის შესაბამისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით გარკვეული ჯიშის ვაზი უნდა შერჩია. იმისათვის, რომ მაღალხარისხიანი ღვინო ეწარმოებინა, მეურნე არ ერიდებოდა შედარებით ნაკლებმოსავლიან და ფაქიზი მზრუნველობის მომთხოვნი ჯიშების გაშენებასაც. ასეთი იყო მაგალითად ბუდეშური, შავკაპიტო, თავკვერი, გორული მწვანე და სხვ. ამიტომ, იქ, სადაც ყველა ზემოაღნიშნული გარემოებები იყო გათვალისწინებული, შესაბამისი სახელობის ღვინოებიც დამკვიდრდა: ატენური, ხიდისთაური, მუხრანული, კარდენახული, წინანდლური და ა.შ. ასეთივე ვითარებას ჰქონდა ადგილი დას. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებშიც.

ქართველი გლეხის მეურნეობრივი ტრადიციები ბუნების სხვა ფაქტორებთან ერთად, პირველ რიგში ითვალისწინებდა მზის როლს და ვენახე ადგილის შერჩევისას, კერძოდ ტერასების მოწყობისას, სამხრეთის ფერდობებს ამჯობინებდა. ამ მიზნით, მეურნე რთულ გარემო პირობებსაც არ ერიდებოდა. ვენახის გაშენება შესაბამის კატეგორიებში უნდა მოთავსებულიყო. იმ შემთხვევაში, თუ იგი საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს იყო და მოცულობითაც შედარებით მცირეს წარმოადგენდა, მას ბეგარადსავალდებულოდ მოიხსენიებდა. ამასთან, ეს ადგილი ძველისძველი სა-

მემკვიდრეო და ნოყიერი ნიადაგის განმსაზღვრელსაც გულისხმობდა. თითქმის ასეთივე შინაარსის მატარებელია ზვარი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს მნიშვნელოვნად დიდ ფართობს მოიცავს და როგორც ტერმინიდანაც ჩანს ერთობ მზვარე ადგილს გულისხმობს. ხოლო რაც შეეხება დიდი ვენახის სამურნეო ერთეულებად დანაწევრებას, რომელიც მის მოვლა-დამუშავებასა და სარწყავი სისტემის მოწყობასთან იყო დაკავშირებული „ეტი“ ეწოდებოდა (ეტი — არაკალი, საბა).

საზგასმით უნდა ითქვას, რომ შიდა ქართლის სინამდვილეში, დღემდე, ამ უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის-ტერასული მეურნეობის სისტემა მეტ-ნაკლები სახით ატენის ხეობამ შემოგვინახა, სადაც უამისოდ მართლაც შეუძლებელი იქნებოდა ამ ეროვნული დარგის წარმოება. ხეობის მევენახეობისათვის დამახასიათებელია, ისიც, რომ ოროგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, დიდი მოცულობის ზვრები ერთობ ნაკლებადაა წარმოდგენილი და განსაკუთრებით მის ზედა და გარდამავალ ზოლზე, რაც თავის მხრივ პატარ-პატარა ვენახებს ქმნის. ამასთან, ოჯახის შესაძლებლობების მიხედვით, ხშირად ვენახები სხვადასხვა მანძილითაა ერთმანეთისაგან დაშორებული, რომელნიც წლოვანების მიხედვითაა განლაგებული. ისე, რომ მეურნეს ერთდროულად გააჩნდა, როგორც ახალშენი, ისე გამართული და მიმდგარი — დაბერებული ვენახი. ატენის ხეობის მევენახეობის მესამე თავისებურებად მიგვაჩნია მასთან, ისტორიულად მეორე უძველესი დარგის — მეხილეობის გონივრული შერწყმა, რომელიც ასევე მეურნეობის უძველესი ფორმის შემორჩენის ბრწყინვალე მაგალითად უნდა მივიჩნიოთ. ამ უკანასკნელის ვენახთან ერთად წარმოდგენა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ თავდაპირველად ეს ორივე დარგი განუყოფელი იყო და მათი განცალკევება სხვა ფაქტორებთან ერთად თითოეული მათგანის ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია.

ამგვარად, ატენის ხეობის მევენახეობაში ზედმიწევნით კარგადაა შერწყმული ხილის წარმოება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ტერასის ფერდობის ირგვლივ სხვადასხვა, უმეტესად კურკოვანი და კენკროვანი ხეხილია შემორიგებული, რომელიც ერთდროულად ნიადაგს იცავს ერო-

ზიისა და ქარებისაგან, ქმნის ცოცხალ ღობეს და სხვა. ყველაფერთან ერთად, ხეხილი ვენახში ქმნის სასიამოვნო საჩრდილობელ გარემოს, მის ძირში მოწყობილია თავშესაფარი — თავშესაქცევი ადგილი, აქვეა იარაღ-ინვენტარის, წყალმომარაგებისა და ყოფითი სამეურნეო სისტემა. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია გარემო პირობების ხელოვნური წარმონაქმნებით შექმნილი თვალწარმტაცი იერსახე. ასეთ ვითარებაში, ტერასის მოწყობა-დამუშავებას თავისი სპეციფიკა გააჩნია. იმ შემთხვევაში, თუ იგი მცირე ფართობზეა გათვალისწინებული, მაშინ მის ირგვლივ მხოლოდ კენკროვან ხილს გააშენებდნენ, ხოლო დიდ ფართობზე შერეული ხილის დარგვას იწყებდნენ. დაბლარ ვენახში არცთუ იშვიათად, კანტიკუნტად მხოლოდ ატამს შეურევდნენ, ხოლო დიდ ფართობებზე ითესებოდა აგრეთვე ლობიო, კიტრი და სხვადასხვა სახის მწვანილი, რაც ბუნებრივია მიწის მომჭირნეობით იყო გამოწვეული და გარკვეულწილად გარდა იმისა, რომ ასეთ პირობებში სამუშაოთა პროცესების ჩატარება რთულდებოდა, მოსავლიანობაც დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. ტერასული მეურნეობა ნიადაგის ყოველწლიურ ღრმად დამუშავებას არ ითვალისწინებდა და მას 2-3 წლით ზოგჯერ 5-6 წლითაც დაუმუშავებელს ტოვებდნენ. ცნობილია, რომ ისტორიულად, ტერასზე და საერთოდ ვენახის მსუბუქად დამუშავება და შიგ პატივი — ნაკელის იშვიათად შეტანა მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოებისათვის მიმდინარეობდა. ისევე, როგორც მეჩხერი ვენახი ყოველთვის საუკეთესო ღვინომასალას იძლეოდა და ა.შ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მევენახეობა-მეღვინეობის საბაზროდ წარმოების განუსაზღვრელმა მისწრაფებამ ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი დავიწყებას მისცა. ამ მხრივ აღსანიშნავია თუნდაც გიორგი XII ცხოვრების ამსახველი ერთი მაგალითი, რომელიც პლატონ იოსელიანს აქვს აღწერილი ქობულაშვილის ქალის წერილის მიხედვით: „გიორგი XII უყვარდა მდიდარი სადილი ჩემი ქმარი ფიცით ამბობდა, რომელიც სადილისად სულ იმა სახლშია, რომ რაც ერთი კაცის სამყოფია მეტს არ მიირთმევსო; მაგრამ გრძელად უყვარს, რომ სადილი იშლებოდეს და ღვინოს უფრო მომეტებულსა, მაგრამ ისეთს ღვინოს მიირთმევდა, რომ ეხლა სადღა იშოვება იმისათვის ღვინო. იმათი

სასმელი ღვინოს ვენახი უნდა აბეჩხარი ყოფილიყო, ესეთი დაუბარავი და პატივი დაუყრელი, ამისთვის, რომ ძალიან ცოტა გამოვიდოდა კარგი...“[372]

მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, ისტორიული დოკუმენტები და სხვა წყაროები ირწმუნება, რომ საქართველოს ცალკეულ რეგიონში, ზონასა თუ მიკრორაიონში რა ტიპის ვენახის გაშენებას და ღვინის წარმოებას მისდევდნენ. ცნობილია ისიც, რომ თუ ქვეყნის გარკვეულ ადგილებში სხვადასხვა გარემოებათა გამო, როგორ გადაშენდა ვაზი, ან ახალ ადგილებზე ჰპოვა გავრცელება. მაგალითად, ამ მხრივ ერთ დროს სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა მესხეთისა და საერთოდ სამხრეთ საქართველოს მევენახეობა, სადაც ისტორიის ჟამთა სიავისა გამო იგი განადგურდა, თუმცა ქართლში ეს დარგი კიდევ უფრო ალორძინდა და სხვ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონების შესაბამისად, მევენახეობის ტიპიც სავსებით მიესადაგება ქვეყნის ეგზოტიკურ ბუნებას და მათგან მიღებული ღვინოებიც რადიკალურად განსხვავებული თვისება-თავისებურებისაა, რომელსაც სხვა მრავალ ფაქტორთა შორის ფართობის მდებარეობა, ნიადაგის შემადგენლობა და ოროგრაფია განსაზღვრავდა. მაგალითად, ვაკე, დაბლობი და ნოტიო ადგილები სხვა-მჩატე და მსუბუქ ღვინოს იძლევა, გვერდისძირი სხვა შედარებით მკვეთრი და მჭახე ღვინოს, სამხრეთ ფართობი კიდევ უფრო საუკეთესოს და ა.შ. სადაც, როგორც ითქვა დიდი წვლილი შეაქვს, კრეფის ვადებს, ჯიშთა სიმრავლე-სიჭრელეს და სხვ.[373]

იმის თქმა, რომ ძველი, ისტორიული ტრადიციები და გამოცდილება ხელაღებით იქნეს დანერგილი და გათვალისწინებული, ბუნებრივია სადღეისო მოთხოვნებს ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ მემკვიდრეობითობის გაუთვალისწინებლობა სამომავლოდ კიდევ უფრო დამღუპველი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიკარგება ღვინის ისეთი სახეობა, როგორიცაა ამ შემთხვევაში ატენური, ხიდისთაური და სხვ. რომელთა წარმოება ძირითადად ისევ ტრადიციულ პატარ-პატარა, ტერასულ მეურნეობაზეა

---

[372] პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XII-ისა, თბ., 1932, გვ. 60.
[373] ნ. კეცხოველი, დას. ნაშრომი, გვ. 51.

დაფუძნებული და რომ სწორედ ამ გარემოებას გულისხმობდა აკად. ნ. კეცხოველი, როდესაც აღნიშნავდა: „ვენახების გაშენების დროს არავითარ შემთხვევაში ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით არ უნდა წავიდეთ, გვერდი უნდა ავუაროთ გაიოლების გზას, უკანასკნელ ხანში კი ახალი ვენახების გაშენების დროს აქა-იქ ეს გაიოლების ტენდენცია შესამჩნევია, რამაც ჩვენს მევენახეობას შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს“ (გვ. 245).

როგორც ცნობილია, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში იგი უმთავრესად სამივე ძირითადი ფორმით ჩამოყალიბდა: მაღლარი, დობილო და ბაბილო; უმბური ანუ გართხმული და დაბლარი, ანუ იმერეთში ხელნაშენი დაბალი ტანისად გაზრდილ ვაზს-ვენახს ეწოდებოდა, ხოლო მაღლარი ხეზე გაშვებულს, დიდი ტანის მხვიარა მცენარედ გაზრდილ ვაზს და გართხმული, უსარ-უსაყრდენოდ დაბალ ბუჩქად წარმოდგენილ ვაზს, რომელიც ერთ-ერთ უძველეს ფორმას წარმოადგენდა.[374] ვენახის ტიპებს შორის, საქართველოში ძირითადად დაბლარია გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ რაჭაში ტერმინი „დაბლარი“ ნაკლებად იხმარება, მას ცვლის „ძირეული ვენახი“, „ხარდნიენახი“ და „სარის ვენახი“.[375]

მევენახეობის ზემოაღნიშნული ფორმებიდან ატენის ხეობაში გავრცელებულია მაღლარი და დაბლარი, აქედან ძირითადად დაბლარი ჭარბობს, რომელიც სარზე მანეულითაა აკრული. დაბლარ ვენახში ვაზი არეულად და მჭიდროდაა დარგული, თუმცა იგი თავდაპირველად მწკრივად ირგვის და შემდგომში, გამეჩხერება-გადაბერების, ანუ გაახლების მიზნით გადაწიდვნა არღვევს მის პირვანდელ სახეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამჟამად, ვაზის წარმოების აღნიშნული ფორმა მხოლოდ ტერასებზე გვხვდება, ხოლო მწკრივად, დაშორიშორებული ვენახი დიდ და გაშლილ ფართობებზე, რაც ამ ხეობის მხოლოდ ქვედა წელისათვისაა დამახასიათებელი, კერძოდ სოფლების ხიდისთავის, ქვახვრელისა და ნა-

---

374 იე. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 289.

375 ლ. ფრუიძე, მევენახეობა საქართველოში, წიგნი I, თბ., 1974, გვ. 17.

წილობრივ ატენის სანახებში. რაც შეეხება მაღლარ ვენახებს იგი ძირითადად წარმოდგენილია, ე.წ. ხეივან-ტალავრების და კანტი-კუნტად ხეზე გაშვებული სახით, ისიც მხოლოდ ე.წ. „იზაბელას“ ჯიში.

ცნობილია, რომ ტერასული მიწათმოქმედება და განსაკუთრებით მევენახეობა დიდ ტრადიციულ შრომით კულტურასთან ერთად ყველაზე მეტ ჯაფას თხოულობს. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ შემჭიდროებულად, არეულად გაშენებულ ვენახში მეურნის დიდი გულმოდგინებით განხორციელებული სამუშაოები: ნაკელის შეტანა, ბარვა, თოხნა, გასხვლა, სარის შედგმა, შეყელვა, გაფურჩქნა, შეწამვლა, სარისა და წალმის გამოტანა, ყურძნის კრეფა, ხშირად დამარხვა-აშვება, გადაწვენა-გადაწიდნვა შემდეგ ღვინის დაყენება-მოვლა და ა.შ., რომელიც მთელი წლის ციკლზეა გაანგარიშებული. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს ქართველი გლეხის ის ბუნება-განწყობა, რაც მევენახეობა-მეღვინეობაში აქვს ჩაქსოვილი. ასეთ ვითარებაში, კიდევ ურფო საყურადღებოა ამ მიკრო რეგიონისათვის დამახასიათებელი ვაზის უძველესი ქართული ჯიშების ნაირფეროვნება, რომელთა ზოგიერთი მათგანის სახელწოდებაც კი გამქრალია, თუმცა მან ფიზიკურ გადაშენებას გაუძლო. ამგვარად, ატენის ხეობაში წარმოებულ ვაზისჯიშთა შორის სადღეისოდ ჭარბობს შავი და წითელი ჯიშებიდან: ძველ-შავი, ანუ ძელ-შავი, მტრედის ფეხა, ცხენის ძუძუ, შავი-თითა, ხარისთვალა, თავკვერი, ჟღია, ადრეულა, შაკაპიტო, ფერადი, დიღმური, გალმამხრული, განახარული და სხვ. ხოლო თეთრი ყურძნიდან: თითა, ხარისთვალა, მწვანე, გორული მწვანე, ჩინური, ღრუბელა, ბუდეშური, გორული, ატენური, კასპური, ჭყოპა, კაკნატელა და სხვ.

გარდა იმისა, რომ ტერასული მევენახეობა დაფუძნებულია რთულ სარწყავ სისტემაზე, როდესაც წყალი დიდი გამჭრიახობისა და შრომის ფასად საკმაოდ შორი მანძილიდან, კლდოვან-ციცაბო ფერდობებიდან მოუდით, სეზონურად აქ მხოლოდ 2-3-ჯერ თუ რწყავენ. ხშირი რწყვა, მათი გადმოცემით, ნიადაგის მოზვინვას, დამძიმებას და გარეცხვას იწვევს. ამასთან ყურძენს ალაყებს და ღვინოც ბუნებრივია მდარე დგება. საკვლევ რეგიონში კარგადაა აგრეთვე შემორჩენილი ყურძნის შერჩევითი

კრეფის, დაწურვისა და შენახვა-რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და სხვ. მეთოდები. როგორც წესი, საადრეო, სასუფრე ჯიშებს შესაბამის პერიოდში კრეფენ, რაც დამოკიდებულია აგრეთვე მიმდინარე კლიმატურ პირობებზეც. მასიურ კრეფას წინ უსწრებს აგრეთვე საადრეო საღვინე ჯიშების კრეფაც, ისე, რომ მიმდინარე რთველს ხშირად ახალი ღვინით ილოცებიან. ყურძნის დაწურვა ფეხით, ხის დიდ საწნახელში — ნავში მიმდინარეობს, სადაც ხშირად ღვინოსაც დაადუღებენ. საერთოდ კი ღვინის დასადუღებლად სპეციალური — სადული ქვევრები გააჩნიათ, საიდანაც შემდეგ მომცრო ქვევრებში გადაანაწილებენ. ამ უკანასკნელი ქვევრებიდან თანდათან მიმდინარეობს ღვინის ხარჯვა, დარჩენილი ღვინისათვის სხვა ქვევრებში გადაღება ანუ „ძირის გამოცლა“ და ა.შ. რომელიც მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. როგორც წესი, ქვევრის ნაკლულად დატოვება არ შეიძლებოდა. ამასთან, ღვინის ხშირი გადაღება მას უფრო გემოწმინდას, ცქრიალას და კეთილშობილს ხდის. მარანში, სადაც ქვევრებია ჩაყრილი, მეურნე ცდილობს რა თანაბარი ტემპერატურის შენარჩუნებას, ნიადაგის ხელოვნურ დანესტიანებას მიმართავს, რისთვისაც მას მოწყობილი აქვს პატარ-პატარა კანაოები — თხრილები, სადაც პერიოდულად წყალს ჩაავუბებს, ან შეძლებისდაგვარად გამავალი წყალ-ნაკადულით უზრუნველყოფს. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ ხეობის საერთო კლიმატურ პირობებს, ვაზის ჯიშთა მრავალფეროვნებას მათ გეგმაზომიერ გამოყენებას საღვინე მასალის წარმოებაში და სხვ. ადვილი წარმოსადგენი იქნება ის დიდი აღიარება, რომელიც ატენურმა და ხიდისთაურმა ღვინოებმა მოიპოვეს. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ღვინოები თავიანთი სიმსუბუქე-სიფაქიზესინაზის გამო, ერთობ ნაკლებ ტრანსპორტირებადია და ისინი შორ მანძილზე გადაადგილებისას გარკვეულ წილად კარგავენ თავიანთ ღირსებას. ამიტომ, იყო შემთხვევები, როდესაც დიდი პატივისცემის აღსანიშნავად მის გადატანას ქვევრიანადაც მიმართავენ ხოლმე. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ღვინის ტრანსპორტირების და განსაკუთრებით შორ მანძილზე გადატანის შემდეგ მას გარკვეული დროით „დასვენება“ სჭირდე-

ბა, რომელიც განსაკუთრებით ატენურზე, ხიდისთაურზე, ხვანჭკარაზე, ქინძმარაულზე და სხვა, ე.წ. სადესერტო ღვინოებზე ვრცელდება.

როგორც აღინიშნა, ატენის ხეობა, დიდი ზვრების არსებობის შესაძლებლობას არ იძლეოდა და ამდენად, ძველთაგანვე ღვინის წარმოება და მოხმარება ძირითადად შიდა მოხმარებით და ახლო-მახლო მოსახლეობის მოთხოვნილებით განისაზღვრებოდა. ხოლო რაც შეეხებოდა მემამულეთა ზვრებიდან წარმოებულ დაძველებულ ღვინოებს, ესეც ნაკლებად სცილდებოდა შიდა ქართლის საზღვრებს და ეს მაშინ, როდესაც დაძველებული ღვინოები ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად საკვებ კომპონენტს წარმოადგენდა, რომელზეც მოთხოვნილება განსაკუთრებით XIX ს. იზრდება. ეს ის პერიოდია, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობს სამიმოსვლო საშუალებათა სწრაფი გაფართოება, რომელმაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საქართველოში ზოგადად სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას. ამიერიდან კიდევ უფრო გამოიკვეთა სპეციალიზირებული რეგიონები არა მარტო ამ მიმართულებით, არამედ საერთოდ სოფლის მეურნეობის მრავალწახნაგოვან დარგების აღორძინებაში. ასეთ პირობებში, ატენის ხეობა ერთ-ერთ მოწინავეობას ჩემულობს, რამდენადაც მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი, ჯერ კიდევ XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დამდეგისათვის, „ატენის ზვარი“ მევენახეობის საკმაოდ მსხვილი მეურნეობის ორგანიზაციის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენდა. საიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული დროისათვის ატენის ხეობა მევენახეობა-მეღვინეობით ერთ-ერთ პრიორიტეტულ და მეურნეობრივი თაოსნობით ძირითად დარგს წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოება კარგად ჩანს თუნდაც ატენის ხეობის მოურავის შესახებ არსებული დებულებებიდანაც, სადაც აღნიშნულია: „ხევის თაობა მოურავისა არის, სოფელში თვითო კოკა ტკბილი ღვინო, ცხენის ბმა, გასამყრელო, თავის გასამტეხლო და საჩექმე“.[376]

ამგვარად, ჩანს, რომ ხეობის გამგებლის ერთ-ერთი მთავარი შემოსავალი, რაც მოსახლეობიდან ნატურალური გადასახადის სახით იკრიფე-

[376] ვახტანგ VI, „დასტურლამალი“, თბ., 1886, გვ. 8.

ბოდა იყო ღვინის თკბილი და, ამდენად, იგი არსებობის ერთ-ერთ ძირითად წყაროდაც ითვლებოდა. აგრეთვე, ატენის ზვარი, რომელიც მეფის მამულს წარმოადგენდა, აქაური მეზვრის სარგოს შეადგენდა: „ჭაჭა, თითო ბროხა, ბარი, სათიბელა, წალდი, შვიდი აბაზი ტანისამოსისათვის“. ამასთან, ზვრების როგორც მსხვილი ფეოდალური მეურნეობრივი ორგანიზაციის განრიგი ითვალისწინებდა: „ატენს ბატონის ზვრის მუშაობისა რიგი: ელენეს ზვრის მესამედს სკრელნი და საციციანოელნი შეიმუშავებენ. ამავე ზუარში ერთს ამდენს ბატონის ფარით შეიმუშავებენ; კიდევ ამავე ზვარში ერთს ამდენს ქვახვრელნი მუშაობენ“. აგრეთვე „დიდ ზვარს იისციხელნი, ავკეცნი, ვერელნი, გარდატენელნი, ბობნეველნი, ხანდნელნი, თხილნეელნი, ბისელნი, ღვივისხეველნი, ოლოზნელნი, ბნეველნი, კეზეველნი, ბარამათუბნელნი, — ესენი თავის ხარით, ნებვით ყოველთვის მუშაობდენ“.[377]

როგორც ჩანს, ერთი მსხვილი მამული სამი ზვრისაგან, ან ეტისაგან შედგებოდა, რომელთაგან ორი შედარებით პატარაა, ხოლო ერთი „დიდ ზვარს წარმოადგენს, რომლის დამუშავება 15 სოფელს ჰქონდა დაკისრებული თვით ატენის ჩათვლით. ამას გარდა, „ცოტა ალაგს“ კიდევ დაქირავებული შრომით ამუშავებდნენ. აღნიშნული დოკუმენტი იმითაცაა საყურადღებო, რომ ვენახის მოვლაში მონაწილეობას ღებულობენ მთის ზონის იმ სოფლების გლეხობა, სადაც ვაზი ვერ გვარობდა, თუმცა საამისო სამუშაოებს კარგად ფლობდნენ.

ატენის ხეობაში მევენახეობა-მეღვინეობის ინტენსიურ განვითარებას კლიმატურ-ბუნებრივ პირობებთან ერთად ხელს უწყობდა მესაქონლეობისა და სატყეო მეურნეობის დარგების მაღალი დონე, ცენტრალურ სავაჭრო ადგილებთან სიახლოვე, ქვეყნის მევენახეობის რეგიონებთან კავშირურთიერთობა და სხვ. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში თავისებურ სტიმულს იძლეოდა ახალ-ახალი ბაზრების მოპოვება, კერძოდ რუსეთის იმპერიის სახით, რომელიც ცდილობდა არამარტო ქართული ღვი-

[377] ვახტანგ VI, „დასტურლამალი“, გე. 9.

ნის შეტანას, არამედ ვაზის ჯიშებისაც. აღნიშნულ გარემოებას ნათელს ფენს თუნდაც 1789 წ. 13 თებერვლის იმპერატორ პავლე I-ის მიერ დამტკიცებული „სახელმწიფო მეურნეობის ექსპედიციის“ მოხსენება, სადაც ნათქვამია: „კავკასიის ლინიაზე დარგული თბილისური ვაზები უკვე იძლევიან ფრიად კარგი ღირსების ღვინოებსო, რის გამოც — იქვე აღნიშნულია — რომ აუცილებლად საჭიროებდა საქართველოდან სხვადასხვა ჯიშის ვაზის ნერგების უფრო მასობრივად გატანა რუსეთში. ამასთან, რუსეთის, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება მიისწრაფოდა მოეწყო შიგა რუსეთის ბაზრების ქართული ღვინოებით მომარაგება, რაც სახელმწიფოებრივ რანგში იყო აყვანილი. აღნიშნული გარემოება კი გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ხანებში, კერძოდ XVIII ს. 30-იან წლებში, შემოტანილი ღვინოებისათვის რუსეთი უცხოეთის სახელმწიფოებს უხდიდა ყოველწლიურად დაახლოებით 10 მლნ. მანეთს ოქროთი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია რუსეთი თავის მეურნეობრივ პოლიტიკაში გარკვეულ ადგილს უთმობდა მევენახეობის დარგის განვითარებას. სწორედ ამ მიზნებს ისახავდა აგრეთვე 1828 წ. თბილისის გუბერნატორის გენერალ სიპიაგინის ინიციატივით შექმნილი „მეურნეობრივ წამოწყებათა გაუმჯობესების, დამხმარე განსაკუთრებული კომიტეტის“ საქმიანობა, რომელსაც ორი სპეციალიზირებული სანიმუშო ფერმა უნდა დაეარსებინა — ერთი მემცენარეობა-მეცხოველეობისა და მეორე მევენახეობა-მელვინეობის. შემდგომში, ამ და სხვა სასოფლო-სამეურნეო, მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის არაერთი საზოგადოება იქნა დაარსებული.[378] ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად, თანდათან ფართოვდება მევენახეობა-მელვინეობის სამრეწველო დანიშნულებით წარმოების ინტერესი.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით XIX ს. მეორე ნახევარში, საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის კლასიკურ რეგიონებში წარმოქმნა საკმაოდ მსხვილი ე.წ. საფეოდალო მამულები, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო ატენ-ხიდისთავის ერისთავების, ორბელიანებისა და

[378] ჯ. გუგუშვილი, მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წ. ეკონომ. ინს. შრომები, ტ. V, თბ., 1951, გვ. 147.

ამილახვრების ზვრები, რომელთაც შესაბამისი ისტორიული საფუძვლები გააჩნდათ. ამ მხრივ ხეობა ძირითადად ორ ზონად წარმოგვიდგება, რამდენადაც მდ. ტანას მარჯვენა მხარე ეჭირა მებატონე ერისთავს, მარცხენა ორბელიანს, ხოლო წედისის ხევი მდ. ათრევას აუზი ამილახვრებს.[379] აქვე უნდა აღინიშნოს, იმის შესახებაც, როცა ატენის ამ ბუნებრივად რთულ და სახნავ-სათესი ფართობებით შეზღუდულ ხეობაში, განსაკუთრებით მევენახეობით დაინტერესებული საზოგადოების სხვა, დაბალი ფენაც მიისწრაფოდა. ამ მხრივ საყურადღებოა თუნდაც საუფლისწულო ყმის პაპუნა დოქიძის დაინტერესებაც, რომელმაც XVIII ს. დამდეგს, დომენტი კათალიკოსის და სვეტიცხოველის ყმა მამული იყო 1712-1719 წწ. ნასყიდობათა გზით საკმაო მამული დაიგირავა. 1713 წ. მას უყიდია ვენახი ატენს, 1716 წ. ისევ ატენს ვენახი – ახალშენი მამული; 1728 წ. იგი ყიდულობს ზურაბ სააკაძისაგან ვენახს და სხვ. რომელთა დასამუშავებლად იძენდა აგრეთვე ყმებს თავიანთი მამულებით, კერძოდ 1724 წ. იგი სოფ. გრაკალში როინ ჯავახიშვილისაგან ყიდულობს ბერი მიხანაშვილის, დომენტი კათალიკოზისაგან ღებულობს ერთ საკომლოს ატენში, მასვე უყიდია ატენს სასახლის ალაგი, სადაც აუშენებია „კარგი დარბაზი და საწოლი“, მარანი, საკუჭნაო, სახაბაზო, საჯინიბო, ბოსელი, კარაპანი და კალო-საბძლით, მასვე უყიდია ედიშერ ციციშვილისაგან ვენახი; სააკაძისაგან 5 დღის სავენახე მიწა ხიდისთავს; მანვე დამატებით იყიდა ატენს ვენახები, რომლებიც ზვარად აქცია, იყიდა აგრეთვე წისქვილი, ყმები და ა.შ.[380]

ამგვარად, ნაწილობრივ ჩვენს მიერ დაფიქსირებული ზემოაღნიშნული არგუმენტები, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ატენის ხეობის მევენახეობა-მეღვინეობის მდიდარ ტრადიციებზე, რომელიც დღესაც მაღალ დონეზეა წარმოდგენილი.

ოდითგანვე, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მეცხოველეობის დარგების წარმოებას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ად-

---

379 ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 14.

380 გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVII ს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 84.

გილი ეკავა. როგორც ყოველთვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტენსიური განვითარებისათვის შესაბამისი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების არსებობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მეცხოველეობის დარგების წარმოებასაც. უფრო მეტიც, მასში დასაქმებული მეურნე გაცილებით შრომატევად საქმიანობას ეწევა, რამდენადაც იგი დარსა თუ ავდარში, ზამთარში თუ ზაფხულში, ძირითად დროს საძოვარ-სადგომებზე ატარებს, იღებს პროდუქტ-ნედლეულს, აწარმოებს მის პირველად გადამუშავებას და ა.შ. მეჯოგე-მწყემსების ცოდნა-გამოცდილებაზეა დაფუძნებული მესაქონლეობის ცალკეული დარგების შესაბამის ბუნებრივ გარემოში მაღალმწარმოებლურობის უზრუნველყოფა. ამ დარგებში დასაქმებული მეურნე კარგად უნდა ერკვეოდეს არამარტო საძოვარ-სადგომი ადგილების შერჩევა-მონაცვლეობაში, არამედ საქონლის სხვადასხვა სახის დაავადებების გამომწვევ მიზეზებში და მათ განკურნებაში, განაყოფიერებისა და მშობიარობის ვადების, ნამატის შენარჩუნება-მოვლაში, პროდუქციის წარმოება-გადამუშავებაში, ბუნების მოვლენების ჭირვეულობის პერიოდების წინასწარ განჭვრეტასა და შესაბამისი ზომების მიღებაში და ა.შ. ისე, რომ მეცხოველეობის მაღალ დონეზე განვითარება, რომელიც ოდითგანვე ადამიანთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საარსებო საშუალებას წარმოადგენდა, თანდათანობით იხვეწებოდა და უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენდა.

მეცხოველეობის დარგების მწარმოებელ უძველეს ქვეყნებს შორის საქართველოს შესაბამისი, მოკრძალებული ადგილი უკავია, რომელიც ცალკეული მიკრორეგიონალურ შემთხვევებში თავისი ორიგინალობით და მრავალფეროვნებით ერთ-ერთ საჩვენებელ ობიექტად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს პირობებში მეცხოველეობაში ჯიშთა ნაირსახეობა, პროდუქციის მრავალფეროვნება, შედგენილობა და სხვ. ოდითგანვე დიდ ყურადღებას იპყრობდა და საქვეყნოდ იყო ცნობილი. ამაზე მეტყველებს, როგორც მდიდარი არქეოლოგიური, ისე წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მასალა. ამ მხრივ საყურადღებოა თუნდაც ძვ.წ. აღრიცხვის XI საუკუნის ასირიელი დამპყრობლების, კერძოდ ტიგლატფალასარ I

დროინდელი წარწერები, სადაც ქართველურ ტომთა-მესხების მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის სიმრავლეზეა საუბარი.[381]

სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგები თავისი ინტენსიობით ოდითგანვე დამახასიათებელი იყო და არის განსაკუთრებით მთის რეგიონებისათვის, სადაც მისი წარმოების ხელსაყრელი ბუნებრი-ეკონომიკური პირობები არსებობდა. როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის წარმოება შესაბამისი გარემო პირობებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც თითოეულ მათგანს მაღალმწარმოებლურობის გარკვეული სახის საკვებმომპოვებელი ბაზა, კლიმატურ-რელიეფური მდგომარეობა განსაზღვრავდა. აღსანიშნავია, რომ ძველად და ახლაც ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში თუ ერთგან წარმოების მაღალი დონით გამოირჩევა წვრილფეხა პირუტყვი (ცხვარი, თხა), მეორეგან მსხვილფეხა საქონელი (ხარი, ძროხა, კამეჩი, ღორი, ცხენი და ა.შ.). ამიტომ, თანამედროვე პირობებში, საქართველოს მეცხოველეობის დარგებში დაწინაურებულ რეგიონებში შემორჩენილია ადგილობრივი ჯიშის საქონელი: ცხვარი — თუშური, ოსური, იმერული და თათრული., მსხვილფეხა საქონლიდან ძროხა — ხევსურული, რომელიც ზამთრის მკაცრი პირობებისა და რელიეფთან შეხამების, რძის ცხიმიანობისა და სხვათა კლასიკური მაგალითის მატარებელია. ასევე ითქმის თხის, ღორის, ცხენის ჯიშებზე და სხვ. ისე, რომ ზოგადად, ძველთაგანვე მესაქონლეობას განსაკუთრებით მიზდევდნენ თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, ხევში, თიანეთში, ქართლის ცალკეულ რეგიონებში და ქვ. ქართლის, უმთავრესად აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში, ალპური საძოვრები განაპირობებდა ამ დარგის მომთაბარულ ხასიათს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ საქონელი გაზაფხულ-ზაფხულში მთის იალაღებზეა, ხოლო ოქტომბერ-მარტის დამლევამდე ბარში — ვაკეებში მოედინება. ამ მხრივ ბუნებრივია საზაფხულო საძოვრები უფრო უხვად იყო წარმოდგენილი მთაში, რამდენადაც ბარის მოსახლეობის მიწის ძირითადი ფართობები სახნავ-სათესს და საერთოდ მიწათმოქმედებას ეკავა. აღნიშნულ გა-

[381] Народи Кавказа, т. II, М., 1962, стр. 250.

რემოებაზე მიგვანიშნებს, თუნდაც XX ს. დამდეგის მონაცემებიც, როდესაც 1910 წელს თბილისის გუბერნიაში, რომელიც მოიცავდა: ჯავახეთს, სამცხე-საათაბაგოს, ქართლს, კახეთს, ქიზიყს, ხევსურეთს, ფშავს, თუშეთს, საინგილოს და სომხითს და 9 ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა, კერძოდ: ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, თიანეთის, სიღნაღის, თელავისა და თბილისის მაზრად, მისი საერთო სივრცე 35.900,9 კვ. ვერსს უდრიდა, საზაფხულო საძოვარს ეკავა 510.000 ოთხკუთხა დესეტინა, საზამთროს კი 350.000 ოთხკუთხა დესეტინა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ზაქათალის ოლქი, სადაც შესაბამისად საზაფხულო საძოვარი უდრიდა 50.000 ოთხკუთხა სივრცეს და მთელი ტერიტორიის 7 პროცენტს შეადგენდა.[382]

ტანა-ათრევას ხეობის თრიალეთის მიმდებარე სათიბ-საძოვრები ყველა პირობას ქმნიდა მესაქონლეობის განვითარებისთვის. აქ ძირითადად მსხვილფეხა, როგორც სარძევე და მუშა, ისე სამრეწველო ჯიშის საქონელს აწარმოებდნენ. რეგიონის მოსახლეობის მჭიდრო სოციალურ-ეკონომიკური კიავშირები ამ დარგის მომთაბარული ხასიათის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს იძლეოდა. როგორც ჩანს, გარკვეულ პერიოდებში, ხეობის მოსახლეობა ამ მხრივ არამარტო შიდა მომთაბარულ მეურნეობას მიზდევდა, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ თრიალეთის გადაღმა მანგლისისა და თურქეთის სანახებსაც კი სწვდებოდა. ამის ნათელი დასტურია ჯერ კიდევ XIX ს. II ნახევარში გერმანელი კოლონისტების მიერ აქ ჩამოყალიბებული მეცხოველეობის ფერმების არსებობა, შესაბამისად პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოების, სხვადასხვა სახისა და მოცულობის ქარხნების მოწყობა, სადაც აქტიურად იყო ჩაბმული ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ გერმანელმა კოლონისტებმა და რუსმა სექტანტებმა, განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრაში საუკეთესო ჯიშის შვეიცარული და რუსული საქონელი მოაშენეს. მათ მიერ ადგილობრივი ძროხ-

---

[382] გ. ნ. გეხტმანი, საქართველო, ასერბაიჯანი და სომხეთი, თბ., 1923, გვ. 80.

ისა და შვეიცარული ბულის შედეგად მიღებული და გაუმჯობესებული იქნა ადგილობრივი ჰავისა და პირობების ამტანი საქონლის ჯიში, რომელთა კვალობაზე ამ დარგში მოღვაწე გერმანელმა კუჩენბახმა 1864 წ. სოფ. მამუტლოში დაარსა სამაგალითო ფერმა 1.500 ოთხკუთხ დესეტინაზე, სადაც შემოიღო ალპური სარძეო მეურნეობა. ამავე ფერმაში, გარდა ადგილობრივი ერბოსი, კარაქისა და ყველისა, შემოიღეს კავკასიურ-შვეიცარული ყველის კეთება, რომელმაც სახელი გაითქვა არა მარტო საქართველოს, არამედ შვეიცარიისა და რუსეთის ბაზრებზეც და „რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს მშვენიერი დაყენებული სარძეო მეურნეობა სრულიად გაანადგურეს ადგილობრივმა თათრებმა 1905-1906 წლების რევოლუციონური მოძრაობის დროსო“.[383]

ამასთან ერთად, მკვლევარი[384] გულისტკივილით აღნიშნავს იმ დიდ ზიანზე, რომელიც რევოლუციებმა მოუტანა საქართველოს სოფლის მეურნეობას და მოჰყავს კიდევ ერთი მაგალითი: „1917-1918 წწ. აქ თათრების მიერ დანგრეული და განადგურებული იქნა არა თუ ყველის დიდი ქარხნები, პატარა-პატარა ქარხნებიც კი არ იქნა დაზოგილი. აღსანიშნავია ბ. ნ. ყავრიშვილის მოღვაწეობა ამ დარგში. მან სოფ. მოხისში, მანგლისის მახლობლად, დაარსა ევროპულად მოწყობილი ფერმა: მალე საქმე ძალიან გაფართოვდა; ფერმაც სამაგალითო შეიქმნა“.

როგორც ჩანს, დღესაც მანგლის-წალკის რეგიონებში ყველის ნაირსახეობების წარმოება ზემოაღნიშნული ტრადიციების შედეგი უნდა იყოს, რომელთანაც მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაში უნდა განვიხილოთ ტანა-ათრევას მოსახლეობის შრომითი საქმიანობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისტორიულად, ქართლთან ტაო-კლარჯეთთან და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ერთ-ერთ უმოკლეს გადასასვლელ გზას აღნიშნული ხეობა წარმოადგენდა, სავსებით ბუნებრივია მათ შორის ურთიერთ სოციალურ-ეკონომიკური და მეურნეობრივი კავშირები, რამაც ასახვა ჰპოვა ორივე მხარის მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაში. კერძოდ

---

[383] გ. ნ. გეხტმანი, დას. ნაშრომი, გვ. 80.

[384] პროფ. გეხტმანი, თბილისის სახ. უნივერსიტეტში ქართულ ენაზე კითხულობდა ლექციებს საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში.

ფერმერული მეურნეობის მოწყობა, საქონლის ჯიშობრივად გამდიდრება, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიები, ერბო-კარაქის ამოღება, ყველის დამზადება, ტყავის, მატყლისა და სხვ. წარმოება. ყველა ზემოალნიშნულიდან გამომდინარე, კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, როდესაც საქართველოში მაღალ ტექნოლოგიურ დონეზეა, როგორც ე.წ. კავკასიურ-შვეიცარული, მეგრულ-სვანური სულგუნის, ისე თუშური, იმერული, ოსური, თათრული, სომხური და კიდევ სხვადასხვა სახის ყველის წარმოება.

ტანა-ათრევას ხეობის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ძირითადად ქართლის პირობებისთვის დამახასიათებელი საქონლის ჯიშებია გავრცელებული. შედარებით მომცრო ტანის ძროხა, რომელიც კარგადაა შეგუებული ადგილობრივ კლიმატურ-ბუნებრივ პირობებს, საკმაოდ მაღალი ცხიმიანობით გამოირჩევა. ხეობის სანახებში ნაკლებად მაგრამ მაინც ვხვდებით აგრეთვე რუსულ-შვეიცარულ და ჩრდ. კავკასიური ჯიშის საქონლის ნარევსაც. თითქმის ასევეა ცხვრისა და თხის ჯიშობრივი შემადგენლობაც, იმ გამონაკლისით, რომ მეცხვარეობას საბაზრო ეკონომიკაში შედარებით ნაკლები ადგილი უკავია და იგი ძირითადად ადგილობრივ მოხმარების პროდუქტს წარმოადგენს. ამასთან უნდა ითქვას, რომ XX ს. შუა ხანებისთვის, აღნიშნული ტრადიცია მეტ-ნაკლები სახით ირღვევა და ხეობის მოსახლეობაში მეცხვარეობის ადგილი და როლი უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რაც განპირობებული იყო ახალ-ახალი საზამთრო და საზაფხულო საძოვრების მოპოვების შესაძლებლობით.

XX ს. 60-70-იანი წლების მონაცემებით, ხეობის ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით ცხვრისა და თხის სულადობა უდრიდა: ხიდისთავში – 1077, ბნავისში – 944, ატენში – 1377, ბოშურში – 589 და საყავრეში – 2416 ერთეულს. შესაბამისად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი: 622, 416, 678, 329, 789 სულს.[385] ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ არსებული სისტემა ზღუდავდა კერძო მეურნეობრივ სტრუქტურას, მათ შორის მესაქონლეობაშიც და

[385] გორის რ-ნი და ქალაქი გორი, სტატისტიკური კრებული, გორი, 1968, გვ. 218, 223.

საშუალოდ კომლზე 5-10 წვრილფეხა და 2-3 მსხვილფეხა საქონლის ყოლით განისაზღვრებოდა, ნათლად წარმოვიდგენთ მის ხვედრით წილს ხეობის ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქვე უნდა ითქვას, რომ აქ წარმოებული ცხვრის ჯიშებიდან უმთავრესად ჭარბობდა ქართული, თუშური და ოსური, რომელთაც ახასიათებს ტანის საშუალო მოცულობა, დიდი დუმა და გრძელი მატყლი, გამოირჩევა გემრიელი ხორცით, რომელსაც თათრულ ცხვართან შედარებით სპეციფიკური სუნი არ ახასიათებს.

ისტორიულად, მესაქონლეობისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარებას თანსდევს დაქვეითება-აღმავლობის პროცესები, რასაც ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, ბუნების მოვლენები, დაავადებათა გავრცელება და სხვ. პირობები, სადაც მეცხოველეობის ინტენსიურ განვითარებში გადამწყვეტი ადგილი მის სპეციფიურობაში ვლინდებოდა და გამოიხატებოდა, როგორც შიდა რეგიონებთან, ისე მეზობელ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთკავშირებში, მოსახლეობის ზრდის შესაბამისობაში, სახნავ-სათესი და ტექნიკური კულტურების ფართობებისა და სათიბ-საძოვრების მოცულობაში და ა.შ.

XIX ს. II ნახევრიდან, როდესაც განსაკუთრებით შიდა ქართლში აქტიურად მიმდინარეობს მიგრაციული პროცესები, როდესაც არა მარტო ქვეყნის შიგნით რეგიონებიდან, არამედ მეზობელი სახელმწიფოებიდან ხიზნების სახით უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა და თითქოს უმთავრესად დროებით სახლდებოდნენ, ბუნებრივია შესაბამისად საჭიროებდა პირველ რიგში სახნავ-სათესი ფართობების ზრდას. აქედან გამომდინარე, ხიზანთა დიდი ნაწილი მიისწრაფოდა იმ ადგილებში, სადაც ამ მხრივ მეტი შესაძლებლობა არსებობდა. ასეთთა რიცხვში კი უმთავრესად შიდა ქართლის მთიანეთი მოიაზრებოდა. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, ტანათრევას ხეობაში ჩამოსახლებულმა ოსურმა მოსახლეობამ ფართოდ მოჰკიდა ხელი მეცხოველეობის დარგების განვითარებას და იგი იქცა ერთერთ ძირთად საარსებო საშუალებად. ბუნებრივია აღნიშნულ პროცესებს ხელს უწყობდა ხეობის ძირძველი მოსახლეობის შრომითი ტრადიციები, მთდამი კეთილი განწყობა და თანადგომა, რამაც განაპირობა სხვა სოციალურ ურთიერთობათა გაღრმავება და რეგიონის ეკონომიკურად მომ-

ძლავრება. ამგვარად, XIX-XX სს. ტანა-ათრევას ხეობაში, ძველ ქართულ ნასოფლარებზე აღმოცენდა არაერთი ოსური სოფელი, რომელთა ძირითად საქმიანობად, როგორც ითქვა მეცხოველეობის განვითარება იქცა. ეს ის პერიოდებია, როდესაც შიდა ქართლის ბარის კოლმეურნეობების საქონლის გარკვეული ნაწილი გაზაფხულიდან შემოდგომამდე ამ ხეობაში იკვებებოდა. ამ მიზნით, ცალკეულ კოლმეურნეობებს სეზონური, შესაბამისი სადგომები — ბაკები-ფერმები ჰქონოდათ მოწყობილი, სადაც ზამთრისათვის თივასაც ამზადებდნენ და ინახავდნენ. აქედან გამომდინარე, შიდა ქართლში საძოვარ-იალაღებით განთქმულ ამ ერთ-ერთ ხეობას დღესაც შემორჩა ადგილი „სახორცე“, რომელიც სახორცე საქონლის საუკეთესო საკვებ ადგილადაა ცნობილი.

მართალია ე.წ. „ისტორიული ხიზნები“-ს ინსტიტუტი საქართველოში სხვადასხვა ფორმით ძველთაგანვე მომდინარეობდა, თუმცა ასეთ მასიურ ხასიათს არ ატარებდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ქვეყანაში დამყარდა ახალი პოლიტიკური წყობილება, იგი კიდევ უფრო გაფართოვდა და სხვადასხვა ფორმით დაკანონდა კიდეც. ამგვარად, XIX ს. მეორე ნახევრიდან, ანუ გლეხების განთავისუფლების შემდეგ, მიწის მობილიზაციას საქართველოშიც ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც რუსეთში, ანუ სანადელო მიწები წლითი წლობით უფრო და უფრო მცირდებოდა. გლეხებმა მიწების შესყიდვა დაიწყეს, რომელთა სყიდვასაც დაეწაფნენ აგრეთვე განსაკუთრებით სომეხი ვაჭრები. თანდათან მცირდებოდა თავადაზნაურთა მამულები, რომლის ერთ-ერთ მიზეზად მემკვიდრეობითობის ხასიათი იყო. ამის შინაარსი კი ასე გამოიყურებოდა: როგორც ცნობილია, მამა-პაპეული მიწების მფლობელობაში ყველა შვილი თანასწორუფლებიანობით იყო აღჭურვილი და კანონის მიერ, მამის სიკვდილის შემდეგ შვილები თანაბრად იყოფდნენ არა მარტო მიწას, არამედ მოძრავ და უძრავ ქონებას. ასე ამგვარად, ერთი მეურნეობა იყოფა და ქუცმაცდება, რაც მეტ-ნაკლებად დაცემა-დაქვეითებასაც განიცდიდა. თუმცა იყო შემთხვევებიც, როცა მამული ერთადერთ მემკვიდრეს დარჩენია, ან ერთერთ მემკვიდრეს შეუსყიდია დანარჩენი მონაწილეებისაგან, მაგრამ ასეთ პირობებშიც მას მამული ბანკში უნდა დაეგროვებინა და შედარებით დი-

დი პროცენტი ეხადა, რაც ხშირად მეურნეობის გაპარტახება — კრახით მთავრდებოდა. ამგვარი დაგირავების მამულების დიდი უმრავლესობა ვალების დროულად გადაუხდელობის გამო საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა, რაც მეურნეობის ხელიდან-ხელში გადასვლას იწვევდა. ხშირად ეს პროცესი, ანუ ბანკის ვალების გამოტანით მამულების შეძენა საკმაო რისკთან იყო დაკავშირებული, რომელთაც უმთავრესად ღარიბი ფენა მიმართავდა, რამდენადაც მათ ნაღდ ფულზე შეძენის შესაძლებლობა არ გააჩნდათ. ამ კატეგორიის მყიდველს იმედი ჰქონდა, რომ მისგან შემოსულით ბანკსაც გაისტუმრებდნენ და თავსაც კარგად ირჩენდა. თუმცა უმეტეს შემთხვევაში მათ იმედი უცრუვდებოდათ, რამდენადაც მამულის სარფიანად წარმოებისათვის საჭირო იყო არა მარტო მუხლჩაუხრელი შრომა, არამედ წარმოების შესაბამისი საშუალებები და ფული. ასეთი პირობები კი უმთავრესად გლეხობას არ გააჩნდა, რაც მეურნეობას აქვეითებდა და მისი ფასის დაცემას იწვევდა. ამრიგად, ჩამოყალიბდა მიწების დავალიანების მთელი სისტემა, რომელიც მძიმე პირობებში აყენებდა მემამულეებს, რაც თავისთავად ამუხრუჭებდა მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას და შლიდა სამელიორაციო საქმეს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ მეურნეობის მოწყობა-გაძღოლის აღნიშნული ე.წ. რუსული „სისტემა“, ევროპის ქვეყნებშიც არსებობდა. ისე, რომ მებატონეებს, რომელთაც კიდევ უფრო მეტი უფლებები მიენიჭათ, რათა თავიანთი მამულები სხვადასხვა სახელმწიფო თუ არა სახელმწიფო დაწესებულებებში დაეგირავებინათ, თითქმის არაფერი დაუხარჯავთ მიწის სამელიორაციო სამუშაოებისთვის, რაც კატასტროფის წინაშე აყენებდა ამ დროისათვის ჯერ კიდევ კარგად შემორჩენილ მეურნეობას. და რომ ე.წ. იპოთეკურ (სასოფლო-სამეურნეო) ბანკებში დაგირავებულ მამულებში სამელიორაციო საქმიანობისთვის გამოყოფილი ფულის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ხმარდებოდა. ისე, რომ ფულის ძირითადი ნაწილი ხმარდებოდა არა მიწის გაუმჯობესებას, არამედ მიწის პატრონის გამოკვების საქმეს, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა სახის მრეწველთა ფენა და რაოდენ კურიოზადაც არ უნდა მოგვეჩვენოს აღნიშნული პროცესების თითქმის

ანალოგიასთან გვაქვს საქმე XXI საუკუნის ათიანი წლების საქართველოში.

ამგვარად, ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა საქართველოში, გამოიწვია თავადაზნაურთა თანდათან გაკოტრება, რომელიც ნელ-ნელა გამოეთხოვა მიწა-მამულს და საბოლოოდ კატასტროფიული ხასიათი მიიღო XIX საუკუნის დამლევიდან. ეს ის პერიოდია, როდესაც ერთის მხრივ გაკოტრების პირამდე მისული მემამულეები იქით ეძებდნენ იაფ მუშახელს ე.წ. ხიზნებს და ასახელებდნენ ჯერ შედარებით ნაკლებად აუთვისებელ ფართობებზე, ხოლო შემდეგ გაკოტრებულ, კარგად მოწყობილ მეურნეობებშიც, რათა დაიცვათ საბოლოო გაპარტახებისაგან. ხედავდნენ რა აღნიშნულ გარემოებებს, გლეხების განსაკუთრებით ის ფენა, რომელიც მწირ, ან საერთოდ უმიწო ადგილებში ცხოვრობდა, ყველანაირად ცდილობდა ამგვარ მემამულეთა მოხარკედ გამხდარიყო. ამ პროცესებში კი ჩართული იყო არა მხოლოდ საქართველოს ცალკეული რეგიონების მოსახლეობა, არამედ უცხო, უმთავრესად მეზობელი ქვეყნის გლეხობაც, რომელსაც საკვლევი ობიექტიც ვერ გადაურჩა. მართალია, ამ ხეობაში ხიზანთა მიერ დაკავებული ფართობების კონკრეტული მასალები არ გაგვაჩნია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გორის მაზრის სხვა ცალკეულ სოფლებში იყვნენ ისეთი ხიზნები, რომელთა მფლობელობაში 22-დან 200 დესეტინამდე მიწა იყო და საერთოდ, სახაზინო და საეკლესიო გლეხების, აგრეთვე ხიზნებისა და ე.წ. „ჩამოსახლებულთა“ მდგომარეობა საქართველოს გარკვეულ რეგიონებში მიწით უზრუნველყოფილი იყო, წინააღმდეგ შემთხვევებში ისინი ასე მასიურად ვერ დასახლდებოდნენ და ბუნებრივია ფეხსაც ვერ მოიკიდებდნენ. პირიქით, ხიზნათ ჩამოსახლებული, დამკვიდრებული კომლი ცდილობდა თავისი ძირძველი საცხოვრებელი ადგილებიდან მოეზიდა ისინი, რათა ახალ გარემოში დაცულად და მყარად ეგრძნო თავი. საამისო დოკუმენტური მასალა კონკრეტულად XIX-XX სს-ში საკმაოდ მრავლად მოიპოვება.

მას შემდეგ რაც ყოფილმა კავკასიის კომისარიატმა – 1917 წლის 27 მარტისა და 14 აპრილის დადგენილებით, ყველა სახაზინო და საუფლისწულო მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადდა და იმავე

წელს 16 დეკემბერს სეიმმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც ყველა სახელმწიფო, საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო და კერძო მესაკუთრეთა მიწები, უკანასკნელი განსაზღვრული ნორმის ზევით უსასყიდლოდ ჩამოერთვა მათ ყოფილ მესაკუთრეებს და შეეძლა განსაკუთრებულ სათადარიგო ფონდში, რათა დარიგებოდათ უმიწაწყლო და მცირე მიწის მესაკუთრე გლეხებს, იმავე დეკრეტმა მოსპო ხიზნები, რომელთაც მხოლოდ ის მიწები დაუტოვეს, რაც ამ კანონის გამოცემის დროს იყო მათ უფლებაში. ისე, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ ხიზნები დაუქვემდებარეს ნორმას, რაც ამ ინსტიტუტის ესოდენ გაფართოებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მიწის მთლიანი ფონდი განაწილებული იქნა სოფლის მეურნეთა შორის — გლეხობაზე მათი საჭიროებისდა მიხედვით. მხოლოდ ტყეები, საზაფხულო საძოვრები, მიწები და მიწის წიაღი იქნა გამოცხადებული საზოგადო საკუთრებად და მათი განაწილება აკრძალული იყო. ასევე, საზოგადო საკუთრებით იქნა გამოცხადებული კულტურული და სამაგალითო მეურნეობაც. ეკლესიებსა და მონასტრებს დაეტოვა მიწები ნორმის მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას სასულიერო პირები თვითონ ამუშავებდნენ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, იქ სადაც მხოლოდ მესაქონლეობა იყო განვითარებული, ნორმა ითვალისწინებდა 40-მდე დესეტინა მიწას. ხოლო თუ ამის საშუალება არსებობდა შესაძლებელი იყო მისი ოდენობა 50 დესეტინამდეც გაზრდილიყო.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია ტანა-ათრევას ხეობა მიწის ფართობებით დიდად განებივრებული არ იქნებოდა, რამდენადაც აქ, ისტორიულად 26-მდე სოფელში 50-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი ფუნქციონირებდა, რომელთაც ბუნებრივია თავთავიანთი მიწები გააჩნდათ. ყოველივე აღნიშნულ გარემოებას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ სათიბ-საძოვრები და ტყეები სახელმწიფოს საკუთრებაში რჩებოდა, ადვილი წარმოსადგენია აქ ახლად ჩამოსულ-ჩამოსახლებულ გლეხთათვის მიწის საკითხის პრობლემის არსებობა და გარკვეულწილად ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირებაც კი.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ფონდიდან მიწა გლეხებსაც ურიგდებოდა მცირე საფასურით, ისიც იმ მიზნით, რომ მთავრობას განზრახული ჰქონდა მხოლოდ მიწის რეფორმაზე გაწეული ხარჯების დაფარვა, აღნიშნულის უსამართლობის დასტური იყო ისიც, რომ რესპუბლიკა თავისი პირველი დეკრეტის ცხოვრებაში გატარების დროს, იძულებული შეიქმნა ბანკებისათვის გადაეხადა ის ვალები, რომელიც ირიცხებოდა იმ კერძო მესაკუთრეების მიწებზე, რომელიც მათ ჩამოერთვათ, აგრეთვე რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეფარა ხარჯები, გამოწვეული, როგორც უმიწაწყლო გლეხების ახალ ადგილებზე გადასახლებით, ისე მელიორაციით გამოწვეული.

ამგვარად, სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად, აგრარული რეფორმით გათვალისწინებული იყო მიგრაციული პროცესებისთვის შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა გარკვეულწილად ახლად ჩამოსული მოსახლეობის დამკვიდრებას, მათ შორის არაქართველებისაც.

ისტორიულად ჩამოყალიბებული აღნიშნული ცხოვრების მოწყობის შინაარსი, მდგომარეობდა ამ შემთხვევაში საკვლევი ხეობის იმ თავისებურებაში, რომელსაც გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად განსაზღვრავდა ბუნებრივ-ეკონომიკური მონაცემები. ამიტომ, ბარის სასკმაოდ მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა, შესაბამისი მეურნეობრივი ტრადიციების წყალობით, მთის შედარებით მეჩხერ სოფლებს ძირითადად აწვდიდა მარცვლეულს, სასმელს და სამრეწველო საქონელს, ხოლო მთა, თავის მხრივ ამარაგებდა ბარს ხე-ტყით, მეცხოველეობის პროდუქტებით, სხვადასხვა სამეურნეო-საოჯახო იარაღ-მოწყობილებით და სხვ. რომელთა ურთიერთკავშირს ადუღაბებდა საერთო რწმენა და ხატ-სალოცავებში შესრულებული რიტუალი, რაშიც ყველა მონაწილეობდა განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა და სოციალური მდგომარეობისა. ამ გზით ხდებოდა ხალხთა ურთიერთ დაახლოება-დანათესავება, კულტურულ-მეურნეობრივი გამოცდილების გაზიარება და სხვა, რაც რეგიონის ფარგლებსაც სცილდებოდა. აღნიშნულ პროცესებში, ყველაზე აქტიური როლი, როგორც არაერთგზის ითქვა, ეკისრებოდა მთა-ბარობის დამაკავშირებელ-გარდამავალ ზოლს, სადაც ბუნებრივია ვლინდებოდა ხეობის საერთო კულტურულ-ეკონომიკური, სოციალური და სულიერი სიმდი-

დრე-თავისებურებანი. ამასთან, ისტორიამ შემოგვინახა იმ არაერთი მძიმე პერიოდის შესახებაც როცა აღნიშნული პროცესები მეტ-ნაკლებად ირღვეოდა და კნინდებოდა, თუმცა ღრმად ფესვეგადგმული მდიდარი ტრადიციები, საბოლოოდ მაინც ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და ხელახალ შემოქმედებით აღორძინება-განვითარებას აღწევადა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, როდესაც ასეთ ვითარებაში, ბარისა და მთის მოსახლეობას, შესაბამისი მოვლენების ფონზე, გამოუმუშავებია და შეუქმნია დამოუკიდებელი ცხოვრების არაერთი კომპონენტი, რომელსაც ე.წ. „კარჩაკეტილი“ პირობები კარნახობდა. კერძოდ, ცხოვრების იმ აუცილებელი, მინიმალური პირობების შექმნა-შენარჩუნება, რაც ქვეყნისა და ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის იყო გარდაუვალი.

XVIII-XIX სს. საქართველო ერთხელ კიდევ აღმოჩნდა მძიმე საგარეო და საშინაო ურთიერთობების პროცესებში, რომელიც აისახა საზოგადოების თვითმყოფადობის შელახვასა და დაკნინებაში, მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის დაქვეითებაში. თუმცა, ეს პროცესები, საბედნიეროდ განუწყვეტლივ როდი მიმდინარეობდა. იყო პერიოდები, როდესაც ხალხი სულსაც ითქვამდა, იმ განწყობით, რომ მათში უიმედობის გრძნობა სულაც არ იყო ჩამქრალი. ასეთ ვითარებაში, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თავის შრმით საქმიანობას წარმართავდა ძირითადად საარსებო საშუალებათა შესაქმნელად: უმთავრესად ხვნა-თესვით, სამუშაო ძალის გაქირავება-გაყიდვით, მყუდრო, მშვიდობიან ადგილებში გადასახლებით, სახელოსნოებში და სავაჭრო დუქნებში დასაქმებით და სხვ. მაშინ, როდესაც ტრადიციულად ქართველი გლეხის ძირითად საარსებო საშუალებად ხვნა-თესვასა და მესაქონლეობასთან ერთად მრავალწლიანი კულტურების წარმოება იყო. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მისი (ამ შემთხვევაში ქართლელის) საშოვარზე გასვლა უმთავრესად დამამცირებელ პირობად ითვლებოდა, ეს პროცესი, გარკვეული სახით, შესაბამის პერიოდებში ტანა-ათრევას ხეობაშიც მიმდინარეობდა, სადაც ხშირად მათ ადგილს კიდევ უფრო მწვავე პრობლემების წინაშე მდგომი სხვადასხვა მხარეებიდან მოსული ფენები იკავებდნენ.

ამგვარი მიგრაციული პროცესები კი როგორც ვიცით, განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება XIX ს. მეორე ნახევრიდან, როდესაც გლეხი „განთავისუფლდა“ და მას ადგილმონაცვლეობის საშუალება მიეცა. ასეთ

ვითარებაში, იქმნება და ყალიბდება გარკვეულად ახალი სოციალური ფენები, რომელთა ადგილგადანაცვლების მოძრაობაში ჩართვა ბუნებრივია საზოგადოების განვითარების, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით იყო ნაკარნახევი. ასეთ ვითარებაში, მიმდინარეობდა ტრადიციული მეურნეობრივი ფორმების ახლებურად წარმოება-გააზრება, მასში შემოქმედებითი ძვრები, რომელიც არცთუ იშვიათად არღვევს ძველ, თუმცა ჯერ კიდევ საჭირო მეთოდებს, ბნელდება მათი შერწყმის პროცესები და სხვ. „თავისუფალ“ გლეხთა და ხელოსან-ვაჭართა გარკვეული ნაწილი ეძებს ერთის მხრივ ნოყიერ, ნაკლებად დასახლებულ ადგილებს, მეორეს მხრივ, გამომდინარე დარგის სპეციფიურობიდან, ირჩევს ხალხმრავალ რეგიონებს. ამ მხრივაც ტანა-ათრევას ხეობის მოცულობამ, მისმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ, კერძოდ თრიალეთის გადასასვლელებმა, შიდა ქართლის ცენტრალურ რეგიონებთან – ძირითად სამიმოსვლო მაგისტრალებთან სიახლოვე-კავშირმა, განაპირობა მისი აღზევება-აღორძინება, რაც გამოიხატა მისკენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლეობის მეტ-ნაკლებ სწრაფვაში, ვაჭარ-ხელოსანთა მომძლავრების გააქტიურებაში, მსხვილ მემამულეთა მოქმედების არიალის დაინტერესება-გაფართოებაში და ა.შ.

ტანა-ათრევას ხეობაში შედიან ქალაქელი ვაჭარ-ხელოსნები, უმთავრესად ქსან-არაგვის, დიდი და პატარა ლიახვების და ქციის ხეობებიდან აყრილი გლეხობის გარკვეული ნაწილი, რაც განპირობებული იყო აგრეთვე ერთხანს ამ ადგილების თითქმის დაცარიელებით. ამასთან, მათი განთავსების ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ჭრილი შესაბამისად მიმდინარეობდა სოციალური ნიშნისა და მეურნეობრივი ტრადიციების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ხეობის ქვედა წელში ჭარბობდნენ ვაჭარ-ხელოსნები, გარდამავალ ზოლში მიწათმოქმედნი, ხოლო მთაში მეცხოველეობაში დასაქმებული ადამიანები. აღნიშნული პროცესი თანდათანობით კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებს, რაც დაფუძნებული იყო ზონალობის მეურნეობრივ მჭიდრო ურთიერთკავშირზე, მის გარდაუვალობაზე. აქტიურად მიმდინარეობს გლეხთა ფენებიდან ვაჭართა, ხელოსანთა და წვრილ-წვრილ მემამულეთა წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესები, რომელთა ნიადაგზე ხშირად იგივე მოქალაქე გლეხის, მემამულის, ხელოსნის ან ვაჭრის როლში გვევლინება. თუმცა უმთავრეს პირობად,

ბუნებრივ-ეკონომიკურ გარემოში გამოკვეთილია ერთიანი სოციალურ-მეურნეობრივი სისტემის ძირითადი ხასიათი.

როგორც წესი, მიწათმოქმედი და მესაქონლე ხალხი, თავისთავად მიწაზე მტკიცედ ფეხმოკიდებულ ფენას წარმოადგენდა, ხოლო ვაჭართა და ხელოსანთა გარკვეული ნაწილი უმთავრესად სეზონურ, მომთაბარულ საქმიანობას ეწეოდა. აქედან ვაჭრები, უმთავრესად ქალაქელები იყვნენ. ძირითადად აქედანვე იყვნენ მჭედელ-ნალბანდები, მეწაღეები, ქვის მთლელები და სხვ. რომელნიც სეზონურად მოძრაობდნენ. ხოლო რაც შეეხება ხელოსანთა სხვა კატეგორიას, კერძოდ ხით-ხურო, კალატოზი, ყავრის მხდელი, ურემ-მარხილის მკეთებელი, სხვადასხვა წვრილი იარაღ-ინვენტარის მწარმოებელი და სხვ. უმთავრესად ადგილობრივი გლეხობა წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში, შეინიშნება აგრეთვე ახლად ჩამოსახლებულთა ერთი ნაწილის — განსაკუთრებით ოსური მოსახლეობის ძირითადი საქმიანობის პროფილის გამოკვეთა-სპეციალიზაციის ადგილობრივ ტრადიციებთან შერწყმით, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა ხე-ტყის დამზადებაში, ურემ-მარხილის კეთებაში, ყავრის გამოხდაში, ხის სასოფლო-სამეურნეო იარაღების, საოჯახო ინვენტარის დამზადებაში და სხვ. რომლის რეალიზაციას შიდა და გარე ბაზარზე თვითონვე აწარმოებდნენ. რაც შეეხებოდა ტყავის პირველად დამუშავებას, რკინაკვეულის, წინდა-პაჭიჭების, ხამი ქსოვილებისა და სხვათა წარმოებას, იგი ხეობის საერთო დამახასიათებელს წარმოადგენდა. აქვე უნდა ითქვას, რომ აქ, თანდათან ჩამოსახლებულმა, საკმაოდ მომრაველებულმა მოსახლეობამ, გამოაცოცხლა განსაკუთრებით მეცხოველეობის დარგები და თავისთავად მათგან მიღებული პროდუქციის საბაზროდ წარმოება. ამავე მიზნით გაფართოვდა შალის ქსოვილების, ნაბდის, ხამი ქსოვილების, ხის საოჯახო და სამეურნეო იარაღ-ინვენტარის წარმოებაც.

ოსთა საერთო დახასიათებისას ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სიმდიდრე მათი არს თოფი, ხმალი, ჯაჭვი, ჯავშანი, სპილენძი და ოქროს და ვერცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყავი, და ვაჭრობენ ურთიერთა შინა ამით. უწყიან უცხოთა სტუმართა პატივი და უვნებლობით დაცვანი... უწყიან ხელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისი, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა,

სახლთშენება, არამედ არღარა ხმარობენ ქვითკირსა. გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ, და მრავალთა ერთმანეთსა ზედა... ხდიან მცირედს ლუდსაცა, არამედ არა არს მათ შინა სვივა, და იგიცა მიაქუთ ქართლიდან, რაჭიდან და ჩერქეზიდამ. კვალად ხდიან და აკეთებენ იყსა, ბოზასა, პურთა და ქერთაგან, და სმენ დღესასწესა თვისსა და სტუმრობასა შინა. უწყიან სულთა მკვდართა მათთა სასხრად და მოსახსენიებლად... სარწმუნოებით არიან ძველა ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, და უფრის დვალნი, არამედ აწინდიო ჯამსა დვალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდ მარხვისა, ხატთაი, ეკლესიათა, და სამღვდელოთა პატივისა და თაყვანისცემენ, და სხვისა სრულად უმეცარნი, არა უვისთ მღუდელი, და უნათლისღებნი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭის მონათვლიან... უწყიან მსგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭამენ თვითონვე, ხოლო ტყავსა გასჭიმენ მაღალ ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყავსა მას ღღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყვანი და მისცეს ნაყოფნი ქვეყანისანი".[386]

აღნიშნული ცნობებიდან, სხვა საყურადღებო ყოფით თავისებურებეთან ერთად ვგებულობთ, რომ შიდა ქართლის რეგიონებიდან, ტანა-ათრევას ხეობაში ჩასახლებულ ოს მოსახლეობას, არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, რამდენადაც მათი შეუზღუდავი მომძლავრება და ხშირად კომპაქტური დასახლებაც, საქართველოს სხვა რეგიონებშიც ძველთაგანვე ქართველებთან მჭიდრო, ხანგრძლივი კავშირურთიერთობებით იყო განპირობებული. ამასთან ერთად, მათ გარკვეულწილად, ქართულ მიწაწყალზე და მის გარემოცვაში, მეტ-ნაკლებად მაინც შემოინახეს თავიანთი ადათ-წესები, რაც გამოიხატა იგივე ვაჩილობის რიტუალში, ბინათმშენებლობის ფორმებში, შინამრეწველურ დარგების, ხე-ტყის დამზადება-წარმოებაში და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ XIX ს. 30-იანი წლებისთვის, რუსეთის ცარიზმის პოლიტიკა ამიერკავკასიაში უმთავრესად საომარი მოვლენებისაკენ იყო მიმართული და ეკონომიკური ათვისებისათვის და საერ-

---

386 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 109-111.

თოდ ადგილობრივი მმართველობისათვის ამჯერად არ ეცალა, მაინც ზემოალნიშნული პროცესები ბუნებრივი განვითარების კანონზომიერებით მიმდინარეობდა. ირღვეოდა პატრიარქალურ-ნატურალური მეურნეობრივი თავისებურებანი წვრილგლეხურ მიწათმოქმედებაში, თანდათან დრომოჭმული ხდებოდა შესაბამისი იარაღ-მოწყობილობა, აგროტექნიკური პროგრესი გარდაუვალს წარმოადგენდა. თუმცა ცარიზმის რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკით, მისი განაპირა მხარეები, მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებლები და საქონლის გამსაღებელნი უნდა ყოფილიყვნენ, რითაც ხელფეხს უბოჭავდა ადგილობრივ სასაქონლო მეურნეობას და აღებმიცემობა-ვაჭრობის განვითარებას. ამასთან, რუსეთის ინტერესებში შედიოდა აგრეთვე ამიერკავკასიის სავაჭრო-სატრანსპორტო ობიექტად გამოიყენება, რომელსაც საამისო ტრადიციებიც გააჩნდა. 1831 წ. რუსეთმა საქართველოში გააუქმა შინაფეოდალური გადასახადები და შეღავათები, რითაც უკმაყოფილო დარჩა ადგილობრივი ნაციონალური ბურჟუაზია, რამდენადაც შეიზღუდა მათი უფლებები მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებთან, რომელთა ფერხულში იყო ჩაბმული საქართველოს მსხვილი ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, გორი, თელავი და სხვ.[387] საქართველოში სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებიდან „შეღავათიანი ტარიფით“ შემოდიან საქმიანი ადამიანები, რომელთა მეშვეობითაც ადგილობრივ ვაჭართა ხელში თავს იყრიდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფულადი კაპიტალი, რომელიც პირველ რიგში ფაქტობრივად ახლად ფეხადგმული მრეწველობის მიმართულებით ბანდდებოდა.

XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოსთვის, ფრიადდამახასიათებელს წარმოადგენს ხელოსნობის წვრილ წარმოებად გადაქცევის საკმაოდ ინტენსიური პროცესი. აღნიშნული მოვლენები შედარებით სწრაფად მიმდინარეობდა მსხვილი ქალაქების სინამდვილეში, რამდენადაც შესაბამისი მონაცემებით, თუ 80-იანი წლებისთვის ქალაქებში 4000-ზე მეტი სახელოსნო იყო, აქედან 2175, ანუ ნახევარზე მეტი თბილისზე მიდიოდა.

---

387 Г. Хачапурадзе, История Грузии первой половины XIX в, тб., 1950, стр. 191.

ხოლო რაც შეეხებოდა სოფელს, იქ იყო სულ 1710 სახელოსნო, აქედან უწვრილესი 1,570.[388]

მიუხედავად იმისა, რომ წვრილი საწარმოები დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, მაინც ე.წ. ხელოსნურ წარმოებაში, მოცემულ პერიოდში, შეინიშნება ერთობ მნიშვნელოვანი ძვრები, რამდენადაც ხელოსნები უფრო და უფრო მჭიდრო კავშირურთიერთობას ამყარებდნენ ბაზართან და ამდენად ისინი მუდმივი საქონელმწარმოებელები ხდებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისი, რომ რეფორმის მომდევნო ხანაში, უცხოეთიდან საქონლის შემოზიდვის ზრდის მიუხედავად, მიმდინარეობდა ადგილობრივი მსხვილი საწარმოების მეტ-ნაკლები აღმოცენების, პროცესიც, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო ტყავის, ზეთ-სახდელის, საპნის, ლითონის დამუშავების, ხე-ტყის დამუშავებისა და სხვათა წარმოება, რომლის პარალელურად ვითარდებოდა აგრეთვე წვრილი სახელოსნო-საწარმოები. და რამდენადაც მეურნეობრიობის ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას, საქართველოში ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ბურჟუაზიული საგლეხო რეფორმის დამთავრებამდე, რომელიც დაახლოებით XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა, ამდენად, ფეოდალიზმის ეპოქა ფაქტობრივად დასრულდა და დაიწყო, კაპიტალისტური საზოგადოების მშენებლობა. ისე, რომ მრეწველობამ ჩვენშიც განვლო ფეოდალიზმის ეპოქაში კაპიტალისტური წარმოების ისეთივე საფეხურები, როგორიცაა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურა, რასაც ხელს შესაბამისი საბაზისო პირობებიც უწყობდა. კერძოდ, ჯერ კიდევ XVIII ს. II ნახევრიდან, საქართველოში გამოცოცხლებას იწყებენ ძველი ქალაქები და ჩნდებიან სულ ახალ-ახალი სავაჭრო ადგილები. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება, იქ სადაც ტრადიციულად ხალხმრავლობა და სადღესასწაულო რიტუალები იმართებოდა. ასეთ ცენტრებს შორის იყო გორი, ცხინვალი, ახალგორი, ახალქალაქი, კასპი და სხვა, რომელშიც აქტიურად ებმეოდა ტანათრევას ხეობის მოსახლეობაც. ასეთ ვითარებაში, სხვა რეგიონების შესაბამისად, საკვლევ ხეობაშიც, კერძოდ მის ცენტრალურ ადგილებში (ხიდისთავი, ატენი, წედისი, წერო, ბოშური და სხვ.) გარდაუვალი გახ-

[388] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 377.

და სხვადასხვა სახის სავაჭრო დუქნებისა და ფარდულების მოწყობა, სეზონური სავაჭრო ცენტრების აღმოცენება და ბუნებრივია შესაბამისად სახელოსნოების გაფართოებაც, საქარავნო გზების მოწყობა-გააქტიურება და სხვ. ეს ის პერიოდია როდესაც საფუძველი ეყრება ხელოსანთა დიფერენციაციას, ჩნდებიან შეძლებული, მდიდარი და დაბალი ფენის ხელოსნები, რომელთა გარკვეული ნაწილი დაქირავებულ შრომაზე გადადის, ქირაობენ ე.წ. „შავ მუშებს“ და ამდენად დღითი დღე მატულობს პროდუქციის წარმოებაც.

ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის ეკონომიკური აღორძინებისათვის, ერეკლე II, როგორც დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, ქვეყნის სამომავლო განვითარების არაერთი საგულისხმო სრულიად ახალი გზები დასახა და მეტ-ნაკლებად განახორციელა კიდეც. მისი გეგმები ძირითადად ევროპისკენ იყო მიმართული, საიდანაც იგი ელოდა ქვეყნის ძლიერების წყაროს პოტენციალის ამაღლების შესაძლებლობებს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. მისი იდეალი იყო ქვეყანაში მოემრავლებინა „კაცნი მეცნიერნი, ბრძენნი და ხელოვანნი“, რისთვისაც ცდილობდა უცხოეთიდან მოეზიდა სპეციალისტი-ოსტატები, ხოლო მეცნიერების დასაუფლებლად კი ახალგაზრდებს გზავნიდა რუსეთსა და დას. ევროპის ქვეყნებში. ამასთან, იგი ერთობ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კაპიტალისტწამომწყებელთა მოწვევას, მსხვილ ხელოსნურ გაერთიანებებს და ამ მხრივაც სათანადო ხელშემწყობ გარემოებასაც ქმნიდა.

XVIII ს. 50-60-იანი წლებისთვის თანდათან გამოიკვეთა და გამოიყო ცალკეული, საკმაოდ დიდი საწარმოები, თუმცა მასში ჯერ კიდევ ხელით შრომა სჭარბობდა, რაც თავის მხრივ მოასწავებდა მანუფაქტურული წარმოებიდან ინდუსტრიულ საწყის ეტაპზე გადასვლას. სწორედ ამ პროცესის ერთ-ერთი დამადასტურებელი იყო საქართველოში მინის წარმოების განვითარება, რომელმაც განსაკუთრებით აქტიური სახე მიიღო XIX საუკუნიდან. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა XIX ს. 50-60-იანი წლებისათვის, ატენის ხეობაში, კერძოდ სოფ. ღვარებში მინის საკმაოდ მსხვილი მანუფაქტურული საწარმოოს არსებობა, რომელიც მემამულე ელიზბარ ერისთავს ეკუთვნოდა და 1843 წლამდე ფუნქციონირებდა. აღნიშნული სწარმო წელიწადში 100 ათასამდე ღვინის ბოთლს, აგრეთვე დიდი რაოდენობით სასარკე მინას და სააფთიაქო ჭურ-

ჭელს უშვებდა.[389] აღსანიშნავია, რომ ელიზბარ ერისთავი დიდი მემამულეც იყო, რომელიც ქართლის ცალკეულ რეგიონებში მიმართავდა ევროპულ ყაიდაზე ადგილობრივი და შემოტანილი ხეხილისა და ვაზის ჯიშების ბაზაზე ბაღ-ვენახების გაშენებას და სხვ.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, ჯერ კიდევ თავის ფუნქციებს ინარჩუნებდა შინამრეწველობის ცალკეული დარგები. 1844 წლის მონაცემებით, მარტო ალმ. საქართველოს სოფლებში აღრიცხული იყო სამი ათასზე მეტი შინაური-საოჯახო დაზგა, რომელზედაც ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს ამზადებდნენ. გორის სამაზრო ადმინისტრაციის არასრული ცნობებით, 1845 წელს საქართველოში გაიყიდა დამზადებული ე.წ. „სოფლის ნაწარმი" დაახლოებით 30-60 პროცენტი. სულ 15 ათასამდე მანეთის ღირებულების, რომელთა შორის ჭარბობდა ხალიჩები, ჩული, ქეჩა, ფლოსტები, შალის ქსოვილი, ტილო, აბრეშუმის ქსოვილი, ჭილოფი, შალის ზონარი, მაფრაშა და სხვ.[390] აღნიშნული ნაწარმის წარმოებაში თავისი მოკრძალებული წვლილი საკვლევი ხეობის მოსახლეობასაც გააჩნდა, რომელიც უმთავრესად ადგილობრივ მოთხოვნილებებს ეშსახურებოდა.

რეფორმის შემდგომ ხანაში, მიუხედავად დას. ევროპული და რუსული საქონლის შემოტანის ზრდისა, აგრეთვე ადგილობრივი, საკმაოდ მსხვილი საწარმოების აღმოცენებისა, კერძოდ ტყავის, ზეთსახდელის, საპნის წარმოება, ლითონის დამუშავება, ხის სახერხის წარმოება, არაყის გამოხდა და სხვ. წვრილი საწარმოები, როგორც ითქვა ერთბაშად კი არ წყვეტენ არსებობას, არამედ მათი რიცხვი გარკვეულ პირობებში ფართოვდება კიდეც.

აღნიშნული ნაწარმის გარკვეული ნაწილი ბუნებრივია ადგილობრივადაც მოიხმარებოდა, ხოლო ნაწილი ახლო-მახლო ბაზრებზე გადიოდა. ამავდროულად, უცხოური ნაწარმის შემოტანა, თანდათანობით უხშობდა კარს ოჯახურ რეწვას და ქმნიდა პირობას მათი წვრილ კაპიტალისტურ სარეწად გადაქცევას, რაზეც მეტყველებდა სოფლად ხელოსნურ წარმოე-

[389] საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ. გვ. 47.
[390] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V., 1970, გვ. 69.

ბაში დასაქმებულ ოსტატთა რიცხვის ზრდა, რომლის ოდენობა 1845 წლისათვის 2800-მდე შეადგენდა.

ტანა-ათრევას ხეობის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ეს პროცესები ვერტიკალური განლაგებით მომდინარეობდა, რამდენადაც იგი უმთვრესად იმ სოფლების სინამდვილეში იკიდებდა ფეხს, რომელნიც მსხვილი ქალაქებისა და გზაჯვარედინების სიახლოვეს მდებარეობდა. აღნიშნულის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა ფაქტობრივად ახალი სოფლის — ხიდისთავის წარმოქმნა. აღნიშნული სოფელი, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ ფაქტობრივად გორის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოიქმნა კერძოდ იქ, სადაც ხეობა იწყება. სოფელი, რომელიც მტკვარზე, ხიდისყურთან გაშენდა, XIX ს. პირველ ათწლეულშივე იქცა იმ გარდამავალ სავაჭრო-საქმიან ცენტრად, რომლის მეშვეობითაც შიდა ქართლი თრიალეთის გადასასვლელებით ქვემო ქართლსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს უკავშირდებოდა. აღნიშნულ გარემოებას — ხიდისთავის დაწინაურებას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო აგრეთვე ხეობაში უძველესი ისტორიული სოფლის-ატენის არსებობამაც, სადაც ამ მხრივ მდიდარი ტრადიციები არსებობდა.

სოფ. ატენი, რომელიც ჯერ კიდევ ცნობილი იყო VII საუკუნიდან, როგორც მძლავრი სასულიერო და პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი, ბუნებრივია ვაჭარ-ხელოსნების გარეშე არ იქნებოდა, რომლის არიალი რეგიონის ფარგლებსაც სცილდებოდა. შემდგომში, კერძოდ XVIII საუკუნეში, ლეკთა განუწყვეტელმა შემოსევებმა დააკნინა და დააქვეითა ერთ დროს ძლიერი ქალაქი, თუმცა სოფელი, როგორც სავაჭრო-სამეურნეო კულტურის ცენტრი თავის პრიორიტეტულ მდგომარეობას XIX საუკუნემდეც ინარჩუნებდა. ამავე საუკუნის შუა ხანებისათვის, გორი-ხიდისთავის გავლით, მიმდინარეობს კაპიტალისტური ურთერთობების განვითარების პროცესები. კერძოდ, XIX ს. 40-იანი წლებისათვის თავად ერითავებს მოწყობილი ჰქონდათ წყლის ენერგიაზე მოწყობილი „ქარხნები“, რომელთაგან ერთი ატენში იყო განთავსებული. ცოტა უფრო მოგვიანებით, 80-იან წლებში, ფინელმა მრეწველმა ავგუსტ იაგორის ძე ზემანმა გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომელიც ქ. გორიდან ამ ხეობის გავლით გადიოდა ბორჯომის ხეობამდე. რკინიგზის ძირითადი ფუნქცია ხე-ტყის გატანაში მდგომარეობდა, რომელიც მზადდებოდა გან-

საკუთრებით მის ზედა წელის სოფლებში: ბობნევში, ბიისში, თხინალაში, ორმოცში, ბოშურში, ტუსრებში, საცხენისში, თეთრწყაროში, ლევიტანაში. ზეზეამნს შესაბამისი ქარხნები ჰქონდა მოწყობილი აგრეთვე სოფ. შინდისში და პატარა ატენში, რომელთაგან ერთი ცეცხლზე, ერთიც წყალზე მუშაობდა.

ხეობის ცენტრალურ სოფლებში: ხიდისთავში, ატენში, წედისში, ბობნევში და სხვაგან ჩნდება კირის, აგურის, ნახშირის გამოსაწვავი მცირე საწარმოები, ნავთობის რეზერვუარები, საპნის სახდელები, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი, სამღებრო და სხვა სახის საოჯახო მოთხივნების საქონლის მწარმოებელი ქარხნები, მრავლდება წყლის წისქვილები, არყის სახდელები, რასაც თავისთავად მოზდევდა ვაჭარ-ხელოსანთა ზრდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გლეხთა ფენაზე მოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ XIX ს. მეორე ნახევარში, ტანა-ათრევას ხეობაში მოწყობილი პირველი საწარმოებისა და ქარხნების ნაკვალევმა XX საუკუნის მეორე ნახევრამდეც კი მიაღწია, რომელთა ბაზაზე შემდგომ მოეწყო არაერთი შედარებით მძლავრი, ელექტრო ენერგიაზე მომუშავე ხის სახერხი ქარხანა, ნავთობპროდუქტების გადასამუშავებელი საწარმო, შპალსაჟენთი ქარხანა, და სხვ. სერგი მაკალათიას (XX ს. 50-იანი წლები) გამოკვლევით, „ზეზემანის რკინიგზა აქ დღესაც კარგად ახსოვთ, მისი პირველი მუშა ყოფილა სანდრო თედოს ძე ჭიღლაძე. ზეზემანის ეს რკინიგზა მუშაობდა 1918 წლამდე, როდესაც იგი წყალდიდობამ წალეკა, გააფუჭა და შემდეგ ის აყარესო. ამასთან, აქვე დასძენს, რომ ზეზემანის მიერ ჩარჩული, უწყალობო ექსპლოატაციის შედეგად ნადგურდებოდა ატენის ამ ლამაზი ხეობის უნიკალური ტყის ჯიშები, რომლის კვალი დღესაც სავალალოდ გამოიყურებაო“.[391]

ტანა-ათრევას ხეობის ქვედა ტერიტორიაზე, შეინიშნებოდა არა მარტო ადგილობრივი და მიმდებარე რეგიონებიდან სარეწაობისა და საამქროების მოწყობის მსურველები, არამედ აქ შეხვდებით ქ. თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან და სხვ. სამრეწველო-სავაჭრო ცენტრებიდან ჩამოსულ ადამიანებს. მაგ. 1898 წლისათვის, სოფ. ხიდისთავში, ნავთის მსხვილი რეზერვუარი გააჩნდა პეტრე დავითის ძე აბუევს, რომლის

[391] ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957 წ. გვ. 15.

ქონება 600 მანეთად იყო შეფასებული და იხდიდა წელიწადში 12 მან. გადასახადს; მის ძმას ზაქარია აბუევს პურის საცხობი, შეფასებული 600 მან და იხდიდა 12 მან; მესამე ძმას ივანეს შერეული სახის საწარმოები 400 მან. შეფასებული და იხდიდა 8 მანეთს; აქვე წისქვილი ჰქონდა მოწყობილი ვინმე გიორგი დავიდოვს, შეფასებული 120 მანეთად და იხდიდა 2 მან. და 40 კაპიკს; სოლომონ ბარათოვს ჰქონდა სავაჭრო დუქანი 400 მანეთად შეფასებული და იხდიდა გადასახადს 8 მანეთს[392] და ა.შ.

იმავე ხიდისთავის მხარეში — სოფ. ატენში 1857 წ. ფუნქციონირებდა მძლავრი ხე-ტყის გადასამუშავებელი სახერხი ქარხანა, რომლის შემოსავალი 3550 მანეთს უდრიდა, აგრეთვე შუშის ქარხანა 4100 მან. შემოსავლის სიმძლავრით და ა.შ. აქ წარმოებული პროდუქცია არა მარტო გორსა და მის შემოგარენში საღდებოდა, არამედ ქ. თბილისშიც. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პერიოდისათვის ხიდისთავის მხარეში აღრიცხული იყო 10426 მამაკაცი და 9434 ქალი, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ საწარმოებში იყო დასაქმებული.[393]

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად, ტანათრევას ხეობის ვაჭარ-ხელოსანთა და საერთოდ მოსახლეობის ამ პროცესებში გააქტიურებაზე მეტყველებს მეზობელ რეგიონებთან ურთიერთ ეკონომიკურ-კულტურული კავშირები. ამ მხრივ განსაკუთრებით შეინიშნებოდა თეძმის და ფციის ხეობებთან, ბორჯომ-მანგლისთან და სხვ. მაგალითად, XIX ს. 30-იან წლებში, როდესაც ბორჯომის ხეობაში, ხოლო შემდეგ აწყურის მახლობლად არსებობდა ზავილიევსკის მინის „ქარხანა“, რომლისთვისაც პეტერბურგიდან გამოწერილი იქნა ჰოლანდიური მინის სალბობი ქურა, რომლის წარმოებასაც რუსი ოსტატები ხელმძღვანელობდნენ, მათ მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდათ ატენის ხეობის შესაბამის საწარმოებთან, რამდენადაც აქ ასეთივე ტიპის „ქარხანა“ ჰქონდათ მოწყობლი თავად ერისთავებს, რომელმაც XIX ს. 40-70-იან წლებში იმუშავა. აღნიშნულ „ქარხანაში“ 20-30-მდე დაქირავებული მუშა მუშაობდა, ხოლო დამხმარე სამუშაოებში — შუშის დამზადება, სილის

---

[392] სსცია, ფ. 254, ანაწ. 3, საქ, 12702, გე. 15.
[393] სსცია, ფ. 48, ან. 1, საქ, 1834.

მოთხრა-მოზიდვა და სხვ. საქმიანობას მათი ყმები ასრულებდნენ. ისე, რომ აღნიშნულ წარმოებაში მთლიანად 100-ზე მეტი კაცი იყო დასაქმებული და 15 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქციას უშვებდა, რომლის რეალიზაცია მიმდინარეობდა არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ ჩრდ. კავკასიაშიც. აქ ძირითადად იწარმოებოდა ბოთლი, ფანჯრის მინა, სააფთიაქო და სხვა ჭურჭელი.[394]

აღნიშნული პროცესების განვითარებას მომდევნო ეტაპზე, გარკვეულ წილად რუსეთიც უწყობდა ხელს, რამდენადაც ფაბრიკული ნაწარმის გასაღების ბაზრად საქართველოს მსხვილი ქალაქები ეგულებოდათ, რისთვისაც აარსებდნენ ე.წ. „იარმუკებს" — ბაზრებს, ხოლო სოფლებში ხელს უწყობდნენ რუსი „მეწვრილმალეების" მოძრაობას.

ყველა ზემოაღნიშნული მოვლენები, თავის მხრივ იწვევდა გლეხთა ფენების სამრეწველო-სავაჭრო მოძრაობაში ჩაბმას და მათგან მეწარმეთა და ვაჭართა საზოგადოების ჩამოყალიბებას, საშოვარზე გასვლის ტენდენციას და როგორც ითქვა ამ მოძრაობას მეტ-ნაკლებად მხარი აუბა არა მარტო შეძლებული გლეხობის გარკვეულმა ნაწილმა, არამედ გაღატაკებულმა ფენამაც. 1897 წლის მონაცემებით მარტო თბილისის გუბერნიის ძირეული მცხოვრებლებიდან ადგილზე არ აღმოჩნდა, ანუ საშოვარზე იყო გასული 28846 კაცი, რომელთა უმეტესობა სამუშაოდ იყო გასული და სამუშაო ძალას ყიდიდა სოფლისა თუ ქალაქის ბურჟუა-კაპიტალისტებზე.[395]

ახალ სავაჭრო-სამრეწველო და დასახლებების, დაბა-სოფლების წარმოქმნის პარალელურად კიდევ უფრო აქტიურდება და ფართოვდება ე.წ. ძველი სამაზრო ქალაქი გორი, „მცირე ქალაქები": ალი, სურამი, ახალგორი, ცხინვალი და სხვ. რომელნიც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე წარმოადგენდნენ ვაჭრობისა და უპირატესად კი წვრილი საქონლის წარმოების ცენტრებს. თუკი ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში, ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში, დაპირისპირება სოფელსა და ქალაქს შორის ნაკლებად იგრძნობოდა და ქალაქების სამეურნეო ფუნქციები შემოიფარგლებოდა შედარებით შეზღუ-

---

394 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 81.

395 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი 2, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 259.

დული მასშტაბის საშუამავლო ვაჭრობით, შემდგომ, წვრილსაქონლური – უპირატესად ხელოსნური საწარმოების განვითარებით, იგი მომსახურებას უწევს ვიწრო ბაზრის გარდა თბილისის ბაზარსაც, XIX ს. პირველ ნახევარში, განსაკუთრებით კი 40-50-იანი წლებიდან, ნატურალური მეურნეობის რღვევის ინტენსიურ პროცესთან დაკავშირებით ხდება ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების გაღრმავება, ქალაქების აქტიური ზემოქმედება სოფელზე. ისე, რომ ქალაქები ხდებიან სოფლიდან ფაქტობრივად გამოდევნილი მოსახლეობის თავშესაფარად. აღნიშნულ პროცესებში კი განსაკუთრებით აქტიურად ებმება მთის სოფლის ღარიბი მოსახლეობა, სადაც თავის რჩენის პირობები შედარებით ნაკლებად არსებობდა. თავის მხრივ, გამოცდილი ქალაქელი ვაჭრები, კაპიტალს სოფლებში აბანდებენ, აარსებენ სავაჭრო დუქნებს და ქირით ადგილობრივ გლეხობას აძლევს. 1816 წ. ხელშეკრულების ერთ წერილში ვკითხულობთ: „ესე შეკრულობის წერილში მოგეცი მე, მელიქიანთ შაქრუას შვილმა იოსებამა, შენ, იოსების შვილი ბაყალი სიმონას და ბაყალი სოლომონას, ესე რომ ხიდიკოაანთშვილი (ის) ქისეთას ორი დუქანი ჩემთა გირაოთ არის და თქვენ ერთის წლის პირობით ქირით მოგეცით ორი დუქანი, თაეში (თეეში?) ორი მინალთუნი“... ან კიდევ, სოფლებში, თუ დაბა-სავაჭრო ადგილებში მიმართავენ წვრილ-წვრილი საწარმოების მოწყობას და მათი იჯარით გაცემას, კერძოდ, 1800 წ. ივნისის 7 ბრძანებაში აღნიშნულია დავით ბატონიშვილის სურამისა და ხეფინის – ხევის ბაჟისა და სამღებროების იჯარით გაცემის შესახებ და ა.შ.[396]

საგლეხო რეფორმის შემდგომი ხანა საქართველოში, როგორც საგარეო, ისე საშინაო ვაჭრობის, ხელოსნობის გამოცოცხლებაგანვითარებისათვის საკმაოდ ხელსაყრელ პერიოდად ითვლება. ეს ის დროა, როდესაც რკინიგზის გაყვანამ, სამთამადნო მრეწველობის აღმავლობამ, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებამ და სახელმწიფო, კერძო საკრედიტო ორგანიზაციების დაარსებით, საქართველო ებმება მსოფლიო საქონელბრუნვაში. ამ ფერხულში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თვისუბრივი და რაოდენობრივი წარ-

396 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, წიგნი 2, თბ., 1953, გვ. 52.

მოების ზრდა. გლეხობაში და მემამულეებში იზრდება მისწრაფება ტრადიციული და ახალი, განსაკუთრებით ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურების საწარმოებლად და ამ მხრივ საბაზრო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებულ პრიორიტეტს იძენს მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა, სიმინდის, მეცხოველეობის დარგებიდან მეცხვარეობა, მატყლისა და სხვათა საბაზროდ წარმოება. საგარეო ვაჭრობაში გარკვეულ ადგილს იკავებს წიაღისეული.


ხეობის მოსახლობა აქტიურად მონაწილეობს მუდმივ და სეზონურ ბაზრობებში. იქიდან გაედინება, როგორც დამუშავებული პროდუქცია ისე ნედლეული, ხე-ტყე, მესაქონლეობის პროდუქტ-ნედლეული, ღვინო-არაყი, სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო იარაღ-ინვენტარი, სხვადასხვა სახის ქსოვილი. ამ მხრივ აქაურ გლეხებს და მეწარმეებს კარგად იცნობდნენ გორის, ახალქალაქის, ერთაწმინდის, ხიდისთავისა და გორივჯვრის ბაზრობებზე. ხეობაში წარმატებით მიმდინარეობდა ადგილობრივი ვაჭრობაც, საქონელგაცვლა. ღვინო-არაყის, ცოცხალი პირუტყვის, ერბო-კარაქის, მატყლის, ტყავისა და ხე-ტყის შესაძენად ადგილზე მიდიოდნენ სირაჯები, ბაყლები, დაბაღები, სოვდაგრები, მეწვრილმანეები და სხვ. რომელნიც ხშირად წინასწარ უხდიდნენ ფულს, ან სამრეწველო საქონელს უტოვებდნენ. ასეთ პირობებში, ბუნებრივია გლეხი იძულებული ხდებოდა მიღებული მოსავალი სირაჯ-შემსყიდველების დაწესებულ ფასებში, ან სარგებელში მიეცა. თუმცა XIX ს. 90-იანი წლებიდან საქართველოს საშინაო ვაჭრობაში აქტიურად ვითარდება ვაჭარ-შემსყიდველთა საშუამავლო ფუნქციის შემცირების ტენდენცია, მწარმოებელი ცდილობს ხელი მიჰყოს პროდუქციის რეალიზებას.

XX საუკუნის დასაწყისში, აღნიშნული პროცესები განვითარების მაღალ დონეს აღწევს. გორის მაზრაში მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ საუკეთესო რეგიონად როგორც ცნობილია ხიდისთავი და ატენი ითვლებოდა, სადაც მის წარმოებაში ადგილობრივ ტრადიციებთან ერთად მკვიდრდებოდა ევროპული მეთოდებიც. აღნიშნული რეგიონებიდან დაძველებული 3-4 წლის ღვინო გაჰქონდათ. მაშინ, როდესაც 1908 წლის მონაცემებით, საქართველოში წლიური მოსავალი უდრიდა 5.584.340 ვედროს და 1908-1916 წლების საშუალო ოდენობა გორის მაზრაში აღ-

წევდა 200.000 ვედროს, მუხრანთან ერთად მისი ძირითადი მწარმოებელი იყო ხეობის სოფლების — ხიდისთავ-ატენის რაიონები.[397]

XX ს. 20-30-იანი წლებიდან, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, ტანა-ათრევას ხეობაში, ერისთავების, ორბელიანების, ამილახვარების, ზეზემანისა და სხვათა მამულები და ქონება განსაზოგადოებული იქნა, რომელთა ადგილებზე გაფართოვდა და მომრავლდა ახალი სოფელ-უბნები: ჯეირი, ვანიანთ უბანი, გარდატენი, პატარა ატენი, დეგეულა, ჭეჭელაანთ უბანი და სხვ.

[397] გ. გეხტმანი, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, ქ. ტფ. 1923, გვ. 74.



ერთაწმინდა XIII ს.

2. თეძამ-კავთურას ხეობა

თეძამ-კავთურას ხეობა, წარმოადგენს შიდა ქართლის ფრიად-საყურადღებო, ისტორიულად-სტრატეგიულ სექტორს, რომელიც ძველად ზენა სოფელში მოიაზრებოდა. როგორც აღნიშნული გვქონდა, ქართლის ტერიტორიალური განლაგებით, დედა მდინარის – მტკვრის მიხედვით იწოდებოდა ზემო, შუა და ქვემო ქართლად. ისე, რომ ზენა სოფლის ეს მხარე ვრცელდებოდა აღმოსავლეთით არაგვსა და თბილისამდე, ჩრდილოეთით კავკასიონის ენტრალურ ქედამდე, დასავლეთით ლიხის ქედამდე და ფარავნის ტბამდე (ჯავახეთი). შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს გაღმამხარი ეწოდებოდა. ამასთან, ეს უკანასკნელი, სათანადო ისტორიული წყაროების მიხედვით, ზოგჯერ არ შედიოდა შიდა ქართლში და ეს მაშინ, როცა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა ყოველთვის შიდა ქართლში იგულისხმებოდა.

შიდა ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა განსაზღვრა მისი ადგილი და მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიაში. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა შიდა ქართლზე გამავალი სტრატეგიული გზებით განისაზღვრებოდა, რომელიც ჩრდილოეთიდან მოემართებოდა დარიალის ანუ არაგვი-მცხეთის მიმართულებით. აღნიშნული მარშრუტი, არქეოლოგთა აზრით, მოქმედებდა ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან მაინც. მისი როლი ბუნებრივია კიდევ უფრო, ერთმნიშვნელოვნად დიდი იყო შემდგომ ხანებშიც. თუმცა იგი გარკვეულ პერიოდებში შესაბამის დაქვეითება-აღორძინებასაც განიცდიდა. მაგალითად, XIII ს. მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ ამ გზის ეკონომიკური მნიშვნელობა მკვეთრად დაეცა, ისევე, როგორც მომდევნო ხანებში და განსაკუთრებით XVIII ს. II ნახევარში კვლავ დიდ აღმავლობას განიცდის და ა.შ. ფრიად საყურადღებოა ის ფაქტიც, როცა ანტიკურ ხანაში ინდოეთსა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი საავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთი მონაკვეთი ამიერკავკასიაზე, კერძოდ შიდა ქართლზე – მტკვრის ორივე მხარეს მოჰყვებოდა და სადაც მნიშვნელოვანი უპირატესობა მის მარცხენა სანაპიროს ეძლეოდა. არანაკლები

მნიშვნელობა ჰქონდა კიდევ ერთ გზას, რომელიც მცირე აზიიდან მოემართებოდა და მცხეთამდე აღწევდა. აქედან კი არაგვის ხეობით ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა. ერთობ მნიშვნელოვან მაგისტრალს წარმოადგენდა აგრეთვე ე.წ. „ცხვრის გზა“, რომელიც საქართველოს დიაგონალურად ჰკვეთდა და კახეთ-ჰერეთს, ტაო-კლარჯეთთან აკავშირებდა, თრიალეთის ქედის თხემს გასდევდა და მრავალი განშტოებით უკავშირდებოდა მის გარდიგარდმო მდებარე „ქვეყნებს“. ამ უძველესმა გზამ გარკვეულ ისტორიულ პირობებში ხელი შეუწყო ზემოხსენებულ „ქვეყანათა“ შერწყმას და, საბოლოოდ, საქართველოს გაერთიანებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას.

ისტორიულად ქართლის სამეფოს ეს ნაწილი, ადრიდანვე ხელისუფალთათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ მხარეთ იყო მიჩნეული და მის აღზევება-კეთილმოწყობისათვის ისინი შესაბამის ძალასა და ენერგიას არ ზოგავდნენ. აღნიშნულზე მეტყველებს თუნდაც აქ შემორჩენილი ათეულობით მსხვილი და მცირე სამონასტრო-საეკლესიო კომპლექსები, თავდაცვითი — საფორტიფიკაციო ნაგებობები და სხვ. რომელთა ქრონოლოგია განსაკუთრებით VI-VII საუკუნეებიდან იწყება.

ვახუშტი ბატონიშვილი კავთის ხევის შესახებ აღნიშნავს: „ნიჩბისის დასავლეთ ხევი კავთისა, გამოზდის დიდგორს, დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამხრიდამ. ქვათახევამდე ევნახოვანი, ხილიანი, ქვათახევს არს მონასტერი ყოვლაწმინდისა, გუნბათიანი, შვენიერნაგები, ზის არქიმანდრიტი. და არს ადგილი შემკული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი; ზამთარი თბილი; გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალნი, ამას შინა შეჰყარა ლანგ თემურ მოწესენი და შეასხა ეჟვანი (რომელნი იტყოდენ: „ვაი ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვეჟღარუნებიან!“) და გამოსწვა ყოველნი ეკლესიასა შინა და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ფეხლნი, ფერფნი, თავნი და გვამნი. არავინ შევალ ფეხეცმულნი, არამედ ფერხშიშველნი, სიწმინდისათვის: ამას ზეით, დიდგორის კალთას არს ციხე კავთისა, მაღალსა კლდესა ზედა შენი კავთას ქვეით ერთვის ამ ხევს ხევი ბოტისისა. ქვათახევ-წინარეხს ქვეით ერთვის ამავ ხევს ხევი გუდარეხისა. წინარეხის

აღმოსავლით და გომიჯვრის ზეით არს მოანსტერი ლავრა, გუმბათიანი, შვენიერს ადგილს და აწ უქმად. გუდარეხის ხევზედ არს თვალივს სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდი".[398]

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილს სოფლების აღწერისას თეძმის-ხევის ნუსხაში ჩამოთვლილი აქვს 40 სოფელი, ხოლო კავთისხევში, ანუ კავთურის ხეობაში სულ 12, საიდანაც ჩანს, რომ შიდა ქართლის სამხრეთ ნაწილში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილი სწორედ თეძამ-კავთურას აუზია, რაც ბუნებრივია ისტორიულად მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ღირსებაზე მიგვანიშნებს.

საკვლევი რეგიონი, უძველესი დროიდან ე.წ. „უფლისციხის ქვეყანაში" შედიოდა, რომლის არიალი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. კერძოდ, მდ. მტკვრის ორივე სანაპიროზე, ლიახვ-ლეხურასა და თეძამ-ტანას ორმდინარეთა შორის. სამხრეთით იგი თრიალეთის ქედს ებჯინებოდა, ჩრდილოეთით-კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს, დასავლეთით — „ურბნისის ქვეყანას", ხოლო აღმოსავლეთით „მცხეთის ქვეყანას" გორისციხისა და კასპის წარმოქმნის შემდეგ „უფლისციხის ქვეყანა", რომელიც ძვ.წ. VI-IV სს. იბერიის ტერიტორიაზე თავისი სიდიდითა და ტოპოგრაფიული აღნაგობით სხვა ვერ შეედრებოდა, შემდგომში უნდა შემცირებულიყო და ლიახვის ხეობა, როგორც ჩანს, თანდათანობით გორს უნდა დაკავშირებოდა, ხოლო ლეხურას ხეობა და აგრეთვე თეძმისა და ნაწილობრივ კავთურას ხეობები — კასპს. „უფლისციხის ქვეყანა", ამის შემდეგ მეჯუდა-ლეხურას ხეობებს შორის მდებარე ზოლით (ტირიფონის ველი და მიმდებარე ადგილები დ.პ.) და ხევხმელა-ტანას დინებით (სოფელ ყარაღაჯისა და დოეს-ქვახვრელის ველი) უნდა შემოფარგლულიყო. მიუხედავად ამისა, უფლისციხე წამყვან როლს ანტიკურობის მთელ სიგრძეზე ინარჩუნებდა.[399]

---

[398] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 55.

[399] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 624-625.

თეძამ-კავთურას აუზი ცნობილია ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლებითაც, რამდენადაც ზედაპალეოლითელი ადამიანის პერიოდის ძეგლები ბლომადაა აღმოჩენილი შიდა ქართლში, ამდენად საკმაოდ ბუნებრივია, რომ მისი გარკვეული ნაწილი შესასწავლ რეგიონზეც მოდის. კერძოდ, მეტეხის ფრონეს ტყე-ველიან ზონაში ჩანს, რომ ლანდშაფტის მრავალფეროვნებას, მდინარეთა და ტბების სიახლოვეს, ბუნებრივი რესურსების სიმდიდრეს და სხვა გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა პირველყოფილ ადამიანთა მიერ ამ მიდამოების დასახლების დროს.[400]

ამდენად, ვახუშტის აღწერის შესაბამისად, თეძამ-კავთურას ხეობაში იმ ხანად აღრიცხული 52 სოფლისა და დაბის მძლავრად წარმოჩენას ბუნებრივია თავისი ღრმა ფესვები გააჩნდა; რასაც თანამედროვე ყოფითი თავისებურებებიც ადასტურებს. ამასთან, განსაკუთრებით XVIII-XX სს. სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, აღნიშნულ რეგიონში და არა მარტო აქ, მკვეთრად შეცვალა მხარის მოსახლეობის თვისობრივი, რაოდენობრივ-სტრუქტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ცალკეული ისტორიულ პერიოდებში მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებში მომხდარი რადიკალური ცვლილებები. კერძოდ, დაღესტნის ფეოდალთა აბრაგების მიერ გამუდმებული თარეში, რომელნიც ძირითადად თრიალეთის მხრიდან გადმოდიოდნენ და მთელ ხეობას იკლებდნენ, იტაცებდნენ ხალხს, საქონელს, სარჩოსანოვაგეს, ტყვეებისათვის ითხოვდნენ დიდძალ გამოსასყიდს და სხვ. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით ხეობის ზედა წელი ფაქტიურად უკაცრიელი ხდებოდა, მოსახლეობას ხელიდან ეცლებოდა ხე-ტყე, სათიბ-საძოვრები, ნადგურდებოდა მატერიალური კულტურის ძეგლები და ა.შ. ისე, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხეობის მოსახლეობის ზემო ნაწილს მიტოვებული ჰქონდა მამა-პაპისეული საცხოვრისი და თავი მის ქვედა ზოლში, ან საქართველოს სხვა, შედარებით უშიშარ ადგილებში ჰქონდა შეფარებული.

---

400 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 90.

თეძამის ხეობის მდიდარ ბუნებრივ-ეკონომიკურ მდგომარეობას ფრიად საინტერესოდ წარმოგვიჩენს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც აღნიშნავს: „ხოლო დასავლეთით კავთის-ხევისა დის მდინარე თეძმისა, გამოსდის ჭვარებსა და თორის საშუალო მთასა, და დედა-ციხემდინ დის აღმოსავლით, მერმე დის ჩრდილოთვენ და მიერთვის მტკვარს სამხრიდამ. აქ მტკვრის კიდეს არს მონასტერი ყოვლაწმინდისა, გუმბათიანი, დიდი, მეტეხი, კეთილშენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო. ამის ზეით არს სხერტის ჭალა. ამის სამხსრით არს თეძამზედ ახალქალაქი. ამის ზეით ეკლესია გუმბათიანი, ერთაწმინდისა, სასწაულთ-მოქმედი. ამის აღმოსავლით არს ციხე ცხირეთისა, ნასასახლევი მეფეთა, ერთაწმინდის დასავლით არს ციხე დრისა, მაღალს კლდესა ზედა, მაგარი, მდინარესა ზედა თეძმისასა. ამის სამხრით, ზემოთ თეძმის მდინარესა ზედა, არს კრკონს მონასტერი გუმბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუვალს ადგილს. აქ არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვიან ვერცხლსაცა. ზის წინამძღვარი. აქამომდე არს თეძამი ვენახ-ხილითა ნაყოფიერი, ამას ზეით, ხევ-ღრმას, არს მონასტერი. მას ზეით, ერიქალის მთის ქვეშა, არს დედა-ციხე, კლდით მოზღუდვილი, ფრიად მაგარი და მდინარესა ამას შინა არს თევზი, თვინიერ კალმახისა, და იგი მრავალი, გარნა წყალდიდობას შემოვალს კაპოეტნი და ჟამად ორაგულნიცა. გომიდამ მეტეხამდინ არს ჭალა სხერტისა, და არს ხოხობი მრავალი“.[401]

როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, თეძამის ხეობაში, ისტორიულად ყველაზე დაწინაურებული ჩანს ახალქალაქი, რომელიც XIII ს. კახა ერისთავთ ერისთავის რეზიდენცია ყოფილა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთლაიანად ეს მხარე შემდგომშიც მისი შთამომავლობის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო. შემდგომში, კერძოდ XVII საუკუნიდან ამ ხეობის მფლობელობაში მიმდინარეობს გარკვეული ცვლილებები. ეს ის პერიოდია, როდესაც აქ გაბატონებას იწყებს სააკაძის გვარი, სადაც წამყვანი როლი გიორგი სააკაძეს ეკუთვნის და საერთოდ ეს გვარი, (უფრო ფართოდ ქვემოთ შევჩერდებით) როგორც ცნობილია, დაწინაურებას იწყებს ქართლის მეფის სვიმონ პირველისა და გიორგი მეათის დროს.

---

[401] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 56.

გიორგი სააკაძის ფიგურა 22 წლის ასაკში გახდა ცნობილი, როდესაც მან თავი ისახელა თურქებთან ბრძოლაში და გიორგი X-ემ მას აზნაურო-ბასთან ერთად „თარხნობაც“ უბოძა. წოდებასთან ერთად, მეფემ უბოძა მამულები ყმებითურთ, ხოლო 1607 წ. კი დაამტკიცა თავადად. ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძის მოურავის შთამომავალს თარხან-მოურავის სახელით იხსენიებენ.[402]

გიორგი სააკაძეს რეზიდენცია მდინარის მარჯვენა მხარეს სოფ. ნოსტეში ჰქონდა, სადაც საკმაოდ გამაგრებული ციხე-გალავნიანი სასახლე ედგა. იგი კიდევ უფრო დაწინაურდა მეფე ლუარსაბ II-ის დროს, როდესაც მის მფლობელობაში ექცევა თეძმის ხეობის ქვემო, ყველაზე დასახლებული ადგილი, ხოლო მისი ზედა წელი კვლავ ჯავახიშვილების ხელში რჩება. ამგვარად, XVI საუკუნიდან ხეობას ძირითადად ორი მებატონე ჯავახიშვილები და თარხან-მოურავები ფლობდნენ. ამასთან ერთად ხეობაში იყო ქართლის მეფეთა საზაფხულო რეზიდენციაც, კერძოდ ცხირეთი, მაგარი ციხე-გალავნითურთ.

თეძამ-კავთურას ხეობაში თითქმის არ არის სოფელი, სადაც მეტ-ნაკლები სახით არ იყოს შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლი ან ნაშთი, ნასახლარი. რამდენადაც საკვლევი რეგიონი თავისი ცენტრით — კასპით, ადმინისტრაციულად XI-XV სს. ქართლის საერისთაოს შემადგენლობაში შედიოდა, ამდენად ბუნებრივია მას ეკავა ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1400 წელს, როდესაც თემურ ლენგი საქართველოს შემოესია, დაიწყო ქვემო ქართლის გავერანება, აიღო თბილისი და შემდეგ გორის ციხე, გაეცა ქართლის ვაკეზე და იწყო მისი აოხრება, სამცხე დალაშქრა, თრიალეთის კლდეკარზე გადაიარა და თეძმის ხეობაში შესულა, განსაკუთრებული სისასტიკით აუოხრებია აქ არსებული ეკლესია-მონასტრები. ამის შესახებ იტყობინება რკონის მონასტრის პატარა ეკლესის წარწერა, რომლის მიხედვითაც დარბეული ყოფილა აგრეთვე

---

402 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 699.

ქვაბთახევის დიდებული ტაძარიც, სადაც დამპყრობლებს შეუმწყდევიათ „მუნ მყოფი კაცი, მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი“, ცეცხლი შეუკეთეს და გამოსწვეს შიგა“.[403]

მიუხედავად ქვეყნის მრავალგზის აწიოკება-აოხრებისა, მატერიალური კულტურის ძეგლთა ძირითადი ნაწილი მეტ-ნაკლები სახით დღევანდლამდე შემოგვრჩა. ამის ერთ-ერთ მთავარ პირობად ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით მათი ფუნდამენტური მშენებლობის სიმტკიცე წარმოადგენდა. ერთ-ერთ კონკრეტულ შეთხვევაში იგი აღნიშნავს: „მაინც უნდა ითქვას, რომ სწორედ რკონის მონასტრის ნაგებობათა მდგომარეობა ცხადყოფს, რომ არც შერეფედდინისა და არც თვით ქართული და სომხური იმდროინდელი ცნობები შენობა-ცისების ძირამდე დანგრევის შესახებ იმდროინდელს ნამდვილ ვითარებას მთლად არ შეეფერება: არამცთუ საძირკვლამდისა და მიწასთან გასწორებით, არამედ ნაგებობათა საფუძლიანად დანგრევაც არ ჩანს. უნდა ითქვას, რომ თვითონ მრისხანე მტარვალს ასეც რომ სდომოდა და მისი მარბიელი ურდოებიც ამგვარი განკარგულების ასრულების ძალიან მოწადინებულნიც რომ ყოფილიყვნენ, ასეთი მიზნის განხორციელება მაინც არ შეეძლოთ: იმდროინდელს საქართველოში ქვითკირის მკვიდრი შენობები იყო გავრცელებული და ასეთ ნაგებობათა საფუძლიანად დანგრევას მოკლე ხანში მტრის დაუნდობელი ლაშქარიც, რასაკვირველია, ვერც მოასწრებდა და ვერც მოახერხებდა. ამიტომ თემურ ლენგიცა და მისი თავზეხელაღებული თანამებრძოლნიც უნდა უნებლიედ შენობათა გაოხრება-გაერანებით, უმთავრესად კი გაძარცვით დაკმაყოფილებულიყვნენ და, როგორც ჩანს, სწორედ ასეც მოქცეულან“.[404]

მიუხედავად ამისა, თუ ზოგადად შევაფასებთ თემურ ლენგის შემოსევებს, მან ვერა და ვერ გასტეხა მამულისა და სჯულისთვის მებრძოლი ხალხის ნებისყოფა და ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქმნა შერიგებოდა თავისი პოლიტიკის მარცხს და ოფიციალურად (1403 წ. საზავო ხელშეკრულება) ელიარებინა საქართველოს, როგორც ქრისტია-

---

[403] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979წ., გვ. 699.
[404] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982, გვ. 204.

ნული სამეფოს არსებობა, რაც ქართველი ხალხის უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს მის ურდოებზე მოპოვებული უზარმაზარი მატერიალური ზარალისა და ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლისა".[405] როგორც ითქვა, თეძამ-კავთურას ხეობის მოსახლეობა, რამდენადაც შიდა ქართლის ის რეგიონია, სადაც ისტორიულად მოსახლეობის დასახლება განსაკუთრებული სიმჭიდროვით გამოირჩევა, ამდენად, ჯერ კიდევ შუა საუკუნეების მიხედვით, მარტო კავთურას პატარა ხეობაში საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულად ითვლებოდა 12 სოფელი: ხანდაკი, იდლეთი, კავთის ხევი, ეზატი, თვალადი, თელათგორი, წინარეხი, გომისჯვარი, ლავრისხევი, გუდალეთი, წიფორი და ქვათახევი. ხოლო თეძმის შედარებით მოზრდილ ხეობაში კი 22-მდე სოფელი: ბარნაბიანთ კარი, ახალციხე, გარიყულა, გომი, გოსტიბე, გრაკალი, ერთაწმინდა, ზემო ჩოჩეთი, ზემო ხანდაკი, კაპრიშიანი, ნიაბი, ნოსტე, სხერტისჭალა, სასირეთი, ფაშიანი, ჩაჩუბეთი, ცხირეთი, ხოვლე, ჭყოპიანი, ახალქალაქი.

სამწუხაროდ, საქართველოს ძველი ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის რაოდენობის ამსახველი მასალების ნაკლებობის გამო არ შეგვიძლია ფართოდ ვიმსჯელოთ საკვლევი რეგიონის შესახებაც, თუმცა სოფლებისა და ნასოფლარების, მატერიალური კულტურის ძეგლთა სიმრავლე და სხვ. მიგვანიშნებს მზარდ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე და ბუნებრივია საზოგადოების აქტიურ ცხოვრებაზე, რომელიც ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში შესაბამისი დონით მიმდინარეობდა. ყველა ზემოაღნიშნულის საფუძველს გვაძლევს ამ ხეობის ბუნებრივი ეკონომიკური და გეოგრაფიული მონაცემები, რამაც განაპირობა საქალაქო სადაბო ცხოვრების დონის ზრდა, როგორც ერთ-ერთი სავაჭრო-სახელოსნო წარმოების სატრანზიტო დამაკავშირებელი გზა შიდა ქართლიდან სამხრეთ საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ცენტრებისაკენ.

ცნობილია, რომ ისტორიულად, ქალაქ-დაბების მოსახლეობა ძირითადად დასაქმებული იყო ვაჭრობით და ხელოსნობით, რომელთაც თა-

[405] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 717.

ვისთავად მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა გააჩნდა სოფელთან, ანუ მიწათმოქმედებასთანაც. აქედან გამომდინარე, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც თავისთავად არ უნდა ყოფილიყო ერთგვაროვანი, რამდენადაც ამ ფენაში შედიოდნენ როგორც თავისუფალი, ისე ყმა-ვაჭრები და ხელოსნები, ხოლო მეორე მხრივ თავისუფალ მოქალაქე ვაჭართა წრიდან გამოიყოფოდნენ დიდვაჭრები, რომელთა გვერდით უბრალო „ვაჭრები“ გვხვდება. ესენი პირადად თავისუფალნი არიან, თუმცა ეკონომიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან დიდ ვაჭრებს.

აღსანიშნავია, რომ XII-XIII სს. თბილისში მოქალაქეებად იწოდებოდა ყველა ვაჭარი და ხელოსანი – თავისუფალი თუ ყმა (მეფის, ეკლესიის, მემამულის). რამდენადაც ქალაქის ვაჭართა ზედა ფენა მეფის ხელისუფლებისთვის აუცილებელ ძალას წარმოადგენდა, ამდენად მას მეფე იახლოვებდა და ანიჭებდა შესაბამის პრივილეგიასაც. აქედან გამომდინარე, არცთუ იშვიათად ვაჭრები სახელმწიფო დავალებებსაც ასრულებდნენ. მსხვილი ვაჭრები ბუნებრივია ბატონობდნენ არა მარტო საშინაო, არამედ საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობაშიც. ქარავნებს ყოველთვის მეთაურობდნენ მსხვილი ვაჭრები, რომელნიც ქარავნთუხუცესებად იწოდებოდნენ. საერთოდ საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობას საქართველოში და სხვა „აღმოსავლურ ქალაქებში“ ე.წ. „ურტაღები“ ხელმძღვანელობდნენ, რომელნიც ვაჭართა მსხვილ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ურტაღი“ დადასტურებულია 1259 წლის რკონის სიგელში.[406]

ზემოაღნიშნული სიგელი თავისთავად გულისხმობს რა საერთოდ საქართველოში სავაჭრო საქარავნო ინსტიტუტის არსებობას, მიგვანიშნებს იმ აქტიურ სავაჭრო ურთიერთობებზე, რომელიც საკვლევ რეგიონში მიმდინარეობდა. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რკონის სიგელში მოხსენებულ ურტაღში სამი პირი იყო გაერთიანებული. ეს გაერთიანება ფართო ვაჭრობას ეწეოდა როგორც საქონლით, ისე მამულებით.[407]

---

406 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 114.
407 იქვე, გვ. 114.

საქალაქო ცხოვრებაში მეორე პრივილეგირებულ ფენას ხელოსნები შედაგენდნენ. ისინიც ვაჭრობის მსგავსად თავისუფლებად და ყმებად იყოფოდნენ, რომელთა შორისაც იყვნენ „ღირსეულნი“ და „საპატიონი“. მაგალითად, XII ს. ასეთები იყვნენ ოქრომჭედლები ბეშქენ და ბექა ოპიზრები.[408] ისე, რომ აღნიშნული პერიოდისათვის საერთოდ საქართველოს მოსახლეობა რამდენიმე სოციალურ ფენად იყოფოდა, სადაც ყველაზე დაბალ საფეხურზე მრავალრიცხოვანი გლეხობა იდგა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოფელი ფეოდალურ საქართველოში დასახლების ძირითად ობიექტს წარმოადგენდა, სადაც ბუნებრივია ძირითადი მასა გლეხობა იყო. სამწუხაროდ, საისტორიო წყაროები ერთობ მწირ მასალას გვაწვდიან იმის შესახებ თუ საქართველოს ცალკეულ პერიოდებში რა სოფლები იყო ამა თუ იმ რეგიონში და რა სიმჭიდროვის მოსახლეობა არსებობდა. ამიტომ, ზემოაღნიშნული ფაქტების შესახებ, მხოლოდ მიახლოებითი, არაპირდაპირი ცნობებით შეიძლება ვიმსჯელოთ. თუმცა ამგვარი მონაცემები XI-XIII სს. საქართველოს ცალკეული კუთხეების სოფლების რაოდენობის შესახებ მაინც გვხვდება სხვადასხვა საეკლესიო დოკუმენტებში. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, კერძოდ XVI ს. ხალხის აღწერის დავთრები, ისინი შედარებით ზუსტ მონაცემებს გვაწვდიან. აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დასახელებულ სოფელთა ერთი ნაწილი დღეს აღარ არსებობს, ხოლო ძველი სოფლების სახელწოდებები შემორჩენილია ცალკეულ დასახლებებში და ისიც ნაწილობრივ-ცოტაოდენი სახეცვლილებებით.

ყველა ზემოაღნიშნულის ნათესაყოფად, საყურადღებოა სოფელ – ხოვლეს შესახებ არსებული დოკუმენტი, რომელიც XIII ს. შუა ხანებს ეკუთვნის და გვამცნობს, რომ აქ დაახლოებით 42 კომლი გლეხი ცხოვრობდა, რომლის რიცხვი შემდეგნაირად შეიძლება დადგინდეს: „კახა თორელმა სოფელი ხოვლე, იქ მცხოვრები გლეხებითურთ, რკონის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა და ხოვლელ გლეხებს სხვა ვალდებულებებთან ერთად დააკისრა ეკლესიისათვის 340 თეთრის გამოღება. ეს

[408] იქვე, გვ. 116.

340 თეთრი კომლებზე უნდა განაწილებულიყო და თითოეულ კომლს 8 თეთრი გამოელო".[409]

ისტორიულად სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე, ბუნებრივია ყველგან შესაბამისი იყო და გარემო პირობებიდან გამომდინარე მისი გარეგანი სახეც სხვადასხვა სახით იყო წარმოდგენილი.

ბუნებრივი პირობების შესაბამისად, უძველესი დროიდანვე ყალიბდებოდა სოფლის მეურნეობის დარგები და მისთვის დამახასიათებელი საწარმოო საშუალებათა გაუმჯობესება-განვითარების პროცესები. ქართული სოფელი თავისი ინფრასტრუქტურით წარმოადგენდა ისეთ ე.წ. დამოუკიდებელ ერთეულს, სადაც ბატონობდა შესაბამისი წეს-წყობილება, ხელოსნობისა და აღებ-მიცემობის, სარწყავ-საირიგაციო სისტემის ტრანსპორტისა და საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსური განვითრაების თავისებურებები. შესაბამისად ყალიბდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგთა სტრუქტურა, და მიუხედავად ამისა, სოფელი ქალაქთან ურთიერთქმედებაში ვითარდებოდა და იზრდებოდა. უფრო და უფრო იკვეთებოდა სახალხო მეურნეობის პრიორიტეტული დარგები და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი სოციალური პრობლემების გადაწყვეტის გზები. აღნიშნული პროცესების გააქტიურების შედეგს წარმოადგენს ახალ-ახალი ქალაქებისა და დაბების წარმოქმნა და ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს განვითრაება ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე.

დროის შესაბამისად, ვითარდება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო დარგები და სავაჭრო ურთიერთობათა სფერო, სოფლის მეურნეობაში ცალკეული დარგების დაწინაურება მიმდინარეობდა როგორც საბატონო და საეკლესიო, ისე ერთპიროვნულ ფართობებზე. XIV საუკუნის საქართველოში ფართე მცნებას წარმოადგენს „მელვინეთუხუცესის", „მეხილეთუხუცესის", „მეჭურჭლეთუხუცესისა" და სხვ. თანამდებობები, რაც ყველა ზემოაღნიშნულის დადასტურებასაც წარმოადგენს.

თეძამ-კავთურას ქვედა წელი შიდა ქართლის ვაკის იმ ნაწილს შეადგენდა, სადაც ინტენსიური სამიწათმოქმედო დარგების განვითარები-

---

[409] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 83.

სათვის ყველა პირობა არსებობდა. XVIII ს. მეორე ნახევრის მონაცემებით, ბარის გლეხთა მეურნეობაში ძირითადი ადგილი კვლავ მიწათმოქმედებას ეკავა, ხოლო მესაქონლეობას დაქვემდებარებული მნიშვნელობა გააჩნდა. ხეობის ქვედა წელზე განვითარებული იყო მემინდვრეობა, მევენახეობა და შესაბამისად მეხილეობა-მებოსტნეობა. აღნიშნული პერიოდისათვის, რეგიონში და საერთოდ აღმ. საქართველოს სოფლის მეურნეობაში შეინიშნებოდა კომლთა ოდენობის შემცირება ანუ მძლავრობდა ე.წ. დიდი ოჯახები, რომელთა მეურნეობრივი ფართობი 60 დღიურს არ აღემატებოდა. 1803 წ. ერთერთ დოკუმენტში პირდაპირაა აღნიშნული, რომ „ერთი საკომლო 60 დღის მიწაა“.[410] ისტორიულად ქართლის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო შერეული კულტურების ერთ კომპლექსში წარმოება. კერძოდ, მეხილეობა-მევენახეობა ერთ კომპლექსშია წარმოდგენილი, სადაც შერეულადვე იწარმოება ბოსტნეული და მარცვლეული კულტურებიც. მარცვლეულის წარმოებასთან ერთად საგლეხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ტრადიციული დარგები იყო მევენახეობა-მეხილეობა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა, თუმცა მათი ფართობი მცირე მოცულობით იყო წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, გლეხთა სააბტონო გადასახადები არცთუ იშვიათად ამ დარგებიდან მიღებული პროდუქტის სახით — ხილით და ღვინო-ყურძნით მიმდინარეობდა. ამ მხრივ, ანუ გადასახადებს შორის აღსანიშნავი იყო ნიგოზის საგანგებო ადგილი. მებატონის მიერ ზოგჯერ იბეგრებოდა ბოსტანიც, რომელიც „სამარხო“ გადასახადის სახითაა ცნობილი და სხვ.

როგორც ითქვა, ხეობის გლეხთა მეურნეობაში გარკვეული ადგილი ეკავა მესაქონლეობას, სადაც არ იყო კომლი, რომელსაც მეწველი ძროხა ან კამეჩი არ ჰყოლოდა. რაც შეეხება მთა დაგილებს, აქ მესაქონლეობის ადგილი საკმაოდ პრიორიტეტულია, სადაც მეწველთან ერთად ჰყავდათ სახორცე და გამწევი ძალისათვის განკუთვნილი საქონელი — ხარ-კამეჩი. ნაკლებად, მაგრამ მაინც ჰყავდათ წვრილფეხა პირუტყვიც — ცხვარი,

[410] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 533.

თხა, რომელიც უმთავრესად შიდა მოთხოვნილებისათვის იწარმოებოდა. უნდა ითქვას, რომ საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრუქტურა, როგორც წესი მიესადაგებოდა შიდა ქართლის შესაბამის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებისათვის დამახასიათებელ პირობებს.

საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად — ხევებად დაყოფის შესაბამისად, მისახლეობის დასახლება-განლაგების პრინციპი სხვა მრავალ გარემოებებთან ერთად ითვალისწინებდა, როგორც ბუნებრივ, ისე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს, თავდაცვით ასპექტებს. აღნიშნულ დამახასიათებელ თვისებებს საქართველოში საფუძველი ეყრება ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან, რომლის ერთ-ერთ ნიმუშად, როგორც აღვნიშნეთ, მიჩნეულია ხეკხმელას ხეობაში მდებარე ხოვლე გორას არქეოლოგიური ძეგლი დათარიღებული ძვ.წ. XIV საუკუნით. აღნიშნული ნამოსახლარი ქვის გალავნით შემოზღუდული „გვარის“ სამოსახლოს წარმოადგენდა, რომელიც საგანგებო თხრილით ყოფილა განცალკევებული.

არქეოლოგების აზრით, იგი წარმოადგენდა აგრეთვე საკულტო-თავდაცვით ნაგებობასაც და მიუთითებს აქ მობინადრე გვარების გარკვეულ სოციალურ დიფერენციაციაზე. რომ, შემდგომში, ამ წარმონაქმნების ბაზაზე, ადრინდელი ანტიკური ხანისათვის აღმ. საქართველოში უნდა შექმნილიყო რამოდენიმე ასეთი სახელმწიფოებრივი ჩანასახი. აქედან გამომდინარე, თეძამ-კავთურას ხეობის მოსახლეობის დასახლების სტრუქტურა თავისთავად ეფუძნება იმ ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა, სადაც ძირითადი პრინციპი — მიწა-წყლით უზრუნველყოფა ყოველთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ამიტომ, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის სახელწოდებაც ძირითადად მდინარეებისაგანაა წარომოებული. სწორედ მდინარე იყო და არის ის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობდა მოსახლეობის დასახლება-განლაგების პროცესი. კერძოდ, მდინარის სანაპიროებზე მათი ვერტიკალური დასახლება, ინფრასტრუქტურა და სხვ. სოფლები, ჩვეულებრივ, უმთავრესად საგვარეულო უბნებისგან შედგებო-

და, რომელთაც ხშირად თავიანთი ხატ-სალოცავები და ციხე-გალავნებიც გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, უბნების დასახლება-გამოყოფა და სახელწოდება უმთავრესად გვარებისა და ცალკეული სუბიექტის შრომითი საქმიანობის სპეციფიურობიდან გამომდინარეობდა. მაგ. მჭედლიაანთ, ღვედიაანთ, მექვაბიაანთ, ნალბანდიაანთ, დურგლიაანთ, ღვინიაანთ, სომხიაანთ, მამულაანთ, მთიულიაანთ, ქონდარაანთ, ვარდუაანთ და ა.შ. რომელნიც ნათლად წარმოაჩენენ სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ სახეს, აქ მოსახლე ხალხთა ეროვნებას, წარმომავლობას და სხვ.

ვახუშტი ბატონიშვილი ქართველთა შთამომავლობის შესახებ აღნიშნავს: „ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა ნოეს ძის იეფთაეს თესლისგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე... არამედ სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებლისა ღვთისა თაყვანისცემა, და ფუცვიდიან ქართლოსის საფლავსა. ზნენი აქუნდათ პირმტკიცება, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყნისა, ერთისა ცოლისა ქრმობა, რამეთუ მოიყვანიან თვსთვსთა თანასწორთა: მთავარი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა და სხვა“.[411] ამ მოკლე აღწერიდანაც შესანიშნავად ჩანს ქართველ ხალხში ჩამოყალიბებული ის ძირითადი პრინციპები, რომელთა წყალობით ქვეყანამ მრავალ ისტორიულ ქარტეხილებს გაუძლო.

უძველესი დროიდან ქართლის საზოგადოების სოციალურ ურთიერთობების შესასწავლად, განსაკუთრებით საყურადღებოა ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობები იბერიის შესახებ, რომელიც სხვადასხვა წყაროებზეა დამყარებული, კერძოდ, ამიერ კავკასიის ქვეყნებში პომპეუსის ლაშქრობის (ძვ.წ.ა. 66-65 წწ.) მონაწილე თეოფან მიტილენელის თხზულებებზე და აგრეთვე ძვ.წ. III ს. ავტორის ერატოსთენეზე და ზოგჯერ პოსიდონიოსზეც. ამ ცნობებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მკვეთრი განსხვავება, რომელიც იბერიის მთისა და ბარის მოსახლეობაში არსებობდა.

---

[411] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 12.

სტრაბონის მიხედვით, „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობენ სკვითების ყოლაზე, აგრეთვე სარმატების ყოლაზე, რომელთა მეზობლებიცა და ნათესავებიც არიან: თუმცა ეწევიან მიწათმოქმედებასაც ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი და პირველი, რომლისგანაც მეფეებს სხვავენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწის მოქმედთა. მეოთხე (გვარი) არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობასდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი“.[412]

აღსანიშნავია, რომ სტრაბონის ამ ცნობის ინტერპრეტაციას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. მათ შორის ივ. ჯავახიშვილის ა. ი. ბოლტუნოვისა და განსაკუთრებით ს. ჯანაშიას შრომები, რომელიც ამ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ სიტყვა „გვარს“ სტრაბონი ხმარობს არა პირველყოფილი წყობილებისათვის დამახასიათებელი უმარტივესი უჯრედის, არამედ მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის, სხვადასხვა სოციალური ფენის აღსანიშნავად.[413] ასეთ ვითარებაში, ჩვენთვის საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია იმ დროის „იბერიის მოსახლეობის ფენებად წარმოჩენის საკითხი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ მის ცნობებში სამწუხაროდ არ არიან მოხსენიებული თუნდაც იმ დროისათვის საკმაოდ გავრცელებული ფენა ვაჭარ-ხელოსანები, აგრეთვე შესაბამისი ქალაქების სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების არსებობა და სხვ. იგი მაინც მიგვანიშ-

412 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 129, 130.

413 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 486.

ნებს კარგად დასახლებულ ქალაქებზე და დაბებზე, რითაც საშუალება გვეძლევა ვიმსჯელოთ ზოგადად მოსახლეობის გარკვეულ სიმჭიდროვეზე და შრომით საქმიანობაზე. მით უმეტეს, რომ ახ.წ. პირველი საუკუნეების ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია საერთოდ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა განსაკუთრებული აღმავლობის ხანად, სადაც თავისთავად იბერიაც იყო ჩათრეული და რომელსაც განსაზღვრავდა მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა — სავაჭრო გზების გადაკვეთა. ასეთ ვითარებაში, საგულისხმოა ქართლის უძველეს ცენტრებზე, კერძოდ მის შიდა რაიონებზე გამავალი გზები, მათ შორის თეძამ-კავთურას ხეობაზეც.

ყოველივე აღნიშნულ გარემოებათა კვალობაზე, I-II საუკუნეებში, ქართლი გადაიქცა ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ, რითაც ამიერკავკასიასა და საერთოდ მეზობელ მხარეებში პოლიტიკური ჰეგემონობის პრეტენზია დაიმკვიდრა.

არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მიხედვით, ძვ.წ. VI საუკუნეში ძირითადად მთავრდება იბერიის ბარის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთი მნიშვნელოვანი საფეხური, რომელიც რკინის სამეურნეო ათვისების საფეხურადაა ცნობილი. სწორედ ამ ეტაპზე ბარის რაიონებში წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა დასახლების მანამდე უცნობი სახე-მსხვილი, დაბიური სამოსახლო, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშლილი იყო სახელოსნო უბნები და ნეკროპოლი. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი ამგვარი დასახლება აღმოჩენილია ხოვლეში და უფლისციხესთან. იმავე მონაცემებით, ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ქალაქური ტიპის დასახლებას, რომელიც ადრეელინისტურ ხანამდე „ზენა სოფლის (შიდა ქართლის) მთავარი ცენტრი და ტომთა გაერთიანების „დედაქალაქი“ უნდა ყოფილიყო.[414]

როგორც ჩანს, „უფლისციხის ქვეყანა“ მოიცავდა საკმაოდ ვრცელ რაიონს მდ. მტკვრის ორივე სანაპიროზე, ლიახვ-ლეხურასა და თეძამ-ტანას ორმდინარეთა შორის, შემდეგ კი მეჯუდა-ლეხურას ხეობებს შორის მდებარე ზოლით და ხევხმელა-ტანას დინებით უნდა შემოფარგლუ-

[414] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 622.

ლიყო. აღნიშნული კავშირ-ურთიერთობანი პირველ რიგში, არქეოლოგების მტკიცებით სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებით იყო განპირობებული, რომელთა შორის ხოვლეც მოიხსენება. ქალაქური ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი წამყვანი დარგი ლითონის მოპოვება და დამუშავება, აგრეთვე მეთუნეობა-კერამიკული წარმოება ყოფილა. აღნიშნულზე მეტყველებს ძვ.წ. VIII-III ს. შორის ხოვლეში მოპოვებული მასალები, რომელიც სამეურნეო ქურების სამ ტიპს ასახავს და სხვ. აქედან გამომდინარე, ამ ხანის იბერიული ქალაქი წარმოადგენდა არამარტო სახელოსნოს, არამედ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრსაც. სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის პროცესში, ერთერთს სცილდება წარმოება და მოხმარება, რის გამოც დღის წესრიგში დგება მათი ურთიერთ მოწესრიგების საკითხი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქალაქსა და სოფელს შორის მიმდინარეობდა შრომის დანაწილების პროცესი, რაც თავისთავად სტაბილურ პირობებს ქმნიდა გაცვლა-გამოცვლის უწყვეტად განვითარებისათვის. აღნიშნული, თავდაპირველად რეგიონალური, კარჩაკეტილი პროცესი თანდათან ფართოვდებოდა და მის ფარგლებს სცილდება, რაზეც უამრავი ნივთმტკიცება გაგვაჩნია.

ამგვარად, ელინისტურ ხანაში გაცილებით მოწესრიგებული ჩანს საშინაო ვაჭრობა; სტაბილური ხდება მთისა და ბარის ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც უმთავრესად ქალაქების (ბაზრობების) მეშვეობით ხორციელდებოდა. ეს უკანასკნელი კი რელიგიურ დღესასწაულებთან იყო დაკავშირებული, რომელთა ტრადიციამ მეტ-ნაკლები სახით საქართველოს უძველეს რეგიონებში დღევანდლამდე შემოინახა. ამ მხრივ შიდა ქართლის სინამდვილეში, თეძამ-კავთურას ხეობის აუზი ოდითგანვე იყო ცნობილი, რომელზედაც საკმაოდ მოწესრიგებული გზები გადიოდა — ძირითადი სავაჭრო გზები კი, როგორც სპეციალური ლიტერატურა გვიდასტურებს, იქ გადიოდა, სადაც ახლანდელი მთავარი მაგისტრალური გზებია. ხოლო რაც შეეხებოდა მეტ-ნაკლები მნიშვნელობის გზებს, ისინი ყველა ხეობას გააჩნდა, რომელიც ამ შემთხვევაში მოსახლეობის მტკვრისპირა ქალაქებთან აკავშირებდა, ხოლო ქვეყანას მეზობელ მხარეებთან და ა.შ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალაქი ძირითადად, როგორც წესი, გარკვეული ტიპის მსხვილი სამიწათმოქმედო დასახლებისაგან განვითარდა. ამიტომ, ქალაქის სანახებში წარმოდგენილია საკმაოდ ინტენსიური სამიწათმოქმედო, კერძოდ მემინდვრეობის, მევენახეობის, მეხილეობისა და შესატყვისად მეცხოველეობის დარგები, რომელნიც მსხვილ სარწყავსაირიგაციო სისტემაზე იყო დაფუძნებული. ხოლო რაც შეეხებოდა მოსახლეობის მოწესრიგებულ განლაგებას, ესეც უძველესი დროიდან, თანდათანობით შესაბამისი ბუნებრივ-ეკონომიკური გარემოების გათვალისწინებით ყალიბდებოდა. „უძველეს ხანაში თავის და თავად იბადება აზრი, რომ მოსახლეობაც საქართველოში გვაროვნობათა მიხედვით უნდა ყოფილიყო გაშენებული“-ო,[415] — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი. მისივე სიტყვით ამის დასტურს წარმოადგენს თუნდაც არაგვისა და ქსნის ხეობათა XVIII ს. ხალხთა აღწერის დავთრებიც. კერძოდ, XVIII ს. ნახევარშიც არაერთი სოფელი ყოფილა, რომლის მთელი მოსახლეობა ერთ გვარეულობას ჰკუთვნებია.

შესაბამისი ჩანაწერებიდან ჩანს, რომ სოფლების გვაროვნებათა მიხედვით დასახლება თანდათან გარკვეულ იერ-სახეს და შინაარსს იძენს, რასაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებული „მრავალფეროვნებით“ გამოირჩევა XIX-XX სს. საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები. ეს ის პერიოდია, როდესაც ხალხთა პოლიტიკურმა მიგრაციებმა, სადაც გათვალისწინებული არ იყო მასების ნება, გარემო პირობების, რელიგიური რწმენის, ტრადიციული ყოფა-ცხოვრებისა და სხვა პირობები, მიმდინარეობდა მოსახლეობის ხელოვნური ზრდა ახალ-ახალი სოფლებისა და ქალაქ-დაბების აღმოცენების საფუძველზე და ა.შ. თუმცა გადმონაშთების სახით, ყველა ზემოაღნიშნულმა ტრადიციებმა მეტ-ნაკლები სახით დღევანდლამდეც მოაღწია. ამ მხრივ საყურადღებო გარემოებებთან გვაქვს საქმე, როდესაც ვსწავლობთ ქალაქის, დაბების, სოფლების, სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური დარგების განვითარების ისტორიას. ამის ნათელი დადასტურებაა

---

[415] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 138.

ცალკეულ ქალაქ-დაბებში და სოფლებში შემორჩენილი უბნების, გვარის, – ხელოსნური ან მეურნეობრივი დარგების მიხედვით მათი სახელწოდებების არსებობა. მაგალითად, მჭედლობიდან გვარი მჭედლიშვილი, მჭედლიძის, მჭედლურის და შესაბამისად უბნის არსებობა; მექვაბიდან მექვაბიშვილის გვარისა და უბნის შემორჩენა, მენაბდისაგან მენაბდიშვილისა და მენაბდიანთ უბნის დაფიქსირება, დურგლისაგან დურგლიშვილებისა და უბნის აღმოცენება, კალატოზისაგან კალატოზიშვილების გვარის ჩამოყალიბება, ხატ-სალოცავიდან წარმოშობილი ხატიაშვილის და ხატისკაცის, უფლისაშვილის, ჯვარშეიშვილისა და სხვ. გვარების წარმოშობა და ა.შ. ისე, რომ საქართველოს სინამდვილეში, განსაკუთრებით დაბებსა და სოფლებში ყველგან მათი ხალხური ადმინისტრაციული დაყოფა ყოველთვის გვარის, ხელოსნის, სულიერი მოძღვრის, სასოფლო-სამეურნეო დარგის წარმოებისა, ბუნების მოვლენების და სხვა სახელწოდებასთან არის დაკავშირებული. ხშირად, თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ცალკეული სოფლების, დაბა-ქალაქების აღმოცენებისას და მათი სახელწოდებით დამკვიდრებისას.

გვარიშვილობის ინსტიტუტი განსაკუთრებული სიძლიერით იყო დაფუძნებული ცხოვრების ყველა სფეროში და „რაკი გვარიშვილობა ხალხში და ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელოვანი იყო, ცდილობდნენ, რომ გვარს ძველის „მსახურეული“ და „საჩინო“-ს სახელი ჰქონოდა მოხვეჭილი. ყოველი გვარისშვილი მოვალე იყო თავისი გვარის კარგი სახელი არ გაეფუჭებინა და არ გაეტეხა იმიტომ, რომ რაკი საუგო ხმა გავრცელდებოდა, მთელი საგვარეულოს ღირსებაც დაეცემოდა.[416] ამასთან ერთად, „უკვე ბაგრატ III-დან მოყოლებული საქართველოს მეფეები დაუცხრომლად ცდილობდნენ, რომ სახელმწიფო და სამოხელეო ასპარეზზე მოხელეთა საგვარეულო ღირსებას კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ მათ პირად თვისებებს და ღვაწლს. დავით აღმაშენებელმა და გიორგი III-ე თავიანთი წადილი და პოლიტიკა განახორციელეს კიდეც, მაგრამ ცხოვრებაში „გვარიანობას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“.[417]

---

[416] იქვე, გვ. 195.
[417] იქვე, გვ. 195.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისტორიულად, განსაკუთრებით ალმ. საქართველოს სინამდვილეში, საზოგადოების დაბალი ფენის დასახლებათა სტრუქტურაში, გაბატონებული იყო გვაროვნული, შემოუზღუდავი საცხოვრებელ-სამეურნეო შენობა-ნაგებობების საკმაოდ მჭიდროდ განლაგება. ისე, რომ სოფლის ტიპიური დასახლება გამოირჩეოდა საცხოვრებელ ნაგებობათა სიმჭიდროვით და თემისათვის განკუთვნილი საერთო სარგებლობის პატარ-პატარა ფართობებით. სხვა ფაქტორებთან ერთად, დასახლების აღნიშნული ფორმა განპირობებული იყო მცირე მიწიანობით, რასაც განსაკუთრებით ალმ. საქართველო განიცდიდა. ამიტომ, მიწის ფონდის სტრუქტურაში შესაბამისად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკური ცხოვრებისა, ყოველთვის მიმდინარეობდა გარკვეული ცვლილებები. თუნდაც მას შემდეგ, როცა საქართველოს ეკონომიკური დაქვეითების შედეგად (XIII ს. II ნახ.) ხალხის ცხოვრების პირობები თანდათანობით უარესდებოდა (XVI-XVII სს.) და რომლის ერთ-ერთ ფაქტორად საერთაშორისო მოვლენები და შინაფეოდალური ომები წარმოადგენდა, მნიშვნელოვნად შემცირდა კულტურული მიწის ფართობები. ამას ისიც, ემატებოდა რომ აღ. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში კულტურული მეურნეობით დაკავებულ მიწებზე მომთაბარე-მეკოგე თურქმანული ელოები სახლდებოდნენ.[418]

ასეთ მძიმე პირობებში, ძირითადი სიმძიმე გლეხის მდგომარეობას აწვება, კლასებს შორის იზრდება ანტაგონისტური დამოკიდებულება, ინერგება აქამდე მიუღებელი ისეთი მახინჯი ფორმები, როგორიცაა „ტყვის სყიდვა“, ხიზან-ბოგანობა და იმ უცხო ელემენტების მომძლავრება, რომელთაც ნოყიერ თავშესაფრად საქართველოს ცალკეული რეგიონები შეურჩევიათ. ფეოდალებზე ოდეზღაც სამოხელეოდ გაცემული „თემი“, „ხევი“ და „ქვეყანა“, ანუ მათთვის საგამგეოდ მიჩნეული პროვინციები სამემკვიდრეო მამულებად იქცა და ამდენად გაქრა მიწისმფლობელობის „საკარგავის“ სისტემა.[419] გლეხმა საბოლოოდ დაკარგა პირადი დამოკი-

---

418 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 165.
419 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 187.

დებულება და იგი სამუდამოდ მიემაგრა მემამულე-მებატონის მიწას და ამდენად ყოველმხრივ მის განკარგვაში აღმოჩნდა. თავად გლეხთა სოციალურ სფეროში მკვიდრდება ისეთი კატეგორიები, რომელნიც ერთმანეთისგან ცხოვრების თვალსაზრისით განასხვავებს. ასეთთა შორის იყვნენ „მკვიდრნი“ და „ახლად მოსულნი“, „ბოგანო“, „მემკვიდრე“ და სხვ. სადაც პირველ რიგში მდგომარეობა განისაზღვრებოდა მიწიანობით ან უმიწობით. ხოლო ზოგადად, გლეხის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის მიხედვით მას მიიჩნევდნენ ორ-მსახურ და მებეგრედ, რომელთა შორის პირველი მთელი საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, ხოლო მეორე უფრო ქართლში და ზოგიერთ სხვა რეგიონში.

XVIII საუკუნიდან თანდათანობით იგრძნობა სამეურნეო ცხოვრების აღმავლობა, რასაც ხელი შეუწყო მშვიდობიანობის მეტ-ნაკლებმა დამყარებამ და ქართლის მეფის ვახტანგ VI გონივრულმა პოლიტიკამ. მის მიერ გატარებული ღონისძიებიდან აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამა, აყრილ, გაქცეულ გლეხთა უკან დაბრუნებისათვის სპეციალური ღონისძიების განხორციელება, ქვეყანაში სამართლებრივი ნორმების დამკვიდრება და ა.შ. ქართველმა მეფეებმა კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის განმტკიცება, მისი ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი გაძლიერება გლეხთა საკითხის მოწესრიგების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. რამდენადაც გვიანფეოდალურ საქართველოში გლეხთა საზოგადოებრივი და ქონებრივი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა და მებატონე არ სცნობდა ყმა-გლეხის რაიმე უფლებას და მის ნაჭირნახულევსაც თავის სრულ საკუთრებად სთვლიდა, ამდენად ბუნებრივია მათ ურთიერთობას მწვავე კლასობრივი ბრძოლის ხასიათი გააჩნდა. აქედან გამომდინარე გლეხობა განუწყვეტლივ ჩიოდა მეფესთან, რომლისგანაც „განკითხვას“ ითხოვდნენ. მათი აყრა-გაქცევა ერთ-ერთ, ფართოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა, რაც განსაკუთრებით დიდ ზარალს აყენებდა ინტენსიურ სოფლის მეურნეობას და საბოლოოდ გლეხის ეკონომიკურ განადგურებას მოასწავებდა.

„ასეთ პირობებში (გვიანფეოდალურ საქართველოზეა საუბარი დ.პ.). აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი — მყოფი გლეხობა მტრების

წინააღმდეგ ძველებური მხნეობით ვერ იბრძოდა. ლატაკს, დაბეჩავებულს, ნახევარად უიარაღოს, მას თავდაცვის მცირე უნარი შესწევდა. ხოლო მძარცველი მებატონისა და მისი ქონების დაცვის ხალისი გლეხს არ ჰქონდა ერეკლეს კარგად ესმოდა ეს გარემოება. იგი ხედავდა, რომ გლეხები მხოლოდ ლეკიანობამ კი არა, არამედ კიდევ უფრო „უსამართლობამ გარეკა საქართველოდან“, როგორც თვითონ გლეხები ჩიოდნენ და მეფეც მთელი რიგი ღონისძიებებით ცდილობდა გლეხობის გადარჩენას, რადგანაც კარგად ამჩნევდა, რომ საქართველოს დაძაბულობის უმთავრესი მიზეზი „გლეხი-კაცის ამოწყვეტა“ იყო.[420]

ამიტომ, სხვა ღონისძიებეთან ერთად, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ერეკლეს ბრძანება თავადისადმი: „თუ რომ თქვენი მამულიდან მემკვიდრე კაი აიყარა და წავიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ, დიად ავად მოგებყრობით და გარდაგახდევინებთ“-ო.[421]

ალსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის გაძლიერების, კერძოდ ხორბლის წარმოებისათვის ხელის შეწყობას საქართველოში თვით მეფის რუსეთიც კი მიმართავდა, რაც უმთავრესად აქ განლაგებული მათი ჯარის მომარაგებით იყო ნაკარნახევი. რის შედეგადაც განსაკუთრებით მათი მუდმივი სადგომის ზონაში, ციციანოვმა ხელი შეუწყო რათა ქართველი გლეხობა სოფელს დაბრუნებოდა და ხორბლის მოყვანისათვის ეზრუნა. ერთ-ერთი ასეთი ადგილი იყო სოფ. ატენის სანახები. აღნიშნული რაზმები (რუსი სამხედროები), როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს — ლეკ მტაცებლებს გასაქანს არ აძლევდნენ, ხოლო მეორე მხრივ სოფლის მეურნე გლეხებს მათ შრომაში შველოდნენო. ამავე დროს ციციანოვმა თბილისში ცხოვრება აუკრძალა და აიძულა ისინი სოფელს დაბრუნებოდნენ და მიწათმოქმედებისათვის ხელი მოეკიდათ. და რომ იგი ამ დარგში ტექნიკური გაუმჯობესების შეტანასაც კი ცდილობდა.[422]

---

[420] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 211.

[421] ნ. ბერძენიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 212.

[422] ნ. ბერძენიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 341.

თეძამის ხეობაში ერთ-ერთი უძველესი და ეკონომიურად ძლიერი სოფელია ახალქალაქი, რომეზედაც გადიოდა თრიალეთ-მანგლისისა და შიდა ქართლის დამაკავშირებელი ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზა. ისტორიულ წყაროებში იგი XVII ს. დასაწყისში კერძოდ 1609 წ. ქართლში ყირიმელ თათართა შემოჭრის დროს ქალაქად მოიხსენება. ახალქალაქის ღვთისმშობლის ეკლესიის ერთი წარწერის თანახმად, სოფლის სახელი დაკავშირებულია ქართლის მეფის როსტომის (1632-1658 წწ.) მოღვაწეობასთან, როდესაც მდ. თეძამის ნაპირას გაუშენებიათ ქალაქი და მისთვის „მეფის ქალაქი“-ც უწოდებიათ. ხოლო მეორე წარწერის თანახმად, ქალაქის დაარსების მოთავეც მეფის კარის მდივანი მერაბ ყორღანაშვილია. ახალქალაქის მოურავებად სხვადასხვა დროს იყვნენ გიორგი საააკაძის ჩამომავლები, ხოლო სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ ისინი მთლიანად დაეპატრონენ ქალაქს. XIX ს. დასაწყისიდან ისტორიულ წყაროებში ახალქალაქი ქალაქად აღარ იხსენიება.[423]

ს. მაკალათიას მიხედვით, ახალქალაქი ძველად ყოფილა ქალაქი, რომელიც XII-XIII სს. ერისთავთ ერისთავის კახას რეზიდენციას წარმოადგენდა. შემდეგ ეს ქალაქი XVII ს. I ნახევარში ხელახლა აღუდგენია და განუახლებია ქართლის მეფეს როსტომს. მისივე ჩანაწერებით და დღევანდელი ეთნოგრაფიული მონაცემებით, ვგებულობთ, რომ აქ ძველთაგანვე გადმოსახლებულან სომეხთა გარკვეული ჯგუფი, მათ შორის ერთი ანისიდან, რომელსაც დავით აღმაშენებელს უკავშირებენ და ისინი უმთავრესად ვაჭრები ყოფილან. აღნიშნული ჯგუფი კომპაქტურად სოფლის იმ უბანში დასახლებულა სადაც დღესაც ციხე-გალავანი და ეკლესიაა შემორჩენილი. აღსანიშნავია, რომ სოფლის ამ უბნის ნაწილი დღესაც თავს მიიჩნევს ე.წ. ქალაქელად და რომ „ჩვენ მოქალაქეები ვართ ანისიდან გადმოსულებიო“.ხოლო რაც შეეხება სომეხთა მეორე ჯგუფს, ისინი იძულებით გადმოსულები უნდა ყოფილიყვნენ განჯის მხრიდან, კერძოდ სკნაპატი და ზურნაბადიდან, რომელთაც თურმე სპარსელები და თურქები ავიწროვებდნენ. გადმოსულებს თავი შეუფარებით თარხნიანთ და

---

[423] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 140.

მათი ყმები გამხდარან. ისინი დასახლებულან სოფლის თავში, რომელსაც დღესაც შემორჩენია სომხიანთ უბნის, ან სომხების ორღობეს სახელი.[424]

საყურადღებოა აგრეთვე სოფ. ახალქალაქის მოსახლეობის სტრუქტურა, კერძოდ უბნის მიხედვით დასახლების შინაარსი, სადაც გამოკვეთილია არა მარტო გვაროვნული სახელწოდება, არამედ მათი სოციალური და ეროვნული მდგომარეობა, შრომა-საქმიანობა თუ კონკრეტული პროფესია. სოფლის სიდიდის მიხედვით, ბუნებრივია უბნების ოდენობაც შესაბამისად მრავალადაა წარმოდგენილი, სადაც არასრული მონაცემებით, იგივე ახალქალაქის სინამდვილეში დაფიქსირებულია: კიკანაანთ, ანუ ვარდუაანთ-ვარდოშვილების, ბორბაცკიაანთ, ქონდარაანთ, კაკალაანთ, ანუ ტატანაშვილების, ზურაბიაანთ, ანუ ზურაბაშვილების, ზალინაანთ, ხოჯაანთ, კუპრიაანთ, ჩირიაანთ, მექვაბიაანთ, ჭანჭურაანთ, გოზალოაანთ, ანუ გოზალიშვილთა, გაბაანთ, ანუ გაბაშვილების, მამულაანთ ანუ მამულაშვილების (ამ უკანასკნელთა საგვარეულოში ცნობილი იყო მექვაბე „გორელი ვასო"), მამასახლისაანთ, ბროლაძიანთ, პაპიაანთ, ყვავიაანთ, ნიკაპაანთ, ღვედიაანთ, მეზურნიაათ და ა.შ.

XVII ს. ისტორიული წყაროების მიხედვით სოფ. ახალქალაქი სათარხნოში შედიოდა, რომელიც 1691 წლის ერთ-ერთი საბუთიდანაც ჩანს. აღნიშნულ დოკუმენტში ბეჟან თარხნიშვილი მოწმეთ ასახელებს ოთარ და იასე გოგიბაშვილებს, რომელთაც სახელო ეჭირათ თარხნიშვილების კარზე, მათ შორის ზურაბ გოგიბაშვილი სათარხნოს ცენტრალური სოფლის — ახალქალაქის მოურავი ყოფილა. და რომ თარხნიშვილები გაყრის დროს წილში აგდებენ გოგიბაშვილებასაც.[425]

ამრიგად ჩანს, რომ ახალქალაქი სათარხნოს ცენტრალური სოფელი ყოფილა, რომელიც საეკლესიოთ ითვლებოდა და მოსახლეობის სიმჭიდროვითაც გამოირჩეოდა, რაც 1881 წ. მოსახლეობის კამერალური აღწერიდანაც ჩანს. კერძოდ, მარტო 166 კომლს საკუთარი მიწები

---

424 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

425 გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 169.

გააჩნდა, რომელთა საერთო საგადასახადო თანხა – ნაკრები 431 მან. და 60 კაპ. უდრიდა.[426]

ახალქალაქელთა ძირითად შრომით საქმიანობას, ძველთაგანვე მიწათმოქმედება წარმოადგენდა, თუმცა მისმა მდებარეობამ თანდათან განსაზღვრა აქ მოსახლე ძირძველი და ახლად ჩამოსახლებულთა განლაგება-დასაქმების სტრუქტურა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიგრაციული პროცესებისათვის ბუნებრივს წარმოადგენს ადგილობრივ, ძირძველ მოსახლეობასთან ჰარმონიული შერწყმის, ასიმილაციის გარდაუვალობა, მათი ერთ ჭერქვეშ ცხოვრების ტრადიციული ზნე-ჩვეულებების, შრომითი საქმიანობის, სულიერი მრწამსის დაახლოებისა და სხვა თავისებურებანი. აქედან გამომდინარე, ახალქალაქის მოსახლეობა თანდათან იცვლიდა არა მარტო დასახლების სტრუქტურას, არამედ შრომით საქმიანობის ახალ-ახალ ყაიდაზე გადასვლას.

ახალქალაქიდან ორიოდ კილომეტრზე მდებარეობს სოფ. ახალციხე, რომელიც სავარაუდოდ XIX ს. დამდეგიდან უნდა დაფუძნებულიყო. ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) ხეობის სოფლების აღწერისას არ აქვს მოხსენებული, ხოლო რაც შეეხება თანამედროვე სოფლის წარსულს, იმავე ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცებით იგი დაარსებულია ახალციხიდან (სამცხე-ჯავახეთიდან) გადმოსახლებულთა მიერ, რამდენადაც აქაურ მოსახლეთა გვარების: ბარნაველების, სვანიშვილების, მანძულაშვილებისა და სხვ. წარმომავლობას სწორედ აქეთკენ მიუყავართ.

სოფ. ახალციხის ადგილას რომ ნასოფლარი ყოფილა მიგვანიშნებს აქ აღმოჩენილი განძი, რომელიც არქეოლოგიაში „ახალციხის განძადაა“ ცნობილი და მიეკუთვნება გვიანბრინჯაოს ადრინდელ ხანას, ანუ ძვ.წ.ა. XIV-XIII სს. აგრეთვე აღმოჩენილი რამოდენიმე ნამოსახლარნასოფლარი, კერძოდ „ნასოფლარი ზედაჯვარი“, „წმინდა ჯვრის ეკლესიის“ ნანგრევები და სხვ. ხოლო რაც შეეხება დღემდე შემორჩენილი ახალციხის ეკლესიას, მასზე არსებული მხედრული წარწერის თანახმად იგი 1868

[426] სსცია, ფ. 48, ან 1, საქ. 1834, ფურ. 6.

წელსაა აგებული, ასევე ითქმის ზედაჯვრის ეკლესიაზეც, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.[427]

ხეობის ქვედა წელზე განლაგებულია შედარებით პატარა სოფელი — ბარნაბიანთ-კარი, სადაც ნათლად ჩანს, უძველესი გვაროვნული დასახლების სტრუქტურა. გადმოცემით მათი წინაპრები რკონიდან და ახალქალაქიდან უნდა იყვნენ ჩამოსახლებულნი, სადაც ბარნაბიშვილებამდე ნასოფლარი ყოფილა და ამბროლაძეებს უცხოვრიათ. ამაზე მოგვითხრობენ სოფ. ახალქალაქში მცხოვრები ამბროლაძეებიც. საერთოდ კი ხეობის ზედა წელიდან ქვემოთ — ბარად მასიურად ჩამოსახლების პროცესი უმთავრესად ლეკიანობის პერიოდებში უნდა მომხდარიყო. ბარნაბიანთ კარი რომ მართლაც ძველ ნასახლარზეა აღმოცენებული ჩანს მატერიალური კულტურის ძეგლებიდანაც, სადაც შემორჩენილია მთავარანგელოზისა და წმ. გიორგის ეკლესიები, რომელნიც XVIII-XIX სს. თარიღდება.

თითქმის ასეთივე ბედი სწევია სოფ. ფავნისს, რომელიც ხეობის ზედა წელზე მდებარეობდა და სადაც სადღეისოდ სოფ. გარიყულაა გაშენებული. ჩანს, რომ გარიყულას დღევანდელი მოსახლეობა XIX ს. დასახლებული, რომელთა უმრავლესობა ხეობის ძირძველთ განეკუთვნება. სადღეისოდ სოფ. გარიყულას ღირსშესანიშნაობიდან გამოირჩევა ე. გაბაშვილის ე.წ. „ბოლგარსკის სახლი-აგარაკი“, რომელიც არქიტექტორ ძ. ე. გაბაშვილის აგებულია XIX ს. 90-იან წლებში და თარხნიშვილების სასახლე, ანუ „მარშლიაანთ სასახლე“, რომელიც აგრეთვე XIX ს. 30-იან წლებშია აგებული. აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან სიძველით გამოირჩევა ე.წ. „კოშკი“. ხოლო ნასოფლარ-ფავნისის ისტორიული წარსულის შესახებ გვამცნობს არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი სამაროვანი, რომელიც გვიან ფეოდალური ხანით თარიღდება, აგრეთვე ძველი — ფავნისის წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც IX-X სს. მიაკუთვნებენ.[428] აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია,

---

427 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 142.

428 იქვე, გვ. 146.

როდესაც ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე სოფ. გარიყულას ადგილას ფავნისი აქვს აღნიშნული.

ადგილობრივთა გადმოცემით, „სოფელს იმისთვის ჰქვია გარიყულა, რომა იგი მართლაც განსაკუთრებით განმარტოებით — გარიყულია და ამავე დროს თეძმის ნარიყალ ადგილზეა გაშენებულიო". ამ მხრივ საინტერესო ჩანაწერები გააჩნია ს. მაკალათიას, რომელსაც გამოთქმული აქვს არაერთი მოსაზრება სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით, მათ შორის ერთ-ერთი თქმულებით, საძოვარზე ჩამორეკილი ცხვრის ფარა ადიდებულ თეძამს წაუღია, გაღმა გაურიყავს და ამის შემდეგ ამ ადგილსაც გარიყუა დაერქვაო.

ნასოფლართა შორის გამოირჩევა აგრეთვე სოფ. გოსტიბე, რომელიც თეძამ-კავთურას ხეობებს შორის ზედა წელის ერთ-ერთ უძველეს სოფელს განეკუთვნება, რამდენადაც აქ აღმოჩენილი მრავალფენიანი სამაროვანი ძვ.წ.ა. XI და ახ.წ.ა. III ს-ით თარიღდება. ამასთან მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია: კაბერის მცირე ეკლესია, კაბერის ნასოფლარი და წმ. გიორგის ეკლესია, კოშკი, სალომიის ლომისის საყდარი და სამების ეკლესია.

კავთურას ხეობის ზედა წელის ბოლოს სოფელია გუდალეთი,, რომელიც ისტორიულად ცნობილია გუდალეთის ტაძრის კომპლექსით, დათარიღებული XIII-XIV სს. მიჯნით, აქ განლაგებულია ღვთისმშობლის XVIII ს. II ნახ. ტაძარიც, რომელსაც შემოვლებული აქვს ციხე-გალავანი და დღესაც კარგად შემოუნახავს თავისი სიდიადე. აქვეა კაციაანთ ეკლესია, კვირაცხოვლის ეკლესია, გიორგის ეკლესია, მარინეს საყდარი, ჭოტისუბნის წმ. გიორგის ეკლესია და არქეოლოგიური ძეგლი სამაროვანი, რომელიც თაგვიაანთ უბანში მდებარეობს და დათარიღებულია ფეოდალური ხანით.

მდ. ხეხმელას აუზის განაპირას მდებარეობს სოფ. დოესი, რომლის სანახებში ყორღანული სამარხია მიკვლეული და თარიღდება ადრინდელი ბრინჯაოს გვიანდელი საფეხურით. აქვეა წეროვანთ წმ. გიორგის ეკლესია, მართალია არნიშნული სოფელი შესაბამისი სიძველით არ გამოირჩევა, მაგრამ მისმა გეოგრაფიულმა გარემომ და ბუნებრივ-ეკონომიკურმა

პირობებმა განსაზღვრეს მისი სწრაფი დაწინაურება და რეგიონში ერთ-ერთ უმსხვილეს და ცენტრალურ სოფლად ჩამოყალიბება. სოფლის წარსულთან დაკავშირებით ცნობილია ე.წ. „დოესის მინდორი“-ს სანახებში მომხდარი ისტორიული მოვლენები. აღნიშნული მინდორი, რომელიც გადაჭიმულია მცხეთა-ძეგვ-ხიდისთავ-გორის საავტომობილო გზაზე, კასპიდან 25 კმ-ზე, მოწამეა XVII ს-ის 30-იან წლებში როსტომსა და თეიმურაზ I შორის ქართლის სამეფო ტახტისათვის მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლების დროისა, თემიურაზის მომხრე ფეოდალებმა არაერთხელ მოუწყვეს შეთქმულება გამაჰმადიანებულ ტახტის მფლობელს და რომელთა გამოხდომები მარცხით მთავრდებოდა. როდესაც 1638 წ. თეიმურაზ I მომხრეებმა – ნოდარ ციციშვილმა, იოთამ ამილახვარმა, ზაალ არაგვის ერისთავმა და ქართლის კათალიკოსმა ევდემოზ დიასამიძემ მორიგი შეთქმულება მოაწყვეს, თეიმურაზ I სთხოვეს ქართლში გადმოსვლა და ტახტის დაჭერა. ამ მიზნით შეიკრიბა ლაშქარიც, რომელიც ნოდარ ციციშვილის სარდლობით დოესის მინდორზე დაბანაკდა. თავის მხრივ, როსტომიც დოესისაკენ გამოემართა. ციციშვილმა კი გადამწყვეტ ბრძოლას თავი აარიდა. ხოლო როსტომს მხოლოდ იმერელი თავადები – ძმები ჩხეიძეები შეებრძოლნენ, რომლებიც დამარცხდნენ და როსტომს ტყვედაც ჩაუვარდნენ.[429]

თეძამის ხეობის ფრიად კოლორიტულ ადგილზეა განლაგებული სოფ. ერთაწმინდა, რომელიც საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული. სოფლის ისტორიულ სანახებში არქეოლოგების მიერ მოკვლეულია რამოდენიმე ნამოსახლარ-ნასოფლარი, სადაც ორი კულტურული ფენა – ადრინდელი რკინისა და ანტიკური პერიოდის, აგრეთვე ფეოდალური პერიოდის მატერიალური კულტურის კერებია დაფიქსირებული. აღნიშნული გარემოება მიგვანიშნებს, რომ საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, აქაც მიმდინარეობდა მოსახლეობის გამრავლება-შემცირების შედეგად მათი ადგილმონაცვლეობის ბუნებრივი პროცესები. ს. მაკალათიას და ახლად მოპოვებული მასალების მიხედვით, სოფლის ძირძველ

---

429 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 155.

გვარებად ითვლებიან: ბატკუაშვილები, ელისაბედაშვილები და ნაროზაშვილები, რომელნიც ძირითადად ქართლის სხვადასხვა რეგიონებიდან გადმოსულან. სოფელი სათარხნოში შედიოდა და საეკლესიოს ეკუთვნოდა. XVII ს. სოფლის ეკლესიის დეკანოზები კარგარეთელები ყოფილან. ეს ის პრიოდია, როდესაც თეძამ-კავთურას ხეობაში თარხნიშვილების სათავადოები წარმოიშვა, რომელიც უკავშირდება როსტომ მეფის მიერ ქართლში გადმოყვანილ და ოსმალეთში გადახვეწილ გიორგი სააკაძის შვილს იორამს, რომელსაც ყმა-მამული უბოძა. ეს ყმა-მამული კი თავის დროზე გიორგი სააკაძეს ეკუთვნოდა და როდესაც იორამის შთამომავლობამ საგვარეულო სახელად თარხნიშვილობა დაიმკვიდრეს ყმა-მამულიც გაიფართოვეს.[430]

სადღეისოდ მატერიალური კულტურის ძეგლებიდან მეტ-ნაკლები სახით სოფელში შემონახულია და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპლექსადაა მიჩნეული წმ. ესტატეს ტაძარი, რომელიც XIII ს. I ნახევრით თარიღდება. კომპლექსი კაპიტალურად XIX ს. II ნახევარში შეუკეთებიათ. აღნიშნული ტაძარი, 1610 წლიდან შესულა გიორგი სააკაძის მფლობელობაში და ამიერიდან მის შთამომავალთა სასაფლაოდ გადაქცეულა, რომელთა სამარხები ეკლესიაში დღესაცაა დაცული. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე მხედრული წარწერა იტყობინება აქ განსვენებული გიორგი სააკაძის შვილის პაატას შესახებ, რომელიც შაჰ-აბასის მიერ იქნა სპარსეთში მოკლული. აქვე, საფალვის ქვებზე გამოსახულია მათი საგვარეულო გერბი შუბოსანი მხედრით – სავარაუდოდ წმ. ესტატე.[431]

სოფ. ჩოჩეთი, ანუ ზემო ჩოჩეთი ხეობის შუაწელზე მდებარეობს და რამდენადაც სადღეისოდ ქვ. ჩოჩეთი არაა დაფიქსირებული, არ გვხვდება იგი ისტორიულ წყაროებში, მათ შორის ვახუშტი ბატონიშვილის აღწერებშიც, ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ალმოცენებულია თეძამის ხეობის ქვედა წელზე ოდეზღაც გაშენებული შესაბამისი ნასოფლარის ბაზაზე, თუმცა სხვათა მაგალითების მსგავსად, აქ ჯერ-ჯერობით არქეოლოგების შეფასება არ გაგვაჩნია. ამასთან ისიც აღსანიშ-

[430] გ. აკოფაშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 168.
[431] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

ნავია, რომ სოფლის სიძველის დამადასტურებელი მატერიალური კულტურის ძეგლები არცთუ ღარიბად გამოიყურება. ამ მხრივ დღესდღეობით სოფელში შემორჩენილია 4 ეკლესია და 2 თავდაცვითი კოშკი, რომელთა ხნოვანება IX-XIX სს. პერიოდებს მოიცავს. ასე მაგალითად: წმ. გიორგის ეკლესია დათარიღებულია X საუკუნის დასასრულით, წმ. სამების ეკლესია – IX-X სს. გვიანდელი ფეოდალური ხანის სამების ეკლესია და მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია XVIII-XIX სს. დათარიღებული. ხოლო რაც შეეხება „თოიძიანთ“ კოშკს იგი მიეკუთვნება XIV-XV სს და „ოსეფაანთ“ კოშკს, თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით.[432] მართალია მათ შორის ზოგიერთი სოფლის განაპირა ტერიტორიაზეა, მაგრამ ეს მოვლენა თითქმის ქვეყნის ყველა რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. ის, რომ სოფლის ისტორიული განვითარების პროცესი, მატერიალური კულტურის ძეგლთა შესაბამისად თითქმის უწყვეტია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მიგრაციულ მოვლენებს და მოსახლეობის ცვალებადობას, რომელიც უმთავრესად ლეკიანობის, ცარიზმისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას უკავშირდება. ხოლო რაც შეეხება სოფლის ძირძველ მოსახლეობას, როგორც კოშკების სახელებიდანაც ჩანს, ყველაზე გავრცელებული და შეძლებული გვარები ყოფილა: თოიძეები, ოსეფაშვილები და ნუგზარაშვილები, სოფლის მებატონეა თავადი მაღალაშვილი.

თითქმის ანალოგიური წარსულისაა სოფ. ზემო ხანდაკი, თუმცა თავისი სიდიდით და ისტორიული მდგომარეობით, იგი ხეობის ერთ-ერთ დაწინაურებულ ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლებოდა. მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლებიდან საყურადღებოა ე.წ. „საწარმოს“ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ფოთლისებრი ვიწრო ქუდიანი სატევრის პირები, ფართო მხრიანი მოზრდილი თოხი და ბრინჯაოს ზოდი, რაც არქეოლოგების მტკიცებით მიგვანიშნებს მეტალურგიული საწარმოს არსებობაზე. მიუხედავად აღნიშნული სიძველეებისა, სამწუხაროდ, ზემო ხანდაკში ამჟამად, მატერიალური კულტურის ძეგლების ნაკლებობა შეი-

---

[432] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, ა.ბ; თბ., 1990, გვ. 158.

ნიშნება, რაც საკარაულდოდ XX ს. პოლიტიკური მოვლენების პერიოდში მათი განადგურებით აიხსნება. ამიტომ, სადღეისოდ მეტ-ნაკლები სახით სოფელში შემორჩენილია მხოლოდ გვიანდელი ფეოდალური ხანის სამებისა და XVII-XVIII სს. კალოუბნის ეკლესიები. თუმცა ს. მაკალათიას XX ს. 50-იან წლებში დაფიქსირებული აქვს წმ. გიორგის, წმ. თევდორეს, სამებისა და კალოუბნის მცირე ეკლესიები. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს წმ. თევდორეს ეკლესიის არსებობას, რომელიც მდგარა ე.წ. „საჭირვეულოზე“ და ამჟამად ნასოფლარს წარმოადგენდა.[433]

კავთურას ხეობის ქვედა წელის ერთ-ერთი ცენტრალური სოფელია თვალადი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი გვიანდელ ფეოდალურ ხანაში. აქ შემორჩენილია ისეთი მდიდარი არქიტექტურული ძეგლები როგორიცაა: კავთის ღვთისმშობლის, კავთის წმ. გიორგის, „მეფეთა სადგომის“, წმ. ნიკოლოზისა და სამების ეკლესიები. სოფელი გამოირჩევა თავისი კოლორიტულობითაც, რაზეც მისი სახელწოდებაც მიგვანიშნებს. როგორც ჩანს, აქ მეფეთა თაყვანისაქცევი ადგილიც ყოფილა, რასაც „მეფეთა სადგომის“ ეკლესიის არსებობაც ადასტურებს. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, სოფლის სახელწოდება მისი შესანიშნავი იერსახიდან — „თვალადია, ლამაზი, კარგი შეხედულებისა“-დან წარმოსდგება. ადგილობრივ ძირძველ გვარებს შორის გამოირჩეოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: შატბერაშვილები, ცხვედაძეები და სხვ. რომელიც ზაფხულს აქ ატარებდნენ. აღსანიშნავია, რომ ნ. ცხვედაძესთან ი. გოგებაშვილს ცალკე ოთახიც კი გააჩნდა, რომელსაც „იაკობის ოთახს“ უწოდებდნენ.

ამავე ხეობაში, ძველთაგანვე ერთ-ერთ დიდ და მდიდარ სოფლად ითვლება იდლეთი, რომელიც ისტორიულადაც კარგადაა ცნობილი. აქ მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის გამოირჩევა იდლეთის ნათლისმცემლის VI ს. I ნახევრით დათარიღებული ჯვარგუმბათიანი ეკლესია და გვიანდელი ფეოდალური ხანის კვირაცხოველისა და მიქელგაბრიელის ეკლესიები. ამავე პერიოდის არქეოლოგიური ძეგლისამაროვანი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი უძველესია სოფელში, თუმცა VI

[433] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 10.

საუკუნის შემდგომი პერიოდის ამსახველი მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვა დოკუმენტები გვიანდელ ფეოდალურ ხანამდე არ შემონახულა, რაც ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგია.

მდ. კავთურაზე გაშენებულია ხეობის ერთ-ერთი უძველესი, მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული სოფ. კავთისხევი. ამ სოფლის უძველესი ნამოსახლარები და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები, ნათლად მიგვანიშნებს მის სანახებში მრავალი დასახლებული ადგილის არსებობის და ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური მიკრორეგიონის ჩამოყალიბებაზე, რომელიც დროთა ვითარებაში კიდევ უფრო იზრდება და ერთ სივრცეში ექცევა.

კავთისხევის მიდამოებში, კერძოდ ადგილ „ყორულში“ მიკვლეულია ნამოსახლარი, სადაც ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებია აღმოჩენილი. ამავე სოფლის ტერიტორიაზე, ე.წ. „მუყაშაანთ ვენახებში“, გათხრილია „ნამოსახლარი“,[434] რომელიც გვიანდელი და ადრინდელი რკინის ხანით თარიღდება, ხოლო „ნამოსახლარი 2“ ე.წ. „მუნის წყაროს“ ადგილზე კი გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანის ორნამენტიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებია მიკვლეული. ნივთიერი კულტურის ასეთივე ფრაგმენტებია ნაპოვნი ნამოსახლარ „იორამის გორაზე“, რომელიც მიეკუთვნება ანტიკურ და ადრინდელ ფეოდალურ ხანას. რაც შეეხება „ციხიგორას“ ნამოსახლარს, რომელიც ჩოჩეთის უბნის განაპირას, მდინარეების კავთურასა და შავწყალას შესაყართან მდებარეობს, ისტორიულად მდიდარია, სადაც სამი კულტურული ფენაა დაფიქსირებული: ადრინდელი ბრინჯაოს, გვიანდელი ბრინჯაოს, ადრინდელი რკინისა და ანტიკური პერიოდის ამსახველი მრავლისმეტყველი ძეგლები.

ამავე გარემოებაზე მიგვანიშნებს: მდ. შავწყალას ნაპირას აგდგილ „ოქრომიწებში“ გათხრილი ნამოსახლარი; ადგილ „მლაშეების“ მიმდებარე ნასახლარი; დღევანდელი ცემენტის კარიერის სანახებში ნასახლარი და სამაროვანი; ამავე ტერიტორიის გასწვრივ ნასახლარი-სამაროვანი და სხვ. რომელნიც ძვ.წ. III და ახ.წ.ა. V-VIII სს. თარიღდება. კავთისხევის

[434] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 10.

სანახებშია აგრეთვე აღმოჩენილი მრავალი სამაროვანი, აკლდამა, განძი, ნასოფლარი და სხვ; შემორჩენილია სულიერი კულტურის არაერთი ნაშთი, ეკლესია. ჩანს, რომ ზოგადად კავთურას ხეობის ადგილი და როლი რეგიონისა და საერთოდ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

ისტორიული თვალთახედვით, სოფ. კავთისხევი და მისი სანახები საერთოდ, საზოგადოების განვითარების უწყვეტ პროცესებშია ასახული. ამის ნათელი დადასტურებაა ზემოთ აღნიშნული მატერიალური კულტურის გაგრძელების დინამიურობა, ისტორიული დოკუმენტებისა და ეთნოგრაფიული მასალების მდიდრად წარმოჩენა, მისი სადღეისო მდგომარეობა. ისტორიაში ცნობილია აგრეთვე კავთისხეველთა აქტიური მონაწილეობა 1609 წ. მანგლისში შემოჭრილ თათართა წინააღმდეგ ბრძოლაში გიორგი სააკაძის მეთაურობით, მათი აქტიური გამოსვლები XIX ს., რომელიც მებატონეების წინააღმდეგ იყო მიმართული.

სოფ. მეტეხი მდებარეობს ხეობის ყველაზე გაშლილ ნაყოფიერ სამიწათმოქმედო და მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე. იგი ძველთაგანვე ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ სოფლად ითვლებოდა, რაზედაც ნამოსახლარების, სამაროვნების და ყორღანული ძეგლების სიმდიდრე მიგვანიშნებს. ერთ-ერთი ნამოსახლარი ადრინდელი ბრინჯაოს ხანით თარიღდება, მეორე ნამოსახლარი და სამაროვანი კი გვიანდელი ბრინჯაოს — ადრინდელი რკინის ხანით, ხოლო ყორღანები — ძვ.წ.ა. XVI-XV სს., „გუგულაანთ უბანში“ გათხრილი სამაროვანი კი ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება. აქვეა გვიანდელი ფეოდალური ხანის ამაღლების ეკლესია, ამავე პერიოდის კვირაცხოვლის ეკლესია, ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი და სხვ.

სახელწოდება „მეტეხი“ ს. მაკალათიას მიხედვით — ბერძნულია და ნიშნავს მეტოქეს, ქვემონასტერს. მისივე გამოკვლევით მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი თავისი კომპლექსით უშუალოდ ემორჩილებოდა ე.ი. ეკუთვნოდა ქართლის კათალიკოსს. მეტეხის ღვთისმშობლის (მიძინების) ტაძარი მე-XI-XII სს-ით თარიღდება, თუმცა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, იგი ვახტანგ გორგასალის დროსაა აგებული: „ხოლო დასავ-

ლეთით კავთის-ხევისა დის მდინარე თეძამისა, გამოსდის ჭვარებს და თორის საშუალს მთასა, და დედა-ცისტმდინ დის აღმოსავლით, მერმე დის ჩრდილოეთისკენ და მიერთვის მტკვარს სამხრიდან. აქ მტკვრის კიდეს არს მონასტერი ყოვლადწმინდისა,გუმბათიანი, დიდი, მეტეხი, კეთილშობილი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო".[435]

სხვა ეკლესია-მონასტრების მსგავსად, მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი განიცდიდა ბუნებრივ, უფრო ხშირად შემოსევების შედეგად დაზიანებას. ამიტომ, მათი აღდგენა-განახლება საპატრიარქოს და ქვეყნის მმართველთა ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს, რამაც განაპირობა ამგვარი ძეგლების მეტ-ნაკლები სახით შემორჩენა.

მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი, გალავანი, კოშკები, სამრეკლო და სხვ. დამხმარე სამეურნეო ნაგებობები, არაერთხელ იქნა აღდგენილი. მათ შორის გვიანდელ ფეოდალურ ხანაში აღდგენილია ტაძრის გუმბათი, კამარები, კედლების ზედა მონაკვეთები, ორნამენტიანი სამკაულები. ცნობილია, რომ XVIII ს. 40-80-იან წლებში ამ მხრივაც ფართო მშენებლობა გაჩაღდა ქართლ-კახეთში. ახალ ნაგებობათა შენების პარალელურად, მიმდინარეობდა დანგრეული ძეგლების აღდგენა-განახლება. კერძოდ, მეტეხის ციხის, მისი ტაძრისა და მეფის სასახლის აღსადგენად,[436] რესტავრაცია ჩატარდა აგრეთვე 1968 წ.

სოფ. მეტეხის უძველეს დასახლებაზე მეტყველებს აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიაზე მიკვლეული არაერთი ნამოსახლარი და სამაროვანი. დღევანდელი აგურის ქარხნის №1 თიხის კარიერის ტერიტორიაზე მიკვლეული ერთი ძეგლი თარიღდება ადრინდელი ბრინჯაოს ხანით, ხოლო მეორე ნასახლარი და სამაროვანი — „კოწახურას ხევის" მარჯვენა ნაპირზე გვიანდელი ბრინჯაოს ადრინდელი რკინის ხანით.[437]

სოფ. ნიაბი გაშენებულია მაღლობზე, თუმცა მისი სახნავ-სათესი ფართობები გაშლილ ეკუზეა წარმოდგენილი და ეკონომიურად ერთ-ერთ

---

[435] ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 56.
[436] საქართველოს ისტ. ნარკვევები, ტ. V, თბ., 1973, გვ. 798.
[437] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, გვ. 179.

ძლიერ სოფელს წარმოადგენს. სოფლის წარსულის შესახებ უძველესი მატერიალური კულტურის კერები, ან წერილობითი წყაროები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, ხოლო რაც შეეხება შემდგომ პერიოდებს, კერძოდ XVII ს. ეს ადგილი მოხსენებულია მეფე ლუარსაბ II დროს 1609 წ. როდესაც მან დიდი ბრძოლა გადაიხადა ოსმალთა წინააღმდეგ და სადაც თავი ისახელეს თბილისის მოურავმა გიორგი საკაძემ და სარდალმა ზაზა ციციშვილმა.[438]

ამ გმირული ბრძოლის ამსახველი პოემა „დიდ მოურავიანში“ გიორგი საკაძეს ი. თბილელი ლექსად ათქმევინებს:

„ნიაბთ ბოლოს სხერტა ჰქვიან, არის მცირე ჭალა;
ზაზას ვახლდი, იქ წინ დავხვდით, გული გვაქვს და
მცირე ძალა,
ზაქარიას იარაღი მას თან მოსდევს, მოვლენ ძალა
და მორწყულს ხნულში შემოცვივდეს, სისხლი
მათი იქ გაშრალა“.[439]

სოფ. ნოსტე გეოგრაფიულად მდებარეობს მდინარე თეძამისა და კავთურას აუზის ერთ-ერთ ცენტრალურ, ყოველმხრივ შემკობილ ადგილას. მისი სანახები თითქმის თანაბრად მიეკუთვნება, როგორც ბარის, ისე მთის პირობებს და სტრატეგიულადაც ამ ორივე ხეობას მიეკუთვნება. არქეოლოგების მიერ სოფლის სანახებში მიკვლეულია რამოდენიმე ნასოფლარ-ნასახლარი. მათ შორის „გველდესის“ ნასოფლარი, რომელიც IX-X სს. თარიღდება, აგრეთვე გვიანდელი ფეოდალური ხანის ნასოფლარი „წითლობი“ თუმცა, როგორც ჩანს, სოფლის აღზევება უმთავრესად მაინც დაკავშირებულია საკაძეთა საგვარეულოსთან.

როგორც ცნობილია, გიორგი საკაძე და მისი წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ, რომელთა გვარი არაპირდაპირი წყაროების მიხედვით XII-XIII სს. არის ცნობილი, ისინი განსაკუთრებით დაწინაურდნენ XVI ს. II ნახევარში სიმონ I-ის მეფობაში. გიორგის მამა სიაუშ გიორგის ძე საკაძე 1588 წელს მეფის სალაროს მოლარეა. 1590 წლიდან კი –

---

[438] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 255.
[439] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 16.

თბილისის მოურავი. ბიძა, ზურაბ სააკაძე, ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესი იყო. საგვარეულოთა „ძველი სამკვიდრო“ ატენის ხეობის ზემო წელია, რომელთაც ციხეები გააჩნდათ ველში, ბობნევში და კიკანათბერში, აგრეთვე სასახლე და ეკლესია. შემდეგ მათ თეძმის ხეობაშიც მოიკიდეს ფეხი, სადაც საბოლოოდ გიორგი სააკაძის ფეოდალური სამფლობელოც ჩამოყალიბდა. ყოველივე აღნიშნულის ცენტრი კი სწორედ სოფ. ნოსტე გახდა, სადაც გააჩნდა სასახლე ციხე-კოშკით და კარის ეკლესია, ხოლო რაც შეეხებოდა მათ საგვარეულო მონასტერს, სადაც ისინი იმარხებოდნენ სოფ. ერთაწმინდა იყო.[440]

სოფ. ნოსტეს სანახებში მიკვლეული ნასოფლარებიდან ჩანს, რომ გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, დასახლება ტერასული სისტემით უნდა ყოფილიყო. ხოლო ზოგადად მიტოვებული ნასოფლარების, ანუ მოსახლეობის არცთუ იშვიათი ადგილმონაცვლება დროის შესაბამისად მიმდიაბრეობდა, რასაც უმთავრესად პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები განსაზღვრავდა. მომდევნო პერიოდში ნოსტე, როგორც ფაქტობრივად სააკაძიანთ დასახლებული სოფელი, თანდათან კარგავს თავის სიძლიერეს და მოსახლეობაც ჭრელდება. ს. მაკალათიას დაკვირვებით, ამ პერიოდისათვის მოსახლეობა სხვადასხვა გვარისაგან შედგებოდა, რომელთა წინაპრები XIX ს. გადმოსახლებულან, ხოლო ძველი მოსახლეობა აყრილია და მხოლოდ ნასოფლარებია დარჩენილი-ო. მათი აყრის უმთავრეს მიზეზს კი „ლეკიანობა“ წარმოადგენდა, რომელიც განსაკუთრებით XVII ს. II ნახევარში მიმდინარეობდა. ძირითადად ამ გზით უნდა გაჩენილიყო ნასოფლარი „გველდესი“, ნასოფლარი „წითლობი“, ნამოსახლარი „გორა“ და სხვ. ასეთივე ბედი უნდა სწეოდა სოფ. რკონსაც, სადაც დღესაც ფუნქციონირებს ცნობილი რკონის მონასტერი. ფაქტობრივად რკონის ნასოფლარი მდებარეობს სოფ. ჩაჩუბეთის მიდამოებში. თეძმის ხეობის ზედა ნაწილში, სადაც მდებარეობს დიდებული VII ს. რკონის მონასტრის კომპლექსი.[441]

---

440 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 257.

441 გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 198.

სოფ. სასირეთი თეძმის ხეობის ქვედა წელზე მდებარე ერთ-ერთ უძველეს დასახლებად ითვლება, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი: ნამოსახლარი „გორა“ — დათარიღებული გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანით; აქაა წარმოდგენილი რამოდენიმე კულტურული ფენა (ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახ. და I ათასწლეულის შუა ხანები). აგრეთვე „სასირეთის განძი“, რომელიც ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება, აქვეა შემონახული XVI-XVII სს. კოშკი, დემეტრეს ეკლესია, რომელიც 1498 წ. აუგია მონაზონ დამიანეს და მის შვილებს ამბა ალავერდელ (ალავერდის ეპისკოპოსის საპატიო წოდება) კვირიკეს, დიონისეს და თევდორეს XIX ს.II ნახევრის წმ. გიორგის ეკლესია; ხოლო რაც შეეხება მის სახელწოდებას, აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, იგი ნაწარმოები უნდა იყოს სირთა (ჩიტთა) გორიდან (მსგავსად ჩხიკვთა, ლომთა, ძელთა გორებისა) და განეკუთვნება იმ ეპოქას, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა გორასამოსახლოები. სწორედ სასირეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა ხიდისთავ-სასირეთ-ნიჩბის-ძეგვის გავლით.

სოფ. სასირეთი ქართულ ისტორიულ წყაროებში მოიხსენება აგრეთვე XI საუკუნის მოვლენებში, კერძოდ კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ლიპარიტისძის ამბებში, როდესაც მან 1047 წ. სასირეთის ჭალაში მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაამარცხა საქართველოს მეფე ბაგრატ IV.[442]

მდ. თეძამის ზედა წელის თავზე გაშენებულია სოფელი ჩაჩუბეთი, რომლის სამხრეთ-მთიანეთით, თანმიმდევრობით მდებარეობს დიდებული იკვის, რკონისა და სამოჭალოს კომპლექსები, აქედან გამომდიანრე, სავარაუდოა, რომ თავდაპირველად დასახლებაც მათ მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო. ხოლო რაც შეეხება გვიანდელი ფეოდალური ხანის ნამოსახლარს, რომელიც სოფლის ჩრდილოეთ ნაწილშია მიკვლეული, ესეც შემდგომი პერიოდის ძეგლს უნდა განეკუთვნებოდეს.

როგორც ცნობილია, შიდა ქართლის ცალკეული რეგიონების მსგავსად, თეძამ-კავთურას, ტანა-ათრევას ხეობების განსაკუთრებით ზედა

---

[442] იქვე. გვ. 198.

ნაწილის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, XVII ს. მიწურულიდან, ვიდრე XIX ს. ჩათვლით, გადმოსახლებულნი არიან ქსანარაგვის ხეობებიდან. ს. მაკალათიას მიხედვითაც ამ სოფელში არაგვის ხეობიდან გადმოსახლებულან მთიულები, რომელთაც ეს ადგილი იჯარით აუღიათ ჯავახიშვილებისგან და წლიურად 250 მანეთს, ე.წ. „მახტას“ უხდიდა.[443]

ნასოფლარმა — ცხირეთმა მატერიალური კულტურის ძეგლებიდან, სადღეისოდ შემოგვინახა მხოლოდ ნამოსახლარი და ე.წ. „ცხირეთის ციხე“. ნამოსახლარი მდებარეობს ხევის პირას, განკიდული ტიპის გორაზე, სადაც დადასტურდა გვიანდელი ბრინჯაოს, ადრინდელი რკინის ხანის კულტურული ფენები. ისტორიული წყაროების თანახმად, ციხე XI ს. „წმ. შიოს კუბოს შემონაყარი ოქრო-ვერცხლით“ აუშენებია შიო მღვიმელ მემღვიმე მიქაელს.[444] ცხირეთის ციხე ქართლის მეფეების საზაფხულო რეზიდენცია რომ ყოფილა ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს: „ერთაწმინდის აღმოსავლით არს ციხე ცხირეთისა, ნასასახლევი მეფეთა“-ო.

ცხირეთის და განსაკუთრებით ციხის წარსულის შესახებ ცნობები XVI-XVII საუკუნეების მიჯნის ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება. კერძოდ, ქართლის საზღვრებში, ოსამლეთის არმიის უეცრად შემოჭრას ჯავახეთ-თრიალეთ-მანგლისით, როდესაც ქართველთა საყარაულო რაზმებმა იარალისა და ზაქარიას მეთაურობით ეს პროცესი გვიან გაიგეს და მტერს კი ცნობა ჰქონდა ლუარსაბის მცირე ამალით ცხირეთში დგომის შესახებ, საითკენაც სწრაფად გაჭრას ლამობდა. ეს იმ ცნობილ ისტორიულ ამბავს უკავშირდება, როდესაც მტერმა ცხირეთისკენ, გზად სოფ. კველთას თევდორე მღვდელი დაიჭირეს და მეგზურობა უბრძანეს. მღვდელმა სამშობლოსათვის თავი გასწირა და მტერი სხვა გზით წაიყვანა, გოსტიბედან ერთაწმინდაზე ჩამოიყვანა, ცხირეთს გზა აუარ და სოფ. ქვენადრისისაკენ წაუძღვა. მღვდელს რომ ეშმაკობას მიუხვდნენ ოსმა-

---

443 ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 34.

444 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V., გვ. 210.

ლებმა ჯერ აწამეს და მერე თავი მოჰკვეთეს. ამით დრო იქნა მოგებული, ცხირეთში მეფესთან ერთად მყოფმა გიორგი სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა ჯარი სასწრაფოდ შეაგროვეს და სოფ. ნიაბის ბოლოს სხერტის ჭალაზე ქართველთა მცირერიცხოვანმა ჯარმა მტერს სასტიკი მარცხი აგემა.[445]

ცხირეთის და განსაკუთრებით ციხის წარსულის შესახებ ცნობები XVI-XVII საუკუნეების მიჯნის ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება. კერძოდ, ქართლის საზღვრებში, ოსმალეთის არმიის უეცრად შემოჭრას ჯავახეთ-თრიალეთ-მანგლისით, როდესაც ქართველთა საყარაულო რაზმებმა იარალისა და ზაქარიას მეთაურობით ეს პროცესი გვიან გაიგეს და მტერს კი ცნობა ჰქონდა ლუარსაბის მცირე ამალით ცხირეთში დგომის შესახებ, საითკენაც სწრაფად გაჭრას ლამობდა. ეს იმ ცნობილ ისტორიულ ამბავს უკავშირდება, როდესაც მტერმა ცხირეთისკენ, გზად სოფ. კველთას თევდორე მღვდელი დაიჭირეს და მეგზურობა უბრძანეს. მღვდელმა სამშობლოსთვის თავი გასწირა და მტერუ სხვა გზით წაიყვანა, გოსტიბედან ერთაწმინდაზე ჩამოიყვანა, ცხირეთს გზა აურია და სოფ. ქვენადრისისაკენ წაუძღვა. მღვდელს რომ ეშმაკობას მიუხვდნენ ოსმალებმა ჯერ აწამეს და მერე თავი მოჰკვეთეს. ამით დრო იქნა მოგებული, ცხირეთში მეფესთან ერთად მყოფმა გიორგი სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა ჯარი სასწრაფოდ შეაგროვეს და სოფ. ნიაბის ბოლოს სხერტის ჭალაზე ქართველთა მცირერიცხოვანმა ჯარმა მტერს სასტიკი მარცხი აგემა.[446]

ცხირეთის ირგვლივ ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ს. მაკალათია, რომელიც XX ს. 50-იან წლების ჩანაწერით გვამცნობს სოფლის ე.წ. „უსტარაულის“ წყაროს შესახებ: „აქ არის განთქმული ციცი წყარო ე.წ. „უსტარაული“, რომელიც ამოშენებულია ქვით. წყალი ძალზე ცივი, ანკარა და სასიამოვნო დასალევია. მისი სახელწოდება დაკავშირებულია უსტა და რაულთან, რომლებიც ძმები ყოფილან და აქ დაუხ-

445 საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 256.
446 საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 256.

ოციათ. ამ წყაროს გარშემო ნასოფლარია და ძველი ტაძრის ნანგრევები პეტრეს უბანში – დაბლა ცხერეთში.[447]

კავთურას ხეობის ზედა წელზე მდებარეობს სოფ. წიანრეხი, სადაც ნასოფლარისა და სამაროვანის გათხრების შედეგად აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები ადრინდელი და გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდება, რომელთაგან აღსანიშნავია ნასოფლარ „საკურთხისის“ ე.წ. სასოფლო ძეგლი, რომელიც IX-X ს-ით თარიღდება.

წინარეხის ერთ დროს მჭიდროდ დასახლებულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაწინაურებაზე მიგვანიშნებს მის სანახებში ერთობ მდიდრად შემორჩენილი კულტურის ისტორიის ისეთი ძეგლები, როგორიცაა: ბოტისის ღვთისმშობლის ეკლესია, ეკლესია ძუძუ ხატი, ელიას ეკლესია, თავკავთის კომპლექსი, მაღალაანთ ეკლესიის კომპლექსი, ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, ჩადრისთავის საყადრი, თევდორეს ეკლესია, წყრუთის საყდარი, ჯვარპატიოსნის საყდარი, საკურთხისის წმ. გიორგის ეკლესია, ზეგარდის ნიში, XVII-XIX სს. მარჯანიძეების სახლ-დარბაზი.

სოფ. ჭყოპიანის შესახებ ისტორიული, მატერიალური კულტურის ამსახველი ძეგლები შედარებით ძუნწია. მის სანახებში, კერძოდ ნასოფლარ „ბენისის“ ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები სახით შემორჩენილი წმ. გიორგის ეკლესია თარიღდება IX საუკუნით, ხოლო დრისის – ე.წ. ჯავახიაანთ ციხის კომპლექსი განვითარებული ფეოდალური ხანით თარიღდება. მისი ბუნებრივ- გეოგრაფიული გარემო გვარწმუნებს იმაში, რომ ამ ხეობის უძველესი სოფლების მსგავსად ესეც აქტიურ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სოფ. ხოვლე მდ. ხეხმელას ხეობის ერთ-ერთი უძველესი, ეკონომიურად მდიდარი და საერთოდ ფრიად საინტერესო სოფელია, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ჯავახიშვილების შთამომავალთა ერთ-ერთი შტო.

საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილია ხოვლეგორას ნამოსახლარის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთაგან ერთი ნაწილი ძვ.წ. XV-XIV სს. ხოლო მეორე XIII-V სს და მესამე V-IV სს. მიე-

[447] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 25.

კუთვნება. შემდგომი პერიოდის ძეგლებიდან კი აღსანიშნავია: გვიანდელი ფეოდალური ხანის ნამოსახლარი, ისიდორიანთ საყდარი, კვართის წმ. გიორგის ეკლესია, კოშკი სამრეკლო, საკულტო ნაგებობა, წითელი საყდარი, წმ. გიორგის საყდარი და ბოლოს ივ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი და ძეგლი, სადაც ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა, ჰუმანიტარული მეცნიერების არაერთი დარგის ფუძემდებელმა და გზამკვლევმა ბავშვობა და ყრმობა გაატარა.

ისტორიულ წყაროებში, ხოვლე არაერთგზითაა დაფიქსირებული, რომელთაგან აღსანიშნავია XI-XII საუკუნეების საქართველოს სოციალურ ფენებად დაყოფის და გლეხთა ბეგარა-გადასახადების ამსახველი დოკუმენტი. კახა თორელმა სოფელი ხოვლე მასში მცხოვრები გლეხებითურთ რკონის მონასტერს შესწირა და ამ გლეხებს რკონის მონასტრის სასარგებლოდ ბეგარა და სამსახური დააკისრა. თუმცა აღნიშნულ სოფელში მიწის გარკვეული ნაწილი სხვა მონასტრებზეც ყოფილა შეწირული: „ორი მიწა მეტეხთა ღ-თის მშობლისდა იყო შეწირული და მასვე მოვახსენე. ხოხლისძე და აბესას ძე კათას შეწირული იყვნენ და მასვე შევსწირენ. ესენი ბეგარას რაითაც შეწირულნი არიან მუნ მიიღებდნენ და სამართალი და მამითადი განაღამცა თქუენივე (ე.ი. რკონის) იყო".[448] აგრეთვე, როდესაც მეფის რუსეთი საკუთარი ინტერესებისათვის, კერძოდ ჯარის სადგომ ადგილებში ცდილობდა სოფლის მეურნეობის მეტ-ნაკლებ განვითარებაზე, ასეთ რეგიონებს შორის სოფ. ხოვლეც შედიოდა, და ბოლოს, ხოვლეს შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ს. მაკალათია, რომელიც წერს: აქ ბევრი ნასოფლარია, აქაური გვარები გადმოსულები არიან საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან. პირველად დასახლებულა ბიჭიკაშვილი, შემდეგ სხვა გვარებიც, რადგანაც ხოვლეში ყოფილა მაგარი ციხე-გალავანი და შიშიანობის დროს ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა აქ აფარებდა თავსა-ო.

მისივე გამოკვლევით, ხოვლეს მებატონეები იყვნენ ჯავახიშვილები, რომელთა რიცხვი ათს არ აღემატებოდა, ისინი არ ყოფილან მკაცრი

---

448 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1965, გვ. 341.

მებატონეები. ყმები მათ აძლევდნენ ღალას, კარგი მოსავლიდან ერთ მესამედს, ცუდიდან ერთ მეოთხედს ან მეხუთედს. აღსანიშნავია, რომ სოფელი იმდენად დიდი და ძლიერი ყოფილა, რომ ყველა საგვარეულოს თავისი სამლოცველო-ეკლესია ჰქონდა, რომელთა რიცხვი 12 აღწევდა.[449]

სოფ. გრაკალი, რომელიც ქართულ წყაროებში „გარკალის" სახელწოდებითაა ცნობილი, სადღეისოდ ერთ-ერთი დიდი და მჭიდროდ დასახლებული სოფელია. იგი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა — გაშლილ ველებზე, რომელზეც გადის სარკინიგზო ხაზი. სოფელი უძველესი დროისაა, თუმცა სადღეისოდ მისი ამსახველი მატერიალური კულტურის ძეგლები შედარებით ძუნწადაა წარმოდგენილი. ამ მხრივ ერთ-ერთ უძველეს ძეგლად უნდა მივიჩნიოთ სოფლის სანახებში, მტკვრის გაღმა აშურიანის ველზე, ე.წ. „ყორღანული ველის" არქეოლოგიური მასალა, რომელიც შუა ბრინჯაოდან გვიანდელ ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდადაა დათარიღებული. სოფელში შემორჩენილია ორი ეკლესია, რომელნიც გვიანდელ ფეოდალურ ხანას განეკუთვნება. საერთოდ კი სოფლის დაწიანურება ძირითადად დაფუძნებულია საქართველოში სარკინიგზო ქსელისა და საერთოდ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან, როდესაც შეიქმნა პირობები საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის. გრაკალის მამულის შესახებ 1724 წ. ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ, რომ ერასტი ჯავახიშვილი ნასყიდობის წიგნს აძლევს პაპუნა დოქიძეს: „შენი დიაღ ბევრი ვალი გვემართა და ჩვენ ამათნის თეთრის მიცემა ვერ შევიძელით და მოგყიდეთ, ჩვენი სამკვიდრო ყმა ყარალაჯსა კილა. კეტურაშვილი ხოსია თავისი შვილით, ბერუა და მომავალნი სახლისა მისი სისანი" თავიანთი მამულით; კიდევ ყიდულობს გრაკლის თავს 12 დღის ხოდაბუნს და სხვა მიწებს ...[450]

ისტორიული წყაროებიდან, გრაკალის სოციალური ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტების ირგვლივ საყურადღებოა ცოლქმრობისა და ქორწინების წეს-ჩვეულების ირგვლივ აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკ-

---

[449] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.
[450] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979, გვ. 129.

ვლევა, სადაც აკად. გ. ჩიტაიას მიერ მიწოდებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე საამისოდ მოჰყავს სოფ. გრაკალში მცხოვრებთა ნონიკა სუარისძისა და მისი შვილების ვანოს, ნიკოსა და სვიმონის ერთად შეერთების შესახებ გაფორმებული ხელწერილი, რომელიც ძველი ტრადიციების მიხედვით იქნა გაფორმებული 1924 წ. 3 იანვარს.[451]

სოფ. გომი მდებარეობს თეძამ-კავთურას ხეობების ქვედა ნაწილს შუა მდებარე გაშლილი ნაყოფიერი ველის ცენტრალურ ადგილზე. როგორც ჩანს, სოფელი ისტორიულად მოგვიანებითაა აღმოცენებული, რაზედაც მატერიალური კულტურის ძეგლების საერთო სიძუნწე და მათი დათარიღება გვამცნობს. სადღეისოდ აქაა შემორჩენილი XVII-XVIII სს. ე.წ. „მარიდაანთ კოშკი" – წისქვილი. ეს უკანასკნელი კოშკი XIX ს. გადაუკეთებიათ წისქვილად, ხოლო მეორე ძეგლი – „მარიდაშვილების მარანი", აგრეთვე XVIII-XIX სს-თაა დათარიღებული.[452]

სოფელი ცხავერი თეძამ-კავთურას ხეობების აუზის ზემო ნაწილის ცენტრალურ ადგილზე მდებარეობს და მეზობელი სოფლის გოსტიბეს მსგავსად გაშლილ, თითქოს განკერძოებულ, კარგად შემკული ტყის უხვი მასივებით და მდელო-კორომებიანი ფართობებით ხასიათდება. იგი გვიანდელი ფეოდალური ხანის დასახლებას წარმოადგენს, რაზედაც მეტყველებს არქეოლოგების მიერ სოფლის სანახებში აღმოჩენილი ოთხი ნასოფლარი და ერთი სამაროვანი. ამასვე ადასტურებს, დღევანდლამდე შემორჩენილი, ამავე პერიოდის სამი: კვირაცხოვლის, ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესიები. ამ უკანასკნელის ფასადზე ამოკაწრული წარწერისა და ერთ-ერთი საფლავის ქვის მიხედვით, აგებულია 1898 წ. ვინმე თომა შალვას ძე ქარქუსაშვილის ხარჯებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული სოფელი ზოგიერთი სხვა დასახლებული ადგილების მსგავსად აღმოცენდა მას შემდეგ, როდესაც ქვეყანაში მშვიდობიანობამ დაისადგურა, როდესაც აილაგმა ლეკთა თარეში და ოდესღაც მჭიდროდ

---

451 იე. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VI, 1982, გვ. 144.

452 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V., გვ. 147.

დასახლებულ რეგიონის მოსახლეობას მიეცა საშუალება თავის მამა-პაპურ ადგილებს დაბრუნებოდა.

საქართველოს სხვა მხარეების შესაბამისად, ამ კონკრეტულ ვითარებაში, ფრიად საინტერესოდ წარმოგვიდგება თეძამ-კავთურას ხეობის მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობათა ამსახველი ისტორიული დოკიმენტების შესაბამისად განზოგადება-შეფასება, თუნდაც იმ ფონზე, როდესაც XV ს. აზნაურთა თავადებზე გასაჩუქრება – წყალობით გაცემის პროცესი მიმდინარეობდა და იგი ყმა-გლეხების მსგავსად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ხოლო უფრო გვიანდელ ხანაში კი ხშირად აზნაურის ყმა-მამულით მზითევში გაყოლებას, სისხლში მიცემისა და გასაჩუქრების შემთხვევებსაც ვხვდებით. ისე, რომ აღნიშნული პერიოდისათვის დამოუკიდებელი აზნაური აღარ არსებობს, ისინი ეკუთვნიან ან თავადს, ეკლესიას ან მეფეს.

ამგვარად, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ამ სფეროში მრაავლი ცვლილებები მოხდა; არაერთი აზნაურული გვარი გადაშენდა, ან არაერთიც წარმოიშვა; არაერთი სათავადო აზნაურ-სამეფოდ იქცა, ანდა პირიქით, სამეფო აზნაური თავადის ყმა გახდა და ა.შ. ამიტომ, შესაბამის დოკუმენტებში მათი რიცხვი ზუსტი არ არის. ამ მხრივ ერთ-ერთი დოკუმენტი, სადაც მეტ-ნაკლები სახით ეს პროცესები შეიძლება იქნეს შედარებით და შეჯერებული, სწავლულ ისტორიკოსებს მიაჩნიათ რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ტრაქტატი, რის მიხედვითაც, ქართლში სამეფო აზნაურთა რიცხვი 81-ს, საეკლესიო – 13 და სათავადო აზნაურთა რიცხვი 12 შეადგენდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, საკვლევი რეგიონის სათავადოთა მფლობელობაში თარხნიშვილებს ჰყავთ შემდეგი აზნაურები: ცალქალამანიძე, ჩივაძე, ჯავჯანაშვილი (შიხეიდრიშვილი). ჯვარაშვილი, კარგარეთელი. მათვე ეკუთვნოდათ აზნაურები: გოგიშაშვილები, აბულვარდიშვილი და ჭონიშვილი. ჯაჯახიშვილებს ჰყავდათ აზნაურები: აბულვარდიშვილი, მახვილაძე, ზაალიშვილი, ბეჟანისშვილი, გამყრელიძე და ნინიაშვილი.[453]

---

[453] გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 166, 170.

ცნობილია, რომ გვაროვნული დინასტიების ამსახველი უძველესი დოკუმენტები ძალზე მწირედაა შემონახული და ისიც უმთავრესად მეფედიდებულთა შთამომავლობებს ასახავენ, ან როდესაც გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში გარკვეულმა პირვნებამ თავი გამოიჩინა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება-დაცვის მიმართულებით. ის, რომ გვარსახელების ინსტიტუტის კვლევისადმი ყურადღება ძველთაგანვე მომდინარეობს და იგი დღესაც განსაკუთრებულ მასშტაბებს იძენს. თუმცა ამ მიმართებით მკვლევართა გარკვეული ნაწილი მხოლოდ ზერელე, ნაკლებ სარწმუნო, დაუსაბუთებელ არგუმენტებზე დაყრდნობით ცდილობს ამა თუ იმ გვარისა და გენიალოგიის პუბლიკაციას. მაშინ, როდესაც ქვეყნის ობიექტური ისტორიის ასახვისას აღნიშნული პრობლემის ღრმად ჩაწვდომას და განზოგადებას ერთ-ერთი ფუძემდებლური ადგილი აქვს მიჩენილი. აქედან გამომდინარე, პრობლემის შესწავლის სირთულის, კერძოდ მწირი დოკუმენტური მასალის მოძიებისადმი სათუთი მიდგომის მიუხედავად, ამ მიმართულებით გაბედული კვლევა-ძიება მაინც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად მიგვაჩნია.

ისტორიულად პიროვნების წარმოჩენა-აღიარება მემკვიდრეობითობა უმთავრესად სახელით იწყება, რომელიც შემდეგ შვილისა და ძის მიხედვითაც გრძელდება. ამიტომ, ბუნებაში ერთობ ხშირია სადღეისოდ თითქოს უცხო, უცნაური სახელების, სახელწოდებისა და მათგან წარმოებული გვარების მრავალფეროვნება, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია მდიდარი ისტორიული წარსულის ხალხებისათვის. ამის ერთერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიაში — „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები“ — მოტანილი დოკუმენტები, რომელიც აღმ. საქართველოს XVIII ს. ხალხთა აღწერას ასახავს.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, გვაროვნულ ბუნებას, რომელიც შეიძლება დაკონკრეტდეს: ერთობლივი საკუთრების ფლობა, მისი იერარქიული მოწყობა, რაც სამეფო კარის დინასტიის მსგავსად მიმდიანრეობს და სხვ. რომელიც რეგიონის შესაბამისად ვითარდებოდა, ქართველ თავადთა კონკრეტულ ნაწილში იკვეთებოდა. აღნიშნული სა-

კითხების ირგვლივ, კერძოდ მოცემული პერიოდის გვაროვნული ბუნების შესახებ საყურადღებო გამოკვლევები გააჩნიათ პროფესორებს: ვ. გაბაშვილს, დ. გვრიტიშვილს, გ. ჯამბურიას და სხვ.

საკითხის განხილვის ამ ჭრილში, ფრიად საინტერესოდ წარმოგვიდგება ისტორიული თეძამ-კავთურას ხეობის ერთ-ერთი მფლობელის, ადგილობრივი მკვიდრის, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწისა და სარდლის გ. სააკაძის გვარის წარმომავლობის მოკლე მიმოხილვითი წარმოჩენა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი ცნობა სააკაძეთა გვარის შესახებ შიდა ქართლის ატენის, ტანას (ატენის) ხეობიდან თამარ მეფის ზეობის ხანით (XII-XIII სს.) თარიღდება. აღნიშნული გვარი ძირითადად ორ შტოდ განვითარდა, რომელთაგან ერთ-ერთი ატენის ხეობის ზედა წელზე, ანუ მდ. ტანას სათავეებში — რაზმითის მთის სანაპიროებში ბატონობდა და უშუალოდ ბაგრატიონთა სამეფო გვარს ემსახურებოდა, ხოლო მეორე ქვემო ქართლის თავად ბარათაშვილთა აზნაურები იყვნენ. იმ დროს, როდესაც ქართლის მეფეები (XVI ს.) ცენტრალური მმართველობის გაძლიერებასა და თავადთა ძალაუფლების შეზღუდვას აწარმოებდნენ, სამეფო კარზე მომსახურე სააკაძეთა გვარები წარმატებულ აღზევებას აღწევს და ისინი შესაბამის თანამდებობებსაც იკავებენ.[454]

სააკაძეთა გვარის დიდებისა და შთამომავლობის მიერ დაკავებულ თანამდებობებსა და იმ ბატონთა ვინაობას, რომლებსაც ემსახურებოდნენ საყურადღებო ცნობებია დაცული „ცხოვრება საქართველო სა“ და მეფე როსტომის სიგელში. ცნობილია, რომ თურქთა წინააღმდეგ ომებში ქართველ ქრისტიან ვაჟთან „ალიყული ხანთან“ ერთად თებრიზის გენერალი როსტომ ხანი შაჰ სეფი I-ის ზეობისას ყველაზე ძლევამოსილ პიროვნებად ითვლებოდა. როსტომის მამა ყარა ბეჟანი ერთ-ერთი ძლიერი აზნაურთაგანი ყოფილა, რომელიც ქართლის მეფის ლუარსაბ I-ს ემსახურებოდა. საერთოდ, როსტომი და მისი ოჯახი საქართველოს სამხედრო წოდებიდან მომდინარეობს, რომელმაც (როსტომმა) 1632 წ. თავის სამშობლოზე — საქართველოზე გაილაშქრა და იგი წყაროების მიხ-

[454] გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 20-22.

ედვით „ბატონის ბაგრატის სახლთუხუცესი სააკაძე ბეჟანისშვილი როსტომ ხანია“. აღსანიშნავია, რომ იმ დროს საქართველოში სახლთხუცესის თანამდებობა ყველაზე მნიშვნელოვანი სამეფო სახელი იყო და რომ ზურაბ სააკაძეს, იმხანად სახელოვანი ქართველი პოლიტიკოსის — გიორგი სააკაძის (სპარსული წყაროების მიხედვით მოურავ-ბეგი) ბიძის, სვიმონ I-ის, დავითის უფროსი ძმისა და ტახტის მაძიებლის, სამეფო კარზე იგივე თანამდებობა ეკავა.[455]

სააკაძეთა ჩამომავლობის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან გამოკვლევათა შორის ფრიადსაყურადღებოა პლატონ იოსელიანისეული დოკუმენტური მასალის განზოგადება, რომელიც აღნიშნავს: „არსებული დოკუმენტების ერთი ნაწილი, კერძოდ როსტომ მეფის სიგელის მიხედვით (1659 ს.) ჩანს, რომ ჯერ კიდევ თამარის მეფობის დროს მოხსენიებულია ჯან ზურაბ სააკაძე, რომელიც პირადი დამსახურებისთვის ყოფილა დაჯილდოებული. აგრეთვე, ბაგრატ V დროს თემურის წინააღმდეგ ბრძოლობდა დანა სააკაძე და სხვ. ხოლო თავად გიორგი სააკაძის მამა სიაუშს ჩანს, რომ მეფის კარის საქმიანობაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა თავისი სიმდიდრის წყალობით იქცა ერთ-ერთ მოწინავე თავადად“.[456] სიაუში, როგორც სახელი, საერთოდ შაჰ-ნავეში გოლიათთა შორის მოიხსენიება და ჩანს, რომ მათი შთამომავლობა მართლაც ფიზიკური სიძლიერით გამორჩეულან. აღნიშნულ გარემოებას ვახუშტი ბატონიშვილიც გვიდასტურებს, როდესაც გიორგი სააკაძის შესახებ წერს: „მხნე, ახოვანი, ძლიერი, ძალითა და შემართებით უშიში, მცბიერი, მჩურჩნელი, დაუნდობელი“.[457]

ხოლო რაც შეეხება გიორგი სააკაძის პიროვნების დაწინაურებას, მისი აღზევება როგორც ითქვა, იწყება 22 წლის ასაკიდან, როდესაც თავი გამოიჩინა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში და მეფემ თავადობასთან ერთად თარხნობაც უბოძა (თარხნობა — თათრულ-სპარსული ტერმი-

---

455 გ. ჯამბურია, დას. ნაშრომი, გვ. 23.

456 Платон Иоселиани, Жизнь великого моурава княза Георгия Саакадзе, Тф. 1848 г.

457 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 25.

ნოლოგიით — თავისუფალს ნიშნავს). მისმა არაჩვეულებრივმა სიტყვამ და ძალამ ყველას ყურადღება მიიქცია და მათ შორის გიორგი X-საც-ო, რომელმაც 1607 წ. უბოძა ჯერ მამულები, ხოლო შემდეგ მოურავის თანამდებობა, ანუ თანამედროვე გუბერნატორობა. აღსანიშნავია ისიც, რომ, როდესაც ლუარსაბ მეფემ 1605 წ. თავისი და შაჰ-აბასს გაუგზავნა ცოლად, მას თან ახლდა გიორგი სააკაძე, რომელიც შაჰს მაღალ დონეზე მიულია და დაუსაჩუქრებია და რამდენადაც გიორგი სააკაძე ითვლებოდა თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავად, ამდენად იგი მეფის ერთ-ერთ ახლობელ პიროვნებად იყო ქცეული.[458]

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ჩივაძეები, რომლებიც კავთისხევში ცხოვრობდნენ, თარხნიშვილებს ეკუთვნოდათ და როდესაც გიორგი სააკაძე საქართველოდან გაიქცა, თან პაპუნა ჩივაძეც გაჰყვა. ეს ისტორიული ფაქტია, როცა 1610 წ. სააკაძე მეფის აგარაკზე იმყოფებოდა და შეთქმულებმა სანადიროდ მიიწვიეს იმ განზრახვით რომ იგი მოეკლათ, მაგრამ მეფის კარის უფროსმა კახა ხერხეულიძემ ამის შესახებ ამცნო გიორგის, რომელმაც გაქცევით უშველა თავს.

გიორგი სააკაძის მოღვაწეობის ერთ საინტერესო ეპიზოდზე წერს პ. იოსელიანი: „როდესაც დევნილმა გიორგი სააკაძემ ცოლთან — ნუგზარ არაგვის ერისთავის ქალიშვილთან და თანმხლებლებთან ერთად გამთენიისას კარსანიდან ადიდებული მტკვარი გადალახეს და მცხეთის ტაძარს 60 ბარჩილის სიდიდის ოქროს თასი შესწირეს და მშვიდობიანი გადარჩენისათვის ილოცეს, მან ცხენზე ამხედრებულ მეუღლეს უთხრა: ხომ არ გეშინია წყლისაო, რომლისგანაც პასუხად მიულია: განა მოურავის ცოლისთვის შიში უნდა არსებობდესო. ისიც აღსანიშნავია, რომ ხიდის დაცვის უფროსმა კოლოტაურმა თავისი 60 კაცით ვერ შეძლო მოურავის შეჩერება და იგი ნუგზართან ერთად ისპაჰანს წავიდა. ხოლო, როდესაც შაჰ-აბასმა მძევლად დაიტოვა მოურავის შვილი პაატა და ზურაბ ერისთავის მეუღლე ქეთევანი, ამის შესახებ შეთხზული ლექსი გვამცნობს:

„ქართლისათვს რამე დავჰხთმე. როგორ ტურფა სასურუცლი,
ჩემთვს ვარდ მაისისა, აღარავინ ჰყავს მას იქ მშუელელი,

[458] პლატონ იოსელიანი, დას. ნაშრომი, გვ. 9.

წასელით ღონე არსით ჰქონდა, ბევრი ჰყვანდა ჯაშუშმცუელი,
იქ პაატა დამიკარგავს, აქ არამყავს გამკითხუელი.
მაშინ ზურაბ ბევრი მიმხრო, კაცი არის გამბედავი,
კაის ჯარით მომუეშველა, მტერთ შემუქრი და მედავი.
ომის დღეს წინ წამოდგა. დამშლელთ უთხრის ღამე დავი.
მოყვარე და ჩემთვს მკვდარი. ის ეტლ ხრელი, მე ბედ ავი.
მან ცოლი დასთმო, ჩაიგდო, სირცხვილად სრული არა რათა,
ვჰკადრე უკეთეს შეირთავ, შენთვს მწვე გასახარათა
ხმალსა და სახელს აქ ჰარებ, კულავ ბზე მომინდო დარათა,
ლუარსაბ მეფის დის შერთუა, შენთვს არს ეს საკმარათა".[459]

შემდგომში, ცნობილი მოვლენების შესახებ პ. იოსელიანი წერს: „1629 წ. ვაზირ ხოსრევ-ფაშის მიერ გიორგი სააკაძესთან ერთად ყველა ქართველს თაეები მოჰკვეთეს, რომელთაგან მხოლოდ ერთი ბეჟან გორგასლელი (გორგასლის შვილი) გადარჩა, რომელიც მამამისმა ჯალათის მოსყიდვით იხსნა, ხოლო რაც შეეხება მოურავის მკვლელს ხოსროვ-ფაშას, იგი მოკლული იქნა სულთნის ბრძანებით მას შემდეგ, როდესაც უკითხავს სად არის გიორგი სააკაძეო და მისგან პასუხად მიუღია — მოღალატე იყო და მოვაკლევინეო".[460]

პოემა „დიდმოურავიანის" ავტორმა, გიორგი სააკაძის ძმისშვილმა იოსებ თბილელმა-სააკაძემ, როგორც განთქმული სარდლისა, პოლიტიკური ფიგურისა და ტრაგიკული პიროვნების ისტორიული ამბავი ლექსად გადმოგვცა, სადაც ერთ ადგილას თავის გმირს სინანულით ათქმევინებს:

„თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორ წყლულო,
საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო,
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერთგულო,
აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბ, სტამბოლს დაკარგულო!
თაო ჩემო, სად მოჰკვდები, ანუ ვისსა სამარებსა.
რას დალახავ ქვეყანასა, იარები სამ არებსა;

---

459 პ. იოსელიანი, დას. ნაშრომი, გვ. 50.
460 პ. იოსელიანი, დას. ნაშრომი, გვ. 84.

მოშორდები მოყვარეთა, შენ ხარ ვისსა სამარებსა?!“ (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1960, გვ. 360).

ამგვარად, მოურავის ესოდენ მძიმე ცხოვრების შემდგომ, მისი ოჯახი — ცოლი, შვილი სიაუში და შვილიშვილი იორამი 1659 წ. როსტომ მეფის ძალისხმევით საქართველოში იქნა დაბრუნებული და მათი წყალობით ასე მწირეთ მაინც შემორჩა თარხან-მოურავთა გვარი, ხოლო რაც შეეხება ამ გვარიდან ისტორიის მიერ შემონახულ გამოჩენილ პიროვნებათა შორის აღსანიშნავია: როსტომ სააკაძე, რომლის შესახებაც ბერი ეგნატაშვილის მიერ შედგენილი ისტორიით (XIV-XVII სს.): „მაშინ იყო ვინმე სააკაძე როსტომი, რომელი აღზრდილიყო ყაენის კარზედ. და იყო ესე სააკაძე როსტომ კაცი გამოჩენილი და დიდად პატივცემული ყიზილბაშთაგან და მისცა მას სპასალარობა და გამოაყენა ქართლსა ზედა და წარმოდნა თან ბატონად ქართლისა ხოსრო-მირზა, ძე დაუთხანისა, რომელი პირველ ვახსენეთ, რამეთუ ამა ხოსრო-მირზას მისცა ყაენმან ქართლი და ეწოდა როსტომ-ხან. და წარმოგზავნეს ორნივე ზოგად როსტომ-ხან და როსტომ სპასალარ სააკაძე“.[461] სააკაძეთაგან ცნობილია XVIII ს. ემიგრანტული პოეზიის კოლორიტული ფიგურა დიმიტრი სააკაძე, რომელიც ენამახვილობით, ოხუნჯობით და მხიარულობით გამოირჩეოდა. იგი პრესნაში (მოსკოვში) ცხოვრობდა და ისევე როგორც სააკაძეთა სხვა შთამომავლობა ისიც ატენის ხეობის ზედა სოფელ ბობნევიდან იყო, რის შესახებაც წერს: „მაშინ იცნობთ, ბობნაშია როცა ნახაეთ სააკაძეს ან მე მექადის ეს სოფელი, ველარ მიხვალ ბობნაშიო“.[462]

XVIII ს-ის 20-40-იანი წლების ჩრდ. კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი, ქართული სასულიერო სათვისტომოს ფუძემდებელი ასტრახანსა და ყიზლარში იყო ეპისკოპოსი იოანე მანგლელი — იგივე სააკაძე, რომელიც 1751 წ. 28 მარტს გარდაიცვალა ყიზლარში. მისი ანდერძის თანახმად, იოანე უნდა დაეკრძალათ საქართველოში, მაგრამ

---

461 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 416-417.
462 ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 488.

ყიზლარის ჯვართამაღლების მონასტრის რუსმა ბერებმა მოინდომეს მისი დაკრძალვა ამავე მონასტერში, რაზეც პროტესტი განუცხადა მისმა ძმამ საქართველოს ჰუსართა პოლკის გადამდგარმა პორუჩიკმა თავადმა ნიკოლოზ სააკაძემ, რის გამოც იოანე დაკრძალეს თბილისის სიონის ტაძარში.[463]

ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა დიდმა ილიამ, როდესაც ლუარსაბ წამებულზე წერილს წერდა (1886 წ.), დიდ მოურავზეც ჩვეული ღრმა აზრი გამოთქვა: „მის დროს იყი იგი სახელოვანი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომლის მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენთან ისტორიკოსთაგან და რომელიც იყო რა უსვად შემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებითა, დღეს აქობამდე არც ავად არის ჩვენ მიერ დაფასებული და არც კარგადა, მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი, — ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა. ეს კი გულდასაჯერებელი ასაღიარებელია, რომ მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირვებელი და განსაოცებელია ...

დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მზნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ აპატიებდა მას მდაბალბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალა გრძნობა ადამიანის ავზნეობისა ბევრ მეტოქესა და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი, დიდბუნებიანობა. ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ სახელოვანს დიდ მოურავსა მრავალი მტერი გაუჩნდა“-ო.

ხოლო რაც შეეხება შემდგომში დიდი მოურავის მოღვაწეობის შეფასებას, იგი კარგად გამოჩნდა თუნდაც XX ს. როდესაც გამოჩენილი ადამიანების ძალისხმევით ქვეყნის მძიმე განსაცდელის ჟამს, შეიქმნა მა-

---

[463] ჟურნ. „დუხოვნი ვესტნიკ“, საქართველოს საეგზარქოსო, თბ., 1898, №16.

ღალპატრიოტული ფილმი-ეპოპეა — „გიორგი სააკაძე“, რომელმაც საზოგადოებაში ფართო აღიარება ჰპოვა.

XI-XII სს. საქართველოში, როდესაც შეიქმნა სათანადო პოლიტიკური გარემოება ქვეყნის მმართველობის სისტემაში ეკონომიკური აღმავლობისათვის განუხრელი სწრაფვა და მისი რეალიზაცია, განსაკუთრებული ტემპით იზრდება ქალაქმშენებლობა, სოფლის მეურნეობაში დარგთა სპეციალიზაციის პროცესი და სხვ. საქართველოში, ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი მიწის მუშაკთა ფენა თანდათან მცირდებოდა და ამდენად გლეხისა და ყმის განსხვავება ფაქტიურად ქრებოდა. აქედან მოყოლებული, გლეხი ფეოდალის მიწას მიეჯაჭვა და მის სასარგებლოდ შესაბამის ბეგარა-გადასახადს იხდიდა. სოფელი ისტორიულად დასახლების ძირითად ობიექტს წარმოადგენდა, რომელიც ფეოდალურ საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა. მართალია დღემდე შემონახული ისტორიული წყაროები საშუალებას არ გვაძლევს დეტალურად ვიმსჯელოთ ისტორიული სოფელი რა სახისაა და რამდენი იყო და სხვ. მაგრამ მიახლოებით, მეტ-ნაკლებად საამისოდ არსებული, განსაკუთრებით გვიანდელი მონაცემები ქვეყნის ყველა რეგიონში გაგვაჩნია. ამ მხრივ საგულისხმოა თუნდაც XI-XIII ს. საკათალიკოსოს აღწერის დავთრები და სხვ.

საკვლევ რეგიონში ერთ-ერთ უძველესი სოფელია ხოვლე, სადაც XII ს. შუახანების მოსახლეობის კომლთა გამორკვევის მიხედვით, დაახლოებით 42 კომლი გლეხი ცხოვრობდა, რომლის რიცხვი გაანგარიშებულია კახა თორელის მიერ სოფელ რკონის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეწირვით. ამავდროულად მას დააკისრა ეკლესიისათვის 340 თეთრის გამოღება, რაც თითოეულ კომლზე 8 თეთრს ითვალისწინებდა[464] მეტნაკლებად ასეთივე ცნობები მოგვეპოვება დასახლების ტიპის, ფორმისა და სხვათა შესახებაც. ისე რომ X ს. დასასრულისათვის, საქართველოში ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის დამთავრებისა და ქვეყნის უფრო მაღალ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში შესვლის პერიოდში, მწარმოებელი მოსახლეობის საკმაო სიმჭი-

[464] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 83.

დროვე უნდა ყოფილიყო, რამდენადაც იგი ეკონომიკური აღმავლობის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენდა. ამავე პერიოდში, ბუნებრივია სოფლის მეურნეობის აღმავლობას საფუძვლად ედო შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფა-განვითარების პროცესი. ასეთ ვითარებაში, უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა ნიადაგის ღრმად დამუშავების ტექნიკაში სახვნელი იარაღის — გუთნის ფართოდ გამოყენება-გაუმჯობესებას. ამის ნათელი დასტურია თუნდაც უძველესი ქართული „ერქვანის", „დიდი გუთნით" შეცვლა, რომელიც კავკასიის მასშტაბით იქნა გავრცელებული.[465]

სახვნელი იარაღები საქართველოს ბუნებრივ-ოროგრაფიული პირობების შესაბამისად კეთდებოდა და მოიხმარებოდა, რის გამოც მათი ნაირსახეობა სისტემატურ სრულყოფა-განვითარებას განიცდიდა. ამიტომ, ძველი ქართული ტერმინოლოგიური საუნჯე-აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი — სახნავი იარაღის აღმნიშვნელი სახელებით განსაკუთრებით მდიდარია და რამოდენიმე მათგანის აღწერილობასაც იძლევა, ასეთთა შორისაა: ჩუთკავი, აჩაჩა, არონა ანუ არუნაი, ჯილღა ერქუანი და გუთანი.[466] მიწათმოქმედების მაღალ კულტურაზე მიგვანიშნებს ცალკეული დარგისათვის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიაც, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უძველესი დროიდანვე მომდინარეობდა. ისე, როგორც ნიადაგების სამეურნეო თვალსაზრისით შეფასება და აღწერილობა, წარმოებულ კულტურათა ნაირფეროვნება და სხვა. შესაბამისად ნიადაგის დამუშავების სხვადასხვა მეთოდებისა და პროდუქციის გადასამუშავებელ-დასაბინავებელი იარაღინვენტარის ისეთი მრავალფეროვნება, როგორიცაა: ბარი, სხვადასხვა სახეობის თოხი, ნამგალი, ცელი, კევრი, არნადი, ნიჩაბი, კაბდო, ფიწალ-ორთითი, სამთითი, ცხავი, ცხრილი, ხონჩა, ტაბაკი, ამბარი, კოდი, სადღეველი, სასხლავ-სამყნობი დანები და სხვ. მრავალი, საოჯახო ჯამჭურჭელთან ერთად გლეხის ოჯახის საკუთრებას შეადგენდა. ყველა ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქვეყნის ცალკეული რეგიონების პირობებში,

---

465 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 90.

466 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930, გვ. 177.

ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც სახმელეთო, ისე სამდინარო, საზამთრო და სხვა სპეციალური — ბორბლიანი, თუ სათრევ-საჩოჩიალო სატრანსპორტო საშუალებები. უძველესი დროიდანვე ფართოდ იყენებდნენ ხელის წისქვილს — „ხელსაფქვავს“ და წყლის წისქვილს, ზეთის სახდელ დოლაბებს. ფეოდალური საქართველოსათვის ფრიად დასამახსოვრებელია განვითარებული სარწყავ-საირიგაციო ნაგებობათა წყალგაყვანილობის სისტემა და სხვ.

მომდევნო პერიოდში, როდესაც საქართველო დაიშალა სამეფოებად და სამთავრობოებად (XVI ს. დამდეგს), რაც ძირითადად განაპირობა მძიმე საგარეო მოვლენებმა, ქვეყანაში შექმნა ცხოვრების ერთობ მძიმე პირობები, სამეფო-სამთავროებს შორის განახლებულმა დაპირისპირებებმა პირველ რიგში დააზარალა მწარმოებელი მოსახლეობა. მეურნეობის წარმოებისათვის აღარავის ეცალა. XVII ს. ერთი საბუთის მიხედვით ქართლში, კერძოდ „საციციანო ასრე გაოხრებული იყო, ოთხი წელიწადი არც ხვნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია“-ო. რომ მსგავს მოვლენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სხვადასხვა დროს ხშირად ჰქონდა ადგილი.[467]

საქართველოში, კერძოდ კახეთისგან განსხვავებით, მთელი XVI ს. მანძილზე ქართლის სამეფო განუწყვეტლივ იბრძოდა ირანისა და თურქეთის აგრესიისა და აგრეთვე აქ ჩამოწოლილი ოსებისა და ფშავ-ხევსურების წინააღმდეგაც. მხოლოდ XVII ს. 30-40-იანი წლებიდან იწყება ქართლის სამეფოს ეკონომიური აღმავლობა, როდესაც ხელისუფლების მხარდაჭერით, მსხვილმა ფეოდალებმა იწყეს დაცარიელებული სოფლების აღორძინება და სარწყავი სისტემის აღდგენა-განახლება. ხელისუფალი ცდილობდა აგრეთვე ხელსაყრელი პირობების შექმნის ვაჭრობის განვითარებისათვის, რამდენადაც იგი წარმოადგენდა პროდუქტ-ნეღლეულის წარმოების ზრდის სტიმულირების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. ამ მხრივ ცნობილია, რომ 1639 წ. როსტომ მეფემ, ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით თბილისში შემოსულ საქონელზე ბაჟის ნიხრი

[467] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV თბ., 1973, გვ. 158.

დააწესა, რომელიც მებაჟეების ძალმომრეობის წინაღმდეგ იყო მიმართული და ქართლის მოსახლეობის შედეგს წარმოადგენდა. ეს (ე.ი. კანონი მებაჟეების შესახებ) „უნდა გახდეს ვაჭრობის, გამვლელთა და გლეხთა დამშვიდების მიზეზიო“.

როგორც ჩანს, ვაჭრობის მოწესრიგებით დიდად ყოფილან დაინტერესებული გლეხობაც, სადაც ისინი მონაწილეობდნენ კიდეც. ხელისუფლება ცდილობდა ევროპელ ვაჭართა მოზიდვაზეც, რამდენადაც ცნობილია, რომ 1670-იან წლების დასაწყისში მეფე ვახტანგ V აცხადებდა, რომ მას ძალიან უნდოდა ევროპელების დაბინავება თბილისში და ყველას, ვინც აქ ალებ-მიცემობისათვის მოვიდოდა, ჰპირდებოდა ბაჟისა თუ გადასახადებისაგან განთავისუფლებას და ყოველგვარი უპირატესობის მინიჭებას ...[468]

XVIII ს. ფეოდალებზე ოდეზღაც სამოხელეოდ გაცემული „თემი“, „ხევი“ და „ქვეყანა“, ანუ მათთვის საგამგეოდ მიჩენილი პროვინციები სამემკვიდრეო მამულებად გადაიქცა. ძირითად მწარმოებელ კლასს — გლეხობას თავისი მცირე „საკომლო“ ან „საგლეხო მამული“ გააჩნია, რომლის მოცულობა აღმ. საქართველოში 60 დღიურს არ აღემატებოდა. ასეთ მცირე ფართობზე იგი აწარმოებდა მარცვლეულს, ვენახს, ბაღ-ბოსტანს, სათიბს, სარს და სხვ. სადაც შრომისმწარმოებლურობა ბუნებრივია თავისი ინტენსიურობით გამოირჩეოდა. აღნიშნულ გარემოებას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ხშირად ერთ საკომლოზე რამოდენიმე ოჯახი იჯდა, სავსებით ნათელი გახდება გლეხის უკიდურესი მდგომარეობა მიწის სიმცირის გამო. თუმცა იყო მომენტები, როცა მოსახლეობის საერთო შემცირების გამო ე.წ. გაპარტახებულ, ამოწყვეტილ, ცარიელ მიწებს დამმუშავებელიც კი არ ჰყავდა. გლეხობა ძირითადად ორ კატეგორიად — მამულიანად და უმამულოდ იყოფოდა. ამათთაგან პირველი იწოდებოდა „მკვიდრ გლეხად“, ხოლო მეორე — „ბოგანოდ“, რომელთა შორის გამოიყოფოდა აგრეთვე შესაბამისი დიფერენცირებული კატეგორია: „შეძლებული“, „შეუძლებელი“, „მთელი საკომლო“, „ნახევარი საკომლო“, „მე-

468 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV თბ., 1973, გვ. 162.

ბეგრე გლეხი“ და ა.შ. რომელნიც ჯგუფებადაც კი იყოფოდნენ. ისე, რომ განსაკუთრებით XVI-XVII სს. ხშირია ცნობები „აყრილ“, „გადახვეწილ“, „გაქცეულ“, „ბოგანო“, „ხიზან“, „მეღალე“ გლეხებზე.[469] გლეხთა კატეგორიაში იყვნენ ხელობის მიმდევარნიც – ფეიქარი, მღებავი, დურგალი, კალატოზი, ხურო, მეჭურჭლე და სხვ. რომელნიც იმავდროულად მიწათმოქმედნიც არიან და მებატონეს ღალა-კულუხსაც უხდიან. გლეხობიდან გამოიყოფოდნენ აგრეთვე ვაჭრებიც, რომელთა საქმიანობას ჯერ თავიანთ მიერ მოყვანილი პროდუქტ-ნედლეულის რეალიზაცია შეადგენდა, ხოლო თანდათანობით ყიდვა-გაყიდვაც. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა XVIII ს. II ნახევრიდან, როდესაც სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად იზრდება ე.წ. „კულტურული მამულების“ მოწყობისადმი ინტერესი, აგრეთვე მცირე და მსხვილი საწარმოების მოწყობა და ა.შ. ყოველივე აღნიშნულმა გარემოებებმა თავის მხრივ ხელი შეუწყო ქვეყანაში გავერანებულ-გაჩანაგებული ადგილების აღორძინებას, ე.წ. ნებით მოსულ მოსახლეთა და ხიზანთა მომძლავრებას, რომელიც განსაკუთრებული სიჭარბით შეინიშნებოდა შიდა ქართლში. მწარმოებელი ძალის გაზრდასთან ერთად, მტკიცდება სახელმწიფოს ეკონომიკა, იზრდება, როგორც ნატურის, ისე ფულადი ბეგარა-გადასახადების მოცულობა,რაც დრო გადიოდა იმდენად გარდაუვალი ხდებოდა ქვეყნის მეურნეობრივი გაძღოლის სისტემის ახალ რელსებზე გადაყვანა. ამ მხრივ განსაკუთრებით მოუწესრიგებლობა სუფევდა მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის სისტემაში. XIX ს. 80-ია წლებში აღმ. საქართველოს სახელმწიფო გლეხები კომლზე საშუალოდ ფლობდნენ 17 დეს. მიწას, სადაც ბაღ-ვენახსა და სახნავ-სათესს ეკავა 6 დესეტინა. მიწის ფონდი არათანაბრად იყო აგრეთვე განაწილებული სოფლებს შორის. მაგალითად, 932 სახაზინო სოფლიდან 11 სულს არ გააჩნდა სახაზინო სანადელო მიწა, 213 სოფელში კომლზე მოდიოდა 0,5-დან 5 დესეტინამდე, 193 სოფელში – 5-10 დეს. და ა.შ.[470] ამასთან, გლეხობის

[469] იქვე, გვ. 189.
[470] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 349.

სხვადასხვა ფენას შორის არსებობდა ერთობ დიდი კონტრასტი. იწყება ე.წ. მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია, რომელიც საგრძნობლად დააჩქარა საგელხო რეფორმამ, თუმცა მამულების რაციონალურად მოწყობას საკმაოდ აფერხებდა საგვარეულო მიწათმფლობელობა და მიწების გაუმიჯნაობა. საბაზრო პროდუქციას ძირითადად მსხვილი მემამულეები იძლეოდნენ, ხოლო მცირემიწიან თავადაზნაურთა მეურნეობების ამ მხრივ შემოსავალი ერთობ მცირეს წარმოადგენდა. ამ და სხვა გარემოებათა გამო, მომდევნო პერიოდში მარცვლეულის ბაზრისთვის წარმოებას აზრი ეკარგება და ორიენტაცია იქნა აღებული მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მეთამბაქოებისა და სხვ. ტექნიკური კულტურების წარმოებისაკენ. ამგვარად, სოფლად იწყება კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების ძირითადი მიმართულებანი.

ქვეყნის ბუნებრივი პირობების შესაბამისად, უძველესი დროიდანვე არსებობდა ურთიერთ განსხვავებული ზონები, რომელიც შემდგომში მეცნიერულ საფუძველზე დაფუძნებით, მდიდარი ტრადიციების გათვალისწინებით დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დარგების ინტენსიური განვითარება. ამის ნათელი მაგალითია ვახუშტი ბატონიშვილის გამოკვლევა, სადაც სხვა დიდმნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად განსაზღვრულია მთის, ბარისა და მათ შორის გარდამავალი ზოლისათვის დამახასიათებელი დარგების განვითარების შესაძლებლობანი.

ამ მხრივ, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, ვახუშტი ბატონიშვილს შესწავლილი აქვს თეძამ-კავთურას ხეობაც, სადაც მისთვის ჩვეული მიდგომით ზონალობის — მთა-ბარობისა და გარდამავალი ზოლისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ეკონომიკური მონაცემები. ამდენად, ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ამ ზონის სოფლის მეურნეობისათვის ოდითგანვე დამახასიათებელს წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. მიწათმოქმედების დარგებს შორის ყოველთვის ჭარბობდა მარცვლეული კულტურების წარმოება, რომლის ფართობი რეფორმის შემდგომ ხანებში ტყეებისა და სათიბ-საძოვრების ხარჯზე კიდევ უფრო იზრდებოდა. აქ წამყვანი კულტურებიდან ჭარბობდა ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდი და ლობიო. მესაქონლეობიდან მსხვილფეხა პირუტყვი,

რომლის წარმოება უშუალოდ იყო დაკავშირებული არამარტო პროდუქციის მიღებასთან, არამედ გამწევ ძალასთან რის გარეშეც მიწათმოქმედების მაღალი დონე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, თუ მეცხოველეობა მთიანი ზონის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად ითვლებოდა, მთის ძირისა და ბარის ზონებისათვის იგი წარმოადგენდა დამხმარე დარგს. საერთოდ კი, კერძოდ შიდა ქართლის პირობებში, მეცხოველეობის დარგის სათანადო განვითარების ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა სათიბ-საძოვრების ნაკლებობა და ბუნებრივია პირუტყვის გამოზამთრება.

შესაბამისი დარგის სპეციალისტები, საქართველოს კულტურულ მცენარეთა გავრცელების ზონალობისას ცალკე გამოყოფენ მემიდვრეობისა და მესაქონლეობის სარტყელს, სადაც თრიალეთის ქედის დახასიათებისას იგი მემინდვრეობის შესანიშნავ ველად მოიხსენიება, რომლის გავრცელების არიალი 1400 მ. სიმაღლიდან ვიდრე 2000 მეტრამდე ვრცელდება. ასეთ პირობებში, ბუნებრივია თავის მეურნეობრივ ადგილს იკავებს ამ ქედის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი თეძამ-კავთურას ხეობა, რომელსაც ქართლის ვაკის საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია. „ხევი ხოვლესი არს ვენახოვანი ხილიანი და ნაყოფიერი ნიჩბისის დასავლით ხევი კავთისა ქვათახევამდე ვენახოვანი, ხილიანი“ — აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი.

საქართველოში მინდვრის კულტურების ზონალობაც, ისტორიულად საკმაოდ მკაფიოდაა გამოსახული აკად. ნ. კეცხოველის შრომებშიც, რომელიც ალმ. საქართველოს ამ ტერიტორიას წარმოგვიდგენს მემინდვრეობის ტიპიურ ზონად, სადაც ხვნა-თესვა ძველთაგანვე ქართველი ხალხის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო და მომავალშიც მნიშვნელოვნ დარგად დარჩებაო. ამიტომ, შემთხვევითი როდია, როცა საქართველო მრავალი ხირბლეულის და, კერძოდ, წმინდა პურების სამშობლოდაა ცნობილი. მისივე სიტყვით, ძველთაგანვე ქართლის ვაკეზე და არა მარტო ქართლში, მამულ-დედული დახარისხებული იყო მათი გამოყენებისა და შესაძლებელი ათვისების მიხედვით. იყო ნაკვეთი სავენახე, საბოსტნე, საბაღე, სახნავი, სათიბი და სხვ. მეტად ფასობდა სავენახე და საბოსტნე

ვიდრე სახნავ-სათესი ან სათიბ-საძოვარი.[471] კავთურას ხეობაში, კერძოდ კავთისხევის ვაკე უბანზე ითესებოდა თეთრი დოლის პური, ხოლო შემაღლებულ ადგილებზე წითელი დოლის პური. ამასთან, ხეობა ითვლებოდა მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობისა და მებოსტნეობის მხარეთაც. რამდენადაც მრავალწლიან ნარგავებს შორის მევენახეობა ძველთაგანვე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა, ამდენად, იმ მრავალრიცხოვან ვაზის ჯიშებს შორის ადგილობრივიც მოიხსენიება. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ქართლში დამოწმებული 45 ჯიშიდან, თეძამ-კავთურას ხეობაში უმთავრესად გაერცელებული იყო: ჩინური, გორული მწვანე, ღრუბელა, მწვანე, ბუდეშური, თავკვერი, შავკაპიტო, ატენური, გორული, საფერავი, ღრუბელა მეტეხური და სხვ. აქაური ღვინოები ცნობილია თავისი სიმჭატით და ევროპულს ემსგავსება. მევენახეობა-მეღვინეობა ოდითგანვე ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ დარგად რომ ითვლებოდა მეტყველებს შესაბამისი საგადასახადო სისტემაც. გარდა იმისა, რომ ვენახის შემოსავალზე კულუხი გადაიხდებოდა, ყმას ევალებოდა მებატონისათვის ვენახში მუშაობა, ქვევრის რეცხვა, მარნის მოწყობა და სხვ. „ასე რომა გაგათარხნეთ და წყალობა გიყავით: არა ჩვენი არა სახელმწიფო სათხოვარი, არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზვარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხვა გევალებოდეს".[472] ამავე გარემოებაზე მეტყველებს დოკუმენტი: „ჯავახიშვილთა დაგიმტკიცეთ სოფელი ავკვეთი და იის ციხე. და ასრე, ხელშეუხებლად გვიბოძებია, რომე ჩვენგან არ ეთხოვებოდეს საჯინიბო არა ახორსალართა, არა ბაზიერთა, არასაელნო, არა ციხის მუშაობა და ზუართა მუშაობა, არასთანა შემოსაწერი და სათხოვარი არა ეთხოვებოდეს, არა გორული და ატენური, ყოვლის სათხოვრისაგან ზემოხსნილი გვიბოძებია".[473]

---

471 ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 139.

472 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.

473 საქართველოს სიძველენი, ექე. თაყაიშვილის რეადქციით, ტ. II, თბ., 1990, გვ. 78.

ვენახის, ხეხილის, ბოსტნეულის ოდითგანვე ინტენსიური განვითარება, უპირველესად მიწის სიმცირისა და ბუნებრივი პირობების შედეგს წარმოადგენდა, რამდენადაც მიწის მცირე ფართობზე ხვნა-თესვა შეადრებით არახელსაყრელი იყო. თუმცა იმ აუცილებელი მინიმუმის წარმოება გარკვეულ ხანებში გარდაუვალსაც წარმოადგენდა. საზოგადოების განვითარებისა და შესაბამისი პოლიტიკური სიტუაციების შედეგად, მიწის ფართობების მოცულობა საწარმოო კულტურების მიხედვით მერყეობდა. ფართობების დაქუცმაცებას განაპირობებდა მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის პროცესები, მათი ადგილმონაცვლეობა და თავისთავად დიდი ოჯახების დაშლა-გაყრა. ამიტომ საქართველოში ამ და სხვა გარემოებათა გამო ხშირად მიმდინარეობდა მათი ხელახალი გამსხვილება-შეყრა.

საქართველოს სინამდვილეში, დიდი ოჯახების ტრადიცია, სხვა მრავალ ფაქტორთა შორის განპირობებული იყო სამიწათმოქმედო კულტურის მაღალი დონით, სადაც ძირითადად შეუძლებელი იყო ნიადაგისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავება-წარმოება გაერთიანებული შრომის გარეშე, რის გამოც ამ მიმართებით, სხვადასხვა მეთოდები და ხერხები იყო დამკვიდრებული. მუხრანისა და აშურიანის ველების მსგავსად, თეძამ-კავთურას ვაკე ადგილები მტკვრის მარჯვენა ნაპირის აუზის ჩათვლით ხორბლის, ქერის, სიმინდისა და სხვ. მარცვლეული კულტურების წარმოების კარგ პირობებს ქმნიდა. თუმცა აქაური სარწყავი ადგილები თავისი სიმძიმით გამოირჩევა, სადაც ოდითგანვე მნიშვნელოვან ეფექტს იძლეოდა და მისი გამწევი ცოცხალი ძალა 8-12 უღელი ხარ-კამეჩით განისაზღვრებოდა. ამგვარ ადგილებში ხნულის დასამუშავებლად ფართოდ იყენებდნენ ხის კაბდოს, ფარცხს, საკვალავ გუთანს, სადაც 1-2 უღელი ხარ-კამეჩი იბმოდა და სხვ. ფართოდ იყენებდნენ ნიადაგის დასვენების ე.წ. ერთმინდვრიან, ორმინდვრიან და სამინდვრიან სისტემასაც კი. მოსახლეობის ძირითადი-სარჩო-საბადებელი ხორბალი იყო, რომელიც იცვლებოდა სხვადასხვა საოჯახო მოთხოვნილების საგნებზე და საკვებზე. მისი საბაზროდ წარმოება, ისიც ნაკლებად XIX ს. II ნახევრიდან იწყება, რომელსაც მსხვილი მემამულეები მიმარ-

თავდნენ. ამ პროცესმა თანდათან ფეხი მოიკიდა შეძლებულ გლეხობაშიც და იგი იქცა ერთ-ერთ ძირითად საბაზრო პროდუქტ-ნედლეულად.

1885 წ. აღმ. საქართველომ ევროპაში გაიტანა პური და ქერი — 506 526 ფუთი; 1886 წ. 1,161 378 ფუთი და 12887 წ. 589 859 ფუთი.[474] მომდევნო პერიოდში პურისა და ქერის ექსპორტი თითქმის მთლიანად შეწყდა, რადგანაც ის ადგილობრივ მოხმარებასაც კი ვეღარ აკმაყოფილებდა. როგორც ჩანს, ხორბლისა და ქერის წარმოებების მეტნაკლები შემცირების ერთ-ერთი მიზეზი მრავალწლიანი, უფრო რენტაბელური კულტურების ფართობების გაზრდით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, 1896 წ. აღმ. საქართველოს მოსახლეობამ შიდა ბაზარზე — ქალაქებსა და დაბებში გაიტანა 2,2, მლნ. ფუთი მარცვლეული,[475] სადაც თავისი მოკრძალებული წვლილი საკვლევი რეგიონის მოსახლეობასაც გააჩნდა.

საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ჩანასახი ჯერ კიდევ XIII-XVIII ს. მიჯნაზე ემჩნეოდა, რაც პირველ რიგში მამულებისა და ყმების ყიდვა-გაყიდვის გააქტიურებაში გამოიხატებოდა. ამ ურთიერთობაში თავადაზნაურობასთან ერთად გლეხთა გარკვეული კატეგორიაც ერთვოდა. გლეხი პაპუნა დოქიძე XVIII ს. დამდეგს ხდება კათალიკოსისა და სვეტიცხოვლის ყმა, რომელიც მანამდე საუფლისწულო ყმა იყო და ისე დაწინაურდა, რომ როგორც ეკონომიკური, ისე უფლებრივი მონაცემებით აზნაურს უტოლდებოდა. მას 1712-1719 წლებში ნასყიდობით საკმაო მიწები და ვენახი შეუძენია. მასვე, მომდევნო წლებში ფარემუს ჯავახიშვილისაგან უყიდია ყმა — ყარაღაჯელი ესტატე ბაინდურასვილი, ხოლო ზაზა აბაშიძისაგან მეტეხელი ბერია ტყაპუნაშვილი, ზაალ ყანჩელისგან ახრისელი დათუნა კალატოზიშვილი. 1772 წ. კიდევ ყიდულობს ვენახს, ზაზა აბაშიძის ყმების აბრამიშვილებისგან წისქვილს და მიწებს. შემდგომში კიდევ ყიდულობს 2 დღის მიწას, ყარაღაჯში ყმას, ასატურაშვილს ზურაბს თავისი მამულით, კიდევ ყიდულობს გრაკალის თავს 12 დღის ხოდაბუნს და სხვ. მიწებს ამავე წელს

---

474 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 332.
475 იქვე, გვ. 332.

როინ ჯავახიშვილმა მიყიდა პაპუნას თავისი მკვიდრი ყმა მიხანაშვილი ბერი თავისი მამულით. 1799 წ. ბარამ მაღალაშვილისაგან ყიდულობს — სამამამთავაროს და სხვ.[476]

ამავე პერიოდის ერთი საბუთი იტყობინება, რომ გიორგი XI თავის ჰამშა ქეშიკს, დაწინაურებულ გლეხს შანშე გლურჯიძეს ყოველწლიურ ჯამაგირს უნიშნავს, რომელსაც ძირითადი სამემკვიდრეო მამული ქართლის შუაგულ სოფ. სასირეთსა და მის მახლობლად ჰქონდა. ხოლო შანშე გლურჯიძის შვილებს, რომლითაც თავისსა და მამამისის ნამსახურ ყმებს უწოდებს, სასირეთის ყმა-მამულს აძლევს. შემდეგ ესენი თავიანთ დიდ მამულებს ახალქალაქად ოსეფა როსტევანიშვილზე ყიდიან; სოფ. კავთისხევში ნოყიერ მინდვრებს ფლობდნენ და მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ გაბრიელ, თომა და დიმიტრი შიხაიდრიშვილები, რომელთაც 200 დღიურ სახნავი მიწა გააჩნდათ და ა.შ.[477] ისე, რომ საკვლევ რეგიონში, სამიწათმოქმედო კულტურა, კერძოდ მარცვლეულის წარმოება იმდენად მაღალ დონეზე მდგარა, რომ იგი ერთ-ერთ ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა და ბუნებრივია საბაზრო დანიშნულებისათვისაც გამოიყენებოდა.

თეძამ-კავთურას ხეობისათვის, ისევე როგორც შიდა ქართლის მევენახეობის მიკროზონებისთვის ძირითადად დამახასიათებელს წარმოადგენდა ყურძნის საღვინე ჯიშები, რომელსაც დაბლარი სახით აშენებდნენ. ვენახის ფართობი სწორი დაგეგმარებით იყო მოწყობილი. ფართობის ბუნებრივი მდებარეობის შესაბამისად ზოგჯერ ოთხკუთხა, ზოგჯერ გრძელი განიერი და ა.შ. სადაც გაშენებული ვაზი ძირითადად არეული სახით იყო წარმოდგენილი, თუმცა გაშენებისას იგი მწკრივად ირგვოდა, რომელიც თანდათანობით მისი გაახლება-გაახალგაზრდავებით, ანუ გადაწვენის შემდეგ მწკრივი ირღვეოდა, ვენახი უფრო ხშირი ხდებოდა და ამდენად საბოლოოდ არეულ სახეს ღებულობდა. ამასთან, ფართობის მომჭირნეობით გამოყენების მიზნით, ხშირად შიგ ლობიოს, ან ბოსტ-

---

476 გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII ს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 132.

477 იქვე, გვ. 50.

ნეულსაც თესავდნენ. ასეთ პირობებში ბუნებრივია ვენახის მოსავლიანობა კლებულობდა და ამასთან მისი დამუშავებაც ერთიორად შრომატევადს წარმოადგენდა.

XVIII-XIX სს. მევენახეობის განვითარება ფაქტობრივად ახალ ფაზაში შედის, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ახალ საბაზრო მოთხოვნილებებში. საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე ღვინოზე, არაყზე მოთხოვნილება ერთიორად იზრდება. ქართული ღვინოები მეტ-ნაკლები ოდენობით შედის ევროპის ბაზარზე. საქართველო, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანა ცნობილი ხდება მეღვინეობით განთქმული სახელმწიფოებისთვისაც.

მეხილეობა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომელიც მნიშნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკაში. ამ დარგის განვითარების ინტერესი კიდევ უფრო იზრდება XIX-XX საუკუნეებში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ქვეყნის შესაბამისი რეგიონების სოფლის მეურნეობის წარმოებაში იგი იკავებს წამყვან ადგილს და თავისი ინტენსივობით გამოირჩევა. მას შემდეგ რაც ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომხმარებელთა არიალი იზრდება მის საზღვრებს გარეთაც, ადგილობრივმა გლეხობამ და პირველ რიგში მსხვილმა მემამულე თავადაზნაურობამ ხელი მიჰყო არა მარტო ძველი, ენდემური ჯიშების სრულყოფა-გამრავლებას, არამედ ევროპულ ყაიდაზე ბაღების მოწყობასაც და შესაბამისად ნერგების შემოტანასაც. აღნიშნული პროცესი კი უმთავრესად აქტიურობას იძენს XIX ს. II ნახევრიდან და მოკლე ხანში ქართული ხილი დიდ წარმატებებს აღწევს მსოფლიო გამოფენებზე. ისე, რომ XIX ს 80-90-იანი წლებისათვის ხილის ბაღების ფართობმა საქართველოში 12 ათას დესეტინას გადააჭარბა.

როდესაც თეძამ-კავთურას ხეობაში მაღალგანვითარებულ მიწათმოქმედებაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია თავისთავად იგულისხმება მეცხოველეობის დონეც. მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მაღალპროდუქტიული დარგია, რომელიც ადამიანს საკვებთან და მისგან მოხმარების სხვადასხვა საგნების წარმოებასთან ერთად განსაკუთრებული ადგილი გამწევი ძალის გამოყენებაში გამოიხატებოდა. ამიტომ, საქართვე-

ლოს ყველა რეგიონში მეცხოველეობა მეტ-ნაკლები განვითარებით არის წარმოდგენილი. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მდიდარი მხარეა, თეძმკავთურას სანახები, სადაც ბუნებრივი პირობები სათანადო შესაძლებლობებს ქმნის მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამიტომ, ოდითგანვე ძნელად თუ მოიძებნებოდა ოჯახი, რომელსაც ერთი ან რამოდენიმე მეწველი ძროხა, ან ხარ-კამეჩი, თხა და ცხვარი არ ჰყოლოდა.

ხეობის ზედა-მთიან ზოლში, მეცხოველეობის განვითარების კარგი შესაძლებლობები არსებობდა. მოსახლეობის სიმჭიდროვისა და ამ პროდუქტებზე შესაბამისი მოთხოვნილებების მიხედვით, აქ ყოველთვის იწარმოებოდა აგრეთვე ჭარბი-საბაზრო პროდუქტი. რის საშუალებასაც თრიალეთის ქედის სათიბ- საძოვრები იძლეოდა. უფრო მეტიც, ამ ხეობის ზედა წელის სათიბ-საძოვრებს სეზონურად შიდა ქართლის გაღმა მხარის ვაკის მოსახლეობაც კი იყენებდა. ასეთი ურთიერთკავშირები მნიშვნელოვნად აბალანსებდა მოსახლეობის ვერტიკალურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, საქონელ-წარმოებისა და მიმოქცევის გაფართოების პირობებს, სავაჭრო და სავახშო კაპიტალის დამკვიდრებას და სხვ. რომელიც გამოიხატა მრავალრიცხოვან მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის გაჩენაში. ის ფაქტი, რომ გლეხი საკუთარ მიწაზე გაცილებით მონდომებით შრომობდა და ყოველმხრივ ცდილობდა მეურნეობის თავისებურად მოწყობა-გაუმჯობესებაზე კიდევ უფრო აქტიურად გამოიკვეთა.

კაპიტალიზმის შეჭრამ სოფელში და ცოტა უფრო ადრეც, გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია გამოიწვია. მამულების ყიდვა-გაყიდვამ საქართველოში მოამრავლა შეძლებულ გლეხთა რიხვი, რომელთაც 40-50 დესეტინაზე მეტი მიწა გააჩნდა, რასაც თან სდევდა უფლებრივი აღზევება-დაწინაურებაც. ისინი ღებულობდნენ თარხნობას, აზატობას, გადადიოდნენ მსახურის კატეგორიაში, ანუ აზნაურულ თვისებებს უახლოვდებოდნენ. ყველა ესენი კი ძირითადად იყვნენ აზნაურთა წოდების შემავსებელი რეზერვი. თუმცა XIX ს. I ნახევარში რუსეთის ცარიზმმა თანდათან გააუქმა მათი — ზემოაღნიშნულ გლეხთა პრივილეგიები და ამით დაბალი წოდებიდან თავად-აზნაურთა ე.წ. „დანაგვიანების“ პროცესი შეაჩერა.

ამასთან ერთად, მდიდარი გლეხი წარმოუდგენელი იყო მუშა პირიტყვისა და სამეურნეო ინვენტარის გარეშე, რითაც იგი თავის მამულს ამუშავებდა და ხშირად ქირაზეც გაჰყავდა. თუმცა XIX ს. 80-იან წლებში გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნდა არცერთი უღელი ხარკამეჩი და ქართული ან ქარხნული გუთანი. სოფლად ფეხს იკიდებს ვაჭარ-მრეწველთა კაპიტალისტური მეურნეობები, ყალიბდებოდა მესამე წოდების ზედა ფენის ბურჟუაზიულ კლასად ფორმირება, რომელთა მიზანს მარტო ვაჭრობა და შინა მრეწველობა კი არ წარმოადგენდა, არამედ მიწათმფლობელობაც და ამ გზით ფულადი კაპიტალის სოფლის მეურნეობაში დაბანდება. აღნიშნული პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა განსაკუთრებით XIX-XX სს-ის მიჯნაზე. არათავადაზნაურული წარმოშობის კერძო მესაკუთრენი ფლობდნენ 500 და ათას დესეტინა მიწას მთელი კერძო მესაკუთრული მიწების (გლეხთა მიწების გამოკლებით 25%) უმრავლესობა წვრილი მფლობელი იყო.[478] ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს მოსახლეობის 84,7% ცხოვრობდა სოფლად და მისი 70% სოფლის მეურნეობაში და ხე-ტყის სარეწებში იყო ჩაბმული.

XX ს. 30-იანი წლებიდან, სოციალისტური სისტემის შედეგად მოხდა მიწის ნაციონალიზაცია, შეიქმნა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, კვლავ შეიზღუდა მწარმოებელი გლეხის უფლებები, ფაქტობრივად გაუქმდა მიწის კერძო საკუთრება და გლეხი მიეჯაჭვა საზოგადოებრივ მეურნეობას, მან დაკარგა მიწის მაღალ დონეზე განვითარების ინტერესი და სხვ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შიდა ქართლის სულიერი კულტურის ერთ-ერთ ძლიერ სამწყსოს წარმოადგენს თეძამ-კავთურას ხეობა, სადაც შემორჩენილია ქრისტიანული მემკვიდრეობის ერთობ მდიდარი მატერიალური კულტურის ძეგლები. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ანტიკური ქართლის სახელმწიფოში, შეინიშნებოდა პროდასავლური ბუნებისაკენ სწრაფვა, სადაც IV საუკუნიდან ყალიბდება ფეოდალური ურთიერთობანი, რასაც ხელი შეუწყო 30-იან წლებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, რომელმაც უდიდესი როლი შეა-

[478] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 366.

სრულა ქვეყნის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობაში. ერთხანს, კერძოდ, VI საუკუნის შუა წლებიდან დაწყებული სასიკეთო ძვრები მნიშვნელოვნად შეაფერხა არაბთა ბატონობამ, რომლის განსაკუთრებული სიმწვავე ქართლის შიდა რაიონებს დაატყდა. X ს. I ნახევრიდან აღზევებას იწყებს ქვეყნის ცალკეული რეგიონები, რომელიც მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთშერწყმის განმტკიცებასა და აღორძინების შედეგად მიმდინარეობდა. როგორც ითქვა, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოიქმნა ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა" ცენტრით უფლისციხეში და ამავე რეგიონის მარჯვენა სანაპიროზე მეორე „ქვეყანა" ცენტრით ატენი და ამრიგად პირველი მათგანი იქცა პოლიტიკურ, ხოლო მეორე სულიერი კულტურის ცენტრად.[479]

ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა რეგიონების შესაბამისად, თეძამ-კავთურას ხეობის აუზში ქრისტიანობის გავრცელებამ განსაზღვრა როგორც მისი პოლიტიკური, ისე სულიერი და ზოგადად მაღალგანვითარებული საზოგადოების ადგილი და როლი ქვეყნის სამომავლო აღორძინებაში. მომდევნო პერიოდებში, კერძოდ X-XIII ს. 20-იან წლებამდე, როდესაც ქართული კულტურა მძლავრი აღმავლობით ხასიათდება, ვითარდება საერო ლიტერატურა, ფილოსოფიური აზროვნება, ხუროთმოძღვრება, მონუმენტური მხატვრობა, ჭედურობა, ხელნაწერთა მხატვრული შემკობა, ქვაზე კვეთა და სხვ. განსაკუთრებულ ადგილს იჭერს საკულტო ნაგებობათა კომპლექსების შექმნა. ამ პერიოდების მიჯნაზე, თეძამ-კავთურას ხეობის სანახებში აშენდა ისეთი მონუმენტური ნაგებობები როგორიცაა: ქვათახევისა და ყინწვისის ტაძრები, მეტეხისა და ერთაწმინდის დიდებული ეკლესიები, სხვილოსა და ცხირეთის საკულტო-საფორტიფიკაციო ნაგებობები და სხვ.

აღნიშნული ტენდენცია მეტ-ნაკლებად მომდევნო პერიოდებშიც მიმდინარეობს, სადაც ხეობა კვლავ ერთ-ერთ პოლიტიკურ-კულტურულ მემკვიდრეობას ინარჩუნებს, რაზეც მეტყველებს ფეოდალთა საკულტო-სასულიერო და თავდაცვითი ნაგებობების ციხე-გალავნების, საგვარეულო და სახელობითი ეკლესიების მშენებლობები. XVI ს. სოფ. ნოსტეში და

---

[479] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 625.

წინარეხში შენდება სააკაძეებისა და მაღალაშვილების მდიდრულად ნაგები არქიტექტურული კომპლექსები და სხვ.

ხეობას, რომელსაც სხვადასხვა პერიოდებში ერისთავთ-ერისთავი, თარხანმოურავები (სააკაძეები), მაღალაშვილები, ჯავახიშვილები და სხვ. მებატონეები განაგებდნენ, როგორც ითქვა, თავისი ბუნებრივ-ეკონომიკური სიმდიდრით და პოლიტიკური მნიშვნელობით გამოირჩეოდა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ მაღალი გემოვნებით აშენებული ცხირეთის სასახლე, მეფეთა დასასვენებლად ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად ითვლებოდა, რომელიც თავდაცვით ნაგებობასაც წარმოადგენდა. „და არს ადგილი შემკული, ზაფხულს გრილი, ზამთარ თბილი; გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალნი... არს თეძამზედ ახალქალაქი. ამის ზეით ეკლესია გუნბათიანი, ერთაწმინდისა, სასაწულმოქმედი, აღმოსავლით არს ციხე ცხირეთისა, ნასასახლევი მეფეთა“ — წერს ვახუშტი ბატონიშვილი.

ქართლის დასახლების ფორმისა და შინაარსის შესაბამისად, თეძამკავთურას ხეობა წარმოდგენილია მოსახლეობის მჭიდრო განაშენიანების სახით. შენობა-ნაგებობანი უმთავრესად შემოუზღუდავია და საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსი ცალკეული უბნების სახითაა განლაგებული საერთო ხატ-სალოცავებით. ხატ-სალოცავები და საერთოდ ფუნდამენტური მართლმადიდებლური შენობა-ნაგებობები ძირითადად სოფლის განაპირა, ყოველმხრივ დაცულ გარემოში იყო წარმოდგენილი. აღნიშნული ადგილები ადვილად იტევდა დღეობათა კალენდრის მიხედვით მოსულ მოზღვავებულ მრევლს. ამასთან ერთად, ქრისტიანული იერარქიის მიხედვით, ეკლესია-მონასტერთა შორის თავისი ძალითა და მნიშვნელობით ცალკეულ რეგიონებში პრიორიტეტული ადგილი ჰქონდა მიჩენილი ამა თუ იმ სალოცავს, რაც ისტორიულად მომდინარეობდა. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით კარგად იყო გამოკვეთილი მოსახლობის მიგრაციული მოვლენების ფონზე, როდესაც მისი ერთი ნაწილი შესაბამისი პოლიტიკური და სულიერი პირობების გამო იძულებით იხიზნებოდა ქვეყნის სხვა რეგიონებში. ასეთ პირობებში დროებით ან მუდმივად გახიზნული მოსახლეობა არ ივიწყებდა მის პირველ საცხოვრისს, მამა-

პაპეულ ადგილებს, ხატ-სალოცავებს და შესაბამისი კალენდარული ციკლის მიხედვით სათანადო რიტუალს მიაგებდა. ამ მიზნით, ხატ-სალოცავების მიმდებარე ტერიტორიაზე ცალკეულ ოჯახებს და საგვარეულოს სახელზე ღვინით სავსე ქვევრებიც გააჩნდათ. სწორედ ამ და სხვა მოვლენებიდან კარგად ჩანს საქართველოში მართლმადიდებლური მოძღვრების სიძლიერე, რამდენადაც მიუხედავად არაერთგზის რთული პოლიტიკური და სოციალური პირობებისა, თავიანთ ფუნქციას მაღალ სულიერ დონეზე მოძღვრავდა: მარიამ ღვთისმშობლის, წმ. გიორგის, სამების, სიონის, ლომისის, მთავარანგელოზისა და სხვა მრავალი ხატ-სალოცავის მღვდელ-მსახური.

ი. გოგებაშვილი წერს: „არცერთ წოდებას არ აქვს ისეთი ახლო ურთიერთობა და მჭიდრო კავშირი ხალხთან, როგორც სამღვდელოებას ეკლესიის წარმომადგენლები განუყრელად ცხოვრობენ ხალხში და ყოველი ქრისტიანი კაცის ცხოვრებამ, აკვნით დაწყებული კუბოს ფიცრამდე, უნდა გაიაროს მათ ხელში და შეიძლება ეს გავლენა მართოდენ სულიერი სფეროთი შემოიფარგლოს, როდესაც ეკლესიის მოძღვარს შეაქვს ცვლილება ხალხის წარმოდგენებსა და ზნეობრივ ჩვევებში, ამასთან არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც, ვინაიდან რაც უფრო მტკიცეთ იცავს ხალხი წმინდა ქრისტიანული ზნეობის წესებს, მით უფრო მეტი იქნება წესიერება და რელიგიურობა მის ცხოვრებაში და მით უფრო მაღლა უნდა იდგეს მისი მატერიალური კეთილდღეობა“.[480]

მდ. თეძამის ზედა წელის მარცხენა მხარეს, სოფ. ჩაჩუბეთთთან, ანუ სოფ. რკონის ნასოფლარზე, მდებარეობს ცნობილი რკონის მონასტრის კომპლექსი, რომელიც საუკუნეების მანძილზე შენდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა (VII-XIII და XIV სს.), აქ დღესაცაა წარმართული დროისათვის დამახასიათებელი გარკვეული ელემენტები, რომელიც მთელი საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. ასეთთა შორისაა რკონის სინამდვილეში ე.წ. „ნატვრის ხის“ სალოცავი, სადაც ამ შემთხვევაში ცაცხვის ხეა წარმოდგენილი, რომელზეც ნაირნაირი ფერის ქსოვილის

[480] ი. გოგებაშვილი, თხზ. თბ., 1952, გვ. 123.

ნაჭრებია ლოცვით შეწირული. რკონის კომპლექსის მძლავრ სასულიერო კერად და საერთოდ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ, გარკვეულ წილად პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო XII-XIII სს. აქ გამავალმა სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიულმა გზამ, რომელიც შიდა ქართლს საქართველოს სამხრეთ პროვინციებთან, ჯავახეთთან, თრიალეთთან და შემდეგ სომხეთის გავლით ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებდა, რაც გამოიხატებოდა ამ შემთხვევაში მონუმენტური სასულიერო და თავდაცვით ნაგებობათა კომპლექსების მშენებლობაში და სხვ. რკონის მონასტრის კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის ტაძარი ამ მხარეში ყველაზე დიდ სალოცავად ითვლებოდა, სადაც განსაკუთრებით მლოცველთა ხალხმრავლობა აღინიშნებოდა მარიამობის დღეობისას (28 (15) აგვისტო), რაშიც ქართლის მთელი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. ამდენად, მლოცველთა ნაკადი ჩარდახიანი — ნოხებხალიჩებით გადახურული ურმებით მოედინებოდა, რომელთაც ღამისთევისათვის მოჰქონდათ ხორაგ-სანოვაგე, მოჰყავდათ შესაწირავად შეთქმული კურატები, ცხვრები, ქათმები, გამომცხვარი ქადები, ღვინო-არაყი, სანთლები, ფული. მლოცავი იმის მიხედვით მოქმედებდა, როგორც ის სალოცავს წინასწარ შეუთქვამდა-შესთხოვდა. ქალები უმრავლეს შემთხვევაში სალოცავამდე ფეხშიშველი მიდიოდნენ, ტაძარს ფეხშიშველი შემოუვლიდა, რამოდენიმეჯერ თან ბამბის ძაფს შემოავლებდა, კუთხეებს დაუკოცნიდა და სანთლების დანთებით ლოცვას აღავლენდა. რკონის მონასტრის მიმდებარედ მდგარ „ნატვრის ხის“ შესახებ ს. მაკალათია წერს: „მონასტრის მახლობლად, ტყეში დგას დიდი ცაცხვი, რომელსაც ტანი და ტოტები შეტრუსული აქვს დანთებული სანთლებისაგან. მის ძირში მიყუდებულია მოზრდილი ფიქალქვა, რომელიც დაავადებულ ვინმე მალაციძეს შეუწირავს. მასზე ტოტებგაშლილი ხეა ამოკვეთილი წარწერით: „ცაცხვის წმ. გიორგის ხე“, რომლის მარცხნივ, გამოსახულია ქალის ფიგურა ქოლგით ხელში წარწერით: „დედა ღვთისმშობელი“. მასთან სალოცავად მოჰყავდათ უმთავრესად ბავშვები, რომელთაც პირველად შეკრეჭდნენ თმას და აქ ტოვებდნენ. ცაცხვს ჯავახიანთსაც უწოდებენო“.

მდ. ხეხმელას შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხევი ხოვლესი გამოზდის რაზმითის მთას“, სადაცა მდებარეობს ერთ-ერთი დიდი სოფელი ხოვლე. აღნიშნული სოფელი ცნობილ ისტორიულ პიროვნებას კახა ერისთავ-ერისთავს ეკუთვნოდა, რომლის რეზიდენცია ახალქაალქი იყო. სულის სახსენებლად 1259 წ. სიგელის მიხედვით ხოვლე უყიდია და რკონისმონასტრისთვის შეუწირავს. აღსანიშნავია, რომ მასვე აუშენებია შესანიშნავი საორბისის ტაძარი 1152 წ., ამგვარად, ხოვლე შეადგენდა რკონის საკუთრებას, სადაც შემდგომში თეძმის ხეობიდან გადმოსახლებულან ჯავახიშვილების გვარი. ისტორიულად სოფელი რომ ერთობ დიდი ყოფილა, მიუთითებს მის მიმდებარე ტერიტორიაზე ნასოფლართა სიმრავლე, სადაც უბნების მიხედვით დაფიქსირებულია 12-მდე საგვარეულო სალოცავი, ეკლესია. მათ შორის: მაცხოვარი, კვირიკე წმინდა, თევდორე, ისციხის წმ. გიორგი, ავკვეთის წმ. გიორგი, ღვთისმშობელი, ნათლისმცემელი, პეტრე-პაველე, წმ. მარინე, წმ. ნინო, ნინიაანთ წმ. გიორგი და კვართის ეკლესია. თავისი სიძლიერით, მონუმენტურობით და არქიტექტურობით გამოირჩევა ქვათახევის მონასტრის კომპლექსი, რომელიც თავდაპირველად დედათა მონასტერი ყოფილა და შემდეგ მამათა მონასტრად გადაუკეთებიათ. მონასტერი XII-XIII სს. მიჯნით თარიღდება. ქვათახევი ეს ის მონასტერია, რომელიც თემურ-ლენგმა მეექვსე შემოსევისას (1400 წ.) სასტიკად ააოხრა და დაარბია, რომლის შესახებაც, როგორც ადრეც აღვნიშნეთ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ქვათახევს არს მონასტერი ყოვლადწმიდისა, გუმბათიანი, მშვენიერნაშენი, ზის არქიმანდრიტი და არს ადგილი შემკული, ზაფხულს შემკული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი. ამას შიგა შეჰყარა ლენგ თემურ მოწესენი და შეასხა ეჟვანი რომელნი იტყოდენ: „ვაი ჩვენი დედაბრობისა, ეს რა გვეჟღარუნებიან!“ და გამოსწვა ყოველნი ეკლესიასა შინა, და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ხელნი, ფეხნი, თავნი და გვამნი არვინ შევალ ფეხცმული, არამედ ფეხშიშველნი, სიწმინდისთვის“.

აქვეა ცნობილი საორბისის ტაძარი, აგრეთვე უბნების მიხედვით განლაგებული 12 ეკლესია, რომელთა შორის გამოირჩევა „კვართის ეკლესია“, ე.წ. „კვართის კოშკით“, სადაც გაზაფხულზე ხატობა — „კვარ-

თობა“ იმართებოდა და ქრისტიანული რელიგიის შესაბამისი რიტუალი აღევლინებოდა. ქრისტიანული დღესასწაულები სხვადასხვა სოფელში, სხვადასხვა ხატ-სალოცავებში გარკვეულ პერიოდებში ეწყობოდა, თუმცა მათ პარალელურად აღნიშვნაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მრევლის მოძრაობა რეგიონიდან რეგიონში, სოფლიდან სოფელში, უცილობლად დიდმნიშვნელოვან სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერი სიძლიერის გამომხატველს წარმოადგენდა, რომელიც საღღეისოდ ერთობ გადაუდებელ არგუმენტს წარმოადგენს. ისე, რომ ქვეყნის ტერიტორიალური გაერთიანებისა და მოწყობის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად სწორედ ხალხური სამართლებრივი და სულიერი ნორმების აღდგენაა, სადაც გადამწყვეტი სიტყვა რელიგიის მოწესრიგებას, მისადმი პატივისცემას და მორჩილებას ეკუთვნის.

როგორც ითქვა, ხეობაში არ არსებობდა სოფელი, სადაც ქრისტიანული კულტურის რამოდენიმე ძეგლი არ ყოფილიყო, რომელთა ირგვლივ წლის გარკვეულ პერიოდებში დიდი ხალხმრავლობა ეწყობოდა. ამგვარ ღღეობა-ღღესასწაულებში სმა-ჭამასთან და გართობა-თამაშობებთან ერთად, მიმდინარეობდა აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ირგვლივ მსჯელობა და მათი ერთობლივი მოქმედებით გადაჭრის გზებისა და საშუალებების ძიება. ეს ის ადგილები იყო, სადაც ისახებოდა და წყდებოდა არაერთი მეურნეობრივი თუ სხვა ყოფითი საკითხი. უმთავრესად სწორეთ ეკლესია-მონასტრების გავლენის ქვეშ, მისი სიძლიერის, მადლის და მფარველობის წიაღში მიმდინარეობდა ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაჭრა და ა.შ.

ასეთ ვითარებაში, ტრადიციული შრომითი საქმიანობისადმი გონებრივ და ფიზიკურ დამოკიდებულებასთან ერთად, ქართველ კაცს თანდაყოლილად მიაჩნდა რწმენა-წარმოდგენების ფონზე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მართვის განუხრელი კანონზომიერი მიმართულებით განხორციელება. იგი საქაოსა და საიქიოს რწმენით მართავდა და ასრულებდა ყველა იმ რიტუალს, რომელსაც დუხჭირ პერიოდშიც კი არ ივიწყებდა. მეურნე გლეხი, ხელოსანი თუ ვაჭარი თავის საქმიანობას

შესაბამისი ქრისტიანული რიტუალის შესრულებით იწყებდა და ამთავრებდა.

მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის საყურადღებოა აგრეთვე დღემდე შემორჩენილი სასაფლაოებზე მიცვალებულის კულტის ამსახველი მდიდარი მასალა, კერძოდ, საფლავის ქვებზე ხალხური შემოქმედების ნიმუშების სცენები, წარწერები, ლექსები, ორნამენტები, რომელნიც მოგვითხრობენ მიცვალებულის პროფესიაზე, მის საყვარელ ნივთებზე, ოჯახურ მდგომარეობასა და სხვა სოციალურ საკითხებზე. საფლავის ქვებზე განსაკუთრებით ჭარბობს ცხოველების გუთნეულის, გუთნის დედისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგების ამსახველი გამოსახულებები.

გამოჩენილი ისტორიკოსი, მემატიანე მკლევარი, პლატონ იოსელიანი, რომელიც XIX ს. ბობოქარ ეპოქაში მოღვაწეობდა, თანამონაწილე გახდა იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის აღორძინება-განვითარებისათვის ბრძოლაში. მან თავისი ღრმა განსწავლულობით, დაგვიტოვა ისტორიულ დოკუმენტებზე დაფუძნებული და განზოგადებული არაერთი ისეთი, მანამდე ბუნდოვნად ცნობილი ერის წარსულის ამსახველი მოვლენები, რომელიც საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. მათ შორის მის მდიდარ შემოქმედებაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნაშრომს — დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომელიც 1848 წ. გამოიცა.

რამდენადაც გიორგი სააკაძის სამშობლო თეძამ-კავთურას ხეობაა, კერძოდ სოფ. ნოსტე, რომელიც ისტორიული შიდა ქართლის განუყოფელ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცენტრს წარმოადგენდა. ამდენად, მკლევარი მკვლევარი ჩვეული გულმოდგინებით აგვიწერს და გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოგზაურობის შედეგად განიცადა. ასეთ შემთხვევაში, ისტორიული ჭეშმარიტების ფონზე, აღფრთოვანებასთან ერთად გვამცნობს იმ არასასიამოვნო მოვლენების შესახებაც, რომელიც ხეობაში მოგზაურობის დროს თვალწინ გადაშლია და რაოდენ საყურადღებო და სამაგალითოა ის ფაქტი, როცა მისი ძირითადი მიზნის — დიდი მოურავის სრულყო-

ფილად შესწავლისათვის გამოყენებული და შეჯერებული აქვს არა მარტო უშუალოდ პიროვნების განყენებულად წარმოჩენა, არამედ ფაქტობრივად მთლიანად ხეობის კომპლექსური დახასიათება, სადაც უხვადაა წარმოდგენილი ძველი ხალხური გადმოცემები, მათი არსი და მნიშვნელობა.

საკითხის განხილვის ამ ჭრილში, მის შემოქმედებაში საყოველთაოდ გასაგები მიზეზების გამო, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სწორეთ ხეობის სულიერი სამყაროს იმ ძეგლების საუკუნენახევრის წინანდელ შემოქმედებითად აღწერა-გადმოცემას ეხება, რომელთაც მეტნაკლებად კარგად ჰქონდათ შემორჩენილი პირვანდელი იერ-სახე. ასეთ ვითარებაში, ისიც ბუნებრივია, რომ 1847 წ. მოგზაურობით, მას არ ძალუძდა ამ მხრივაც ესოდენ მდიდარი ხეობის სრულყოფილად წარმოჩენა და ამდენად მისი აქცენტი აქ უმთავრესად ერთაწმინდის ტაძრის და ქვათახევის მონასტრის ირგვლივაა გამახვილებული.

ერთაწმინდის ტაძრის სახელწოდება — წერს მკვლევარი, ამ და სხვა გადმოცემით, დაკავშირებულია წმინდა ესტატესტან, რომელიც ამჯერად დიდი მოურავის მამულში იყო აგებული. მას ვახტანგ I მეფის (V ს.) დროის ძეგლად მიიჩნევენ, ანუ იმას, ვისაც მეტეხის ტაძარსაც მიაწერენ და თუმცა უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში იგი მიჩნეულია XIII ს. I ნახევრის ძეგლად. ის, რომ სახელწოდება ერთაწმინდა, როგორც მკვლევარი წერს — წარმოებულია შემოკლებით — ესტატედან და წმინდიდან. აქედან სოფლის სახელიც — ერთაწმინდა. ჩანს, რომ იმხანად (1847 წ.), ოდეზღაც მრავალრიცხოვან სოფელს მხოლოდ 10-ოდე ღარიბი გლეხის ოჯახიღა შემორჩენია. ტაძარი ერთობ თვალწარმტაც და კოლორიტულ ადგილზე ყოფილა აგებული და შორიდანვე მნახველთა ყურადღებას იპყრობდა. ამის ნათელსაყოფად აღსანიშნავია გადმოცემა თუ როგორ შენიშნა იგი გორის გზაზე მიმავალმა შაჰ-აბასმა და მის თანმხლებს გიორგი სააკაძეს როგორ მიმართა ქართველთათვის ტაძრის მნიშვნელობის ახსნის შესახებ. რის შემდგომაც, შაჰ-აბასს შეუჩერებია ჯარი და ამ სიდიადის დანგრევა უბრძანებია და როდესაც გუმბათის ნგრევა დაუწყიათ, მას თვალთ სინათლის დაკარგვა და ულონობა შეუგრძვნია, ხოლო ძილში დასიზმრებია, ცხენზე ამხედრებუ-

ლი, აბჯარ-ასხმული გოლიათი, რომელიც შუბით ცდილობდა მის განგმირვას. აღნიშნული სიზმრის ახსნა მისმა თანმხლებლებმა ვერ შეძლეს და მხოლოდ გიორგი სააკაძის ამალაში მყოფმა ერთაწმინდელმა გაბედა და მოახსენა მოურავს, რათა ტაძრის ნგრევა შეეჩერებინათ, რამდენადაც ის გოლიათი წმინდა ესტატეა და მიუთითა კედლის მხატვრობა-წარწერაზე, რომელიც შაჰმა მართლაც გაიხსენა და ბრძანა არა მარტო შეჩერება არამედ თავისი ხმლისთვის მოეხსნათ ძვირფასი ქვები და ტაძრისთვის შეეწირათ, რამდენადაც მან დაუბრუნა სინათლეც და ჯანმრთელობაც. ამასთანავე, მას დიდად დაუსაჩუქრებია მოხუცი მთხრობელი-ასტროლოგიც. აღსანიშნავია, რომ ეს განძი, ავტორის გადმოცემით 1794 წ. ერეკლეს ბრძანებით თბილისში გალობლის — თეკლას გასაკურნავად წაულიათ, რომელიც შემდეგ მეფეთა ეკლესიაში ინახებოდა. 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებით სხვა განძთან ერთად დაკარგულა, ხოლო 1796 წ. განძის ნაწილი გამოუსყიდიათ და ახლა ერთაწმინდის ტაძარში ინახებაო.

იცოდა რა შაჰ-აბასის აღნიშნული შესაწირავის შესახებ, 1735 წ. შაჰ-ნადირმა ისურვა მისი ნახვა, რის გამოც მანაც თავის მხრივ ერთაწმინდის ტაძარს შესწირა აბრეშუმის ძაფზე ასხმული 300 მარგალიტი, რომელიც აღასრულა მასთან თანმხლებმა ერთ-ერთმა ქართველმა და რომ აღნიშნული მარგალიტები 1770 წლამდე კათალიკოს ნიკოლოზის მიერ მიბნეულ წმინდა ესტატეს ხატს ამშვენებდა. სამწუხაროდ აღნიშნული სიმდიდრე სხვა განძთან ერთად ლეკთა თარეშის შედეგად დაკარგულა.

არანაკლებ საყურადღებოა გიორგი სააკაძის მიერ სოფ. ერთაწმინდაში შაჰ-აბასის ყოფნის აღსანიშნავად მისივე ნებართვით მარმარილოს სვეტის აღმართვა, რომელიც მას ათი დღის შემდეგ გორიდან დაბრუნებისას დაახვედრა, რითაც შაჰი ერთობ გაბარებულა და მოურავი სათანადოდაც შეუქია, ხოლო შემდგომში, მოვლენების განვითარების შესაბამისად, სპარსეთიდან დაბრუნებულ მოურავს სვეტი თავად დაუნგრევია და მის ადგილას ახლანდელი ტაძარი აუშენებია. აქვეა სოფ. ახალქალაქის ისტორიის ამსახველი მომენტებიც. პ. იოსელიანი წერს: მდ. თეძამზე დგას ახალქალაქი, რუსულად ნოვგოროდი ან ნეაპოლი, რომლის ქალა-

ქად აღმოცენება უკავშირდება როსტომ მეფეს, რომელმაც აქ სომეხი ვაჭრები დაასახლა და მისცა მათ თავისუფალი ვაჭრობის უფლება. მანვე ააშენა მათთვის ეკლესია, რომელიც ახლაც არსებობს. ეს ადგილები მდიდარია ბაღ-ვენახებით. აქვე ცხოვრობენ თავადები — თარხანმოურავები — დიდი მოურავის შთამომავალნი.

ზემოაღნიშნული ტაძრის წარწერა გვამცნობს: „მას ჟამსა ოდეს იჯდა ურან თურანსა ბედნიერი ყაენი ხელმწიფე შაქ-სეფი ქ... სახელითა ღუთისათა ჩუენც საქართველოს ხელმწიფის შვილმან მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ ხელვჰყავით აღშენებათ თეძმის პირსა ზედა ქალაქი და სახელი უწოდეთ მეფის ქალაქიდა აღვაშენეთ საყდარნი და მონასტერი ქალაქისა ამის მკვიდრობისა თვს მეფისქალაქელთა სომეხთა ჩუენთა სახასოთა ვაჭარი“. ამავე ე.წ. სომხური ეკლესიის მეორე წარწერა გვამცნობს: „გვაგინა და მოგუახსენა ქალაქისა და საყდრისა ამის აშენება კარისა ჩუენისა მდივანმან ყორღანაშვილმან მერაბ და ისი ვაღვაწეთ აღმშენებლად საყდრისა ამისა ვინცა ჰქირვიდეთ მოიხსენებდნენ მერაბს ყოველნივე“ [გვ. 92].

პ. იოსელიანი იშველიებს რა ფრანგი არქიტექტორის რიჰარდის ოფიციალურ ჩანაწერებს, ერთაწმინდის ტაძრის კომპლექსის შესახებ წერს: „ტაძარი ეკუთვნის უძველესი დროის ქართული ქრისტიანული ეპოქის ნიმუშს ქართული არქიტექტურა ყოველთვის არ ასახავდა ბერძნულ სტილს. როგორც ორიგინალური და დამოუკიდებელი სტილი, ქართული ატქიტექტურა გამოირჩევა ულიდესი მუდმივმოქმედი სტილის დაცვით და ემსახრება თავის წმინდა სათაყვანებელ რწმენას და მიუხედავად საუკუნეების მანძილზე გამაჰმადიანებული მმართველობისა მას არ დაუკარგავს და შეუბღალავს თავისი არქიტექტურული სტილი“. [გვ. 94]. აქვეა საუბარი ტაძრის დასავლეთის შესასვლელთან ძველთაგანვე კედელზე დადებული ბერძნული მხატვრობის ნიმუშის შესახებ, რომელიც მკვლევარის მტკიცებით დიდი მოურავის დროსაა შესრულებული და მიშენებული, რომელიც მასზე შესრულებული ერთი მხატვრობა გამოსახავს შაჰ-აბასის მიერ მოკლული მისი შვილის პაატას სცენას. და ალბათ,

ამის გამო უნდა ყოფილიყო იგი მლოცველთათვის დაკეტილი ჯერ კიდევ 1796 წ. აქვეა წაკითხული სანახევროდ შებღალული წარწერა: „ადიდე ღმერთო მეფეთ მეფე პატრონი როსტომ და თანა მეცხედერე მისი დედოფალი პატრონი მარიამ შეწევნითა ღუთისათა და მეოკებათა წმინდისა ევსტატისათა, ბრძანებათა პატრონისა იორამისათა ვახტანგისა დავახატვინეთ მეორეთდ ...“ ხოლო რაც შეეხება ტაძრის თანამედროვე სახეს – წერს მკვლევარი – ხატ-მოხატულობა კარგადაა მოწყობილი და მოვლილი ერეკლე II ცოლის დარეჯანის მზრუნველობით 1772 წ. თვითონ ტაძრის ხატი – წმინდა ევსტატე ვერცხლითაა მოჭედილი და მოოქროვილი, რომელზედაც გამოსახულია წმ. ესტატე მარცხენა ხელში ხმლით და მარჯვენით ჯვრით. ხატის სიგრძეა 3,4 არშინი, სიგანე 4 ვერშოკი, რომელიც ირგვლივ შემკულია აღმოსავლური ქვებით: იაგუნდი, ლალი, ფირუზი.

ჩანს, რომ ერთაწმინდის ტაძრის კომპლექსი აღზევებული იქნა 1610 წ. დიდი მოურავის გიორგი სააკაძის მიერ, რომელსაც შემდგომშიც მისი შთამომავალნი ემსახურებოდნენ, რაზეც მეტყველებს მეტნაკლებად აქ შემორჩენილი საფლავის ქვები. ყოველ შემთხვევაში 1847 წ. ტაძარში ჯერ კიდევ დაცული ყოფილა მოურავის შვილიშვილის ავთანდილის საფლავი წარწერით 1715 წ., პაატა, ზაზა 1730 წ., მოურავის შვილის შვილი ლუარსაბი, რომელიც თეირანში გარდაიცვალა და 7 წლის შემდეგ 1762 წ. გადმოასვენეს; ბარბარე ზაზას შვილი – გიორგი აბაშიძის საცოლე, რომელიც 16 წ. ასაკში გარდაიცვალა 1779 წ., სოფიო, გიორგი XIII ქალიშვილი – თავად ლუარსაბ თარხანოვის მეუღლე, გარდაიცვალა 1836 წ. თარხან-მოურავი დავითი – ერეკლე II და გიორგი XIII ათასისთავი (მიმბაში) პოლკოვნიკის ჩინით, გარდაცვლილა 1839 წ., აქვე განისვენებდა თავად თარხანთა მოძღვარი კველეთისა თევდორე – თურქების მიერ 1699 ნაწამები და სხვ. თარხან-მოურავების სახლის ახლობლები. [გვ. 107].

წმინდა ესტატეს ხატ-სალოცავში ყველაზე გრანდიოზული დღეობა-დღესასწაული ეწყობა ყოველი წლის 20 სექტემბერს, სადაც ქართლის სხვადასხვა კუთხეებიდან მრევლი ღამის თევით მოედინება. ამის

შესახებ პ. იოსელიანი წერს: „გავკვირდი, როდესაც 1847 წ. პირველად ვიხილე კვარით გაჩახჩახებული ეკლესიის მთელი ეზო და ცოტა არ იყო გამიკვირდა. თუმცა, როგორც ჩანს კვარს აღმ. საქართველოში მარტო ღია ცისქვეშ კი არ იყენებდნენ გასანათებლად, არამედ საცხოვრებელ და სამეურნეო ადგილებშიც და გაშუქებასთან ერთად სასიამოვნო სუნსაც გამოსცემსო“.

პ. იოსელიანის აღწერით, სოფ. ქვათახევი მდებარეობს მდ. კავთურის თვალწარმტაც ხეობაში, რომელმაც სახელწოდება ამ მდინარიდან მიიღო. მდინარე დიდგორის, ქსილის მთებიდან იღებს სათავეს. ეს ადგილები ოდითგანვე მდიდარი ყოფილა ბაღ-ვენახებით, რომლის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ XI ს. ქალთა მონასტრის მფლობელობაში ყოფილა. იგი დაცილებულია სოფლიდან 8 ვერსზე და გამოირჩევა ჯანსაღი კლიმატით და შესანიშნავი წყარო-ნაკადულებით, რის გამოც აქ ხშირად იმართებოდა მეფეთა საქმიანი შეხვედრები. აქვე ახლოს ჩამოუდის გუდარას ნაკადული, სადაც წისქვილია მოწყობილი. მასვე უერთდება მეორე ნაკადული-ეზატი, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია კალმახით, რამდენადაც ეს ნაკადული მოქცეულია წარმტაც მთებში, ამდენად თვალთა სიამის, თვალწარმტაცობისა და მიმზიდველობის გამო თვალად იწოდება. აქ რომ მეფეთა ხშირი სტუმრობის ადგილი ყოფილა ვახუშტი ბატონიშვილიც გვიდასტურებს: „გუდარეხის წელზედ არს თულავის სასახლე მეფეთა ნაშენობა დიდი“-ო.

ქვათახევი და მისი მიდამოები XVI ს. დასაწყისიდან, სათანადო სიგელების მიხედვით, სათარხნოს მფლობელობაში ექცევა. ქვათახევის კომპლექსი, რომელიც XII-XIII სს. თარიღდება, მოიცავდა ეკლესიას, გალავანს, კოშკს, სატრაპეზოს, სამრეკლოს და საცხოვრებელ სენაკებს. თავდაპირველად იგი დედათა მონასტერი ყოფილა, ხოლო შემდეგ მამათა მონასტრად გადაუკეთებიათ. ქვათახევის მონასტერის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და შემზარავი ფაქტი, რომელიც ავღნიშნეთ იყო 1400 წ. გაზაფხულზე თემურ-ლენგის მეექვსედ შემოსევა, როდესაც მისი ბრძანებით ტაძარში შეჰყარეს ყველა მასახური და შიგ გამოსწვეს, რის გამოც ამიერიდან მასში შესვლა 1821 წლამდე მხოლოდ ფეხშიშველი ან

სპეციალური ფეხსაცმლით შეიძლებოდა. აღნიშნულის ირგვლივ საინტერესო გადმოცემაა შემონახული, რომელზედაც პ. იოსელიანი მოგვითხრობს: თურქეთის ფაშას, რომელსაც რეზიდენცია გორში ჰქონდა, ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, როდესაც კავთისხევის მთებში ყოფილა სანადიროდ და ზემოაღნიშნულის შესახებ გაგებული ამბით, დაინტერესებულა ტაძრის ნახვით, მისვლისას მას გალავანი დაკეტილი დახვედრია და მისი ამალა ვერ შესულა. მაშინ, ერთ-ერთმა თანმხლებმა ქართველმა აზნაურმა შიგნით მსახურთ მიმართა, რომ ისინი კეთილი სურვილებით იყვნენ მოსული, რის შემდეგაც გალავნის კარი გაუღეს და პურ-ღვინით შეეგებნენ და თან ერთმა მათგანმა თურქულად სთხოვა ფეხთ გახდა, რაც უსიტყვოდ შეასრულეს და სათანადო შესაწირიც მიაგო.

ქვათახევის მონასტერი — წერს პ. იოსელიანი — აგებულია დავით III დროს 1126 წ. და მდებარეობს მიუვალ ადგილზე, სადაც მისვლა მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდანაა შესაძლებელი. მონასტრის მთელ სილამაზეს წარმოადგენს თვით ტაძარი, გუმბათზე აღმართული დიდი ჯვრით. ტაძრის ქვები მოყვითალო ფერისაა, რომელიც კავთისხევის სანახებშია და სავსებით გასაგებია ის სიყვარული ღვთის წინაშე, რამაც მრევლს ასე შორიდან ამ სიმაღლეზე, ვიწრო ხეობაში ააზიდვინა. ჩანს, რომ მონასტრის კომპლექსში XIX ს. შუა ხანებში 130 საჟენზე გაშენებული ჯერ კიდევ ჩანდა ქალთა პირველი საცხოვრებლის ნაკვალევი, რომელთა ოდენობა 20 აღწევდა და განლაგებული ყოფილა სწორხაზოვნად. აქვე ყოფილა დალაგებული ვეებერთელა, ჯერ კიდევ გაპოხილი ზეთსახდელის ქვები. ამასთან, უნდა ითქვას, რომ იერარქიულად, ქვათახევის მონასტერი საქართველოში ითვლებოდა მოძღვართ-მოძღვრად, ანუ თანამედროვე გაგებით პირველი კლასის მონასტრადო. და რომ მისივე სიტყვებით, გაერთიანებული საქართველოს ხანებში, დავით III, თამარი და ალექსანდრე I დროს მონასტერი არქიმანდრიტთა შორის პირველ ადგილზე იყო და მაშინაც კი, როდესაც ქართლი და კახეთი იყო გაყოფილი, დღესასწაულების დროს იგი შუამთის მონასტრის მოძღვართ-მოძღვარზე წინ იდგა.

ზემოაღნიშნულის ფონზე, საყურადღებოდ წარმოგვიდგება ის პროცესები, რომელიც სამონასტრო მოღვაწეობის მომდევნო პერიოდებში, კერძოდ ლეკთა თარეშის დროს დაატყდა. ეს ის ხანაა, როდესაც ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გაიხიზნა და მონასტრის მრევლი კატასტროფულად შემცირდა. რასაც ბუნებრივია მისი სულიერი და ეკონომიკური გაღატაკება მოჰყვა. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ერეკლე II-ის მიერ XVIII ს. შუა ხანებში ხეობიდან იძულების წესით 224 ოჯახის გადასახლება. აქედან 59 სოფ. ნაფარეულში, 6 სოფ. კურდღელაურში, 9 თბილისში, 16 სოფ. ბებნისში (ქარელის რ-ნი) და სხვ. აქედან გამომდინარე, პლატონ იოსელიანი იმედოვნებდა, რომ ისინი თავიანთ ძირძველ ადგილებს დაუბრუნდებოდნენ, რამდენადაც თითქმის ყველა მათგანის სურვილი და მოთხოვნილებაა. და თუ იგი განხორციელდება თავისთავად ხეობა გამოცოცხლდება, ხალხი მომრავლდება და მონასტრის მრევლის მეშვეობით ესეც ეკონომიურად წელში გასწორდებაო.

და ბოლოს, ქვათახევის ერთ-ერთ მძლავრ სასულიერო სავანედ აღიარებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტიც, როდესაც მძიმე განსაცდელის ჟამსაც კი მას უყურადღებოდ არ ტოვებდნენ სასულიერო წოდების მაღალი რანგის მღვდელმსახურები, მათ შორის კათოლიკოს პატრიარქი. კერძოდ, ამ მიზნით, 1799 წ. დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა მოხერხდა ხეობაში კათოლიკოს ანტონ II მისვლა, რომელსაც თან მცველად 500-მდე შეიარაღებული მებრძოლი ახლდა, თუმცა მას ლეკთა თარეშის გამო შესაძლებლობა არ მიეცა რათა მონასტრისათვის წესისამებრ შესააბმისი შესაწირი ებოძა – წერს პ იოსელიანი.

ამავე მონასტრის ირგვლივ ფრიად საყურადღებო მოგონება აქვს იაკობ გოგებაშვილს, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: „ამ ზაფხულს (1877 წ.) ბედმა გადამისროლა ერთ-ერთ იმ მრავალრიცხოვან ხეობათაგანში, რომელთაც ჰქმნის თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობები. ამ ხეობის ქვედა ნაწილი უკავია სოფ. კავთისხევს, ზემოთ კი გაშენებულია უძველესი სავანე – ქვათახევის მონასტერი. ამ მონასტრის ტაძარი აგებულია ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზე და ამიტომაც 15 აგვის-

ტოს, მარიამობას, ამ ტაძრის გალავანში დიდი რელიგიური ზეიმია, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრება არა მარტო გარშემო სოფლებიდან, არამედ საქართველოს შორეული კუთხეებიდანაც.

არ შევეხები არც ქვათახევის მონასტრის თვალწარმტაც მდებარეობას, რაც ზედმეტად მოწმობს იმას, რომ ძველი დროის ბერები, როცა მშვენიერი სქესის მომხიბვლელობას გაურბოდნენ, ამას ანაზღაურებდნენ ბუნების მომხიბვლელობით და სავანეებს იშენებდნენ საუცხოო ადგილებში.

ეს ტაძარი აგებულია ჯერ კიდევ XII ს. წმინდა ბიზანტიურ სტილზე და ცხადად მოწმობს იმას, თუ სრულქმნილების რა მაღალ საფეხურზე იდგა ხუროთმოძღვრების ხელოვნება ერთიანი საქართველოს არსებობის საუკეთესო ხანაში... მალე ჩვენი ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა ქალიშვილმა, რომელიც ჩამოსულ მლოცველთა წინაშე ლეკურს ცეკვავდა დაირისა და დიპლიპიტოს ხმაზე. უბრალოდ, მაგრამ დიდი გემოვნებით ჩაცმულ ახალგაზრდა ქალიშვილის მოხდენილმა ტანმა, მისმა სილამაზემ, პირველი ახალგაზრდობის სიქორფემ, მოძრაობამ, ლეკურის თამაშის ხელოვნებამ, ბოლოს, კონტრასტმა მოცეკვავე ქალიშვილისა, რომელიც მთელი თავისი გარეგნობით მოგაგონებდათ განათლებული ოჯახის ზრდილობიან ქალიშვილს, და მის ირგვლივ, სხდომ ოჯახს შორის, რომელიც აშკარად ჩანდა ხელოსანთა კლასს ეკუთვნოდა, უნებურად მიიზიდა ჩვენი თვალი და ჩვენი ყურადღება ამ სასიამოვნო სანახაობისაკენ, ასე მოულოდნელად რომ გადაიშალა ჩვენს თვალწინ იმ წამსვე თავში დამებადა აზრი, რომ ჩვენს წინაშე იყო სომხის ოჯახი, რომელიც ქალაქიდან ჩამოსულა სალოცავად მართლმადიდებელ ქართულ მონასტერში იგი სალოცავად მოსულიყო აღთქმის თანახმად, რომელიც დაედოთ იმ ქალიშვილს, ქალთა ერთ-ერთი სომხური სასწავლებლის მოწაფის მძიმე ავადმყოფობის გამო. „დაიცადეთ“ მითხრა მან, „ხვალ დღესასწაულის წინადღით არა ერთი ურმით მოვლენ სომეხთა ოჯახები სალოცავად“, და მართლაც, მეორე დღეს ურმებით მოვიდა სომეხთა რამდენიმე ოჯახი, რომელნიც განლაგდნენ ნაცნობ ქართველ ოჯახთა ახლოს და მათთან ერთად შექმნეს მეგობრულად მოქეიფე ჯგუფები ესენი

ქართველების მსგავსად კოცნიდნენ ხატებს, ბერებს უკეთებდნენ მოსახსენებელს, ემთხვეოდნენ ჯვარს, იღებდნენ სეფისკვერებს, იცხებდნენ მირონს და სხვ...

მარტო ქართლის ერთ სოფელში კი არ შეადგენდნენ სომხები მოსახლეობის მნიშვნელოვან უმცირესობას. ქართველებსა და სომხებს შორის ანტაგონიზმი რომ არსებობდეს, სომხებს ადვილად შეეძლოთ განცალკევება, გამიჯვნა, შეეძლოთ შეექმნათ ცალკეული, კარჩაკეტილი ჯგუფები და დარჩენილიყვნენ ქართველი ხალხისთვის უცხო ელემენტებად, მსგავსად ებრაელებისა, რომელნიც თუმცა საქართველოში დასახლებულან უხსოვარი დროიდან, სალმანასარის ეპოქიდან, მაგრამ მაინც დღემდე ინარჩუნებენ სრულ განცალკევებულობას გარემომცველი წრისაგან. სომხები ქართველ ხალხთან ურთიერთობის მხრივ, ხასიათით, ზნეჩვეულებებით, ერთი სიტყვით მთელი წყობით გრძნობენ ახლო ნათესაობას იმ გარემოებასთან, რომელშიც დიდი ხანია მოხვდნენ კაპრიზი ბედის წყალობით... მათთვის სრულიად ძნელი არ იქნებოდა ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ ყველა თავიანთი ნაციონალური თავისებურებანი, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ქართველ ეროვნებასთან ნათესაობა და ძმობის შეგნება, რომ მათ არა მარტო სოფლად, არამედ სამაზრო ქალაქებშიც ქართული ენა გაიხადეს სიტყვიერ იარაღად და რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველგან უმცირესობას შეადგენენ, მათ თანამდებობაზეც ირჩევენ... თვით კავთისხევში მამასახლისად არის სომეხი, რომელსაც აგერ უკვე 9 წელი ერთხმად ირჩევენო".


ი. გოგებაშვილის აღნიშნული ვრცელი წერილი, რომელიც 70-იანი წლების დამლევს დაბეჭდილა და რომლის შემოკლებული ნაწილი აქ მოვიატნეთ, პასუხია თბილისელი სომხების ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის წინამძღოლობით დაწყებული ორ ერს შორის მტრობისა და ღვარძლის გაღვივების მცდელობის წინააღმდეგ. ხოლო რაც შეეხება მის სადღეისოდ გახსენებას, ამით ერთხელ კიდევ გვინდა, ხაზი გავუსვათ მის ფრიად პროგრესულ მსოფლმხედველობას, რომლისათვისაც უცხო იყო ცრუპატრიოტიზმი და შოვინიზმი, როგორც უფერული კოსმოპოლიტიზმი და ცარიზმის რეჟიმის პირობებშიც კი მისი პატრიოტიზმი მართლაც

რომ ერთობ გამთბარია სხვა ეროვნებისადმი სოლიდარობის გრძნობით და გულთან მიტანით. აქვეა ხაზგასმული იმის შესახებ, რომ ქვათახევის ტაძარი იმდენად ძლიერ სალოცავს და სულიერ სავანეს წარმოადგენდა, რომ აქ, როგორც ითქვა საქართველოს შორეული რეგიონების სხვადასხვა კომფესიის მოსახლეობაც მოედინებოდა.

და ბოლოს, როდესაც ქვეყნის განვითარების მიმდიანრე ეტაპზე, სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად, დღის წესრიგში დგას ტურიზმის აღორძინების საკითხი, რომელსაც მსოფლიოს სტანდარტების დონეზე წარმოჩენის პირობებში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია, ასეთ ვითარებაში, რამდენადაც ტურისტული მოძრაობა საფუძველშივე ისახავს მიზნად შესაბამისი ქვეყნის სიძველეთა აღქმას და აბორიგენი მოსახლეობის ყოფითი თავისებურებების გაცნობას, ბუნებრივია მატერიალური ფასეულობის, კერძოდ სულიერი კულტურის ძეგლთა თვალსაჩინოებას უმთავრესი ადგილი უკავია.

აქედან გამომდინარე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვა გადაუდებელ პრობლემებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიულ ძეგლამდე მისასვლელი გზებისა და საშუალებების შესაბამის დონეზე მოწყობას. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც ქვეყნის ისტორიული ძეგლების ძირითადი უმრავლესობა იმყოფება, რამდენადაც გადაუდებელ სარესტავრაციო სამუშაოებთან ერთად, საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიების და მისასვლელი გზების აღდგენა-მოწესრიგება და საერთოდ მათ ირგვლივ იმფრასტრუქტურის ჰარმონიულ განვითარებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ტურისტს უმთავრესად ქვეყნის სიძველეთა გაცნობა, კულტურული მემკვიდრეობა აინტერესებს და არა თანამედროვე ქალაქმშენებლობის ხილვა, რამდენადაც ამ მიმართებითაც ისტორიულ დასახლებებში მათი კონტრასტულად წარმოჩენა, მნახველში უარყოფით შთაბეჭდილებას სტოვებს.

ჩრდილოეთ კავკასიაში ოსთა მკვლავდებისა და საქართველოში
მათი მიგრაციის მიმართულებანი





დავით პავლიაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოქვეყნებული აქვს 16 მონოგრაფია, ასზე მეტი სამეცნიერო სტატია და საგაზეთო პუბლიკაცია.